ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება

ოთარ ჩხეიძე

ლაზერშოუ

რომანი

საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2005

შოუ –

– ჩვენება. სანახავი. სანახაობა. წარმოდგენა. სახიობა. ბერიკობა. სპექტაკლი.

სპექტაკლი – მე-20 საუკუნის მონაპოვარია. ჩვენში. საქართველოში. მოსკოვში გაზრდილმა თეატრალებმა შემოიტანეს. თავაანთი ხელობის აღმატების მიზნითა. სხვა რო არაფერი არ ითქვას. თავაზიანობის გამო. სხვა დანარჩენი ქართულია. დღესაც ცოცხალი. ახლა ეს შოუ რაღაა და რიღას მეტიჩარაა – ამაყად რო გაიძახიან და ამაყადა სჩრიან ქართულ სიტყვარში?!. მარტო ამასა?!. რაღას არა – მალე დაგავიწყებენ პურსაცა და წყალსაცა. ყველაფერს ქართულს დაგავიწყებენ და აღმოჩნდები იმავე ყოფაში, რაშიც რო რუსებმა ჩაგაყენეს. ჩაგაყენეს და მიექანებოდი შენ თვითონაცა. ახლაც ასეა: მიგაქანებენ და მიექანები. მიგაქანებენ – რადგანაც რო ეს არის ერთერთი უმნიშვნელოვანესი აუცილებლობა გლობალობის ფართოდ გააზრებული პროგრამისა და მიექანები შენივე მეტიჩრული ხასიათის გამო. უცხოურს ხარბად რო ეტანები და რო გგონია – ის ვითომ უფრო მეტად აღმატებულია და რახან ისე იტყვი, უცებ ამაღლდები შენცა. უცებვე იქცევი ევროპელადა. უცებვე. უმალვე. მყისვე მიგიღებენ ევროკავშირშია. რა გინდა. საით მიექანები. რა სიკეთეს შეგყარა საბჭოთა კავშირმა, ევროკავშირში რას ელოდები?!. აი საჭირბოროტო საკითხავი, სანახაობებში რო გახლართულა და სანახაობებშივე რო გამოხვეულა და სანახაობებითვე რო აგხვევია თვალები. შოუ. შოუ. შოუ. შოუ. აქეთ შოუ. იქით შოუ. მაღლა შოუ. დაბლა შოუ. წინ შოუ და უკან შოუ. შოუ. შოუ. ისევ შოუ. ყველგან შოუ. მარადშოუ. შოუ. შოუ. ისევ შოუ. ისევ შოუ. ისევ შოუ. ახლა კიდევ ლაზერშოუო!..

ოთარ ჩხეიძე

ISBN 99940-848-8-7
© ოთარ ჩხეიძე, 2005

წინათ ვიყავ დაჩაგრული,
ახლაც ცეცხლი მიკიდია.
იეთიმ გურჯი

I

ღრმად ამოისუნთქა. შვებითა. თავისუფლადა.

კიბე აათავა და ამოისუნთქა.

დიდიხანია ასე არ უსუნთქია. რაღაცა უშლიდა. რაღაც ედებოდა. არ ამოსდევდა ჰაერი ბოლომდისა. მეტი ჩადიოდა და ცოტა ამოსდევდა. ან ასე გახლდა: ცოტა ჩადიოდა და მეტი მოიწევდა. გზას ვერა ჰპოვებდა და ბობოქრობდა ყრუდა.

ამოისუნთქა და ამოისუნთქა. კიდევა. ისე რო არა ჩარჩენილიყო. ამოისუნთქა და ამოისუნთქა.

მეზობელი გამოეგება.

კარი რო გაიღო. მეზობლისაი. ჯერ გასაღები გამოჩნდა. მერე მომუჭული თითები. მერე ქალიც მოჰყვა. გასაღები ამისი გახლდა. ვარაზისაი. „ბატონო ვარაზ", ქალმა მიმართა: მადლობა ღმერთსა მშვიდობით დაბრუნდით ბატონო ვარაზო, – გასაღები ამისი გახლდა. ვარაზისაი. მეზობელს ებარა. მეზობელივე შეუძღვა ცარიელ ბინაში. შინ არავინ ეგულებოდა თავისიანი ვარაზ-ბატონსა. ოღონდ ისიც არის: არც გადასხვაფერებული არაფერი არ ეგულებოდა. არადა ვერ იცნო ბინაი თავისი. შედრკა. თვა-

ლები მიმოაცეცა. ყველაფერი თავისი გახლდა. თავის ადგილას ელაგა ყველაფერი: დგამებიაო თუ სამშვენისებიაო თუ რაც თუ რა გააჩნდა სავსე ოჯახსა. ჩვენებურადა. თბილისურადა. ერთისიტყვითა. მაინც სხვა იყო თითქოსაო. მაინც ეუცხოვა. ეუცხოვა და არც ეუცხოვა. ასეთიც ახსოვდა. ყოველთვის ასეთი. მერე იყო რო გადაივიწყა. მერე იყო რო ჩამუქდა ყველაფერი. ჩაჟამდა. ჩაიქუფრა. მტვერი მტვერს დაედო. იმატა. გასქელდა. გაიბა ქსელები ობობებისა. ვერ გახვიდოდი ოთახიდან ოთახში. ქსელებში რო არ გახლართულიყა. ან არც გახვიდოდი. რა გინდოდა. რო ეტეოდი ერთს ოთახშიცა. სამუშაო ოთახში. კაბინეტშიო. ერქვას კაბინეტი. იქ სისუფთავეს თვითონვე აგვარებდა. ვარაზი. როგორც შეეძლო. მამაკაცურადა. სხვა დანარჩენი არცა სჭირდებოდა. არც აფიქრდებოდა. არც ებმებოდა ქსელებში ობობათა. არც რო ისინი იწუხებდნენ თავსა ზედმეტი შრომითა. აღდგენითა დაწყვეტილი ნაქარგებისა. ახალსა ქარგავდნენ. მოდერნულსა და პოსტმოდერნულსა. ქსელი ბრჭყვიალებდა სხივებზედა. დიდი ფანჯრებიდან რო შემოიჭრებოდა. ნაირნაირადა ბრჭყვიალებდა. ქსელი ბრჭყვიალებდა, შემომქმედნი არსაით მოსჩანდნენ. ფარდებიც ეკიდა დამტვერილი. ჩამოწყვეტილიყო ზოგი. მტვერი დაებერტყა. გაერიგებინა მცირე რამ ბორცვებადა. შუშებს ნუღარ იკითხავ: ან როგორ აღწევდა სხივები ოთახში, ანთუ როგორღა ბრჭყვიალებდა ნახელოვნარი ობობათა, ისიც ვითომ რო ნაირფერადაო. რაც იყო თუ როგორცთუ რა იყოო – ისეთად დასტოვა ის იქაობაი. მტვრის სუნში დასტოვა. ჭუჭყის სუნში დასტოვა. და შემოეგება იის სურნელითა. სურნელითა გაზაფხულისა. გაცოც-

ხლებული სხივებითა. მზე რო იფრქვევოდა გაწკრიალებული ფანჯრებიდანა. სხივოდა რო აგრეთვე ყველაფერი. ოთახებშია. წკრიალებდა. კრიალებდა. ლაპლაპებდა.

ეამა კიდევაცა. მოიღუშა კიდევაცა ვარაზ-ბატონი. რისხვამაც გადაჰკრა თვალთა უბესა. დაჰხარა თვალნი. დაჰხარა. დაჰხარა. თბილისელს როგორც რო არა ჰმართებდა, რისხვით შეეხედა ქალისათვისა. არც რო რისხვითა. არც რო მწყრალადა. არც სხვა რამ. მსგავსითა. მოწიწებისა. პატივისცემისა და აღტაცების გარდა. მაგრამ ეს რაო. ეს როდისა სთხოვა – ცხვირი შეჰყავი ჩემს ბინაშიო. გასაღები იმად დაუტოვა: უბოძე თუ გამოჩნდნენ ჩემიანებიო. ამის გამეორებაც არ იქნებოდა. არა. საყვედური არ შეიძლებოდა. არა. არა. არ შეიძლებოდა. და მიეშველა მეზობელი. თვითონვე იხსნა შეჭირვებისაგანა:

„მე არა. არა!..“ გაატატანა ორივე ხელი. „ერთი თქვენი მოკეთე მობრძანდა. მოიყვანა ხუთი რუსის ქალი. ფეხი არ ჩაუფერხიათ ხუთ დღეღამესა. ასე გაჰხადეს ეს აქაობაი. წავიდნენ და სწუხდნენ: მეტი რად ვერ მოვასწარითო“.

ვინ მოკეთეიო. ვარაზ-ბატონმა.

ეს აღარ იცოდა მეზობელმა. ვარაზმაც ვერავის ვერ დაადგა თვალი. ასე შორითა. ლანდადაც ვერა. ცოლშვილი ამერიკაში გახვეტილიყო. დაღავებულიყვნენ ნათესავმახლობელნიცა. მეგობრებიო – ვიღა შერჩენოდა. ანთუ ვიღასაო: ვიღასა სცხელოდა ვიღასთვისა. ყველას თავისი გასჭირებოდა. ან ძველ ტრფიალს თუ ეჩინა თავი. ძველსა. ძველსა. განახლებულსა. გაცხოველებულსა. გასაჭირსაც რო აღარ დაგიდევდა. ისეთნაირად გაფიცხებულსა. მაინც

რომელსაო. მაინცა?!. მაინცა?!. ერთი შენცაო – ვითომ რა ძნელი გასახსენებელია, რომელი კაზანოვა შენა მყავდიო. თუნდაც დონჟუანი. თუნდაც ბაირონიო. ეროვნებაც რო არ დავიწყებია ბაირონსა. ქართველი რო შეჰხვედრია – ისიც არაო. ისე არაო და ისეც შთაჰბეჭვდია, სხვათა სილამაზესაც რო ქართულს ადარებდა. მერედამერე. ამასაც შეჰხვედრია სხვათაგანი. ბერძენიცა. გაქართველებული. სომეხიცა. გაქართველებული. რუსიცა. ურჯულო რუსიცა. რო არც დააგდებს რუსობასა. რასაც არ უნდა სჩადიოდეს. საქმესა ასეთსაც რო ეწეოდეს სადაც არ უნდა ეწეოდეს. შორს ამასაც რო მოუწია გამგზავრებაი. საბჭოთა სპეციალისტთა შორისა. კენიაში. არ იქნა და ზანგზე არ მიუვიდა გული. არა. არ იქნა. იქაც საბჭოთა სპეციალისტით იქარვებდა გასაქარვებელსა. ისიც იქარვებდა და მეტი არაფერი. ისემც რა უთხარი, მოსკოვიდან აქ არ ჩამოსულიყოს ამისი ბინის დასაწკრიალებლადა!..

ვინ უნდა ყოფილიყო?..

ვინც უნდა ყოფილიყო –

თვითონვე იჩენდა თავსა. როცა იქნებოდა.

არ იჩენდა და ნუ იჩენდა. აღარც აღარაფერი აღარ ენაღვლება. აღარც დარდი სჭამს აღარაფრისაი. ინაღვლა და ვერას მოეწია. იდარდა და ლამის თანგადაჰყვა. ეს არავინ არ დაინდო. არავინ არ თანაუგრძნო. ცოლშვილმაც დააგდო. თავსუშველა. ცოლშვილმა. სადღაც ამერიკაში ამოჰყო თავი. ცოლშვილმა. ამასაც ეწევა. ცოლშვილი. შვილიშვილებიც რო?!. წამოდი. მანდ რა გინდა. რაღას უცდი. რას ელოდებიო. მართლაც და რასა?!. სიკვდილსაო. სხვას რაღასაო. სიკვდილის ლოდინი შეიძლებოდა

ამერიკაშიცა. თუ ესეღა დაგრჩენია ანუ სხვა აღარაფერი რო აღარ დაგრჩენია: მაძღრისად ლოდინი სჯობიან. შიმშილით ლოდინსაო. ესეც იქნება აფორიზმებში ზურგიელიძისა. თუ გამორჩა და ჩაუმატოს ვინმემა. იქვე ჩაუმატოს. კიდევ ისეთი ახალი ბრძენი აღარც საჭიროა. აღარც გამოჩენილა. თუ გამოჩენილა და არც მოუხვეჭია ისეთი სახელი. თუ მოუხვეჭია – მოეხვეჭოს. ამისთვის სულერთია ყველაფერი. ერთია. ერთია. ერთგვაროვანია. აღარც აღარას არა აქვს სახეი თავისი. თვითონ თუღა შერჩა?.. თუ აღარც თვითონა!.. ვარაზსა. ცხადია. კარგარეთელსა. გვარიც კარებთან ეწერა. მომცრო ფირფიტაზე. გვარიცა და სახელიცა. წაშლილიყო. აღარც ემჩნეოდა. გამოხაჩხაჩებულა რო ისიცა. კრიალებს, ბრიალებს. კარებიცა. ერთიანადა. ჩარჩოიანადა. ჩაჟამებულიყო რო ისიცა. ისევე. ისევე. ის ორივე კარი როგორც როო. მეზობლებისაი. სამი ოჯახი ბინადრობდა იმა სართულზედა. ორი ისევ ჩაჟამებულიყო. ვინც გამოჰხედა იმისიცა. ვინც არ გამოჰხედა იმისიცა. აღარც ფირფიტებზე ამოიკითხებოდა აღარაფერი. იმათს ფირფიტებზედა. გვარიც წაშლილიყო. სახელიცა. ყველგან რო წაშლილიყო. ყველგანა. ყველგანა. ძველ უბნებში თბილისისაი. ახლებს რო ჯერაც არ წაეწერათ. არც რო განეზრახათ. ფიქრადაც რო არ მოსვლოდათ. არა. ვითომ რად უნდოდათ – აღარც სახელი რო აღარა ჰქონდა. თავისი. აღარავისა. აღარც გვარიო. სახე რო წაშლოდათ საკუთარი. ნათელი. გამოკვეთილი. ერთსახეობად რო გარდაქმნილიყვნენ თუ ესაა რო იქმნებოდნენ. იქმნებოდნენ და ვერც იქმნებოდნენ. მაინც ჩაკარგულიყვნენ გარდაქმნაშივე. გარდაქმნაშივე. გარდაქმნა მითუფრო

რო ერთფეროვანია. გარდამავლობაც რო ერთფეროვანია. ამ გაუთავებელ გარდამავლობაში – გარდამავალი რო ბრძანდებოდი ძველ ელინთათვისაცა. ძველ რომაელთათვისაცა. ახალ რუსთათვისაცა. ახალ ამერიკელთათვისაცა. მაინც გარდამავალი. მაინცა და მაინცა. თუმც რო – ჯერ აქ დაუდგამთ ფეხი. თურმე. პირველ ევროპელთა. პირველთა. პირველთა. რო აყრილან რო ეგვიპტიდანა. თურმეო და თურმეო. და მოეჭიდე თურმესა შენა. სამასხროდაც რო გაგიხდიან საქმესა. აქეთ ოსებისაო. იქით აფხაზებისაო. სამასხროდა. საპამპულოდა. სალიზღოდა. საქილიკოდ რო გაეხადათ – კიდევ ჰოო. ქილიკის ატანა შეიძლებოდა.

აგერა სარკეცა...

წკრიალებს. ანათებს. ლამის ჭერიდან იატაკამდისა. ჩაბინდულიყო. ჩაშავებულიყო. მწერებს შეებღალათ. მწერებსაცა. მწერებსაცა. მტვერს შეზელვოდა. გათხაპულიყო. არც სახე მოსჩანდა. აღარც თავი და ტანი. ახლა ანათებს. თვითონაც ანათებს. სარკეი. ცხადია. და ანათებს ამასაცა – ვარაზსა. კარგარეთელსა. ახოვანსა. წარმოსადეგსა. სახესა მკვეთრსა. დამმორჩილებელსა. არა. არა. ასეთი ახსოვდა. ასეთისა ლანდიღა დარჩენილიყო. მოხრილა წელში. დასცვენია გრძელი მკლავები. ჩაჰყვითლებია სახეი მწყაზარი. თვალები ზევით ამოსცვენია. ქორებრი გაჰხდომია თვალები. ვინ უწყის თუ როდის აქეთია. როდის აქეთია დაბურულა სარკეი. რა ღრმა თვალები ჰქონდა. რა მშვიდი, რა გონივრული. ისედაც უჯერებდნენ. სიტყვის უთქმელადა. ანთუ ერიდებოდნენ. და მეტი არაფერი. ამის სიტყვაზე არავინ დადიოდა. ვერც გაივლიდა, მბრძანებელი რო პარ-

ტია გახლდა. ხოლო პარტიასა – არა სწამდა რო არც რო თვალები არავისი. არც თავი და ტანი, სულიც რო არა – სული უფრო არა – ჰბუგავდა ცეცხლში რევოლუციისა სულიანადა. ხორციანადა. ჰბუგავდა. ჭყლეტდა. ანადგურებდა. თუ შემოინახავდა მხოლოდ ჭანჭიკებსა – დიადი მომავლის, დიადი კომუნიზმის ლოკომოტივისათვის გამოსადეგსა. ეს ვერ გამოადგა. ვარაზი. კარგარეთელი. ვერც რო იმ საარაკო ლოკომოტივსა, ვერც რო მიასწრო იმა მსუბუქ მატარებელსა, ახოვანი ჭაბუკი რო მოუწოდებდა: არიქა, შეასხედით, თორემ გაგასწრებთ და ველარ დამეწევითო. არც რასა ცდილა. არც გაჰკიდებია. თუმცა გრძელი ფეხები ჰქონდა. სარკეშიც მოსჩანდა ასე ახლად გამონკრიალებულში. ისევე მოსჩანდა. თვალად ისევე. რო იდგა ისევე. ნაბიჯის წადგმისას შეეტყობოდა. უსუსტა მუხლმა. შენ მუხლი თქვი, თორემ კანჭის სიგრძე რა ბედენაა. გაგვიძეხ ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო. სათქმელად ადვილია – აბა მაიბი!..

ტელეფონი წკრიალებს. უკეთა წკრიალებს. მტვერი რო გადაუყრია იმასაცა... მეზობელია. ვინც რო გასაღები გამოაგება. მეუღლეი იმისი. გადარჩენას ულოცავს. ანთუ რაღა გადარჩენაა. სამსახურიდან გვითხოვენ ყველასა. გინდა შიმშილით გაგძრობია სული, გინდა მანქანას გაუტანიხარო.

როგორთუ ყველასაო.

ყველასაო. დამსახურებულსა. გამოცდილსა. გამობრძმედილსა. მცოდნესა. გამგებსა. ყველასაო.

ვერ გავიგეო.

ორმოც წელს ვინც რო გადასცილებია. ყველასაო.

მაინც ვერაო. ვერაფერი ვერ გავიგეო.

სამსახურში რო გამოცხადდები. განცხადებას რო დაგაწერინებენ – გამათავისუფლეთო. მაშინ ჰო გაიგებო.

ეგ როგორაო.

ეგ ეგრეო და კიდევ სხვასაც გაიგონებო. უცნაურსა და უაზროსაო.

„შენ ამბობ: რევოლუციას აგრძელებენ?!.“

„სწორედ მაგას ვამბობ!..“

„არ ეყოთ რო?!.“

„ჯერ სადა ხარ!!!..“

აქ არის. აქ იყო. აქ იქნება. კარგს არაფერს არ შესწრებია. არც ელოდება. რევოლუცია რო უბედურებაა. ფრანგი გამანათლებლებიცა ბრძანებდნენ. თვითონ გამოიგონეს და თვითონვე ჰგმობდნენ რევოლუციებსა. ატომისა არ იყოს. სასიკეთოდ გამოიგონეს და სავალალოდ ექცათ. ფრანგმა გამანათლებლებმა არა. რა თქმა უნდა. უბედურება ერთია. სახე აქვს ბევრგვარი. ბევრი ჰყავს აგრეთვე გამომგონებელიცა. ბევრი. ბევრი. ეშმაკიც ერთია. ოღონდ საქმეა ბევრი საეშმაკოი. მეტი რა გაიგო ამ წუთისოფელში. გაიგო და იწვნია. ანთუ ჯერ იწვნია. მერე გაიგო. ამასაც გაიგებს. იწვნევს და გაიგებს – გამოცხადდები თუ არა სამსახურშიო. შეგუებულა. სიქაჩლე გეწიოს სიბერემდისაო. სიბერეც ეწია და სიქაჩლეცა. არა. არა. თმა კიდევ შერჩენია. გასთხელებია. გაჰხუნებია. სილბო დაჰკარგვია. მაინც შერჩენია. ხოლო ეს მაინც აღარაო. სამსახური აღარაო: თავშიმც ქვა უხლიათ. რას ემსახურებოდა ანთუ აქამდისა. არა. არა. იცოდა რადაც გაჩენილიყო. რის მსახურადაც მოვლენილიყო. ის არ იცოდა თუ სადა მსახურობდა, თუმცა რო ფეხი არ მოუცვლია ერთი ადგილიდანა.

არ გასცილებია ერთ მაგიდასა. მხოლოდ იცვლებოდა სახელწოდებანი დაწესებულებისა. იცვლებოდა და იცვლებოდა. ეს თავს არ ინუხებდა დასამახსოვრებლადა. ესა – ვარაზი. კარგარეთელი. რაღა თქმა უნდა. რო გადაშლილიყო კარებზედა ბინისა. რო·გადაეწმინდათ და გამოჩენილიყო თუ აღმოჩენილიყო. ჯერ რუსობის დროსაც ბევრჯერ შეიცვალა სახელწოდებაო. სახელწოდებაზეა ისევ ლაპარაკი. დაწესებულებისა. ხან დააგრძელებდნენ. ხან დაამოკლებდნენ. ხანაც დაწნეხდნენ ინიციალებამდე. *კგბ*-სი არ იყოს. მაინც *ჩკ* იყო. მაინც ძერჟინსკი ანათებდა. გამსახურდიამ ვერც რა მოასწრო და ვერც ამას მიჰხედა. ამათს დაწესებულებასა. შევარდნაძემ ბევრი რამ მოასწრო. დაარქვა ამათა დეპარტამენტი. მერე გადაარქვა. ისევ გადაარქვა. კვლავ გადაარქვა. ბოლოს ისევ დეპარტამენტი. ასედაც დაუტოვა მემკვიდრეებსა. იშმუშნებოდნენ მემკვიდრეები. იმისი არ უნდოდათ არაფერი. იმისი. შევარდნაძისაი. რაღა თქმა უნდა. იშმუშნებოდნენ. არც ეს უნდოდათ. ვერც გადაერქმიათ. ჯერ ვერაო. უფროსი მაინც გამოეცვალათ. 40წლამდელი დაესვათ. ცხადია. შემოეკრიბა იმასაცა გუნდი თავისი. 40წლამდელებისაი. რაღა თქმა უნდა. დაეწერათ განცხადებები 50-ანელებსა. 60-ანელებსა. 70-ანელებსა. იმას იქით ჰო – რაღა თქმა უნდა და რაღა თქმა უნდა. ამასაც დაახვედრეს. ვარაზსა. ცხადია – თანვე თუ არ მოგიტანიაო – ფურცელი დაახვედრეს. კალამიცა ფურცელზედა. დაჯექი და დაწერე. ადექი და მიბრძანდიო.

დაჯდა და დაწერა:

მე არცა მნებავს თქვენი სამსახური. არც განთავისუფლებას არა ვთხოულობო.

ეს როგორაო. შეიცხადა გუნდმა. ჯერ უფროსმა რო შეიცხადა. ლაწირაკების გუნდმაო. ლაწირაკივე უფროსიანადაო. ეს ვარაზს არ უთქვამს. არც იკადრებდა. ამბობდნენ სხვები. უკვე რო გაეშვათ. რო არც მიდიოდნენ. მოითხოვდნენ საკომპესაციოსა. მოითხოვდნენ და ამშვიდებდნენ: გვაცალეთო. სულ ცოტახანსაო. საპროცესო გარიგება მიმდინარეობს ადეიშვილთანაო. ბლომად ააფცქვნიან და თქვენც გარგუნებენო. იმათს განცხადებებს უკვე ეწერა – „განთავისუფლდეს“. თარიღიც უჯდა. ხელრთვაცა აგრეთვე ლაწირაკულიო. ამისთვის ველარაფერი მოეხერხებინათ. ამისი განცხადებისათვისა. ვარაზ კარგარეთელისა. იმსჯელეს. ითათბირეს. იკითხეს ზევითა. კიდევ ზევითა და კიდევ ზევითა. იარეს და იარეს პრეზიდენტამდისა. ერთი ჭიტლაყი თუ არა ჰყოფნისო. იმანა. პრეზიდენტმა. ახალმა. ახალმა და ახალთახალმა. იმათივემა. ორი უჭირეთო. სამიც უჭირეთო. ორიც თუ არ იმყოფინაო. განცხადება. დაჰხიეს. იმათაცა. პირდაპირ ჩასვეს საკომპესიოთა სიაშია ანუ სიაში გაპანღურებულთა. რო იმყოფინეს ერთი ჭიტლაყიცა. არა. პანღურიო – და იყოს პანღური. ალბათ რაღაც განსხვავებაა. ალბათა. ალბათა. თორემ აბა რა თავს შეიწუხებდნენ ამდენნაირად რო გამოეთქვათ: პანღური ამოჰკარით!.. ჭიტლაყი ამოსდეთ!.. კუკუ უჭირეთ!.. თუმცა აქ რო პრეზიდენტმა ბრძანა – ჭიტლაყი უჭირეთო?!. პრეზიდენტს ყველაფრის უფლება აქვსო. პრეზიდენტი ყველაფერს იკადრებს. რევოლუციის პრეზიდენტი. მითუფრო ვარდების რევოლუციისა. ვარდებიც უნდა ამოსდიოდეს პირიდანა. და ეგეცა ვარდებიო – ჰო ჩასვეს მაშინვე საკომპესაციო სიაშია. ჩასვეს. ჩასვეს. პირ-

ველთა შორისა. გაფცქვნეს მაშინვე ადეიშვილიცა. ოღონდ ესეც არის – ამათამდე არ მოაღწია. ჯერ ვალებიო პენსიონერებისა. პრიორიტეტია პენსიონერებიო. რევოლუცია იმათ მოახდინეს. იმ ახალმა პროლეტარიატმა. პირველი სიკეთეც უპრიანია იმათიო. ვერც რო ამ ვალებს ვერ გაანვდინეს ანაფცქვენი ადეიშვილისა?!. ეგ არაფერიო. არა. რა თქმა უნდა. მირცხულავაც გაქაჩეს. იმისგან მეტს ელოდებიან. 6 მილიონსაო. დოლარებითაო. თუ არც ეს ეყოფა – და მაინც ნუ შიშობთო. ნურც თქვენაო – საკომპესაციოებოო. ნურც თქვენაო. პენსიონერები ჰო ყალჰხზე დგანანო. ჩხაიძე რო ბათუმს გადავარდნილა. ახლავე იმასაც ჩამოათრევენ. იმასაც ბლომად დააყრევინებენო. ნუ გეშინიანთ. ნურაფრისა ნუ გეშინიანთ. ჩვენ ის არა ვართ. შევარდნაძის ხელისუფლებაიო. ჩვენ ჩვენა ვართ. ჩვენ რასაც ვამბობთ, კიდევაც ვასრულებთო. აი ნახავთ. კიდევ რამდენს ამოათრევენ იმ თავაანთი ტომრებიანათაო.

მეზობელი ატყობინებდა ამ ყველაფერსა. ვარაზსა. რა თქმა უნდა.

ამასაც დასძენდა – ნუ გეშინიანო. მეზობელი.

ვარაზს არ ეშინოდა. კომპესაცია გროშები გახლდა. ხელფასიც ჰო – გროშები. იმასაც ვერ იღებდა. ესესხებოდნენ გაჭირვებული თანამშრომლები. ჩასესხების თავი რო არა ჰქონდათ. არც რო ეს არ გამოეკიდებოდა. ოჯახი უგზავნიდა ამერიკიდანა. სამყოფს უგზავნიდა. არც რაი სურდა მეტი სამყოფისა. არც არასოდესა. მითუმეტეს მარტოდშთენილსა. არ ეშინოდა ერთისიტყვითა. გარეთაც არ გაესვლებოდა აუცილებელი შემთხვევის გარდა ახალგამოწერილსა კლინიკიდანა. მაცივარიც სავსე რო დაჰ-

ხვდა!.. ვინ იყო ასეთი კეთილისმყოფელი?!. არც ურეკავდა. არცა ჩნდებოდა. ობობა ჰო არ იყო იმა მრავალი ობობათაგანა. რო გამქრალიყვნენ. რაღა თქმა უნდა. რაღა თქმა უნდა. ერთი მაინც გადამალულიყო. შეყუჟულიყო სადღაც ანაქერცლში. შპალერისაი. ქალად იქცეოდა. თუ საჭირო გახლდა. მტვერსაც გადასწმენდდა. ნაგავსაც გაიტანდა. გაავსებდა მაცივარსაცა. ისევ ასევე. ამის ფარულადა. რაღა თქმა უნდა. დაფარულიყო. დამალულიყო. ერთიცა ვნახოთ და დაუდარაჯდებოდა. ვარაზი. რა თქმა უნდა. აბა სხვა ვინა?.. თავს იჩენდა ისე უეცრადა. ისე. ისე. ის რო ვერ მოასწრებდა გარდასახულიყო კვლავაც ობობადა. ვერა. ვერა. ვერ უნდა მოესწრო. რას ჩაიდენდა ნეტავი მაშინა?.. ჰა?.. წარმოედგინა და ვერც წარმოედგინა. ვარაზსა. ცხადია. არც წარმოიდგენდა. აწუხებდა უხერხულობაში ჩავარდნილი ადამიანები. ცოცხლადაცა. წარმოსახვითაცა. ახალგაზრდობაში თვითონვე წითლდებოდა. სცხვენოდა. სცხვენოდა სხვის მაგივრადა. სიმორცხვე ისევ შერჩა. სიწითლე დაჰკარგა. სიწითლეი სხვისი სირცხვილისა გამო. ეგება ესეც რო საძრახისია – თუ არა სცხვენიან თვითონვეო, ჰო უნდა შერცხვეს მაინც ვიღაცასა. სირცხვილი რო არ დაიკარგოს. თავმოყვარეობა არ დაიკარგოს. რაღაა ხალხი თავმოყვარეობა დაკარგული. რაღაა ქვეყანა, ერი რაღაა უთავმოყვარეოი?!.

ატყობინებდაო. მეზობელიო. – ურეკავდა. ურეკავდა და ურეკავდა.

ერთი კედელი ჰყოფდათ. მაინც ურეკავდა. აბა ტელეფონი რად გამოეგონათ. აბა გადასახადს რად იხდიდნენ. ხშირად რო ვერც იჰხდიდნენ. ხშირადაც

რო გამოუთიშავდნენ ხოლმე. ახლაც აფრთხილებ-დნენ. განა თუ ვინმე იწუხებდა თავსა. ტიკტიკებდა ავტომატი. ინგლისურადა ტიკტიკებდა. ინებეს და თარგმნეს ქართულადაცა. ოღონდ ამოეღოთ თავა-ანთი დროზედა, რას არ იკადრებდნენ – უკადრისსა-ცაო. ფულია ყველაფერი. ნამუსი. სინდისი. პატიოს-ნება. ღირსება. შვება. სიკეთე – ფულია და მხოლოდ ფული გახლავსო. ჩვენ მაინც არაფრისთვის არ გვიხ-დიანო. ურეკავდა. საპროტესტო აქციებს ვაწყობთო. იმ ჩვენივე დეპარტამენტთანაო. გუნდი იცინისო. ლაწირაკთაო. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს. ჩვენ თქვენ-თვის აღარა გვცალიანო. კანცელარიასთანაც შევიკ-რიბეთო. მთავრობისაო. რუსთაველზე გვინდოდა ჩაგვევლო. იმ გიორგობა დღეებივითაო. ვინ გაგვა-ტარაო. სათითაოდ შევიკრიბეთო. ჩუმათაო. მიპარე-ბითაო. იქ კი ავყვირდით როგორც რო იქნაო – ჩვენ მოგიყვანეთ და ჩვენვე გაგრეკავთო. ავყვირდით ასე და ამგვარადაო. სიცილით დაიხოცნენ. ბრანნი გვიჩ-ვენეს და გამოგვრეკეს პარტყაპურტყითაო. გამოგ-ვრეკეს და მოგვძახოდნენ: „პრიორიტეტი პრიორი-ტეტია!.. პენსიონერიატი!..“ ჯერ ისინიო. ჯერ ისი-ნიო. ახლა ამის აქციებს ვიწყებთ – გადაგვწერონ პენსიონერიატშიო. ან აქედან რა გამოგვივა – თურ-მე იმათაც ამცირებენო. პენსიონერებსაო. ურეკავდა და ურეკავდა. რას აღარ ურეკავდა. ვიცი ახალი ანეკდოტებიცაო. ოღონდ არ ითქმის ტელეფონი-თაო. შემოვალ და ჩაგიკაკლავო.

ვერ იქნა და ვერ შევიდა.

ტელეფონიც გამოუთიშეს. შუქიცა. თურმე. თვი-თონვე რო ეახლა ვარაზი. ანთუ განიზრახა: მე ვეახ-ლებიო. რეკა და რეკა. ვერ იქნა და ვერ დარეკა ზარი.

თვითონ შუქი ჰქონდა. მეზობელს არა. ესეც ააწყეს ამერიკელებმა – გადაიხდი – გექნება შუქი. არ გადაიხდი – არ გექნებაო. ეს ააწყეს. ოღონდ ის ვერა: შუქი რო ყოფილიყო ყოველთვისა. ვერა. ვერა. ვერა და ვერა. იმ მთავრობამ ჰო ვერ ააწყო. ამანაც ვერა. ვერა და ვერა. ეს ანძების აფეთქებაო. ეს ენგურჰესის კაშხალიო. ეს მეცხრე ბლოკიო. ეს სომხეთთან მოლაპარაკებაო. ისევა და ისევა. ისევე და ისევე. და ცვალე მინისტრები. დაამხე მთავრობები. დაირქვი რევოლუციები. თუნდაც ვარდებისა. ზამბახებისა თუნდაცაო. დაჭკნობა ელის შენს მამულში ყველაფერსა თუ აღარა ტრიალებს თვალი ღვთისაი. ღვთისაი. ღვთისაი. იძახე ისე რამდენიც გენებოს – თვით ღვთიშობელმა დაიბერტყა აქა კალთაიო. იძახე. იძახე. აბა სადაო, სად დაიბერტყაო. ყველაფერი გაქვს და არც არაფერი გაგაჩნია განათუ ახლაო – არც არასოდესაო. რო გახიდულხარ ორთაშუაო – ერთიც ზედ გადაგდის. მეორეცაო. სატალახო ხარ და ფეხებსაც რო შენზე იწმენდენ???!!!.. მუშტი დასცხო გაცხარებითა. ვარაზმა. ცხადია. მეზობლის კარსა. რაღა თქმა უნდა. აგუგუნდა სადარბაზოი. აგუგუნდა თვითონ როგორც რო, შევარდა ბინაში უარესადა. და გამოვარდა მეზობელი გაბოცებული. შავნიღბოსნები ჰო არ მეწვივნენ. ემანდ ავტომატი არსად შეჩურთონ ან ნარკოტიკები არ შემომაპარონო. გამოიჭვრიტეს სხვებმაცა აგრეთვე. აქეთიქიდანა. შიშით არაო. ფული არ გააჩნდათ. ახლა ფული იყო მხოლოდღა საშიში. სხვა შიში გამქრალიყო. ყველანაირი. ყველაფრისაი. გამეხებულიყო გული ბედკრულთა. მშიერთა. მწყურვალთა. ჯერ ეს წყალობა მოეტანა დემოკრატიზმსა. ხარობდნენ უპოვარნი. პენსიონე-

რიატი უკრავდა ტაშსა. „ხალხი ჩვენთან არის. – ბრძანებდა პრეზიდენტი. ახალი პრეზიდენტი. – ჩვენ რასაც დავპირდით ჰო ვუსრულებთ და კიდევაც მეტსაც უნდა ელოდონო". ბრძანებდა. აცხადებდა. მუდამ მოღიმარი. მოცინარი. კბილებდაკრეჭილი. მუდამაო. და გამოვარდა მეზობელი. ერთისიტყვითა. გაბოცებულიო – არა. მე არაო. არც დიდი ჩინოვნიკი მე არა ვყოფილვარ. არც ქრთამი არავის არ შემოუძლევია. ქრთამიო. ქრთამიო. ანუ უკანონო შემოსავალიო. კორუპციაო ანუ. მოეჩვენა რო გასჭრა ამანა. განმარტებამა. ნიღაბი ჩამოცურდა. შავი ნიღაბი. ნელნელა ჩამოცურდა.

„ეეეჰე... შენა ხარ!.." მეზობელმა. თვალთ გადაეწმინდა. რაღა თქმა უნდა. „განა არა ვიფიქრე: ეს ერთი კაცი რად გამოუგზავნიათ, ყველგან ბატალიონები რო შეიჭრებიან ხოლმე..." ამან ვერ გაიგო. ვარაზმა. თუ რა იფიქრა. თუ რა ეგონა თუ რა ნიღაბი ჩამოუცურდა. ვარაზსა. ცხადია. მეზობლის თვალში. თავისი საყვედური თქვა. თავისი მოადევნა დანარჩენიცა.

„რა არის ესა?!." მიუთითა კარის ფირფიტაზე. შელანძღულსა და შებილწულზედა.

„არ იცი რო?!."

„რა უნდა ვიცოდე?!."

„ჩემი სახელი და გვარი!.. ამბროსი!.. ჩიჩუა!.."

„რა იქნა მერე. დასტამალი რო დასდებია. ვინ რა გაიგოს რა გქვიან თუ რა გორისა ხარ. გორისა. გორისა!.. ამიტომაა რო მოგადგებიან დაუპატიჟებელი სტუმრებიცა. ტელეფონსაც გამოგითიშავენ. შუქსაცა. წყალსაცა. აირსაცა. თავშიც წამოგარტყავენ. გამოგაგდებენ შინიდანაცა".

„მოგცლია შენცა... ვისა სცხელა ახლა მაგისთვისა?!."

„მართლაც რო – რახან დაგვიწყებია თუ რა გორისა ხარ?!."

II

ამისი გორი უკვე ბრწყინავდა აქამდის შებღალულ ფირფიტაზედა: კარგარეთელიო. გაკრიალებულიყო ისტორიაშიცა. საქართველოსი. უშესანიშნავესი კალიგრაფები ყოფილიყვნენ. კარგარეთელები. კირითხურონიცა ყოფილან. განთქმულნი. მანამდისაცა. იმის შემდგომაცა. სხვა გვარიც მოსდევდათ – ხუროისძენიო. როდის დაეგდოთ ამან არ იცოდა – ვარაზმა. ცხადია. – შეიძლება სხვადასხვა შტონიცა ყოფილან. ხელობითაც რო განსხვავებულან. ანთუ არცთუ განსხვავებულან: ორივეს რო თვალი უნდოდა. ხელი უნდოდა. მტკიცეი. უმტკიცესი. აუცახცახებელი. აუთრთოლებელი. ხუროისძეობაც დაეგდოთ რო, კირითხუროობაც დაეგდოთ აგრეთვე. როდისაო – არც ამას იძიებდა. ვარაზი. ახსოვდა მხოლოდ მამაი და პაპაი. ხუროთმოძღვრები ორივენი. არქიტექტორები ანუ. ორივე პროფესორი. თვითონაცა – არქიტექტორი. პროფესორობას აღარ აჰყოლია ოღონდა. დედის მუნათიც არად ჩააგდო. მამის ბუზღუნიცა. არქიტექტურაც ხელოვნებააო. აეხირებინა. ვარაზსა. ხელოვნება ნიჭია და ნიჭი თან არ მოსდევს არც ხარისხებსაო და არც წოდებებსაო. თუ ნიჭი ჰქონდა ისეც ივარგებდა. ისე. ისე. ჩვეულებრივა. მოსკოვში დამტკიცებული დიპლომების გარეშე.

იქ დამტკიცებული არა ვარგოდა არაფერი თბილისში. რაღა ამისი დიპლომები ივარგებდა. დიპლომიანები მაინც რო ვარგოდნენ?!. ვარგოდნენ და გვარიანადაცა ვარგოდნენ. თუ რაღაც სახელმწიფო პრემიაც მიეღოთ, ვიღა დაუდგებოდა წინა?!. კონკურსებში ისინი იმარჯვებდნენ. სახელს იხვეჭდნენ. დიდებას იხვეჭდნენ. ხოლო თბილისი მახინჯდებოდა. მახინჯდებოდა და მახინჯდებოდა. ხუთწლედებივითა. უკეთ თუ ითქმის – მოწოდებებითა ხუთწლედებისა. ჩაერთვოდა ესეცა. ვარაზი. კონკურსებში. იშვიათად თუ გამოსტოვებდა. ანთუ არცაო, არც გამოსტოვებდა. წარდგენით არაო, არ წარადგენდა. შეასრულებდა. დაკმაყოფილდებოდა. დალუქავდა და გადაინახავდა. ანთუ იმისთვისა – ხანდახან რო გაეხსნა და გაეხსენებინა კმაყოფილებაი გარდასული. ანთუ იმისთვისა – შთამომავლობა რო დარწმუნებულიყო: რო არ დავარდნილიყვნენ ეს ქართველი ხუროთმოძღვრები ისე იმგვარადა, როგორც რო მახინჯდებოდა თბილისი. მოსკოვის დაკვეთითა. რაღა თქმა უნდა. ერთნაირად რო უნდა განაშენიანებულიყო მთელი საბჭოეთი თავის ჩრდილოეთ სამხრეთიანადა, აღმოსავლეთ დასავლეთიანადა. ერთნაირადა. ერთნაირადა. ყინულეთიცა და სუბტროპიკებიცა. მთაცა და ბარიცა. ქვესკნელიცა და ზესკნელიცა. ყველაფერი. ყველაფერი. სადაც რო ხელი მიუწვდებოდათ. და სადღა აღარ მიუწვდებოდათ ხელი. სადღა აღარაო. და ემსახურებოდა ესეცა. ვარაზი. მოსკოვურ დაკვეთებსა. სხვა სამსახური რო არ არსებობდა. უსამსახუროდ რო გასძვრებოდა სული. შიმშილით გასძვრებოდა. თვითონ ჯანდაბასო. ოჯახს რას ერჩოდა. ველარ იქნებოდა მამის იმედადა. გარ-

დაეცვალა. უფროსობა ამას დააწვა. მამის ოჯახისაცა. თავისი ოჯახისაცა. ახლა ამერიკას რო შეჰფარებოდა. საზრდოს რო უგზავნიდნენ იქიდანა. ამასაცა. მაშინ აღუები ბრძანდებოდნენ. შოშიის ბარტყებივით დაელოთ პირი. ჩხავოდნენ. ჩხავოდნენ. იმ იმავე ბარტყებივითა – ჩქარა რამე ჩაგვაყლაპეო. და უწევდა ეშმაკის სამსახური. ოჯახი რო არ დაენგრია. ოჯახი. ოჯახი. ერი ანუ. ჭეშმარიტებაი ცხოვრებისა.

იმ გაჭირვებაში გადაერჩინა.

ამ გაჭირვებაში რა დამართნოდა –

რაი. რაიო.

იკითხავდა და პასუხიც იცოდა. მაინც უნდოდა ეთქვა ვინმესთანა. ეთქვა თუნდაც სხვა რაიმეი. ოღონდაც ეთქვა. ხან ასეც გახლდა. ხან არც ენება ხმის გაგონებაი. ადამიანისა. ადამიანისა. ზმუილს და ბღავილს მოუსმენდა. ყეფასა თუნდაცა. ადამიანისა აღარ ეპიტნავებოდა აღარაფერი. მრავალჟამიერიც აღარა. ახლა ენება. მრავალჟამიერიცაო და ხასანბეგურაცა. კრიმანჭულს ჰო აჰყვებოდა და აჰყვებოდა. და აი მეზობელიც არ გამოეცხადა!.. თითქოს დაეძახოს. ტელეფონით თუ ვეღარაო. ისევ გასთიშოდა. მორზეს კაკუნით ჰო მოხერხდებოდა. მსოფლიო ამითი ცხოვრობდა ამწინებზე. ამითი მართავდა ინგლისი ინდოეთსა. ერთალიგას ტელეფონი ჰქონდა. უკვე. გაეროსა აქვს ფაქსიცა. ინტერნეტიცა. ოღონდ და რაო, რასაც რო მართავდა ისა. ერთალიგაი. იმასაც ესევე მართავს. გაეროი. ესევე და ისევე. მეორე მსოფლიო ომი ერთალიგას მოჰყვა. გაეროს ომებს აღარა აქვს ნომრები. არა. აღარა. გამოეცხადა. ერთისიტყვითა. მეზობელი. საშიმშილო დაწოლას ვაპირებთო. ჩვენ არაო. ხნოვანებს გვანთავი-

სუფლებენ. ოღონდ გავდივართ ჩვენცა სათვალავ-შიო. ჩვენცაო ანუ რო შექმნილიყო ახალი ფენაი სოციალური. გნებავთ რო კლასი. კლასთა ბრძოლის თეორიის მიხედვითა. დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვითა. 40წლამდელები ცალკე. ცალკე მომდევნონი 40საი. ეს მომდევნონი გამდგარიყვნენ ცალკე. ცალკე. ცალკე უნდა დამსხდარიყვნენ საშიმშილოდა. ნიშნად პროტესტისა. რაღა თქმა უნდა. ყველანი. ყველანი ერთობლივადა. მიუხედავად პროფესიისა. სქესისა და სარწმუნოებისა. ეს იმიტომაო. მეზობელმა რომაო – კომპესაციაზე უარს აცხადებენ. პენსიონერიატია პრიორიტეტიო. ჯერ პენსიები უნდა გავცეთ. ყოველი თვის დასაწყისშიო. მერე ძველი დავალიანებანი უნდა ავუნაზღაუროთო. შევარდნაძის რეჟიმის დროინდელი. მერე ვიფიქრებთ თქვენზედაცაო.

„მანამდე რა ვქნათ?!." კითხულობდა მეზობელი. პასუხსაც თითქოს ამისგან ელოდა. სათანადო ღონისძიებასაცაო.

სავარძლებთან იდგნენ. შავი ტყავის სავარძლებთანა. ვარაზის სამუშაო ოთახშია. იდგნენ. იქ ჩამოსასხდომად მიიწვია მასპინძელმა. სტუმარი. გადაიფიქრა მყისვე. გადაელობა კიდევაცა. არა. აღარ ენება იქ ვინმე დამჯდარიყო. აღესრულა იგი ვინც მიჩვეულიყო იქა. აღესრულა. წავიდა. განშორდა ამა წუთისოფელსა. აღარ ისურვებდა კიდევ სხვა ვინმე ჩამომჯდარიყო. აღსასრული იწყებოდა თითქოს იქიდანა. აღარ ენება. აღარ უნდოდა. ვარაზსა.

„რა ვქნათ?!." იკითხა ამანაცა. ვარაზმა. ცხადია. ახოვანი გახლდამეთქი – ჰო მოგახსენე. არც მეზობელი იყო ქონდრისკაცი. მაინც ქვევიდან ზევით შეჰ-

ყურებდა. უმწეოდ შეჰყურებდა: თუ ამანაც არ იცის, რაღა გვეშველებაო. ფიქრის დრო მაინც რო არა ჰქონდა – გაჭირვება უჭერდა ყელში. უჭერდა. უჭერდა. და მოსჭრა მაშინვე:

„არ მოგიხერხდება... ცოტაოდენი... რო მასესხო..."

„არ მომიხერხდება... ამ წუთში... არა..." შებარბაცდაო. მეზობელი. თითქოსა. წაიწია სავარძლისაკენა. ამან შეაშველა ხელი. ვარაზმა. შეამაგრა და დააყარა სხაპასხუპითა. არც – ისე. ოღონდ უფრო ჩქარა, ვიდრე სჩვეოდა. „რაც მომაშველეს მკურნალობას მოუნდა. იცი რა ჯდება?!. ღმერთმა არ გაგიჭიროს. უსაშველო რამ არის. შინ ჯიბეგაფხეკილი დავბრუნდი. კიდევ კარგი... წამოდი!.. წამოდი!.." გავიდა. გაიყოლია. გააცილა სავარძელსა. გააცილა. გააშორა. სამზარეულოში შეიყვანა. გაუღო კარი მაცივარისა – „კიდევ კარგი ეს სავსე დამხვდა!.. გავიწვდინოთ. სადამდეც გაგვწვდება. მერე ალბათ ღმერთი მოგვხედავს. მოგვხედავს. მოგვხედავს. რაც არ უნდა გადაგვკიდებოდეს".

ფერი მოიცა მეზობელმა. ცოტა გამხნევდა. ცოტა გაგულისდა –

„ამდღეში რად უნდა ჩავცვენილიყავით?!. რადა?!. რადა?!. რა დავაშავეთ?!."

„მაინც მადლობა შევწიროთ ღმერთსა!.." ამაღლებულად გამოსთქვა მასპინძელმა. აწეულადა. აჰყვა ცერებსაცა.

„ვითომ დიდი მორწმუნენი ვიყვეთ!.. რაც ჩვენ კომკავშირმა სიქა გაგვაგდებინა!!!.."

„ისეთს გადავურჩით. კიდევ რიღასი უნდა გვეშინოდეს?!."

„მართლაც და???!!!.“ კითხვა გახლდა. მრავალწახნაგოვანი. ოღონდ მანამდე, ვიდრე ამას განიხილავდნენ, ტუჩი ჩაიკვნიტა. ვარაზმა. ოდნავა. ეს მაშინაო, გამოსთქვა რო იმედიანადა: კიდევ კარგი ეს სავსე დამხვდაო. მაცივარი. სავსე იყო და სავსედაც გამოსთქვა. ძველი ქართველი ასე არ იტყოდა. არა. არაო. სავსე მაშინაც სავსესა ნიშნავდა. მეტს არაფერსა. სავსეზეც იტყოდა სწორედაც სავსესა. ოღონდ ასევე იტყოდა მაშინაცა, მთლად გამოფხეკილი რო ჰგულებოდა კიდობანი. ბეღელი. ორმო. განჯინაცა და ზანდუკიცა. ასევე. ასევე – სავსეთა ვართო. არც ეშმაკმა რო არ გაიხაროს. არც იმედი რო არ გადაგვეწუროსო. ორაზროვნება დაჰკარგა ქართულმა. ცალპირადაც რო ვერ გაუჭრია. მაინც ცალპირად ამჯობინა. ვარაზმა. კარიც რო გაუღო მართლაც სავსე მაცივარისა. მეზობელსა. რაღა თქმა უნდა. იქვეც დასვა. მაგიდასთანა. ვეება ბუმბულა ყველიც გადმოიღო. გუდისაი. სტუმარმა ჩამოჭრა არ დააცადა – ეს დიასახლისის საქმეაო. გავიდა და მეუღლე შემოიყვანა. იმან მაკარონი ჩაფუფქა მაშინვე. ყველი დაფშხვნა. ზედ მოაყარა. კეტჩუპი მოასხა. პომიდვრის ნადული. რაღა თქმა უნდა. მაგრამ და რაო – პომიდორსაც დაგავიწყებენ. ყურძენსაცა. ვაშლსაცა. მსხალსაცა. რაღას აღარაო. ჩვენებურსა. ბანანის კუნწულებს ჩამოგიკიდებენ. ქოქოსის კაკალსაცა. ეს ასეო – დიასახლისმა – სახელდახელოდაო. მაკარონი ყველითაო და პომიდვრითაო. საჩქაროდაო. სასწრაფოდაო. თქვენ მერე ნახეთ ჩემი ქალობაო. ჩემი სამზარეულო ხელოვნებაო თუ დამაცდით ხოლმეო.

რა თქმა უნდაო. მეუღლემა. აჩქარდა. მაინც დაელოდა პასუხსა მასპინძლისა. ღიმილითა. ალერსიანი ღიმილითა.

არ იქნება ურიგოიო. ვარაზმა.

ღიმილი უმალვე სიცილად იქცა. სიცილადა სიხარულისა: ასევე იცინოდა. დაბრუნდებოდა თუ სადილადა. ხან სადილი ვახშმად ექცეოდა. გააჩნდა აქციას თუ როდის გაჰფანტავდნენ. სუსტ აქციასა. სუსტსა. სუსტსა. რო ვერ აშინებდა ვერავისა. თვითონვე რო ფრთხებოდა – ძალიანაც არ გავაბრაზოთ ეს ჩვენი ახალი ხელისუფალნიო. არც გავაბრაზოთ, არც თავს არ გაუვიდეთ მაინცდამაინცაო. ჩვენ მოვაბრძანეთ. ჩვენვე გავისტუმრებთ ბოლოსდაბოლოსაო. მაინც ჩვენაო. ჩვენაო მაინცა. და იცინოდა. იცინოდა. მეზობელი. გადაიღებდა რო კატლეტსა. კეტჩუპს რო მოასხამდა. მოწრუპავდა ვისკისა შოტლანდიურსა. მოწრუპავდა. დაატანდა სინანულითა.

„კარგი რამ არის ეს დალოცვილი!.." მაგრამ ამ წნევას რა ვუყოო.

„ვითომ ჭაჭასა სჯობიან!". გაუტრიზავებდა მასპინძელი.

არაო. მაგრამა აბა სად არის ჭაჭაიო. დავჯერდეთ რაც ღმერთს მოუციაო. დავჯერდეთო დაჯერდებოდა. ჰყვებოდა თანაცა. რაც რო გაეგონა. ის იყო ამისი რადიოცა. ტელევიზორიცა. ვარაზისა. გაზეთებიცა. მასმედიაო. ტელევიზორი თვითონვე მოშალა. ადრევე მოშალა. არხმა გააბრაზა. კინმარიშვილისა. ის მოშალა და სხვებიც თან მიჰყვა. არც რო დიდადაც რო არ განსხვავდებოდნენ აღარც რო ისინი. ერთად აირია ყველა და ყველაფერი. ზოგი განზრახვითა. ზოგი მიბაძვითა. ვინ ვის აჯობებდა. ვინ

ვის წაუსწრებდა. მობეზრდა ამასა. ვარაზსა. იმათი დოღი. მოშალამეთქი. ერთისიტყვითა. გაზეთისათვის ფული არცა ჰქონდა. ერთი გაზეთი რო აღარცა კმარობდა. უამრავი უნდა წაგეკითხა – ერთი რო გაგეგო. ერთი. ერთადერთი. ყველა თავისას გაიძახოდა. ყველა თავისას აზვიადებდა. აზრი შენ უნდა გამოგეტანა. როგორმე უნდა გამოგეტანა. დალოცვილი საბჭოთა პრესა!.. ერთი ეწერა ყველა გაზეთში. ერთი გინდოდა – ერთი ეწერა. ერთი ტყუილი. *პრავდას* გაშლიდი და კმაროდა ყველაფრადა. 70 ერის გაზეთი წაგეკითხა ვითომდაცაო. და ისიც ვითომდა – საქართველოშიცა ცხოვრობდა 70ვეი და აქაც 70 ენაზე მოითხოვდა გაზეთების გამოცემასა. აქაცა – თბილისში. მოითხოვდა – მოსკოვი. მოსკოვი. მოსკოვი. რაღა თქმა უნდა. მოითხოვდა და ასრულებდა. თანდათანობით ასრულებდა. 13 ჩუვაში ჩამოსახლდა ბოლოსდაბოლოს თბილისში. ჩუვაშური გაზეთის გამოცემაც მოითხოვა პოლიტბიურომა. დროზეო. დროზეო. მეორედ აღარ მოგვმართონო. თუმცა იქ ჩუვაშებს – თავაანთ სამშობლოში – *პრავდას* აკითხებდა მხოლოდდამხოლოდა – თქვენ პროგრესს ჩამორჩით. თქვენ უნდა დაეწიოთ და გაუსწროთ თქვენს უფროს ძმებსაო. რუსებსაო. რაღა თქმა უნდა. და ჩუვაშეთი ლაპარაკობდა უფრო სწორადა ახალი რუსულითა. უფრო სუფთადა. ვიდრე მოსკოვი. აღრეული. ათქვეფილი. გაჯერებული რესპუბლიკებიდანაო თუ პროვინციებიდან მიხროვილი ხალხითა. ახალ ბაბილონს რო დამგვანებოდა. აკი დაიფშხვნა კიდევაცა ბაბილონივითა. მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდიო. გახსოვს და ისედაც უნდა მოიკლა. მაგრამ რო ვერ იკლავ – მწარე რამ იყო, ისე მწარეი!..

ნაკლები რო არ გახლდა აღარც რო ესა, მეზობელი რო მოსთქვამდა რასაცა. იცინოდა და მოსთქვამდა. ერთიცა ვნახოთ და ვეღარც გაიცინა. სიტყვაც შეაშრა. ახლა რაღა გვეშველებაო. ესეღა აღმოთქვა და შეაშრა სიტყვაი. ენაზე. ენაზედა. პირი რო ღია დარჩენოდა. აღარც სუფრა დაჰხვდა გაშლილი. აღარც მაცივარში აღარ დარჩენილიყო აღარაფერი. სხვა მეზობლებიც დამშეოდა ვარაზსა. ვერც ყველას გასწვდებოდა. რაღა თქმა უნდა. ვერც მხოლოდ ამ ერთს ვერ გადაჰყვებოდა. მითუმეტეს რო ის თვითონ მიადგა. მეორე მეზობელი. ღმერთს შეჰხედე და ხელი გამიმართე – ბავშვები შიმშილით მეხოცებიანო. ხუთი გაეჩინა. რას მიქვიან გეხოცებიანო. ვარაზმა. გაულო მაცივარი. გაატანა რაც რო დარჩენოდა. იმას თითქოს არც რა უნდა გასჭირვებოდა. არც უჭირდა და გაუჭირდა მოულოდნელადა. სხვა მოწოდებაც რო გადმოფრიალდა კანცელარიიდანა. პრეზიდენტისა. არა. არა. – შვეულმფრენიდანა. ჰო ვერც ისვენებდა კანცელარიაში ახალი პრეზიდენტი. ვერ ისვენებდა თუ ვერ ეტეოდა. გული აეცრუებინა თუ ეთაკილებოდა გამონაცვალი კაბინეტი. ახალს იშენებდა. ავლაბარშია. იქიდან მოსჩანს მთელი თბილისი. კარგადაო და დიდებულადაო. იქიდან ისე კარგად ვერაო. ძველიდან. და რა პრეზიდენტია ის პრეზიდენტი თუ ხელისგულზე არ უდევს თბილისი. თბილის-ქალაქი. დავითის ქალაქიო. და ვიდრე ის არ აშენდებოდა – სასახლეი ავლაბრისაი. ვერ ეტეოდა. გაცვეთილ კაბინეტში. ვერც თბილისში ვერ ეტეოდა. მოახტებოდა თვითმფრინავსა და უვლიდა ამერიკასა. ევროპასა. მოახტებოდა შვეულმფრენსა და საქართველოს უვლიდა. გარშემო. შეკვეცილსა. და

იქიდან გადმოიძახებდა. ესეც რო იქიდანა – „არცერთი ღიპიანი პოლიციაში!..“ და გამოეგდოთ ეს წვრილშვილა პოლიციელი, ცოტა ღიპი რო წამოზრდოდა. ღვინო უყვარდა. ღვინის ქონი მოჰკიდებოდა. მკვდარსა და ცოცხალს იფიცებოდა – სამსახურის დროს წვეთი რა არის, წვეთსაც არასდროს არ გავკარებივარო. ვინ უჯერებდა. ვერ გამოესარჩლებოდა ვერც რო ვერავინა. არცერთი ღიპიანი პოლიციაშიო – მორჩა და გათავდა. ღიპს რას უზამდა?!. მე შენ გეტყვი – ჯიბეში ჩაიდებდა ან ამოსდებდა მუთაქის ქვეშა. და რო მოიბრუნა ენაი როგორც იქნა. ამ მეზობელმა. თანამეინახემა ვარაზისამა. სასაყვედუროდ მოიბრუნა:

„რა დროა, ვერა ჰხედავს, რამ გააჩენინა ხუთი შვილი?!.“

„ბიჭის სურვილმა!..“ ვარაზმა აუხსნა. „ოთხი გოგო ჰყოლია. მეხუთეა ბიჭი. ძუძუს რო ჰკიდია. გამშრალ ძუძუსა!..“

„ბიჭი!.. ბიჭი!.. აუხირებიათ. განა რა ṙჩება?!. რას უტოვებს განა?!.“

„გვარსა!..“ ვარაზმა.

არ აუხირდებოდა მეზობელი. არა. მოიმართა რო ასახირებლადა – ენ̣ას დააჭირა კბილი მაშინვე. განსხვავებული აზრიო რო ამბობდნენ, აქ მაინც არ გამოადგებოდა. ერთ ნავში ისხდნენ. მისცურავდნენ ერთ მდინარეში. ადიდებულში. აქაფებულში. ჭორომებიანში. ერთ ნავში ისხდნენ, დამტვრეოდათ რო ნიჩბებიცა. არ იყო სხვა სახსარი: ამერიკიდან ელოდნენ ზარსა ან უფრო – ფულსა. თუნდაც – ზარსა და ფულსა ერთდროულადა. მანამდე სესხით თუ გაიტანდნენ თავსა. მსესხებელი რო იყო ბევრი, გამსეს-

ხებელი აღარავინა. თავის სახელით ვერც ვერას გახდა მეზობელი. ისევ ვარაზის სახელმა გასჭრა. ფულიც მოიტანა იმისი სახელითა. ამბავიცა საიმედოი: მირცხულავაც დაუჭერიათ. 6 მილიონს აკისრებენო. კაი ფულია 6 მილიონი. საკომპესაციოც გამოიჭრებაო. მაგრამ რო არაო. ამბავი დარჩა. გაჰქრა იმედი. ააგდო ქვაი და შეუშვირა თავი მირცხულავამა: რა მილიონები და რა ერთეულებიო. რის ფლავი და რა ბოზბაშიო. გულმაც დასცხო და გადაყირავდა. იზოლატორიდან გააქანეს საავადმყოფოში. ციხის საავადმყოფოში. ციხის საავადმყოფოდან – რესპუბლიკურში. რესპუბლიკურიდან იზოლატორში. იზოლატორიდან ციხის საავადმყოფოში. ციხის საავადმყოფოდან რესპუბლიკურში. ისევ იზოლატორში. ისევ ციხისაში. ისევ რესპუბლიკურში. ისევა და ისევა. კვლავაცა და კვლავაცა. და დაეხვა ტარაბუაი იმასაცა. პროკურატურასაცა. ადვოკატურასაცა. სისტემასაცა *პენიტენციალურსა*. არსაით არ მოჩანდა არც 6 მილიონი. არც 5 თეთრი. ლიფტის ყულაბაში მაინც რო ჩაეგდოთ. სხვაში ჰო არაფრად არ გამოდგებოდა. თუმცა რო ლიფტი არც უნდოდათ ამათა. ძველ შენობაში ცხოვრობდნენ. სოლოლაკის უბანში. ისე და იმ გვარადა – ზედ რო გადადიოდა ზამთრის ომი 1991-92 წლისაი. თბილისის ომი.

იმედი მაინც რო იმედია. დაუმცხრალი და მარადიული!..

არის და რას იზამ. გინდა დაემდურე. გინდა უარჰყავი. არის და არის. არის და არის. მიაქვს და მიაქვს მეზობელსაცა. ამბავი ამბავზე. ჯოხთაბერიძეც ჰო ჩააყუდესო. და შენ წარმოიდგინეო – 700000 რო სთხოვდნენ და რო იმუქრებოდა: ვერ ეღირსებით

ჩემგანაო 7 თეთრსაცაო – 2 თეთრიანი საიდანღა უნდა გამოეჭრა?!. – 15 მილიონი დაუყრია თურმეო. არაო. ცხარობსო. ჯოხთაბერიძეი. მე არაფერიც არ დამიყრიაო. როგორ თუ არაო. ჩეკი უჩვენებიათ ტელევიზორში. თითიც შემოუვლიათ 15ზედა – 15 მილიონი დოლარიო. განა ლარიო. დოლარიო. დოლარიო. დოლარიო. შემოუვლიათ და შემოუვლიათ. რამდენჯერმეც უჩვენებიათ. ყველა არხზე გამოუტანიათ. *მაგთის* ამერიკული კომპანიის ჩეკი. როგორც რო ბრძანებდა ამისი მეზობელი. ვარაზისა. რაღა თქმა უნდა. – 15 მილიონი აქციების 2%-ში გადაუხდია ამერიკულ კომპანიასა. ახლა საკონტროლო პაკეტი იმას ეკუთვნის. ჯოხთაბერიძეს აღარა. აღარა და აღარა. აღარა!.. იძახოს რამდენიც უნდა: თანახმა არა ვარო. არც გავალ ამ ჩემი იზოლატორიდანაო. არ გახვალ და ციხეს მიგაბრძანებთო. ჩაგსვამთ საერთო კამერაში. ქურდებთანაო და ავაზაკებთანო. იმათთან მიჯობსო. ჯოხთაბერიძემაო. იმ წვრიმალ ქურდებთანა. წვრიმალ თაღლითებთანა. წვრიმალ მზაკვრებთანა. წვრიმალ ავაზაკებთანაო. ვინ გაუგონა. გამოუგდია პოლიციასა. ძალისძალად გამოუგდია. ზის იქვე მაინცა. იზოლატორის კართანა ზის. აქედან მაინც ფეხს არ მოვიცვლიო. წამოდიო. მეუღლე ეხვეწება. წამოდიო – შეუთვლია სიმამრსაცაო – მაგითი ვერავის ვერაფერს ვერ ანანიებ. პირიქითაო. მტერსაც გააცინებ. მოკეთესაცაო. ორივე ხელი გაუშლია ჟვანიასაო. ავშენდით და ეს არის. ყველა პრობლემას გადავწყვეტთ ახლავეო. ვეღარას გვისაყვედურებს პენსიონერიატი. გაუშლია ორივე ხელი. თვალებიც აღუპყრია. შეჰღაღადებდა ღმერთსა და ცრემლი სცვივოდაო. სანახაობა ყოფი-

ლა დიდებული ანუ შოუო – უახლესი ქართველები როგორც რო იტყვიან ანუ ნაციონალები ანუ პოსტმოდერნი პატრიოტებიო – აფსუს ტელევიზორი რა დროს აღარა გვაქვს – ჩვენი თვალით გვეხილა. ჩვენი თვალით დავმტკბარიყავითო. თორემ ეს რაო: ჯერ გარეთ ნათქვამი რა არისო. მერე შინ მოტანილი და გამეორებულიო. მეზობელმა. რაღა თქმა უნდა. რო არც დაუძრავს კრინტი ვარაზსა. არ ჩარეულა მთელს იმ ღვართქაფში. ნიაღვარში. სიტყვიერებისა. ფეიერვერკში იმედოვნებისაი. აქ მოკლედ არის გადმოცემული. მოკლედა. სხარტადა. ცოტა კრთომითაცა – ესეც რო ვინმეს არ მოეჩვენოს მომეტებულადა. მეტყველება რო დავიდა ჟურნალისტიკამდე. აზროვნებაცა. აზროვნებაცა. ისედაც მწირი. პირველყოფილი. რო ვერ გასცილებია სოკრატესა და არისტოტელესა. თურმე.

საიდან სადაო და აქ არ გაიხლართა დოჩანაშვილიცა!..

იქ არა. არა. არისტოტელესა და სოკრატეს შორისა. არაااა...

ჯოხთაბერიძესთან გამოიხლართა. უკეთ რო ითქვას: გაიხლართა სარდაფის თეატრსა და თავისუფლების ინსტიტუტის შუაში. რო დაემატოს ახალგაზრდა იურისტთა კავშირიცა, არც რა დაშავდება. მართალიც ჰო იქნება და იქნება. ითქმის სხვებიცა – გრანტიჭამიები. ჩამოთვლა არც უნდა – გრანტიჭამიებსა!.. აჰყვნენ ერთმანეთსა და აიბურთავეს ეს მოსაწყლებული დოჩანაშვილი. მაშინაც აჰყვნენ და ააბურთავეს. ააგდეს და ააბურთავეს – რო გამოაცხადეს უპირველესადა მწერლობაშია – და აღარც ახლა დაუშვეს ძირსა. თავურიაო თუ ბუცის ჭვინტიო –

დაუნაცვლეს და დაუნაცვლეს. უთავაზეს და უთავაზეს. გაიტანეს და გამოიტანეს. ოღონდ მაშინ თუ ცაში აჰყავდათ, ახლა მიწისადაც აღარ მიაჩნდათ. შესცოდა და ვინ აპატიებდა?!. მხოლოდ ღმერთია მიმტევებელი. კაცთაც ამას ურჩევს. ურჩევს და ურჩევს. შთააგონებს და შთააგონებს. ევედრება და ევედრება. გამგონე ვინ არის. როდის ყოფილა. უთუოდ ახლა რატომ მოითხოვ!.. მოითხოვე რა!.. დოჩანაშვილს მოხვდა უკვე გვარიანადა მხოლოდ იმიტომა მადლობას უხდიდა რო... რო... როო და როო – ჯოხთაბერიძესა. წიგნი გამოუცა და მადლობას უხდიდა. იმან გამოუცა და ეს მადლობას უხდიდა – ზრდილი. თავაზიანი. მოკრძალებული კაცი. ზოგჯერ თითქოს დაბნეული. თითქოსაო. ზოგჯერაო თუ როგორც თუ რა იყო – იქ არ იბნეოდა საჭიროდ თუ რაიც მიაჩნდა. საჭიროც ეს გახლდა და აუცილებელიცა: პატივისცემას მადლობა ეკუთვნოდა. და აი ეს იყო. მეტი არაფერი: აქ შენ მადლობას ეუბნებიო. მერეო ვისაო და ჯოხთაბერიძესაო. ასეთი ალიაქოთი რო დაგვატეხა – არ გამოვალ ციხიდანაო. ამგვარი არაფერი ქვეყნად რო არავის არა სმენია. დასავლეთიც რო გაგვიოცაო. ერთი ამას დაგვიხედეო. ამასაო. ამასაო. დოჩანაშვილსაო. მართლაც მწერალი რო ჰგონებია თავი. სარდაფის თეატრში რახან მიიწვიეს თინეიჯერებმა. თინეიჯერებმაო. ტაში დაუკრეს და ავტოგრაფი სთხოვესო. ზოგი კიდევ მიიწვიონ და ეგეცაო კიდევ დაიღალოს ავტოგრაფების წერითაო. თავზარი დაეცა და გაოცდა კიდევაცა დოჩანაშვილი: მადლობა რა დანაშაულია. ნუთუ მადლობა არ უნდა მეთქვაო. უნდა მეთქვაო. გამოიდო თავი. დოჩანაშვილმა. გამოიდო და გამოიდო. თავს რო უკრავდა

ყვავილებსაცა. ჭიაღუასაც რო ფეხს არიდებდა. თავი გამოიდო მთავრობასთანა. რევოლუციის მთავრობასთანა. ვარდებისა. პენსიონერატისა. ქვეყანას რო აძაგძაგებდა. ნახევარს რო აძაგძაგებდა. ნახევარი რო ისევ უკრავდა ტაშსა. გამოიდო და გამოიდო. თავი. გადასდო კუნძზედაცა. თავი. ვითომ წითელ მოედანზეა. ვითომ პუგაჩოვიც არისო. თუნდაცაო –რობესპიერი. გილიოტინის ქვეშა. ანთუ ოპენჰაიმერი ელექტროსკამზე. რაც უნდა მომივიდეს, მე მადლობას არ დავიშლიო. მადლობელი ვარ *ომეგასიცაო*. მე იქიდან ჰონორარს ვიღებდი. სულსვითქვამდი და ისე ვწერდიო. ახლა რაღაო: ვეღარც დავწერ და აღარც დავწერო. ამაზე მორთო სიცილი პროკურორმა. გენერალურმა პროკურორმა: დიდი საქმეო. ეგ არ დაწერს და მე დავწერო. აბა!.. წერაც რო უჭირდა. კითხვაც რო უჭირდა. ლაპარაკიცა. აბა!..

ეს სიცილი სიცილადაო.

მერე ვინ აკმარა ესა –

შენსას არ იშლი და *ომეგასაც* გამოესარჩლე – შესვეს ვირზედა. უკულმა შესვეს. მცხეთიდან ატარეს რუსთავამდისა. შუათბილისში ეგრე გაატარეს. უკულმა. ვირზედა. ის ქრისტე იყო. იერუსალიმში. ის ნაღმა იჯდა. ეს უკულმაო. ჩამწკრივებულიყვნენ რუსთაველზე საპატიო თბილისელები. უსტვენდნენ. ლაფს ასხამდნენ. ეკალს აყრიდნენ. ეს ალბათ ცოტა გაზვიადებაა. იფიქრებ. და მართალიც იქნები. მაგრამ როცა რო მწერალს გააბიაბრუებენ. ხელისუფალნი. სხვას რას შეადარებ თუ არა უკულმა შესმასა ვირზედა?.. თუ შეადარებ და შენ შენი თქვი. ბრძანე. ჩამოკაკლე. ის პროკურორი. მალევე პოლიციის უფროსი. მალევე ჯარისა – თუ რომანებს დაწერს –

შენ ერთ შედარებას ნუ დაგვაყვედრებ. რაც უნდა იყოს: ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. წინა მთავრობამ. უპასუხისმგებლო მთავრობამ. ბევრი ვალი დაგვიტოვაო. ჰო ბრძანებდა პრემიერმინისტრი – ჟვანია ბრძანებდა და გამოიცა განკარგულებაცა ახალახალი დაპატიმრებისა. არა. არა. დაპატიმრებისა არა. სამართლებრივი განათლება მიეღო უკვე რევოლუციურ საზოგადოებასა – შეკითხვები აქვს მამალაძესთანა. მოლაშვილთანაცა. ბევრ სხვა ძესთანა და ბევრ სხვა შვილთანაცა. პროკურატურასაო. მამალაძემ გაასწრო რო. მოლაშვილს მიასწრეს. გაქაჩეს. დაუგრიხეს მკლავები. მიწა ათხრევინეს ცხვირითა. ეგრე მიაბრძანეს სადაც ჯერ არსო. სადაცაო. სადაც ჯერ არს – სამართლებრივი განათლება გახლდა ესეცა. მოძველდა რო, ჩაენაცვლა: კითხვები. იზოლატორი. საპროცესო შეთანხმება. აი ეს იყო რო გაახარებდა მეზობელსა – საპროცესო შეთანხმებაი: რაც უფრო მეტზე შეთანხმდებოდნენ პროკურორი და მიწის მთხრელი. ცხვირითა. იმედოვნდებოდა მითუფრო მეტადა. მეზობელი. აქ ხელი მოეცარა. მეზობელსა. რაღა თქმა უნდა. მამალაძე ჰო გადაიკარგა – ჯერ უნდა ძებნა გამოეცხადებინათ. დრო უნდა გასულიყო. განათლებულიყო მასები ამდენადაცა. ახლა ეს დროო. გაჯიქებულიყო მოლაშვილიცა: მე და კორუმპირებული?!. ჰო არ გაგიჟდითო. სხვა ვინ ებრძოდა დამაქცევართა ჩვენი ქვეყნისა. ან თქვენ ვინ გამხელდათ ან დანარჩენებსო. აუჰ!.. ან თქვენაო!!!.. ლავინის ძვალი გადაუმტვრიესო. კოჭებიდან დაჰხსნესო. ცალი ფილტვი ამოუგდეს. ცალი თირკმელაცაო. ახია მაგაზეო. მიჰქონდა ამბავი და ნიშნსაც მიუგებდა მეზობელი: გასულიყო პირდაპირ

საპროცესო შეთანხმებაზე. თვითონაც თავს გადაირჩენდა. გვეშველებოდა ჩვენცაო.

აღარ შემოადგა ფეხი ჩემთანაო. ვარაზმა. ითმინა. ითმინა. და კარი მიუხურა.

რა მოჰხდაო. მეუღლეს დააბარა მეზობელმა. რა მოჰხდაო. იკითხა იმანაცა. შეძრწუნებულმა. გაოცებულმაო – აქ რო ეს ითქვას, ცოტა იქნება. ცოტაცა და ცოტაზე ცოტაცა.

III

შეწუხდა ვარაზი. ასე მკაცრად რად მოვქცეულვარო. არ მოებოდიშა რო კარებთანვე – არც შეაჩერა არცერთი წამითა. ოთახში შეუძღვა. თავისაში. სავარძელშიც უნდა ჩაესვა. გააცილა. სკამი მიუდგა. მერეღა აუხსნა თუ რა მოჰხდაო.

კარგახანს ვითმინეო. მეც კაცი ვარ და მეტი მოთმინება ველარ შევძელიო. „უხარიან ხალხს რო იჭერენ. უხარია რო აწამებენ. უხარიან სახლს რო ართმევენ. ფულს რო ართმევენ ჰო – ხტის და ხუნტრუცებს. ჰგონია რო მაგას უბოძებენ. თუნდაც უბოძონ, რა საკადრისია – წართმევამ გაგახაროს!.. აღარც ცოდვაა. აღარც სიბრალული. აღარც თანაგრძნობა ანუ ადამიანობა აღარ დარჩა ამ ქვეყანაზე თუ მაგან დაჰკარგა და კიდევაც უხარიან – ადამიანობა რო დაჰკარგა. როგორც რო ტვირთი. დამამძიმებელი სიცოცხლისაი!.. ადამიანობა ვთქვათ მართლაც რო ტვირთადა ქცეულიყოს. მართლაცა. მართლაცა. რად უნდა დაჰკარგო შენვე. შენვე – ადამიანმა?!. და თუ არც იცი თუ რად დაგიკარგავს, იმდე-

ნი ჭკუა რად აღარ შეგრჩა: ან არ გიხაროდეს ან სხვასთან მაინც რო არ გაიშილიფო თავი?!. აღარც ჭკუაო. აღარც ზნეობაო. მაშ რაღა დარჩა ადამიანისა – მუცელი მხოლოდა?!. მუცელი?.. მუცელი?.. მუცელს თუ აჰყე – გადაგიყოლებს თანა. ავსებული იცოდეთ... ზომაზე მეტად ავსებული... აყოლაც ეს არის. თან გადაყოლაცა. ცარიელს გადავჰყვეთ არაფერია. ოღონდ არ დავტოვოთ მაგალითი უზნეობისა. ოღონდა. ოღონდაცა. გადავჰყვეთ, რაო – განა არა ვართ სიკვდილის შვილები?!. აბა რანი ვართ?!. რისა გვეშინიან?!. ადამიანობა რად გაგვიწირია, რასაც ვერ ავცდებით იმისი შიშითა – რადა. რადაო. ეს უნდა მეკითხა და ღონე აღარ მეყო... ჰო იცით... ქალბატონო..." ავადმყოფობაო. იგულისხმებოდა. მოებოდიშა თუ რაც იყო. იყო. მეტის თქმას აღარც აპირებდა. ქალი თავისთვის მომართულიყო. მეუღლეიო მეზობლისაო. რაღა თქმა უნდა. აქამდის ჰო აცალა და აცალა. პირშიც არ ეცა არც ისე ჯიქურა რო შეყოვნდა ვარაზი – ჰო შეყოვნდა – ქალბატონოო!.. მიუხვდა ქალი: არა სცოდნია ჩემი სახელიო –

სოფო. სოფიოო. დაატანა და მერე მისდგა. მისდგაო და ღმერთი აღარ მოიგონაო. აი თუ რა შეხედულებისა ყოფილხართ ჩემს ამბროსიზეო. ამბროსი ჰო – ისაო. ესეცაო – ვარაზმა – სოფიოიო. ამბროსი!.. დასწავლა უნდაო. არც მიკვირსო. სოფიო ქალბატონმა. განა რამდენი მარილი შეგვიჭამია ერთადაო. „ამბროსი სულ სხვაა. ადამიანია!.. ადამიანური ადამიანია. ადამიანური!.. და ეგ თქვენი კითხვარი ახლოსაც არ გაეკარება. ამბროსი შეაწუხა გაჭირვებამა და თუ რამეს იტყვის – ათქმევინებს გაჭირვებაი. თქვენ ეს არის გაგიჭირდათ და უკვე უხეშადა

ჰკარით ხელი ადამიანსა. ჩვენ დიდიხანია გვიჭირს. ჩვენ შეგვშურდა თქვენი გამოტენილი მაცივარი. მერე ეს ამხელა მაცივარი. გინახავთ ჩვენი მაცივარი – ძველი. პაწაწკინტელა მაცივარი?.. რამდენი ხანია რო დაფხაკუნებენ თაგვები იქა. ჩვენ თქვენი შეგვშურდა. მაგრამ გამოვხატეთ?!. ვთქვათ მე არაფერ შუაში არა ვარ და არცა ვარ. ცხადია. ამბროსიმ გამოჰხატა?!. არა. რა თქმა უნდა. შური ნაკლია ადამიანისა და არც გაგონილა რო უშურველი ადამიანი – ეგ ერთი მაინც გაგონილა და არის. არის – ეგ თქვენგან ასე დაწუნებული ამბროსი. არის!.. გაჰხდა კაცი. ეს მართალია. ჩამოდნა კაცი. მაგრამ ეს ჰო გაჭირვების ბრალია!.. თქვენით ცოტა სული მოითქვა. მადლობელიც არის. ძალიანაც მადლობელია. ახლა თქვენც გიჭირთ. ამისი ბრალიცაა ალბათა უხეშობაი თქვენი. თუ უკაცრავად არ ვიქნები. მაგრამ რაც არის თუ რაც თუ იქნება – ჩვენ ვერ მიგატოვებთ გაჭირვებაში. ჭირშიცა და ლხინშიც ერთად ვიქნებით. ასეთია ამბროსი. იმისი დევიზი ეს იყო ყოველთვისა: ერთად!.. ერთად ჭირშიცაო და ლხინშიცაო!.. ადამიანობა სხვა რაღა არის. აი ამბროსი!.. თქვენ რა თვალით დაგინახიათ?!. თქვენგან მიკვირს ბატონო ვარაზ!.. მიკვირს!.. მიკვირს!.. ბოდიშსაც გიხდით – „უხეშობა“ რო მომადგა ენაზედა. მომადგა და წამომცდა კიდევაცა. ოლონდ მჯერა მე თქვენი დიდსულოვნობაცა: არც ყურში შეუშვებდით. დახსომებითაც არ დაიხსომებთ.“

„არა. რა თქმა უნდა!..“ ვარაზმა. ცოტა შეცბუნებულმა. საკმარისიაო. მაგრამ ჯერ სად იყო –

ახლა ამასაც მოგახსენებო. სოფიომა – „უცებ რო მოიდგეს ქონი ამ უჩინარმა ადამიანებმა. უცებ რო

წამოცვივდნენ და თავსაც რო მოგვექცნენ – რა ჰქნას ამბროსიმა. არც გაიკვირვოს?!. სად იყვნენ. რისი მაქნისნი იყვნენ ან ახლა რას წარმოადგენენ?!. საიდან მოიტანეს ეს ფულის ტომრები?!. შვეიცარიის ბანკებში როგორღა ჩააწყეს – არა. არა. მართლა და მართლა. იქ როგორ ჩააწყეს. საიდან ისწავლეს. ვისგან გაიგეს?!. როდის გაიგეს?!. ეს არ იყო რო აშენებდნენ უკლასო საზოგადოებასა – უკლასოსა და უფულოსა?!. ეს არ იყო. გუშინ არ იყო?!. დღეს ასე უკულმა როგორ მოიმართნენ თუ წაღმა შემობრუნდნენ. ასე უცება. მოულოდნელადა ასე. ამბროსიმ რა გაიგოს. როგორ გაიგოს ასევე უეცრადა. რო არც დაიბნეს დაფიქრება ჰო მართებს მაინცა. აღარ დააცდით?!."

„მე რას ვაჩქარებ?!." ვარაზმა. კითხვა ჩააგდო. რახან მოიმართა მოიმართა. აღარც დაამთავრებს თუ ცოტა ხელი არ შევუშალეო.

„გეტყვით. გეტყვით. ყველაფერს გეტყვით..."

„ჯერ მე გიპასუხებთ თუ შეიძლება!.."

„რას მიპასუხებთ?!." მოიყარა კოპნი სოფიოსი.

„ისეთს არაფერსა. არა. არა. ისეთს არაფერსა. მხოლოდ იმისი განმარტება მინდა. არა. არა. არც განმარტებაი – მხოლოდ ისა თუ მე რა მგონია. რა მგონია და: არც რა ფულის ტომრები არ უნდა შეეკრათ ამ ჩვენს მრეწველებსა და არცსად შვეიცარიის, გერმანიისა თუ სადმე სხვა ბანკებში არ უნდა ჩაეწყოთ და ჩაელაგებინოთ ბევრი არაფერი. ჯერ რა იღვაწეს. რა დააგროვეს!.. ვალებს ვერ ასდიან. აქეთ ბიუჯეტის შესავსებადაო. იქით ხელისუფალთა დასამშვიდებლადა. ჭამა ჰო უნდათ?!. აბა მაშ რაო – რა თავში იხლიან იმ ცარიელ ხელისუფლება-

სა. ხოლო თვითონაც თუ რამე იშოვნეს იმ ტიტლიკანა ხელისუფალთა – ასე იშოვეს და კიდევ ისე – პრივატიზაცია რო დაგვირქვეს. სახელმწიფო დოვლათი რო დაგვიქციეს და ვინც ჭკუა იხმარა, კიდევაც იხეირა. ხელი რო მოითბო. ჭკუა იხმარა და ისარგებლა. ისარგებლეს დიდმა ჩინოვნიკებმაცა. იმათ უფრო. რაღა თქმა უნდა. ან სადმე ჩაემატნენ ან საკუთარი ბიზნესი მოიწყეს. ახლა დააბრალოთ: ხალხს წაართვესო. ბიუჯეტიდან მოიპარესო. არ იქნებით მართალი. არა. არა. რაღა თქმა უნდა. თქვენ ეს არ გეხებათ. რაღა თქმა უნდა. ან ხალხს რა აქვს ან ბიუჯეტს რა აქვავია. მოშალეს რო ყველაფერი. ვერ ააწყეს რო ვერაფერი: ან ხალხს რა ჰქონდეს ან სახელმწიფოსა?!."

„კარგად ააწყეს თავაანთვისა!!!."

„სანუგეშოც სწორედ ეგ არის – ააწყობენ სხვებისთვისაცა!.."

„მანამდის ჩვენ სული გაგვძვრება, მაგათ რო ამოუვათ ყელში."

„რაღა ამოუვათ?!. რაღა შეარჩინეს?!."

„და თქვენ ეს არ მოგწონთ?!. თანასწორობის წინააღმდეგი ბრძანდებით?!. ერის დაშლა გნებავთ – ისედაც გახლეჩილი და დაგლეჯილი ერისა?!. ის გინდათ: ხალხმა დაჭამოს ერთმანეთი?!. ჯერ ისე რა არის, როცა შიან აბა რას იზამს?!. კაციჭამიაობა გინდათ გაგვიჩაღოთ?!. რა გასაკვირია!.. ჯერ სიმღერები მოგვახვიეთ თავსა. კაციჭამიური. ცეკვებიცა. ცეცხლიც ჰო გვინთია და რაღა გვაკლია – დაკალით ერთმანეთი და ჩამოგვირიგეთ. ეს არის თქვენი ფილოსოფია. აქეთ გვეწევით?!. აქეთ გვეწევით!.. სხვას რას გვიქადით თუ უარჰყოფთ თანასწორობასა?!."

„მოიცათ... გევედრებით!.. გემუდარებით!.. რაღაც სხვას ამბობთ. მე... მე სხვა რამეზე გელაპარაკებით. არ შემიძლიან... არ მინდა..." ეს ამდენი ლაპარაკიო... აღარ დაატანა. ვარაზმა. „თუ რამ მოჰხდაო და ამდენიც არაფერი. რა ცეცხლიო თუ რა კაციჭამიობაო. თუმცა რო სწორედაც ამან შემაწუხა. ანთუ მსგავსმა რამ ამისამა..."

„თუ შეგაწუხათ, სხვანაირად ილაპარაკებთ!.."

„ერთი წუთით!.. თუ შეიძლება!.." დაჰხუჭა თვალები. ვარაზმა. „სხვანაირად რადაო?.. მე ჰო მხოლოდ მონაყოლმა შემაწუხა. ამბროსისამა. მინა ათხრევინეს ცხვირითაო. ლავიწის ძვლები დაულეწესო. ფილტვები დაუფლითეს. თირკმელები ამოაგლიჯესო. არც გასაკვირია. რაღა თქმა უნდა. არც ასე ყოფილა. თავისი ფეხით მისულა მოლაშვილი. თავისი ფეხითა. თუნდაც რო შიშითა: მართლაც მინა რო არ მათხრევინონ ცხვირითაო. თანაც რა არის ის იმდენი გაზვიადებანი. რა დღესაც აყრიან – ის არ ეყოფათ?!."

„აი სად შემცდარხართ ბატონო ვარაზ!.. თქვენ ეს ამბროსის მოგონილი გგონიათ!.. სადა აქვს იმას ამხელა ფანტაზია. დასწამეთ რაც გენებოთ. ეგება დამაეჭვოთ კიდევაცა. მაგრამ ამაში ვერ აგყვებით: თითქოს ამბროსის მოეგონოს ეგ საძაგლობანი, ანთუ უხაროდეს – ეგეც მაგათაო. რასაც ეტყვიან იმას იმეორებს. ისევე. ისევე. როგორც რო ეტყვიან. თუ წამოსცდება: ეგეც მაგათაო. გამეორება იქნება ესეცა. მხოლოდა. თავისი არა. არა – დამიჯერეთ. არა გცნობიათ და ხელი ჰკარით. არც თქვენ ტყუიხართ – არა გცნობიათ!.. მაგრამ რატომაო. მოდით და ვიკითხოთ: უთუოდ ფუთობით მარილი უნდა შეგეჭა-

მათ ერთადა!.. უთუოდა?.. რაც რო შესჭამეთ, ნუთუ არ გეყოთ?!. მოიცათ!.. ნუ მაჩქარებთ. მე კიდევა მაქვს სათქმელი!.." ეს იმიტომა – წამოდგა რო ვარაზი. ადგა. აიმართა. ისე იმგვარადა: საკმარისიაო რო მეტყველებდა. იმ დაუთმობლობითა და თავაზიანობითაცა იმავე დროსა, ახალგაზრდობისას როგორც რო სჩვეოდა. ოღონდ რო ეშხიც ვერ მიაყოლა იმდროინდელი. წელშიც გამსჭვალა და სკამს მოეჭიდა – არ წავიფორხილოო.

„თქმის დრო სად წაგვივა!.." ვარაზმა. „ჯერ ეს უხერხულობა ამოვწუროთ. რაც იყო. იყო. დავივიწყოთ. ოღონდ ნურც ნურას შემომიტანს გარედანა ბატონი ამბროსი, ნურც ნურას გაიტანს. ქარისა და საბძელისა არ იყოს".

ადგა სოფიოცა. შმუშვნითა ისეთითა, უკმაყოფილოება რო გამოსჭვივოდა. თეთრი ზედატანი ემოსა. საყელომაღალი. წვრილი, ჩაჟიჟმატებული ღილებითა. ნიკაპი რო აეწია. თავი გადაეხარა. თუნდაც ითქვას რო გადაეგდოო. ანთუ გადაჰქანებოდაო. რაც უნდა ითქვას თუ როგორც უნდა ითქვას – ეგრე ლაპარაკობდა. ნიკაპაწეული. შავი ყვავილიც ებნია მხართანა. ფუჩფუჩა ყვავილი. ხელოვნური. ნამდვილი არა. ერთხანს მოიძრო. ნამდვილ ვარდს იბნევდა. ერთხანსა. ცოტახანსა. მალე გადააგდო. ისევ ის ყვავილი. შავი ყვავილი ებჯინებოდა ნიკაპსა. წვრილსა. ღაბაბი ჯობდა აქ რო თქმულიყო. ოღონდ ღაბაბი რო არა ჰქონდა!.. მომაღლო გახლდა. გამხდარი სახისაი. გამხდარი. დაძაბული. იშვიათი ღიმილიც რო სჩვეოდა – სამზარეულოში რო ცქრიალებდა. მართლაცა ცქრიალებსო. გეგონებოდა. გამოიცლებოდა ვიდრე მაცივარი. ადგა ასე ერთისიტყვითა – ტანთხელი. მომაღლო. ნიკაპაწეული.

„ვერც ეს სიკეთე დაუფასეთ ამბროსისა. არც გასაკვირი. ჩვენ ჰო ერთმანეთს არც ვიცნობდით აქამდისა. ჩვენ ჩვენთვის გვილხინდა. შევკეტილიყავით ჩვენ ჩვენთვისა. ესეც არ იყოს – განა ვინ არის დამნახავი სიკეთისა – თქვენ რა გამონაკლისი იქნებით!.. გამოკეტილხართ მარტოსული ოთხკედელშუა. არც რადიოო. არც ტელევიზორი. არც გაზეთები. არც არავინ მიმსვლელმომსვლელი. ამბროსი შემოდის რო გაგართოთ როგორმე. გაცოდინოთ ქვეყნის ამბავი. რო არ გამოყრუვდეთ. ბოდიშს მოვიხდი. თუმცა გამოთქმით სწორად გამოვთქვამ: აბა რა ელის ცოცხალ ადამიანს ოთხკედელშუა – ოთხკედელშუა – გამოყრუების გარდა?!. მაინც ბოდიში. რაღა თქმა უნდა. ბოდიში. ბოდიში. თქვენ ქარს შეადარეთ იმისი სიკეთეი. სიკეთეცა და კეთილშობილებაცა. ასე დაუფასეთ. და არა მგონია ეს იმიტომა, ანდაზა რო აგეკვიატათ უადგილოდა. არა მგონია. ასე რო იყოს – თქვენც ბოდიშს მოიხდით. და *ინციდენტიც* ამოწურული იქნება."

ილიმება ვარაზი. ისე იმგვარადა – იყოს „ინციდენტი" ამოწურულიო. თქმით ასე ამბობს –

„მოციქულობის კვალობაზე მკაცრად გამოიყურებით ქალბატონო სოფიო!.."

მზად აღმოაჩნდა პასუხიცა. სოფიოსა.

„არც მე ვარ თქვენით მოხიბლული ბატონო ვარაზ!.." თითის ცერებიც მზად აღმოაჩნდა – შეტრიალდა ფეხის ცერებზე. ფეხისა. ფეხისა. რაღა თქმა უნდა. ბალეტის სკოლა გაევლო ბავშვობაში. კორდებალეტამდეც ველარ მიეღწია. რა ვუყოთ მერე, სხვაგან მაინც გამოიყენებდა. ვთქვათ თუნდაც აგერ დიპლომატიური შეხვედრისასა. კარებამდისაც მიფ-

რიალდა თითის წვერებითა. ცერებითა. ცერებითა. მიფრიალდა თუ. მიფარფატდა თუ. მიცქრიალდა. იქ ერთი დაეშვა. აიწია მყისვე. ააყოლია რო რხევაცა მკლავებისა. შიშველი მკლავებისა – არ ესხა სახელოი ზედატანსა. იყო ოდესღაცა ასეთი მოდაცა. ეგება რო დიდედების დროსა – სიტყვებიც მოჰყვა რხევარხევითა. „ამაზე რას იტყვით: მაცივარი რო გამოაღოთ ხვალ დილითა. გამოტენილი რო დაგხვდეთ ნუგბარითა. ნაირნაირითა. მფარველ ანგელოზს რო მოეტანოს ჩუმადა. ღამიანა. თუნდაც კუდიანსა. ამაზე რას იტყვით?.."

„ანგელოზს მოეტანოს... მაინც ამას ვიტყვი!.."

სოფიო იცინის. გადის. ოდნავა რჩება კარი ღიადა. კუდი თუ მოჰყვაო. ვარაზს გაუელვებს. უცებ არც მიჰკეტავს: ბარემ გაიტანოს და წავიდესო. ის რაც იყო – კუდიანი მაინც აეკვიატა. ვარაზსა. ვარაზსა. რაღა თქმა უნდა. შუქი ჩაჰქრა და ის მოელანდა. კუდიანი. ზღაპრების დროინდელი და ბავშვობის დროინდელი. ლოგინში ჩაწვა და ისევ ისა. წიხლი ჰკრა. გადააგდო. კუდი მაინც ლოგინში ჩარჩა. შუქი მოვიდა. აღარც ჩამქრალა. აღარც ჩაუქრია. კუდი მაინც საბანქვეშ ეგონა. ლეიბს გადააძრო. სავარძელზე მიაგდო კუდი. მერე და რაო – იქ ეგულებოდა კუდი ისევა. გაიტანა აივანზედა. თოკზე გადაჰკიდა. არც ეს მოეწონა – ცალფად დაუშვა. შეწუხდა: ეს რა დამმართნიაო. ამ ფიქრს არ გაჰყვა. იცოდა თუ რაც დამართნოდა. ანთუ იმას თუ რას ერჩოდა, ეს მაინც არ იცოდა: კუდიანი იყო თუ რაც თუ რა იყო – მოეტანა საჭმელსასმელი. ბარაქა მოეტანა და წასულიყო. ანგელოზი მეტს რას იზამდა: მოიტანდა და წავიდოდა. დანარჩენი იმან იცოდა. სოფიომა. ხელი კარ-

გი ჰქონდა. კერძები იცოდა კარგი. მოვიდოდა მერე ამბროსი. ჭორებს აღარ შემოიყოლებდა. პირობა პირობაა. მართალსაც გარეთვე მიატოვებდა. მართალსა. მართალსა. ოღონდ ესაა რო არ დაუჯერებელსა. დაჰყრიდა და მიატოვებდა. პირობა პირობაა. შემოუსხდებოდნენ გაშლილ სუფრასა. შემოიდგამდნენ შროშულ სურასა. ცივცივი წყლითა. სასმელს არაო. ვარაზი აღარ ეკარებოდა. დაუშალეს. თვითონაც იგრძნო. აფსუსო. ამბროსი ამასღა იტყოდა. სინანულითა. ორმაგიო თუ ათმაგი სინანულითა. თვითონაც რო უნდა შეეკავებინა თავი. თუმცა რო მაცივარში ღვინოც იქნებოდა. კონიაკიცა. მოეტანაო ოღონდაო ვინც უნდა ყოფილიყოო: ანგელოზიო თუ კუდიანი დედაბერიო – ვეღარ იტყოდა ვარაზი. ვერა. გარჩევას აღარ გაუყვებოდა. ვარაზს კონიაკი არ დაელეოდა. ღვინოც არაო. ლუდიც არაო. უარჰყოფდა თვითონვე კოკაკოლასა. ვარაზი. ლიმონათსაცა. დამზადებულსა. ისიცა. ფხვნილებითა. უცხოური ფხვნილებითა. თბილისური რო წყალიღა ერია შიგა. ხოლო წყალი ჰო სურაშიც იდგა. შროშულ სურაშია. აფსუს ლაღიძის ლიმონათო. რაღა არაო აფსუს!!! ესეც დიდი მოწყალებაა, წყალი რო ჩვენი შეგვრჩენია. ჰაერი ვინ უწყის თუ სადაურიო. მიწა ჰო რაო – დგახარ ნაგლეჯებზე უკანასკნელზე – გაცლიან და გაცლიან. ფეხქვეშ გაცლიან – ამასაც ალბათ გამოგაცლიან. ჭკუა თუ არ გეყო. მაგრამ სად არის ანთუ ჭკუაო. თუ არის არც იმას არ გარგუნებენ. არაო. არაო. აღარ არის ადგილი განცალკევებისა დედამიწაზეო. ერთია პლანეტა. ერთიანია კაცობრიობაცა. ერთიანი და ერთნაირიო. ანუ თუ ესეიგი. როგორც რო გენებოს – ჩვენგვარი და ჩვენნაირიო.

გაუტყდა ღამეი. ვარაზსა. ცხადია.

თითქოს წასთვლიმა კიდევაცა. ან იჯდა ან იდგა. უფრო იდგა. მიმოდიოდა. ჯდომისას წასთვლემდა. ეგება რო – დგომის დროსაცა. დგომელა ცხენი გამოიძინებდა. კუდით დაკიდული მაიმუნიცა. ღამურაცა. ჭერზე მიკრული. ანთუ ასხმული ერთიმეორეზე. კაცი ვითომ რა ნაკლებია. ისიც ჰო უთქვამთ: სიქაჩლეიო სიბერემდეო. სიქაჩლე თუ არა – თმა კიდევ შერჩა – ძილმა მაინც უწია ფეხზედგომელა. ჩქამმა გააღვიძა თუ ხმამან კარისამან. ჩქამს მიჰყვა კარამდისა. კარი ურდულით ჩაკეტილიყო. შიგნიდანა. რაღა თქმა უნდა. ფეხზევე თვლემდა. გაიფხაკუნა კუნჭულში რაღაცამა. ჭერის კუნჭულში. შორეულ კუნჭულში. გაიფხაკუნა. და გამოეხვია. შეიფუთნა. გაიტყაპა. გაშრა. მიდი და ახლა გამოარჩიე!.. არც მისულა. არც უძებნია. არც მაცივარს მისტანებია. ისიც რო მოეჩვენა. ანთუ მოესმა. ცხადადა. მკაფიოდა. დაინახა ლამის ნათლადაცა – მაცივრის კარი რო გაიღო. გაიღო და მიიხურა. საიდან სადაო – სად ამისი საწოლი, სად სამზარეულოი. ბინა ჰო დიდი ჰქონდა. დანატოვარი მამისგანა. იმასაცა მამისგანა. იმასაცა და იმასაცა. ვერავინ ვერ შეედავებოდა. ყოფილიყო რო ნამინისტრალიცა – დაუსაბუთებელი ქონება გაქვსო. წყდება სადღაცა უსირცხვილობაცა. თუმცა ისა მეფობს. უსირცხვილობაი. დაირცხვენს თითქოსა. მიინაზება. თავს მოისაწყლებს. გაოცდება და განცვიფრდება. როგორც დაინახავს რო საჭიროდა. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიხედვითაო. გამოთქმები აქვს ნაირნაირი. როცა რა ნებავს, იმას აიხირებს.

გაუტყდება ღამეი. ერთისიტყვითაო.

ვარაზსაო. რაღა თქმა უნდა.

არ გამოუდგებოდა გატეხილ ღამესა. რამდენი გასტეხია...

არც მაცივარს არ გამოაღებს. ვინ იცის მართლაც ჰო არ მოზიდეს საჭმელსასმელიო. ვინ იცის. ვინ უწყისო. არა. რა თქმა უნდა. არც ვინ იცისო და არც ვინ უწყისო. კარგადაც იცოდა. კარგადაც უწყოდა თუ რა დაემართა თუ როგორ გამოკეთდა თუ როგორ თანდათან უმჯობესდებოდა. თუ უარესდებოდა – ატყობდა იმასაცა. ის ყველაფერი რაც იყო. იყო. ვერ წაუვიდოდა იმას მაინცა: ბინა რო დაჰხვდა დალაგებული. სავსეი აგრეთვე მაცივარიცა. მართლა სავსეი. ახალი ქართულითა. იდიომებისა და ტაბუს გარეშე. დაჰხვდა. დაჰხვდა. მოწმეებიცა ჰყავს: სოფიო. ამბროსი. ორი მოწმე საკმარისია. დაგიმტკიცებს სასამართლოი, რასაც ინებებ. დისიდენტობასაც დაგიმტკიცებს. გამოაქვეყნებს კიდევაცა „ლიტერატურული საქართველოი“ ოქმებსა იმა სასამართლოსი: აი თუ ვინ არის მართლა დისიდენტი, მართლა მეთაური ეროვნული მოძრაობისაო – ჭანტურიშვილიო. რის გამსახურდია. რა გამსახურდია – ვინ მოჭორაო. კოსტავაიო – კიდევ ჰოო თუ გაიხსენა ჭანტურიშვილმა თუ დაუტასტურა რცხვილაძემაო. ესეც შეიძლება. შეიძლება!.. უარესიცა და უკეთესიცა – ორ მოწმეს თუ იშოვნი. ამასაც ჰო ჰყავს მოწმეი ორი. მაცივარსა. ჭანტურიშვილისა არ იყოს. ჭანტურიშვილისა. პრეზიდენტის კანცელარიის ჭანტურიშვილისა. ან გადამდგარი პრეზიდენტისა. რაღა თქმა უნდა. არც ახლისაში რო დაილევიან. არც მომავლისაში. ჭანტურიშვილები. მაგრამ ვინ გაავსო. ამას არ ამხელდა. მაცივარი. რაღა თქმა უნდა. ვერც მოწმენი

რო ვერ ადასტურებდნენ – სოფიოი ამბროსისთან ერთადა. ვერა. ვერა. ხელი ედოთ რო ბიბლიაზედა. იმათაც ედოთ ხელი ბიბლიაზე – მონმეებსა ჭანტურიშვილისა – მაგრამ სწამდათ რო ბიბლიაი!.. საპრეზიდენტოდაც იყარა კენჭი ერთმა იმათგანმა. ეგ არაფერიო. ბიბლია რად უნდა პრეზიდენტობასა. შენ ხმები თქვი. ფული თქვი. ბიბლია რად უნდაო. გვარი?!. მოგცლია შენცა!.. სულელების გვარსაც რო კითხულობ!..

მაგრამ და მაინცა.

ვინ იყო მაინცაო.

მეუღლე არაო. რძლებიც არა. გადმოფრინდნენ. ჩამოეშველნენ. უგონოდ რო იწვა. მაშინაცა. გონს რო მოეგო. მაშინაცა. შინაც მოიკითხეს. რო დაბრუნდა. ტელეფონითა ამერიკიდანა. ამანაც მოახსენა: მადლობელი ვარო. დაგინკრიალებიათ აქაობაო. საჭმელსასმელიც მოგიმარაგებიათო. გაიკვირვეს. არც დაგვინკრიალებია. ერთი ღამეც არ გაგვითევია შიგაო. შევიხედეთ და არ შეისვლებოდა. სასტუმროში დავიდეთ ბინაო. ბიჭებმა ჩამოსვლა ვერც მოახერხეს. ისინი ბოდიშობდნენ. გაუქარწყლებდა. სხვა მოჭირნახულე განა ვინა ჰყავდა ანთუ აქვეო ანთუ სადღაც შორსა?.. ჰყავდა. როგორ არაო. ნათესაობის მეტი რა ჰყავდა. მაგრამ ნელ-ნელა შემოეცალნენ. მარტოდ რო დარჩა. თვითონვე არ ეცალა არავისთვისა. არც აღარავის აღარ ეცალა. ყველას გაუჭირდა. ყველა განცალკევდა. თუ ვინმეს დაულხინდა – არც იმდენადა რო სხვასთანაც რო გაეწია ლხინი. თანაცა შენ ისა თქვი: ნათესაობაც რო გაიხადეს საძრახისადა?!. დემოკრატიას ანაცვალეს რო ყველაფერი: ბიძაშვილობაცა. მამიდაშვილობაცა. დეიდაშვი-

ლობაცა. ნათელმირონობაცა. მეგობრობაცა. მეზობლობაცა. ყველაფერი. ყველაფერი. რისად ჩამოვთვალო. განა არ იცი. ანთუ რატომ გაგიკვირდება რო ანაცვალეს სიამაყეცა. თავმოყვარეობაცა. სიკეთეცა. პატიოსნებაცა. ზრდილობაცა. თანაგრძნობაცა. სიბრალულიცა. სიყვარულიცა. სექსად აქციეს რო სიყვარული და მოითხოვენ რეფორმასაცა რწმენისა. რწმენისა. რწმენისა. თვით რწმენისაცა. მართლმადიდებლობისა. აქაოდა რას მიქვიან რო ვერ მისთხოვდები უახლოვეს ნათესავსაო. ვითომ რა არისო და რატომაც არაო: მისთხოვდები კიდევაცაო და თუ ინებებ, საყვარლადაც დაუჯდებიო. რეფორმა!.. რეფორმა!.. რეფორმა!.. რწმენისა. ეკლესიისა. რწმენისაო, რაც მთავარია. თორემ *ნატოში* არ მიგვიღებენო. ჭირს არ წაუღია ნატოცა და მსგავსიცა იმისა – ყოველი მსგავსი – რწმენას თუ უნდა გამოეთხოვო?!.

თვალთ დაებინდა. ასტკივდა თავი.

ურჩიეს კლინიკაში. გამომშვიდობებისასა. *პრობლემებს* ნუ აჰყვები. ნურც იფიქრებ. ნურც ედავებიო. *პრობლემებსაო*. ვერ ასცდები მართალიაო. ბრძოლა მოგიწევს მართალიაო. *პრობლემებთანაო*. მოგიწევს და შეებრძოლები. ოღონდ ფიქრად ნუ შეიყოლიებ. ნუ გადაიქცევ ნურცა დარდადა. ნურც ნურავის ნუ ეკამათები. ნურც ნურავის ნუ გამოესარჩლები. შენ შენი *პრობლემა* მოიგერიე. უზრუნველჰყავი თავი შენიო. აჰაა და მოიგერიე!.. უფიქრელადა. უდავიდარაბოდა. ესეც რო აგერ საფიქრელად ექცა: ვინ იყო იგი კეთილისმყოფელი ამ უკეთურობის ზეობის ჟამსაო. ესეცა და კიდევ ესეცა – პრობლემად რო ექცა ეს ამბროსიცა. ერთისიტყვითა. ჭო-

რები აღარ მიჰქონდა გარედანა. არც არას ამბობდა პატარა *აქციებზე* – მანანა არჩვაძე რო კიდევა ბედავდა. მხოლოდ გაჭირვებას მოსთქვამდა თავისასა. ამბროსი. და ვარაზის გაჭირვებას უფრო მოსთქვამდა. გაჭირვება სწორედაც ეგ არის: რო არ უნდა გიჭირდეს და მაინც გიჭირსო. გააგებინე და მოგაწვდიან. შენი *პრობლემა* მხოლოდ ეს არისო.

„დიახაც არის." *პრობლემა* მაინც არ მოეწონა. ვარაზსა. ცხადია. იმდენი დაუჯდათ ჩემი მკურნალობა, ვინ იცის იქაც ვალებში ჩავარდნენო. შენ ამერიკა რა გგონიაო. გაჭირვებული იქაც ბევრია. თავისიც ბევრია. შემატებულებს ნულარ იკითხავო.

„შენ შენი მოახსენე. ის იქაური *პრობლემები* თვითონ იციან".

ისევ *პრობლემები*. შენ აუქციე. სხვა შემოგახვევს.

„ოჯახს თავი არ უნდა მოაბეზრო". ვარაზმა. „თუ ფეხზე დგეხარ!.. ჰო ვდგევარ ფეხზე?!."

„ეგ რა დგომაა, ჯიბეს ძირი თუ გავარდნია?!."

„თავმოყვარეობა ბევრად მაღლაა, ვიდრე ჯიბეო და თუ ინებებ – შვეიცარიის ბანკებიცა ვიდრე!.."

„შენგან არ მიკვირს!.." არ აუხირდა ამბროსი. არა. გიცნობ რაცა ხარო. ესეიგი. არა?.. დიახ!.. რა თქმა უნდა. არც დაეთანხმა. ისიც – რა თქმა უნდა. „მაგრამ აბა მიმოიხედე: სადღა არის თავმოყვარეობა?!. ვის შერჩა?!. ვინ აგიხსნის: თავმოყვარეობა ანთუ რა იყო. ანთუ სადმე იყო. და ვთქვათ თუ იყო – თუ კიდევ იქნება ამიერიდანა?!."

„უბედურებაც სწორედ ეგ არის. ძაღლის თავიც მანდა მარხია." რაფას დაეყუდა. ფანჯრიდან მოსჩანდა სახურავები კრამიტისანი – ძველი. წითელი

თუნუქისაცა – ძველი. თეთრი თუნუქისა – ახალი. ის კრამიტიო თუ ის თუნუქი ახვლედიანის თბილისს ეხურა. წითელი. არა. – ჟღალი წითელი. ჩახავსებული. თეთრდებოდა და თეთრდებოდა. ან სახურავიც იკარგებოდა. ანთუ რა ჰხდებოდა, ვეღარც გაარკვევდა თვალი მიჩვეული ძველსა თბილისსა. იქითა და იქითა. უფრო იქითა. სოლოლაკი – ისევ ჩახავსებული – მხრებს იბერტყავდა. იშმუშნებოდა. იჯგიმებოდა მაინც ისევე – ძველებურადა. სჯობნიდა მაინცა ახალი უბნები. ფართოდ დაეგდო სანავარდონი. ძველო თბილისო შენი მიზნები აღარ მაااااااქვს – როდის ის იყო რო მღეროდა მეხოტბეი აშუღებისა – როდის იყო და აშუღები რო აღარ იყვნენ. ახლა მეხოტბეც აღარ არის იმათი. რაღაც სულ სხვაა. სხვა სიმღერაა. სხვა სიტყვებია. ქართულიც იყოს რო ვეღარ იცნობ. ვერა. ვეღარა. პუჭურკინტოც ვიყო აი!.. აი!.. – სილასაც აირტყამ ნიკაპიდან საფეთქლამდისა. ტყუილადა. რაღა თქმა უნდა. ვინ რას გაგიგებს. ფიცი ვისა სწამს?!. ულვაშის ღერიც გამოიძრო ეგება – ვექსილად დასდო?!. ჰეი ყურუმსაღო სადა გგონია შენი თავი!.. რაღაც სულ სხვაა. სხვა ჰანგებია. ძაღლის თავიც აქ არის დამარხული.

„ყველაფერს რო *პრობლემად* აქცევ!.." ამბროსიმა. რაღა თქმა უნდა. დუნედა. საწყლადა. სავათმიჰხდითა. „აიღე ტელეფონი და დაურეკე. რად გინდა ამდენი ლათაიები?!."

IV

ისევ პრობლემაი.

პრობლემა. პრობლემა. პრობლემა. პრობლემაო. საითაც გაიხედავ. ვისაც ყურს მიუგდებ. შენთვის დაფიქრდები რო თუნდაცა. არადა რო ურჩიეს: პრობლემებს დაეხსენი. გაერთე. გახალისდი. იარე თავისუფალ თეატრში. სარდაფის თეატრში. ცირკში. ცირკში. ცირკში იარეო. ეს აღმოჩენა ისე გაეხარდათ – ასე რამდენჯერმე გაუმეორეს. ისიც ბევრჯერ გაუმეორეს: წარსულსაც ერიდე. თუ მოიგონებ – საამური მოიგონეო. უკუჰყარე უამურიო. პირველი სიყვარული. პირველი სიყვარული. პირველი სიყვარული მოიგონეო. ესეც აიხირეს აღმოჩენასავითა. ახალთახალ აღმოჩენასავითა. იქვე კლინიკაში და თანგამოჰყვა სიყვარული იგი უცნაური. პირველიო და თუნდაც რო პირველი: რო უყვარდა. იმას რო უყვარდა და ამას არა. არა და არა!.. „რატომ?!.“ „რატომა?!.“ ეკითხებოდა იგი ციცქნა ასული. დიდი. ლურჯი თვალები რო ჰქონდა. ზღვასავითაო. სახეი – კრიალაი. თითქოს ცისკარმა სუფთა ცაზე ამოანათაო. ისისაა ამოანათაო. წიგნის ჩანთა აეკრა გულზე. დაჰყურებდა ჩანთასა თუ გულსა და ეკითხებოდა და ეკითხებოდა: „რატომ?!.“ „რატომ?!.“ აედევნებოდა და ეკითხებოდა. სკოლას მიმავალსა. დაბრუნებულსა სკოლიდანა. ელოდებოდა ქუჩის კუთხეში. მიაცილებდა იმავე კუთხემდე. შეჰხვდებოდა ამავე კითხვითა. ამავეთი ეთხოვებოდა. პასუხი ვერ ეპოვა ამასა. ვარაზსა. რად არ თანაუგრძნობდა. პა-

სუხი ამისი. სხვას ბევრსაც მოსწონდა. ასული იგი. ცდილობდა ბევრიცა ატორღიალებოდა. ის თვითონ იცილებდა. ამას ეჭვიც არ გაჰკენწლავდა. არც იმ-ჩნევდა და არც ამჩნევინებდა. არც პასუხიც რამ მოჰფიქრებოდა. მობეზრდა კითხვებიცა. ჰკრა ფეხი და სხვა სკოლას მიაშურა. სკოლა სხვაც იყო. სოლ-ლაკში. რაღა თქმა უნდა. თუმცა ენანებოდა სკოლაი პირველი. სკოლაი იგი ბარათაშვილისა. გიმნაზიაიო კეთილშობილთა. სწორედაც რო კეთილშობილთა. კეთილშობილთა!.. ეს სიტყვა ხიბლავდა. აღავსებდა მოწიწებითა. მაინცა ჰკრა ფეხი. ის კვირა არაფერი. მეორე კვირას პუპლუც და ისიც იქ არ დაჰხვდა!.. ასული იგი. იგივე თვალებითა. ლურჯითა. ლურჯი-თა. ზღვასავითაო. იმავე შეკითხვითა: „რატომ?!." რატომაო. არც ახლა შეუწუხებია თავი ვარაზსა. სა-პასუხოდა. ისევ ისევე დაჰკრა ფეხი და პლეხანოვზე ამოჰყო თავი. სკოლა იქაც გახლდა. რაღა თქმა უნ-და. იქაც ისევე ულაყებდნენ ჭკუაგონებასა „სესე-რეკას" ისტორიითა და საზოგადოებათმცოდნეობი-თა. ულაყებდნენ და არც ილაყებდნენ. უმეტესობა არც ილაყებდა. გზა თუ გაუგრძელდა მერე და რაო. გრძელი ნაბიჯი ჰქონდა. ჭაბუკსა იმასა. უყვარდა მტკვარსაც რო გადაივლიდა. შეხვედრა სურდა გა-ლაკტიონთანაცა. იქვე ცხოვრობდა ჰო – ვერის ხიდ-თანა. ამბობდნენ – ხიდზე დასეირნობს. მტკვარს ჩაჰბუტბუტებს. ბარათაშვილისა. მთაწმინდასაცა. ბარათაშვილისაო. იქიდანვე ჩავიდა მტკვარზე – თა-ვის დაღრჩობა რო უნდოდაო. ლენინის ორდენიც იქ-ვე დაჰკარგა. მტკვრის ნაპირასაო. ამბობდნენ. ამ-ბობდნენ. რაღას არ ამბობდნენ. ოღონდ ამას არ შეჰხვედრია არცერთხელა. ჭაბუკსა მასა. გალაკტი-

ონი. ხიდზე. ცოცხალი. არც მტკვრის ნაპირას დამ-ხრჩვალი არ უნახავს. ლენინის ორდენიც არ უპოვ-ნია. გადიოდა და გამოდიოდა სოლოლაკიდან დიდუ-ბეშია. თანდაჰყვებოდა კითხვაი იგივეი. უპასუხოი და გადაუდებელი. სოლოლაკიდან დიდუბემდეო. სოლოლაკი რო აღარ ერქვა. ამხ. კალინინის რაიო-ნიო. ამხ. კალინინს ნაძალადევში ეცხოვრა. სოლო-ლაკი ებოძებინათ. ნაძალადევი არაო. რა თქმა უნ-და. რა თქმა უნდა. კალინინი ჰო არა ბრძანდებოდა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი?.. – არა. ცხა-დია!.. ლენინი გახლდა!.. სახელი იგი ებოძა. ცხადია. პროლეტართა უბანსა. გული არ დასწყვიტეს არც რო კიროვსა. არც რო ბაქოს კომისრებსაო. ააჭრე-ლეს ასე თბილისქალაქი. მეფეთაქალაქი. კეთილშო-ბილთაქალაქი. და მიაღწია ვარაზმაცა ამა უბნიდანა – კეთილშობილთა. მერე ვაჭართა. – იმა უბნამდისა – პროლეტარიატისა. იქაც გადავიდა. ბოტეს სკო-ლაშიც დადიოდა ვარაზი. ბილანოვის სკოლაში აღა-რა. შერჩენოდა ძველი სახელები. იქ აღარ მოუწია. დაამთავრეს. სდია ლურჯთვალა გოგონამა ბოტეს სკოლამდისა. ისევ ისევე გულზე აკრული წიგნის ჩანთითა. ბილანოვამდე აღარაო. დაამთავრეს.

მანამდის მოასწრო. გოგონამა. ერთი კითხვაც რო შეებედა –

„ასე გულგრილი როგორა ხარ?!.“

ესეც პრობლემაო. არა. მაშინ ეს პრობლემა არ გახლდა. ხასიათი იყო. თვისება გახლდა ადამიანისა. ახლა პრობლემაა. თავი რო გტკიოდეს – ამასაც ჰო არ იტყვი უბრალოდა. ქართულადა – თავი მტკივაო. არა. რა თქმა უნდა. მოდერნულად იტყვი. პოსტმო-დერნულადა: თავის პრობლემა მაქვსო ან თავში

.....ევაო. გული მტკივაო – ისედაც არ იტყვი: გული მტკივაო. გიჯობს რო ნარმოსთქვა: გულის პრობლემა მაქვსო. მერე მიდგეს და იმტვრიოს თავი. როგორი თუ რა პრობლემაა. შეყვარებულხარ თუ უვერტიურაა ინფარქტისა. შუქის პრობლემას გაგიგებენ. წყლის პრობლემასაცა. პრობლემასაცა ლიფტისაო. ყველგან რო მოშლილა: თუ ჩახვედი რო ვეღარ ახვალ თუ ახვედი რო ვეღარ ჩახვალ. ან დენი შეწყდება მოულოდნელადა. სართულებშუა გაიჭედები. აყვირდები. გამოგხედავენ. ატყდება კამათი. სჯანი და ბჭობანი თუ როგორ გიხსნან. როგორ გამოგაძრონ. ამას გაიგებ. მიუხვდები. იმას მაინც ვერა. ვერა – ვინმემ თუ დაიჩივლა: გამიჩნდა ფულის პრობლემაიო. შენით ვერ ჩასნვდები თუ არ აგიხსნა: სად მოვათავსოო – იმასა კითხულობს თუ მოსთქვამს იმასა – ჯიბეში ერთი თეთრიც არ მიჭყავისო. ჯიბეს ძირი გამივარდაო. გველი ჩამიძვრა ჯიბეშიო. ან ჩვეულებრივა – ფული არა მაქვს. სახეზე თუ შეატყობ: დამანჭვია თუ გაცისკროვნებია. ამითი თუ მიხვდები თუ რა პრობლემა აქვს. და კიდევ კარგი. კიდევ კარგი და კიდევ კარგიო – რო არ ჩაუდვიათ სახის რეფორმაცა მასონურ პროექტებში. ჯერაც არაო. თორემ ვის რას მიუხვდებოდი – ამ აწინდელი განათლების მინისტრისა არ იყოს – უხარიან თუ სწყინს. ამდენს რო ლანძღავენ. გაჰქვავებია სახეი რო ისე. გაჰქვავებია. გაშრობია. გამოჰფიტვია. ჰა?!. ბოლოც ეს თუა ამ უთავჟამო რეფორმებისაი?!. ვინ იცის. ვინ უწყის. რას ველოდით და რას შევეყარეთო?!. ერთისიტყვითა – მაშინ ყველაფერს პრობლემა არ ერქვა. თორემ რო ჰკითხა. გოგონამა. ვარაზსა. ყრმასა. ასე გულგრილი როგორა ხარო. ჰკითხავდა უფრო ამაღლებუ-

ლადა: „რადა გაქვს პრობლემა გულგრილობისა?!.“ ისიც ეტყოდა: „პრობლემა მაქვს!..“ ისიც ისევე ამაღლებულადა. მაგრამ და მაგრამ რო არა ჰქონდა პრობლემაი?!. ფილოსოფოსებსაც აღარა ჰქონდათ. პრობლემები. თვით ფილოსოფოსებსა. მზიურ საბჭოეთში. აწ განსვენებულთა. ცხონებულთა. თვით ფილოსოფოსთა!.. ამიტომაცაო. შევარდა ბიჭი. საკონდიტროში. ტყვიასავითა. ეგრეც დაჰქროდა სოლოლაკიდან ნაძალადევამდისა. არა ჯდებოდა ტრამვაიში. თანამომყვებაო. ეგრე დაჰქროდა და ეგრეც დასდევდა. ბრუნდებოდნენ ნაძალადევიდანა – ისაა იმჟამადა. და შევარდა ტყვიასავითაო და შეჰყვა ისიცა ტყვიასავითა. საკონდიტროშიო. პლეხანოვზე. ის ერთი საკონდიტრო გახლდა პლეხანოვზედა. ერთიცა რუსთაველზე. აცხობდნენ კრემის ღვეზელებსა. ცხელცხელი გამოჰქონდათ. დაჰქონდათ ქუჩაქუჩა. ურიკებითა. ბოლი ამოდიოდა ურიკებიდანა. არც შეჰხედავდა იმასა. ბიჭი. ჰო არც შეუხედია. შევარდა და შეჰყვაო. თითო ღვეზელი მოითხოვა ბიჭმა. თანაც პირი ეთუთქებოდათ ცხელცხელი ღვეზელითა. თანაც სათქმელი უნდა მოესწროთ:

ბიჭი – მე არ მოვდივარ ექსკურსიაზე.

გოგო – არც მე წავალ.

ბიჭი – მაშინ მე წავალ.

გოგო – მეც წამოვალ!..

მიჰყავდათ გორსა. კომუნისტურ მექაში. ესენიც წავიდნენ. ორივენი. შინ რო თქვეს: არ წავალო. ბიჭმა თავის შინა. გოგონამ თავის შინა. რაღა თქმა უნდა. მშობლებმა შეიცხადეს. იქაცა და იქაცა. კომკავშირიდან გაგრიცხავენ. სკოლიდანაც გამოგაგდებენო. არც გაუკვირდებოდათ. არც მშობლები არ და-

უთმობდნენ. და წავიდნენ. იქ ერთმანეთი არც შეუ-
წუხებიათ. ხროვხროვად მისდევდნენ ერთიმეორესა.
ბიჭები წინა. გოგონები მერე. იარეს ეგრე სადგური-
დან მექის ცენტრამდე. იმა ცენტრიდან ციხიაგორა-
ზე. იქიდან ისევ სადგურამდისა. არ შეუწუხებიათ
ერთმანეთი. ერთისიტყვითა. თუ ამ ამბავს კიდევ
იკითხავ, ბევრად რთული რამ არც მოჰყოლია. ეს
იყო მხოლოდ რო – საღამოს სკოლაშიაც გადავიდა
ბიჭი. გოგო არ იკადრებს და არ გადმომყვებაო.
მშობლებთან თავი ადვილად იმართლა. ბიჭმა. ცხა-
დია. დილით ვიმუშავებ. მხაზველთა ბიუროში მო-
მაწყეთ. მეც ჰო ხუროთმოძღვრობას მიპირებთ და
ბარემ გავიწაფები ხაზვაშიაცა და ხატვაშიცაო. გო-
გომ იკადრა და გადაჰყვა. ეგაა ხაზვას ვერ დაუდო
გული. ჭრაკერვა არჩია. მოდელიორობასაც გამოვ-
კრავ ხელსაო. ბიჭი დადრიკა რაინდულმა ღირსება-
მა. აღარ გაურბოდა. დააცილებდა ბნელ ქუჩებშია.
დააცილებდა და გაეფაციცებინა თვალებიცა – გაბე-
დოს ვინმემაო და გადმოუხტესო ან ჩაუაროს და და-
აცემინოს ცხვირიო. აბა გაბედოსო. არ მისცემია
შემთხვევაი საამისო. არც სალაპარაკო არაფერი არ
მისცემია. არაფერი. სულ არაფერი. ექსკურსიები არ
იჯდა გეგმებში საღამოს სკოლებისა. მაინც დაშორ-
დნენ ერთიმეორესა. თვითონაც რო ვერ გაიგეს ისე
იმგვარადა. ვაჟი შევიდა არქიტექტურულზე. პოლი-
ტექნიკურში. აქვე. თბილისში. გოგო – სამედიცინო-
ზე სადღაც რუსეთში. დეევერხანა რუსეთში. მოდა ეს
გახლდა – მედიცინაიო – პრესტიჟულიო. ახლა რო
იტყვიან. პრესტიჟულიცა და მზითევიცა სახარბიე-
ლოი. იურიდიული როგორც რო ახლაო. გასაგები რო
იყოს. ბევრი განმარტების გარეშე. ასე დაშორდნენ.

დაშორდნენ და დაშორდნენ. და ამოიწურა პრობლემაი იგი. რახან თუ პრობლემა დარქმევია ცხოვრებაში ყველაფერსა. რთულსაცა. მარტივსაცა. ძნელსაცა. ადვილსაცა. გაუბრალოებულა რო ენაი ისე – 69 სიტყვა რო გეყოფა პარლამენტში საკამათოდა. 99 – სამეცნიერო დისკუსიებზე. და – 3. 3ად 3 სიმღერისათვისა. უგრძელესი სიმღერისათვისა. თუნდაც რო მოუთხრო ტროადის ომი. იქაც რო ჩართულა ქართველობაო. ანთუ რაღა დროს ტროადააო – ომი ერაყსა და ავღანეთში. ქართველნი იქაც რო ჩაუთრევიათ. ასე ამჟამად ამერიკელებსა. თითქოს არ ეყოთ რაც სპარსელებმა სისხლი აღვრევინეს იქა. იქავე. მოსაწესრიგებლადა იმათი ცხოვრებისა. ასევე. ასევე. ვერ იქნა და ვერ მოუწესრიგეს. რო არც ეშვებიან?!. რუსებმაც რო ვერ მოუწესრიგეს?.. აგერ არ იყო!.. არა. ეს მაინც რანი ყოფილან ეს მამაცხონებული ქართველები ყველგან ყველას რო ეშველებიან რო არ დაგიდევენ თავაანთ ცხოვრებასა – მოშლილსა. მოფუტკნულსა. არეულ-დარეულსა. ეს არის ახლა *პრიორიტეტიო*. პრიორიტეტი!. პრიორიტეტი!.. ხოლო ენას თუ რაც შეეხება. ქართულ ენასა. გამარტივდეს. მითუკეთესიო. თუ უნდა გეთქვა: მაჟრჟოლებს და ტანში მზარავსო – იტყვი: ტანში პრობლემები მაქვსო. მორჩა და გათავდა. ყველა ქვეყნის ექიმი გაგიგებს. თანამეგობრობისაცა. ისლამური ქვეყნებისაცა.

ჰო

რას ვამბობდი?..

ჰო. ჰო –

ამოიწურა ის პრობლემაო. მსგავსივე პრობლემა სხვაც შემთხვევოდა. არც სულმთლად მსგავსი.

ოლონდ იმავე ნიადაგზედა. სიყვარულის ნიადაგზედა. ეს უკვე სტუდენტი რო ბრძანდებოდა. თანაცაო ერთის ნახვითაო რო გაეგონა, ისე იმგვარი სიყვარულითა... გაგრაო. ზღვაო. შუაზაფხულიო. ეს ზღვის ნაპირს მიემართება. მზე დახრილაო. ამას თვალსა სჭრის. სცხრილავს იმათა – ასულსა სამსა. მოწიფულსა და მშვენიერსა. სცხრილავს თუ აშიშვლებს. უცნაურადა. მოდის და მოღელავს თუ მოცქრიალებს ბიკინები. ნაირფერადა. აზღუდები. ნაირფერადა. ძირს დაცვენილა სარაფნები. ისედაც თხელიო თუ გამჭვირვალეი. ხორციც გაძრცვილა. ოლონდ სახენი დაკმედილან. უკნიდან მზითა. წინიდან ჩრდილითა. დაკმედილან. მინაზებულან. თვალნი და წარბნი ძირს დახრილან. თვალნიცა აგრეთვე. მივლენო რო ვიდრე. მიახლოვდებიან. შედრკება ვაჟი. ასულნიცა. ჯიქურმიმდგარნი. შედრკება. შედრკებიან. უეცრადაო. და გარდასწყდება უეცრადავე: „რომელი?..“ შუალას დასწვდებიან თვალნი ვაჟისანი. დასწვდებიან და აიტაცებენ. აიტაცებენ და გაიტაცებენ. დაიტაცებენ და ზღვას მიეცემიან. არის სიცილი და არის თამაში. ზღვასთანა. მზესთანა. ერთმანეთთანა. უმეტესად რო ერთმანეთთანა. რო ვერც ამჩნევენ თუ რა აღავსებს თამაშსა იმათსასა. რა ალამაზებს. გატაცება საიდან მოდის – მზისგანა. ზღვისგანა – რო ვერც ამჩნევენ. არის ამგვარი სიხარულიცა. ანთუ ეგებ რო თავდავიწყებაო. ეშმაკიც იქ არის ჩადარაჯებული. ეშმაკი აქეზებს. ეშმაკი აბრიყვებს. თორემ რად უნდა ვიღაც ლაწირაკსა სიამტკბილობა რო ჩაგამწაროს. ჯერ ერთი აუტყდება. მართლაც ლაწირაკი. გამოტყვრება მერე მეორეცა. მიემატება მერე მესამეცა. კიდევ. და კიდევა. ორიოდ დღესაც არ დააც-

დიან – აქ წაკინკლავებაო. იქ მუშტიკრივიო. და შეიძინა დანაცა. ვარაზმა. მონადირული. ფინურიო. 9 უკვე წაიღესო. უთხრა გამყიდველმა. ეს მეათეაო. ისინი 9ნი ყოფილიყვნენ.

ეს რასა ნიშნავსო. ასულმა. მოსკოველმა. „ეს არის თქვენი კავკასიური სისხლის აღება?!."

ეს თქვენი მოსკოვური ინტრიგებიაო. თბილისელმა ბიჭმა.

„იმათში მხოლოდ ორია რუსი. ისინიც აქაურნი!.."

„აფხაზი სულაც ერთია. ისიც ქართველია დედითა. აფხაზური არც იცის. რუსულ სკოლაში იზრდება. ერთად არიან. ერთად იწვრთნებიან. დანარჩენნიცა: სამი სომეხი. ორი ბერძენი. ყაბარდოელიცა ერთი. ერთად იწვრთნებიან და ერთად მებრძვიან: ეს აფხაზეთია. აფხაზეთი ჩვენია. წაეთრიე აქედანაო".

„შეუძლებელია. ჩვენ ჰო ერთნი ვართ – ერთ ძმურ ოჯახში?!."

„დიდი რუსი ხალხის მეთაურობითა!.."

დიახ. დიახაცო. ასულმა ამაყადა.

„ასე ვართ ერთნი და ასე ერთ ოჯახში!.. ჩვენ ჩვენს მამულში აღარ გვედგომება. რთული ამბავია. უცებ ვერც გაიგებ".

„არც მინდა გავიგო. ახლა რას აპირებ ან რას ელოდები. ეგ დანა რად გინდა?!."

თავშეუკავებელი აფთარის გასატყავებლადაო. ვაჟმა. ბუდიდან ამოიღო. დანაი. რა თქმა უნდა. ასწია პირი. აიწია. ტკაცუნით გადაიხსნა. არაო. ასულმა. შესძახა მტკიცედა. აღარც დაიხანა. აჰკრიფა თავისი ორიოდ საცვალი. ვარაზისაცა. ორიოდეი. მატარებელს მოახტა. სოჭს გაუტია. ვარაზიანადა. ვაჟი უა-

რობდა. ფეხს ითრევდა. თავმოყვარეობა ეურჩებოდა. გაქირს ვერ შედგა მაინცდამაინცა. ლამაზი გოგო ეწეოდა. ბოლოსდაბოლოსა. იმავე ზღვის სანაპიროდა. იმავე მზეში. იმავე ცისქვეშა. მიწასა იმავეზე. ქართულ მიწაზე. თუმცა გაეტანათ *საქ. სსრ*-დანა, ოღონდ ეს მხოლოდ დროებითაო. 70 წლითაო. მხოლოდდამხოლოდაო. ეს დროც გავაო. თბილისელმა ბიჭმა მალე გავაო, 2006 წელსაო. ერთი ვნახოთ თუ დაგვიბრუნებთო. მე რისი დამბრუნებელი ვარო. კისკისებდა ასული. მოსკოველი. გაიხსენე შექსპირი. გაიხსენე: „თვით ულამაზესი ქალისაგანაც ვერ მიიღებ იმაზე მეტსა, რაც მას გააჩნია".

„შექსპირი ცინიკოსი გახლდა!.." ვაჟმა.

„მეტი აღარავინ აღარ იყო ცინიკოსი?!." ასულმა.

„იყო – ვინც ეს ცხოვრება ასეთად შეჰქმნა!.." ვაჟმა. ოღონდ იმჟამად მხოლოდ იმასა გულისხმობდა თუ რა ხერხით გამოსწირა საუკეთესო სანაპირონი შავი ზღვისანი საბჭოთა რუსეთმა ანუ არნივმა ორთავიანმა ისევდაისევა – საბჭოთავე საქართველოსა. გუბერნიად ქცეულსა. ისევადაისევა. ბარტყსა გაბტყვნილსა. ბუმბულის ამოსვლასაც რო არ აცდიდა. იმასა გულისხმობდა. მხოლოდ იმასა. ხოლო თუ კიდევ რა ხერხები შემოენახა, ამისი დაჯერება ჯერ არ უნდოდა. ეგება რო ვერცა ჰხვდებოდა. ვერა. ვერაო. საბჭოთა პროპაგანდაც რო გაჰყვიროდა იგივესა. გაჰყვიროდა და გაჰყვიროდა: დამთავრდა ეპოქა იმპერიალიზმისაო. თუმცა ეს ეშმაკი ასული რო – მე რისი დამბრუნებელი ვარო... თუნდაც გულუბრყვილობით რო დამართნოდა!.. მაინც ზღვის სილამაზე გამოჰყვა სოჭიდანა. ზღვისა და მზისა. ტყისაი და მთაგრეხილისა. ნიკოფსიიდან დარუბან-

დამდისა. გამოჰყვა და განაცხადა. ვარაზმა. „მოსკოვს გადავალ... მოსკოვის ტექნიკურში..." განაცხადა ვარაზმა და არც მამამ დაუყოვნა. „ლამაზი გოგოები იცის მოსკოვმა. სოჭშიც იქნებოდნენ..." არც დაუყოვნაო ესეიგი და ითაკილა ვარაზმა. დიდად ითაკილა – ან რად მიმიხვდაო ან რად გავეცი თავი ჩემი. ალალადაო. ითაკილა და ჰოი როგორ ითაკილაო – მამას ჰო შემოსწყრა. დედასაც შემოსწყრა. შინ მეტი რო აღარა ჰყავდათ, გაებრაზებინა ამასაცა: რატომ არ არიან, ბარემ იმათაც შემოვწყრომოდიო. მამას არაფრადაც არ ჩაუგდია. ვითომ რა არის – ვერც რას მივმხვდარვარო. თანხმდებოდა – როგორც გენებოსო. თანხმდებოდა და განუმარტავდა. „გადასვლას მხოლოდ ის მიზანი აქვს – სხვა სკოლას თუ გაიცნობ. სხვა სტილსა. გემოვნებასა სხვასა. ისე რა აზრი აქვს?!. ჩვენში – ამ უბედურ იმპერიაში სხვას რას იპოვნი – ერთადერთი გემოვნების გარდა, კრემლის გემოვნებისა!.. რაც რო აქ არის, ჯერ იქ არის. იქიდან მოდის უაზრობაცა და უგემოვნებაცა. არქიტექტურა სილამაზეს აღარას დაგიდევს. აღარც დარგია ხელოვნებისა. კალატოზობაა. მეტი არაფერი. ცოტა ააშენე და ბევრი შეჭედე. პატარა ააგე და დიდი დასტიე. ერთი ბრძანებაა. ერთი კანონია. ერთია მბრძანებელი იქაცა და აქაცა. იარე!.. სდექ!.. იარე!.. სდექ!.. იქ რო ითქმის, აქაც ის გაისმის. განა აქ არ გამოგეჭედა ყურები!.. იქვე უფრო უარესია. იქ ისე სჭექენ – გაგისკდება ყურის ბარაბანი. ისე შენ იცი. შენი ნებაა. რაც შეეხება ლამაზ გოგოებსა..." და აღარ აცდიდა მერე. ვარაზი. ან აქამდის როგორ უსმენდა – ძაღლუმადურადაო. ითქმოდა. გაიხსენა. – მერე მირბოდა. ვითომც მაგვიანდებაო. იჯდა კინოში. *ჩაპაევს*

უსმენდა. მეტი არაფერი რო არ გადიოდა. არც რა ჰქონდათ და სტალინს ეს მოსწონსო. ნეტა რა მოსწონსო – ვერ გაეგო ამდენი ვარაზსა. მართალი გახლდა ცამდისა მამაი – შემთხვევას რო არ გაუშვებდა: ეთათხა მოსკოვი. ეთათხა მოსკოვი როგორც რო მტერი ქართულისა. ხუროთმოძღვრებისა ქართულისა. ყველაფერი რო იქიდან მოდიოდა. ყველაფერი. ზომებიცა ტუალეტისა. იქ რაღა გინდაო. მოსკოვში ესეიგი. მართალი გახლდა. ცამდის მართალი.

შეაპარებდნენ ლექციებზედაცა ასე ამგვარებსა. იშვიათადა. იშვიათთაგანნი. რო მიმხვდარიყო – უნდა ყოფილიყო დიდი ყურუმსაღი. დიდი. დიდი და დიდთაგანი. ვარაზი არ ითქმოდა პატარადაცა – ყურუმსაღობითა. მაგრამ მიხვედრა არ უჭირდა. რაღა თქმა უნდა. შინ რო ეს ესმოდა – არა თუ ფარულადა – ცხადადა. აშკარად. დაუფარავადა. არც ისა ჰფარავდა მეგობრებთანა არც არაფერსა. რასაც გაიგებდა – არცა ჰფარავდა. პირიქით რო ეჩქარებოდა გაშუქებულიყო რო გონებაცა სხვათა. პირველყოვლისა მეგობრებისაო. რაღა თქმა უნდა. და აჰკრიფეს უპირველესი მეგობრებიცა იმისი, ის რო აიყვანეს. ვარაზი. ერთ ღამეს აიყვანეს და ერთ ღამეს აჰკრიფეს. ჩუმადა ისე – ოჯახებმაც რო დიდხანს ვერ გაიგეს სად წაიყვანეს თუ რად წაიყვანეს. რა ელოდათ თუ რას უპირებდნენ. მოდი და ნუ შეაქებ ამ ახლანდელ დემოკრატიზმსა: არც ტელევიზია რო არას დაჰფარავს. გაზეთებიც არა. არც პროკურატურაო. არც პოლიციაო. პირველყოვლისა. ბრალდებასაც რო წინასწარ წამოგიყენებენ. პატიმრობასაც მოგისჯიან წინასწარავე. მოდი და ნუ შეაქებ გამჭვირვალობასა ესეოდენს. რო არც შეგანუხებენ, დანაშაული შენ თვითონვე რო ჩა-

იდინო – იარაღსაც თვითონ მოგიტანენ. ნარკოტიკებსაცა. გაუპატიურებულ ქალსაც მოგიყვანენ თუ დასჭირდებათ. მოწმეებსაცა. რო დაიფიცებენ ბიბლიაზედა. ჩვენი თვალით დავინახეთო. ქვეყანასაც მოსდებენ ყველა არხითა. სახელმწიფოაო. საზოგადოებრივიაო. კერძოაო თუ რაც რო დარქმევია. გამჭვირვალება მეტი რა გინდა. განა რომელი ოჯახი დაიჩივლებს: არ ვიცი არაფერი. რა მეშველებაო. განა რომელი?!. მაშინვე ენას ჩააწყვეტინებენო. იტყვი.

მაშინაც ვერას დაიჩივლებდნენ. მართლაც ენას რო ჩააწყვეტინებდნენ. ოღონდ სხვადასხვა დოზითა. ესეც უნდა ითქვას. თუმცა ჯერ მაინც – მოწმეებიო... მოწმეები!.. საფუძველი მართლისა და განსჯისა მართებულისა. დელში – თუნდ: დელიში – იშოვი რამდენსაც ინებებ. აირჩევ. რა თქმა უნდა. სახელმოხვეჭილსა. დაიქირავებ როგორც ადვოკატსა. შენ მოუყვები შენს გასაჭირს დაწვრილებითა. ოღონდ ალალადა. ოღონდ სწორადა. სხვა დანარჩენი თვითონ იცის: როგორ გააბრუოს მოსამართლეი. როგორ მოაჩვენოს მრუდი მართლადა. თუნდაც მკვლელი იყვე. თუნდაც... ანთუ უარესი რაღა უნდა იყვეს?!. თბილისში ცოტა სხვაგვარადაა. დემოკრატიულში. რაღა თქმა უნდა. მაინც ნიმუში დელიდან მოდის. ახალი პროექტები ჰო ასედაცა დგება – გამოცდილებითა განვითარებადი ქვეყნებისაო. ჩვენი თავისებურების მიხედვითაო. არც თავისებურებანი რო არ ავიწყდებათ. რაღა თქმა უნდა. და ტრაბახობენ მერე ამითი. თავისებურებითა. აქ ამ თავისებურებითა ტრაბახობენ: აქ მოწმეებს შენ არა ქირაობ, შენი დასჯა თუ განუზრახავთ. არა. არა. შენ ამისთვის არ შეგაწუხებენ. მოწმეები თვითონვე მოჰყავთ. არც მოყოლა არ უნდათ

არაფრისაო. თვით ესწრებიან. ჰხედავენ თვალითა საკუთარითა: თუ როგორ მიაქვთ იარაღი პოლიციელებსა. ნარკოტიკებიცა. თუ რაცთუ ნებავთ სახელგასატეხი. როგორ თუ სად მოაფარებენ. ჰხედავენ. ჰხედავენ. მერე თუ როგორ აღმოაჩენენ – ჰხედავენ თვალითა საკუთარითა. ან რაღა მოყოლა უნდა სჭირდებოდეთ ან რაღა ხვეწნაი: ესა თქვი, ანთუ ეს გამოსტოვეო. ის თვითონ იციან. და მოახსენებენ სასამართლოსა – ხელი რო უდევთ ბიბლიაზედა – იარაღი პოლიციამ აღმოაჩინა სარდაფშიო. ნარკოტიკები სხვენშიო. ხოლო თუ ქალიო. გაუპატიურებული. რაღა თქმა უნდა. თვითონ გამოცხადდა პოლიციაშიო. თვითონ დაგვაყენა კვალზეო. სიუჟეტია რომანისა. ასე უბრალოდ არც უნდა გაიხარჯოს. მაგრამ ისიც არის: კვირაში ვინ უწყის რამდენ ასეთ ოქმს მოაწერს ხელსა თუნდაც რო მხოლოდ სონღულაშვილი – მოსამართლეი მთაწმინდაკრწანისისა – ვინ იცის. ვინ უწყის!.. ვილა აუვა ამდენ რომანსა – სულაკაურის გამომცემლობაც ვეღარა. თითმერიასიც ვერა.

V

სონღულაშვილის სამრევლოში შედიოდა სოლოლაკიცა. ან უფრო სწორედ: სამოსამართლოში. შედიოდა და შედის. რო შედის ჰო ეს არის და ესა. რო შედიოდა ჰო ის იყო და ისა – თავი რო უკრეს. ვარაზსა. ვარკუტაში. მაშინ მოსამართლე სხვა იყო. რა თქმა უნდა. სონღულაშვილი რო ოღონდ ისიცა. გვარი თუნდაც სხვა რო ჰქონოდა – არც არაფერიო – სონღულაშვილი რო იქნებოდა თავითფეხამდისა.

ოღონდ მთავარი მაინც ის არის. ამშემთხვევაში. რაღა თქმა უნდა. ვიდრე ეს ჩააღწევდა ვარკუტამდისა. ესა. ვარაზი. სტალინიც მოწამლეს. ბერიაც ზედდააკლეს და ესეც მაშინვე გამოაბრუნეს. ვარაზი. ცხადია. აღადგინეს ფაკულტეტზედაცა და მოერიდნენ კიდევაცა. ორმაგად მოერიდნენ: როგორც რო მტერსაო. ხალხისასაო. გამართლებულსაო. როგორც რო აგრეთვე. რეაბილიტირებულსა ანუ როგორცაო. საბუთების შეგროვება რო დაიწყეს სხვებმა გასამართლებლადა დაღუპული მშობლებისაი, იმან ის იყო თანჩამოიტანა. ჯავრიც ჩამოიტანა აურაცხელი. გაუნელებელი. გაუსწორებელი... მერია ჩახჩახებდა. ბნელოდა იმის ზევითა. ირგვლივაცა ბნელოდა. მერიის თავზე – დროშა რო ებნია – ფრიალებდა მარგარიტაი. არა. რა თქმა უნდა. დროშა ებნია და დროშა იქნებოდა. მაგრამ რახან რო მარგარიტა გახლდა, მოედანზე ნიკალა ჰო უნდა მდგარიყო. ყვავილებით ხელში. იდგა კიდევაცა. ყვავილებსაც უქნევდა. შესძახოდა კიდევაცა: ფრთხილადო. ფრთხილადო. არ გადმოვარდეო. ეტლს დავუძახებ. ჩამოგიყვანო. არც ისე ურიგოდ გამოდიოდა. რახან ზევით მარგარიტა გახლდა, ქვევით ნიკალა უნდა ყოფილიყო. უნდა ყოფილიყო და იყო კიდევაცა. მაგრამ ესეც არ უნდა დამართოდა. თითქოს გაიარა რო ყველაფერმა. აბურდულმა მოჩვენებებმა გაიარა. აბურდულმა. არეულმა. შმაგმა. დამანგრეველმა. ასეთად მწყობრი მიღწევაც გახლდა. მაგრამ გაიარა იმანაცა!.. ჰო დაამშვიდეს. ჰო დააიმედეს მკურნალებმა: მორჩა ყველაფერი. საშიშროებამ გაიარაო. არ გაუვლია. ჯანდაბას და ნუ. ოღონდ თუ როგორ არა. აგერა მერიაი ქალაქისა. აგერა ზეთავი. გაჩახჩახებული. რაღა თქმა უნ-

და. და დროშაი გაშლილი. ბრჭყვიალა დროშაი. ლაღად გაშლილი. ლაღად რო ირნევა და ამცნობს ქვეყანასა არაკსა ახალსა. როგორც რო ბასტილია თავის დროზედა. ზამთრის სასახლეი როგორადაც რო. და აი ესეცა მერიაი თბილისისაო.

ჩახჩახებდა.

ბრიალებდა.

ბზრიალებდა. ზრიალებდა. ძალოვანებითა ახალგაზრდულითა. აღმავლობითა რევოლუციურითა. არც რო არ აკლდა ზრიალი მერიასა. არც რო საბჭო რო ერქვა, არც მაშინ არ აკლდა. შიგ რო ტრიალებდა. ვარაზი. არც მაშინა. რო ეხლებოდა გარედანა, მაშინაც არა. მთა ერთიანად გაჩახჩახებულიყო. ნარიყალასი. სოლოლაკისაი ანუ და ცხადია. იდგა შუქი. დიდი ნათელი. და მისცურავდა დედაი ქართვლისა. მისცურავდა და მისცურავდა. გარსმოუვლიდა საქართველოსა. იყო ყველგანა. ყველგანა. ყველგანა. და არც ფეხს არ იცვლიდა სოლოლაკიდანა. ერთიცა ვნახოთ და გაგულისდნენ *ინტერპრეტატორები* – ენა არ მოგტყდეს. რას იზამ. რასა – ეს სატევარი ტყუილად არ მოუმართია ქართვლის დედასაო – თავი უნდა რო წააჭრას ლენინსაო. იმ აზრითა და იმ მიზნითაო. ძეგლიც ჰო იქ იდგა – წინა საბჭოსი – თითქმის რო ფერხთითა ქართვლის დედისა. ან ეს რა არისო – *ინტერპრეტატორებმა* – ზევით ქართლი და ქვევით ლენინიო (!!!...) შორს აქედან ქართვლის დედაო. და მოინდომეს, სადღაც რო წაეღოთ. თუნდაც კოლხეთშია. თუნდაც აქავე თბილისის გარშემო. განა აკლდა მთები თბილისსა. ოღონდაც შორსა ლენინისაგანაო. ითქვა ეს მაშინვე. *ლანდებში* ითქვა. *ლანდებმა* დასძრახა *ინტერპრეტატორები.* და ისიც ითქვა იმავე ლან-

დებში – ჭეშმარიტება არის ერიო. მაგრამ ვინ გაცდიდა ამის გაგებასა – უფრო მჭექარედ რო გაისმოდა: ჭეშმარიტება მეტია უფრო ვიდრე ერიო. რა არის ეს ბნელი ჭეშმარიტება ერზე რო მეტია, ანთუ ერზე მაღლა რო დგასო. ბნელი. ბნელი. უდასაბამო და უსასრულო?!. დროისას მიჰხვდები. სივრცესაც გაიგებ. როგორმეო და რამდენადმეო. ჭეშმარიტებისა ვის რა გაუგია. ან ვინ სიმაღლე საიდან გაზომა – დედამიწიდანა?.. საუკუნიდანა უბედურობისა?.. აფერუმ ბიჭო!.. დროცა სცოდნია და სივრცეცა სცოდნია. ჯიბეში სდებია ჭეშმარიტებაცა.

დილით კლინიკაში წასვლა გადასწყვიტა. ვარაზმა.

მარგარიტამ შეაფიქრიანა.

წუხელის ჰო –

იმ დილითაცა. ერთი წამითაო. გაჰქრა უმალვე. დროშა გაიშალა. რაღა თქმა უნდა. მაინც გადასწყვიტა. ოღონდ ესაა – წასვლა არ ეწერა. დაუდევრობის გამოცა. ცოტაო. და იმიტომაცა: ფული რო მიიღო ამერიკიდანა. იხმო ამბროსი. ვალი გაატანა. ადვილად ითქმის – გაატანაო. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ამბროსიმა. შენ ვინ გადაგიხადა ვალიო.

მე *ვინა* არა ვარო. ვარაზმა.

რას მიქვიან რო „ვინა არა ვარო". რა დროა, ამასაც ვერა ჰხედავო. ამბროსიმა.

სესხი და ვალი – სესხი და ვალია. დრო რა ყურით მოსათრევიაო.

„დროა ყველაფერი. ყველაფერი დროა. პატიოსნებაცა და უსინდისობაცა. ადამიანობაცა და უადამიანობაცა. ყველაფერი დროა."

„რა დროც არ უნდა იყოს – ჩემი რო სხვასა მართებს, მე სხვას არ უნდა დავაჭირო ფეხი."

„ვისაცა მართებს, იმას დააჭირე!..“

„რა აბადია რო?!.“

„ვისაც აბადია!..“

„იმას რა მართებს?!.“ პასუხი ყველანაირი შეიძ-ლებოდა. დარღვეულა რო ლოგიკის კანონები. მთლიანად ლოგიკა დანგრეულა ერთობლივადა. პოლიტიკაში. ხელოვნებაში. ურთიერთობაში ადა-მიანთა. აღარ ახირებულა მაინცა ამბროსი. სესხიც ჩააბარა. მოიარა საუკეთესო *მარკეტებიცა* – ის მა-ღაზიები, *სუპერმარკეტები* რო ერქვა – სოფიოსთან ერთადა. მარაგი ჰო მარაგად მოიმარაგა. ვითომდა ქალაქს ალყა ელისო. მოიტოვა თავისთვის სასესხე-ბელიცა – გადავიხდი გადასახადსა შუქისაო და ტე-ლეფონისაო. „უჰ... უჰ... უჰ...!..“ შეწუხდა ვარაზი: აქამდის არ გადაგიხდიაო. არაო. ჰოდა გადაიხა-დეო. გადაიხადა იმანაცა და უჩვენა სიაი თავის ვა-ლებისა: აი და შენც აქ შეგიტანეო. ეგეც დავფარო-თო. ფული რო კიდევ მოგვივა ამერიკიდანაო. ვა-რაზმა. შენი ვალებიო.

„შენ რა შუაში ხარ?!.“ ამბროსიმ შეიცხადა – თუ: ამბროსმა შეიცხადა?.. ბატონო?!. „მე მოვკვდი თუ?!. თუნდაც მოვმკვდარიყა, მემკვიდრე ჰო არა ხარ ჩემი?!.“

„არა ვარ და... გადაიხადე!..“

„მოვა დრო და გადავიხდი!..“

„უცადე!..“

„რაო – არ მოვა?!.“

„უცადე!..“ თვითონ აღარაფერს აღარ უცდიდა. ვარაზი. დროს მაინც აღარა. აღარცა რო მარადი-ულსა. აღარც კაცთაგან დაწესებულსა. აღარც პოე-ტურსა. აღარც ფილოსოფიურსა ათქვეფილსა პო-

ლიტიკასთანა. აღარცა რო ხუროთმოძღვრულსა – ღვთაებრივი რო იგულისხმება. რაღაც დარჩა დაუმთავრებელი. უთუოდა. უეჭველადა. ალბათ რო არც დასრულდებოდა. არა. არა. არავითარ შემთხვევაში. არაო და ნუო. ნუუუუუუო!.. მიატოვა და წავიდა. წავიდა. წავიდა. და რაღას ელი სახელდობრ შენა – ადამიანი რო გქვიან და სწორედაც რო შენა ხარ დაუმთავრებელი?!. უცადე. ელოდე. ელოდე. ელოდე... ერთხელაც შეაგროვა თავისი ნახაზები. ცეცხლი უნდა მიეცა. ვერ გაიმეტა. რამდენი ფიქრის შედეგი გახლდა. რამდენი შრომისა. ღამისთევისა რამდენისა!.. ვერ გაიმეტა. ახლაც რო შეაგროვოს?.. ან ისეთი რა შეგროვება უნდა – აგერა თაროებზე. ეგერა კარადებში. ეგერ მაგიდაზე. ვერც ახლა გაიმეტებს. ვერა. ვერაო. არცთუ იმდენად სინანულითა შრომისაო – უფრო თბილისის სინანულითა. თბილისი გახლდა ყოველი მონახაზი. მონახატი ყოველი. ხატი. ხატი!.. უპირველესი. ხატს ვერ დაწვავდა. არადა ეს ხატი სხვას ეპყრა ხელთა. ათამაშებდა თავის ნებაზე. ენება შეამკობდა. ენება შეჰბღალავდა. ანთუ მართლაც ათამაშებდა. აპამპულებდა ანუ!.. აპამპულებდა!.. ეგონათ რო განადიდებდნენ. ანთუ აბრიყვებდნენ მოქალაქეთა – ბრიყვთა ისედაცა – იხილეთ ჩვენ თუ რარიგ განვადიდებთ. გჯეროდეთ ისინი რარიგ ანგრევდნენო. არადა ვერც ვინ ვერც ვერას შეჰმატებდა. ვერც ვერავის რო ვერაფერი დაეკლო. ეკიდა ვეება პანოები შუაქალაქში. წერეთელისა. აჭრელებული ბორბლებითა. დაზგებითა. რაკეტებითა. სკრეპერებითა. საკონტინენტთაშორისო წინაღობითა. ქვანახშირითა. შავიქვითა. გავარვარებული ბრძმედებითა. ელსადგურებითა. კაშხალებითა.

აჭრელებული. მიყრილმოყრილი. რო ვერც ეტეოდა. რო ვერც დასტევდი. მაგრამ ასხმულიყო როგორღაც ისე. შეკრულიყო როგორღაც ისე – ერთი მუშტი რო აიტაცებდა. აიტაცებდა და შეაზანზარებდა იმა სამყაროსა. კაპიტალისტურ სამყაროსა. ეს როგორღაო მხატვარმა იცოდა. ხელოვანმა იცოდა. წერეთელმა იცოდა. რატომღაცა. მხოლოდა. ის გაჭიმულიყო. ის ეფარებოდა აქეთ ანჩისხატსა და სიონსაო. იქით ავლაბარსა. ზევით ფეთხაინსა. ქვევით მაიდანსა. გაღმა ჩულურეთსა. გამოღმა ვერასა. პირიქითაც ითქმის. გააჩნია თუ საიდან გაჰყურებ. ეკიდა და ეფარებოდა ჩაჟამებულ უბნებსა. ჩახუთულსა. ჩაბნელებულსა. ჩალაფულსა. ჩამყაყებულსა. კიდევ რა ითქვას?.. რაც რო გენებოს. ოღონდაც რო არ დაგავიწყდეს: არც ნაძალადევი. არც დიდუბეი. ძველი თბილისი ერთისიტყვითა. ფუნიკულორიდან სხვა პანო დაჰყურებდა: ეგნატოვისა – ერდობანაივნებითა. დაირიანი გოგოებითა. მკლავებგაშლილი გოგობიჭებითა. ჩახლართული ჩუქურთმებითა. ლეჩაქბაღდადიანი ბანოვანებითა. არღნებითა და დუდუკებითა. ვირებითა. ვიწრო ქუჩებში გაჭედილი კინტოებითა. თაბახებითა. თევზები რო გადმოცვენას არიან. ხილეულითა უამრავითა. თაბახებზედა. რაღა თქმა უნდა. დაბრაწულითა. ლოყებივითა ფანჯრებიდან მოჭვრიტინე გონებისა. ესეც თბილისიო. ის სოციალისტური. ეს რომანტიკული. ერთობლივად უნიკალურიო. არცერთი ამათგანი თბილისი არ გახლდა. არც რო ხელი რო არ შეეხებოდა. არა და არა. არამც და არამცა!.. დასდებოდა რო ყადაღაი გაშლილ ველებსაცა საბურთალოსი. ვიწრობებსაცა ვაკისაი. დიღმის მინდვრებსაცა. გლდანის ხევხუ-

ვებსა. მუხიანის ფერდობებსაო. ლოჭინის ხევსა თუ ეგრე განფენობაზე რუსთავიანადა. ყველგან რო ნიში ჩადგმულიყო წერეთლისაი – ესაო ტრაქტატიო. ის დეკაბრისტებიო. ეს ბაგრატიონი და ბოროდინოო. ისაო გორკიო. ლენინი ჰო სადღა აღარა. ესაა – სტალინი რო ამოუგდეს მოულოდნელადა. ბევრგანა ისიცა. ტურუხინოთი თუ რაღაც ამგვარითა. შეცვალა ხრუშჩოვითა. მალევე ბრეჟნევითა. მოიშველია მერე მოდერნი. პოსტმოდერნი. რაცთუ რა ითქმოდა. მაინც ნიში იყო. მაინც ნიშანი. იმ ადგილს სხვა ვერ შეეხებოდა. აწურულიყვნენ ხუროთმოძღვრები. აჩოჩქოლებულიყვნენ მოქანდაკენი. ამოეჩარათ იღლიებში პროექტები თავაანთი. ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ კიბეებზე. ეყუდნენ და ეყუდნენ კაბინეტებთანა. ისხდნენ და ისხდნენ დარბაზებშია. დავობდნენ. კამათობდნენ. ამტკიცებდნენ. ვერც რო ვერ ამტკიცებდნენ ვერაფერსა. რაღა თქმა უნდა. ძველს ვერ შეეხებოდი. უნიკალურსა. ახალს მოსკოვი აპროექტებდა. თუ წერეთელსაც დაათმობინებდნენ – თმობდა ისიცა. სიხარულითა. დედა მოსკოვისთვის დასთმობდა. ცხადია. დედაც სწამდა და მამაც. პაპაცა და პეპერაცაო. იცოდა. წერეთელი გახლდა – ჭიაბერაშვილი ჰო არა!..

ამასაც დაჰქონდა თავისი პროექტები.

ვარაზსამეთქი.

დახვეულები. იღლიებითა.

დაკეცილები პორთფელებითა. *პრეზიდენტები* შემოვიდა რო მოდაში – პრეზიდენტებითა.

პრეზიდიუმებში იჯდა. დარბაზებშიცა. მრგვალ მაგიდებთანაცა და მცირე რამ ოჯახურ შეკრებებზედაცა – დიდი სახელმწიფო საქმეები რო გადაწყვე-

ტილაო, ამას ვერ იტყოდა, მაგრამ რესპუბლიკური მასშტაბისა რო – ამაზე მაინც გამოიდებდა თავსა. მაინც ფეხი უკანა რჩებოდა. არა ეს გამოთქმა აქ არ ივარგებს – ფეხი უკანა რჩებოდაო – აქ უნდა ითქვას: უკანა სტოვებდნენო. დიახ. დიახ. უკანა სტოვებდნენ. საქმე საქმეზე რო მიდგებოდა. ამისი მოსწონდათ. სხვებისას ამტკიცებდნენ. ამას ეთანხმებოდნენ. სხვებს უჯერებდნენ. ამას აქებდნენ. სხვებს აწინაურებდნენ. ჟიური ამას აღიარებდა. კონკურსებისაი. რაღა თქმა უნდა. სხვებს აცხადებდნენ გამარჯვებულადა. ჯერ ამას ვერ გავწვდებით. საზოგადოებაც არ არის მზადა ამისათვისაო. შენი დროც მოვაო. მოვაო. მოვაო. და მოდიოდა და მოდიოდა და მოდიოდა და აღარ მოვიდა. აღარც მოვიდოდა. სადღაც გაჩერდა ან არც დაძრულიყო ადგილიდანა. ჯანდაბას ყველაფერი. ჯანდაბასაო და დოზანასაო. ან რა თავს აკლავდა ან რას აკლავდა თავსა!.. იცოდა ერთიცა. მეორეცა. იცოდა. არაფერი ისე არ გამოვიდა. უნდოდა განახლებულიყო ძველი უბნები. უპირისპირდებოდნენ – უნდა გარდაიქმნას ძირფესვიანადაო. უნდოდა შექმნილიყო ახალი რგოლები. უბნები ახალი. რგოლებადა და რკალადა თბილისქალაქისა. თვითეულს ექნებოდა რო თავისი ცენტრი. გული თავისი. ამაღლებული ნაშენობითა. გარს რო მოერტყმოდა საცხოვრისებიცა ახლებური. თანამედროვე. ბადალი თუ გნებავს დასავლეთისა. თუ გნებავს ბევრად უკეთესიცა. გული იქნებოდა ანთუ ტაძარი. ანთუ სასახლეი მეფისა. ითქვას პრეზიდენტი. ეს თუმცა გულისხმობდა კვლავაც მეფესა. სამეფოსა. საიდან სადამდეცა – ეს თვითონ იცოდა. ანთუ სათეატრო ცენტრი. სამუსიკო ცენტრი ანათუ. სამუზეუ-

მო. საგამოფენო. სასპორტო. სასტუმრო. სამედიცი-ნო. დავრდომილთა. საპატიმრო. კიდევ რაც თუ მოი-აზრებოდა. წარმტაციც გახლდა. წინასწარავე. წამა-ქეზებელიცა. სახალისოცა. დიდებულიაო. ასდევ-დნენ კიდევაცა. დიადია. გრანდიოზულიო. ისედაც მოსწონდათ *მაშტაბური. გრანდიოზული.* აღარც და-ახანეს. შეუდგნენ კიდევაცა – აქეთ სასტუმროო. ხუთვარსკვლავიანი. იქით ტაძარიო საუკუნისაო. ოღონდ ჩააშენეს შუაგულში ძველი უბნებისა. აქო-თებული უბნებისა. ჩალაფულისა. ჩამყაყებულისა. გასაახლებლადაც რო არ ივარგებდა. ანთუ რაღა გა-აახლებსო. სულაც ავყრით. სულაც ახალს გავაშე-ნებთო. ვითომ აყრა ადვილი იყოს. ანთუ როდისაო – ტაძრებიც ჩაშლილა მანამდისა. ტაძრებიცა. სას-ტუმროები ჰო – აგერა სტუმრებიც რო არ მიუღია არც *ევერიასაო.* არც *აჭარასაო.* ისე არ გაპარტახ-და!.. რაღაც რო ვითომც რო განაახლეს კიდევაცა რო!. კედელიც რო გამოაჩინეს ძველი თბილისისა!.. არა. ცუდი რა არის. რაღა თქმა უნდა. – ოღონდაო ანუ მაგრამო – მაგარიც ის გახლავს: რო გამოჰკიდეს აივანი რამდენიმეი თვალისმოსაჭრელადა – თბილი-სობის თვალისმოსაჭრელადა. ნაპირნაპირა. ხოლო შიგნით რო არ იცხოვრება. ერთისიტყვითა. აღარ იცხოვრება. ქუჩაბანდებში *მოსკვიჩიც* რო ვერ გაე-ტევა. ვირი თუ?.. სადღა არიან ან ვირები?!. სადღა...

ან აივნები დაკიდული მეტეხის კლდეზე. თავით ძირამდისა. ძირის აივნებს შესთამაშებდა რო მტკვა-რი. ელამუნებოდა;

ან კუნძული მადათოვისა. ორბელიანებისა. რო გაიყიდა ათასჯერა. რაღა არ ერქვა. ბოლოს შერჩა რო მადათოვი. სადღაა რო ან კუნძული. ანდა სახელი;

ან ჩასასვლელი მეთულუხჩეთა. მტკვარზე;

ან საბანაო. *პლაჟი* ანუ; მტკვარზედა. ცხადია.

ან შენობები მშრალი ხიდის ქვეშა. ზევითა და ქვევითა. რისი მშრალიო. რა მშრალიო. ხიდი მტკვრის ტოტზედა. კუნძულს რო ჰქმნიდა;

ან აივნები ჩულურეთისა. მტკვარს გადამდგარი;

ან რიყის ბაზარი. აი ბაზარი!.. თავმისადგომი აღმოსავლეთ-დასავლეთისა;

ან წისქვილები ჩულურეთისა. დამჯდარი მდინარეზე. მტკვარზე ზედავე. არც საგუბარიო. არც სახეთქელაო. არც ბერლარებიო. იმწესით ააგეს ორთაჭალჰესიცა. წესი დასავლეთიდან შემოიტანეს. სიახლე როგორცაო. პროგრესი ესეიგი. არადა მარკო პოლოს რა პური ეჭამა. თბილისში. ცხადია. იმ წისქვილში დაეფქვათ ხორბალი.

ამისი აღდგენაც მოენდომებინა. ვარაზსა. არა. მარკო პოლო თუ როგორ გაჰხევდა თბილისურ თონის პურსა – არა. არა. იმისი არა. რაღა თქმა უნდა. იმისი. იმისი – მტკვრის თბილისისაი. უნდოდა და აღადგინა. ჩანახატები ჩანახატებადა. პროექტები. ხუროთმოძღვრული. პროექტებადა. სადაც აღმოთქვა იქ ჩაათქმევინეს. ვარაზსა. ცხადია. ზოგმა შიშითა. მოსკოვისაო. რაღა თქმა უნდა. ზოგმა შურითა. ზოგმა დაცინვითა. ზოგმა ტრფიალებითა სიახლისაო. პროგრესისა. დასავლეთისაო. რაც თუ რათაო თუ როგორაო – ამოიბუეს ვარაზი ისე: ზოგს რო ენება რო: გიჟი ყოფილიყო ან სულელი. სულაც რო არა ყოფილიყო. ენება ზოგსა. არადა იყო. არადა გიჟი არ იყო. არცა სულელი. და შეიძულეს. შეიძულეს იმათა – საქმე ჰქონდა ვისთანაც რო. საქმეი. საქმე. სახუროთმოძღვროი. სხვას ყველას უყვარდა. ადამიანებ-

სა. ადამიანურადა. საქმეში ჩაფლულიყო მომეტებულადა და ეხლებოდა სალ კლდესა სიძულვილისა და ფარისევლობისა. ფარისევლობისა. ფარისევლობისა. მომეტებულადა. სიძულვილს აშკარად რო ვერც გაუბედავდნენ. ეხლებოდა და ეხლებოდა. ეხლებოდა. ზედ აწყდებოდა. ნიჭი რო ჰქონდა ცოტა მეტი. სულ ცოტა მეტი. მხოლოდ იმიტომა. ახ, ეს ცოტა მეტი – ნიჭი, ნიჭი ის უბედური!..

შენ ისა თქვი – კამათშიაც რო ჩაითრიეს.

ჰა –

საქმიანში ჰო – პროექტებთან დაკავშირებითა –

უსაქმურშიც რო!..

ამას ასე დაარქვა – უსაქმურშიო. მერელა დაარქვა. მერე რაღა დროსა!..

ჩაითრიეს თუ ჩაჰყვა. ჩაჰყვა თუ რაც იყო – კინაღამაც გადაჰყვა თანა. ანა რაღაო და კინაღამაო – გადაჰყვა და ეს არის. ძალას რო იტანს. ეს სხვა საქმეა.

გადაიქუხეს შემზარავმა ბოლშევიკებმა. მამამისი რო ჩაჰყვა იმათა – კინაღამ მოინელეს. ამასაც ურჩევდა მამაი. საკუთარი: დაეხსენიო. რაც იყო, ის არის. ახლა თითქოს სხვა სუნი უდის. ოღონდ ის არის. ყველგან ის არის. ყველაფერი ის არის. ყველაფერი იგივეაო. მაცდურიც იგივეა და ცდუნებულიც იგივენი არიან. შეაცდინეს ჰო. ბოლშევიკებმა. *მარი* – თვით *მარი* – ყველაფერი კლასობრივია. არც რა არსებობს კლასობის გარეშეო. არაო. არაო. რაღა თქმა უნდაო. არავინ დამასწროსო – გურული არ იყო!.. კლასობრივია ენაცაო. თვითონ დაასწრო და თვითონვე წაიტეხა კისერი. როგორაო – სტალინმა. ენათმეცნიერობაც რო მოინდომა. სტალინმა. *მოდი* და *წადი* რო სხვადასხვაგვარად ეთქვათ კაპიტალის-

ტებსა და პროლეტარებსაო, რას გააგებინებდნენ ერთმანეთსაო. ვერაფერსაო. რაღა თქმა უნდა. ვერაფერსაო და უთაქა და უთაქა. სტალინმა მარსა. უთაქა და უთაქა. შენც რო ვითომ მეცნიერი ბრძანდებიო – ამდენიც არ გაგეგებაო. დასცინა. აპამპულა. აბუჩად აიგდო. აიგდეს მერე ენათმეცნიერებმა. წვრილფეხობამაცა. რუსეთში ჰო და საქართველოში უარესადა. ეგეც მაგასაო, წინააღმდეგი რო გახლდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისაო. ეგეც მაგასაო. ეგეც მაგასაო. იქ არც ჩარეულა. ვარაზი. ცხადია. იმ კლასებსა და კლასობანაში. და მაინც იქ ამოჰყო თავი. უსაქმურ დავაში. საქმის კაცმა. თუმცა საქმეს რო არც ანებებდნენ. კლასებში თუ არაო – გაიბლანდა *ევოლუციაში*. დავაკამათში გაიბლანდა. ერთისიტყვითა... ვერიდებოდი ღოლოსაო. დამიხვდა ბაღის ბოლოსაო. ევოლუცია ჩუბინაშვილს გამოუგონეს. ანთუ თვითონ გამოიგონა ეროვნულის გადასარჩენადა. ხუროთმოძღვრებაში. აქ ეს არ არის საძიებელი რაღა თქმა უნდა. ვარაზიც რო იქ გაიხირა, ის არის მხოლოდ გასახსენებელი. დასაძრახისიც არ უნდა იყოს: ხუროთმოძღვარი ბრძანდებოდა. ბოლოსდაბოლოსა. საქმე საქმედ თუ იღუპებოდა, თქმით მაინც უნდა მოეჯერებინა გული როგორმე. როგორმე. როგორმე. კაცი ზეზეულა დაიხრჩობოდა უთოკოდა და უსახრჩობელოდა. და მაინცა – ევოლუცია პოლიტიკად ექცა. პოლიტიკა – რევოლუციადა. რაც რო ენებათ, იმას დაირქმევდნენ. დამშლელი ვინ იყო. იცვლებოდნენ ხელისუფალნი. იცვლებოდა ზნეი თბილისისა. თბილისით თამაში არ იცვლებოდა. თბილისში იბრძოდნენ. თბილისით იბრძოდნენ. თბილისს ებრძოდნენ. ემხობოდათ თბილისი თავზედა.

ცა ემხობოდათ. მიწა იძვროდა. ეს მხატვრულ სახედ არც გეგონება – მიწა იძრაო – იძრა ჰო მართლაცა. იმ არეულობაში თბილისელებისა. შექანდა თბილისი. დაინგრა შენობები. უფრო ძველი და უფრო მოსაფერებელი. ერთთათვისა. მეორეთათვის ხელსაყრელი. რაღა თქმა უნდა. მეორეთათვისა: ვინც იშენებდა. ვინცა შენდებოდა. ფეხს მოიკიდებდნენ მთავარ უბნებში. პრესტიჟულშიო. იყოს პრესტიჟული. პოლიტიკად რო იქცა მიწისძვრაცა. ეს არის მთავარი. გადატრიალებად იქცა. რევოლუციად იქცა. მთავარიც ეს არის და გაიბლანდა. გაიხირა თუ გაიჭედა ვარაზიცაო – ასე გაიჭედა: დიდხანს რო იწვა საავადმყოფოში. დიდხანსა. კარგახანსა. რო მომჯობინდა როგორც რო იქნა, მაინც ასდევდა მოჩვენებანი. ხან თუ დროდადრო, აკვიატებითა ხანდახანაო.

იმიტომაცა და ამიტომაცა –

ამოჰყო რო თავი – ხან კომისიებში. ხან კომიტეტებში. ხან დეპარტამენტებში. მდევრებისაიო თუ დევნილებისაიო. ოპოზიციისაო თუ პოზიციისაო. ყოველთვის იყო რო შემწყნარებელი და მაინც –

ეჰაა... ფრიალებდა მარგარიტაი დროშის ტარზედა მერიისა. ხან როგორც რო მარგარიტაი. ფიროსმანისაო. რაღა თქმა უნდა. ხან როგორც მანეს შიშველი ქალი ბუნების წიაღში კბილებამდე შემოსილ მამაკაცებთანა. *საუზმე მდელოზე.*

ეს კიდევ არაფერი. ვითომც არაფერი –

ფანჯარა შემოხეთქა. ქარმა. რა თქმა უნდა. ვითომ სხვა რაიმ რად იქნებოდა!.. შენა თქვი ვითომაო. და აღმოჩნდა დედაი ქართვლისა. სატევარითა თავისითა. ფიალითა თავისითა. რა მოხდაო. იკითხა ვარაზმა, გადაეყუდა რო ფანჯარასაცა. მერიის კოშკი

მიანიშნა ქართვლის დედამა. არც არა უთქვამს. აღარც რო დროშაო. აღარც მარგარიტა. აღარც ქალბატონი მანესი. ბუშტი ქანაობდა დროშის ტარზედა. სახითა მერისა. თვით მერისა. ქალაქის მერისა.

მე დამეძებს. მე დამდევსო. ქართვლის დედამა. სატევარი უნდა წამართვას. ფალოსი ჰგონია და თავისთვის უნდაო. დახურე ფანჯარა. არ მომაგნოსო.

ერთი გაჰბედოს და მე აგერა ვარო. ვარაზმა. ცხადია.

მეც აგერა ვარო. ალგეთის დედამა. ალგეთის ლეკვებითა და სატევარითა ისიცა აგრეთვე. არ დაყოვნებულან ალგეთის ლეკვები. ნემსისოდენი აათალეს სატევარსა. ფრჩხილით აათალეს. დაარჭეს რაფაზედა. და მოსწყდა ბუშტიცა ტარსა დროშისასა. იქ ისევ აფრიალდა ორი მარგარიტაი. ხან ფიროსმანისაი და ხან მანესიო. ხოლო აქ ნემსზე აეგო ბუშტი. ერთი დაიკვნესა და ჩაიფშუკა. აღარც სად დედანი. ფანჯარა რო არც გაღებულა. რის ქარი. რა ქარი. რის დედანი თუ ლეკვები ალგეთისანიო. ფანჯარა რო მაინც გამოაღო. ვარაზმა. იქ მართლაც ეგდო ბუშტი. ჩაფშუკული.

იყავი თუნდაც შემწყნარებელი. ის იყავი თუნდაცა: ფეხი რო არ დაგიდგამს ჭიისათვისა. ღმერთი იყავი თუნდაცაო. იყავი რა!!!.. ან ღმერთი ვიღას დაუნდვია რო არეულა წუთისოფელი. შეჰხედე. ინდობენ განა!.. ყველას რო მოჰხვდა – მოჰხვდა ამასაცა. ვარაზსა. ვარაზსა. რაღა თქმა უნდა. პრესითა თუ ტელევიზიითაო. რო არც აკმარეს... ესროლეს თავის სადარბაზოსთანა. სტუმარი ახლდა. სტუმარი მოუკლეს. დააჯახეს შუაქალაქში. მანქანა დააჯახეს. ეს გადარჩა. იმათ გაასწრეს. საქმე აღძრულია. ვერსიები

გვაქსო. შემსრულებელსაც მივაგნებთ, შემკვეთსაცაო. პროკურატურამა. ისემც რა უთხარი!.. მერე თუ რა იყო – რიკოთზე მანქანა გადაუბრუნეს. ეს ძლივს გამოაძრეს დაჭეჭყილი მანქანიდანა. კარგად ახსოვდა ეს ყველაფერი. ფსიქოტერაპიის კურსიც გაევლო. რაღა არ გაევლო. არ ემკურნალათ თუ რიღათი არაო. თუმცა ამერიკაში არ წაუყვანიათ – იქ განსწავლულები ჰო ადგნენ თავსა. იმათებური სერთიფიკატებით ადგნენ. წაიყვანდნენ წაყვანითაცა. ოღონდ დაძვრაც არ ივარგებდა. შერყეულიყო ისე იმგვარადა. ტვინი ერყეოდა იმგვარადა – ლამის გაყრილიყო ხორცი და ძვალი. სული ჯერაც ჰო არ დაშოშმინებულიყო. დავძრათ თუ არა, გაიყრებაო. ხორცი და ძვალიო. რაღა თქმა უნდა. სულს ვინ დაეძებდა?!. უწვათ განყოფილებაში რეანიმაციისა. უწვათ უძრავადა. ღონობდნენ ყველაფერსა. ყველაფერსა. ყველაფერსაო. რისთვისაც რო მიეღწია მედიცინასა ევროპასაო თუ ამერიკაშიო. ღონობდნენ და იღონეს – ადგა რო კაცი. დადგა ფეხზედა გადადებული საიქიოდა. დადგა და დადგა. ოღონდ ესაა – ჩაიარა რო ბევრმა წყალმა ამასობაში. რევოლუციაც მოხდა. თურმე. ვარდებისა!.. ესეც იმას მიეთვლებოდა. რაღა თქმა უნდა. ბევრმა წყალმა ჩაიარაო. იგივე მტკვარმა. კიდევ ჩარეცხა თბილისი. ტურტლიანი. ბევრი ვერაფერიც რო ვერ გააცალა. ისევე დაჰხვდა, როგორიც დატოვა. მხოლოდ ესაა რო აღარ დაეცდიათ: რო იხვეწებოდა შევარდნაძეი – წელიწადნახევარიღა დამრჩენია. დამაცადეთ ესეცა. მომათავებინეთ ბარემღაო. აღარ დაეცლიათ. ვეღარ მოეთმინათ. კრწანისის მამულში მოეყუჩებინათ: დაჯე და წერე მოგონებანიო. იჯდა და წერდა. საბედისწერო კრწანისში იჯდა. ერეკლე II-

ც ჰო იქ დაეცა. მოგონებანი იმას არ დარჩენია. ერეკ-
ლესა. ეს მეორესაც დაუტოვებს შთამომავლობასა.
შევარდნაძეი. მოგონებებსა. რაღა თქმა უნდა. უფრო
გონივრულსა. დამაფიქრებელსა უფრო. იყიდებოდა
რო კრწანისიცა. რაღა არაო. კრწანისიცა. რაღა თქმა
უნდა. მაშინაც გაჰყიდეს. ერეკლეს დროსა. ღალა-
ტით დასცეს თბილისი მაშინაცა. ახლა იყიდება. პირ-
დაპირ იყიდება. პრეზიდენტყოფილიანადა. შენ მანდ
იჯექი. იჯექი და წერეო. ჩვენ ამ ფულით სასახლეს
ავაგებთ. ახალ სასახლესა. ისნის სასახლესა. ახალი
და ახალგაზრდა პრეზიენტისათვისაო. შენ იჯექი და
წერე. წერე. რაც გენებოს. სახელი გაგტეხია ისე იმ-
გვარადა, მართალსაც აღარ დაგიჯერებენო. წერე და
წერე. წერე და იკითხეო. აქ... ესენი რა იქმნენ?!. დე-
დანი. დედანი... აკი წავიდნენ!.. იქ ისევე ფრიალებს
მარგარიტაი. მარგარიტაი და შიშველი ქალი. ფიროს-
მანი და მანე. მანე და ფიროსმანი. ბუშტი ჰო ჩაიფუფ-
ქა. აგერ არ ეგდო?.. გაიტანა ჰო სანაგვეშია...

VI

ფანჯარა უნდა მიეხურა და მიხურულიც დაჰ-
ხვდა და გადარაზულიცა. კარი უნდა ჩაეკეტა და
დაჰხვდა ჩაკეტილი.

ეს არ უნდა გაჰკვირვებოდა და არც გაჰკვირვე-
ბია. ჰო დაიმედეს – რო გამოუშვეს საავადმყოფო-
დანა: ესეც გაივლისო. *ესეცაო*. რაც რო დასჩემდა.
ნუ შეგეშინდებაო. ნურც გაიკვირვებო. ისეთი მძიმე
დაჯახება გადაიტანე. ზოგს *ეს* ისედაც ემართებაო.
არც გაჰკვირვებია. ერთისიტყვითა. არც *ესა* და არც

ისა – თავაანთი ლოგინები რო გაიტანა. სოფიომა. გასამზეურებლადა და მიმართა ამასაცა: შენსასაც გავიტანო. თქვენსასაცაო – ასე მიმართავდა. აერეოდა ოღონდა ზოგჯერა. მეზობლები იყვნენ ბოლოსდაბოლოსა. თანაც სუფრა რო გაუერთიანდათ!.. უარს რას ეტყოდა. კიდევაც გაეხარდა. სიამოვნებდა გამზეურებული ლოგინი. დიდედას მიერ გამზეურებული. იმისი გემო იქიდან გაიგო. გამზეურებული ლოგინისაი. დიდედასგანა და დიდედას დროიდანა. რო გაასპეტაკებდა გაფიცხებულ ლოგინსა. კიდევ რო ამოჰკრავდა ბალიშსა ხელსა. რო გაუწკაპუნებდა ამასაცა თითებსა გრძელსა. მოფერებითა. რაღა თქმა უნდა. დაბრანულ თუნთულებზედა. რაღა თქმა უნდა და რაღა თქმა უნდა. შეაცურებდა მერე რო საბანქვეშა. სიამოვნება ის გახლდა უაღრესი. ძილიც ის გახლდა. ბავშვური. ტკბილი. რო აღარც რო განმეორებულა. ოდნავად თუო. მკრთალადა. ლანდადა. თუ გაუტანდნენ ლოგინსა მზეზე. თუნდაც ასეთზეო – რო აღარცა ჰგავდა მზესა თბილისის მზეიო. აღარცა ფიცხობდა ისე იმგვარადა. აღარცა სწვავდა მაცოცხლებლადა ისე. იდო ლიბრადა. მოშვებული. მოდუნებული. იდო და იდო. აღარც რო ვიდოდა. იდო და იდო. და ჩაჰქრებოდა. იქვე ჩაჰქრებოდა, სადაც რო იდო. ახლა მთვარეო?!. თქვი: პოეტი აღარა ჰყავს თბილისსაო – რა პოეტია უმთვარო პოეტი. ანთუ თბილისი რა თბილისია უპოეტოდა!.. რაც არის, ეს არის!.. სული უნდა უბერო. სული. სული. იქვე უნდა დაჰხვედროდა ქართვლის დედაცა – გამზეურებული ლოგინის მერე – დაჰხვდა იქვე. ღრუბლებში თუმცა. მაინც თავისივე სატევარითა. ფიალათი თავისივეთი. გოროზი თვალითაცა. ადვილად ვინმეს შემოუბედი-

აო. აღარც მარგარიტა ბზრიალებდა მერიის თავზე. არც რო ნიკალას მერიის წინ არ დაეჩოქა. მანე ჰო აღარც გაჰხსენებია.

იქ რა უნდოდა ნიკალასა – ერევნის მოედანი რო ერქვა.

რუსებმა აიღეს ერევანი. იქ იზეიმეს – თბილისის მოედანზე – და სახელიც უწოდეს სამახსოვროდა.

იქ რა უნდოდა ნიკალასა – ის დიდებულთა მოედანი გახლდა. ეტლებიც იქ იდგა. კარეტებიცა. ცხენებიცა დარახტული. რო სტუმრობდნენ სოფლური დიდებულნიცა. ეტლები რო იდგა მოედანზეცა სადგურისაო. იქ დაიქირავებდა ეტლსა. ნიკალაო. მარგარიტასაც იქ ჩაისვამდა. შემოუქროლებდა მუშტაიდსა. მოედანს არა. ერევნისასა. იქ რა უნდოდა.

ქარვასლაც იქ იდგა. სუპერმარკეტი. მაშინდელი სახელდებითა. სავაჭრონი აუარებელი. საქეიფონიცა. დიდებულთა. ნიკალას იქ ვინ მოახატვინებდა. მოსკოველი მხატვრები პარპაშებდნენ იქა. ანთუ მოსკოვში ვისაც ესწავლა. ქართულად ოღონდ რო კრინტს არ დასძრავდა. ნიკალამაც იცოდა რუსული. რკინიგზის რუსული. რკინიგზის რუსული იქ არა სჭრიდა. სადგურის მოედანზე სჭრიდა. ნიკალას ყალამიც იქავე სჭრიდა.

ოპერაც იქ გახლდა – ერევნის მოედანზე. ნიკალას რა უნდოდა იქა. მარგარიტაო?.. აგიხირებია. რომელი მარია კალასი ისა გყავდა. მარგარიტაო. ან იმას რა უნდოდა ოპერაში. დიდიდიდი პიაფი გახლდა – ედიტ!.. ავჭალის თეატრში თუ გამოვიდოდა. მცირე სცენაზეცა მუშტაიდისა. ეტლიც იქ გახლდა. ყვავილებიცა. სასტუმროებიცა იაფფასიანი. არ გაგიკვირდეს – ნომერს აიღებდა *ფრანციაშიცა*. მაშინ ფუ-

ლი ჰქონდა. მაშინ კაი ქარი უქროდა ნიკალასაცა. ზოგჯერ უქროდა კაი ქარი. და ისედაცა: არც რო ისეთი უტუ ვინმე გახლდა ნიკალაი: ბიოგრაფოსებს როგორც როო; ანთუ როგორც რო წარმოგიდგენენ გამომხატველნი. არა. არა. ნუ დაიჯერებ.

გაკვირვებით ჰო – არ გაჰკვირვებია არც ისა. ვარაზსა. – მარგარიტა რო ბზრიალებდა დროშის ტარზედა, არც ისა – ცხადია – დროშა რო ფრიალებდა. ახალი დროშაი. სუსტადა ფრიალებდა. სუსტი ქარი რო ძლივს ერეოდა – იმხელა გამოეჭრათ. შენგელაია მხრებს იჩეჩავდა: ჩვენში ზომიერება ჰო არ იციანო. არც ზომიერება. არც ზომა. არც სიგრძე. არც განიო. სუფრას გაჰშლიან ისე იმხელასა, სტუმარი რო აღარა ჰყოფნითო. სამარეს მოიზომავენ ისე იმხელასა, ხუთი მკვდარი რო ჩაეტევაო. წყრებოდა ვაჟბატონი. ის დროშა იმას გამოეგონა. მედროშეობას არ ანებებდნენ. „ესაა კაცობა!!!.." უკვირდა ამასა. შენგელაიასა. ვარაზს არაო. უკვირდა. ოღონდ არც ხმა ისმოდა. არც მოპასუხე არსაით მოსჩანდა.

ჩამყუდროვებულიყო ბინაი ვარაზისა.

მზითა. მზითა. ცოტაო თუ ოდნავ გამოცოცხლებული მზითა:

მზე შინ ესვენა. სხივოდა საბანი. ბალიში ხასხასებდა. აფუებული ისე იმგვარადა დიდედა რო ააფუებდა. მხოლოდ კუნჭული ჩაღრმავებულიყო. თავი რო დასდო. აღარც განძრეულა.

იქ ექოთქოთათ თუ ქოთქოთობდნენ – მერიაშიო. იმას იქითა თუ ზევითა იმისი. იქ მაინც – მერიაში – აქაოდა რევოლუცია აქედან დაიწყოო, აღარც დღე ეძინათ და აღარც ღამეო. ნაციონალებს შიშითა ლეიბორისტებისა – ემანდ რაღაც არ გვიხიმანონო. ლე-

იბორისტებს შიშითა ნაციონალებისა – ემანდ აქედანაც არ გაგვყარონო. ვინ ვის ნიშნს უგებდა. ვინ ვის კბილსმოსჭრიდა. ვინ ვის გამოსდებდა სარმასა. მერს მაინც ვერასგზით ვერ მორევოდნენ. ქალაქის მერსა. ჩაგვერა გახლდა. სარმით ვერაო. არადა სარმებში გაწაფულიყვნენ. მოგვერდიც იცოდნენ. წამოკიდებაცა. ეს დალოცვილი ქართული ჭიდაობა, მოიცავდა რო ხერხსა ყოველსა, პოლიტიკაშიც ისევე შესულიყო. ამას მაინც ვერ მორევოდნენ. ქალაქის თავსა. ვერც წარსულითაო. ვერც აწმყოთიო. ვერც მომავლითაო. ამას თვითონ იქადნებოდა. წარსულით დედა არ დაინდეს ჰო?.. ქართვლის დედაი. ანთუ უფრო რო გააგულისეს, გამოიწვიეს. აამხედრეს. იმას ყურადღება არც მიუქცევია. არც ახლა ჩააგდებდა არც არარადა რო არ შესჩენოდნენ ლეიბორისტები – არაო. ეს როგორ გაგიბედაო. შედგნენ ტრიბუნაზე. და შესდგნენ მერსა ქალაქისასა. იმ ჩაგვერასა, პატარა კაცსა. დიდი გულითა. სარმა რო ვერსაით ვერ მიუდგებოდა. ვერც ცერულით ვერაფერს რო ვერ დააკლებდნენ. ამოჰკრავდნენ და აისვროდნენ მაღლა. მაღლა და მაღლა. ის ისედაც რო მიიწევდა. გაბედულადა. შეუპოვრადა. გმირულადაო თუ გმირთა გმირულადა. მიიწევდა და მიიწევდა. დედას რო შეჰბედა – რაღა ქართვლისასა და რაღა საკუთარსა. რახან ფროიდია, ფროიდი იყოსო – ფილოსოფიის დიპლომი ედო. უნივერსიტეტისა. თბილისისა. ჯავახიშვილისა. ეს რა სატევარი გიჭირავს ხელშიო. ეს რა ჯამია. შიგ რა გისხიაო. აიგდო ასე. შეჰბედა და გაუკადნიერდა. და აუხსნა თვითონვე: სატევარი ფალოსი გახლავსო. ჯამიც ისაა – წამარჯვებული. დანარჩენი რაღა გითხრაო. თავს შეიკავებდა

ზრდილი ყმაწვილი. ისემც რა უთხარი!.. ლეიბორისტები განაგრძობდნენ. ახლა. სწორედ რო წინ უყელეს. განაგრძობდნენ და აგვირისტებდნენ: ინებეთ ბატონო, ესეცა მერი, ანალიზი ესეცა ძეგლისაო. ძეგლებისაო. ალგეთის ლეკვებსაც ნუ დაივიწყებთო. ინებეთ და ეფერეთ. ეფერეთ და ელოდეთ. მოქანდაკეებოო. ხუროთმოძღვრებოო. ხელოვანნო სწორუპოვარნო თუ რა რიგ აჰხსნიან ნაღვაწთა თქვენთა ანუ ეს და მსგავსნი ამისნიო. შურსიძიებდნენ ლეიბორისტები. ანთუ თავს იზღვევდნენ. ანთუ რაც იყო – ახტოდა ჩაგვერაი. აჰხტოდა. დაჰხტოდა. კორუპციას ებრძოდა. ერეკებოდა ძველ თანამშრომლებსა. სამსახურიდანა. ახალბედებს იკრებდა გარშემო. ახალბედებსა. უწვერულებსა. გამოუცდელებსა. გამოიცდებოდნენ ესენიცა. მალე. სულ მალე. ჯიბესაც გასწევდნენ ქრთამისათვისა. არც რო მახლობლებს მფარველობას არ მოაკლებდნენ. მანამდე ესა. მერი რა თქმა უნდა. არც სხვა რეფორმებს არ დაახანებდა. რეფორმა!.. რეფორმები!.. ისმოდა რო ირგვლივა. ზევიდანა და ქვევითქვევითა. ეს ყველას დაასწრებდა. მერი. ესეიგი. თბილისქალაქისა. ნარკომანიას შეეჭიდებოდა. მერიას გავწმენდ ნარკომანთაგანაო. და მიინვევს მოანალიზეთა სამსახურშივე. მერიაში. რაღა თქმა უნდა. დილის 9 საათზე. აქვე აუღეთ ანალიზიო. იმათ მასალა მოითხოვეს. რაღა თქმა უნდა. შარდი ესეიგი. ბოდიშით ითქმის. მაგრამ უნდა ითქვას. რას იზამ. მასალა ეს არის. რაიმე სხვა რო არ იგულისხმო. შინ დავტოვეთ მასალაიო. თანამშრომლებმა. მაინც მოაგროვეს მერედამერე. საუზმის მერე. განსაკუთრებითა. მერი მოითხოვდა. მერი თავს ადგა. პირველად თვითონ გაავსო ბოთლი. *კოკაკო-*

ლასი. ზოგს არ მოუნდა. ესეც ძალაარ. ვინ მოეშვა რო!.. შინ დაესხნენ შუაღამისასა. ვითომ ახლაც არ მოგინდათო. აქ პრეზიდენტიც ჩარეულიყო. 12 საათზე მასალა აუღესო. ბრძანებდა პრეზიდენტი. 3 საათზე ანალიზი ხელთა მქონდაო. და გაისტუმრა. მერმა. მერიიდანა. მხილებულნი. რაღა თქმა უნდა. და მისდგა ახალ რეფორმასა: ონანიზმომანებიც უნდა გამოვავლინოო. აქ ხელი შეეშალა. ვერ დაითანხმა მოანალიზენი. არც უკან დაიხია. ნაციონალი გახლდა. უკან დაიხევდა?!. ეს რა სათქმელია. რა საკითხავია?!.. გამართა თათბირები ევროპელებთანა. ამერიკელებთანა. გარდამავალ ქვეყნებთანა აფრიკისაი. თქვენ როგორ მოაგვარეთ ამგვართა საქმეო. ონანიზმის მოყვარულთაო. საკრებულო ედავებოდა. ფრაქციაი ლეიბორისტებისა. აღარ ავირჩევთ და ზოგი მაშინ მოაგვაროსო. იქაქანოს და იქაქანოსო.

თუმცა და მაინც –

რა ამისი სანაღვლო გახლდა –

ვარაზისა –

ვინ სად იქაქანებდა თუ ვინთუ ველარც იქაქანებდა. ვინთუ ვისი მედროშე იქნებოდა. ვინთუ მეკუჭნავეი ვისი. ვინთუ ფილოსოფოსი იქნებოდა. ვინთუ ფალოსოფოსი. განვითარდებოდა დარგი ესეო თუ მოთავდებოდა აქა – თავისი სიმაღლისათვის რო მიელნია. მწვერვალისათვისა. თვალსაჩინოებანიც რო ჰქონდა უკვე ქანდაკებაში. ახალი. უახლესი. ხოლო ლიტერატურაში ჰო დამკვიდრებულიყო კარგახანია. არ ამტკიცებდა განა პროფესორი ჰარვარდის უნივერსიტეტისა – აქ რო თბილისისაო, იქ ჰარვარდისა – სხვა რა არის თოფიო ოთარაანთ ქვრივისა – რო სწმენდს რო ჰკოცნის, გულში რო იკრავს, ლაჯებს

რო უჭერსო – სხვა რა არისო. რა არის სხვაიო. თბილისში კიდევ სხვაც ჰო ამტკიცებდა, ანთუ მოუწოდებდა: დააკვირდით გვირაბსაო ნესტან-დარეჯანისა, დარაჯანი რო ადგანან დღედაღამაო მშვილდებითაო და ისრებით სავსე კაპარჭებითაო. დააკვირდითო. დააკვირდითო. ესეც თბილისშიო. ინსტიტუტშიო ფილოსოფიისა. ფალოსოფიასაც რო ჩაჰყროდა საფუძველი. ჩაჰყროდა და ჩაჰყროდა. მწვერვალს ასულიყო აქამდისაცა თუ ესაა ავიდა და ამას ამტკიცებდნენ ლეიბორისტები სწორედაცა – რა ამისი სანაღვლო გამხდარიყო მართლაცა და მართლაცა. თავში ქვა ეხალათ და მუცელშიო სამართებელი. ერთსაცაო და მეორესაცაო, ისედაცაო და იმ იმწუთშიცა – მითუმეტესაო, ბალიშით რო სიამოვნებდა. აფუებულითა მზითა. მზით რო სიამოვნებდა. ბალიშით შემოტანილი მზითა. ამითიც გამოცოცხლდა. ამითი მობრუნდა ამქვეყნად მეორედა. რა ვუყოთ თუ აქ დახვდა იგივეი – *აპოკალიპსი* – რა ვუყოთ. რა ვუყოთ. განათუ რას უქადიდა სხვასა ახალი აღთქმაი?.. ბალიში გახლდა. მზით სავსე ბალიში. ჯვარდასმული დიდედის ხელითა. ოღონდ ეს მერეო – ჯერ რო კუნჭულებში ჩაავლებდა თითებსა. გრძელ თითებსა. ირიბადა. შემოჰხუთავდა და გაბერავდა. კიდევა და კიდევა. ააფუებდა. ააფუმფულებდა. დასდებდა მერე სწორედ რო შუალადა. ჯვარსაც მერეღა რო დაასვამდა. ოღონდ ისე რო შეეხებოდა თუ არაო. ჰა და ჰაო. შეეხებოდა თუ არაო. ჯვარი მაინც იჯდა. მზე და ჯვარი. დაგედო თავი და მისცემოდი ძილსა ისეთსა. მოსვენებასა ისე იმგვარსა, მერე რო აღარ გეღირსებოდა. არა. აღარა. დიდიდედას მერე. ეგება რო ვერც გااცილებდი სამარემდისა. სადღაც გაგისროდა რო წუთი-

სოფელი. ჩაგიბამდა. ჩაგიდევნებდა. გათრევდა. გათრევდა აგერ აქამდისა. რო აღარც იცი რო სადამდისა. ანთუ რა არ იცი – რო აღარ უნდიხართ. სწორედ იქამდისა. მაინც არ ეშვები. არც ეს რო არ გიკვირს – არც რო არავის არავინ არ უნდა, არც შენზე არ არის რო დამოკიდებული. თანაც ის მზეო – ბალიში მზითა...

ის დაალანდა. პირველად ისა. ჯერ რო ვერც გაეგო თუ სად იყო თუ რადაო. რამდენი ხანია თუ რა გადახდაო. ჰხედავდა თითქოსა. ვერც ვერაფერს რო ვერა ჰხედავდა. ესმოდა თითქოსა. არც რა არ ესმოდა. იგონებდა თითქოსა. არც აგონდებოდა. სურდა რო თითქოსა. არც რაი სურდა. არა. არაფერი. სულ არაფერი. ის მაინც მოესურვა – დიდიდედას ბალიში. ბალიში მზისა. დიდიდედას ხელგამოკრული. მოესურვა თუ ჯერ იგრძნო, სურვილმა დარია მერეღა?.. აღარც ეს ახსოვს. ის ლანდი ახსოვს. მხოლოდღა ლანდი. ვისაც რო ჰკითხა. გონს რო მოეგო. ის არ აღმოჩნდა. ვერც სხვა ვერავინ ვერ მოინიშნა. იცვლებოდნენ რო მიმსვლელები. მომნახველნი. მომვლელნიცა. ვის აღმოაჩნდა ის ისეთი ხელი, ამას ჰო ვერაფრით ვერ მიჰხვდებოდა – მზეზე ბალიში თუ ვის გაეტანა, ყურადეღო ესეც არავისა. „აუჰ!.." ჩერჩეტო ჩემო თავო. ვარაზმა ცხადია. „სოფიო!.. სოფიო!.." ვარაზმა. ვარაზმა. ისევა. ცხადია. არაო. სოფიომა. „აბა რას ამბობ!.." ჩვენ ჰო არც ვიყავით ასე ახლოსაო. „ან რა დღეში ვართ!.. ვის ვისთვისა სცალიან?!." მეზობლის ჭირი, ღობეს ჩხირიო...

„არ არის კარგი!.." ვარაზმა.

„ეს არის კარგი?.. ვის მივეტმასნოთ რო აღარ ვიცით!.." სოფიომა. ცხადია. „ამბროსი წუხს – ამ კაცის ვალიდან ვერ ამოვალთო."

„მე არა ვწუხვარ!.."

„თქვენ მოვალე არცა ხართ არავისი."

„ჩვენ ყველანი მოვალენი ვართ. რამდენი სიკეთე გვახსოვს!.."

„რამდენისათვის ჩვენ გაგვიწევია!.."

„აუნაზღაურებელია მაინცა ვალდებულებანი სიკეთისანი."

„ამდენი ვის ესმის?!. ვისაც თუ ესმის – რო აღარ ძალუძს!.."

„ვერც ძალას დაიტანს მომეტებულსა. თავსზევით ძალა ვის გააჩნია..."

„რაზე ვკამათობთ?!."

„ვკამათობთ?!. არა. მე მხოლოდ მადლობა მინდოდა მეთქვა..."

„მომვლელად რო გადექით საავადმყოფოში?!. სასაცილოა სასაცილოზე!.." არ გაუცინია. დაიფშხალა. უფრო შიშმა გადაუარა. გამოიკვეთებოდა ნაოჭებიო. არა. არც ისე. სახესაც უვლიდა. კანიც შენახვოდა. შიში მაინც შიშია. შიში სიბერისა. ზაფრანისფრად გადაუვლიდა. ისეთი დღეც გამოერეოდა. დღეი ერთი. ერთადერთიო. ერთიწლისოდენად რო ჩააბეროს ადამიანიო. ჩვენ არ უნდა მოვსწრებოდით ამ დროსა. ჩვენ არ ვიყავით ამისი ღირსნიო. რის პასუხიაო. ველარ მიუხვდა. აღარც აჰყოლია. ვარაზი. ალბათ ყველაფრის პასუხიც გახლდა, სანუგეშო რამ რო არ მოჰყვებოდა. ხმაი გარედანო. ამბროსისაი. იმედები გაქარწყლებულიყო. ახლად ჩასახული იმედები. რო აღზევებულიყო პრეზიდენტის დამხობისასა. ახალს ძველიც თან გადაჰყოლოდა. მარად რო ახლავს ადამიანსა. ამბროსისაცა – იმედი. ესეიგი. ახალიცა და ძველიცაო. კომპენსაციაზე უარი ეთქვათ.

გაყუჩებულიყვნენ ჰო პენსიონერები. 3 ლარი მომატებოდათ. კიდევდაკიდევ მოგიმატებთო. გაყუჩებულიყვნენ. გატვრენილიყვნენ. აქამდის მაინც გადავსულიყავი პენსიაზეო. მოსთქვამდა ამბროსი. ამ გამოძევებას რას ველოდებოდიო. ეს *გადასვლაც* რო გაძნელებულაო. აქეთ საბუთებიო. რიგები. მოქალაქეობის მოწმობისათვისა. რიგები საბუთებისათვისა. იქით აქციები და აქციები. მანანასი ისევა და ისევა. ღიპიანი პოლიციელებისა. უღიპოებისაცა. აღარ გვინდანან შევარდნაძის დროინდელებიო. დათხოვილი პედაგოგებისა. ექიმებისა. პრეზიდენტის კანცელარიისა. ერთადერთი როლა დასტოვეს – მამრაძეი. უერთგულესი პირი შევარდნაძისა. გამცემი პირველი. იმისი. იმისი. შევარდნაძისაი. რაღა თქმა უნდა. აქციები მეანაბრეებისა. რეაბილიტირებული ოჯახებისა. 49-50სა. 37სა. 29-30სა. 24სა. 21სა. ცალცალკეცაო და ერთადაცაო. აქციები. აქციები. აქციები და აქციებიო. ვისი აღარაო. რისი აღარაო. ბაზრებისას ჰო ვიღა მოსთვლიდა. თბილისშიო თუ ბათუმშიო. ოზურგეთში თუ ქუთაისშიო. გორში ვერ ატყდნენ. მალე დააფრთხეს. თელავშიც რო?!. გაწყდა წელში აღმოსავლეთ საქართველოი. ამერეთი ანუ. ყველაფერს იტანს. ყველას იტანს. ყველა ეშმაკსა და ტარტაროზსა. რა ექნა ამბროსისა. რამდენგან ჩაბმულიყო თუ ჩართულიყო?!. რეპრესია ჰო ყველა გადაეტანა იმის ოჯახსა. გამოძევებულიყო სამსახურიდანაცა. ფულიც დაჰკარგვოდა შემნახველ სალაროში. მერე ბანკშიცა. რო ჩნდებოდა სოკოებივითა. ჰქრებოდა მალევე. ისევე. ისევე. სოკოებივითა. თანაუგრძნობდა ჰო სხვებსაცა. თუნდაც რო ღიპიან პოლიციელებსა. რა ექნა. რა ეღონა. რამდენგან ჩაბმული-

ყოო. გაერთიანდნენ მაინცაო. ნატრობდა. ჩიოდა. მოუწოდებდა. მე აქციებით ვერ შემაშინებთო. ბრძანებდა ჭაბუკი პრეზიდენტი. მე ის არა ვარ. *კმარას* ბავშვებმა რო ამოაყირავეს. შევარდნაძე არა ვარ – მეო. აქციები ჩემი მოგონილია. მე ვარ ჩემპიონი აქციებისაო. ჩემპიონი იქა თქვა. სპორტსმენების შეკრებაზედა. გაიმეორა მერე მეცნიერთა შეკრებაზედა. პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში. მიჰხვდა მაშინვე – აქ სხვანაირად უნდა მეთქვაო. მიჰხვდა და დაურთო: „მე ვარ აკადემიკოსი აქციებისა!..“ დოქტორიცა. პროფესორიცა. და აკადემიკოსი ჰო ვაარო და ვარო.

ვის შეეძლო აჰხირებოდა – აგერაო და რევოლუციაიო. ვარდებისა. აგერაო და დამხობილი პრეზიდენტიო. ზის სამადლოდა კრწანისის რეზიდენციაში. ზის მოწყენილი და წერს მემუარებსა: „მაშინ ძერჟინსკის კლუბი ერქვა. იქ დავიბარე. 151 კაცის სია წინ მედო. ეს ისინი იყვნენ, ახლა რომ კორუფციას უძახიან. მაშინ საქმოსნები ერქვათ. კორუფციას მექრთამეობა ერქვა. ამ სიიდან 15ოდე უკვე დაჭერილი მყავდა. ცნობილი სახელები. იყო ერთი ამბავი ქალაქში. რესპუბლიკაში მთლიანადა. ყველას დაგიჭერთმეთქი. ვუთხარი. ჰო ჰხედავთ – მოსკოვს უხარიან. რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც კმაყოფილიამეთქი. მჟავანაძე მხარს მიჭერდა.“ იგონებდა. წერდა. ანთუ კარგადაც ვერ იგონებდაო: 15-ო წერდა. სინამდვილეში 155-ც იქნებოდა. აქაც რო არ გაუჩერებია. ციმბირში რო უკრა თავი. მეხსიერება თუ ღალატობდა თუ თავმდაბლობდა თუ ერცხვინებოდა. არ ეტყობოდა რო არცერთიო. და წერდა. წერდა ასე ამგვარადა. თუ ესტუმრებოდნენ ჟურნალისტე-

ბი. იშვიათადა. რაღა თქმა უნდა. რას ურჩევ ახალ ხელისუფლებასო. ჩაურთავდნენ ზრდილობისათვისა. „რა უნდა ვურჩიო რო არაფერს არ მეკითხებიან?!." მხრებს ჩამოჰყრიდა. ისე კი აჯობებს ამ ახალგაზრდა პრეზიდენტმა – დაანებოს თავი ჩემს ლანძღვასა. საქმე აკეთოსო. აბა მე რამე მიკადრებია მჟავანაძის საწინააღმდეგოდა?!." ეგება გამსახურდიას საწინააღმდეგოდაც არაო. ჯერ იქამდის არ მიეტანა მემუარები. რას იზამ. რას იზამ. ვერაგი სენია სიბერეი ეს დალოცვილი. ავიწყდებოდა ალბათ ესეცა. მე მაგათ ხელისუფლება ლანგარით მივართვიო. ეს მაინც არ ავიწყდებოდა. შენ სიბერე თქვი – ჭკუა მაშინაც გამოანათებს ხოლმე. დროდადროო. ოღონდ ისიც საკმარისიაო. ჰო. ჰო. ვის შეეძლო აჰხირებოდაო. არც ჭკუასა და არც სიბერესა. ჩემპიონსაო. გნებავთ იგივე აკადემიკოსსა აქციებისა. სხვანი გახლდნენ ღიპიანი პოლიციელები. მანანას ხალხიც სხვა რამ გახლდა. სამსახურიდან გარეკილი ხანდაზმულებიცა – 40-ს გადაცილებულნი 70-სა და იმას იქითა – მაინც რო არ ეპუებოდნენ. შემოკრბებოდნენ კანცელარიასთანა – ქაშუეთთანა მათხოვრები როგორადაც როო. დაიშლებოდნენ ისევე და ისე – მათხოვრები როგორადაც რო. ისევ იმავე ქაშუეთის კარის გამოხურვასთან ერთადა. თუნდა სიონისაო. ითქვას. ოღონდ ქაშუეთი ეს იმიტომა – კანცელარიასთან ის რო გახლდათ უფრო ახლოსა. პრეზიდენტის კანცელარიისა. ვიდრე სიონი – ერთად მიდიოდნენ. ერთად იშლებოდნენ. მათხოვრები ჩხრიალითა ჯიბეებისა. მოაქციეები გამოფხეკილი ჯიბეებითა. პოეტისა არ იყოს. სამადაშვილისა – წუხელ ღვინის ფულს ვთხოვდი მათხოვარს და ვუკითხავდი ლექ-

სებს ტირილითო. ჰო. სხვანი გახლდნენ ყველა ესენი. 20-იანი წლების რეპრესირებულნი – სხვანი. ქუჩაში გასვლა ეუხერხულებოდათ. თავმოყვარეობა ელახებოდათ კანცელარიასთან დგომითა. ტელემაუწყებლობა ერჩივნათ. ცხადია. ფულიო. ფულიო. არცთუ ლარებითა. დოლარებითაო. დარბაზებსაც ქირა უნდოდა. სადღა რა გააჩნდათ?!. ვინც თუ გადარჩა – აქა. ცხადია – ბაგრატიონი რო ბაგრატიონია – ვეღარ გამოდგებოდა კლდიაშვილის აზნაურადაცა. მაინც რო უნდა შეეხსენებინათ თავი!.. დაყრუებულიყო რო ხელისუფლებაი. ყრუვდებოდა და ყრუვდებოდა. ისევ თოფაძემ გამოიდო თავი: დაუთმო დარბაზი უფასოდა. გაგიმასპინძლდებით ლუდითაცაო. ღვინოსაც ვინმე მოგაშველებთო... ალბათაო...

ღვინო არავინ არ მოგვაშველაო. ამბროსიმა.

„ჩოლოყაშვილიც ლუდსა სვამდა?.. მარშალი. მარშალი თავადაზნაურობისა." ვარაზმა.

„მამაუცხონდა, არ იკადრებდა. ოღონდ ეგაა რო არც გამოცხადებულა... ისეთი დაჰკადაჰკა ჰქონდათ – საკრებულოში – ლეიბორისტებსა და ახლებსა!.. მტრის კარსა!.. იმათ აშველებდა..."

„აი კაცი!.. აქეთ მარშლობა. იქით ხელისუფლება. ან რაღა შუაკაცი გინდათ ან რაღა თხოვნანი?!."

შენ რაღა გინდაობითა ლაპარაკობ. განა იქ არ უნდა ყოფილიყავიო. ამბროსიმა.

„რომელი ორბელიანი მე ვარ ან ამილახვარი. მოქალაქენი ვყოფილვართ ჩვენა. ძველთაგანვე. კირითხურონი. მეუფროსენი მშენებლობისა. ხუროთმოძღვარნი. რაღაცრაღაცა ჩვენც დაგვიკარგავს. ცხოვრებაც ის არის – რო უნდა ჰკარგო. ჰკარგო და ჰკარგო. ბოლოს ყველაფერი უნდა დაჰკარგო. აზნა-

ურობაც დაგვკარგვია. ერეკლე II მოუცია დარეჯანის სასახლის აგებისათვისა. რუსებს სადღაც გადაუგდიათ.“

ან ვის რა შერჩა. რა საბუთებიო. ამბროსიმა. კლდიაშვილის წიგნი ვისაც წამოეღო, ისინი იყვნენ ყველაზე თამამადა. დარბაზი იმათით ავსებულიყო. ნემსიც აღარ ჩავარდებოდაო.

აბა იქნებოდა გაწევგამონევა. ფაფხური და ჭირვეულობაო. ვარაზმა.

„არაააა... არავინ არ გაჭირვეულებულა.“ ამბროსიმა. ველოდით. ველოდით. ჩოლოყაშვილს ველოდით და დავიშალენითო. აქციებს მაინც არ მოჰკლებია. ამბროსი. ცხადია. *პრიორიტეტად* დაისახა პენსიის საქმეი. *პრიორიტეტი* ჰო საპატიო გამოთქმად იქცა. პარლამენტმა კანონად დასდო. მთავრობამ დაამკვიდრა. ამბროსმაც მიიღო. მოქალაქემა – როგორც რო დარბაისელმა. ლექსიკოლოგიურ სიახლეთა მოყვარულმა მითუმეტესადა. იტყოდა ისე – მოგეწონებოდა: „პრობლემა ჩემი პრიორიტეტულიო.“ ცოტას აინევდა კიდევაცა. ქარი გაუვლიდა გაცვეთილ ქუსლებსა. ეს არ უშლიდა მიეხედა პენსიისათვისა. არც აქციებზე სიარულს არ უშლიდა. არც ისე ახლოსა, კანცელარია რო წამოჭიმულიყო. პრეზიდენტისა. არც ისე შორსა, საელჩო რო გახლდა რუსთა. პროტესტის ნიშნადა – როგორ თუ ერევიან ჩვენს საქმეში ის ვიღაც ჟირინოვსკია თუ რაგოზინია თუ ზატულინია თუ თუნდაც ივანოვი. იგორი. ის ვიღა მიგდიაო. ხელები შორს ჩვენი პარლამენტისაგანაო. თუმცა არ ეთანხმებოდა არც ამ პარლამენტსა. წინა ჰო სადღაა!.. არც იმას რო არ ეთანხმებოდა. მაგრამ კრემლი ჰო არცა სწამდა არასოდესა.

თუმცა არც უთქვამს 9 აპრილამდისა. მერეც ჰო ამ-ბობდა და ამბობდა. ჯავრს იქარვებდა საბჭოურისა-ცა და იმ ძველისაცა – სიონში რო შერეკეს თავა-დაზნაურნი მაშინდელნი. ჯარი რო შემოარტყეს. დარიალის კარით შემომძვრალი. და დააფიცეს ერ-თგულობაი რუსთა ხელმწიფისა. სამარადისო ერ-თგულებაი. ისინი დააფიცეს და რაღა ენებათ ახლა ამათგანა – რო შეყრილიყვნენ კლდიაშვილის დიპ-ლომებითა ლუდის დარბაზში – ანთუ რა ენებათ, ან-თუ ვინ რას აკითხებდა ამათა ახლა?!. აპროტესტებ-დნენ და იქაც გახლდაო. იმ თავისი გაცვეთილი ქუს-ლებითაო. ამბროსი. პლაკატებითაო. შეძახილები-თაო. ვინ გამოიხედავდა?!. არავინა!.. მითუმეტეს რო დესპანი უპირველესი. თურმე ჩხიკვიშვილი. ვი-თომ ჩხიკვიშვილი. დაბრაწული ბიჭი. დაბრაწული საახალწლო ბასილასავითა. ამისი ამბავიც იქვე იქ-ნებოდა – მემუარებში შევარდნაძისაო. არა. არა. ამისი არა – მამისაი ამისი: ქართული ოჯახიდან რო გამოსულიყო და დაეტოვა რუსული ოჯახი. მრწამ-სითა. მოწოდებითა. ხასიათითა. ბუნებითა. ერთი-სიტყვითა. გადაგვარებაი გვარისა. თუმცა რო გვა-რი გვარად შემორჩენილიყო – *შვილი შვილადა. ჩხიკვი ჩხიკვადა*. და იქვე იქნებოდა ეს გვარიცა – გაციმბირების ამბებს რო მოჰყვება. უფრო მრავალ-მხრივა და დაუბრკოლებლადა უკვე პირველი მდი-ვანი – შევარდნაძეი ესეიგი – მჟავანაძის შემდგომა. გაპენსიონერების მერე მჟავანაძისა. შეურაცჰყო-ფითა და პანღურისცემითაო. მაგრამ და მაინც ან ისე ვინ გააპენსიონერებდა ამბროსისა ან ასე – მე-მუარებს რო წერდა ვინცა რეზიდენციაში კრწანისი-სა. ხელშეკრულებაც დაედო უკვე საზღვარგარე-

თელ გამომცემლებთან. ან ასე. ასე. თუნდაც ასეო. წერდა და წერდა. ამბროსი არა – იგი ტყვეი კრწანისისაო. წერდა რო – როგორ თუ გაითქვა სახელი ზარია *ვასტოკამა*. მოსკოვში. მოსკოვში გაითქვა სახელი. დილაღამიანა დგებოდნენ რიგებში მოსკოველები გაზეთების კიოსკებთანაო. ზარიას ელოდნენ. ზარიასა კითხულობდნენ. *პრავდას* ტირაჟი საკმაოდ შემცირდა *იზვესტია* ჰო ლამის დაიხურაო. კითხულობდა და გადასცემდა ერთიმეორესა. ლენინგრადი ურეკავდა. კალინინგრადსა. სრულიად საბჭოეთსა ვლადივასტოკამდე ანუ მსოფლიოსა სრულიადაო. კითხულობდა. ურეკავდა. აუწყებდა თუ როგორ გასუქდა ქართველი ხალხი ქეიფითა და უსაქმურობითა. დროსტარებითა და ლაზღანდარობითა. აღარც სიმღერის თავი აღარა აქვთ. აღარც ცეკვისაო. სუხიშვილების ანსამბლიო – რო გაგიგონიათო – ყივჩაღები არიან. დავით აღმაშენებელმა რო გადმოიყვანა. ჩრდილოეთიდანა. დიდგორის ომი რო მოიგეს. ისინი არიან. ახლაც ისინი ცეკვავენ. ქართველობა იმათღა შერჩათო. მოვიდა კაცი. ახალი კაცი. ახალი ძალითა. შთაგონებითა ახალითა. ვინც აღადგინა ანსამბლი ესე და აღადგენს საქართველოსაცა ანსამბლივითა. დიდგორივითა. აღადგენს და ჩაუნერგავს *პათოსსა* შრომისა – *პათოსი* მაშინ ჟღერდა როგორც *პრიორიტეტი* – ღირსეული ადგილი რო დაიმკვიდროს დიად ოჯახში საბჭოეთისაო. წერდა და წერდა. ჩხიკვიშვილი გახლდათ რედაქტორი ზარია *ვასტოკასი*ო. იმან მოუპოვა სახელი ესეოდენი რესპუბლიკურ გაზეთსა. ესეოდენი და იმდენად დიდ ცენტრალურ გაზეთებს რო აჯობა რესპუბლიკურმაო. ასე პატარა რესპუბლიკურმაო. წერდა და წერ-

და მოგონებებს ჰო – აღავსებდა აგრეთვე ცნობებითაცა უახლესითა: სხვათაშორისაო ეს ჩხიკვიშვილიო, საგანგებო ელჩი და დესპანი რუსთა ჩვენშიო, შვილი გახლავთ იმ ჩხიკვიშვილისაო. რედაქტორისა *ზარიასიო*. გადაგვარებაც ეს გახლავს ბატონო. გადაჯიშებაცა და კიდევ რაცა გნებავს. დასკვნაა ესა. იქ ეს დასკვნა არც იწერებოდა. ამას თვითონ არც იგულისხმებდა. ბატონი ავტორი. თუმცა ბევრი რამ გადაიტანა. გაიგო. მიჰხვდა. განიცადა და გამოსცადა. ამას მაინც არ იგულისხმებდა. არა. არა. მაინც იქ იქნებოდა – იმ მდივნობაში. მერე ყველაფერი ნაძალადევი გახლდა იმისთვისა. ნაძალადევი. თავსმოხვეული. გასაძლები გასაძლებადა. მაინც რო გაუძლო?!. იტყვი: ესეც თუ გაძლება არისო. აბა არ არის!.. რამდენი ციხეში გამოლპა. რამდენი ციმბირში. რამდენს გული გაუსკდა. რამდენმა მოიკლა თავი. რამდენი გაგიჟდა. რამდენი ჩამოხმა ზეზეულადა. ეს კრწანისში ზის. ზის და წერს. მიაკითხავენ ჟურნალისტებიცა ხანდახანა. ჰკითხავენ. ჩაიწერენ. გადასცემენ მერე. ოღონდ ისეო და იმგვარადა: ან თავს რო იმტყუნებს ყოფილი პრეზიდენტი. ანთუ აღარც ესმის რაზეა ლაპარაკი. მემუარები მაინც მიიწევს. წინა და წინა. ერთი ჰო გამოსცა რამდენი ხანია. ეს მეორეო. ის პირველი რუსულად დაიწერა. მერე ითარგმნა 9 ენაზეო. თითმერიამა თარგმნა ქართულადა. ეს ალბათ ქართულად დაიწერება. ეს მეორეო. ალბათაცაო და ნამდვილადაცა. ოღონდ საკითხავი მხოლოდ ეს არის – საიდანღა თარგმნოს თითმერიამა?!. საიდანღა?!. ესეც კიდევ ერთი წყევლაკრულვიანი საკითხავი ამ უთავჟამო წუთისოფლისა.

VII

იქ ისევ დაბზრიალდა. მარგარიტაი. კოშკზედა მერიისა. მერიის თავზედა. ხელები ჩაევლო დროშის ტარზედა. გაჭიმულიყო. ფეხები გაეშალა და ფრიალებდა. დროშასავითა. დროშასავითა. თავი და ხელები მარგარიტასი ესხა. დანარჩენი რო დროშა გახლდა. პარტიული მანამდისა. მერე – სახელმწიფო. თუმცა ჯერ რო არც მიელო პარლამენტსა. არც გერბი მიელო. ჰიმნიც არაო. არაო და ნუუო. მიიღებდა თავის დროზედა. პრეზიდენტს ჰო უკვე მიელო. ჭაბუკ პრეზიდენტსა. ერთ დღესა. ერთ საათში: უცება და უეცრადა. იმას რო 10 წელიწადსაც ვერ მოეხერხებინა. იმასა. შევარდნაძესა. ან დროშა რო უარეყო ჟორდანიასი. ან ჰიმნი. ან გერბი. ვერა. ვერაფრით ვერ მოეხერხებინა. თუმცა რო სძულდა ჟორდანიაი. გამსახურდიაც ჰო სძულდა და სძულდა. ამდენიც ვერ მოეხერხებინა. ეგ მიიღებდა ძირეულ რეფორმებსა. ძირეულსა და ძირისძირეულსა – ევროკავშირი რო ავალდებულებდა. ამერიკა რო ავალდებულებდა?!. სოროსიო. აუხირებიათ. „მორჩეს სოროსი!.." პრეზიდენტმა. ხოლო პრემიერმა – „მე ვერ გამიგია, კაცი ამდენს გეხმარებოდეს და აუგად მოიხსენიებდე!.. ეს ალბათ მარტო ჩვენში თუ მოჰხდება!.." მორჩეს სოროსიო. ერთისიტყვითა. და ისიც ისე რო – აფრიალდა მარგარიტაი. ზარი დაირეკა. კარი სოფიომ გაუღო. შემოუძღვა. დიდად გაიხარა. ვარაზმა. ცხადია. კარგახანია აღარ შეჰხვედროდა. კარგახანია. საავადმყოფოშიც არ მიაკითხა. ახლაც

რო არ უთქვამს არც რო მიზეზი საიმისო, ბოდიშის მაგვარიც არაფერი წამოსცდენია. ჩაჯდა სავარძელში. როგორც რო სჩვეოდა. თავის სავარძელში. არც რო ამბროსის არ დაუთმო. ვარაზმა. არც სოფიოსა. ის ჩაჯდა და დაიწყო. როგორც რო სჩვეოდა. ლაპარაკი. ლაპარაკი დაიწყო. ცოტა მოჩქარებითა. ცოტა წყრომითა. ცოტა საყვედურითა. ცოტა მუქარითა. ცოტა თავდაჯერებითა. დარბაისული თავდაჯერებითა – რო არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო რო ასე. რო უკეთესობა გარდაუვალი გახლდა. და გარდაუვალობას რაღაც მოჰყვებოდა. რაღაც საშინელი. ასე იწყებოდა. დაახლოვებითა. ასედაც დაიწყო.

ჰო

ჩაი შემოჰქონდა მეუღლესა. ვარაზისაი. რაღა თქმა უნდა.

სოფიოს შემოაქვს. ცხელი. ქაფქაფაი. მწვანე ჩაი. გლეხური. შინაურული. ქართული. ცხადია. შევარდნაძე რო მიირთმევდა. შეუტანდნენ მოზომილ დროსა. სხდომა იყო მთავრობისაი. შეხვედრები პარლამენტთანა. საუბრები ჟურნალისტებთანა თუ გამოსვლანი საჯარონიო. ტილოგადაფარებულს შეუტანდნენ. აჰხდიდნენ. მიუდგამდნენ. მოსვამდა. ოდნავა. ხელოვნებითა შესაფერისითა და განაგრძობდა. განაგრძობდა და განაგრძობდა. სმას არა. არა. ლაპარაკსა და ლაპარაკსა. ამან გადაიღო იმისგანა თუ იმან – ამისგანა?.. ესეც ალბათ რო საკითხავი გახლდა. ოღონდ ის მაინც აღარ იყო საკითხავი: მაშინ რო ვერ მოასწრო ერთი ყლუპიცა – უკანასკნელი პარლამენტის დღესა – ჭაბუკმა რო დაასწრო. ჭაბუკმა. ჭაბუკმა. თავიც იმან მოწრუპა, ძირამდისაც გამოსცალა იმანა. აღარც საკითხავი

იყო. აღარც გამოსარკვევი. ლანგარიც ამანვე ჩამოართვა თუ წაჰგლიჯა ხელიდანა – ის რო ბრძანებდა: მე მივართვიო. კეთილი!.. კეთილი!.. ოღონდ ეს მაინც საიდან გამოტყვრა. სოფიოი. კარიც რო გაუღო. ჩაიც რო მოართვა. გაიკრიფა მოწიწებითა. ასეთი მოწიწება არც რო სჩვევია?!. ეს ჰო სხვა კაცია – ამასთან სხვაგვარად ვინ მოიქცევა!.. იერი აქვს ისეთი. სიტყვის კილო აქვს ისეთი. დგომა აქვს ისეთი. ჯდომა აქვს ისეთი. ყველაფერი ისეთი და ისეთი. ბინაცა ბუბუნებს როგორღაც ისე. შეხმატკბილებულადა ისე იმგვარადა თითქოს დასტაა დუდუკებისა სადღაც მღვიმედან მონაბერიო. შორეული. შორეული მღვიმიდანა. იყიდება ყველაფერიო. ასე დაიწყო.

„იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალის სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლითა და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით; ლურჯი ზღვით, მოწმენდილ-მოკამკამებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონება გახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით. იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილითა და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

„ჰყიდის ყველა: თავსწამომჯდარი, მოძღვარი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

„იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

„იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოთ; ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.

„იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად-დარჩენილი აძღობს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!.." დაიწყო და განაგრძობს თუ არ შეაჩერებ. აღარაფერს აღარ დასტოვებს. ან რაღა დასტოვა – გასცა ყველაფერი. თუ არ შეაჩერებ ამასაც გაჰყიდის. სავარძელსა. ღრმად რო ჩამჯდარა.

„ნურც ეგრე გავიმეტებთ!.." ურჩობს ვარაზი.

„მეეე?!. ჩვენა?!." უარობს *იგი*.

„ვიცი. ვიცი. ვისაცა გულისხმობ!.."

„ბენდუქიძესა?!." არაფრად ჩააგდებს. „არა მხოლოდ ბენდუქიძესა!.." მაინც ჩააგდებს ვითომ რაღაცადა. „კიდევ სხვებსა და უფრო რაღაცასა. რამაც მოიტანა ჟინი ასეთი – ჟინი გაყიდვისა. აუცილებლობად რო გაუხდიათ. რო დაუსახავთ საშუალებადა გადარჩენისა. ერთადერთადა და გარდაუვალადა. ასე ურჩევენ რო გარედანა. შინაც ასევე რო ატეხილან. გარეთებს ეს უნდათ. მეტი რა უნდათ?!. შინაებს რაღა ეშმაკი შეუჯდა?!. ისე ეგეც

კარგი ვინმეა – პორთფელში ჩაუდვია მთლად საქართველო. დადის და დააქვს. დააქვს და გამოჰფენს. მოსკოვიაო თუ ვაშინგტონიაო. ბერლინიაო თუ სტამბოლიაო. აჰაა აბა ვის რა გნებავთო. რა ენაღვლება. მამამ დაუტოვა თუ პაპამ დაუტოვა თუ საქართველო რამედ მიაჩნია?!. რუსეთს გადავარდა ტიტლიკანა ბიჭი. მილიონები იქ იშოვა ტიტლიკანა ბიჭმა. აქ ისევ ისე ტიტლიკანა იქნებოდა. მთლად საქართველო რო ტიტლიკანაა. ფლასი მოიფაროს, არ მოეპოვება. ჰოდა გაჰყიდოს. გაჰყიდოს მინა. გაჰყიდოს ჰაერი. გაჰყიდოს წყალი. გაჰყიდოს მთები. ტყეები. ვენახები. გაჰყიდოს ქალები. ბავშვები გაჰყიდოს – ამას უიმისოდაც აგვარებდნენ – გაჰყიდოს ისტორია. საფლავები გაჰყიდოს მამაპაპათა. ენა გაჰყიდოს. ანბანი გაჰყიდოს. მაინც ვიღას რაღაში არგია. სამაგიეროდ ფლასი მიიფაროს. ეზიაროს ცივილიზაციასა დასავლეთისა. დემოკრატიას ეზიაროს. თავისუფლებასა სულითხორცამდისა. სულითხორცამდისა. სულითხორცამდისა. ეს ამ საქმისათვის მორგებული კაცი იშოვეს. სხვას სამშობლოსი მოერიდებოდა. სამშობლოსი. სამშობლოსი მაინც მოერიდებოდა. ამას სამშობლო აღარც გაეგება. უბედურებაა სამშობლოდაკარგული კაცი. უბედურია სამშობლოი კაცთაგან გაძარცვილი. დაენანაო – ჰო ბრძანებდა სააკაშვილი. პუტინს დაენანა: ბენდუქიძე რო წამოვიყვანე. აღარ მოვეშვი. გამოვიტაცე. თავისთვის უნდოდაო. პუტინსაო?!. პუტინსაო?!. მე ვაპირებდი ჩემს ეკონომიკის მინისტრადაო. ჩემი მოქალაქეაო. ვერ მივართვიო. მეო – სააკაშვილმა მაგ გადამთიელ პუტინსაო. აი ხელს ვაწერ – მოქალაქეც ჩემი იქნება. ეკონომიკის მი-

ნისტრიცა ჩემიო. ჰხედავ თუ რა ყოფილა!.. და აბა რაღა დაუდგება წინა?!. ჰყიდის და ჰყიდის. იყიდება და ჰყიდის."

„ვერაო. ვერა ჰყიდის ვერც ეგრე ადვილადა!.."

„კორუფციაო?!. დესტაბილიზაციაო?!. დიდი დღე აღარა აქვს ჩვენშიო. ბრძანებენ. დესტაბილიზაცია ჰო თანგადაჰყვა შევარდნაძესა. კორუფციასაც ისე ამოვძირკვავთ, ნატამალიც რო აღარსად შერჩესო. არა სჯერათ რო?!. რატომ ვერა ჰყიდის?!. გაჰყიდის. გაჰყიდის. შენ შიში ნუ გექნება. ეგაა რო - ჭკუა არ იყიდება. ადამიანობა არ იყიდება. თორემ სხვა დანარჩენი იყიდება ყველაფერი. ყველაფერი. ყველაფერი. საფლავი რო საფლავია, ისიც იყიდება. ნახე აბა ვაკის სასაფლაოზე თუ რამდენ წყებად ალაგია მკვდრები!.. ოდესმე ალბათ არქეოლოგები დიდხანს იდავებენ თუ რა რწმენის ადამიანები ცხოვრობდნენ აქა – დაკრძალვის ასეთი წესები რო ჰქონდათო. ერთი მაშინ წამოგვახედა – რა ცხოველი კამათი ექნებათ. რა დისერტაციებს ჩაალაგებენ!.. რო გადაიყრება ის ყველაფერი, მაშინ წამოხედვაც აღარ დაგვჭირდება. ჰო გადაიყარა მონაპოვარი კომუნისტური ცივილიზაციისა, გადაიყრება ეს ოხრობაცა – გლობალიზაციააო თუ რაც რო დარქმევია – ოჯახი ისევ ოჯახი იქნება. გვარი – გვარი. ერი – ერი. რწმენა რწმენად დარჩება ისევე. ვერც ქრისტიანობას ვერ შედღვებავენ. ვერც ისლამს ქრისტესთან ვერ შეარიგებენ. ვერც მასონები ვერას მიაღწევენ. ყოფნით იქნებიან. მგელი არ მოშლის მგლობასაო. იქნებიან. იქნებიან. კვლავაც ეცდებიან დამორჩილებასა ქვეყნიერებისა. მაგრამ ამაოა ვნებანი ამდაგვარნი. ამაო ამაოთა – სწორედ ეს გახლავს. ადამიანობა სივრცეა

უდასაბამოი. ადამიანობა მოუხელთებელია. მოუ-
ხელთებელია უადამიანობაცა. სავალალოც ეს არის.
ჩემო კეთილო!.. ნუ დამიჯერებ თუ არა გჯერა. ნურც
იკითხავ თუ რა მალაპარაკებს. რამდენიხანია შენ-
თან აღარ მოვსულვარ. არც შენა მკითხულობ. მე მო-
გაკითხე და ის მალაპარაკებს...“

„მაგას ნუ მეტყვი: არა მკითხულობო. ჩემი ამბა-
ვი არ გაგიგია?!.“

„გამიგია და ნურას მისაყვედურებ. არც მე არ
გაყვედრი. არც მე ვიქნებოდი კარგადა. უნდა მიმიხ-
ვდე. ანთუ ვიღაა ახლა კარგადა!.. ანთუ როდისა ყო-
ფილა ადამიანი კარგადა. ჩვენში მაინცა. ჩვენში.
ჩვენს მიწაზე. აქ დაბადება უკვე განწირვაა ადამიანი-
სა. უბედურობისათვის განწირვაა. და თანაც რო ვა-
მაყობთ ჩვენივე უბედურობითა!.. ჩვენი ისტორია –
ისტორიაა უბედურობისა. და მიკვირს. მიკვირს ანკი
როგორ შეგვრჩა ნასახი მცირედი ადამიანობისა.
ადამიანობა სიკეთეს ახლავს. უბედურობას სიკეთეს
ვერ მოსთხოვ. სიკეთე ჰო არც არსებობსო. არა?.. ჰო
არ მეშლება!.. არა. არ არსებობს. სიკეთე უნდა შეჰ-
ქმნა. უბედურება ისედაც არის. არის და არის. გამოხ-
სნა გინდა უბედურობიდანა. გამოხსნა ძნელია. ძნელ-
ზედაც ძნელია. და არც გაჩენილა ადამიანი კარგად
ყოფნისათვისა. არა. არა. ვინმეს მაინც ნუ ეგონება –
კარგადა ვარო. თუ გინდა ვინმე მოატყუო – მოატ-
ყუე. თავს ჰო მაინც ვერ მოიტყუებ. არც მოიტყუებ.
რაც შეეხება იმ ჩვენს პატივცემულ ბენდუქიძესა –
ისიც ტყუილია ვითომ პუტინი დაისვამდა თავის მი-
ნისტრადა. გასაყიდი იმასაცა აქვს. აქვს რომელია –
იმას რო აქვს, იმდენი ვისა აქვს!.. ოღონდ ისაა – გამ-
ყიდველიც რო ბევრია იქაცა. ყველაფრის გაყიდვა

იმათაც შეუძლიანთ. მაგრამ იქ ერთს მაინც არავინ გაჰყიდის. არავინა. არავინა. არც არავინა – წყურვილსა დაპყრობისა. ჟინსა. ვნებასა სხვათა დამორჩილებისა. ამითი აღზევდნენ. ამითი დიდრაჯობენ. ესევე დასცემთ. ესევე დაამხობთ. დროა რო მიჰხვდნენ. იმათთვისაც კარგია. ჩვენთვის ჰო კარგია და კარგზე კარგი!.. უჰუჰუუჰ!.." ამოისუნთქებს ღრმადა. ღრმადა. ხანგრძლივადა. „შვებაც ეს იქნება ჩვენი. სხვა რამ შვება არც გვიწერია!.. ჰოდა ისევ ბენდუქიძეო. გაჰყიდის. გასცემს ყველაფერსა. ნამუსი იქვე გაგიყიდია. რუსეთშიო. აქ ჩვენ რაღას დაგვიტოვებო – აკი შესძახიან კიდევაცა!.. ეს შეაჩერებს!.. ნამუსი შეაჩერებს, ანთუ ვიღას რო შეაჩერებს ნამუსი?!. მანანას აქციები შეაჩერებს?!!!!!. არ გამაცინო. სატირალია ჩვენი დროება..."ეს იმას მოჰყვა – ბენდუქიძის სამინისტროს რო მიადგნენ ზვიადისტები მანანასი. შეუძახეს. უყვირეს. სძრახეს. ლანძღეს. ლაფი შეასხეს. მთლად ლაფი არაო, მაგრამ ფურთხით მაინც აფურთხეს. აფურთხეს და აფურთხეს. რასა სჩადიხართო. სხვა რა ეღონა. აიწია ფარფარა კალთაი ხალათისა, აიწია და მოიწმინდა. აპრაკუნე ჭიმჭიმელისა არ იყოსო. სამაგიეროდ არ დასთმო პოლიციამა. ეგ ეგრე არ უნდა – მინისტრს რო აფურთხოთო: მოხვეტა სამნი. შეჰყარა მანქანაში პოლიციისა. ორი კიდევ თან მიაყოლა. ერთიცა. ამბროსი. ეგ აღარ გინდათო. მღებრიშვილმა. ხუთიც ბევრიაო. ორიც იქვე გამოაპანღურეს. დანარჩენებს უცხუნეს რეზინის შხვეპლები. უცხუნეს და უცხუნეს. ვინ საით გაასწრებდა. მანანა არა. მანანა მღებრიშვილს ემუქრებოდა: შენ ისიც შეგრჩეს, გარეჯის მიდამოებში რო დამაგდეო. ამას აღარ გაპატიებო. აღარაო და აღარაო.

აბა ეს შეიძლება, მინისტრს აფურთხოთო. მღებ-
რიშვილმა.

ახლა ამასაცა მკადრებო. შეიცხადა და შეიცხადა
მანანამა.

მე არ ვიციო. მღებრიშვილმა. ხალხი შენი მოყვა-
ნილია და ბრალიც შენიაო.

მე თქვენ გიჩივლებთ სასამართლოშიო. მანანამა.

სულ შენ ჭკუაზე არ დადის სონღულაშვილიო თუ
ტყეშელაშვილიო. მოკვდა სიცილითა მღებრიშვილი.
იცინა და იცინა. ველარც გააჩერეს. ხოლო რო გაჩერ-
და – ჰო აღარც გაუცინია მერე. არა. აღარა. მოჰხვდა
მწარედა. აუხდა მუქარაი მანანასი. ისე აუხდა რო სა-
სამართლოში არც უვლია. ეს როგორაო – შეიცხადა
რო პრეზიდენტმა. ჭაბუკმა. ცხადია. ისევ გადამდგა-
რი ნუ მოგეჩვენება. ნურც ლანგარიო და ასეთებიო.
რაღა დროს ის არის – ისევ მღებრიშვილია: რეზინის
შხვეპლებითაო. რაღა დროსია. უფრო მობილური.
სწრაფი რეაგირების რაზმები გვჭირდება – ზუჩები-
თა. ფარებითა. ცრემლმდენი გაზის ბალონებითა. ია-
რაღითაცა. ფუჭი ტყვიები რო დაუშინონო. ფუჭიო.
გეგონებათო. გეგონოთო. თაგვის სოროებს მაინც
მოაძებნინებენ ი დოღრიალა ხალხსაო. ასეა საჭირო.
ეს აუცილებელია. ჩვენ ეს ამდენი რეფორმა ჩავატა-
რეთ. ეს როგორ გამოგრჩათ: ეს ისევ ის მღებრიშვი-
ლი. ისევ ის დისკუსიები ქალბატონ მანანასთანაო.
როგორაო და ასეო: არა ჰქონდა რო ღიპი. მღებრიშ-
ვილსა. არა ჰქონდა. მუცელი ჩავარდნოდა და გა-
დარჩა. მაგრამ როდემდისაო. ბედი მდევარი რო ყვე-
ლას მოეწევა. ვის სადაო და ვის სადაო. რა მნიშვნე-
ლობა აქვს – ჰო ვერ წაუვა ვერავინა. საიქიოს ერ-
თად წავალთ ცოლიანი და უცოლოო. მღეროდნენ

კინტოები შუაბაზარშია. ჯერკიდევ ნიკოლოზის დროსა. ხოლო მერე გოძიაშვილი მღეროდა *მზის დაბნელების* ჩანამატში მოქმედებათა შუა. ინტერმედიაო. არც რო მაშინ არ აკლდათ სიტყვანი უცხონი. ანთუ როდის ვის მოუკლია – ჭირია შეჩვეული. შენ შეუჩვეველი ლხინი ბრძანე!.. მღებრიშვილს მოსწონდა გოძიაშვილი. ინტერმედიებში თუ ვერაო – ძველ ვოდევილებში ჰო მაინც მიუსწრო. მოსწონდა. მოსწონდა. მსახიობობა ამოეჭრა გულში თვითონაცა. ასეც ითქმის და აქ მაინც უფრო ასე აჯობებს: მსახიობობა ჩაეთქვა გულში. ოღონდ როგორცკი ამოთქვა და ამოიტანა – შეიცხადა დიდედამაო – არაო. არაო. მე მაგ ხელობის თანახმა არა ვარ წარამარა ცოლს რო იცვლიანო. არაო და არაო. მე მაგას ვერ ავიტანო. ახლავე გაიტანეთ ჩემი კუბოო. მშობლები კუბოს ვერ დათანხმდნენ. მღებრიშვილის მშობლები. ცხადია. პოლიციელობას დათანხმდნენ. ამისასა. და ირტყამდა თავში ხელსა. მღებრიშვილი. რას მერჩოდა ის სულცხონებული დიდედაჩემიო – ცოლების გამოცვლა არ მერჩივნა ახლა ხელობის გამოცვლასაო.

ვითომც გამოუცვლიაო – ვარაზმა – რა ხელობას უნდა მოეკიდოს რო არ შეამცირონო.

აქციების იქით გზა არა აქვსო. ამბროსიმა. აქამდის ეგ ურტყამდა. ახლა მაგას ურტყანო.

ღიპიანებს შეუერთდებაო. ვარაზმა იკითხა. ტუჩები რო უცინოდა. ანთუ – ტუჩების ბოლოები. სხვა დანარჩენი მოღუშულიყო.

არა. რადაო. „უღიპოები ცოტანი გამოჰყარეს?!." ამბროსიმა.

„შენი საქმე არ არის!.." სოფიომა. „გამომიჩნდა ესეცა ოპოზიციის ლიდერი!.."

„არის!.. არის!!!.." გაჯიქდა ამბროსი. „ჩემი საქმეა!.."

„ყველას საქმეა. სხვა მეტი რაღა საქმეა ახლა თბილისში?!." ვარაზმა.

„რატო თქვენ არ გაბრძანდებით ბატონო ვარაზ?!." სოფიოა. გამომწვევადა. ნიშნისმოგებითა.

„გავბრძანდები!.. ცოტა მოვიკეთო... გავბრძანდები და ძალიანაც კარგად გავბრძანდები!.." უკვე მიიწევს თითქოსაო. ვარაზი. არა. ჯერ არა. „მე მოსკოვის პროექტებს ვერ ვითმენდი. ვერც მაგას მოვითმენ – მასონებისასა!.."

„ვერ ითმენდა ვაუბატონი!.." სოფიომა. „მერე რა იღონე?!."

„რაც შემეძლო!.."

„არც არაფერი არ შეგეძლო. არც არაფერი არ შეგიძლიან!.."

„იცი რა გითხრა..."

„ვერაფერსაც ვერ მეტყვი. მორჩა. დამთავრდა ლაპარაკი. ის ლანგარიაო თუ რაღაც არის, ეს ჭაბუკი არავის არ დაუთმობს... არც მიართმევს თუ უბოძებს და არც გადაულოცავს. ამბროსიც მოეშვება უაზრო ხეტიალსა. თუ ივლით – ივლით პენსიის საქმეზე. პენსიაა ახლა მთავარი. ახლა პატივში პენსიონერია!.."

„შენც ეგა გჯერა!.." დამცინავადაო. ამბროსიმა. უაზრო ხეტიალი რო იწყინა – იმიტომაო. ხოლო და ოღონდ – ეს იმას მოჰყვაო. ეს კამათი, თუ რასაც მოჰყვა: *ინტერმედიასავით* ჩაჯდა აქა. მღებრიშვილის *ინტერმედიასავითა*. ჩაჯდა და ჩაჯდა. *ის* მხოლოდ გავიდა. აიღო კოლოფი სიგარეტისა. მანთიაც აიღო. თავიდანვე რო დააწყო ლომბერის მაგიდაზე.

აივანზე გავიდა. მოუკიდა. გააბოლა და მოჰყვა ბოლ-
თასა. ვარაზი თან არ გაჰყოლია. ლანგარზე ვაშლი
ენყო. ისიც ლომბერის მაგიდაზედა. აიღო. გათალა.
დაჭრა. დააწყო თეფშზე. იმისთვისა. თავისთვისაც
აიღო. არც გაუთლია. არც დაუჭრია. ათამაშებდა.
შეჰყურებდა. დასუნავდა. სიამოვნებდა. უცხო რამ
გახლდა. ხილის სარკვევებში არც ჩაეხატათ. სახე-
ლიც არ მოეხსენებინათ. როგორც რო უკვე გარდაგე-
ბულიო. სახელი მაინც რო შემორჩენილიყო. არც დი-
დად ითქმოდა. არც პატარადა. არც მომრგვალოდა.
არც მოგრძოდაო. წერი მაინც დავიწროვებოდა.
ყუნწთან ბრტყლად გახლდა. კანი ორფერი გადაჰ-
კვროდა: ყინულისფერი ცალი მხრითა. მეორე თეთრი
თოვლივითა. ყუნწთან ეყარა წითელი წინწკლები.
შიგნით წინწკლები არ შეჰყოლოდა. ფერი ორივე შეე-
ნარჩუნებინა: ყინულისაცა. თოვლისაცა. ჩაკბეჩავდი
რო – ზამთარი გეცემოდა. გემო ჰქონდა ისე იმგვარი.
თავისით ამოვიდა ვენახშიო. პატრონმა. სახელი მე
თვითონ შევარქვიო. ყინვარვაშლაო. სხვა სახელს რო
ვერც შეარქმევდი. პატარა კალათა ეჭირა ხელში. ბა-
ზარში შედიოდა. დეზერტირებისა. რა არისო. ჰკით-
ხა. დაჰხედა. შეევაჭრა. ვარაზი. ამას ჰო ფასი არა აქ-
ვსო. პატრონმა. რაც გენებოსო ის მომეციო. ფასი
ამასაც არა აქვსო. ვარაზმა. ამოეჩარა ნახაზები იღ-
ლიაშია. გაცბუნებული მოდიოდა რომელიღაცა თათ-
ბირიდანა. ნახაზებიო: პროექტები დარბაზებისა –
ვაკისა. მთისა. ზეგანისა. ხეობისა. ქალაქისა. ტყისა.
ზღვისპირებისა. მწვერვალისაცა თუ იქაც თუ აიტან-
დი სამოსახლოსა. ვაკისა იქნებიო. ვაკისა შეურჩია.
ფასი ამასაც არა აქვსო. ასე მორიგდნენ. სადაურობა
აღარც უკითხავს. კუთხეთა თავისებურებასაც იცავ-

და დარბაზები ვარაზისაი. გამოცანა რო არც უნდოდა, მთისა რო არ იქნებოდა პატრონი ვაშლისა. სვანი არ იქნებოდა. არცა ხევსური. რაღა თქმა უნდა. შემობრუნდა რო მხოლოდ ერთი ნათალი აიღო. *იმანა.* ცხადია. აივანზე ბოლთას რო სცემდა. ისიც რო არ შეუჭამია. ეჭირა ხელში. ლაპარაკობდა. დასდო და წავიდა. ხოლო ვიდრე დასდებდაო –

„ყველაფერი მაინც არ გაიყიდება. არც წაირთმევა ყველაფერი. იმედი ალბათ სწორედაც ეს არის. ან სხვა რა უნდა იყოს იმედი!.. სადაც იმედია, გადარჩენაც იქ შეიძლება. სადაც წყურვილი დაუმცხრალია. საკუთრების წყურვილი. იქ თუ მოხერხდება თავი შენად რო გეყუდნოდეს. ბოლოსდაბოლოსა. ისე ცხოვრება არცა ჰღირს ამქვეყნადა. ბრძოლისათვისა ჰღირს – მიწასთან ბრძოლისა და ბოროტებასთან ბრძოლისათვისა. მიწა სიკეთეა. მიწასთან ბრძოლა რა სათქმელია!.. ოღონდ აქ მხოლოდ შრომა იგულისხმება. სხვა არაფერი. შრომაო და შრომაო. ტყუილია. შარია. მონაჩმახია. ვითომც გაზარმაცდა ქართველი კაციო. შეიძლება რო გაზარმაცდეს ზედაფენაი. ქაფი ქვეყნისა. ქვეყანა არ გაზარმაცდება. სიცოცხლე მხოლოდ მოქმედებაა. სხვა თუ რა არის – ბრძანე ბატონო!.. არა. არ გიხსნი მე შენა ამ ანაბანასა. უჩემოდაც იცი. ოღონდ თუ ვამბობ, უკუღმა ვამბობ იმათ გასაგონადა – უკუღმა ლაპარაკს ვინც დაეჩვია. იქა. ზევითა. რო ვერ დაუკმაყოფილებია მადაი. საწყაოი აღუვსებელი. მეტსა და მეტს ითხოვს. აქაოდა მე ვარ წარმმართველი ამა ქვეყნისაო. პატრონი მე ვარო. მეო და მეო. პატრონის ბრალია ყველაფერი. პატრონი თვითონვე თუ იყიდება. ჰყიდის და იყიდება. იყიდება თვითონვე. ბოლოსდაბოლოსა. რო აღარ დაგ-

რჩება გასაყიდი აღარაფერი!.. ხელისუფლებაც რო გაგიყიდია?!. ვისგანა ღებულობ ჯამაგირსა. გაზრდილ ჯამაგირსა?.. ვინც დაგაქცია და განიადაგებს?!. შენი. შენი. შენივე ხელითა?!. თავს ისულელებ თუ გასულელებს: რევოლუციური რეფორმებიო. და რო მორჩები. რო აღუსრულებ სურვილთა ყოველთა: აღარც ჯამაგირი აღარ შეგრჩება. აღარც შენეული აღარაფერი. გადაგვარებული ხალხი შეგრჩება. შენი ხალხი. გადაგვარებული. რო ვერც მიჰხვდები: წინასწარ შენვე რო გადაგვარდები. რო ვერც მიჰხვდები. რო ჰხვდებოდე ჰო არც ამას იტყვი... გახსოვს პრემიერი როგორა წუხდა: ეს რა არისო. როგორი რა არისო. ამდენ სიკეთეს ეწევა სოროსი და ჩვენ ვერცკი გვიხსენებია, საძრახისად რო გაისმის იმისი სახელი ჩვენს ქვეყანაში. დიახაც რო!.. ხალხს ვერ შეაცდენ. ვერა. ვერა. ბრბოს რო შეაცდენ. ხალხს ვერ შეაცდენ. რაც არუნდა მჭევრმეტყველი ბრძანდებოდე. მართლაც ქარიზმის ბეჭედი რო გედოს. ხალხი ხალხია. არც შეცდება. არც დაგეჩაგვრინება. თავს თუ წაგიღუნავს. დროს გიხელთებს და მოგვერდით გადაგიტანს. შუაკავურითაც შეიძლება. გარეკავურითაცა. როგორც მოგიხელთებს, ისე წამოგიღებს, ისე გადაგიტანს. შენ ლანგარითაო. თქვი. იმან რევოლუცია თქვას. ვინც რა უნდა თქვას. ხალხი ფქვავს. ფქვავს და ფქვავს. სოროსებსაცა ფქვავს. მეხოტბეთაცა სოროსებისა. მესუფრეთაცა სოროსებისა. მცოდნენი ბრძანებენ: გიორგობის ვარდები 32 მილიონი დოლარი დაუჯდა სოროსსაო. მხოლოდ ვარდებიო. მხოლოდა. მხოლოდა. ნათელაშვილი უფრო მეტს ამბობს – 200 მილიონი ჩაჰყარაო. თუნდაც ეს უფრო მართალი გახლდეს. თუნდაც გაზვიადებული.

ან თუნდაცა იგი. ნათელაშვილი. ამდენად აფასებდეს თავის ვარდებსა. მომავალსა. ერთი რამ ცხადია – სოროსს რო ცოტა არ უჯდება საქართველოი. არა. არა. რა სათქმელია. ეგება მეტიცა, ვიდრე თვითონვე ვარაუდობდა. ეგება რისკია და დიდი რისკიცა ესეოდენი წამოწყებანი. მაგრამ არა სთმობს. არც რო არ დასთმობს. არა. არ დაიხევს უკანაო. ვარდების რევოლუციისა არ იყოს. გიორგობის ვარდებისა ანუ სამ უპირველეს ვარდთაგანა ერთისა – თეთრი ვარდისა. ქალი სითეთრეს თუ შეედრება. თეთრი – სილამაზესა. ფერთა მეუფე თუ თეთრი გახლავს. ჩვენ უკან არ დავიხევთ. ჩვენ უკან არ დავიხევთ. არა და არა. არა და არა. არ დავიხევთ ჩვენ უკანაო. არც სოროსიო. რა აწუხებს პრემიერმინისტრსა: 4 წელიწადს ჰო არის უზრუნველყოფილი დიდი ჯამაგირითა. სოროსისგანვე. 4 წელიწადში ჰო კიდევ იმასაც მოასწრებს. იმასაცა და იმასაცა. რას არ მოასწრებს – ვითომ იმასაც არა: პროკურატურაში რო გამოიძახებენ შესაკითხადა და ტყეშელაშვილია თუ სონღულაშვილიო – 3 თვის წინასწარ პატიმრობას რო შეუფარდებს – ჰა?!. ვითომ არა.. კაცნი ვართ. შეიძლება რო არცა!.. მაგრამ ყველაფერი რო შეიძლება ამ ცაფირუზ-ხმელეთზურმუხტის ქვეყანაში?.. ყველაფერი. ყველაფერი და კიდევ ყველაფერიო. ვინ უწყის ვის როგორ უმუხთლებს ბედი?.. რა ყოფილა ეს ქვეყანაცა. ჰა?!. რისკს ტყუილადაც არ გასწევენ სოროსის მაგვარნი იქვე მოგება თუ არ ეგულებათ. დიდი მოგებაი. თითს არ გაანძრევენ. ფრჩხილსაც არ მოიჭრიან. წვინტლსაც არ მოიხოცავენო." ბოდიშიო. დასძენს. ეს ამის გამო – წვინტლი რო წამოსცდა. „ბერეზოვსკი ბრძანებს და დაეჯერება ბერეზოვსკისა. ერთი წყლი-

სანი ბრძანდებიან ეგ ორივენი. ერთმანეთიც იციან და რისკისა და მოგების ფილოსოფიაცა. და მაინც რო გაჰკვირვებია ბერეზოვსკისა: ნეტავი რა მოგება უნდა ჰპოვოს სოროსმა ამდენ ფულს რო ჰყრის საქართველოშიო. ნავთობი იმას არა აქვს. გაზი იმას არა აქვს. წიაღისეულიც ბევრი არაფერიო. ის ოქროს ნამცეცებიც ჰო მართლაც ნამცეცებია. არგონავტებისაგან რო გაუგონია და დღესაც რო პოულობენ სვანები იმ თავაანთ გაგიჟებულ მდინარეებშიო. გაჰკვირვებია და ჰოი როგორ გაჰკვირვებია!.. მაგრამ ნახეთ – გაუმართლაო. დიდმა რისკმა გაუმართლაო. რევოლუცია მოიგოო. რევოლუცია პროგრესიაო. პროგრესი მოიგოო. აღფრთოვანებული ვარ იმისი რისკითა. თუმცა ერთხელ მაწყენინაო. მაგრამ რა არის პირადი წყენა დიდ გლობალურ წარმატებასთანაო. გლობალურთანაო. გლობალიზაცია ფართოდ მიაბიჯებს. დიდ ქვეყანას დაეუფლება თუ პატარასა – სულ ერთია. ორივე ერთნაირი წარმატებაა. ქვეყანა ქვეყანაა. თავისებურება ერთნაირად გამჯდარა. ჩამკვიდრებულა. გაჯიჯოვებულა. ერთნაირადაც უნდა ამოძირკვაი. რევოლუციაც ესაა. პროგრესიცა. წარმატებაცა. გლობალიზაციისა. ვითომ ჩვენ ეს რო არც გადაგვეტანოს!.. მეტი რა ვიცით. სხვად რად წარმოგვიდგება ისტორიაი ჩვენი ანთუ სხვა რა გახლდა ვითომა ის გადაშენებული კომუნისტური ინტერნაციონალიზმი!.. თუ მითქვამს – ჰო გავიმეორებ. თუ არა და ვამბობ და ეს არის. ვითომაო და მართლაც გადაშენებული. და მე დამიჯერე ჩემო კეთილო: არც რო არავის სხვა არაფერი არ ელოდება – ვინც იმ გზას აირჩევს. სახეობას ვერ გადააგვარებ. ვერ მოშლი ვერა თვისობრივობასა. თუ მოსპობ – ის სხვაა. მოსპო-

ბით მოსპობ. მანდამე ისპობა იდეები. იბადება და ისპობა. იბადება და ისპობა. შენ რაო – რასა ფიქრობ?..“ დგება. „ახლა მე წავალ. არა. არა. ნუ გამომყვები. შენ ისეთი მძიმე ავადმყოფობა გადაიტანე!.. ჩვენ კიდევ მოვესწრებით – სახლამდის მიმაცილო. მერე მე მოგაცილო. მერე ისევ შენა. მერე ისევ მე. და დაგვათენდეს გაცილება გამოცილებაშია. რას აღარ მოვესწრებით. შენ სიცოცხლე თქვი!..“ და მიდის. მაინც სიცოცხლეს რო შეჰხარის იმნაირად გაღიმებული.

სოფიო გაუღებს კარსა. კიბემდის მიაცილებს. ის ეუარება. ესეცა ჭირვეულობს. ძლივძლივობისას გასცილდებიან. აჰ რატომ ამბროსის არ დავუძახეო. ინანა სოფიომა. ის კამათში ჩაერთობოდა. ამან რა იცის. გარეთაც არ გადისო. მაგრამ ჰოი რო – არც რა უნანია სოფიოსა. არც არავინ არ გაუკილავს. ის იქ არ გახლდა. სოფიოი. არც *ის* არ მოსულა. არც წასულა. ვერც რო მოვიდოდა. ვერც რო წავიდოდა. ვერა. ვერა...

VIII

... რო აღარც იყო.

ეს არც დავიწყებოდა. ისიც ცხადი გახლდა. *ისიცა* და ისიცა: რო მოვიდა. რო თქვა თავისი სათქმელი. და წავიდა. ისიც ცხადი გახლდა: ვაშლი რო გათალა. დაჭრა. ამანა. იმან რო ერთი ნათალი აიღო. ცხადიც გახლდა და მოჩვენებაცა: რო ახსოვდა და კარგადაც ახსოვდა: დრო რო გავიდა იმის შემდგომა. ვაშლი დალპა. გამოშრა. გამოიფიტა. ეწყო ეგრე გამოფიტული ლარნაკშია. ასე დასტოვა. დაბრუნდა რო – აღარც ის დაჰხვდა, დაწკრიალებული რო დაჰხვდა

ბინაი. გადაეყარათ. რაღა თქმა უნდა. მეუღლე იმას არ გადაჰყრიდა. ამისი მეუღლეი. ვარაზისა. რძლებიც არა. შვილები ჰო არა და არა. ამითიც ირწმუნა – თვითონვეც რო დაუდასტურეს: ჩვენ ბინაში არც შევსულვართო. ამითიც ირწმუნა *ის* რო სხვა გახლდა. *ის* სულ სხვა იყო. *ის* სულ სხვა გახლდა. ირწმუნა და არც ეშლებოდა. ხოლო იმავდროს ცხადად რო ჰხედავდა: იმასაცა – ისაა და აგერ რო მოჰხდა და იმასაცა: ბინა რო დაეგავათ. დაეწმინდათ. გაესუფთავებინათ. ესეც ჰო არ ეჩვენებოდა?.. ჰა?.. ჰა?.. იგივე ნაგავში ჰო არ იჯდა?.. ვაშლი იქავე ჰო არ ეწყო. გამოფიტული. წყობილიყო. ეს არაფერი. კიდევაც დაენანა. შეჭმაც დაენანა. ისე მოსწონდა. სუნიც ეამებოდა. ისე ლპებოდა. გამოფიტულიც ლამაზად მოსჩანდა. რო აერია ცხადი და მოჩვენება. ეს იყო, რაც იყო. ორმაგადაც რო აერია?!. არ შეგეშინდესო. მკურნალებმა. დრო უნდა ყველაფერსა. ამასაც დრო უნდა. ნელნელა გაივლისო. კეთილი და პატიოსანი. არც შეშინებია. არც შეეშინდება. გული აქვს კლდისა. თუნდაც რო კლდისაო. მართლაცაო. მაგრამ ეს რაღაა: თუ ნაგავში ზის, სისუფთავედ რად ეჩვენება. თუ არაოდა რა იქნა ვაშლი?.. ის გლეხიც დაჰკარგა. სახელიც არ უკითხავს. არც იმას უკითხავს ამისი სახელი. გაშალა ნახაზი. დაჰხედა. აჰხედა. დაახვია. ამოიდო იღლიაშია და გამოემშვიდობა. გამოიფიტა ის ნახაზიცა. ისიც გადააგდეს. მორჩა და გათავდა. ესეც გათავდება. ესეცა. ესეცა: მკვდარი რო გაცოცხლდა. სოფიოც რო ვითომც აქ აღმოჩნდა. მიიღო ვითომა. გააცილა კიდევაცა. ვითომა და ვითომა. და ინანა კიდევაცა – ამბროსის რატომ არ დავუძახეო. ტყუილი!.. ტყუილი!.. რაღა თქმა უნდა. იცის და სჯე-

რა და გაუვლის და ვერც გაიგებს – გაეპარება. გაეპარება. იქ აღარცა ფარფარებს ტანი მარგარიტასი. მერიის კოშკზე. ვითომც ხელები წოპზე ჩაუვლია. გაჭიმულა და ისე ფარფარებსო. ტრიალებსო და ფარფარებსო. ქარი თან მისდევს. მერე წინიდან მოექცევაო. შემოაბრუნებს. შემოატრიალებს. ისეცა ფარფარებს. ასეცა ფარფარებსო. ნიკალა?.. წასულა?!. ეტლი რო იქა დგას!.. არა!.. რის ეტლიო – მერსედესებია: ქალაქის მერისა. პრემიერისა. თავმჯდომარისა – საკრებულოსი. წევრებისა. სხვადასხვა მაუწყებლობისა. პრესისა. საზოგადოებრივობის წარმომადგენელთა. იქ *დისპუტია*. მერიაში. ცხოველი დისპუტი – რამდენი დაჯდება *დემონტაჟი* ქართვლის დედისა. რამდენს ცენტრალური ბიუჯეტი გაიღებს. რამდენს მერიაი. რამდენს კავშირი მრეწველებისა. და შეთანხმდებიან. *კონსესუსიო*. არ გაუჭირდებათ. მრეწველთა კავშირს დაეკისრება ყველაფერი. ბოლოსდაბოლოსა. თუნდ ერთმა გაიღოს. თუნდ ყველამ ერთადა. ეს უკვე იმათი *პრობლემაა*. ნებას დართავენ. მერი უფრო დააბეჯითებს: ეს იმათი *კომპეტენცია* გახლავთო.

შენ რაც გინდა თქვი. *ის* აღარ არის. ერთისიტყვითა. განუტევა სული. ანუ შეუგუბდა. დაეცა და განუტევა. გული გაუსკდაო. ამასაც ამბობდნენ. სისხლი ჩაექცაო. მკურნალთა ენით გამოითქმოდა ეს ყველაფერი. ლათინურადა. პირველ საუკუნეებშიაც ჰო ისინი გაწამებდნენ. ამ თავიანთი ლათინურითა. შემოგიბრუნდნენ მეოცდაერთეშიცა. ნუ იტყვი: ოცდამეერთეშიო. ასე არ იტყოდნენ შენი წინაპრები. ლექსიკა ისე არ ახდენს ენასა. სიტყვათა წყობა უფრო აფუჭებსო. თუმცა და ჰო – განუტევაო – დაამხეს თუ

არა შევარდნაძეი. მთელი ცხოვრება იმას ეურჩებოდა. საბჭოობასაო თუ დემოკრატობანაში. დაამხეს და გაუსკდა გული: ვაითუ ბრძოლის ნებაც წაგვერთვასო. მოეცადა იმ დალოცვილსა. მიეხედა. მოეხედა. გაეგო. დარწმუნებულიყო. რამ ააჩქარა ასე ამგვარადა. სიჩქარე რო არცა სჩვევოდა. მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთს რო ამტკიცებდა. ჯერ – ვერიდოთ მოსკოვურ პროექტებსაო; მერე – ვერიდოთ ვაშინგტონურ პროექტებსაო. უცხოურსაო. ერთისიტყვითა. ვერიდოთ. ავიცილოთ. ვითომც ვუსმენთ და არ დავიჯეროთო. ერთად უმტკიცებდნენ. სად აღარაო. ვის აღარაო. შევარდნაძემდისა და შევარდნაძიანადა. ვერსად ვერაფერი ვერ გაიტანეს. *ის* გადაჰყვა დავიდარაბასა. ეს არ გადაჰყვა. ვარაზი. ცხადია. რაც თუ რა მოჰხდა – ჰო ისევ *არის*. ვერ გადააყოლეს. აღარც აქტრისა მარგარიტა აღარა ფარფარებს მერიის კოშკზე. აღარც ეტლებია მერიის წინა. ნიკალასი. აღარა. აღარც ნიკალაო. მერსედესებია ყმაწვილკაცებისა. ფილოსოფია რო გაუვლიათ. თბილისის უნივერსიტეტში. ფალოსოფიას დაუფლებიან რო თავისუფლების ინსტიტუტში. სოროსის ინსტიტუტში. რო კამათობენ დაუმცხრალადა. ცხადია. იგივე *პრობლემებზედა*. ესენი აქა. სხვები სხვაგანა. თუნდაც პარლამენტში. ყველგანა. ყველგანა. ჩეკავს და ჩეკავს რო სოროსის ინკუბატორი მრავლადა და ავტომატურადა. ჰო არ ეჩვენება?.. არა. არა. ცხადია ყველაფერი. და რო ეჩვენება – მაშინაც იცის: რა ეჩვენება. ცხადი რა არის. გადავლილია მძიმე სატკივარი. ცოტაცა. ცოტაცა. სულ ცოტაცა. და ისევ ამოიდებს იღლიაში იმ თავის ნახაზებსა – იმისაცა. რაღა თქმა უნდა. ერთადა შრომობდნენ. ერთადა ჯახი-

რობდნენ. ის თან გადაჰყვა. ეს ჯერ არაო – მიადგება ჯერ მერიასა... ისევ ჯერაო... ეგებ მერემდე ვეღარც იაროს. ვნახოთ. ვნახოთო. იმასაც დაეხედა. იმ დალოცვილსა. ჯერ უნდა ნახო და მერე უნდა გაგისკდეს გულიო. ანთუ გული რად უნდა გაგისკდეს – ნახე და ნახე. ნახე და ნახე. ნახე და ნახე. თავშიმც ქვა იხალონ იმათა. ერთმანეთსაც ახალონ თავი. ქვაც იცენ თავში. შენ თუ მიწას გაცლიან ფეხქვეშა. არა ეგ არა. არ უნდა გამოაცლევინო მიწაი ფეხქვეშა. არა!.. არა!.. ეგ არ იქნება. მაინც თუ გაცლიან. შენ იძახე არ იქნებაო!.. არ უნდა გამოაცლევინო. არა და არა. მარტო ძახილიც არა კმარა. გულის გახეთქვაც არას გიშველის. უნდა მოიდგა ფეხი მაგრადა მიწაზე შენზე. მაგრადა. მჭიდროდა. მოუცილებლადა. უნდა შეინარცხო და არ შეენარცხო თუ ვინმე მიწას შეგეცილება. უნდა შეინარცხო!.. უნდა შეინარცხო!.. უნდა შეინარცხო. როგორადაც ის რომაელნი. ეს რომაელნიცა. უნდა. უნდა. უნდა. შეინარცხო.

რა გეჩქარებოდა შე დალოცვილო...

ი გლეხი მაინც დაჰხსომებოდა. ნახაზი ვერ გაიგო. დარბაზიაო. განუმარტა. ამანა. დარბაზი მახსოვსო. იმანაცა.

ვაშლის ნარჩენები მაინც შერჩენოდა. ნაგავს გაატანეს. გაატანეს. ნაგავში აღარა ზის. არა. აღარა. ცხადი ეს არის და არა ისა: ისევ ნაგავში ჰო არა ვზივარო.

აღარც მარგარიტა. აღარც ნიკალა. აღარც ეტლები მერიის წინა. მერსედესები. მერსედესები. მერსედესები. კამათი მერიაში. გაცხოველებული. დავიცვათ თბილისის *უნიკალობა*. გადავარჩინოთ *ოლიგარხთა* ხელყოფისაგან. ძირს *კორუფცია*. ძირს მეფარიძე. ძირს ქარქაშაძე. შევარდნაძე ჰო დაცემუ-

ლიყო და დაცემულიყო. მოგონებებსღა წერდა. მწარე იქნება. მწარე იქნებაო. წინასწარმეტყველებდნენ ჟურნალისტები. ეკითხებოდნენ და წინასწარმეტყველებდნენ. არაო. რათაო. მიუგებდა – ტკბილიო. ტკბილიო. და მწარეცაო – უარობდა და ეთანხმებოდა. შევარდნაძეი.

მეტი აღარც რა ეკითხებოდა. ველარც ველარავის ხელს ვერ შეუშლიდა. მორჩა კაცი. არის კაცი და აღარ არის კაცი. თუმცა და რაო – რა ამისი საქმეა ესა თუ ასეთები. ვარაზისაო. დარბაზის პროექტებს უნდა მიჰხედოს. სიძნელე წინ არის. რა სიძნელენიო. რისი სიძნელენიო. იტყვი. გაჰკვირდები. ქართული დარბაზი. ქართული საცხოვრისი. ოჯახის საცხოვრისი. განა სხვა რაო?!. არც არაფერიო. დაგიდასტურებენ. დაფიქრებაც არ უნდა. ცხადია. მაგრამ თუ ვინმეს სხვა განუზრახავს – რაღა დროს ქართულია ამ გაბმული რევოლუციებისა, ამ შეუქცევადი *კატაკლიზმების* დროსაო?!. და არც უბრალო ვინმეს განუზრახავს – დიდ ფულს განუზრახავს – მსოფლიო ფულსა?!. არ დაფიქრდები?.. დაფიქრდები და თავსაც იტეხ. ტვინსაც იჭყლეტ. კიდევ რას იზამ – ან რა იცი: იმას ჰო გაუსკდა გული. შენც ჰო გადარჩი ხიფათსა და შეჭირვებასა ან გადარჩი!.. მერიის წინ მერსედესებია. ბეემვეები...

კოშკის თავზე დროშა ფრიალებს. ახალი დროშაი. ხუთჯვრიანიო. ოთხად გაყოფილი წითელი ჯვრითა. ოთხი პატარა ჯვარიც რო ჩამჯდარა. მე ვამაყობ ჩვენი დროშითაო. ჭაბუკმა პრეზიდენტმა. გადაჰხედეთ გაეროს დროშებსა – აბა ვისა აქვს ასეთი დროშაო. ძველი ქართულია. ქართული საეკლესიო. მართლმადიდებლურიო. დაუდასტურა პატრი-

არქმა იმ ცხელ დღეებში. გაშმაგებული სამზადისის დღეებში. რევოლუციისაო. ვარდებისაო. ნეტავი თუ სადა ნახა ასეთი დროშაო. საიდუმლო გამოცხადებებში თუ ალბათა. წმინდა ხილვებისასა. შენ რას გაიგებ. ჰოი თუ რა საპატიო ვინმედ მიიჩნია მაშინ პატრიარქი თავისუფლების ინსტიტუტმა!!!... *კმარა* თავდაჰხრით ჩაივლიდა საპატრიარქოს წინა. მერეღა გააბამდა – გადადექიო და გადადექიო. ახლა?.. მოიცა. მოიცა. შენ შენი იღონე. როგორ რას აუხსნი ან როგორ დააჯერებ. აკი ვერც აუხსენი. ვერც რო დააჯერე. ორჯერ სულ ზევითა. ერთხელ გაგაფრთხილეს. მეორედ დაგცინეს თითქოსაო. შეგიცოდეს თითქოსაო. ახლა ეს უკვე ბავშვმაც კი იცის. შენ რაღა ბებიაშენის მუთაქებსა ჰხევო. ოღონდ ეს ის გახლდა. ის გადამდგარიო თუ გადაყენებულიო თუ გადაგდებულიო თუ გადაჩეხილი პრეზიდენტი. მეორედაც ესა... ეეეეეეეეჰეი სიბერეო!.. გულმავიწყობაც თუ დაგჩემდა, გინდა ყოფილხარ, გინდა არაო. ერთხელაც ის გახლდა. მეორედაცა. მესამედაცა. შენ ჰო მცდელობა არ მოგიკლია. შენა და ორივესა. ორივესა. რაღა თქმა უნდა. ერთხელ რო მიაღწიეთ. საფეხურთა მერე. იგი ბრძანდებოდა – ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. მიაღწიეთ რო მეორედა – იგი ბრძანდებოდა სახელმწიფოს მეთაური. მიაღწიეთ რო მესამედა – იგი ბრძანდებოდა პრეზიდენტი. მეორედ არჩეული. პირველი ვადისას ვერ გააღწიეთ. ესეც გაგონდება. ბევრი რამე სხვაც გაგონდება. ნუ გეშინიან!.. გამსახურდიამ დაგიბარათ და ვეღარ შეაღწიეთ. ცეცხლის ალში იყო თვითონ მოქცეული. გააღწია. როგორც რო იქნა. არც დავიწყებიხართ. დაგიბარათ: დავბრუნდები და ვიფიქ-

როთ მაგაზეო. შენ მცდელობა არ მოგიკლია. ერთისიტყვითა. თქვენა!.. ჰო!.. რა თქმა უნდა. იგივე დაგხვდათ. ერთისიტყვითა. იგივეც მოგიგოთ. სხვადასხვაგვარადა.

პირველადა: ყველაფერს თავისი დრო აქვსო.

მეორედა: თქვენც დრო ნახეთო.

მესამედა: მაგის დრო წავიდაო.

უფრო ადრე. თითქმის პირტიტველა ყმაწვილები მჟავანაძესთანაც მოჰხვდნენ. იმან განუმარტა. მიუკიბმოუკიბავადა. რუსული შოვინიზმის გარდა სხვა არავითარი ნაციონალიზმი არა სწამთ რუსებსაო. გადმოიღეთ რასაც რო გირჩევენ თუ არ გინდათ რო ყინულეთი ხეხოთო. ციმბირიო ესეიგი – არა?!.. შევარდნაძემ არც განუმარტა. პირვანდელმა. ყურმილი აიღო. იკითხა ღიმილითა. ცბიერი ღიმილითა – დავურეკო ინაურსაო. ინაურიო!.. ინაურსაო?!!!.. რაღა ძერჟინსკი და რაღა ინაური!.. არაო. რა თქმა უნდა. ფაცხაფუცხით გამოეცალნენ. მეორედ განმარტება იმანაც იკადრა. შევარდნაძემა – ის ჰო მოვიცილეთ როგორც იქნაო. გამსახურდიაიო. ახლა ამათაც უნდა მოვრჩეთო – სიგუასაო და იოსელიანსა და კიტოვანსაო. ხოლო მესამედა: დამთავრდა ყველაფერი. ხვალ ისიც აღარ გვეცოდინება – რანი ვიყავითო. ხოლო დღეს ჰო ისიც არ ვიცით – ხვალ თუ ვიქნებითო. ვარდობას თუ წინასწარმეტყველებდა გიორგობის თვეშია. ოღონდ რო მხოლოდ იმას არაო: თვითონ რო გადაჰყვა თანა – უფრო ვრცელსა. ყოვლისმომცველსა. პროლეტარულ რევოლუციას აღარა. აღარც პენსიონარულსა. არა. არა და არა. ბურჟუაზიულსაც აღარა. დრო მოსჭამაო. – კაპიტალისტურსა. საბანკო რევოლუციასა.

ფულის რევოლუციასა წინასწარმეტყველებდა. დემოკრატიული რო დარქმევია და საფლავს რო უთხრის დემოკრატიზმსა.

კარს აკაკუნებენ.

ზარი?..

დენი გაითიშებოდა. რა საკითხავია. მირცხულავას კიდევ შეუფარდეს ვადაი წინასწარი პატიმრობისა. ღმერთმა ჯანი მისცეს სონღულაშვილსა!.. თუ ვინც არის!.. თორემ ახლა რო ეს გარეთა ბრძანდებოდეს: გამოიძახებდა ჰო ყველა არხი მაუწყებლობისა; შემოირბენდა ჰო ყველა უბანსა გაჩაღებულსა ცეცხლმოდებული საბურავებითა. ახალთახალი საბურავებითა. ძველი ჰო სადღა იყო!.. ან ვინა ყიდულობდა ან ვინ ანაწილებდა ან ახორავებდა ან ხალხსაც უცებ ვინ შეუყრიდა თავსა; პარლამენტშიაც ჰო გამოიძახებდნენ; შეაჩვენონ რო იქაცა. იქაცა და იქაცა; ჰო უნდა ემართლებინა თავი. იქაცა. იქაცა და იქაცა. ჰო არც დაუჯერებდა არავინ არაფერსა. მართალსაც არაო. თორემ მოსატყუარი რა უნდა იყოს: ან ანძაა აფეთქებულიო. ქართლისაო. იმერეთისაო. სვანეთშიო ჰო – ნუღარ იკითხავ. ან ენგურჰესში მოჰხდა რაღაცო ან მე-9 ბლოკიო. მართალია და მართალზე მართალი. არ უნდა დაუჯერონ. მაინც არაო. უნდა აბურთავონ. ბურთივითაცა. დაჰქრის ეგრედაცა. ბურთივით დაჰქრის. დაჰქროდა. დათვსაც შეადარებ. ბურდღუნებს ისედაცა: ან რად დამარბენინებენ აქეთიქითაო ან რად არ მიჯერებენ ან რად არ დამაცდიან საქმეს რო მივჰხედოო. რადაო. რადაო. რად არის ასეო. ახლაცა კითხულობს. გამომწყვდეული. ხოლო ახალმა. მინისტრმა. საქმე მოაგვარა სულ ადვილადა. მე აქციებით ვერ შემაშინებთო – ჰო ბრძანა

პრეზიდენტმა. მე ვარ ჩემპიონი და აკადემიკოსიც მე ვარ აქციებისაო. იმანა ერთი ბრძანა და ამან. მინისტრმა ახალმა. ერთბაშად მოაგვარა საქმეი თავისი: აღარც უბნები გადაკეტილი საბურავების კოცონებითაო. აღარც რო ხალხი კოცონების ირგვლივა. აღარც ბღავილი ავტობუსებისა. ტროლეიბუსებისა. ავტომობილებისა. გაგვატარეთო. აღარც სირბილი ტელეარხებში. აღარც პარლამენტში გამოძახებანი. არა. არაფერი მსგავსი ამისა. მოაგვარა და მოაგვარა. სულ ადვილადაო. ენერგეტიკის *პრობლემები* თბილისის ქუჩებში. პოლიციის მინისტრმაო. თუ ენერგეტიკის მინისტრმა?!. ჰო ბრძანებდა პრემიერ-მინისტრი: „უნდა ავუხსნათ ჩვენს მოსახლეობას აქედანვე რომ – წლევანდელი ზამთარი უპრობლემო არ იქნება ენერგეტიკის პრობლემების მიმართებით." აკაკუნებენ და აკაკუნებენ. კარს აკაკუნებენ. ზარი დუმს რო. *უპრობლემოდა*. რატომ აყოვნებს. ვარაზი. ცხადია.ჰო იციან რო შინა ბრძანდება. სოფიო იქნება. ამბროსი იქნება. ამბროსი გახლავს. ყველი მოაქვს. ვეება ბუმბულაი. ძლივას ერევა. კიბეზე შემხვდნენ ჯეირანივით გოგოებიო. ამბროსიმა. შენა გკითხულობდნენო. ეს მოჰქონდათ. მე ჩამოვართვი. გამოვუძეხი. მივიხედე და გამქრალიყვნენო.

ვინ ჯეირანივით გოგოებიო. ვარაზმა.

აბა მე რა ვიცი. შენა გკითხულობდნენო.

მხრები აიჩეჩა ვარაზმა. სხვას რაღას იზამდა.

რაც უნდა იყოს – ერთ რამეს მიჰხვდა: გამოყვანილობით მიჰხვდა. იმგვარივე მოყვანილობითა, ის ბუმბულა რო იყო ყველისა – მაცივარში რო დაჰხვდა. გუდა გუდაა. გუდის ყველიც გუდის ყველია. მაგრამ ხელია სხვადასხვაგვარი. ხელის ნირი იგივე

აჩნდა. თვალად შენიშნა თუ გუმანით მიიტანა, ეს სულერთია: კვალს დავადექი და უნდა მივყვეო.

ვინა ვართო. როგორა მკითხულობდნენო.

ვინა ვართო – ეგ იმათ არ უთქვამთ. კითხვით კი ასე გკითხულობდნენო: ბატონი ვარაზიო. კარგარეთელიო. ვერ იყო კვალი ნიშანდობლივი. რაღა თქმა უნდა. რო აღწერდა რო გარეგნობითა, ვერ ინიშნებდა ვერც ვერავისა. ვარაზი. ცხადია. ორნი იყვნენ. ორივენი მომაღლონიო. კულულები მხრებზე ეყარათ. ერთს ჩალისფერი. წაბლისფერი მეორესაო. ჯინსები ეცვათ. ახლათახალი. გეგონებოდა ეს არის მაღაზიაშივე გამოიცვალესო. ზედატანი თმისავეფერადა. მკლავს თუ ასწევდნენ, ჭიპამდის უხტოდა ორივესაო. სახედაბრაწულნი ერთნაირადა. გამოძეწკილი ქარსა და მზეშიო. ესაა მთებიდან თუ ჩამოვიდნენ. შურთხებივითაც ჰო გამიფრთხნენო.

ჯეირნებივითაო. თავიდან ამბობდი. ახლა შურთხებად მიხასიათებ. როგორ რა გავიგო. რას მივამგვანოო.

ერთიცა და მეორეცაო. ეს უკვე სოფიომა. ბავშვობაში თუ უნახავსო. ზოოპარკშიო. ან რაზიკაანთ ზღაპრებიდან დაჰხსომებია. იმგვარადაც დაჰხსომებია, ერთნაირები რო ჰგონებიაო.

არაო. არაო. ერთნაირად არაო. ამბროსიმა. იუარა. რაღა თქმა უნდა. ჯეირანი ცხოველთა გვარს მიეკუთნება. შურთხი ფრინველთაო. მართალს იტყოდა. ვერ აუხირდებოდი. ოღონდ ვარაზმა დაჰკარგა კვალი. იპოვნა და დაჰკარგა მყისვე. იმასაც პოვნა თუ დაერქმეოდა... სამაგიეროდ იპოვნა პატრონი ყინვარვაშლასი. ნამდვილად იპოვნა. წყალი არ გაუვიდოდაო. ნათქვამი როა. ისე ნამდვილადა. მოტეხი-

ლიყო. ხმაც შესცვლოდა. გათეთრებულიყო. თვალი გაჰხდომოდა უნდობელი. სიტყვაპასუხი იგივე შერჩენოდა. კალათი რო ეცნო. ამბროსისა. ვაშლიც ეცნო და ეკითხა. ცხადია. ჩვეულებრივა: რას აფასებო. ულირალიაო. მიეგო. ამას ჰო ფასი არა აქვსო. რასაც გაიმეტებო. ჰოდა ვარაზთან წამომყვებიო. ამბროსიმა. და წამოჰყოლოდა ტუსტუსითა. დიდად გაიხარეს. ჩამოართვეს ხელი. კარგახანს არც გაუშვეს. რო მიაშველეს მეორე ხელიცა. იდგნენ ეგრე და იცინოდნენ. ვაშლი ცოტა ეპატარავა. ვარაზსა. დაბერდაო. იკითხა. სინანულით იკითხა.

შევაბერდით ერთმანეთსაო. ყინვარვაშლას პატრონმა. „გამოიფიტა. ერთ ტოტსღა ერევა. ისიც აღარ არის აქეთა. ვერც ვამყნე. არ იხარა. რაზე არა ვცადე. რა მაჟალო არ შევურჩიე. არ იქნა. არ იხარა. არც ფესვი ამოიღო. აღარც თვითონ რო აღარ არის!.."

შენ კარგად იყავიო. ამბროსიმა. იმდენი ახალი ჯიში შემოდის... უკეთესი და უკეთესიო.

შემოსული უკეთესი ვერ იქნებაო. რაცთუ იქნება – სხვა იქნება. სხვა ჩვენ არ გვარგია არაფრადა. „ჩვენი თუ არ შეგვრჩა, ჩვენ არ ვიქნებით. ჩვენ თუ არ ვიქენით და სხვებად თუ ვიქეცით, გინდა ვყოფილვართ და გინდა არა. მე ჩემი თუ ველარ მიცვნია, იმას თუ მე ველარ ვუცვნივარ, მაშ რისთვის გავჩნდით?!. ადამიანობა სხვა რა მოხელეა?!. ბარემ მგლები ვყოფილიყავით. თუნდაცა რო მაიმუნები. მაინც ორივეს რო ვემგვანებით: მგლებსაცა და მაიმუნებსაცა. მე ჩემდათავად მგლად ვერ ვიქეცი. მაიმუნად კი მამაიმუნებენ. ჰოი როგორ მამაიმუნებენ!.."

მაინც როგორაო. ამბროსიმა.

„როგორა და ასე. შე დალოცვილო. შემანერეს გამგებლობაი და აღარ მომეშვნენ. მეც არ გავბრიყვდი და არ დავთანხმდი!.. რო აღარ მომეშვნენ?!. თვისთავზე არაფერი. ორიო თუ სამითვის თავზე: პროკურორი გიბარებსო. ვეახელი და ბრალი დამდო უფლებამოსილების გადაჭარბებაში. ახლა თუ იკითხავ, გადაჭარბება თუ რა იყო, მაგასაც მოგახსენებ. გზა არ გვივარგოდა სადგურამდისა. ის გზა შევაკეთეთ. ჩვენი ჰო ჩვენადა. სხვა სოფლის მინდორს რაც გაუყვება – ისიც შევაკეთეთ. აქეთ სოფელი გადავიკიდე. ჩვენ რად გვაწვალებ სხვის მაგივრადაო. იქით პროკურორი გავაგულისე: უფლებამოსილების გადაჭარბებაო. ციხეო თუ საპროცესო გარიგებაო. კიდევაც ცხრაჯერ დავუკარი თავი. ამითი თუ გადავრჩებიმეთქი. ვიცოდი რაც აკოღინებდათ. დარბაზი უნდა წაერთმიათ. წამართვეს კიდევაცა. საჯაროდ გამიყიდეს. ღმერთიც უშველის. დამინარჩუნა ივანიშვილმა. საიდან რა შეიტყო თუ რა გულმა რა მისცა – ეგრევე დამტოვა. შენად იგულე და ჩემს მოვალედაც ნუ ჩასთვლი თავსაო. ღმერთიც უშველის!.. მაგრამ ახლა მაგარიც ის არის. ისა. გამგებლობას რო სთავაზობენ ჩემს ბიჭსა!.. იმას ნარკოტიკებს ჩაუდებენ ჯიბეში. მე ისევ წამართმევენ დარბაზსა. შენ რაც გინდა თქვი. კეთილო ჩემო!.. გამაიმუნება ბევრნაირია. ბევრნაირი. ესეც ამნაირი გამაიმუნებაა. ჩემს ბიჭს არა სჯერა. მეო. სხვა სოფლის მინდორში გზას არ შევაკეთებ. როგორაო. მე ვინ რას გამიბედავსო. ესეც გამაიმუნება არ არის განა?!.“

„მოიცა. მოიცა... რა დარბაზსაო...“ ვარაზია. ყურებდაცქვეტილი.

„შენ რო ფასი დამდე...“

„ის იმხელა დარბაზი იყოოოოო!.."

„იმხელას მე რას გავწვდებოდი!.. რასაც გავწვდი, თანაც გადავჰყე. მომცრო დავიჭირე. მთელი ცხოვრება ზედ შევალიე. ვიცი. ვიცი. დიდი ოჯახის დიდი სადგომია. მოხერხებული და შესაფერისი. შემოსდევს საწოლები. იმ თავისი სათავსოებითა. პატარპატარა ოჯახთათვისა. დიდი ოჯახი თავს იქ მოიყრის სადილსამხარსა და ვახშმობისასა. სჯაც იქვე იქნება. განწესებაცა. ვინ როგორ გაისარჯა. ვინ საქმეს რა არგო. ვინ რა აკეთოს. საქმეც. ერთი ექნებათ. შეიძლება რო. მრავალმხრივიცა. მაინც ერთი. სარგოი და განმადიდებელი ოჯახისაი. გვარისაი. ვიცი. ვიცი. სწორედ ეს არ უნდათ. კლანიო. დასცინიან. ფეოდალიზმიო. ბევრი არაფერი მე არ გამეგება. გეთაყვა. მაგრამა შრომა რო ფეოდალობა არ არის – ამისი გაგება მაინც შემიძლიან... მე სად გავწვდებოდი ამდენსამეთქი. მცირე რამ დავიჭირე. დარბაზი მხოლოდა..."

„გვირგვინი ჰო?.."

„უსათუოდა!.. ისე დარბაზი რა დარბაზია!.."

„ვიტრულიუსი რო დარბაზს აღწერს" ვარაზმა, „კოლხური დარბაზია. ჩვენი ხუროთმოძღვრების დარბაზია. დიდი ოჯახების სათავსი და საცხოვრებელია. დიდი ოჯახებით მომძლავრდა საქართველო. დღესაც დიდი ოჯახები გვინდა. მძლავრი გვარები გვინდა. თავი რო გავიტანოთ. გასაძლებს გავუძლოთ. ჩვენ ჩვენად რო ვიყოთ. ჩვენ ჩვენადა და სხვებმა ირჩიონ რაც რო ენებოთ. დემოკრატიზმი აი ეს არის. და არა ისა: მე რაცა მნებავს, იმად იქეციო."

„მაიმუნად მაინც არა – რა!!!.." ყინვარვაშლას პატრონმა. ალბათ დარვინი რო არ მოსწონდა. ანთუ

არ ეჭაშნიკებოდა გამაიმუნებაი ადამიანისა. სიცრუე არაო. გადაგვარება არ უნდოდა. პროგრესი ერქვა თუ დემოკრატიზმი ერქვა თუ რევოლუცია ერქვა თუ გლობალიზმი ერქვა თუ რაცთუ ერქვა თუ კიდევ რაცთუ დაერქმეოდა ამიერიდანა. ედგა კალათი ყინ-ვარვაშლათი. ვარაზსა. რა თქმა უნდა. ცხადადა. თვალსაჩინოდა. ხელს მოჰკიდებდა. ათამაშებდა. თლიდა კიდევაცა. კბეჩდა კიდევაცა. ეხებოდა. გრძნობდა. იგემოვნებდა. ცხადი იყო. რაღა თქმა უნ-და. ცხადი და ცხადი. ხედვა თუ აერეოდა, ეგეც არა-ფერი. ანთუ ისიც არის: შინ დაბრუნება უფრო ძნე-ლია. შინიდან გახვალ. აიქარებ უფრო ადვილადა. შინ დაბრუნება ოდისეაა. ყველას თავისი ოდისეა ჰქო-ნია. აქაური სიმღერაც ჰო გაგიგონია. ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო. დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო. ოდი-სევსს კარგი ცოლი ჰყავდა. ამას რა ეთქვა. ვარაზსა. აღარ იცოდა. შინ აღარა ჰყავს. წაუვიდა. დაბრუნდა და ჰყუდია მარტოდა. ვარაზი. ცხადია. შინ თუ არა გყავს არავინა, დაეკითხე დედაბოძსაო. დედაბოძი დარბაზმა იცის. დარბაზში მარტო არც იქნებოდა. ისევ ამბროსის თუ დაეკითხებოდა. რო დაებეჯითე-ბინა. რაღა თქმა უნდა. იმასაც ფრთხილადა:

„აი გლეხი – არა?!!!." ფრთხილადა და მოწონებითა.

„შენ გლეხი უძახე!.. პარლამენტში ეგ უნდა იჯდეს."

სოფიოსაც დაეკითხებოდა:

„სანაქებო ვაშლია – არა?!."

„სანაქებოზე სანაქებოა!.."

IX

და მაინც დროშა სხვაგვარად მოსჩანდა. მერიის თავზე. რაღა თქმა უნდა. არცა ფრიალებდა. არც ირხეოდა. გაჭიმულიყო. შუაში უჯდა წითელი ჯვარი. კუთხეებში გოგონა ეხატა. ოთხივ კუთხეში იგივე გოგონაი. წითელი სარტყელითა. თეთრმაქმანებიანი კაბითა. ყვითელი ქუდითა. ცალ ხელში ბუშტითა. წითელითა. მეორეში – საპეპელე ბადითა. ნიკალას ნახატი გადაეტანათ და მიეწერათ: აკტრისა მარგარიტა ბავშვობაშიო. ჯერ ესეც სადაო გახლდა – რატომ უთუოდ მარგარიტაო. ბავშვობაშიო. იქ მართლაც რო დავობდნენ. მერიაში. ოღონდ ამაზე არა. არა. ეს მიეჩნიათ დამტკიცებულადა. ხოლო რო დავობდნენ გაცხარებულნი, ეს იმიტომა: ადგილები თუ როგორ გაეყოთ გამარჯვებულთათვისა კონკურსშია. გამარჯვებულნი გამოვლენილიყვნენ. ადგილები ვერ დაედგინათ. ერთი მეორესა სჯობდა. მესამე – ორივესა. მეოთხის ბადალი არც მოიპოებოდა. ყალხზე იდგნენ დაწუნებულნიცა. დავუცდით ჟიურის დადგენილებასა. გავასაჩივრებთ უთუოდაო. ჩვენ უკან არ დავიხევთ. ცხარობდა ერთი. მომეტებულადა. არ დავიხევთ და არ დავიხევთო. ხმაცა და სახეც მიუგავდა პარლამენტის თავმჯდომარესა. „რევოლუციის დღეებშიო." თემა რთული გახლდა. ამდენ მონაწილეს არავინ ელოდა. ასეთ წარმატებას მითუფრო არავინა. თუმცაღა რაო – არც უნდა გვიკვირდესო. რევოლუცია მიდის აღმავალი გზითო. ჯერ კორუფციაც ჰო არ დაძლეულა ბოლომდისა. რიგიც იზრდე-

ბა პროკურატურაში გამოძახებულთა. საპროცესო გარიგებანიცა ვითარდება უჩვეულო წარმატებითო. თემა მაინც სხვაგვარი გახლდა. საკონკურსო თემაი. სხვაგვარიცა და შესატყვისიცა. ვითარებისა. გარემოებისა. მზაობისა საზოგადოებრივისა. ანთუ რაცაო და როგორიცაო – ასეთად იყო გამოცხადებული: როგორია უთანხმოების წარმოშობის მიზეზები ნიკო ფიროსმანიშვილის მკვლევართა შორის და გამართლებულია თუ არა ის ბუნების კანონებითო. ნაშრომები გუნდურად წარმოედგინათ. ჩვენ ერთი გუნდი ვართო. აცხადებდნენ დაწინაურებულნი პარლამენტსა და მერიაში. თავისუფლების – სოროსის – ინსტიტუტი რო დაემთავრებინათ უკვე; ჩვენაც – ერთნიო. იმავე ინსტიტუტის აწინდელი ფაკულტეტიც – ფალოსოფიისა – აცხადებდა; ჩვენცაო; ჩვენცაო. კმარას აქტივისტებიც ამტკიცებდნენ. ახალგაზრდა იურისტთა კავშირის წევრებიცა. ამათი ნაშრომები. გუნდური ნაშრომები გამოერჩია ჟიურისა. პირველი ჯილდო მიეკუთნებინა დამთავრებულთათვისა; მესამე – ახალგაზრდა იურისტთათვისა. ვერ შეთანხმებულიყვნენ მხოლოდ მეორეზე: მსმენელებსაო. აწინდელსაო. თუ აქტივისტებსა კმარასიო. ხოლო ამათგან ერთერთი რო გაიმარჯვებდა – სადღა ჩაესვათ მეორეი. მესამე ადგილი რო დაკავებულიყო. ხოლო მეოთხე აღარ არსებობდა. ჩვენ არ დავიხევთ უკანაო. ჭირვეულობდნენ ახალგაზრდა იურისტები. ჭირვეულობდნენ. დავობდნენ. კამათობდნენ. ჟიური ჰო ჟიურიო. რაღა თქმა უნდა. საკრებულოცა. მერიაცა. და თვით მერიცა. მონაწილენიცა. ნათესავმეგობრებიცა მონაწილეთა. თანაც რო ახსოვდათ მუქარაი პრეზიდენტისა: არცერთი მახ-

ლობელი – ხელისუფალთა – სამთავრობო დაწესებულებებშიო. ახსოვდათ. იმეორებდნენ. ამტკიცებდნენ. ოღონდ აქ მაინც თავს ვერ იკავებდნენ. და გამართლებაც გამოეძებნათ: კორუმპირებულთა ნათესავებსაც ჰო ართმევს ქონებასა სასამართლოიო. პრეზიდენტი ჰო იქ არც ერევაო. ეს ჰო კონკურსია. დაწესებულება ჰო არ არის. არც აქ ჩაერევა პრეზიდენტიო. არაო. არაო. რაღა თქმა უნდაო. თავს იზღვევდნენ და აპოტნიდნენ თავპირსა ერთიმეორესა. ჩვენ უკან არ დავიხევთ. არც ჩვენაო. ჩვენ რაღა უკანონო შვილები გვნახეთო. არაო და არაო. არაო და არაო. და უკან არიხევდნენ. შვილები დემოკრატიისა. შინ – ცხვირპირს ულეწავდნენ ერთიმეორესა. სხვაგვარად ვერაფერს რო ვერც გაარჩევდნენ. ოთხივე ჰგავდა ერთიმეორესა. დაწუნებულნიც იმათა ჰგავდნენ. *პრინციპშიო*. იტყვიან.

გადამდგარს უყვარდა ასეთი მტკიცებანი. აწინდელთაგან ეხერხება პრემიერ-მინისტრსაცო. დამკვიდრებით დამკვიდრებულა პარლამენტში. საკრებულოში. ქალაქისაო. სამინისტროებში. უნივერსიტეტებში. ქუჩის გარჩევებში. აქციებზე. დემონსტრაციებზე. გაფიცვებზე ანუ. პოლიციელთა და მეაქციეთა შეჯახებისასა. ყველგანა. ყველგანა. ერთისიტყვითა. ჰო – *პრინციპშიო* ესეიგი. და დიახ რო *პრინციპში* ასე განეხილათ მიამიტი სურათი ფიროსმანიშვილისა – გოგონა წითელი საჰაერო ბუშტით. ასე და ასე: აპკის მინიშნებად წარმოედგინათ წითელი ბუშტი. ქალურ საწყისადა. საპეპლო ბადე – თევზის ბადედა. თევზი ჰო. ცხადია. კაცურ საწყისადა. და. რა თქმა უნდა. გამართლებულად მიაჩნდათ ბუნების კანონების მიხედვითა. ასე გადაეჭრათ ძირის-

ძირეული ნიშნეულება ნახატისა. ფილოსოფოსები ბრძანდებოდნენ ანთუ ფალოსოფოსები. თავისუფლების – სოროსის. ინსტიტუტიდანა. სხვა დანარჩენი არც ევალებოდათ. არც შეიჭრებოდნენ სფეროებში ხელოვნებათმცოდნეობისა. ვის დაერქმია ანთუ რად დაერქმია: გოგონა წითელ საჰაერო ბუშტითა და არა გოგონა დიდი ყვითელი ქუდით ან რად უნდა რქმეოდა რაღაც განუსაზღვრელი გოგონა და არა – ბავშვობა აკტრისა მარგარიტასი თუ დამტკიცდება რო ქუდი ესე პარიზული მოდაა – ხოლო მოდანი პარიზისანი ჰო პირველად თბილისს მოედებოდა და გადიოდა აქედანა დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში. აქედანა. გზაჯვარედინიდანა. რაღა თქმა უნდა. ბაქოს თუ მოუნდომებია ამ გზის გადაჭრაი. აბრეშუმის გზისა. ერევანთან ჯიბრისა გამოო. ეს ჰო ახლაო. ყარაბაღის გამოო. იქ რა ხელი აქვს აკტრისა მარგარიტას ბავშვობასთანაო. ესაო და სხვა ამგვარნი იკვლიონ იმათა. ხელოვნებათმცოდნეებმა. თუნდაც ცალკე. თუნდაც ერთადა. ისტორიკოსებთან ერთადა.

აბრეშუმის გზაო. აბრეშუმისაო.

როგორ უხაროდა გადამდგარ პრეზიდენტსა!..

ესეც თუ გაწყდა – ეამება თუ ეწყინება. ესეც საკვლევი გაჰხდება მერე თუ არ ჩასწერს მემუარებში. ჩასწერს: ჩასწერს. საქართველო მხოლოდ დავით აღმაშენებელი ჰო არ არის – მარკო პოლოც არის. აბა მაშ რაო, რას აუღერებია თავი და გაიცქირება დასავლეთისაკენა. დასავლეთი და დასავლეთი. დაუჭყეტია თვალები და გაიძახის. ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო.

სულ სხვა ამბები მოჰქონდა ამბროსისა. ახლათახალი. ცინცხალი. ცოცხალი. აქციებიდანა. რაღა

თქმა უნდა. ჟურნალისტებიც იქვე შეიტყობდნენ. მერეღა გამოჰქონდათ: რადიოში. ტელევიზიაში. გაზეთებში. ამერიკის ხმაში. რადიო თავისუფლებაში. კარგი რამ გახლდა ეს ორივე რადიოი: ისეთს გაიგებდი, აქ რო მალავდნენო. ახლა დამალული რო აღარაფერია – სწორს ვერ გაიგებ ვერც იქიდანა. ვერც აქავეო. ამბროსის სწორი მოჰქონდა ყველაფერი. ცინცხალიო და ცინცხალიც ეს გახლდა: არც შევარდნაძისათვის რო არ მიეცათ პენსიაი და არც აპირებდნენ რო მიეცათ. თურმე. ეახლნენ კრწანისში. შევარდნაძესა. შემცირებული, დათხოვილი თუ გამორეკილი მასწავლებლები. ექიმები. ღიპიანი პოლიციელები ჰო და რა თქმა უნდა. კანცელარიათა მოსაქმენი. გარემოვაჭრენი. შიგმოვაჭრენიცა. მენაგვეები. ყველა დევნილი და მკოდოვანი. ეახლა. ეახლნენ. ნაცარი დაიყარეს თავზე – რაც რო შენს წინაშე შეგვიცოდიაო. მოგვიტევეო. ახლა შენც მხარში ამოგვიდექი. ერთ ბედში ვართ და ერთად შევუტიოთ. შევძრათ. შევარყიოთ. შევაზანზაროთო. არაო. პრეზიდენტმა. გადაყენებულმა. მე თვითონ გადავდექი. საკომპენსაციო არ მეკუთვნისო. ხოლო პენსიას ვინ დამიჭერსო. ჩემს დამსახურებულ პენსიასაო. ჩვენ ნუ გვასწავლი როგორც რო გადადექი. ეგ ზღაპრები სხვებს მოუყევიო. ვარდები ჰო ჩვენ დაგვირიგეს და ჩვენ მოვფინეთ ამის გზებზეო. ემაგ შენი შემცვლელისაო. ვიციო. არ უთქვამს. არც უსაყვედურია. უარს მაინც არ გადავიდა. ჩვენც მოვეშვითო. ამბროსიმა. ახია შენზეო. ყველაფერიო. ეს კი ვუთხარითო. ამაზე დაგვეთანხმა. უარესიც მეკუთვნოდაო. ისეო. დასძინა ამბროსიმა: შეჰხედავ – ის არის. ნირი არ შეშლია. მაინც ის არ არის. არ შერჩენია არც ალიკვა-

ლი ადრინდელიო. შეჰხედავ და მიჰხვდები: დიდკაცობა თუ რა ყოფილა, პატარკაცობა თუ რაიო.

მოვეშვით და არც მოვეშვითო. ამბროსიმა.

ისიც რო შევიტყვეთ: არც იმისთვის რო არ დაუნიშნიათ პენსიაი... კომპენსაციაზე ჰო უარი გვტკიცა. თვითონვეო.

დავურეკე ზურიკოსაო. გადაყენებულმა. რაღა თქმა უნდა. იმას არ ვურეკავო. არაო. იმასაო. *მიშიკოსაო*. ესეიგი. იმანაცაო. ზურიკომაო. ესეიგი. მიმიკიბაო. მომიკიბაო. ჩვენ ყველაფერს ერთადა ვწყვეტთო. გუნდურადაო. მიშიკოც წასულია. ნინიკოც წასულია. ჩამოვლენ. ვიმსჯელებთ. ჩამოვყალიბდებითო.

რა ჩამოაყალიბებთ ეგრე ადვილადაო. ჩვენც ჰო მაგ დღეში ვართო. კომპენსაციას ჩვენ არ გვაძლევენ. პენსიის საქმე მოიგვარეთ. პენსიის საქმეზე არ გვიკარებენ, პასპორტის საქმე მოიგვარეთო. მოიგვარებ თუ ვერც მოიგვარებ. ჩვენც ჩვენი საქმე მოვაგვაროთო: უნდა გავცხრილოთ ცრუპენსიონერები. მკვდარი სულები უნდა გავცხრილოთო. უნდაო. უნდაო და ვეღარც გაუგიათ ვეღარაფერი. მაგათ სად ვუცადოთო. ადე და მოგვყე ძმობილო, არ დავაყოვნოთ ხანიო, ჩავუხტეთ მუხრანბატონსა, თავს დავანგრიოთ ბანიო.

არაო. არაო. შვილები არიან ეგენი ჩემიო. რა ვუყოთ თუ ჩემი შექმნილები არ არიან. დაზრდილები არიან ჩემი. დიდი ამაგი მაქვს მე მაგათზე. ჩემს ამაგს ვერ ვუღალატებო.

არ გამოგვყვაო. ამბროსიმა. შევარდნაძეიო. დიდი დანაკლისია ეგა ჩვენთვისა. შენც კი გვაკლიხარ. მაგრამ შენ მაინც ერთი ხარ. რაცა ხარ. ისიც ერთია

და მეტილა აღარაფერი. მაგრამ ის სულ სხვაა – ჟანდარმები რო ამოიდებენ ფეხქვეშა. იმასა. პრეზიდენტსა. თუმცა რო ყოფილსაო – ის კიდევ სხვა გახლავს. ღმერთმა დაგიფაროს და შენ თუ ამოგიდებენ ფეხქვეშა. თუნდაც მეო. თუნდაც ვინმე ნიკიფორესაო. ეგ ვითომც რო არაფერიო. ამბროსიმა. გამოდი. გამოდი. შენივე თვალი გადაავლე. შენი ყურით გაიგონეო.

განა იმიტომ არ გამოვდივარო. ვარაზმა. იმართლა თავი. ვითომ მაგათი მეშინოდესო. მე ჯერ ჩემი თავიდან ვერ გამოვსულვარ. ჯერ ჩემი თავიდან უნდა გამოვიდეო. და ესეც იცოდეო. ვარაზმა. მე მე ვარო. და ისა ვარო: არც მიმავალი პრეზიდენტის ჭკუაზე რო არ მივლია. არც მომავალისა. და არც ემაგ შენი ნიკიფორეებისაო.

საწყენად არ მითქვამსო. ამბროსიმა.

„განა მე საწყენად გეუბნები?!."

„რა გითხრა იცი?.. მეშინიან... შენც რო შემომწყრე... რა მეშველება – ვიდრე პენსიას დამინიშნავენ..."

„ჰოჰოჰოჰო!.. შენც რო შევარდნაძის პენსიას დაგინიშნავენ!!!!.."

ამაზე რაღა ეთქვა ამბროსისა. რაც რო თქვა, ისიც სწორედ ვერ გაეგო. უფრო სწორედ სოფიო ჰყვებოდა. ესაო და შევარდნაძე ის კაცი არ არის, დროზევე რო არ მოეგვარებინა თავისი საქმეიო: ხელშეუხებლობის პირობაც მაშინვე დაადებინა. კრწანისის სახლიც მაშინვე დაამტკიცებინა. პენსიაც მაშინვე დაანიშვნინა. ვიდრე გამოაცხადებდა გადადგომასაო. თავდებად ბუში და პუტინი დაიყენა. შუაკაცებად მაილსი და ივანოვიო. ახლა რო მოსთქვამს. ეგ გადამდგარიო თუ გადაყენებულიო. იმას-

ღა მოსთქვამს: დამიგვიანეს პენსიაიო. დამიგვიანესო. დამიგვიანესო. დაგვიანებაც რო მაგისივე გამოგონილია. გაყინვაცა. პენსიებისა. ხელფასებისა. ანაბრებისა. და ბევრი სხვა რამ უბედურებაცაო. ასე ჰყვებოდა. ასე ჰკილავდა. იგონებდა იმდროინდელ გაფიცვებსაცა. „მართალი რო ითქვას. ერთი თხისკენა. ერთი მგლისკენაო: მღებრიშვილი უფრო თავაზიანი გახლდათ...“ ვიდრე ესაო. ახლა ვინ არისო და რა მქვიანო. ამბროსიმაც არ იცოდა, ისე იცვლებოდნენ. პანტაპუნტითა. ვარაზმა მითუფრო. ამბროსი მაინც წაიხუმრებდა: ქმარი ლაშქრად იყოო. ცოლი ამბავს ახვედრებდაო.

ქმარი ლაშქრად იყო. ცოლსაც გადაჰხდა გადასახდელი.

უცებ გაეყინა თითები. ვარაზსა. გაუფითრდა. გაუთეთრდა. ქაღალდს დაემგვანა. მოსწყდა მაჯამდისა. ისევე თეთრი. გაქაღალდებული. ფერადა. ცხადია. გრძნობაც დაჰკარგა. დივანთან იდგა. დივანს დაეცა. კიდევ კარგიო. სხვა რო არაფერი არ დამართნია. არც რა სტკენია. არც რა მოსტეხია. ეგაა მოსწყდა ხელის მტევნებიო. თითები ეკიდა ლოლუებივითა. ჩამომტვრეულიყო თუ ჩამომდნარიყო წვეთწვეთობითა. ორთქლავდა. სოფიოი. ლოყაზე მიიდებდა. ხელებსა ვარაზისა. წვეთს აჩერებდა თუ ჩამომტვრევასაც. ყელიც მიაშველა. ხელებიც ჰო. თავისი ხელები. თბილი. სალუქი. ჩაიცურა შიგნითშიგნითაცა. იმისი ხელები. ვარაზისა. ანთუ რა ხელები – ყინული. ყინულის ლოლუები. ეგონა თვითონაც გაიყინებოდა. ეგონა თუ არც რა ეგონა. კაცი აღარ იყო. ხელში აკვდებოდა. გაყინულიყო. მხოლოდ სითბო თუ გადაარჩენდა. დროზევე. საჩქა-

როდა. აღარ უშველიდა მერე აღარაფერი. ახლაც ვინ იცისო. ცდა მაინც არ დაიშურებოდა. არა. არა. არც აღარაფერი აღარ დაიშურებოდა. და იხუტებდა. ლოლუებსა. ძუძუებს ახვევდა. იკრავდა. იზელდა. ეგლისებოდა. მერე შეიცხადა. მერე ინანა. დამეძახა სასწრაფოსათვისაო. მაგრამ მაშინ ჰო არც მოჰგონებია. ან რა სასწრაფოო. სახელი როღა შერჩენოდა და მოსთქვამდა უბენზინობასა. ფარეხიდან ვერ გამოსულიყო. არც მოჰგონებია. ერთისიტყვითა. ან რას მიუსწრებდნენ. რა სითბოს მიუტანდნენ ანა. სითბო თვითონ იყო. ანთებულიყო მომეტებულადა. უფრო ისღა თუ აშინებდა: მევე არ დავადნო ლოლუებიო. არაო. არა. არ აჰყვა შიშსა. სითბომ გაიტანა თავისი. სითბომაო თუ მხურვალებამა. თითებმა მოიცა ფერი ნელნელა. გულიც შეირხა. გაყინული. ვარაზისაი. მოესმა თითქოს კრინტიცაო. სოფიოსა. რაღა თქმა უნდა. და უკუიქცა იგი. სოფიოი. გავარდა. გაიქცა. ჩაიკეტა შინა. კანკალმა აიტანა. შიშმა აიტანა. კარს აღარ უღებდა – ამბროსისაც არა. აქეთ ამას დარია შიშმა. ამბროსისა. რა დაემართა და რა მეშველებაო. ისევ ვარაზიო.

ვარაზი გონს მოსულიყო.

ხელებს იფშვნეტდა. დამბრუშებიაო. სხვა რამ თუ რა გადეტანა, აღარ ახსოვდა თუ არც რა გაეგო.

სოფიომ გაიგო. სოფიომ განიცადა. რო წამოჰხტაო და რო გაიქცაო. უბის ღილებს რო გზაგზა იკრავდა. თან ხელს იფარებდა და თან იკრავდა – ის ვითომ იმდენი არაფერიო.

ისიც არაფერი – შინ არ უშვებდა ამბროსისაო. არაფერიო. რაღა თქმა უნდა. შეუშვებდა ჰო, როცა იქნებოდა. შეუშვა კიდევაცა.

ის იყო, რაც იყო: რო ველარ უსწორებდა თვალსა მეუღლესა. სჯულიერსა. მართალსა. ერთგულსა. მეუღლეობა ერთგულებად რო მიაჩნდა და არც ასცდენია პატიოსნებასა. ფიქრადაც არა. დაიფიცებდა რო ფიქრადაც არაო. თუ მოლანდებია რაღაც ამგვარი – თეატრის მერე. ფილმის მერე. კონცერტის მერე. რომანის წაკითხვის მერე – მოლანდება ჰო ფიქრი არ არის. მოლანდება ეშმაკეულია. „ფუიო“ უთქვამს და განშორებია. არც გაუკვირდებოდა არც არაფერი. შუაქალაქში დაბადებულიყო. თბილისში. თბილისში. დაბადებულიყო და გაზრდილიყო. ბევრს შესწრებოდა ცოდვილსაო თუ უბედურსაო. ბევრიც გაეგონა. რაღა თქმა უნდა. განერიდებოდა მაგალითს ცუდსაო ოღონდაო. ჰკილავდა სხვათა და მართლა ჰკილავდა. სხვებიც რო ჰკილავდნენ. ზოგნი ასევე ალალმართალნი. ზოგნიცა მზაკვარნი. ცრუნი. თაღლითნი. მართლა ჩამდენნი. და თავგამოდებულნი უაღრესი ზნეობისადა. ვითომცაო. რაღა თქმა უნდა. იმათ უფრო განერიდებოდა. სწამდა სიწმინდე ძველი თბილისისა. ძველი ქართული. რუსობამდელი თბილისისა. რუსობამდელისა. *ფუნდამენტალურადა* სწამდა. თუმცა უზნეობა ცივილიზაციას არ მოჰყოლია მხოლოდაო. ერთად მოდიან ორივენიო. დასაბამიდან ერთად მოდიანო. ოღონდაო: *ფუნდამენტალიზმი* ებრძვის უზნეობასა და ამკვიდრებს ზნეობასა. ხოლო *ცივილიზაცია* – რევოლუციური ზნეობას ებრძვის და უზნეობას ამტკიცებსო. ამბროსიც იტყოდა. და არ იტყოდა ამბროსი არაფერს ისეთსა, ჭკვიან კაცთაგან რაც არ გაეგონა. „რა ჭკვიანი იყო თბილისი!.. რა იქნა ის თბილისი!..“ ამასაც დასძენდა. ახლა აღარა. აღარც ეძებდა ჭკვიან თბილისსა. ზნეობაზე არც

არას იტყოდა. და სწუხდა სოფიო – ეგებ ირიბად გამოტეხილიყო თვითონაცა. ირიბადა. შემოვლითა. მოიარებითა. სხვაზე და სხვაზე გადატანითა. მიტევებაც ასევე მიეღო ამბროსისაგანა. ირიბათაო თუ გადატანითაო. ეგებაო და ეგებაო. ისე სულგრძელად უნდა მომიტევოს, მე არაფერი არ მაგრძნობინოსო. სულგრძელობაც რო აღაშფოთებდა. სულგრძელობაი ესეოდენი. ამბროსისაი. რაღა თქმა უნდა. ცოდნით ყველაფერი ეცოდინებაო. განა არ ეტყვის – ვარაზი განა – ან დღეში ათჯერაც არ გაუმეორებს: „ჰოი როგორი დავალებული ვარ სოფიოსაგანა. ჰოი რა დიდებული მეუღლე გყავს!.. დიდებული!.. დიდებული!.. დიდებული!.." განა არა თუ?!.

არადა ვარაზს ვერც რო გაეგო ვერაფერი, არც თქმა არ შეეძლო არაფრისაი. დიდებულისა და ამგვარებისა.

ამასღა თუ იტყოდა: რა დაემართა ქალბატონ სოფიოსა. როგორ არისო. ამას თუ იკითხავდა. არა. არ უკითხავს არც ესა. თუმცა სოფიო იქ აღარ შედიოდა. ხოლო ის ამბავი?.. ჰო თქვა ერთხელ რო: დამბრუშებია ხელებიო. უბრუშდებოდა კიდევ ერთხანსა. ისე. ისე. გარეშე იმა გამყინვარებისა. იმანაც გაუარა თანდათანობითა.

სოფიოს რო არ გაუარა.

მოეკიდა და მოეკიდა. უფროდაუფრო მოეკიდა. ისეო და ისეო – ქაშუეთს მიაკითხა. სიონს მიაკითხა. მცხეთაც მოიარა. სვეტიცხოველი ჰო და ჰოოო. ეახლა დედათა მონასტერსაცა. გაუელვა თავში მონოზნობამაცა. ეს თითქოსდა რა გასაკვირიაო. მორწმუნეთათვისა. რაღა თქმა უნდა. ხოლო იმას რო არც რაი სწამდა. არც ეკლესიაში არ შეედგა ფეხი. იდგა

ყოველთვის მონინავეთა შორისა ოქტომბრელობაშიცა. პიონერობაშიცა. კომკავშირლობაშიცა. პარტიულობაშიცა?!. კომუნისტურში. რაღა თქმა უნდა. კომუნისტებისა თუ არა ითქმის, ჩამოყალიბებულიყო რო თავანკარ ათეისტადა?!. ჩამოყალიბებულიყო და გარდაიქმნა. უცებ გარდაიქმნა. ვერ რო იხილა გზაი სხვაი მონანიებისა. მოინათლა კიდევაცა. მოძღვარიც აიჩინა თავისი. ეზიარა კიდევაცა. არ გამოსტოვებდა ჰო არც სადღესასწაულო წირვალოცვასა. უსმენდა ილია II-სა მონანიეი. მსასოოვარი. ხატიც დაისვენა. ლოცულობდა გულმხურვალედა. დილაადრიანაო·თუ ძილისწინაო. მხოლოდ ერთია: გაურბოდა აღსარებასა. თრთოდა. კრთოდა თუ ეშინოდა. გაურბოდა. ვერც გაექცეოდა. არც რა იქნებოდა რო მორწმუნეობაი აღსარების გარეშე. უნდა დაეძლია კრთომაო თუ შიშიო თუ მგვანი იმისი. უნდა. უნდა. უნდა. და სძლია და აღმოთქვა და აღასრულა და მოეშვა გულსა და მოისვენა. დამშვიდდა. დაწყნარდა. არა ყოფილა არც ესა ძნელიო. არც არაფერიო და არც ესაო. სიკვდილიც ძნელი არა ყოფილაო. მანამდის თუ არ დაიტანჯე. სიკვდილამდისა. წამი სიკვდილისა. არცა თუ წამი. რაღაც ნაწილაკი დროისა. უმცირესი. გამოუთქმელი. ნეტარებაც უნდა იყოსო. შვება ჰო არის. შვებაი ერთადერთი ადამიანის სიცოცხლისაო. მაშინვე დაასკვნა ესა. სოფიომა. ესა თუ რაღაცაო მსგავსი ამისა. მორჩა თუ არა აღსარებასა. დუდუნიც რო მოესმა მოძღვარისაი:

ღმერთი სულგრძელია. ღმერთი მოგიტევებს. თუმცა არც რა არის აქ მისატევებელიო. მე აქ ცოდვას ვერა ვხედავო. შვილო ჩემოო. შენ მოევლინე მკურნალადა განწირულ კაცსა. მკურნალობა ცოდვა

არ არის. თვით იესო ჰკურნავდა სნეულთა. ღმერთი ჩვენიო. თვით გახლდა მაგალითი მოციქულთათვისა. კურნებითა და შემწეობით განუთქვეს სახელი ძესა ღვთისასა. სახელი იგი სწორუპოვარიო.

უკეთესი რაღა მაგალითი უნდოდა სოფიოსა. მაგალითს უკეთესს ან მოძღვარი რაღას ეძიებდა. და დამთავრდა სასულიერო მოქცევაი სოფიოსი. მოისვენა ამბროსიმაცა. ყოველთვის თუ ვერა – *აქციებს* ჰო არ გამოსტოვებდა – სადღესასწაულო წირვებზე მაინც კაბის კალთაზე გამოიბამდა. ეწამებოდა. არ უნდოდა. ეცოდებოდა მეუღლეცა. სჯულიერი და მოქცეული. თვითონ ვერც მოექცა. ვერც გული დაუდო ვერავითარ წესსა ეკლესიურსა. ბევრი რამ უკვირდა გაკვირვებითა. ერთი მაინც ყველაზე მეტადა – რა იყო ესა ან როგორ უძლებდა კათალიკოსი – ვინ უწყის რამდენჯერ თუ შემოსავდნენ. გახდიდნენ და შემოსავდნენ. გახდიდნენ და შემოსავდნენ. იმოსებოდა ისიცა მორჩილადა. მშვიდადა. გულმოდგინედა. იხდიდა და იმოსებოდა. სოფიო უხსნიდა. გარკვეულიყო მცირედად მაინცა. ეს თავს უქნევდა. ამბროსი. ცხადია. ვითომ გავიგეო. არადა აქციაზე – გაფიცვებზე. გამოსვლებზე. ეჩქარებოდა. არადა განეცადა სიღრმისეულადა დროი იგი ურჯულობისა. წვრთნისა საარაკოსი: ოქტომბრულ-პიონერულ-კომკავშირულ-კომუნისტური წვრთნისაი. პარტიული ბილეთიც შემოენახა. ძველი. რა თქმა უნდა. არც პანტელეიმონსა თუ მარგიანს არ აჰყოლოდა. არც სხვათა უამრავთა. აქციებს აჰყოლოდა. გამოსვლებსა. პროტესტსა. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგაცა. გამსახურდიას წინააღმდეგაცა. შევარდნაძის წინააღმდეგაცა და აგერ ესაა რო – სააკაშვილის

გუნდის წინააღმდეგაცა. არც დაფიქრებულა თუ რა გზას დასდგომოდა. ანთუ რაზე დაფიქრებულიყო. მოჰხსნეს. დააგდეს ულუკმაპუროდა. უსახსროდა. უიმედოდა. ან რაღა ფიქრი უნდა მოსვლოდა. თავში. ცხადია. ან რაღა თავი უნდა შერჩენოდა უსახსროსა და უიმედოსა. ვარაზი თუ არაო... და ისევ აქციები ერჩივნა. იქ იყო მოთხოვნები. მუქარა. შურისძიების მოწოდებანი. აქ რაო. ეკლესიაში. მონანიებაო. მონანიება ჰო იქაც გახლდა – რად ვათენებდით ღამეებსაო. რა გვაყვირებდა: მიშა. მიშაო. და ვთქვათ – კარგიო. მიშას დავჯერდეთ. ჩვენი ბრალია და ავიტანოთ ჩვენვეო. ე ზურიკო რაღად გვინდოდა. ე ნინიკო რიღას მოხელეა. მაშინ რა ხეირი დაგვაწიეს. აქეთ რაღად გადმოვიყოლეთო. მონანიებაც იყო და მეტიც იყო. მეტიც ისაო: მღებრიშვილი რო მონატრებოდათ. ის გვერჩივნაო. რამდენჯერ უთქვამს თვით მანანასა. მღებრიშვილისთვისა:

ვახ დრონი. დრონიო. ის დრო უნდა მენატრებოდეს, გარეჯის ფერდობებზე რო მიმატოვებდიო.

არაო. უარობდა მღებრიშვილი. არაო. არაო. მე მაგას არ ვიზამდიო.

ახლა რასა სჩადიანო: *ი ზოლატორში* მიარბენინებენ ხალხსა ერთი შეფურთხებისათვისაო.

აბა რა გითხრაო. ეს სულ იმისი ბრალია. ი სულკურთხეული დიდედაჩემისაო.

რაღაცა მაინც შეიცვალა. დაიბნა ხალხი. მოაქციენიო. რაღა თქმა უნდა. ისევე გახლდა თითქოს ყველაფერი. მოთხოვნები წარწერებითა. შეძახილები. მეგაფონები. პრეზიდენტის კანცელარიასთანაო თუ პარლამენტთანაო. სამინისტროებთანაო თუ საკრებულოსთანაო. შიმშილობანიო თუ გაცხარება-

ნი სხვადასხვაგვარნი. ისევე. ისევე. არ შეცვლილიყო რო არაფერი. თითქოსაო. არა?.. ჰო. რა თქმა უნდა. ნაკლულობა რო იგრძნეს, იმასაც მიჰხვდნენ თუ რა მოაკლდათ. მაუწყებლობაი!.. ტელევიზიაი!.. დღისით რასაც რო სჩადიოდნენ – გადასცემდნენ საღამოობითა. გადასცემდა არხი ყველაი. ერთიმეორეზე უფრო მწვავედა. გაჯიბრებულიყვნენ ჟურნალისტები. დიქტორები გაჯიბრებულიყვნენ. ვინ ვისა სჯობდა. ვინ უფრო მეტად ისახელებდა თავსა. იმითიო თუ ვინ მეტად უფრო ადანაშაულებდა ხელისუფლებასა. პრეზიდენტსა. პრეზიდენტის გარემოცვასა. მაფიასა. კლანსა. დანაშაულის დაუსჯელობასა. უშუქობასა. გაჭირვებასა აურაცხელსა. გულს იოხებდა ხალხი ამითი. თურმე. თურმე. დღე სჩადიოდა. ღამით ქვეყანას მოედებოდა. ყველგან შუქი თუ არ ექნებოდათ, რადიო ჰო წამარჯვებულიყო. და იოხებდნენ. იოხებდნენ. და იოხებდნენ გულსა. თურმე. თუ გამოჩნდებოდნენ სათითაოდაცა. ვინ თუ როგორ გამოჩნდებოდა. ვისი ხმა როგორ გაისმოდა. კიდევ უკეთესი და ბევრად უკეთესი. რაღა თქმა უნდაო. და ეცემოდნენ ყველა არხსა. გადართავდნენ და გადმორთავდნენ. და ეცემოდნენ რადიოსა. განსჯიდნენ მერე. შინაც განსჯიდნენ. გარეთაც განსჯიდნენ. კიდევ უფრო წინ მიიწევდნენ. ხმაურობდნენ მეტსა და მეტსა. წაქეზებულნი და ატანილნი. აყვანილნი. აზვირთებულნი. ფაფუუუუუ!.. მკრთალად გადასცემდა ზოგი არხი. ზოგი სულ არა. ზოგი დასცინოდა კიდევაცა. რო მიათრევდნენ ცოტა მეტად გაფიცხებულთა. პოლიციელები რო მიათრევდნენ. ფართოდ უჩვენებდნენ ამასა. ვრცლადა. ფარ̣თო პ̣ლ̣ა̣ნ̣ი̣თ̣ა̣ო̣. და ასევე. ფართო პლანითა. უჩვენებდნენ ზურიკოსაცა. უჩვე-

ნებდნენ და უჩვენებდნენ: მოიმატა პენსიამაო. გაიცემა დროზედაცაო. კიდევ უფრო მოიმატებსო. ვანაზღაურებთ გაყინულსაცაო. შუქსაც ეშველება. გაზსაც ეშველება. ევროკავშირშიც ამოვყოფთ თავსაო. ნატოშიცაო. მალეო. მალეო. სულ მალეო. და აი თურმე რად გადმოიყოლეს – ასე გულიანად ვინ დააიმედებდა. ასე ხშირხშირადა. ომახიანადა ასე!..

მოეშვი ემაგ აქციებსაო. ურჩევდა სოფიო. ამბროსისა. რაღა თქმა უნდა. მოაგვარე პენსიის საქმეი. პენსიებია, ჰო ჰხედავ, პრიორიტეტიო. გაცხრილული პენსიონერებიო. პენსიებიო და წვრთნაი ქართული ბატალიონებისა ერაყში წესრიგის დასამყარებლადაო.

ერაყში მე არ წავიდოდიო. გაიფხორა ამბროსი.

გერმანიაში რაღა მიგარბენინებდაო. შეახსენებდა თანამეცხედრეი.

X

გაიფხორა – სახალისო სახეა. მიმზიდველიცა.

პრიორიტეტი – რით არის ნაკლები?..

რომელს აირჩევ: გაიფხორა – სხვა მხარეს გაზიდავს ამბავსა. *პრიორიტეტი* – სულ სხვა მხარესა.

პრიორიტეტსა?.. შეჩვეული ჭირი რო სჯობნებია შეუჩვეველ ლხინსა?..

რაც უნდა იყოს – *ლხინს* აირჩევდი?.. მაცდურ ლხინსა?!. რო არ იცი რო მაცდურია – რაღა თქმა უნდა!.. ის იცი. შეჩვეული. ჭირია და ჭირი. ის ჰო არ იცი. შეუჩვეველი. ჭირზე ჭირი რო გამოდგება. არ იცი და ცდები. ლხინი – გატყუებს. გასულელებს. გაცუცუ-

რაკებს. ლხინი გხიბლავს. ლხინი გაბრუებს. *პრიორიტეტი* ლხინად შემოსულა. ლხინადა ჟღერს. და ლხინს აჰყვები. რაღა თქმა უნდა.

ამბროსის მაინც გამოეპარა უმთავრესი პრიორიტეტი: შემოერთებაი დაკარგული ტერიტორიებისა. გამოეპარა თუ გადაჰქართულდა. რადგან რო იქა – სადაც ის დადიოდა: აქციებზედა – მხოლოდ ეს ორი რამ გაისმოდა: წვრთნაი ამერიკული. ჯარისაო. – ჩვენს შორის დარჩეს: მთელი ქართული ცხოვრებისაო – და პენსიებიო. გადაჰქართულდა. ალბათ უთუოდა. რაც უთუოდა. აგრეთვე და გარდაუვლადა. არაფრით არ მიეტევებოდა. ამბროსისა. რაღა თქმა უნდა. ჰო ეს დაიდო პრეზიდენტმა თავის მიზნადა: გამთლიანებაი საქართველოსიო. ესა. ესა. ლამის რო მეტი არაფერი. ფეხი დაადგა საფლავის ქვასა დავით აღმაშენებელისა – თვითონვე ჰო ივედრებოდა: ფეხი დამადგითო. დავითი. აღმაშენებელი – ფეხი დაადგა იმანაცა. ჭაბუკმა და შეჰღაღადა: აღვადგენ. მეო. შენი დროის საქართველოსაო. შეჰღაღადა და შეჰღაღადა. იქუხა ხალხმა. იგრიალა. შემოსცხო ტაში. შესძრა მიწაი. გელათისა. არა მხოლოდო. მთლად საქართველოსი. იმერ და ამიერ. ნიკოფსიიდან დარუბანდამდე. საოსმალოშიც ჩაკარგულისაცა. ისევე. ისე. გორგასალის სიმღერა რო ამბობს: იალბუზზე ფეხი შესდგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკაო. ამისი დავიწყება ვის მიეტევებოდა – არც არავისა. და ამბროსი ვისი რა წითელი კოჭი ბრძანდებოდა!.. თუმცა აქ ისიც გაგახსენდება რო: დაამდაბლა კინაღამა ამღელვარებაი ესე დიადი. როოო და კინაღამაო. ნაგოლიათარმა სამმა: იოსელიან-ჭეიშვილ-მაჭავარიანმა – შევარდნაძის დროშია. ჩვენც გვათქმევინეთო. წა-

რუდგნენ. დროისა ახლის წინამორბედებსა. რაღა თქმა უნდა. ჩვენც ხმას შეგაწევთო. მწერალთა სახელითო. რო უკეთ ჩაესმას ყურსა დავითისა და გამოიჩიჩქნოს ყურები იმანაცა. ვინც აქამდისა დავითობდაო. შევარდნაძემაო. რაღა თქმა უნდა. არაო. ბრძანა სააკაშვილმა. არა მჭირდება არც სახელი არავისიო. არც ხმაიო არავისიო. ჩემს ტოლსწორებთან სალაპარაკოდო. თქვენი ხმა იქ ჩადეთ. საარჩევნო ყუთებში. მადლობაც ჰო მოგახსენეთ საამისოო. ზედმეტია სხვა ყველაფერი. საქართველო დაჰღუპა მეტიჩრობამაო. გაგახსენდებოდა. გაახსენდა ამბროსისაცა. ისიცა. ისიცა. მყისვე. მაშინვე – დაი რო ეწვიათ სოფიოსი. ბათუმიდანა.

გირეკავთ. ხმას არა გვცემთ. გწერთ. პასუხს არ გვაღირსებთ. ვაბარებთ. აღარას გვატყობინებენ. რა დაგემართათ. რა ჰხდება. რას გვერჩით. რა დაგიშავეთ. ასე რატომ მოგვიძულეთო.

შეწუხდა სოფიო. შეწუხდა ამბროსიცა. რაღა თქმა უნდა.

ტელეფონი გამოგვითიშესო.

წერილისა რა გითხრათო: თბილისში ფოსტა თუ კიდევ არსებობს, აღარც გაგვიგიაო.

ხოლო დაბარებისაო: ჭუჭრუტანიდან ვიხედებით. სახე თუ უცხოა: კარს ვერ გავუღებთო.

თავი იმართლეს. ვითომ იმართლეს. ვეღარც ბოლომდის რო ვეღარ იმართლეს თავი. არც საყვედურები რო არ აღმოჩნდა თქმული უბრალოდა. არც ნახვის ნატვრით არ აღძრულიყო მღელვარებანი რუსუდანისა. დას ერქვა რუსუდანი. დასა სოფიოსი. რაღა თქმა უნდა. რო გამწვავებულიყო ურთიერთობაი ავტონომიასა და ცენტრს შორისა – რა ცენტრიო.

რის ავტონომიაიო ერთი მუჭა საქართველოში!.. – იმას შეეწუხებინა. საომრად რო შემართულიყო ცენტრიცა და ავტონომიაცა. იმას შეეშფოთებინა. ესმოდა ეს ხმებიცა. ამბროსისა. რაღა თქმა უნდა. იმ თავისსავე აქციებზედა. მაგრამ არ მიაჩნდა არც ისე სარწმუნოდა და არც ისე *პრიორიტეტულადა*, თავისთვისა. რაღა თქმა უნდა. ყველას თავისი გააჩნია რო *პრიორიტეტი*. და ჯერ თავო და თავოო. ესეც რო სჯეროდა. შინ არც მოჰქონდა არც რამ სასურველი. არც *პრიორიტეტული*. და შუქიც ჰო გამოუთიშეს. ის ისედაც აბდაუბდა შუქი. ტელევიზორიცა. თავისთავადა. ასე რო: სრულ *საინფორმაციო ვაკუუმში* იქნებოდა ქალბატონი სოფიოი. ცხადია და რაღა თქმა უნდა. თბილისშიო და საინფორმაციო ვაკუუმშიო. ამას ახლა ასევე გაიგონებ – საინფორმაციო ვაკუუმშიო – ქართლის გულში – ქართული ენა საიდანაც რო წარმოსდგაო. და იყო ვაკუუმში და შეიცხადა სოფიომა და წარმოუდგა ომი იგი. იგი და იგი. ბერლინამდის რო ატარა. ამბროსი. თბილისიდანა. ატარა. ათრია. აწამა. ჰგვემა. დაასახიჩრა. იქ ისა. აქ ესა – სულიერადა. ჰოდა ეცა. და ჰო შეიცხადა. შეიცხადა და ეცა ამბროსისა. ანთუ აი და სწვდესო თითქოსა. მაგრამაო ფრჩხილებსაცა ჰო მალავდა თანა. ფრჩხილებსა იმა უმანიკუროსა. თავის თავსაც რო დაუმალავდა. მითუფრო რუსუდანსა. თუნდაც რო საკუთარ დასაო. უცხოფერად რო უელავდა ფრჩხილები. მუქწითელ ფერადა. ლამის შავში რო გადაზრდილიყო. ახლა თმაიო. ესეც უახლესი მოდა თუ არისო. პარიზიდან პირდაპირ ბათუმს მისული. ესაა მოღწეული თბილისამდისაცა. რუსუდანის მეშვეობითაო. რაღა თქმა უნდა. ხოლო სოფიოს ფეხი არ შეუდგამს

სალონებში სილამაზისა, რაც რო გადანათლეს საპარიკმახეროები. იმის შემდგომა. და შეიცხადა და შეიცხადა. სწვდეს თუ არაო. სწვდეს თუ არაო. არაო. ცხადია. ჰყვებოდა რუსუდანი უარესსა და უარესსა. ომი დღეს თუ არა, ხვალ უთუოდ დაიწყებაო. მე ეგებ რო აქეთაც დავრჩეო. შეკრულია გზები. დანაღმულია ყველაფერი. ჯარი ჯარადა და იარაღი აისხა ყოველმა მამაკაცმა. ბევრმა ქალმაცაო. ააფეთქეს ჩოლოქის ხიდი. ფეხად გადმოვედი. აქამდის ისე მოვაღწიეო. ყულევის მანევრები ჰო იმად გინდოდათ – პირდაპირ ჩვენზე რო მოსულიყავითო. ბაბუ გვაფრთხილებდა. ჩვენც ჰო ვხედავთო. ეს თქვენი პრეზიდენტი ვარდებით რო გამოემართა ბათუმისაკენა, ყულევიდანა. უკან ჰო ტანკები მოჰყვებოდაო. მოგუგუნებდნენ შვეულმფრენებიცაო. ხიდიც იმიტომ ჩაუნგრიეს. ტანკებიც იმიტომ ჩაასაფრეს. აფრენას იყო შვეულმფრენებიცა ჩვენი. სხვა იარაღიცა. შესახვედრადა და დასაფრთხობადა თქვენი. თავს რო აქიცინებდა ეგ თქვენი თევზაძეი. ვითომ რიხითა: აბა ეს ჩვენა და აბა ეგ თქვენაო. მიიღო პასუხი ბაბუსგანა!.. ჰო მიიღო!.. ჰო გამოაპანღურა!.. ვარდებითაცა და ვარდის კონებიანადა!.. გამოაპანღურა და გამოაპანღურა. ის თქვენი ნაციონალებიცა. რესპუბლიკელებიცა. სხვებს თუ რაცა ჰქვიანთ არც ვიცი და ნურც მომიკითხავთო. ხაბაზსაც უჭირა კუკური ბაბუმა. ბერძენიშვილსაცა. დავითაშვილსაც ჰო ჩაუჩეჩქვეს თავი. მოირჩინა?.. თურმანიძე წამლობსო. თუ მაგარი აქვს თავი. მაგარზე მაგარი. მალამო არც უნდაო. უფრო ის მიკვირს: ამ ხაბაზს რო ჩამოჰკიდებიხართო. რა არის. რას წარმოადგენს. რის შემძლეა. რისი გამკეთებელი. ასლან-ბაბუ უნდა გაგვიგდოთ

და ეგ უნდა დაგვაჯინოთ თავზეო. დაგვაჯინოთო – ასე გამოსთქვა. განგებ გამოსთქვა. არც გამოიტოვება. რაღა თქმა უნდა. *იმიჯი* თუ ჩაჯდა ქართულში, *დაჯინებამ* – რა დააშავა!.. ეგ აგვაშენებს?.. ეგ დაგვამშვენებს?.. ხაბაზიო. რაღა თქმა უნდა. ისე აშენდეს და ისე დამშვენდეს ჩვენი მოღალატეი. გამცემი ჩვენი. მტერი ჩვენი. აქ შინაური. იქ გარეშეო. მამამისსა ჰკითხეთო. ხაბაზისაო. ძაღლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო. იმისი ნათქვამია და იმ თავის ბაჯაღლო შვილზეა ნათქვამი. შინ არად გვარგია. გარეთ რა მარგილები უნდა მოგლიჯოსო. დაეხსენითო. ნუ აჰყოლიხართო. ქვეყანას ნუ დააქცევინებთ და მეც ნუ გამიხდით საგინებლადა სიცოცხლესაო. საჯაროდ განაცხადა. დიდ შეკრებაზე განაცხადა. რად არ გაგიგიათ. აღარც ტელეფონიო. აღარც ტელევიზიაო. მოსთქვამთ. ამბის მომტანიც გაწყვა ქვეყანაზე?!. მიკვირს და გამკვირვებიაო. მიკვირსო და მიკვირსო: ან ხაბაზი რამ შეგაყვარათ ან რად გადაჰკიდებიხართ ასლანსაო. დამშეულნი. თქვენნი. იმან შეიფარა. მწყურვალნი და შიშველტიტველნი იმანა. შემოსა. თქვენნი. ნახევარი თბილისი ბათუმში ჩამოსახლდა. რეჟისორები. მსახიობები, მოჭადრაკენი. ჩოგბურთელები. მწერლები. პოეტები. პროფესორები. ოპერა ბატონო!!.. ოპერა ქალბატონო!!!. ოპერა!.. ოპერა!.. აქ დაგეშალათ. იმან აღადგინა.

გეყოფაო. კმარაო. მართლაცაო. ამბროსიმა. ითმინა. ითმინა. და ველარ მოითმინა. იმიტომაცაო რო: ეს რა ამბები ყოფილაო. იმიტომაცაო: ჩვენ რას მოგვდეგია. ჩვენ რა შუაში ვართ ეს მეო და ეს სოფიოიო. „ოპერას მაინც ნუ დაგვამუნათებ!.. აქ რა იყო. იქ რა იქნება!..“

რა იქნებაო. ოოოო!!. „მოსკოვიდან ჩამოდიან. სანკტ-პეტერბურგიდანა!.. აღფრთოვანებას ვეღარა ჰფარავენ!..“ რუსუდანმა.

„ჰოდა შეჰყურეთ: მაგ მოსკოვსა და მაგ სანკტ-პეტერბურგსა...“ ყველაფერიც მაგათი ბრალია და არა ჩემიო თუ სოფიოსიო.

თუ ემაგ თქვენი ვაშინგტონისაო. რუსუდანმა. რაღა თქმა უნდა.

ვერ დაიცვა ვერც ვაშინგტონი. ამბროსიმა. ვაშინგტონი ვარაზს არ მოსწონდა. მოსკოვიც არა. არა და არაა. სანკტ-პეტერბურგს შეინწყნარებდა. იქ დაემთავრებინა უნივერსიტეტი პაპამისსა. დიდედაც იქიდან წამოემძღვანებინა. გადაგვარებული ციციაანთ ასული. არჩილის დროიდან გადაგვარებული. ვეღარ იქნა და ვერ რო გადმოგვარდა. თუმცა ცდილობდა რაც რო შეეძლო. ცდილობდა და ცდილობდა. თავის ტოლებს ჰო ეკითხებოდა და იმეორებდა. ქართულ სიტყვებსა. შვილისტოლებსაცა. შვილიშვილისაცა. ვარაზიც უსწორებდა გაუთავებლადა: ყვავი. ყვავი. და არა კვავიო. რას დამჩხავიან ეს კვავებიო. ის არ იშლიდა მაინც თავისასა. ლამის ამბროსიმაც გაიმეორა. არა განზრახვითა. ღმერთო მომკალი!.. უნებურადა – რო გამოაჯავრებდა ვარაზი ხოლმე, დიდედას რო გაიხსენებდა. და დააჭირა კბილი ენასა. ამბროსიმა. რაღა თქმა უნდა. სოფიომ უფრო გაუიოლა. აღარც მოსკოვი. აღარც ვაშინგტონი. აღარც თუნდაც რო სანკტ-პეტერბურგიო.

„შენც ოპერას გამოეკიდე...“

„ჰო... ჰო... ბათუმის *ოტელო*!.. ბათუმის *რიგოლეტო*!.. ბათუმის *პიკის ქალი*!.. წაიღეს ყურები!.. რა უნდა იყოს ბათუმის ოტელო?!. თბილისისა რა იყო?!.“

„თბილისში დადგეს?!.“ რუსუდანმა. ნიშნისმოგებითა.

„ჰკითხე. თორემ ატალახებული ჰქონდა ოპერის კარები!..“ სოფიომა.

„ვისთვის მომესმინა?!. ვინ იყვნენ!.. რა ხმის პატრონები?!.“

„შე დალოცვილო... მსოფლიო უსმენს ბურჭულაძესა!..“

„მერე სად არის?!. როგორა ვდიო მთელ მსოფლიოში ???!!!.“

„აქ არ იყო???!!!.“

„რო იყო, რა იყო!.. ჰქონდა მაშინა ამხელა სახელი??!!!“

სახელი მსმენელია და მაყურებელიო. არ შეეპუა არც სოფიოი. სამყარო რა არის, აღარ იქნება აღარც სამყაროცა, მაყურებელი რო არა ჰყავდესო. ეჰეი და სადღაც ფილოსოფიისაკენ არ მეწეოდეს ეს დალოცვილიშვილიო. ამბროსიმა. არ უნდა ჩაჰყოლოდა. თვითონაც რო მყარად არა ჰგრძნობდა თავსა ფილოსოფიაში. რუსუდანიც რო მიეშველა!.. მიერეკებოდა და მიერეკებოდა. რუსუდანი. ნურც უებრო რამ ნუ გეგონებათ ეგ თქვენი ვაშინგტონიო. ავღანეთი აიღო. ერაყი აიღოო. დიდი საქმეო. ბათუმში ჰო ვერ შემოჰყო ცხვირიო. ვერც შემოჰყო და ვერც შემოჰყოფდა. ახლა თქვენ გაქეზებთ. თქვენი საშუალებით უნდა დაგვიპყროსო. იცის თქვენ რო ვერ გეურჩებით. ერთი სისხლი ვართ. ერთი ხორცი ვართ. მოგისმენთ. აგყვებით. ოღონდ დაგვაფიქრეთ – თქვენც ჰო არ იღუპავთ თავსაო. დაგვაფიქრეთ. „არ შეიძლება რო დაგვაფიქროთ?!.“ გავერთიანდეთო. კეთილი ბატონო. გავერთიანდეთ. დაიწყეთ. ოღონდ

სოხუმიდანა. „ჩვენ კიდევ რა გაერთიანება გვინდა?!!!!. ღმერთი არა გწამთ?!!!. მუსულმანებოო. რო გვიკიჟინებთ. რას გვიკიჟინებთ?!. ჩვენ თქვენზე უფრო ღრმა ქართველები ვართ – დაღდასმული ქართველები!..“

„შენც გამუსულმანდი?!.“ სოფიომა.

„ასე შეგვარქვით. შემოგვძახით. შეძახილმა ხე გაახმოო.“

„ვიღაც სულელი რაღაცას იტყვის!..“ ამბროსიმა. წყრომითა. ცხადია.

„ქვეყანა სისულელისაა. სხვანაირი ქვეყანა მე არ გამიგონია. არც ჩვენი არც სხვისა. კარგი რამას წიგნები წაგვიკითხავს...“

და აქაც ფილოსოფია იყნოსა ამბროსიმა. ნამდვილად ვიღუპებით. ქალებიც რო გაგვიფილოსოფოსდნენო. ნამდვილადაო. ნამდვილადაო. ხმამაღლა არ იტყოდა. რაღა თქმა უნდა. ორნი ბრძანდებოდნენ. ერთს დაიტანდნენ. ორნი და მერე – ცოლი და ცოლის დაო!.. არაო. ამბროსიმა. გაფიქრებასაც როგორ გავბედავო. არც უნდა შემკრთალიყო. ამბროსი. ცხადია. ჰო არც იშლიდა თავისასა. რუსუდანიო. მაინც ვითომ რას გვიპირებთო. ვისაც ცოტა რამ უშოვნია – უნდა დაიჭიროთ. უნდა გაფცქვნათ და გაატყავოთო. როგორც ვიყავით ისევე დაგვყაროთ.“ აქ რასაც სჩადიხართ იგივეს გვიქადით!..“ რაღა თქმა უნდა. სულელიც მიჰხვდება ამდენსაცა და უარესსაცაო. ან აქ რა დააშავეს ან იქ რას ეძებთ უარესსაო. ძლივას თვალი გამოახილეს. ძლივას გაიმართნენ წელშია. ნება მიეცათ და გაიმართნენ. ვისაც ძალა შესწევდა. შნო მიეცა. ბედმა გაუმართლა. ჩინოვნიკები კიდევ ჰოო – კორუფციაო. ბიუჯეტის

ზარალიო. უფლებამოსილებას გადააჭარბაო. კეთილი ბატონო!.. მრეწველებმა რაღაო. რა დააშავეს ვითომ ისეთი – ვერ რო გამოუყვიათ თავი სოროდანა. ერთადერთი პატარკაციშვილია რო გაგითამამებიათ – რა მრეწველია მერე პატარკაციშვილი. შავი ფულის გათეთრებაშია ჩართული. მეტი ჰო არაფერი?.. „ფულს უთეთრებს ბერეზოვსკისა. ჯანდაბასაო. თვალსა ჰხუჭავენ. თვითონაც რო ესევე სჭირდებათ. გათეთრება არ უნდა ამდენ წანაგლეჯსა?!!!."

„შენ ეგ რა იცი?!." ამბროსიმა.

„ამბობენ. ყურები მაქვს..."

„კბილები აღარა გაქვს – ენას კბილი რო დააჭირო!.."

„ამბროსი ძვირფასო!.. სტუმარია ჩვენი რუსუდანი!.. ესაა მოვიდა.. ჯერ ისევ დილაა. დილით ოქრო ხარ სტუმაროო..."

„და ოქროდაც რო შერჩეს... ძვირფასზე ძვირფასო თანამეცხედრევ ჩემო... ისიც ნათქვამია – კედლებსაც რო ყურები აქვსო."

„ჰხედავთ... რა ქვეყანაში ვცხოვრობთ????!!!!.. იცხოვრეთ ბატონო, ჩვენ რაღას გვერჩით!!!..." რუსუდანმა. რაღა თქმა უნდა. მიუსწრო. მოუჭრა. აღარც აცივა და აღარც აცხელა. აღარც დააცადა. ამბროსისა. რაღა თქმა უნდა. როგორმე თავი რო ემართლებინა – არაო. არაო. არც ეგრეა საქმე წასულიო. ეგრეც არის და უარესადაცაო. რუსუდანმა. გინდა გითქვამს. გინდა გაგიფიქრიაო. გულთმისანია ეს რუსუდანიო. ამბროსიმა. შეჰხედა და მიჰხვდა: ესეც გამიგოო. გაუგო და განაგრძო კიდეცა: თავშესაფარი ჩვენ ვიყავით თქვენი დევნილებისა. იმ დიდი სამეულისა თუ შევარდნაძის მიერ დევნილებისაო.

ამათმა დევნილებმაც ჰო ჩვენც ჩამოგვაკითხესო. ახლა ან ისინი საითღა გაიქცნენ ან რა გზას ვეწიოთ ჩვენ თვითონაო. ყრილიყვნენ ისევ ის კომუნისტები. ისევ რუსები ყრილიყვნენო. ისევ თუ ისე უნდა აწეწილიყო ცხოვრებაი ჩვენი. ისე და კიდევაც უარესადაო. ამბროსი შეცბა რუსების ხსენებაზე. შეცბა და ის იყო. ველარ აწამა მეტი ვერაფერი. სოფიომ გამოიდო თავი. უბედურობის მიზეზიც ეგ არის, ისევ იქითკენ რო მიგირბით სულიო. და არ დაუთმო რუსუდანმა და არც სოფიომ აღარ დაუთმო. იქით გადასდო სტუმრობაცა. მასპინძლობაცა. ღვიძლი დობაცა. უნახაობაცა დიდიხნისაი. ის საერთო ხიფათიცა თავზარდამცემი. გაუდგა განზე და შეუტია. შეუტია და შეუტია. თვითონვე მოეგო გონზე. ტირილი წასკდა. რა მემართებაო. რა გვემართებაო. რა დღეში ჩაგვყარეს. რა გვეშველებაო. რუსუდანს ცრემლი არ გადმოვარდნია. არადა ისიც იგივეს განიცდიდა. გამეხებულიყო. გაცეცხლებულიყო. მართლაც და ჩვენ რაღა გვემართებაო. ჩვენ რაღად შევბმივართ ერთმანეთსაო. ღვიძლი დებიო. ღვიძლი ძმებიო. სახლიკაცებიო. ნათელმირონებიო. და ასე ასხმული მთელი ერიო. ვიღა არ არის რო ჩვენ აღარა გვძიძგნის, ჩვენ რაღადა ვკორტნით ერთმანეთსაო. გამოერკვეოდნენ ესენი ასე. ასე ამგვარადა. ანთუ როგორცაო. ერიც ისევე გამოერკვევოდა. მაგრამ მოვლენები ადგა თავის გზასა. ულმობელ გზასა. უცხოსა. საშინელსა. თავდაუღწეველსა. ადგა და კაცთაც მიერეკებოდა. კაცთა თუ ბრბოსა. ბრბოდქცეულ ხალხსა. ბრბოდა. ნახირადა. ჯოგადა, არვედა. კოლტადა. უნდა დაღვრილიყო სისხლი. სისხლი უმანკოი. გადასდგომოდა ჩოლოქსა ღმერთი. ღმერთი იგი ძველი.

უძველესი. აბრაამამდელი. იგი ითხოვდა სისხლსა უმანკოსა. მიჩქმალულიყო ღმერთი აბრაამისა. მერმინდელი ღმერთი. მიჩქმალულიყო თუ ძლეულიყო. და თუ ძლეულიყო – ჩოლოქი რაღაო, რა ემუქრებოდა კაცობრიობასა?!. რაც უნდა ყოფილიყო – აგერ არ იყვნენ ამერიკელთა მიერ გაწვრთნილი ქართული ბატალიონები. აღმოსავლეთს ჰო ამშვიდებდნენ. დასავლეთი ჰო წინ მიუძღვოდა. სხვა დანარჩენი ვითომ რაღა იყო. შეაძრწუნებდნენ ძველ ღმერთებსაცა. შეაძრწუნებდნენ და ჩამოჰყრიდნენ. ვითომ და რაო – კიდევ განა რა დააოკებდა დასავლეთის ცივილიზაციასა: ჰო უკვე იქ გახლდა ღმერთთა სამყაროში. აჭრილიყო. შეჭრილიყო. შეჩრილიყო. ეუფლებოდა ციურ შრეებსა. ჩოლოქს ადვილად დაეუფლებოდა. უფრო ადვილადა. რაღა თქმა უნდა. იქ ავღანეთი დაეშოშმინებინათ ქართულ ბატალიონებსა. იქ ერაყი. იქ კოსოვოო. ჩოლოქის დარდი ნუ შეაწუხებდათ. აქ ამას ამერიკა თვითონ მოუვლიდა. ევროსაბჭო?.. ევრო კავშირი?.. ნატო?.. მსოფლიო ბანკი?.. სავალუტო ფონდი?.. ვინთუ აღარაო. ზევითა და ქვევითა. ქვევითა. ყველა ჩოლოქით შეწუხებულიყო. ტანჯული ხალხითა ჩოლოქიდან ჭოროხამდისა.

რუსეთი?.. რუსეთი!..

ეს კიდევ მეტად შეწუხებული. შეძრწუნებული. თავზარდაცემული.

ლუჟკოვი ჰო ჩაჯდა ბათუმში და აღარ გადიოდა. გენერლებიც ჰო მიაშველეს. დიდმაცა და პატარამაც ჰო აისხა იარაღი. ეს იქითაო. აქეთ ყულევიც ჰო ყალჰხს შემდგარიყო. ესეც ჰო ვითომ მანევრებისათვის ჩამოვსულვართო. სააკაშვილმა. მობილიზაციის გამოცხადებაც არ გვინდაო. ჩვენი იარაღი ვარ-

დებიაო. მეც ჰო აი ჰხედავთ: ერთი კოკორი მიჭირავს ხელში. მივდივარ. მომყეთო. მივიდა და მიჰყვნენ. გადაიარეს ჩოლოქის ხიდიცა. აფეთქებული. გადაიარეს საცალფეხო ხიდითა. სახელდახელოთი... ვარდებითა. სიცილითა. ტკრიაციითა. მოვდივართ. მოგვიხარიან. გეხვევითო და გკოცნითო. მოდითო და მოგვეხვიეთო. ეს ისე რად მოჰხდა – უცებ ვერ აჰხსნი. თუ როგორ მოჰხდა – გაიხსენებ. აგერ არ იყო. თბილისს ივანოვი გადმოაფრინა. პუტინმა. ცხადია. ივანოვი სამეულს ეთათბირა. ახალ სამეულსა. პატარა სამეულსა. რუსუდანი რაც ამბობდა. დიდად ისინი რო დაესახა: კიტოვანი. სიგუა. იოსელიანი. რო აღარც აღარავის აღარ ახსოვდა. მოელაპარაკა. პირობა აიღო და ბათუმს გადაფრინდა. ივანოვი. რაღა თქმა უნდა. იქ თვითმფრინავში ასლანი ჩაისვა. ასლანი და ასლანის შვილები. და მოსკოვს გაუტია. სისხლს ვერ დავღვრიო. ბრძანა ასლანმა. ეს იყო და ესა. სხვა არც რა უთქვამს. გამოემშვიდობა ასე ბათუმსა. ისე სწრაფადა. აჩქარებითა ისე: *ბასმაჩიც* აღარ გაახსენდა. ბათუმში დარჩა. მერე ის იქა წუხდა. ასლანი. მოსკოვში. *ბასმაჩი* – ბათუმში. ეს ისე წუხდა. იდარდა ისე – კრიჭა შეიკრა. გაჰხდა. გაძვალტყავდა. სასიკვდილოდ გადასდო თავი. ამაზე ითქმოდა: გამოაცხადა უვადო შიმშილობაო. აბა ის რა იყო: ხან აქ, ხან იქ წამოწვებოდნენ. იუსტიციის სამინისტროში თუნდაცაო. ნაციონალები. მინისტრის კაბინეტში. თვით მინისტრისა. რაც თუ რა იყოს. ძაღლი ჰო მოსკოვს გადააფრინეს. საკუთარი თვითმფრინავითა. ვეტექიმებითა და სხვა შესაფერი სამსახურითა. ნაციონალებიც დაბრძანდნენ ჰო კაბინეტებში. უმაღლესში. დაბრძანდნენ. გამოიჭიმ-

ნენ. გაიბღინძნენ. ოღონდ ის არა. ის მთავარი მოშიმ-შილეი – დავითაშვილი. გადაუდგა რო მოძმეთა თვისთა. კვლავ საშიმშილოდ რო მიიწევდა – ახლა ესენი აღარ მინდანანო. მაშინ შევარდნაძე. ახლა – ჟვანია და იმისი გუნდიო.

უცებ ვერ აჰხსნიო –

ეგება საბუთიც არსად იყოს საამისო.

თქმით ასე ითქვა. ხმა დაიყარა. რაღა თქმა უნდა. პუტინმა მოითხოვა სამაგიეროო. სააკაშვილმა და-უთმოო. მაშინვე. ისე. სიტყვიერადაო. მერე აღარ შე-უსრულაო. ურთიერთობაც ამიტომ დაიძაბა. ამიტო-მაცაა განრისხებული დიდი რუსეთი. ამ პატარა მბრძანებელითაო. თუ რატომაო – ჯერ თუ არ იციან, აიჰხდება. რაღა თქმა უნდა. დასხდებიან სამემუარე-ბოდა: პუტინიცა. სააკაშვილიცა. ივანოვიცა. შევარ-დნაძე დაჯდა. ესენი უფრო მალე არ დასხდებიან!.. იმას ეგებ რო კიდევაც დაავიწყდა ბევრი რამაო: შე-ვარდნაძესა. ამათ გონება ახლა ეხსნებათო. პუტინ-სა. სააკაშვილსა. ივანოვსაცა. ეგება პირობაც შეს-რულდეს მაინცა. მანამდისაო. მემუარებამდისა. ესეც ითქმის და ისიც ითქმის. რაღა თქმა უნდა. ერ-თმა თუ იცის, საიდუმლო მხოლოდ ის არისო. ორმა იცის – ღორმაც იცისო. ესეც ანდაზა. გახმაურდება ესეცა. ცხადია. თითმერიასაც თავისი ერგება. თარ-გმნის პუტინის მემუარებსა. ისე კაცმა რო თქვას: ვინ უწყის თუ რა მოჰხდება. ვინ იცის. ვინ უწყის. ეგება აკრძალონ შევარდნაძის მემუარების გამოცემაი სა-ქართველოში. ეგება სააკაშვილისაც აკრძალონ. პას-ტერნაკი ჰო აიკრძალა. რუსეთში. *ჟივაგო* ჰო იტალი-აში გამოიცა?.. ასეცა ჰხდება. და ჰო მოჰხდა კიდევა-ცა. აგერა მაგალითი. არცთუ შორეული. თუმცა ვერ

არის მაგალითი სანუგეშოი. და ვერც აკრძალვაა სახარბიელო რამა. ვერა. ვერა. რაღა თქმა უნდა. ჯაფა მოუვა თითმერიასაცა. იტალიური უნდა ისწავლოს. ისწავლოს ეგეც არაფერი. თუმცა ისიც არის დამაფიქრებელი: მაშინ რო თარგმნიდა – თარგმნიდა პრეზიდენტსა. ახლაც ვითომ თავს შეინუხებდა გადამდგარი პრეზიდენტებისათვისა?.. ესეც არის კიდევ ერთი საჭირბოროტო საკითხავი ამ ჩვენი უთავეამო წუთისოფლისა.

XI

სხვაც იქნება ასეთი და ამგვარი. თანდათან გაიხსენებ. ოღონდ იმას მაინც არ ეცალა ახლა ამის საკვლევადა. ამბროსისა. ამბროსისა. ქვისლიც თავს დაატყდა მოულოდნელადა. ქვისლი. მეუღლეი რუსუდანისა. ერთი პირობა გაჰკრა გულში. ამბროსისაცა. – ვარდები შევიდა თუ არა ბათუმში – იქაობაც აირევაო. მაგრამ შიში მაინც არ მისცემია ახლობლებისაი. უფრო მეტიცა: იქაც თბილისური არ განმეორდებაო. დაასკვნა თავისთვისა. ავს არ უქადდა კეთილი გული. ავი იქმოდა თავისასა. არას დაგიდევდა ამბროსის გულსა. იქმოდა და იქმნა. კაკუნი ატყდა კარზე ფრთხილი. მორიდებული. ძლივსგასაგონი. ძლივსაც გაიგონეს. გაიგონეს. გააღეს. და შემოვარდა კაცი გულგახეთქილი. თითქოს სიკვდილს გადაურჩაო. ანთუ ვერცაო. აგერა ისიც ფეხდაფეხ მოსდევს ვითომცაო. სიკვდილი. ცხადია. კარი ისეთად გამოჰგლიჯა მასპინძელსა, მიახეთქა და მიაწვა ზურგითა კაცი იგი თავქუდმოგლეჯილი. ვიღაც მომყვაო. თქვა ისე

– ალბათ მუხლიც რო მოეჭრებოდა. ამბროსიმ დროზე მიაშველა ხელი. სოფიომ – სკამი. იქავე დასვეს. მუხლის გაშლა რო გასჭირებოდა და არც კარი რო არ ეთმობოდა. ანთუ არავის არ ენდობოდა – ემანდ იმასაც არ გაუღონო: სიკვდილსაო. ამბროსი მაინც არ დაბნეულა. ეამაყებოდა მერე სოფიოსა – არ დაბნეულა. ისე ამბობდა. ისეთი რიხითა, სიამაყე რო დაერქმეოდა. ცოტა უკვირდა კიდევაცა: სად ამბროსი, სად ამდენი სითამამეო. არ დაბნეულა. ერთისიტყვითა. კარს მოაცილა თავზარდაცემული. არცთუ ადვილადა. მოაცილა მაინცა. ისე რო გაიხედა. ყურიც გაჰყო. გაძვრა რო მერე, ვარაზს შემოუძღვა. და გაიყვანა ერთადა ორივემა – ისა ესეიგი – ისე მოფარებითა უცხო თვალი რო ვერ გაარჩევდა ვერცთუ ადვილადა. ნაცნობი თვალიც თან მოჰყოლოდა. და პოლიციაც რო მიადგა კარსა. ამბროსისა. მთაწმინდაკრწანისის პოლიციაი. თუმცა რო ისევე სახელდახელოდა: უსაბუთოდა. უგანკარგულებოდა. მაგრამ ვითომ რას დაგიდევდა. შენა თქვი: კარგი რამ ღლავი მოჰყოლოდა ბადესა, თორემ საბუთიო – ვითომ რო უცებ ვერ გააშანშალებდა სონღულაშვილი!.. მაშინვე. მყისვე. სახელდახელოდა. შენ ღლავი თქვიო. ემტკიცებინათ მერე ადვოკატებსა; აყვანა მოჰხდა უკანონოდაო. ემტკიცებინათ. ედავათ. ელაყბათ. ვინ რას დაგიდევდა. შენ ღლავი თქვიო. მიადგა კარსა. პოლიციაიო. ერთისიტყვითა. ამბროსისასა. და იკითხა – აბაშიძეო. სახელითა საკუთარითა: ლონგინოზიო. იკითხა და მობრძანდითო. შეეგება ამბროსი ორივე ხელითა. ორივე ყურიც გადაჰხსნა კარისა. უძღვოდა იქითაცა. სხვა ოთახებში. კედელკუთხე შემოატარა. სარდაფშიცა მაქვს პატარა კუნჭულიო.

წამობრძანდითო. წამობრძანდითო. აღარ ინებეს. იმიტომაცა: ვითომდა რაო. როგორ შევლახავთ ადამიანის უფლებებსაო. და იმიტომაცა: ეუწყათ ერთ უფორმოსაგანა – კარი აქვს ეზოსკენა სადარბაზოსაო. იქით ჭიშკარია. ჭიშკარი გადის გვერდით ქუჩაშიო. გაიყვნენ უცებ პოლიციელები. ფორმიანები. ერთნი გაცვივდნენ იმავე წამსა. მიჰყვნენ ნელნელა მეორენიცა. ჩქარობდნენ კიდეცა. იქაობაც არ ეთმობოდათ. ამბროსიც იდგა ხელებგაშლილი. ოღონდ მაპატიეთ. არა მაქვს სამზადისი. სარდაფშიც ღვინო არ მეგულებაო. ერთ რამედა ჰღირდა ამისი დანახვაო. იმეორებდა სოფიო. იმეორებდა და იმეორებდა. სულ სხვა ამბროსი გეგონებოდათო. სულაც სულ სხვა გეგონებოდათო. რა ყოფილაო. რაიო. რაიო. კაცს შევაბერდი და არა მცნობიაო.

ეს სითამამეო.

ახლა სიფრთხილეო –

ფეხიც არ შეუდგამს ერთხანსა ვარაზთანა. ლონგინოზსაც აფრთხილებდა – არსად გახვიდეო. ტელეფონი ჰო გამოეთიშათ. არც დაელაპარაკებოდა ტელეფონითა. კედელზე კაკუნით აგებინებდა. არც იხმაუროო. არც ილაპარაკო ხმამაღლაო. შენებურადაო. როხროხითაო. ვეება კაცი ბრძანდებოდა. ლონგინოზი. მხარბეჭიანი. კისერჩადგმული. თავიც ბოხვერაი. ხანში შესულიყო რო თუმცაო, ხმა მაინც მოსდევდა. ახოვანებაცა. ეს რო ლონგინოზიო – არც ვარაზის გასვლა ენება. ამბროსისა. რაღა თქმა უნდა. არც გადიოდა. ვარაზი ესეიგი. თუმცა ურჩევდნენ მკურნალები. დროა ხალხში გაერიოო. სად წასულიყო. ვისთაშორის გარეულიყო. ან სადღა იყვნენ იმისი ტოლები. ან გამოყრუებულიყვნენ ან აქციებზე დაე-

ფერთხათ. მიერეგვმოერეგვათ. კათედრაზედაცა. არქიტექტორთა კავშირშიცა. მერიაში ჰო – ცხადია და რაღა თქმა უნდა. მოთავედ ყველგან ის დამჯდარიყო, ვინც არ იცოდა თუ რას განაგებდა. შემთხვევით არა. არა. არა. შემთხვევით არა. შემთხვევით შეიძლება ყველაფერი მოჰხდეს. ბელურა არწივად მოგეჩვენოს. სულელი ბრძენადა. ეს ხშირიც არის – სულელი ბრძენადაო. ოღონდ ეს არის რო – კანონადა ქცეულიყო: სულელს ბრძენად რო მოჰქონდა თავი – ბრძენს სულელადა. პირიქით არაო. არ შეიძლებოდა. გამგებელი საქმეს ვერ განაგებდა და გაუგებარს ერქვა პოლიტიკური ხელმძღვანელი. წინათ დიპლომი მაინც უნდოდა. სათანადოი. და შოულობდნენ დიპლომებსა ადვილადაო. კორუპცია დაარქვი. მექრთამეობა დაარქვი. პროტექცია დაარქვი. რაც გინდა დაარქვი. შოულობდნენ ადვილადაცა. თავში თუ ბევრი არაფერიო – დიპლომი მაინც ედოთ ჯიბეშიო. თუმცა და რაო: იყავი უვიცი გინდა დიპლომითა, გინდ უდიპლომოდაო – რა განსხვავებააო. ისევ ისა სჯობს, დიპლომი არც რო არ მოეკითხებოდეს. სჯობსო. სჯობსო. და უმჯობესია კორუპციასთან ბრძოლის დროსაო. გადაუდებელი ბრძოლის დროსაო. ვერ მივიდოდა საქმისთვის ვერსადა. თუნდაც იმიტომა – თუ გაუგებდნენ თუ დათანხმდებოდნენ. დღეს დათანხმდებოდნენ ერთნი. ხვალ სხვანი დაჰხვდებოდნენ იმავე ადგილსა. ან სწორად ისინიც ვერაფერს განსჯიდნენ ან შენ არც რაი გჯეროდა იმათიცა, ზეგ რო სხვებს ელოდი იმათს შემცვლელებსა. პირადობის მოწმობასაც ვერ მიიღებდი ეგრე ადვილადა. უამმოწმობოდ არც სად შეგიშვებდნენ. მხოლოდ აქციებს არ უნდოდა მოწმობები. შენ ოღონდ

მიმატებოდი. შენ ოღონდ გეყვირა. შენ თუ რა გაწუხებდა, იმას თუ რაო, – გეყვირა. გეყვირათ. გგონებოდათ – დავაფრთხობთ ამათაცა, როგორც რო დავაფრთხეთ შევარდნაძიანიო. გგონებოდა. გგონებოდათ!.. შენცა. იმასაცა. იმასაცა. ამბროსისაცა. რაღა თქმა უნდა. ვიდრე გავიდოდა მღებრიშვილობაი. ჟანდარმერია ვიდრე გამოჩნდებოდა. გამოჩნდა ჰო ჯერ ვაშლიჯვარში!.. ჯერ ჰო *ომეგას* მუშებმა იწვნიეს სუსხი იმათი. რისხვაი იმათი.

მოწმობა იქაც არ უნდოდა.

სხვაგან ჰო უნდოდა –

ევლო და ევლო. ევლო იქაცა. ამბროსისასა. მოწმობისათვის. აქეთ რიგებიო. იქით აქციებიო. გაჭრილიყო შუაზედა. რიგები. აქციები. რიგები. აქციები. ვეღარ ასდიოდა. დრო აღარა ჰყოფნიდა. ღამე შუაში გაჩხირულიყო. გასტეხდა ღამესა და სტეხდა კიდევაცა. რიგს ღამე იჭერდა. რაღა თქმა უნდა. მაგრამ ფულიც რო სჭირდებოდა. მოქალაქეობასა, მოქალაქეობის საბუთსა. ფული!.. ფული!.. ფული!.. – სად იყო ფული. ფული უარესად რო გაჩხირულიყო!.. ამბროსისათვის... ბიუჯეტისათვის – აღარა!.. მიედინებოდა და მიედინებოდა. გახარბებულიყო ნოღაიდელი. აქაოდა ისედაც ბევრი შემოდის კორუმპირებული ჩინოვნიკებისაგანაო – კიდევ მეტიო. მეტიო და მეტიო. მიეცეს და მიემატოსო. ჯერ ეს მაშინვე განეზრახა. ამა ახალ ხელისუფლებასა. პირველივე დღეებში: ხმა რო ნაგართვესო და რო ამოიგოთ თქვენი ხმაიო. ორმაგადაც რო ამოიგოთო. ჩვენო ძვირფასო პენსიონერებოო. ახლათახალი მოწმობებით მიბრძანდით ბარემა საარჩევნო ყუთებთანაო. გადაჰყარეთ ძველი ყველაფერი. პასპორტებიცა

ძველი. წითელი, საბჭოური. ახალ ცხოვრებას შეეგებეთ სიახლითაო. 1 მილიონამდე პენსიონერს თუ ივარაუდებ. მილიონები შემოჰქონდა უბრალო ფურცელსა. ან იმისი ქაღალდი რა იქნებოდა, ანთუ შევსებაი. ხოლო რიგები?.. საბუთისათვისა და საბუთის საბუთებისათვისა!!!.. რიგები!.. რიგები!.. რიგები!.. ლამის ჩაიშალა ის არჩევნები. არჩევნები რევოლუციური განახლებისა. ვარდობისა. ბედნიერებისა. ეს არ იქნებოდა. რაღა თქმა უნდა. ისევ ფულს უნდა შელეოდნენ. ანთუ გადაედოთ ცოტახნობითა. სალარო მაინც ჰო ივსებოდა. ივსებოდა და ივსებოდა. ველარ ასდიოდა საპროცესო შეთანხმებებსა. პროკურატურაი იქითა. აქეთ სასამართლოი. სონღულაშვილისა. სონღულაშვილებისა. ვერა. ველარა. მირცხულავა თუ გაჯიქებულიყო. მოლაშვილი თუ გაჯიქებულიყო. ეჯიქათ რამდენიც რო ენებათო. ეჯიქათო და მსხდარიყვნენო. სალარო ისედაც ივსებოდა. მოთავებულიყვნენ რო მინისტრები. ზემონი. ზემოთა ზემონი. მიჰყვებოდნენ ქვემონი. ერთი საფეხურითა. ახლა ისინი ჩაეყენებინათ რიგში საპროცესო გარიგებისა. ჩაიარეს საარჩევნო ყუთებთანაცა ამასობაში პენსიონერებმა. ამოიგეს დაკარგული ხმები. ენა გამოუყვეს დევდარიანსა. გამოუყვეს და გამოუყვეს და ჩადგნენ მაინც მოწმობების რიგში. ჰო მოგიმატეთ პენსიაო – ჰოდა გაიღეთ ახლა თქვენი ხარჯიცა წარმატებისათვისა რევოლუციისა. მეტი და მეტი წარმატებისათვისაო. ჰოი რა ძვირად დაუჯდათ ვარდები!.. ჰოი და ჰოი!.. რა ევარდებოდა პენსიონერსა!.. რას აყვედრიდნენ?!. რა მოუმატეს?!. მაგრამ თუ მაინც ევარდება – ძვირად დაუჯდა. ვარდი ძვირია. ბედნიერების ყვავილია ვარდი. ძვირადა ფასობდა

ყოველთვისა. მხოლოდ მდიდრები თუ შეიძენდნენ. უძღვნიდნენ ბრწყინვალე ბანოვანებსა. ახლა მდაბიოთაც ფერხთით დაჰფენიათ. მეტი რა გნებავთ დემოკრატიისაგანა?!. რაი. რაიო. ხალხს რო ვერაფერს ვერ დაანახვებ!.. არა?!.

რა მნებავსო და თავისუფლებაო. ლონგინოზმა. მეტი არაფერიო.

თავისუფლებას რო ჰკარგავ თავისუფლების სახელითა – უბედურება სწორედ ეს არისო. გვეყო ამდენი უბედურებაი. ტირილით ვიშვით. ტირილში ვცხოვრობთ. ტირილითვე ვიხოცებითო. მერე თუ იქ რა გველის – ჰამლეტმა ვერ გაიგო. თორემ ჩვენ ჰო ვიცით: არც არაფერი არ გველოდება. არც არავინ არ გველოდება. მიწანი ვართ და მიწად ვიქცევითო. ღირდაღა განა ამისთვის რო ხორცადა ვქმნილიყავით. სისხლადა ვქმნილიყავით. გვესვა სისხლი ერთიმეორისა და მივქცეოდით ისევ მიწასა!.. ამიტომ გავჩნდით, სისხლი რო ვსვათ?!. რადა?!. რისთვისა?!. ვის უნდა ესა ან რასა სჭირდება – ამ უთავბოლო დედამიწასო თუ სამყაროსა. უარესად უთავბოლოსა. უსაწყისოსა. უბოლოოსა. რატომ ჩავრთულვართ ამ უთავბოლობაში. ჩვენ მაინც დაგვეხსნან, ვისაც რო არ გვინდა. ვისაც რო უნდა, ინებოს ბატონო, ინებოს. თავშიმც ქვა იხალოსო. იხალოს!.. იხალოს!..

ჩუმად იტყოდა. ლონგინოზი. თითქოს თავის თავს ედუდუნებაო. მაინც გამოსტეხდა ხმაი მჭექარი. მკვეთრად გამოსტეხდა. ჯანდაბასაო მაგათი თავიო. მოდიანო და მოვიდნენო. „რა მრჯიდა. რა ეშმაკი შემიჩნდა. ანსამბლში ვმღეროდი. გუნდიც შევადგინე. ძველ სიმღერებსაც ვაგროვებდი. ვხალისობდი. ვლხინობდი. არ მერჩივნა?.. მაგრამ ეშმაკი რო

ეშმაკია თუ შეგიჩნდა კლდეზედაც გადაგჩეხავს. ეგება ცაშიც აგიყვანოსო. ცისა რა გითხრა. კლდეზე უკვე დავექანეო... იქით საწარმოს მოვეკიდე. იქით სავაჭრო გავხსენი. რესტორანი. კაფე. ბარი. კაზინო. ასლანსაც ჩავუდექი სამსახურში. ეს მეტი მომივიდა. არა და რა მექნა – შეუჩნდნენ კაცსა. აღარც რა დაა-ცადეს. გადაეკიდნენ. გასწირეს. უცხო ვინმეც შეგე-ცოდება. შენს სისხლს გაიმეტებ?!. შენს გვარს გაი-მეტებ?!. არადა რო იცოდე: არც ახლობელნი არა ვყოფილვართ და თურმე ჩვენს შტოს გვარიც დაჰ-კარგვია. კინაღამ დაჰკარგვია. ა-ნი დაუკარგავს. თავში დაუკარგავს. გადაქცეულა -ბაშიძედა. უდავია და უდავიდარაბია ჯერ პაპაჩემსა. მერე მამაჩემსა. აღუდგენიათ: როგორც რო ყოფილა. თავში ა-ნი აღუდგენიათ. ჩემდაჭირად აღუდგენიათ. კლანიო მომადგნენ. შემომესიენ. შემომიტიეს. გადაეკიდნენ რო ჩემს სიდედრსაცა?!. სახლი სიძემ აგიშენაო. ღმერთი!.. რჯული!.. რომელი სახლი. რა ტაძარიო. სახლი პაპამისს აუშენებია. გარედან მე შევაღებინე. საღებავი რაღაა. მითხარით. გარეთ უნდა გამოაგდო მოხუცი ქალი საღებავისთვისა?!. არ ესმით არაფე-რი. საიდან მოვიდნენ. სად დაიბადნენ. სად გაიზარ-დნენ. ოჯახი არ იციან. ნათესავ-მირონი არ იციან. რა იციან. რაი. ნეტავი თუ რა იციან?!."

მდუმარებდა ვარაზი. უსმენდა. არას იტყოდა. არ გაღიზიანდეს უარესადაო.

„როსტომ აბაშიძის ამბავს გაიგებდი." ისევ ლონ-გინოზმა. „კლანი დაარქვეს ჰო იმასაცა!.. ღმერთი აღარ არის!.. არა... ამათ რო არა სწამთ არაფერი – არც ღმერთი. არც ხატი. აღარც ეკლესია – ვიცი. რო-გორ არ ვიცი. მაგრამ აღარც არის. მართლა აღარა?!.

კაცს მუავანაძემ სახლი აჩუქა. სახლი. საცხოვრისი ერთი ოჯახისა. ჯილდოდაო. მთავრობისაო. რახან რო ოლიმპიური ჩემპიონის სახელი მოიპოვეო. ჯილდოდაო. ჯილდოდაო. რის კლანი. რა კლანიო. ან ასლანობა მაშინ სად იყო ან კლანობა ვის მოეგონა!.. ახლა ვთქვათ რო კარგახნის მერე მოვიდეს ვინმე ბუცხრიკიძეი. ძიმისტარაშვილი ანთუ. ვინ უწყის. ძირტკბილაშვილი თუნდაცაო და ჩამოართვას სააკაშვილის ჯილდოები ზვიადაურსა და ასანიძესა – კლანი ხართო ამ ბრალდებითა. სააკაშვილის კლანიო – როგორი რა სამართალი იქნება?.. ამიხსენი თუ კაცი ხარ!.. არაო. თუ იტყვი. რაღაცას ურევო. აბაშიძე აბაშიძეა. სააკაშვილი და ზვიადაური – სააკაშვილი და ზვიადაურიო. კეთილი!.. კეთილი და პატიოსანი!.. მაშინ შევარდნაძე და ჯოხთაბერიძე და ახვლედიანი რაღა გგმოდის?.. შევარდნაძე შევარდნაძეა?.. დიახაც რო!.. დიახაც რო!.. ყურს საითაც უნდა იქით გამოაბამს მექოთნეიო ქუთანსაო. ახლა მექოთნეები ესენი ბრძანდებიან. ედაგუ თუ ბიჭი ხარ!..“

დააცადა თუ რას მეტყვისო. ვარაზიო. რაღა თქმა უნდა. ის მიაჩერდა. როგორ განაგრძობს. ლონგინოზიო. რაღა თქმა უნდა. როგორც ენება, ისეც განაგრძობდა. ისედაც განაგრძო. შემოგვიცვივდნენ ვარდებითაო. ვარდები დაჰყარეს და დაერივნენ თუ რამ გაგვაჩნია სასიკეთოო. ვინ რა აიტაცა!.. ვინ რას დააჯდა!.. ვინ რა მოიზომა!.. ხაბაზმა შარვლები ასლანისაო. თურმანიძეც შარვლებს ეცაო. იზომეს. ვერცერთი ვერ მოიზომეს. ვერ ჩაეტივნენ. კანჭი თუ ჩასტიეს. გავა ვერ ჩატენეს. ბოდიში მომიხდია. ზრდილობასაც დაჰკარგავ. თავსაც დაჰკარგავ ამ გატიალებულ ნუთისოფელში. ეგრეც ამბობენ და

მეც ვიმეორებ: ტენეს. ტენეს და ვერ ჩატენესო. ის თუ არა ჰქონდაო... თურმანიძეს უთქვამს. ხაბაზი ამდენს ვერც მოიფიქრებდა. – გავაიო. ანუ ტრ - - - ო. ერთსიტყვითა. ბოდიში!.. ბოდიში!.. რითი აჯდა აჭარასაო. ამდენიხანიო. თავითა ბატონებო!.. თავითა!.. მაგათა ჰგონიათ. ის არის ყველაფერი – გავაი ანუ... ესეიგი. კიდევ ბოდიში. თუ დიდი გაქვს. სავარძელს თუ ავსებ. შენია იგი სავარძელი. ვერავინ ვერ ამოგაძრობსო. ვერაო და ვერა!.. ვერც ამოგაძრობსო. ვერც გადაგაყენებსო. ვერც ჩამოგაგდებსო. ვერც გადაგატრიალებსო. ვერც გადმოგატრიალებსო. ოღონდ ისა გქონდეს... ისა... ისა... სხვა არაფერი არ არის საჭიროო.

ისევ შეიცადა ლონგინოზმა. მისმენს თუ არაო. ვარაზიო. რაღა თქმა უნდა. თვალები მიებჯინა. ეს იყო და ესა. სხვას არას არ გამოჰხატავდა სახეი იმისი. სიტყვის თქმასაც არ აპირებდა. ნუო. ლონგინოზმა. არც მინდა მაგისი შეძახილებიო. მისმინოს და გაიგოს თუ რა მოგვიტანეს თუ რას გვამადლიან თუ რად დამდევენო. მეც რო სამალავი მიპოვნიაო. „შიგ ბუნაგში არა ვდურთე თავი!..“ თბილისშიო. ესეიგი. არ იგულისხმებდა ვარაზის ბინასა. „მე თუ ვინმე მკითხავდა – ბათუმიდან არც უნდა დაეწყოთ. არა. არა. არავითარ შემთხვევაშია. ბათუმი არც სად გამქცევი გახლდა. არც ასეთი მობრუნება იმას არ უნდოდა. სოხუმი!.. სოხუმი – აი ვინაა მოსხლეტასა თუ არ მოსხლეტილა უკვე. ჰპირდები და ჰპირდები ფართოზე ფართო ავტონომიასა. არც გისმენს და არცა. გაგონებაც არ უნდა. ისედაც არ უნდა. არც გელაპარაკება. ახლა რო უჩვენე – რა უჩვენე ისეთი – ან ემაგ სოხუმსა, ცხინვალსა ანა?!. ბათუმის დღე-

ებითა. გიორგობითაო. ვარდებითაო. რაი. რაი რა უჩვენე ისეთიმეთქი რო დაგიბრუნდეს თვალდახუჭული?!. თვალღია დაგიბრუნდეს ბატონო!.. რადაო. რად გინდოდა: ეს ფეოდალიზმის ნგრევაო. ეს კლანებიო. ეს დაჭერებიო. ფეოდალები შენ იქ იკითხე. კლანები. დასაჭერები!.. ერთი მუჭა გაგარეულებული და გადაგვარებული ადამიანები. მოსკოვის ძალოვნებით რო გაბატონებულან – თორემ აფხაზებს რა აქვს ჩვენთან გასაყოფი?.. არც არაფერი. არც გამოგვეყოფა. ხალხი არა. არა. რა თქმა უნდა. დასაჭერები გაგვირბიან. დასაჭერები გაგვირბიან. დასაჭერები ხელისუფლობენ და გაგვექცევიან ახლა უფრო მომეტებულადა. ასლანი რო გააქციეთ. მე რო მდევნით. გამგებლებს რო იჭერთ გახრეკილი რაიონებისა. უფლება-მოვალეობებს გადააჭარბესო. ან რა უფლებები ჰქონდათ ან რა გააჩნდათ ან რას ააღლეტთ განა იმდენსა – ბიუჯეტი რო გაგიბეროთ?!. ისინი დააფრთხეთ. – ცხინვალელი და სოხუმელი მოსკოველებიო – უფრო დააფრთხეთ. უფრო გაამგელეთ თუ გააააფთრეთ. და ხარობს რუსი. ხარობს და ხარობს. მეტი არაფერი. გაახარეთ ბატონო, გაახარეთ მოსკოვი!.. გაახარეთ!..“ ხმას აუწია თუ რაო. კედელი აკაკუნდა. არა. ჩაისისინა. ლონგინოზმა. მწარედა. მწარედ ჩაისისინა. აქეთ ეს ემწვავა ვარაზსა.

იქით ამბროსის არცა სმენია. არა. არა. ეს არა სმენია. იქ იმისი კარი აკაკუნდა. აქეთ გააფრთხილა. მაინც გააფრთხილა. სისინით ესისინა. რამდენიც ენება. ლონგინოზსა. ებუხუნა კიდევაცა. ოღონდ ის არ დავიწყებოდა რო ეძებდნენ. არც დავიწყებოდა. აღარცა ნაღვლობდა – მოსულიყვნენ. მოსულიყვნენ

და დაედოთ ბორკილები. ვის ემალებოდა. რას ემალებოდა – აეწერათ რო ყველაფერი. პატრონი თუნდაც ნუ გამოჩენილა. გაიყიდება ყველაფერიო. ყველასი და ყველაფერიო. თხებიცა. ასლანისა. ძაღლებიცა. არწივიცა. დაკუტებულიო. სურათებიცა დიდხელოვანთა. რო უგროვებია დასავლეთში. რო არც გამოეფინა. დარბაზის აგება რო ენება საამისოდა. გამოეთხოვა ნიმუშები. დარბაზებისა. ამისგანაცა. ვარაზისაგანა. ვილამ დააცადა. გაიყიდება აუქციონზეო. ნიმუშებიცა უძველესი იარაღისა. საბრძოლოსი. რაღა თქმა უნდა. დავითის შურდულიდან ელიბოს ზარბაზნამდე ცალკე, ცალკე ისინი – რაც რო კავკასიაში გამოუყენებიათ. რუსებსა. რუსებსა. რაღა თქმა უნდა. აუქციონზეო. აუქციონზეო. „სახლიცა ჩემი სიდედრისაი – აუქციონზეო!.. რას აიხირა იმანაცა და შემაღებინა!.. ჰო გადარჩებოდა ამ ალიაქოთში!.." „ჩემი ნახაზები?.." თავისთვის იკითხა. ვარაზმა. ცხადია. გულში იკითხა. თავისთვისა. „ბიჭებს თუ შევუთვლი!.." ეგება იმათ გამოისყიდონო. იქ მართლაც ეკითხათ ლონგინოზი. კიდევ ეკითხათ. ამბროსისთანა. ჯარითა და ჯარამათით არა. ორნი ყოფილან. არც ოთახები არ შემოურბენიათ. არც სარდაფში არ ჩაჰყოლიან. შეჩერებულან დერეფანშივე. დერეფანშივე განუმარტიათ: დროს ნუ ჰკარგავსო. ლონგინოზიო. რაღა თქმა უნდა. მოვიდეს. ჩაგვბარდეს. აქამდის ყველაფერს მოვათავებდით და ახლა უკვე მოსვენებული იქნებოდაო. ეგა ცდება. თორემ ჩვენ რაო – ჩვენ უნდა ვეძებოთ. უნდა ვეძებოთ და ვეძებოთო. ვეძებთ და ვპოვებთო. უარესს არაფერს არა ვპირდები. მაგრამ რად უნდა რო სადღაც მიკუნჭულა და კანკალი გაუდისო. მოვიდეს. მოათავოს და

მოისვენოსო. ვურჩევთ ძმურადაო. მეგობრულადაო. თქვენც გირჩევთ და თქვენც ურჩიეთო. „ბატონო ამ-ბროსო!..“

მე არაო. ამბროსიმა. შენი საქმისა შენ იციო. „მე ხელები დამიბანიაო!..“

აქ არც მიკუნჭულა და არც არაფერი არ შეაწუ-ხებსო. ვარაზმა. ითაკილა.

არაო. ამბროსიმა. რაც მართალია მართალია. მე ისინი იმ თვალზე არ დამინახია რო ამბობენ – აწამე-ბენო და რაღაც ასეთებიო. ჩვეულებრივი ადამიანე-ბი იყვნენო.

ჯიბეში ხელებჩაწყობილი ჩვეულებრივია ყვე-ლაიო. ვარაზმა. საქმეში ხელებდაკაპიწნებული უნდა ნახოო.

ღმერთმა ნუ მანახვოს საქმეში ისინიო. ამბროსიმა.

ნურც სხვას ნუ ურჩევო. ვარაზმა. ცხადია.

„მეეე?!. მეეე!.. მე რამე გირჩიე?!.“ შეწუხდა ამ-ბროსი.

„არა. არა!.. შენ რა უნდა მირჩიო...“ ლონგინოზ-მა. ცოტა დაახანა. სინანულმა დარია ხელი. „რაღა ახლა!.. რაღა ახლა!.. იმ შეჩვენებულმა...“ სიდედ-რმაო. „ან მე როდის რა შემისრულებია იმისთვისა ასე დროზე და საგულდაგულოდა?!!.“

„სად ჩაგსაფრებია ეშმაკი რო არ იცი!..“

„ეგ რო ვიცოდეთ!..“

იქ არ ეგულებოდა ეშმაკი. ლონგინოზსა. იქ თამა-მად გახლდა. ვარაზის ბინაში. კედლები რო ჰქონდა სქელი. შიდა კედლებიცა. თითის როკები დამებეგ-ვაო. ამბროსი ამბობდა. რო ვაკაკუნებო. მოეშვი შენ-ცა კაკუნსაო. ვარაზმა. მე ვერც ვერავინ ვერ შემომ-ბედავს და ცხვირსაც არავის არ შემოვაყოფინებო.

დემოკრატიას რო გვაყვედრიან, კიდევაც უნდა გამოვიყენოთ. არ უნდა ვაქციოთ ბატონობის ახალ საშუალებადა. პოლიტიკის მოდერნად არ უნდა ვაქციოთ. მოდერნადაო თუ პოსტმოდერნადა. ლონგინოზს მოეწონა. უფროც გაუტია. პოლიტიკაშიც შეიჭრა – თუმცა რო რა აკლდა – ამერიკასაც შეუტია. ვაშინგტონბუშებიანადა. სოროსს აფურთხებდა. მაილსსაც აფურთხებდა ან უკეთ რო ითქვას – ერეოდა ერთმანეთშია. „ესენი არიან რო გაგვისულელეს ხელისუფლებაი. გაგვისულელეს და ჩვენ ის გვასულელებს: აღვადგენთ საქართველოს ერთიანობასაო. გვასულელებს და გვატყუებს და ვიტანთ ყველაფერსა. გაჭირვებასაცა. დევნასაცა. უკანონობასაცა. ოღონდაო. ოღონდ შეგვისრულეთ ეგ ოცნებაიო. ოცნებად რო გვექცა ყველაფერი – სამშობლოცა და ლუკმაპურიცა. სამშობლო გვქონდეს და შიმშილს გავუძლებთ. უელექტროობა ვითომ რა არის – მზე თუ შენია. მთვარე თუ შენია. მიწა თუ შენია!.. ასე არ ვიცხოვრეთ!.. სამშობლო გვქონდა. სახელმწიფო გვქონდა და ვიცხოვრეთ კიდევაცა მზითა, მთვარითა და მიწითა ჩვენითა. სეპარატიზმიო. თავს მოგვახვიეს და დაგგვლიჯეს. დაგვფლითეს. აგვყარეს. აგვრიეს. აქ შევცდით. აქ გვაცდუნეს. ახლა სეპარატიზმს ვიღა მიიჩნევს დანაშაულადა. დანაშაული ტერორიზმია. ტერორიზმი არ დაარქვეს რუსებმა ჩეჩნებსა!.. დაარქვეს!.. ჩვენ ჰო მართლა ტერორისტები შემოგვიცვივდნენ და უფრო შესაფერისადაც მოვიგერიებდით ამ ჩვენივე ტერორისტებსაცა და მწვრთნელსაცა იმათი. წამქეზებელსაცა ანუ თვითმპყრობელსა, დამპყრობელსა ჩვენი. ამერიკა რო ამერიკაა – ერაყს დაარქვა ტერორისტები. ავღანეთს დაარქვა ტერორის-

ტები. შეეჭრა. აიღო და უშენებს ახალ დემოკრატიასა. ახალსა. ახალსა. ამერიკულსა. ევროპული სულ სხვაგვარია. სულ სხვა იყო და სხვაგვარად იქცა. არჩევნები ეს პირველი საფეხურია. ერაყშიო. ბუში არა ბრძანებს!.. შემდეგი იქნება დაჩქარებული რეფორმები დემოკრატიისაო. ანუ თუ რაო: შეიდიშს გავხდით ერაყელებსა და ავღანელებსა. ისლამის ქალებს შეიდიშს გავხდით – ბიკინს ჩავაცმევთო. ჩვენ ჰო ჩაგვიცვეს და გაგვიშიშვლეს ქალები. სიმღერა გაგვიფუჭეს. სკოლა აგვირდაგვირიეს. ეკლესიას გვინგრევენ. ენას გვირყვნიან და მალე წაგვართმევენ კიდევაცა. ანა არა. არა – ჩვენ თვითონ გადავაგდებთ. რო არ ჩამოვრჩეთ განვითარებად ქვეყნებსა. აფრიკის ქვეყნებსა. იქ ინგლისური უკეთ იციან. უკეთ ეუფლებიან *ცივილიზაციასა ამერიკულსა*. იმათ ჩვენ როგორ უნდა გვაჯობონო. ჩვენაო. ჩვენაო. ან რაღად გვინდა რო რამე აღვიდგინოთ – ისინიც ჰო ჩვენთან ჩაბმულან: სოხუმიცაო. ცხინვალიცაო. მოსკოვიცაო. სანკტ-პეტერბურგიცაო. ერთად მივდივართ. მივექანებით ერთბაშადაო და ერთიანადაო. მალე დაიწყებენ ასეთ ლაპარაკსა. მალე. მალე. მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე ეს აგვიხდეს. ტელევიზია მაგათია. ელექტროობის საქმესაც მოაგვარებენ. და მალე ამითი გამოუჭედავენ ყურებსა წერაკითხვას გადაჩვეულ ხალხსა. ან დამწერი ვინაა ან მთქმელი ვინაა – თავისუფლების ინსტიტუტები. სოროსისაო და მაილსისაო. იქ გამოზრდილი გრანტიჭამიები. გამოყეყილნი ყელამდისა. კარიერაც რო ელოდებათ ახალახალ ხელისუფლებაში. კარიერა და აღმატება!.. აღმატება და აღმატება!.. მეტი რა უნდა გაბრიყვებულ ყმაწვილკაცობასა – რაი. რაი. მეტი რა უნდა?!."

გამოაშკარავდა ეგა უკვეო. ვარაზმა. „ფულს ურიგებენ, ვინც სტატუსს მოიხსნის დევნილობისა. იმიტომაც აძლევენ ფულსა: სახლები შეიძინეთ თბილისშიო. მიწებსაც ურიგებენ აქეთ-აქეთა. სადაც ამისი საშუალებაა. მერე ვიღასღა გაისტუმრებენ ცხინვალსაო თუ სოხუმშიო. მე თუ?.. მე მაშინ ჰო აღარც ვიქნები. ალბათ ამბროსი თუღა გაემგზავრება...“

შენ ჩემზე დიდი არ იქნებიო. ახირდა ამბროსი.

არ ვიქნები და ნუ ვიქნებიო. გასწრებით მაინც მე გაგასწრებო.

ეგ ღმერთმა იცისო. მწიფეს ესროდნენ და კუხე ცვივოდაო.

ჩაებმებოდა აქაცა. ლონგინოზი. თუნდაც ამ დავაში. უფრო უბრალოსა და ჩვეულებრივშიცა. ოღონდ რიღაცით გაეტანა თავი ამ უაზრო უსაქმურობაშია. ოღონდაო და ოღონდაო. ვერაო ოღონდა ვერც ამან უშველა ბევრი ვერაფერი. ვეღარ დაეტია ოთხკედელშუა. გული მოეწურა. სული შეუგუბდა. აღარც მიიხედა. აღარც მოიხედა. გავარდა გარეთა. ვიხეტიალებ მაინცაო. ესეც საქმეა. უსაქმურობამ რო არ გამთანგოსო. იხეტიალა და იხეტიალა. ახალიც შეიტყო. შინ მიიტანა. ვარაზთანა. რაღა თქმა უნდა. მშვიდად მოისმინა და გაცხარებულმა მიიტანა შინა. ამასაც მოვესწარით: მკვდარსაც აღარ გვაგლოვებენო. „ჩამოფრენილა დიანაი ბათუმშია. ბათუმში ბათუმელი ჩამოფრენილა. დედის სატირლად ჩამოფრენილა ბავშვი. ბავშვია. აბა რაო!.. ჯერ რა უცხოვრია!.. მეც უნდა დავრჩენილიყა მაგულის წლისთავზე. ვიღამ დამაცადა. კარგი. ვთქვათ მე დამნაშავე ვარ. იმან რაღაო – რა დააშავა?.. მამა განდევნეს და გაჰყვა თანა. მოანია დედის წლისთავმა

და ჩამობრუნდა გასასვლელადა საფლავზედა. სხვა რა დააშავა – რაი?!. რაი?!. პოლიციაში იბარებ ამისთვისა, ვინც რო დაჰხვდა აეროდრომზე?!. პოლიციის რკალში მოაქცევ სასაფლაოზეცა?!. შინაც პოლიციას დაუდარაჯებ. გარეთაცა?!. არც აღარავის შინ არ შეუშვებ. არც გამოუშვებ. შინ აპატიმრებ. ბავშვს აპატიმრებ. მწუხარე ბავშვსა?!. აღარც მწუხარებაო?!. სიხარული ჰო აღარა და აღარა! – აღარც ნათესავმეგობრობაო?!. არც წარსულიო. გადმონაშთებიო. მავნე ტრადიციებიო?!. მერე ენაც ჰო ჩაგვითვალეს იგივე მავნე ტრადიციადა – ენაი ჩვენი. ენაი ქართული – ეს ჰო მივიღეთ. ეს ჰო გვიბოძა იმა დიადმა ოქტომბერმა?!!!!. ეს ვარდები რაიღასთვის გადმოგვაყარეს. რას გვამღერებენ ვარდონანასა. რას ჩაგვძახიან: არაო. არაო. ჩრდილოეთით არაო – დასავლეთით ამოდის მზეიო!!!!!. ჭირი ჭირია – რა ბედენაა. საით ამოდის. საიდან მოდის?!!. ვის მოაქვს იგი ჭირი!.. ჭირი!.. ქავთარაძესა თუ ხაბაზსაო – რა ბედენაა?!?!?!.“ გულს შემოასკდა. ველარც ამბობდა. ამოურბოდა კითხვა კითხვადა. ძახილი ძახილადა. თითქოს ნიშნებად ამოურბოდა. წერის ნიშნებადა. თუნდაც რო ითქვას ბედისწერისაო. იშფოთა. იბობოქრა. გულს შემოასკდაო. ერთისიტყვითა. სხვა რაღა ითქვას. დამშვიდებასა ლამობდა იმისასა ამბროსი ვითომცაო:

„ხაბაზი. ხაბაზიო... მისდეგიხარ შენცა. ხაბაზი ჰო არ არის ახლა იქ მოთავეი!..“

„ვინ ვის ურქენს და ვინ ვის სად მიაგდებს – რა მნიშვნელობა აქვს!..“ ვარაზმა. უფრო არ გახელდეს ლონგინოზიო. „ეგენი ყველანი ხაბაზები ბრძანდებიან. ვერც შარვალში რო ვერა სტევენ გავასა. ვერც

სავარძელზე. ვერც რო კუბოში ველარ ჩასტევენ. ზეზე დარჩებათ. მზეზე დარჩებათ. დასავლეთიდან ამომავალზე." დარჩებათ მზეზეო – და რაღაც წასკდება ლონგინოზსა. რაღაც ისეთი რო ვერ მიუხვდები სიცილია თუ ტირილიო. კურცხალიც წასცვივა. თვალებიც უბზინავს. დგება და თახთახებს. ჯდება და აქანავებს ფეხებსა. წელშიც ირწევა. ხელებსაც ათამაშებს. „დაჰხატე. თუ კაცი ხარ!.. ეგრეც დაჰხატე: ორი ნახევარბურთი. გადაყოფილი ბიკინის ზოლითა. დაბრაწული მზეზედა. უცხოსა და უცნაურ მზეზედა. უცნაურადვე დაბრაწული. და მიაწერე სათაურადა – მზეი დასავლეთისა. გთხოვ. დაჰხატე. ჩემთვის დაჰხატე. გადაგიხდი. რაც არ უნდა ჰღირდეს გადაგიხდი. სულ ჰო ასე არ ვიქნებით. ამოვა მზეი. ქართული მზეი. მზეი ჩვენი. მეც კაცი ვიქნები და არც შევინარჩუნებ შენს ვალსა. არა. არა. თუ კაცი ვარ!.."

„მე ჰო მოდერნისტი არა ვარ!.." ვარაზმა.

„ეს რეალიზმია... მოდერნი არც მინდა!.."

რახან ერთი გავიდა მერეც გავიდა და გავიდა. ლონგინოზი. რაღა თქმა უნდა. გარეთა. ცხადია. ერთიცა ვნახოთ და შინ დარჩა მობილური. „გასულიაო..." ვარაზმა ჩასძახა. ვიციო. წუწუნებდა რუსუდანი. რუსუდანი გახლდა. ბათუმიდანა. თვალი მოუკრავთ ჩვენებურებსა. მე აქ ხმა დავყარე – პარიზშიამეთქი. ეგ მანდ ქუჩებში დაეხეტება. რა გამოვა მერე აქედანა: მე აქ სახელი დამივარდება მატყუარისაი. მაგას მანდ გაჰქაჩავენ და ბადრაგით ჩამოაბრძანებენ აქაო. უთხარი. გევედრები. შინ დაეტიოსო. თუ არ გაიგონებს – დააბიო. მაგას ის ერჩივნოს შენ დააბა, ვიდრე ათრიოს ბორკილები მაგათიო. გევედრე-

ბიო. გეხვეწებიო. გემუდარებიო. ქვას გააპობდა აჯაი იგი. ეგება რაიმეც ელონა ვარაზსა. მაგრამ რაღა დროსა. საღამოს *იმედმა* გამოაცხადა. *იმედის* ტელემაუწყებლობამა: პოლიციას ჩაბარდა ლონგინოზ აბაშიძე. ფეოდალური აჭარის კიდევ ერთი წარმომადგენელიო.

ამითი მოთავდა აჭარული სეპარატიზმიო. ეს ხაბაზმა გამოაცხადა. იმავე არხითა და იმისავე მოდევნებითა. სახე ულაპლაპებდა. ლოყები. ლოყები. ბიკინის ზოლით გადაყოფილი რო გეგონებოდა დასავლეთის მზეზე. მხურვალე მზეზე. თუნდაც წვერი რო გაიპარსა ხაბაზმაო. აჭარის რევოლუცია ამადაცა ჰღირდაო. მართლად რო ჰღირდა!..

სააკაშვილი უფრო გვიან წარმოადგინა. იგივე არხმა. *იმედის არხმა*. დამთავრდა უშიშროების საბჭოს სხდომაო. სხდომა კარს მიღმა მიმდინარეობდა. ხოლო სხდომის შემდგომ. მცირე ბრიფინგი გამართა პრეზიდენტმაო:

მე მინდა კატეგორიულად განვაცხადოო:

დედა სამშობლოს შეუერთდა აჭარაიო. „სამასი წლის ტყვეობის შემდეგა. ეს თვითონ გადასწყვიტა აჭარელმა ხალხმა. გმირმა ხალხმა. ჭეშმარიტმა ქართველმა აჭარელმა ხალხმა. სამასი წლის ტყვეობის შემდეგ. ბრმა უნდა იყოს, ამისი დანახვა ვისაც არ ძალუძს. ბრმა უნდა იყოს და ბრმაც არის და თვალებგადმოკარკლულიცა. ელამი ჰო არის. ბრუტიანი ჰო არის. ბეცი ჰო არის. ქორია ჰო არის და უარესიცა. ვისაც არ ესმის – რეგვენი უნდა იყოს. რეგვენიც არის და უარესიცა: ბრიყვი. სულელი. ლენჩი. შტერი. უჭკუო. ჭკუათხელი. შლეგი. დამთხვეული. გადარეული. გიჟი. გიჟთა გიჟი. კრეტინი. იდიოტი. სხვა რა-

ღა გითხრათ. მტერი უნდა იყოს. ერთისიტყვითა. არის და იყოს. ჩვენ არავისი არ გვეშინიან. წაიკითხეთ თუ რასა სწერს უცხოეთის პრესა. მოისმინეთ თუ რას გადასცემს უცხოეთის მაუწყებლობები. იკითხეთ. ისმინეთ. დიდი გარდაქმნები საქართველოდან იწყებაო. ისმინეთ!.. ისმინეთ!.. ჩვენი საქმე სამართლიანია. ჩვენ გავიმარჯვებთ. ან რაღა გვაკლია?!. გამარჯვებულები არა ვართ თუ?!."

XII

რაღა თქმა უნდაო –

ეთანხმებოდა ჟვანიაი. ის თავისი ბრიფინგიდანა – ბრიფინგიო – ეთანხმებოდა:

„ჩვენ შეევედით მსოფლიო ისტორიაში. ვარდების რევოლუციით: ჩვენი გიორგობით იწყება ახალი ერა. და ასეთ დროს ჩვენი ოპონენტების გამოსვლები ჩვენი ფართო დემოკრატიული რეფორმების წინააღმდეგ – სასაცილოა, სატირალი რო არ იყოს. მე არც დავტირი მაგათს უმწეობას გლობალური აზროვნების თვალსაზრისით. მაგრამ არც ის შემიძლიან აღშფოთება რო არ გამოვთქვა, როცა ასეთ დროს – მსოფლიო ისტორიის კარი რო გაგვეხსნა – ისინი ჰგმობენ განათლების რეფორმებს მხოლოდ იმიტომ თუ რატომ ამოგიღიათ რუსუდანები და ქეთევანები სასწავლო პროგრამებიდანაო!.. განა სასაცილო არ არის?!. განა სატირალი არ არის?!. არის. არის. ერთიც არის და მეორეც არის. მაგრამ მე მხოლოდ აღშფოთებას გამოვთქვამ და თან ვიმედოვნებ: დაფიქრდებიან ამაზე ჩვენი ოპონენტები. დასკვნებს თვი-

თონ გამოიტანენ. თვითონ. თვითონვე გამოიტანენ. მე ვურჩევდი – ჩვენს დასკვნებს ნუ დაელოდებიან.“ გაფრთხილება გახლდა. მიზანმიმართულიო. იტყვიან. მაგრამ სამიზნე თითქოს არცა სჩანდა. ოპონენტებიო. ესეიგი. პარტიები მიჩქმალულიყო. მიყუჩებულიყო. ანდაო. ითქმის. დაბნეულიყოო. არც ეს არის გასაკვირველი. მარცხმა არჩევნებში. სასტიკმა მარცხმა. შესაძლოა უარესიც გამოიწვიოსო. შფოთავდნენ რო პედაგოგები სკოლებში. პროფესორები უმაღლეს სასწავლებლებში. ამის მორევა შეიძლებოდა. იქვე ჩაახშობდნენ. ოღონდ პარტია არ მოჰქცევოდა სათავეში. არ აეკრიფა სადავენი პარტიასა რომელიმესა. ეროვნული იდეოლოგიის წინააღმდეგ ლაშქრობად არ დაესახა რეფორმაი სასკოლოი. სხვა რო არც რაი გახლდა!.. არ გამოეფხიზლებინა ხალხი გაბრუებული სურნელობითა ვარდობისა. რა გამოაფხიზლებდა ეგრე ადვილადა – გაჭირვება ჰოოო და ჰოოო. ოღონდ გაჭირვებას ჰო მოთმინება უნდა. მოთმინებაი და მოთმინებაი. დალხინებაც ისე არ მოდის. თავისთავადა. შრომა უნდა დალხინებასა. გაჭირვებას – მოთმინებაი. დალხინებას – შრომაი, ბატონო!.. მოითმინეთ და იშრომეთ და ილხინეთ მერე. რამდენიც გენებოთ. ეს ჰო ესეო. თადარიგიც დაიჭირეს წინასწარვე: აიღეს და დაირქვეს ნაციონალები!.. შეირწყეს მერე ჰო დემოკრატებიცა. გაერთიანებული დემოკრატებიცა. ბურჯანაძეებიცა. ვიღა დარჩა და ვინ რას დასწამებს?.. ლეიბორისტები?!. ჰაჰაჰაჰაო. რა თავს გამოიდებენ ქართველობისთვისა – ლეიბორისტები რო დაურქმევიათ!.. კონსერვატორები?.. რის კონსერვატორები – ჯერ ეს ვის უნდა გააგებინო. მონარქისტები – სადღა

ბრძანდებიან!.. ან ვინ სადღაა?!. მიმალულან და მიყუჩებულან. ვითომ ახალი მემარჯვენეებიო. მრეწველებიო ვითომა. რესპუბლიკელებიო. უფრო ვითომა. ორ ძმას ერთმანეთისა ვერ გაუგია. დავითაშვილი და ძიძიგურიო. ჯერ ათი კაცი მაინც შეაგროვონ. მერე იფიქრონ პარტიაზედა. ბათიაშვილი რაღაცას ჩალიჩობსო. იჩალიჩოს. იჩალიჩოს. გამსახურდიაცაო. კოკო. კონსტანტინე. შვილიშვილი დიდი კონსტანტინესიო. იაროს. ისეირნოს. იფრინოს. შვეიცარიიდან საქართველოში. პარტია რო მიართვეს – ეგონა რო მართლა მიართვეს?.. როგორც მიართვეს ისე გამოართვეს. იაროს. ისეირნოს. იფრინოს ახლა. მამის სახელი როდემდის ეყოფა. პაპის სახელი როდემდის გაუძლებს. სოროსი მაგას არ მიჰყუდებს ზურგსა. პუტინი მითუფრო არა და არა. შროდერიაო თუ შრედერიაო – მეტი დარდი არა აქვს!.. შირაკს გაექცა რჩეულიშვილი. არც გაუგია თუ როგორ მიეკედლა. როგორ თუ გაექცა – არც ისა. ცხადია. ვინ იყო. რა ენება – არცა და არცა. შირაკსა. შირაკსა. რაღა თქმა უნდა. ტონი ბლერამდისაც ჰო ვერ მიაღწია ნათელაშვილმა. ახლა ვაშინგტონს ელაციცება ნათელაშვილი. აქედან დავცემ ჟვანიასაო. მაინცდამაინცა ჟვანიასა მტრობს. ვერ იქნა ღოჯურში ვერ შეუვიდა. აქედან შეუვალ. აქედან დავცემო. ვაშინგტონიდანაო. იმდენი მამა უცხონდა, რამდენიც ის სოროსმა მიიკაროს ან ვინმე სხვამა – ერთნი არიან. ერთადა მღერიან. ერთად ისწრაფიან ფართოსა თუ უფართოეს რეფორმებსა დემოკრატიულსა. ისინი ესწრაფიან და ესენი რაო: სხვა რასა ფიქრობენ. სხვას რასა ცდილობენ!.. გუნდია იგი. გუნდია ესეცა. გუნდი და გუნდი ვარ-

სკვლავთა მოკაშკაშ-მოელვარეო. უმწეოა ჩალიჩი ყოველი. ფათური ყოველი. ღივღივი ყოველი. უმწეოა ან და ერთი ათი წელიწადი მაინცაო. და მაინც ყური ცქვიტადა. თვალი მახვილადა. ცოტა ფერაობა. ცოტა მუქარა. დაშინებაცა ცოტცოტათიო: დასკვნები თქვენვე გამოიტანეთო. ირინა!.. ავიწყდება?.. არა... არავინაც არ ავიწყდება. ისიც წარსულია. მთლად წარსულია. სხვა თუ ღივღივობს. ის აღარცაო. რაც ძალა გააჩნდა – ამოსწურა. ამოანურინა ხაბურძანიამა. ცნობებს აწვდიდა წაღმაუკულმა. ეგრევე ჰყრიდა ისიცა აგრეთვე. ირინაი. რაღა თქმა უნდა. წაღმაუკულმა. რაღა თქმა უნდა. ხაბურძანია უარჰყოფდა მაშინვე. უარჰყოფდა წაღმაუკულმა. და აღარც რაი სჯეროდა შევარდნაძესა – აღარც ამისი. ირინასი. აღარც იმისი. ხაბურძანიასი. ეს ჯორბენაძის შეთქმულებაო. სინამდვილეში ჯაფარიძისა. ეს სოროსის განხეთქილება მაილსთანაო. სინამდვილეში შეკავშირებაი იმათი. მანამდე არნახული თუ არ გაგონილი. როგორც გენებოს. ეს ვაშინგტონის გულაცრუება სააკაშვილისადმი. მჯობინებაი ბურჯანაძისაო. სინამდვილეში – უცვლელობაი არჩევანისა. აბნევდა ბევრსა. შევარდნაძესა პირველყოვლისა. ანთუ არც აბნევდა: დინებას მისდევდა. არა აღმაო. დაღმა მისდევდა. ფონი იპოვნა და გატოპა მაშინვე. მაშინვე. უყოყმანოდა. გატოპა. გავიდა. სუფთადა. მშრალადა. აბა რა იყო: ლანგარით მივართვიო!.. სასახლე დატოვა და ქოხში დაესახლა. დროც იყო. ცხადია. 30 წელიწადიო. რა ამბავია – მეფეთაც უჭირდათ მეფობაი ამდენი ხანი!.. რაც თუ რაიო – აღარც ის გახლდა: ირინაი. აღარც რო პარტიაი იმისი. რაღა დროს ეროვნულდემოკრა-

ტებია. ინებეთ ნაციონალდემოკრატებიო. ინებეთო და ინებეს. ოქროს ვარდია სამუშაო მაგიდაზე სააკაშვილისა. იქ სამუშაოდ არცა სცალიან. მსოფლიოს უვლის. ვარდებს ურიგებს პრეზიდენტებსა. ოქროს ვარდებსა. რაღა თქმა უნდა. ასლებსა თავისი ვარდებისაი. წითელი. ღაჟღაჟა ვარდებისა. ირინას ესეც უკუღმა ჩააწვეთეს: ცისფერი ვარდების სახელით მოდიანო. ისიც ცისფერიო. გაიძახოდა. მორჩა. მორჩა. ერთისიტყვითა. თუ რაც რო შერჩა, ის თუღა შერჩა რო: დაასაფლავა მეუღლეი ქაშუეთის ეკლესიის ეზოში. მორჩა ეროვნულიდემოკრატიულიცა. ნაციონალური!.. ნაციონალური!.. ბუზს ვერ აუფრენს ვერავინა ამ 15 წელიწადსა. 10 ჰო მაინც ვერც ვერავინაო. ნეტარ არიან მორწმუნენიო. გეგონოთო. ნუ დაივიწყებთო: მუხთალია წუთისოფელი. მუხთალია უფრო მუხთალთათვისაო. იმედოვნებენ პარტიები. მიკნავებული. იმედოვნებენ. იმედოვნებენ. იმედი მაინც ყველას ეკუთვნის. ყველას წილხვედრია. იმედი. ყველას თავისი იმედი აქვს.

თავისი წილი და თავისი იმედი. თავისი. თავისი.

ოღონდ გააჩნია თუ ვისი რამხელაა. რა ზომისა. რა სიგანისა. რა სიგრძისა. რა სიფართისა.

შეიძლება რო ვერც განიზომოს ზოგის იმედი. უსაზღვროობას ზომა ჰო არა აქვს. კიდევ სხვა რამესაც არა აქვს ზომაი. აქ შედარება მაინც შეიძლება.

ირინა ერთი გახლდა ლიდერთა შორისა. პარტიების ლიდერთა – ქალი!.. მეტი იმედიც უნდა ჰქონოდა რო უდასტურებდა *ნოსტრადამუსიცა*: საქართველოს მეფე – ქალი უნდა იყოს XX საუკუნის შემდეგაო. ამას ამბროსიც დაეთანხმებოდა: აქციებზე ხშირად გაიგონებო: დაიღვრება სისხლი. ცეცხლი

გადაჰბუგავს ირგვლივ ყველაფერსა. მოიცავს ბნელი. და რო ინათებს: ამოვა ცისკარი ქალის სახითაო. რატომც არ ექნებოდა იმედი მეტი მამაკაცებთან შედარებითა?.. – ირინასა. რაღა თქმა უნდა. ასე რო: რაც არ განიზომება, წარმოიდგინება შედარებით მაინცაო. ამბროსი ამ აზრსაც იზიარებდა. ყველაფერს იტყოდნენ აქციებზედა. ბრძნულსაცა. გიჟურსაცა. მრისხანეს ჰოოო და რაღა თქმა უნდა. რისხვას აეტანა დევნილები სამსახურიდანა. უფულონი. ულუკმაპურონი. ანაბარანი ოდენ იმედისა. იმედიც რო არა – რაღა გვეშველებაო. ეგეც შენი უსაზღვროობა.

გლოვაც რო მართებდა!.. უსაზღვროობას არა. რა თქმა უნდა.

რაცუნდ იყოს – გლოვა გლოვაა და ქალი ქალიაო. ღრმაა. ფარული. იდუმალი. მაგრამ რა დარჩა დაფარული ი დალოცვილ XX საუკუნესა – არც რაი და არცა იდუმალებაი ქალისაო. გამოიკვლიეს დედაი ქართვლისაც. ალგეთის ლეკვებიც ჰო გამოიკვლიეს ფალოსოფოსებმა თავისუფლების ინსტიტუტისა!.. ოთარაანთ ქვრივი – ჰარვარდის უნივერსიტეტმა. აქ ამის გამოკვლევას რაღა უნდოდა. ირინასი. პეტრიაშვილი რო *ირინეს* უწოდებდა. ირინა არა ხარ. ირინე ხარო. უწოდებდა და უხმობდა: *ირინეო* – იმ ვარდების გადატრიალებაში. იმ!.. იმ!.. ცეცხლის კიდებაში. ტყვიის წვიმაში. არა თუ იმიტომა: მოდი და მიხსენიო. არაო. არაო. ფალოსოფოსთა მტკიცებითა. თბილისის თავისუფლების ინსტიტუტისა. რაღა თქმა უნდა. რაღა თქმა უნდა. მხოლოდ იმიტომო: მოდი და ინებეო. მოდი და დასტკბიო. აგერა ტყვიებიო. ტყვიები და ყუმბარებიო. თოფს თუ აათამაშებ-

და ოთარაანთ ქვრივი, თოფი რა არის – ავტომატები აი აგერა. აგერა ზარბაზნები თუ ყუმბარმტყორცნებიო. ათამაშე და ათამაშეო. ხოლო კვლევანი თავის გზას მიჰყვება. ფალოსოფოსთა. თუ რამ გამორჩათ XX-ში. წინ უდევთ აგერ XXI-ეი. თუ რამ თუ ვინმეი. ვთქვათ პენელოპეი. არ შეუნარჩუნებენ არც იმასა ერთგულის სახელსა. ქმრის ერთგულისა. რო ქსოვდა და ქსოვდა სუდარასა მამამთილისთვისა. დღე რო ქსოვდა და ღამით არღვევდა – რის ეშხითაო. რისაო. რისაო. არ დაფიქრდებითო. არც დაგაფიქრებთო: ჩხირების ეშხითაო. საქსოვის ჩხირებისა. გამოიყენებდა რო ჩხირებსა ქსოვისათვისა, ეთამაშებოდა იმასაო. სასიძოების ეშხითაო. ვიღას ახსოვდა ოდისევსი ან დაბრუნება იმისი ვიღას ეგონაო. არ მოგისმენენ საწინააღმდეგოსა არასდიდებითა. ფალოსოფოსნი. არ მოერიდებიან არც შიშვლად თქმასა. უხეშად თქმასა – არ ერიდებიან რო ჩვენი დაგვიანებული – დიდად დაგვიანებული პოსტმოდერნისტი მწერლებიცა.

ესენიც რო კარგი ვინმენი ბრძანებულან – ეს შენი პოსტმოდერნისტები – სად იყვნენ აქამდისა!..

ბედისწერაც რო მაინც ბედისწერაა – სად ჩაგისაფრდება რო არ იცი?!.

ნოსტრადამუსიც რო გაწბილებულა ბედისწერის წინაშე!..

რის მეფექალიო. რის დედოფალიო – არც მცირე რამ ადგილი ჰო აღარ ერგო ხელისუფლებაში ირინასა?.. სულაც ჰო გავარდა ასპარეზიდანა. მერედა რაო – ხალხიც ჯიუტია. ბედისწერასაც არ ეპუება: ქალიო. ქალიო. ქალიო მაინცა ნოსტრადამუსი რახანა ბრძანებსო. ირინა თუ არა, აგერა ნინოო. სამეუ-

ლიდანა: სააკაშვილი-ბურჯანაძე-ჟვანიაიო. მიშაო – ჯერ არ ახირებულიყვნენ. არა. ჯერ არა.

მაილსსაც ეს ხმები ჩაჰქონდა ვაშინგტონში: ქალის კულტია საქართველოშიო. თამარის კულტია აქამდისაო. ქალზე ოცნებობენ. ქალის გამეფებაზე ოცნებობენო. ლამის რო თავისი გაიტანა მაილსმა. ირინას რაღაო – გარეკეს რო პარლამენტი შევარდნაძისაო. ბედმა არ გაუჭრა არც ბურჯანაძესა. მეფობა უნდა დავავიწყოთ საქართველოშიო. ქალის კულტიც უნდა მოვშალოთ! ითქვა ვაშინგტონში. დედაშვილობისაცა. მამაშვილობისაცა. ნათელმირონობისაცა. ყველა კულტიო. ყველაო. ყველაო. ყველა უნდა მოვშალოთო და მოვანგრიოთო. კონდოლიზა რაისმა. კოლინ პაუელმა. და. რაღა თქმა უნდაო. ბუშმა. იმასაც ამბობენ: ამათ მხოლოდ აღასრულესო. ნაციონალებმა. სხვაგანაა ეს დადგენილი. დადგენილი და გადაწყვეტილიო.

„სად სხვაგანა?!." იკითხა ვარაზმა. გამომწვევადა. „ისიც ეცოდინებათ..." რაისისა. პაუელისა და ბუშის თათბირიც რო იციან ასე ნიშანდობლივადაო.

ისიც იციანო. ამბროსიმა. იქ ყველაფერი იციანო. აქციებზეო. რაღა თქმა უნდა.

სავარძელზე მოკალათებულიყო. ამბროსი. *იმის* სავარძელზედა. გაშინაურებულიყო თუ ავიწყდებოდა. გინდა დაგეშალა. გინდა არა. სათქმელი მაინც არ ავიწყდებოდა. ლაპარაკობდა. ამბობდა. ჰყვებოდა. რაც რო შეეტყო. ვარაზი აცდიდა. არ ჩაერეოდა. თუ ჩაურთავდა მხოლოდ შეკითხვასა, უფრო კარგად რო გაეგო ნათქვამი. ეს იყო იმისი კავშირი მიწასთანა. დიდ მიწასთანა. ქალაქ-თბილისთანა. თუმცა არ უნდოდა არც გაგებაი არაფრისაი. არც გამოტოვება არაფრისა არ უნდოდა.

„ქვეყნის ამბებზე საუბრობთ იქა თუ მოთხოვნებს უყენებთ ხელისუფლებასა?..“ იქაო. აქციებზეო ესეიგი.

„ჩვენა ვსაუბრობთ, წინამძღოლები რო ჩაჰყვირიან მეგაფონსა. ჩვენ ჰო ვიცით, რასაც ჩაჰყვირიან!..“

„იმათ არ იციან?..“ ხელისუფლებამაო. რაღა თქმა უნდა.

„იმათაც იციან. რასაცა გვპირდებოდნენ, იმას მოვითხოვთ. მეტს არაფერსა. რო იჭერენ და იჭერენ ძველ მოხელეებსა ჩვენი სახელითა: რასაც რო ვართმევთ, თქვენი ფულიაო რო გვიჩიჩინებენ – მოგვცენ თუ ჩვენია!.. ან ისე მაინც შეეტყოს რაიმესა. ან ქალაქს შეეტყოს ან ჯარს შეეტყოს ან ბაზარს შეეტყოს. შუქი რა არის შუქს მაინც შეეტყოს.“

„რას გეუბნებიან?..“

„არაფერსა!..“

„სულ არაფერსა?!.“

„სულ არაფერსა!.. დაამთავრეს თვითონ გამოსვლები. პარლამენტის წინაცა და მერიის აივანზედაცა. გადაჰყარეს მეგაფონები. პარლამენტში ჩასხდნენ. კანცელარიაში ჩასხდნენ და ბრძანებენ და ბრძანებენ. გავერთიანდეთ. მოვითმინოთ. დიადი მიზნები დაგვისახავსო. ჩვენ პოლიციას გვიგზავნიან. პატრულს გვიგზავნიან. ჟანდარმებსა გვპირდებიან. აბა ცოტა გადავაჭარბოთ!.. აქციები მცირემცირედი კიდევაცა ნებავთ – დემოკრატიაც ესა ყოფილა. მეტი არაფერი. ჩვენ თუ არ გავალთ. ნებით თუ არ გავალთ. ძალით თვითონვე გაგვიყვანენ. აგვატარებენ და ჩაგვატარებენ. გვაყვირებენ და გვაბღავლებენ. ისე და იმ სიმაღლეზე ისეოდენზე, რაოდენი დემოკრატიაცა თვითონა ნებავთ.“

„მე თუ მიხვედრა არა მღალატობს – რევოლუციონერი მწიფდება შენში." ვარაზმა. „ოღონდ თუ იცი: ცოტა დაგვიანებული ჰო არ არის?.."

„არა!.. რათა?!. ჩვენ ჰო ისევ სტუდენტები ვართ. მერხებზე ვსხედვართ ჩვენი დღენია. ისევ გვატყუებენ. ისევ გვაქეზებენ. გვასულელებენ გაუთავებლადა." გადავიდოდა მერე სხვაზედა. ამბროსიმეთქი. როგორც რო იქა: იმა ზომიერ აქციებზედა. ლოზუნგები სხვა მიეტანათ. მეგაფონები სხვას გამოსთქვამდა. სხვასა უბნობდნენ მოაქციენი ერთმანეთშია. კარგად მორგებოდა *იმისი* სავარძელი. იჯდა რბილადა. ნელამდის რბილადა. ზურგიც სირბილეს მიჰყუდებოდა. მკლავებიცა. თუ დაუშვებდა. ერთს დაუშვებდა. მეორეს აქნევდა. ხან აქანავებდა ორივეს ერთადა. სათქმელს გააჩნდა. რაღა თქმა უნდა. ხან სამღელვარო გამოიწვევდა. სამხიარულოი ხანაცა. ორივე ხელი დასჭირდებოდა ორივშემთხვევაშიო. იტყვი. მართალიც იქნები. რაღა თქმა უნდა. დასჭირდებოდა და იქნევდა ისე ლამის მხრები წამოუცვივდესო. *ის* არა. არა. არაფერს არ იქნევდა. არც სახეს რო არ ათამაშებდა. ტუჩები ირხეოდა. სიტყვებს გამოსცემდა. მკაფიოსა. ნათელსა. დამაფიქვრელსა. არას ჩაურთავდა. ვარაზი. უცდიდა. უცდიდა. ამეტყველდებოდა მერე თვითონა. აცდიდა ისიცა. ისე ერჩიჟნა. ეს არ მოსწონდა. ამბროსი. ვარაზსა. არც ის გატყორცნილი ხელები. არც გამოთქმანი. არც ხმის კილოი. არც ისა რო დაიპყრო სავარძელი *იმისი*. ვეღარც ეთქვა რო: აქ აღარ დაბრძანდეო. დაბრძანდეც – ვერა. დაჯდომას ჰო ვით შეჰკადრებდა!.. თავაზიანობა არ აკლდა. ვარაზსა. სიმარტოვემ უფრო დასდრიკა. გავიდე უნდა გარეთაო. დაიბეჯი-

თა. რამდენჯერ გადასწყვიტა. რამდენჯერ გადასდო. ჯერ ისევ ამბროსის ხელები დაჰქროდა. ანთუ დაუფლებოდა სავარძელსა მას – დიდი თავი და გრძელი ხელები. ცხრუკვეთსა სწვევია ახალგაზრდა პრეზიდენტიო. დედულეთსაო თუ მამულეთსაო. თუ ვერ გაარჩევდა, არც თავს შეინუხებდა ბატონი ამბროსი. თუ ბაბულეთსაო. ალბათ უფრო ბაბულეთსაო. ბაბუს უძახდა ერთ მოხუცსაო. მეორესაცა. მესამესაცა. რო შეიარა მუზეუმში წერეთლებისა. სურათებს რო ჩაჰყვა. ბაბუ. ბაბუო. იქაც ასე გაიძახოდა. ბაბუის ბაბუო. ძმაი ბაბუის ბაბუისაო. კიდევ იქითა ბაბუო და ბაბუო. მამა სააკაშვილებიდან მოუდიოდა. დედა – ალასანიებიდანა. ბაბუეთად საწერეთლოს აღიარებდა. ბაბუო და ბაბუო. ესეიგი, და უცებ: ამას აქ რა უნდაო – ბიწაძის სურათი რო წასჩხირვია თვალში. სკოლა დაამთავრა აქაო. უთქვამთ. „აუჰ!.. ბაბუებში!..“ ეს ოტიას ამოუძახია. ოტია-მწერალსა. არაო. არაო. ეს ჰო ბურჯანაძის ქმარიაო. აუხსნიათ. ჰოოო. ოტიამაო. მაშინ ქეა სამუზეუმო კაციო. და ამასობაში უკითხავს აგრეთვე პრეზიდენტსაცა. მდივნისათვის. პარტიისა. თავისი. – იმას რაღა უნდა. ყალივანი რო სჩრავ პირში. მაგისი ბიჭი ჰო ჩავწერეთ პარლამენტშიო. ჩავწერეთო. „აბა რაღა უნდა?!!!.“ სიტყვისთქმა უნდაო. სიტყვისაოოოოოოო... „გამომივიდა ეგეცა კაკი წერეთელი!.. ბაბუ!.. ბაბუ!.. ჩემი ბაბუ!.. ჩემი საკუთარი!..“ დააყოვნა და აიქნია ხელი. წამოახველა კიდევაცა. ოდნავა. ოდნავა. – „გაიტანოს ეგ თავისი ყალივანი და ახრჩოლოს გარეთა...“ და უცებ – „აპლაკუნოს!.. აპლაკუნოს!..“ გაახსენდა რო ოჩიაურის ნათქვამი. ინგას შოუში რო შეებნენ ერთმანეთსა. ოჩიაური და იოსელიანი. ეს

რო ტრაბახობდა: მთელი ჩემი ცხოვრება შევარდნაძეს ვებრძოდიო. ესა. იოსელიანი. რას ებრძოდიო. იმანა. ოჩიაურმა. ვის ებრძოდიო. მაშინაც ეგრე აპლაკუნებდი მაგ ყალივანსა და ახლაც ეგრეეეო. ეს გაახსენდა. რჩევით ეს ურჩია: „მაგისი სიტყვები მე არა მჭირდება. დაბეჭდოს, რის თქმაც მოუნდომებია!.. დაბეჭდოს. დაბეჭდოს!..“ მაგისგან მე ჭკუა არ მესწავლებაო. იოსელიანმა. ჩინეთშიცა ვბეჭდავ და იაპონიაშიცა. ევროპა ვინ მიგდია. ფეხქვეშაც ამომიდვია ეგ თქვენი ევროპაიო. თქვენ გიკვირთ. თორემ მე რა მიკვირსო. გამწყრალა. ყალივანი გაუბოლებია და გაუბოლებია. მუზეუმში წერეთლებისა. აქ არ შეიძლება. *ბაბუო*. შეუნიშნიათ. შეუნიშნიათ და შეუნიშნავს: ჩემი სურათი აკლია *მაქანეო*. ეს ჰო ასეო და ესეც იქიდანვე. სავარძლიდანვე. ხელების ქნევითა და თავის რაცრაციითა, ანთუ რწევითა რბილ მისასვენებელზე. რწევითა. რხევითა. ქანაობითა. აქ ჰო მოვრჩითო. პრეზიდენტმაო. ჭაბუკმაო. – თბილისში – შევარდნაძესა. ბათუმში – აბაშიძესა. *კმარათი* მოვრჩით. ახლა ოსებს შევუთვლით: *ფაგუსაო*; აფხაზებს – *იაზხოპსაო*; უკრაინელებს – *ტაკსაო*; რუსებს – *ხვატიტსაო*. თუნდაც *ხვაწიტსაო*. და ამოვწურავთ ვალდებულებათა ჩვენსასაო. ჯერჯერობითა. რაღა თქმა უნდა. თორემ *მესია* უფრო შორს ეწევა. უფრო ბობოქრობს ქართული სული. ანთუ როდის მოუსვენია – თუნდაც ედუარდ I დროსა. დროსა სტალინის კულტის მსხვრევისასა. მაინც კრემლისკენ რო ისწრაფოდა ქართული სული. კრემლის დასაპყრობად რო ისწრაფოდა. კვლავაცა და კვლავაცა. ზვიადის დროსა თუნდაცაო: კავკასიის ერთიანობა რო დამდგარიყო დღის წესრიგშია. იმერ და ამიერ.

საქართველოს მეთაურობითა. კავკასიური გენის. კავკასიური კულტის დასამკვიდრებლადა ასპარეზზე მსოფლიოისა. ცხადია და რაღა თქმა უნდა. შებრუნებამ დასავლეთისკენა. ეს უკვე ედუარდ II დროსა. პარტნიორობა ამერიკასთანა ტერორიზმის აღსაკვეთადა. ავღანეთში. ერაყში. კოსოვოში. მსოფლიოში. ერთისიტყვითა. ნაკლებ საზომებს რო არ დასჯერდები და ისევ იქ რო ხარ. მსოფლიო სიფართეზე. გლობალიზაციაში ჩაბმულჩახლართული. ეს აგერ მიხეილ I დროსა. სხვა მიხეილებიც თუ გამოჩნდებიან ტახტზე ქართვლისა. თუ არაო და *მიშიკოს* დროსაო. არც მოუსვენია და არც მოისვენებს ქართული სულიო. არც თვითონ მოისვენებს. არც მოასვენებენ. თუ არ იკისრებს – დააკისრებენ. რადგან რო აგერ – სხვას რო არ ძალუძს არავისა *დემონტაჟი* პოსტსაბჭოური სივრცისაო. ხელები უკვე აწყვია სახელურებზე. სავარძლისაი. აღარა ქანაობს. რაღა თქმა უნდა. თვალებიცა ბზინავს. ამბროსისა. მესიის ხილვებშია თუ თავი ჰგონია მესიადაო. ეს უკვე ვარაზის შეხუმრებაა. თავისთვისა. არ გამოაფხიზლებს გატაცებულ მოსაუბრესა. ოღონდ თვითონვე ცოტა უკვირს: რა აქციებია ეს აქციებიო – გადის ქუჩაში გაბრაზებული კაცი. განრისხებული. გახელებული ხელისუფლების წინააღმდეგა. შეუერთდება თავისამებრთა. შემოკრბებიან რუსთაველზედა. პარლამენტის წინა. მერე აიწევენ ცოტა ზევითა. კანცელარიის ეზოში. რისხვა გაუვლით თანდათანობითა. აღივსებიან იდეებითა. ხელისუფლების იდეებითა. დაავიწყდებათ შიმშილი. წყურვილი. სიღატაკე. სიბნელეც დაავიწყდებათ. აღივსებიან და აღივსებიან. აღივსებიან და აღივსებიან. იდეებითა. იდეებითა. იდეები-

თა. მერე პრეზიდენტი ავლაბარში გადასახლდება. იქამდე ესენი აღარც ივლიან. დამკვიდრდებიან რუსთაველზედა. პარლამენტის წინა. იდეებს რა დალევს ანთუ იქა. იმედებს რა დალევს. შენ მოთმინება თქვი. ეს მაინცა აქვს ქართველ კაცსა. სხვა თუ არაფერი ეს მაინცა აქვს. მოთმინებაი. სხვა არც რა უნდა და არც რა შერჩება ამა უაზრო მისწრაფებებშიო.

ისეც მოჰხდა რო: დაიჩივლა ამბროსიმა. ვარაზთანა. აქციებზედაც ვეღარ გავდივარო. რატომაო. არ უკითხავს. ვარაზსა. ცხადია. არც ტუჩპირითა. არცა თვალებითა. შებრუნდა კიდევაცა – ტუჩების ცმაცუნმა რო არ გამცესო. მერე სოფიოც ამოქმედდა. სიბრალულითა. ამბროსისაი. რაღა თქმა უნდა. მოიწყინა რო ამბროსიმა. ძალიანა და ძალიანა. ძალიან მოიწყინა. და აი ერთ დღესაცა, ბაზრიდან რო დაბრუნდა სოფიოი, სამი ვარდის კოკორი უღუოდა ხელშია. წითელი. წითელი. ღაჟღაჟა კოკორი. ნავაჭრთან ერთადა. გლეხებს ჰო ვეღარც დაინახავ ბაზარშიო. ვაჭრები დაეუფლენ. ფასი უდევთ შეურყეველი. შევაჭრებასაც აღარა კადრულობენო. მე მაინც ჩემი გავიტანეო. იმდენნი მაინც დავაკლებინე, ზოგი იქ. ზოგი იქა. სამი კოკორისთვის რო მყოფნოდაო. არც ამაზე უთქვამს არაფერი ვარაზსა. აუხსნა სოფიომა. მაინც აუხსნა: დამიდარდიანდა ამბროსიო. „აქციებზე ვეღარ გასულა. ვარდებით მოდიან ყველანი. მე ასე ხელცარიელს მეუხერხულებაო..."

გაიღიმა ვარაზმა.

თითქოს გაიღიმა.

სოფიომ გაიხარა: მომიწონა საქციელიო. მომიწონა ერთგულებაი. მეუღლისადმიო. რაღა თქმა უნდა.

XIII

ოდეს ვარდი გაიაფდეს, არღა ღირდეს არცა ჩირადო –

ძვირობდა ვარდი. ძვირობდა და ძვირდებოდა და ძვირდებოდა.

თვით მოაქციენიც თუ ვარდებით გადიოდნენ ქუჩაში – მოაქციენიო ანუ თვით ვარდების ხელისუფლებისაგან განაწყენებული ხალხი – მომხრენი თუ მოთაყვანენი ვარდების რევოლუციისა, უიმისოდა, უვარდებოდ, რატომღა გადადგამდნენ ფეხსა!.. ახლა თვითონ ნაციონალები – გულზე ჰო ებნიათ. ტიციან ტაბიძეს მიხაკი ებნია. სიძულვილით ბოლშევიზმისა. ამათ ვარდი. შევარდნაძის დამხობის ნიშნადა. გამუდმებითა. ახალახალი. რაღა თქმა უნდა. თაიგულებადაც ეპყრათ ხელთა. ბანოვანთათვის რო ებოძებინათ. ძვირდებოდა და ძვირდებოდა. ისე ძვირდებოდა – თვით ამ ახალმა პრეზიდენტმა. მომჭირნე პრეზიდენტმა. ზარაფხანაში შეუკვეთა ვარდი ოქროსი. ეს უფრო იაფად დამიჯდებაო. მე ჰო არა ვარ ბედოვლათი შევარდნაძეიო. ქონება რო ვაბნიო უაზროდაო. სახელმწიფო ქონებაიო. ბუშსაც მიართვა ოქროს ვარდი. აგრეთვე. პუტინსაც – აგრეთვე. კუჩმასაცა. ბუშს ეცნაურა. ტაში შემოჰკრა. ეცნაურა რო პუტინსაცა – ცივად ჩაიღიმა. ჩაიგესლა ანუ. ხოლო კუჩმამაო: თვალები დაჰხუჭა. ხელებიც აიფარა. და ცხვირმაც დააცემინაო.

ძვირდებოდა და ძვირდებოდა. ერთსიტყვითა.

აჭარაც ჰო ვარდებით გადაიპენტა. ვარდებით იცავდნენ ძველ ბაზარსა ბათუმის შუაგულში. მცირე

ბიზნესის მიმდევარნი. მედგრად უტევდნენ და ერეკებოდნენ შორსა იქიდანა. მსხვილი ბიზნესის მონაწილენი. დამშვენებულნი ვარდებითა ისეთივეთი. ყველას ვარდი ეკერა გულზე. ვარდი გადაეკრა ტუჩპირზედაცა. მტერსა და მოყვარესა. პოლიციელსა და დევნილსა. დაცემულსა და ამაღლებულსა. ძვირდებოდა და ძვირდებოდა. ვარდი. ბედი რო ბედია და ყოვლად ბედნიერსაც რო უმუხთლებს ზოგჯერა!.. თუნდაც ერთხელაო. ისიც რო კმარა და კმარა მართლაცა. როდის რო ეს იმან გასჭვრიტა: ჟამი ესე ვარდობისაი!.. გახსოვს?.. ცხადია!.. შეჰქმნა ჰოლანდიური ვარდების *კომპანია*. გაიმართა და გაიმართა. მაგრამ ვერც ისე. ვეღარ შეესწრო გაფურჩქვნის ჟამსა. ვარდფენობას წინ ვეღარ დაჰხვდა. კოვზი ნაცარში ჩაუვარდა მოულოდნელადა. აფსუსს. დრონი მეფობენ და არა მეფენიო. როგორღაც უთქვამთ. არა და რა დრო იყო!.. ვისთვის ისაო. ვისთვის ესაო. აქ სხვა კომპანია გამოიჩარხა. აიწია და აიწია. გაფუვდა და გაფუვდა. გათამამდა და გათამამდა. ისე. ისე და იმგვარადა: ტიტებიც შემოზიდა. ფერმა აცდუნა. ფერმა წასძლია. ვეღარ მოიფიქრა – გასძლებდა თუ არა. ეს იმდენი არაფერიო. მალე დაიფარა ზარალი იგი. ბანკიც უხვად გასცემდა კრედიტსა. მცირესთვის მცირესა. საშუალოსთვისაც მცირესა. უხვად გასცემდა დიდთათვისა. ახალთათვისა. ბიზნესშიცა და ხელისუფლებაშიცა. უხვადა. უხვადა. თამამადა. გაბედულადა. ფული არა ჰქონდა თუ!.. – ნაღდი. ბაჯაღლო. ართმეული მსხვილმსხვილი თუ მიმდევნო ჩინოვნიკებისაგანა. ყოფილთა. მრეწველთაგანაცა. ვინც რომ მოიკეთა. ვინც რო საქმე ცოტა ააწყო – თუ: შეეწყო ძველსა იმასა და ახალსაცა. ხელისუფ-

ლებასა. რაღა თქმა უნდა. შემოჰქონდათ და შემოჰ-ქონდათ. ძვირდებოდა და ძვირდებოდა. გადაჰფარა ყველა ბიზნესი. წარმატებული მანამდისა. ბენზინი-სა. ხელოვნური აირისა. ბრკოლდებოდა რო ბუნებ-რივი. ისევა და ისევა. შენ თქვი ვარდებიო – ვინ წარ-მოიდგენდა. იზრდებოდა ვალი. ხარჯი იზრდებოდა. ვლადიკავკაზი! მერე დანაკარგებიც თქვენი ვალი-აო. ცხინვალიც ჰო თქვენია და თქვენიაო. მოდი და ნუ გაგეცინება!.. მე შემოვირბინე მთელი ცხინვა-ლიო. პრეზიდენტმა. ზღუდრიგორაზედაც ავედიო. დავადგი თვალი ბაზრობასაცა ერგნეთისაო. ის უნ-და დახუროს. ბაზრობაიო. ერგნეთისაიო. რაღა თქმა უნდა. მიბრძანებიაო. ცხინვალში ფაგუ გაიმართება. ერგნეთიდან კმარა შეაღებს კარსა. თან მიჰყვებიან დევნილებიო. ვარდებითაო. თაიგულებითაო. იქაც ვარდებით დაჰხვდებიანო. ცხინვალშიო. აბა!.. რო-გორც ბათუმშიო. ვარდებით მოგვივლენ ვლადიკავ-კაზიდანაცა. აბა მაშ რაო – რა გვაქვს გასაყოფი ჩვე-ნა და ოსებსაო. ქალები მაგათგან მოგვიყვანია. ქა-ლებიც მიგვიცია მაგათვისაო. ბოლოსდაბოლოსაო. სხვა რო არც არაფერი იყოს – დავით სოსლანი დაგ-ვისვია თანამეცხედრედა თამარისაო. რა გვაქვს სა-დაო თუ გასაყოფი – რაიო. რაიო. მხოლოდ რუსები გვირევენ ცხოვრებასა. შორს რუსები ცხინვალიდა-ნა. ვლადიკავკაზიდანაც შორსაო და შორსაო. „ვარ-დები. ვარდები. ვარდები ბლომადა!.."

წინ *კმარა*!..

უკან დევნილები!..

წინწინ რუსები შეეგებნენ *კმარასა*. ცისფერჩაფ-ხუტიანები. ტყვიავთან შეებნენ:

არ გადმოსცილდეთ ნეიტრალურ ზონასაო.

ჩვენ იქ *ფაგუ* გველოდებაო. *კმარამა.*

ფაგუმაო ერთი კი ჩამოიარა კანცელარიის წინაო. ცხინვალისა. ცხადია. პოლიციას არც გამოულია ხელი. დედები გაეჭრნენ *ფაგუს* გოგობიჭებსა. შინ შეითრიეს ყურთანიითა. *ფაგუ* დაუფხრიწეს. ცხვირპირი ამოანაყეს. გარეთაც აღარ უშვებენო.

აბა ჩვენაო. *კმარამა.*

აქედან მოუსვითო. ცისფერჩაფხუტიანებმა. თუ გინდათ ცხვირპირი შეგრჩეთ მთელიო. ეს კიდევ არაფერი – თავი და ტანიც აქეთ რო არ დაგრჩეთო. ატყდა იქ ისეთი ბათქიბუთქიცა. ლიახვის ხეობაში. თამარაშენსა და იმის ზევითა. აქეთ თუ სადმე შეაფარებდი თავსა, იქით სამალავი აღარ შეგრჩებოდა. სიმაღლეები ოსებს ეჭირათ. დაბლა უშენდნენ ქართულ სოფლებსა. უშენდნენ და უშენდნენ. უშენდა და უშენდა რუსთა მიერ გაწვრთნილი საჯარისო ნაწილებიცა. ისედაც ვისაც ჯანი ერჩოდა. კაციო თუ ქალიო. იარაღიცა რუსული. ტყვიაწამალიცა. უხვადა და უშურველადა. როქის გვირაბი რო აღარ იტევდა. ულელტეხილსაც გამოიყენებდნენ. ძველებურადა. მამაპაპურადა. მენშევიკთა დროის გამოცდილებითა. იქიდან გადმოვიდნენ იმხანებშია. იქიდანვე ამოჰკრეს პანღური. იქიდან დააცურეს დეკანოზი ოქროპირიძეცა. ტყვედაყვანილი ცხინვალიდანა. აქედან იქითა. და რო დავეშვი. მთიდან ბარშიო. დაჩოქილები შემხვდნენ ოსებიო. თმაწვერ გაშლილი რო მოფრინავდი. თეთრ თმაწვერგაშლილი. გვეგონა ღმერთი მოგვევლინაო. ოსებმაო. თვითონ იგონებდა. ცხინვალის დეკანოზი. ტყვეობიდან მობრუნებული. ჟამსა მენშევიკებისაო. ბოლშევიკებმა გვირაბი გაიტანეს. ღმერთი რო აღარ მოგეჩვენოთო. მოეჩვე-

ნოთ და მოეჩვენოთო. ირიდებდა და ირიდებდა მჟავანაძეი. მერე ესეც ბრალად დაუდეს. კრემლში. ცხადია. არც ძეგლის დადგმა არ უნდოდა. ორჯონიკიძისა. მჟავანაძესა. არც ზედმეტი ფაბრიკაქარხნები აღარ უნდოდა. არაო და ნუუო. პანღური შენაო. და გაიმართა აუქციონი. იქავე. კრემლშია. აბა ვის უნდა და ვინ უფრო მალეო. გაიმარჯვა ედუარდ I-მა. მალეც აღუსრულა. ძალიან მალე გაჰკვირდა რო თვითონ კრემლიცა. აღმართა ძეგლიცა ორჯონიკიძისა. შევარდნაძემა თბილისქალაქში. რაღა თქმა უნდა. გვირაბიც გაჰკაფა. როქისაო. რუსებიც მრავლად ჩამოასახლა. აბა მაშ რად უნდოდა უამრავი ფაბრიკაქარხანა და მსხვილი საბჭოთა მეურნეობანი. კრემლსა. საქართველოში?!. სხვა არაფრისთვისა. რაღა თქმა უნდა. იცოდა ზრახვანი ედუარდ I-მა. რუსთა. იცოდა და უთქმელადაც აღუსრულებდა. მერე ჰო უსაყვედურეს უკვე ედუარდ II-სა – ყველა ყველა და ე როქის გვირაბი რაღამ გაგაყვანინაო. მე უარი არ შემეძლოო. როგორც რო ედუარდ I-საო. შეგეტანათ მერე. თქვე დალოცვილებოო. 3-ოდე ტონა ტროტილი. მეტიც არაფერი არ უნდოდაო. მერეო. თქვე დალოცვილებოო. ნეტავი ვისაო. მერე და ვისაო. პატიაშვილი შეიტანდა თუ გუმბარიძეი?!. გამსახურდიას რო არ დააცადეს. ის მაინც მოასწრო: მირეკა მოჯანყენი, სეპარატისტებიო თუ ტერორისტებიო, როქამდისა. მირეკა და შეჭედავდა კიდევაცა გვირაბშიცა და უღელტეხილითაც გადააფრენდა... მაგრამ. ჰოო. მაგრამ. მაგრამ და მაგრამ. ის ჰო ისეო და ამასვე დაუდეს ჰო დაგომისის ხელშეკრულებაცა. ედუარდსა. უკვე II-სა. რაღა ტრაქტატი გიორგიევსკისა და რაღა ხელშეკრულება დაგომისისაო. ლიახვზე რაღამ შე-

მოგაყვანინა. რუსებიო. რაღა თქმა უნდა. არა კმა-
როდნენ ენგურზედაო. არავითარი სტრატეგიული
მნიშვნელობა ამას არა ჰქონდა. ელცინმა განაცხადა
და მეც დავეთანხმეო. ედუარდ II-მა. აი სტრატეგო-
სი. ან რუკა არ ენახა. თავისი დღენი. ან გლობუსი ან
ფეხი არც წაედგა თბილისიდანა – ცხინვალი და ერე-
ვანი ჰო ორ ნაბიჯზეა. იქვე თურქეთი და სპარსეთი.
ელცინი მთვრალი გახლდა. გამობრუჟული ჭაჭითაო.
ეს მაინც არ ავიწყდებოდა. ან ჭაჭა რად მიჰქონდა.
ედუარდ I-სა. ან ვინც გაატანა, რად არ უჩიჩინა: იმი-
ტომ გატან: რუსები ცხინვალში აღარ შემოუშვა, თო-
რემ ვერ გაიყვან ველარასოდესაო. რად არ უჩიჩინა.
რად არ ჩააგონა. რად არ გამოუჭედა ყურებიო. უაზ-
როა რო დანანებანი ბოლოჟამსა, ახლა ესღაა საკით-
ხავი თუ როგორ ჩაიწერს *მემუარებში* ედუარდ II –
დარგომისში მომატყუესო თუ გამობრუჟულიყო ელ-
ცინი ისე, არ გაეგებოდა თუ რას ამბობდაო. ჭაჭა
მოსწონდა. ჭაჭას აქებდა: მხოლოდ ამისთვისა
ჰღირს სიცოცხლეო. მეც ვუდასტურებდი. დიპლო-
მატიური თვალსაზრისითაცა. ეროვნული სიამაყი-
თაცა. ხელშეკრულება მოსკოვშივე გაემზადებინათ.
ჩვენ იქ ხელი მოვაწერეთო. დარგომისშიო. მოაწერე
და აი აჰაა მოწყალეო ბატონო – ტყვიავს იქითაც
აღარ გიშვებენ. ენგურს იქითაც აღარ გიშვებენ.
თბილისი სავსეა შენივე მიწაწყლიდან დევნილებითა.
გორიც სავსეა. ქუთაისიცა. ბათუმიცა. ზუგდიდი ჰო
სავსეა და სავსეი. შენივე მიწაწყლიდან დევნილები-
თა. შენივე. შენივე. ის დაიღალა დაპირებითა: დაგაბ-
რუნებთო. ედუარდ II-ი. თავიდანა სჯეროდა. ბოლოს
– აღარა. რო ჩამოაგდეს გაეხარდა ეგება კიდევაცა:
აღარ დამაცადესო. თავის მართლება მოუხერხდება.

იმის დრო გასულა. ამისი დრო დამდგარა. დრო ვარ-
დობისა. დროი ვარდებისა. ოღონდ რა დამდგარა –
ერგნეთამდისაც აღარ გიშვებენ. ჯერ მხოლოდ ვარ-
დების კომპანია გაკოტრდა. ეგეც არაფერი. არც უნ-
და გაიკვირვო გაკოტრებანი. საბაზრო ეკონომიკა
რახან დაიდე ცხოვრების წესადა.

ატყდა და ატყდა. ერთისიტყვითა.

ცხინვალი ატყდა.

მოსკოვი ატყდა. რაღა თქმა უნდა. აყავყავდა.
აგანგაშდა: ეს რა ამბავია ჩემს საზღვრებთანო.
ესაო და ჩემი მოქალაქენი რა დღეში ჩაჰყარესო. ჩე-
მი მოქალაქენიო!.. თავისად რო ჩაინერა შიდა ქარ-
თლი ტერიტორიითაცა. მოსახლეობითაცა. ესეც ჰო
დაუთმო ედუარდ II-მა?!. რაღა არ დაუთმო. ანთუ
რაღა არ დაათმობინეს?.. იქით ამერიკა მოიმდურა.
აქეთ რუსეთი მაინც ვერ გააძღო. სახელმწიფო წყო-
ბას უქმნიდა ტერორისტებსა – სოხუმში. ცხინვალში
– თანაც აღიარებდა ტერიტორიულ მთლიანობასა
საქართველოსი. რუსეთი. მოსკოვი. რაღა თქმა უნ-
და. აღიარებდა ენაპირითა დუმაცა. პუტინიცა. ენა-
პირითაო, ხოლო გუნებაში იცინოდა ორივეიო: სო-
ხუმისა. ცხინვალისა. ბათუმის გარეშეო. ბათუმისა-
ცაო. პირველყოვლისა. ფოთი თავისთავად გამოიხ-
რჩობაო. იცინოდა. იღიმოდა. ქირქილებდა. დუმა-
ცაო. პუტინიცაო. ახლა პუტინი ისევა ქირქილებდა.
ჩემს საზღვრებთანაო. დუმა გრგვინავდა: მოქალა-
ქენი ჩვენიო. წაეყვანა ბატონო!.. აბა – მოგართვეს!..
ზატულინი სოხუმსა დაობს: ჩემი მშობლები იქა მარ-
ხიაო. ზატულინი!.. „ჩვენი მეფეები მარხია მოსკოვ-
ში. გვიბოძეთ მოსკოვი ბატონო ზატულინ!..“ უკიჟი-
ნე და უკიჟინე!.. მოგართმევენ!.. ცხინვალშიც ჩამო-

იჭრება იგივე ზატულინი. ჩამოიჭრება და ქირქილებს. ქირქილებს. წაიკნავლესო *ფაგუს* გოგობიჭებმაო. დედები გამოეჭრნენ და ყურთაწით შეითრიეს შინაო. ქირქილებს. ვერ მოგართვეს ან *იაზხოპ* ან *ტაკო* ან *ტაკო*. ვერაო. ვერაო. ბრანწი თქვენაო. გვირაბთან ჯარი მოუყენებია. როქის გვირაბთანა. რაღა თქმა უნდა. ზატულინსა. ზატულინებსა. მოსკოვსა. ცხადია. გამზადებულა გამანადგურებლები ვლადიკავკაზში. სტავრაპოლში. გროზნოში. დაუძრავს აგრეთვე – მოხალისენიო – აფხაზები. ჩერქეზები. ყაბარდოელები. ჩეჩნები. ინგუშები. კაზაკები. კაზაკები და კაზაკებიო. იქ ჩეჩნები 9-ჯერ გალეწა. მოსკოვმა. ისევა ლეწავს. აქაც უნდა სისხლი აღვრევინოს. დაუძრავს. აღუძრავს. გამზადებულა. აბა სცადეთ და ბუზი აუფრინეთ – გიჩვენებთ ფრიალს თქვენი ვარდებისო. იმუქრება. ერთისიტყვითა. ფართო მასშტაბიანი ომით იმუქრება. იმუქრება და იმუქრება. ამითი გაფრთხობს. ამითი გაშინებს. გალზედაც ჰო ამიტომ აიღო ხელი ედუარდ II-მა. ფართო მასშტაბიანი ომის შიშითა. პანკისშიც ამიტომ უკანკალებდა ტანი. მეო – მიხეილმა. თუნდაც პირველმა თუ საქართველოს კვლავაც უწერია მიხეილები. თუ არადა სწორედ მიხეილმა. მიშამა. მიშიკომა: – ედუარდები არ გეგონოთო. არც არავისი არ მეშინიან. არც ფაგუ არ მინდა. არც ცხინვალში არ შემოგიშვებთ. არც ცხინვალს როქისკენ არ გავუშვებო. და დასძრა ჯარი. შინაგანიო. გარს შემოეწყო ქართულ სოფლებსა. ფეხს ვერ შემოადგამს ვერავინა. გზასაც ვერსაით ვერ გაიგნებთო.

ეს ყველაფერი გასაგებია.

მერე გაუჭირდა. ვარაზსა. გაგება გაუჭირდა.

ჯარით შედიხარ იმათ შეთხზულ ავტონომიაში. შეთხზულში. შეთხზულში. შეკონწინებულში. დადგები და დგეხარ. დგეხარ და არ ისვრი. დგეხარ დაბლობში. სიმაღლეები იმას უჭირავს ანუ იმათა – მოქალაქეებსა რუსეთისა. შუაში ჩამდგარან ჩაფხუტიანები. ცისფერები. რუსები ანუ. *დესეთეს* შეთანხმებითა და თანხმობითა *გაეროსი* – არც ისვრი. ვერც ესვრი. იცავ რო საერთაშორისო შეთანხმებებსა. ის არაფერს არ იცავს. ტერორიზმი არც იცავს წესსა. არაფერს არ იცავს. ძალაობს მხოლოდა. რუსის იარაღითა. რუსული წვრთნითა. ვითომ მოხალისეებითა კავკასიური. ჩრდილოური. ტომებისაგანა. ვითომა. ვითომა. რაღა თქმა უნდა. სინამდვილეში არმიითა რუსულითა. საჩეჩნოში რო განამებულა, ცხინვალში უნდა იძიოს შური. სად რა ჩახლართულა. სად რა აბურდულა. სად სიცრუეა. სად ნათაღლითარი. რა ხლართებია. რა ხვანჯები – მიდი და ამოხსენი თუ ბიჭი ხარ. ამოხსნით ამოჰხსნი – რა ხვლანჯია რო არ გამოითართოს – მაგრამ თუ მაინც: ის ზევით არის, შენ ქვევითა?!. სიმაღლეები იმას უჭირავს. მთებზე მოქცეულა. შენ ხევში დგეხარ. თანაც უბრძანებ მებრძოლთა შენთა: არ ესროლოთო. დაიცავით და არ ისროლოთო?.. სხვა რა მოჰყევება დაცვასა ამგვარსა – თუ არა ნგრევა შენი სოფლებისა. დაჭრა-დახოცვაი შენი ხალხისა. ჯარისკაცებისა. მოსახლეობისა. შენისა. შენისა. და იმათ რო დახოცავ, ისიც რო შენია. და იქით რო დაანგრევ, ისიც რო შენია. რუსს რა ენაღვლება?!. რა ენაღვლება ანთუ ტერორისტსა – გააქცევ. წავა. ნანგრევებში შენ აღმოჩნდები. მკვდრები შენი დასამარხია. რა ენაღვლება რუსსა. მტერსა. მოსისხარ მტერსა.

და აღარც აღარაფერია გასაკვირი.
და რახან არ ესვრი
და არც არ უნდა ესროლო
და ნაბრძანები გაქვს:
და უნდა იცავდე
და იდგე და იდგე

და ვეღარ დაიცვა თავი შენი რო – რა გასაკვირია. და ერთ შავბნელ ღამეს... აქ ირონია არ გამოდგება. არა. არა. თორემ იციან. ფარსაგი რამ რო შეემთხვევათ: ერთ მშვენიერ დღესაო. ასე დაიწყებენ. ჰყვებიან მერე. მწარედა ჰყვებიან. მწარი სიცილითა. აქ სიცილი უადგილოა. მწარე სიცილიცა. კრინტის დაძრვაც ძნელია ამაზე. მიჩუმათებაც რო ვერ მოხერხდა?!. მოხდა და!.. მოხდა და იტრაბახე რამდენიც გენებოს დიდგორითა და დავითითა. დავითებითა. ის დავითები სულ სხვანი გახლდნენ. არც გადაეტანათ მშენებლობანი კომუნიზმისა. არც არავის არ დაჰპირებოდნენ რეფორმებსა სახიფათოსა. გლობალიზაციის რეფორმებსა. თაუი თუისი თუითონ ეყუდნოდათ. არც დადიოდნენ სხვათა ჭკუაზედა. ძალღონეც ერჩოდათ საამისოდა. სხვანი იყვნენ და სხვანი გახლდნენ. შენ იტრაბახე რამდენიც გენებოს. მოჰხდა და ის მოჰხდა: 50 ჯარისკაცი რო დაატყვევეს ერთ შავბნელ ღამესა. ვანათში დაატყვევეს. ის თუ გესვრის და შენ თუ არ ესვრი. ტყვიასა. ტყვიასა. რაღა თქმა უნდა. აბა რა გელის?!. სირჩაბანას!.. შემოგძახებენ?!. რაც შეუძახეს ის იყო რო: ცხინვალს წაასხეს. დააჩოქეს შუა ქალაქში. თეატრის მოედანზე და ალოკინეს – მიწაო იტყოდნენ – ასფალტი. ცხადია. და კიდევ უფრო საკვირველი ალბათ ის არის. საკვირველი და საოცარიო. რო დაიბრუნეს

ტყვენი. იგინი. სამართალში მისცეს. თბილისში. უბრძოლველად რად დანებდითო. განაწესია. განაწესი. ფიცია. ფიცი!!!!. ფიცი მიგიცია. უნდა იბრძოლო. და ფიცს თუ გასტეხ – პასუხი აგო!.. მაგრამ თუ მიკრძალავ – ბრძოლას თუ მიკრძალავ – მოლაპარაკებას ვაწარმოებო?!. და აწარმოებ და აწარმოებ და აწარმოებ და აწარმოებ და აწარმოებ და აწარმოებ და აწარმოებ – ბოლო აღარ უჩანს. თავი ჰო აღარა და აღარა. ან რა დასასრულს ელოდები წარმოებისაგან?.. წარმოება ჰო უსასრულოა?.. ფქვი და ფქვი. ლაპარაკი ფქვი!.. წყალი ნაყე. ნაყე. ისევ წყალიაო. იდავითე რამდენიც გენებოს. იმირიანე. ივახტანგე. იკახაბერე რამდენიც გენებოს. იგიორგე რამდენიც გენებოს. გიორგები ჰო ბლომადა გყავდნენ – იყო გიორგი ბრწყინვალეცა. ზაქიჭამია გიორგიც იყო. ღმერთმა გაშოროს ჟამი იგი ზაქიჭამია გიორგობას რაც რო გეწია. ღმერთმა გაშოროს!.. მაინც იდავითო – ის უკეთესია. იდავითე თუ იდავითებ. ლომაიას რეფორმებითა. კობახიძის რეფორმებითა. ჩარკვიანის სიმღერებითა. მეფე ჩარკვიანისა. ქათამაძის დედოფლობითა. იდავითე. იდავითე ბატონო!.. ბევრი იდავითა ჰო ედუარდ I-მა. ედუარდ II-მაც ბევრი იდავითა. მაგრამ იდავითა?!. რა იდავითა?.. ვერა. ვერ იქმ დავითობას, თუმც მის ადგილს სულ ელიო. აკაკია?!.

თუმცა ეს იმდენი არაფერიო. ვარაზისათვისა. დავითები თუ მოდავითენიო.

შესძრა იმ ღამემა. შავბნელმა ღამემა.

უცებ. ერთბაშად ცხრომ დაუარა.

შესძრა ერთბაშადა თავით ფეხამდისა.

შეაკანკალა ერთი მძლავრადა

და აღარ ახსოვს მერე არაფერი. აღარაფერი. ჩაიკარგა. გადაიკარგა. ასე დაიკარგა შეჯახების მერეცა. გონს რო მოეგო როდის თუ რა დროსა – ასევე მოეგო: ოფლში სცურავდა. სდიოდა ღვარადა. სწმენდდენ და ვერცა სწმენდდნენ. სდიოდა და სდიოდა. ახლა მომწმენდი არცვინ არ გახლდა. ეგრევე ეგდო ხალიჩაზედა. ფეხსაცმელიან-ტანსაცმელიანადა. კარიცა ბრახუნობდა თუ იგლიჯებოდა თუ რამ უბედურება სხვაც დასტყდომოდა. მიწა თუ იძრა. შენობა თუ ინგრეოდა. ეგრევე წამოდგა. ოფლღვარიანი. წამოდგაო რა სათქმელია – ადგა როგორღაცა. წამოიზუზა. ვერც რო აღიმართა. წელში მოხრილი მიფარფატდა. კარამდის მიაწია. ლამის რო დაეცა ერთიორჯერა. ლამის იატაკს დაანაყა ცხვირპირი. მაინც იხერხა. სძლია თავსა. კარი გააღო. და გააღო რო: თავზე მისაზე. ვარაზისა. რაღა თქმა უნდა. აღიმართა ძალაყინები. ნაჯახები. ურო-ები. ეგება რო იმდენიც არა. ბევრი ესეიგი. ბევრად ეჩვენა მილეულ თვალთა: და მიეყუდა გაღებულ კარსა. ვარაზი. ცხადია. ჩაცურდა ნელა და მოწყვეტით დაასკდა დირესა. ქალებმა შეიცხადეს. კაცები გაშრნენ. სოფიომ ითავა შეცხადებაცა. გონსმოსვლაცა. მიპატრონებაცა. გაწმინდეს. გამოაშრეს. ვარაზი. ცხადია. შეფუთნეს იქავე. დირეზე. ღია კარშივე. ფრთხილად მიიყვანეს საწოლამდისა. ხელთ არ ჩაგვეფშხვნასო. ძვლებიღა გახლდა. ძვლები და კანი. მიიყვანეს და ჩააწვინეს. გადააფარეს მხოლოდღა ზეწარი. ოფლი აღარ მოეკიდოსო. სოფიომ იცოდა. რაც დამართოდა. ვარაზსა. ცხადია. სოფიომ იცოდა. როგორც რო მოევლო. როგორც რო იხსნა იმის წინათა. შეესწრო და იხსნა. ხელიდან დაეწყო

გაცივებაი. ხელი მიიხუტა. ხელი ჩაიკრა ძუძუებშია. დადინდა ოფლი. აევსო უბეი ოფლით იმისითა. მამაკაცის ოფლითა. სხვა მამაკაცისა. არა რო ამბროსისა. და რო მანამდის არც რა ახსოვდა. გარდა ზრუნვისა. ზრუნვა წაერთვა უეცრადა. აიხედა და შეეფეთა თვალებსა ქმრისა. რაღაც საოცრად ამღვრეულ თვალებსა. ეჭვითაო თუ შიშითაო. გადარეულ თვალებსა. სოფიომ ეჭვი ამოიკითხა. არათუ ეჭვი – უკვე მხილება ამოიკითხა – აი სახალხოთ დამიძახებს რაღაც ისეთსა, ბარემ აქვე რო გამანადგუროსო. და მოსწყდა მაშინვე. იქაობას მოსწყდა. შინ შევარდა და კარი ჩაიკეტა.

ამბროსის იმისთვის აღარ ეცალა.

ხმაურზე. ჯახაჯუხზე. ყვირილზე. გადაძახილზე –

კარებს რო ამტვრევდნენ.

ხალხი რო შემოკრბა –

იღონა ყველამ რაც რო შეეძლო:

ვინ სასწრაფო გამოიძახა.

ვინ სახანძრო რაზმი. ვინ რო ძალაყინი მიარბენინა. ვინთუ ურროო. ვინთუ ხერხიო. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლდა: სახანძრო რაზმები. სასწრაფოს მანქანები. დიახ რო მანქანები. ბევრს დაერეკა. ბევრგან დაერეკა. და საოცარია: ყველას გაეგონა. ვერავის ვერაფერს რო ვერ გააგებინებდი, ის დრო რო იყო. ჟამი იმდაგვარი. ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისაო – თუ რამე ითქმის ამის მიხედვითა – ასე თუ ითქმის: ჟამი სამთავრობო რეკეტისა და ჟამი სიყრუისა. რაც თუ რა ითქმის: იქ მაინც ხალხმა მოიყარა თავი. უამრავმა ხალხმა. ეს იმდენიც არ გახლდა – ნოემბრის დღეებში რო ავსებდა პარლამენტისა, კანცელარიისა და მერიის მოედნებსა. მოედანიც აღარ იყო

იმხელაი შეფერდებაზე სოლოლაკისა. მაგრამა ხალხი!.. აღარ ეხილა ამდენი ერთადა. განახლებულ აქციებზედა. ამბროსისა. აღარ ეხილა და არც გაიშვებოდა ასე უამბოდა. არა. არა. არ გაიშვებოდა. და ამბროსი დაპრონიალდა. დატრიალდა. აქოთქოთდა. აიშალა. მეგაფონიო. მოითხოვა. სახანძრო მანქანაზედაც აიბობღა წინასწარა. ვიდრე მეგაფონს მომიბოძებენო. მაგრამ საქმე რო ვერ აეწყო?!. აქ მეხანძრეებმა არ აუშვეს. ამბროსი. თავაანთ მანქანაზე. არც სასწრაფოზე არ აუშვეს. არც რო იქიდან არ ეუწყა რაიმ სანუგეშო. ღიპიანი პოლიციელისაგანა. მეგაფონს იმისგან თხოულობდა ამბროსი. იმისთვის *ედეპეს* ეთხოვებინა. ხოლო იმასა – ღიპიც დავარდნოდა. სამსახურიც ეშოვნა არასაუწყებო დაცვის ხაზითა. დაებრუნებინა მეგაფონიცა *ედეპესათვისა. ედეპესგან* ეთხოვა კონსტანტინე მცირესა. ის შვეიცარიას გაბრუნებულიყო. დაებარებინა: მალე ჩამოვალო. მალე – მალეც გახლდა და დიდხანსაც მოიცავდა. აქ დრო ვერაფრით ვერ იზომებოდა. დამოკიდებულიყო გარემოებაზე. ვითარებაზე. აქაურზე. იქაურზე. პიროვნების ხასიათზეცა. პიროვნებისა და პიროვნებებისა. ხოლო ესა. ამბროსი. ის პიროვნება გახლდა – გადადება რო არ უყვარდა. არც არაფრისაი. მითუფრო – აქციისა. და გარემოებაც მეტი რა უნდოდა. ვითარებაც მეტი რაღაო. მეგაფონიღა აბრკოლებდა. მანქანაზეც რო არ აუშვეს!.. არაო და ნუუო. აყვირდა ისე: უსიმაღლოდა. უგამაძლიერებოდა. აყვირდა და ჩაეხრინწა ყელი. უნდოდა ეჭექა და ჩაეხრინწა. ჩაუწყდა თითქმისა. ხელებსღა იქნევდა. რა დამემართაო. თვითონვე მოითხოვდა შველასა. ჩასვეს სასწრაფოში. ჩასვეს და გააქანეს.

საავადმყოფოში მანანამ მიაკითხა. არჩვაძემა. რაღა თქმა უნდა. ღმერთი მაგათ ჩაუწყვეტს ხმასა. შენ დაგიბრუნებსო. ანუგეშა მანანამა.

სოფიო თავთით უჯდა. ამბროსისა. რაღა თქმა უნდა. ხმა მოსვლოდა. ამბროსისა. სმენაც მოსვლოდა. სმენაც დაებურა. ხმა რო ჩაეხრინწა.

ბოდიშობდა. მანანაი. თქვენი აქციაც დროზე გვეუწყა. მაგრამ მივაშურეთ ჯერ სამინისტროსაო. სამების ტაძარიც შეუტანია გასაყიდთა სიაში. ბენდუქიძესა. ჯერ იმას დავესხით თავსაო. იმანაო. ბენდუქიძემაო. არც აცივა და არც აცხელაო: ჩემგან რას გაიტანთო ან რა *იმას* მომჭამთო. თუ *ისა* გაქვთ – პრეზიდენტს მიანგრიეთ კარი და ბანიო. *რას* და *ის* ყურში ჩასჩურჩულა სოფიოსა. „რა უნდა ელაპარაკო!!!. ქუჩის ბიჭია და მინისტრად დაუსვამთ. დაუჯენიათ – აჯობებდა მაგისთვისა. სხვებისთვისაც...“ ვინ არიან. ვინ მიყრიანო. „შენც დაგაღალატეთ. იქაც დაგვამცირეს ასე ამგვარადა. დაგვამცირეს!!!..“

„თქვენ არა ქალბატონო მანანა. თქვენ არა!.. თავის თავს იმცირებს ეგ ვაჟბატონი.“ ამბროსიმა. „ეგეცა და დანარჩენებიცა...“

„თავს იმცირებენ თუ ჩვენ გვამცირებენ, ვითომ სულერთი არ არის განა?!. საქართველო ფეხქვეშ გვეცლება ჩვენცა. იმათაცა...“

„მაგას არ დავუშვებთ!!!..“ ამბროსიმა. იჭექა ისე. იქ რო იჭექა, რაღა მეგაფონი უნდოდა.

XIV

არ გაჰყვა. ვარაზი. არცერთ სასნრაფოსა.

საავადმყოფოშიო. ეწეოდნენ. გამოგიკვლევენ. უახლესი აპარატურითაო. გიმკურნალებენ უწარმატებულესი მეთოდებითაო. ამერიკულითაო. ევროპულითაო. ის ჰო აღარ არის ჩვენი საავადმყოფოები. საბჭოური რო გეხსომებაო. განახლებული კლინიკებია. დასავლური. ექიმებიც იქ განსწავლულნიო.

არ აჰყვა. ვარაზი. არ აჰყვა. არ გაჰყვა. გამოშუშდა. გამოკეთდა. სჯეროდა. გამოკეთდა. ოფლმა გამოსწოვა მთელი შხამი. მთელი ბალღამი. გამოჯლუხნა. გამოიტანა. გამოაშრო. მორჩა. აღარ დაემართებოდა აღარაფერი. აღარაფერი. აღარაფერი. გაჰხდა. ეგ არაფერი. გახდა. ისევ მოიკეთებდა. არა და – ჯანდაბას!.. ეყო მეთოდები. აპარატები. წამლები უამრავი. ნაირნაირი. გაფრთხილებაც ეყო: არ ენდოთ ფალსიფიცირებულ მედიკამენტებსაო. ეყო ყველაფერი. ეყო. მობეზრდა. ეყო ხელოვნური. ბუნებამ თვითონ იცის საგანი თავისი. სხეულის ბუნებამა. საკუთარმა. რაღა თქმა უნდა. შვებაც თვითონ იცის და აღსასრულის სიახლოვეცა. აქ იყო. აგერ იყო აღსასრული იგი – მოეშვა. დაახანა. გაიტაცა და გადაჰკარგა. მოაბრუნა და დაახანა. რამდენხანს იყო გადაკარგული – არ უკითხავს არც ესა. ვარაზსა. ის მაინც გაიგო: ისევ ესვროდნენ. ისინი ესვროდნენ. ესენი იდგნენ. ჩვენი მოთმინება უსაზღვროა. ჩვენ კვლავ სამშვიდობო მოლაპარაკებას ვარჩევთო. *გაერომ* გაიგონოს. *ნატომ* გაიგოს. ისმინოს კავშირმა

ევროპისაო. რუსეთმაც როგორმე შეუშვას ყურებ-შიო. ესმოდათ კიდევაცა. გაეგებოდათ კიდევაცა. შეშფოთებულიყვნენ კიდევაცა. სხვა არაფერი არ იცვლებოდა. არა. როგორ არა – დაეხოცათ ჯარის-კაცები. მშვიდობიანი მოსახლენიცა. დაეცხრილათ სახლკარიცა. საქონელიცა. ამათი. იმათა. ესენი ჰო მოუწოდებდნენ: მრგვალ მაგიდას შემოვუსხდეთო. ჰოდა ეგეც თქვენი მრგვალი მაგიდაო. მიასვენებ-დნენ მიცვალებულებსა. იდგნენ და იდგნენ. ხალხი მეტს ითვლიდა მიცვალებულსა. დანგრეულსაც მეტ-სა და მეტსა. მინისტრებიო თუ საგანგებონიო უარ-ჰყოფდნენ: მაგდენი არ არისო. მთლიანადაც ვერ უარჰყოფდნენ. ატირდნენ გურიაში. კახეთში ატირ-დნენ. ქართლში ჰო ქართლი – ცეცხლში გახვეული-ყო. შიდა ქართლი გახვეულიყო ცეცხლში. შიდა. ში-და. გული ქართლისა. რის ოსეთიო. რა ოსეთიო. რა ალანიაო. აქ რა უნდა ალანიასა – ვინ მოიგონა. რა ჭკუაში ამოისახა?!!!!..

„ასე არ იქნება...“ ვარაზმა. ძალღონე რო იგ-რძნო. გული მოიცა.

„არავითარ შემთხვევაში. არა!..“ ამბროსიმა. გამ-წყრალმა უფრო.

„ეს რა ტაქტიკაა?!.“ ვარაზმა. ტაქტიკაა თუ სტრატეგიაო. რაო. რას ამბობენო.

„ვინ რასა და ვინ რასა!..“

უბედურებაც სწორედ ეგ არისო. ვარაზმა. ერთი აზრი რო არ არსებობსო. ერთი აზრი მხოლოდ ღმერ-თსა აქვს. იმასაც დავშორდით. ისე დავშორდით, არაფერი რო აღარ გვესმის იმისი და აღარც იმას აღარ ესმის ჩვენი არაფერი. მე ასე მგონიაო. ახლოსა ყოფილა ღმერთი ადამიანებთანა ბიბლიის დროში.

ახლოსაცა ყოფილა და უმოძღვრებდა კიდევაცა. ნიადაგ უმოძღვრებდა: როგორ მოქცეულიყვნენ. უმოძღვრებდა. უჩიჩინებდა. ვერ შეაგნებინა მაინც ვერაფერი. დახშულა გონებაი ადამიანისა. არც აიხსნება არასოდესა. არ მოიყვანოთ ფილისტიმელთა ქალი ცოლადა. არც მოაბელთა. არც ამორელთაო. ხარჭადაც არ აიყვანოთო – ეს რაღა არის, ესეც რო ვერ შეაგნებინა ღმერთმა თავის ხალხსა. ახლოს რო იყო. მაშინაცა. ბიბლიის დროშიო. ცოლიც მაინც იქიდან მოჰყავდათ. ხარჭაც იქაური რო ერჩივნათ!.. ისჯებოდნენ. სჯიდა რო ღმერთი ამისთვისაცა. მაინც ის ერჩივნათ. იქაური ერჩივნათ. ღმერთის ბოძებულ სიკეთეს ერჩივნათ. რა შეიცვალა იმის აქეთაო. არც არაფერიო. და არც ელაპარაკებოდა ვარაზი ამდენსა. ამბროსისა. არც თავის განზრახვას არ გაუმხელდა. ამბროსიმ ჰო ისიც არ იცოდა: იარაღი რო გადაემალა. ვარაზსა. გამსახურდიას დღეების მერე. გაქცევის დღეებისა. ავტომატი სამი გააჩნდათ. თვითონ ორნი იყვნენ. მაინც არ უთქვამთ ამბროსისათვისა. არც არავისთვის არ გაუმხელიათ. იყოს. თუ ვინმე შემოგვესწროო. ეს იმანა თქვა. *იმანა*. ავტომატებიც *იმან* მოიტანა. ხელყუმბარებიცა. ჩვენც აუვალთო. არც შესწრებია. არავინ არ შესწრებია. ამბროსიც არა. ასვლითაც აუვიდნენ. არც რო დიდი ჯაფა არ დასდგომიათ, არც ცოდვა არავისი არ დასდებიათ. დასაფრთხობი დააფრთხეს. ადვილად დააფრთხეს. არც რო არავინ არ შემოჰკვდომიათ. სისხლის კვალიც არ დარჩენილა. ვიწრო ქუჩაბანდში. ვითომ ვინმეს რო ტყვია მოჰხვედროდეს. დააფრთხეს და მორჩა. მეტი არაფერიც არ განეზრახათ.

ადამია დააფრთხეს.

ზურგში მოექცეოდნენ ამ ვიწრობიდანა. აჯანყებულნი. სასახლესა. იცოდა საძრომები ადამიამა. საძრომები სოლოლაკისა. კიტოვანმაც იცოდა. მაგრამ იცოდა ისიცა აგრეთვე: ზურგში არ უნდა ჩასცე მახვილი შენს მეგობარსაო. პირდაპირ მიდიოდა. ჯიქურ მიდიოდა. რკალად უტევდა. უკან მთაწმინდა გადაღობილიყო. გამოემწყვდიათ ხაფანგშია პრეზიდენტი. პირველი პრეზიდენტი. ეგეც შენაო და ეგეც შენი პრეზიდენტობაო. შენი პირველობაცაო. შენი მკვდარიცაო და შენი ცოცხალიცაო. გინებასაც რო არ მოაკლებდნენ. არც ტყვიასა. არც გინებასა. კიტოვანიც არა. სიგუაც არაო. ჯაბას უკვირდა: დამიხედეთ ერთი ამ ვირიშვილ ინტელიგენტუნებსა. ასეთი გინება ქურდებშიც არ გამიგონიაო. სხვა რა საქმე ჰქონდათ – თვითონ ქაშუეთს ამოჰფარებოდნენ. სასახლეს რუსის ჯარი უტევდა. იმათაც ჰო საქმე უნდოდათ და საქმობდნენ, რაც რო შეეძლოთ. აგინებდნენ ჰო პრეზიდენტსა. აგინებდნენ რუსის ჯარსაცა: აქამდის როგორ ვერ აიღესო. სასახლეიო. რაღა თქმა უნდა. ეჩქარებოდათ. ეჩქარებოდათ. სავარძელი პრეზიდენტისა. სამნივე უნდა დასკუპებულიყო. სამნივეი. სამი – ერთადა. ადამია უფრო ჩქარობდა. ზურგიდან რო ჩაეცა მახვილი – იმისთვისაცა. ამათთვისაცა. მეოთხის ადგილი აღარ იყო ტრიუმვირატში. კვარტეტზე უარი ცივად განაცხადეს: გადატრიალებამ კვარტეტი არ იცის. ტრიუმვირატი ეუფლება ხელისუფლებასო. ჩაიხედე ისტორიაშიო. არც რო თვითონ არ ჩაეხედათ ისტორიაში. რაღა თქმა უნდა. გაეგონათ ჰო!.. პოლიტიკოსობდნენ განაგონითა. არც ადამიას არ ეცალა ჩასახედათა. ან რაღა დროსაო – ტახტი მისწრებაზე იყო. და მიუს-

წრებდა იმა ვიწრობითა. მიუსწრებდა. დაასწრებდა. დაეუფლებოდა. ვითომაო თუ მართლაცაო. ეს ალბათ რო გამოსარკვევია. ესენი მაინც გადაეღობნენ ზრახვათა მისთა. ადამიასი. თუ ჰქონდა მართლაცა ზრახვანი ესეგვარნი ან აღსრულება თუკი ეწერა. ესენი მაინც გადაეღობნენ. არც იცოდნენ თუ ვის გადაეღობნენ. რას გადაეღობნენ. ვითარ შესცვალეს მიმართულებანი ისტორიისა. დასცხეს და დასცხეს. ცეცხლი დაანთეს ვიწრო ჩიხშია. – ეზოეზო საძრომიცა ჰქონდა. – ჩიხი ჰო ვიწროა ისედაცა. რაღა დამატება უნდა?!. წამომეტიჩრდა და იყოს. იყოს. იკარგება სიტყვები. განახევრდა ლექსიკონი ჩიქობავასიცა. საბასი ჰო აღარც შემორჩა. ცეცხლი დაანთეს ერთისიტყვითა. ძლივას გაასწრო ადამიამა. გადაარჩინა ის თავისი ბეტეერიცა. ჯავამდის იარა რომლითაც როო. ჯუღელი ხარო. შეაქო ხელქვევითმა. ვინ მიგდია ის შენი ჯუღელიო. ადამიამა. და იქ რო ლიახვს დააღწია თავი. აქ რო კინაღამ წვეთმა დააღრჩო. წვეთმა ჩიხისა. გადარჩა და გადაარჩინა ბეტეერი. მერე ჰო ეზოში დაიყენა იმავე დღეებში. თავის ეზოში. რუსთაველის მეტროს თავზედა. ვერა ჰო შეჰკრა. უთვალთვალებდა ვიწრობებსაცა მთაწმინდისაო. დასავლეთისკენა. ჩიტიც ვერ გააღწევდა. ჭიანჭველაც ვერაო. ეს ტრიუმვირატი კიდევ ჰოო – გამსახურდიამა – ეს რუსის ჯარიც ჰოო და ჰოოო. ეგ ადამია ვიღა გამიხდაო. ვითომ არ მიცნობო. ითაკილა ადამიამაო. იქ არ დადიოდი. კოსტავასთანა. მეც იქ არ გავიზარდე. იქ არ დავიბადეო. ბეტეერში დაიბადეო. იხუმრა მაშინ გამსახურდიამა. მწარედ იხუმრაო. რა ეხუმრებოდა. სასახლე იწვოდა. ინგრევოდა. თავს გადასდიოდა ნანგრევები სატელევიზიო ჯი-

ხურსა. და ჩაჰყვიროდა მიკროფონსა პეტრიაშვილი: ირინეეეე!.. ირინეეეეე!.. *ირინა* არა ხარ. *ირინე* ხარო. ან იმას რაღა ეირინეებოდა. პეტრიაშვილსა. ქვეყანა ინგრეოდა. სასახლე ინგრეოდა. მთავრობისაი. ყველა კვნესოდა თავისებურადა. იქ იდგა მაშინ ირინა-ქალბატონი. მგრეველთა შორისა. მერე ჰო თვითონაც მოჰყვა ნგრევაში. ანუ ახლაო. ახლახანსაო. მიკუნჭულიყო ოთახის კუთხეში. რა გმირი ქალი!.. რა გასაცოდავებული!.. ფანჯრებსა ვწმენდდი. ტყვია მესროლესო. ტყვია წიოდა თითქოს ისევაო. ილეწებოდა ფანჯრებიცა თითქოსაო. ხოლო ხმაი პეტრიაშვილისა ხაოდა ისევე იმავე ნგრევაში: „ირინეეეე!.. ირინეეეეეეე!.. მოგელანდები... გურამ... გურამ... გაიგონეთ... ყველას... ყველას მოგელანდებით..." და ელანდებოდა. დაიფიცონ თუ არ ელანდებათ. ყანები ელანდებათ მზესუმზირისა. ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდე. ქათქათა მზეი. ფერად ისეთივე. როგორც რო ყვავილი მზესუმზირისა. ყანაში ის მოდის. მოაბოტებს. პეტრიაშვილი. მზესუმზირის ყვავილის ფერადა: თმაწვერულვაშსამოსიანადა. მოდის. მოაბოტებს. მზეს შესცქერის. მოედანზე კარვები დაუდგამთ. მზესუმზირისა. კარვებიდან ხალხი გამოდის. იმავეფერადა. მზესუმზირისა. და ბღავის ხალხი. ბღავის და ბღავის. და იფრქვევა სიტყვები იმავეფრადა. მზესუმზირისფრადა. მზე მიდის. მიდის. მისდევს ყანები თავაღერილი. მზესუმზირისა. ამოსვლისას დაჰხვდება. ჩასვლისას ჩააცილებს. და ჰღელავს ყანები მზესუმზირისა. დაღამებიდან გათენებამდე. ჩქროლავს. კანკალებს. საით წაიღოს თავი აღარ იცის. ამოვა თუ არა მზეი კიდევაო. ანთუ ამოვა: ან საიდანა ან როგორაო. ჰღელავს. კანკალებს.

ზურგიც შეუკრეს და გზაც გაუწალდეს იმავე ვიწრობითა. *ამათა. იმასა.* გამსახურდიასა. ეს რო აქეთ ელოდა. ადამიაი. ვერის ჩიხებიდან გაიპარებაო. დასავლეთს ეტრფის და დასავლეთით წავაო. იმან სოლოლაკის ჩიხები ირჩია. გამსახურდიამა. რაღა თქმა უნდა. იქიდან გავიდა აბანოთუბანში. დაადგა მერე ერევნის გზასა. ზურგი გაუმაგრეს ისევ ამათვე: *იმანა* და *ვარაზმა*. ის გააცილეს და შეჰკრეს ვიწრობი. დაანთეს ცეცხლი ისევ ისეთი – ბეტეერმა რო ძლივს გაასწრო. ადამიასი. დაედევნენ ჰო ისინი იქითა. კიტოვანებიო თუ ტრიუმვირებიო თუ რაც თუ დაერქმევათ. დასავლეთითა. ზუგდიდის ბატალიონს აფარებს თავსაო. ასე ეგონათ. აღაიანში დასცეს ალყაი. ჩაცხრილეს ყველანი ერთიანადა. გამსახურდია იმათში ვერ იპოვნეს და: ე ბიჭო!.. ერევანს გაგვასწრებდაო. სდიეს და დაეწივნენ...

აქ ეს ამბავი ზედმეტი უნდა იყოს.

ითქვას მაინცა.

დიახ. დიახ. ითქვას მაინცა.

თუნდაც იმიტომა: ნიშნი რო მომიგონ მწერალთა კავშირის თეორეტიკოსებმა: აი ჰო ჰხედავო. ჩვენ ჰო თავის დროზე გიკიჟინებდით რო – არ შეიძლება რომანის დაწერა თანამედროვეობაზე. ხანი უნდა გამოჰხდეს. მასალები დაგროვდეს. აზრი დაუნჯდეს. გირჩევდით და გიკიჟინებდით – რა გეჩქარებოდა ეგ „არტისტული გადატრიალებაო“. აი ჰო ჰხედავო. იქ ჰო სხვაგვარად გაგვაცანი ლტოლვაი პირველი პრეზიდენტისა. აქ ახლა სხვაგვარად გვიყვებიო. აი ჰო ჰხედავო. ვხედავ რო მართლაცა. ეს მერე გავიგე. რომანი უკვე გამოქვეყნებულიყო. გავიგე მეორე გამოცემამდისა. იქ მაინც აღარ ჩამისწორებია. ის ისე

ითქვა. ეს ასე ითქმის – ახლა რო ვიტყვი. ითქმის კიდევ სხვაგვარადაცა. ამითი ისტორია არ შეიცვლება. რომანი სიმართლეა, მაგრამ ისტორია მაინც არ არის. რომანი ისტორიული სიმართლეა და სიმართლეც ის არის – საჩეჩნოს რო შეაფარა თავი დევნილმა პრეზიდენტმა. დევნილმა. ლტოლვილმა. გაძევებულმა სამშობლოდანა. საჩეჩნოსა. საჩეჩნოსა. საჩეჩნოს შეაფარა თავი. თვით ისიც რო განწირულიყო. იგივე რისხვა რო დასტრიალებდა. დასტრიალებდა და არც დაახანა. თუმცა ჯერ ისა თუ როგორ ჩააღწია – ნიშნიმომიგონ რო თეორეტიკოსებმა. სასაცილო თეორეტიკოსებმა. ვითომ ყრილობებიც რო ჰქონდათ და ვითომ იდეებიც რო მოეპოვებოდათ და გეზსაც უსახავდნენ ვითომ მწერლობასა. მეც ჰო დამისახეს!.. მაინც – თუ როგორ ჩააღწიაო. შევიდნენ ესენიცა ერევანშია – დევნილი პრეზიდენტი დევნილი ამალითა და ორი თვითმფრინავიც დაფრინდა აეროდრომზე. ერევნისაო. სამოქალაქო აეროდრომზე. ერთი გროზნოდანა. მეორე მოსკოვიდანა. ორი გამანადგურებელიც დაჯდა სამხედრო აეროდრომზე. სამხედრო ნაწილში რუსეთისა. სომხებმა უარი განუცხადეს. გამსახურდიასა. პოლიტიკურ თავშესაფარზე. შეჰპირდნენ და უარი სტკიცეს. შეჰპირდნენ. მაშ რაო – ისე აქეთ რა მოარბენინებდა. რუსებმა შესთავაზეს: მოსკოვს წამობრძანდიო. ჩეჩნებმა – გროზნოსაო. სომხებმა რუსების მხარე დაიჭირეს. იარაღზე იტაცეს ხელი ქართველებმა. ჩვენ აქ გავწყდებით ამ ჩვენი პრეზიდენტიანადაო. რუსები წავლენ. ჩვენ ისევ შევრჩებით პირისპირა. ჩვენიანებიო. რაღა თქმა უნდა. და მერე რას აპირობთ. რა ღირსებას უტოვებთ შთამომავლებსაო. სომხები შედრკნენ.

რუსებმა იეშმაკეს: სოხუმს ჩავიდეთ. იქ ელცინის დელეგაცია დაგვხვდება. მოლაპარაკება სურთ. მოილაპარაკეთო. კეთილიო. ქართველებმა. კეთილიო და გაიხარეს რუსებმა: ა ბატონო ჩვენი თვითმფრინავიო. არაო. ამითი გამოგყვებითო. ჩეჩნებისაო. რაღა თქმა უნდა. კეთილიო. არ ახირდნენ რუსები არც ამაზე. კეთილიო და აფრინდნენ. აფრინდა ორი გამანადგურებელიცა. ქართველებმა შეცვალეს მფრინავი. თავაანთი დასვეს საჭესთანა. ღამე იყო ბნელი. ბნელი. ღრუბლიანი. დამძიმებული სქელი ღრუბლებითა. ეს დედამიწაზე. ქვევითა. ქვევითა. ზევით თავისასა მოქმედებდა მთვარეი და ვარსკვლავებიო. თვითმფრინავები თავისასა. მიფრინავდნენ. რაღა თქმა უნდა. ჩრდილები მისცურავდა ღრუბელთა ზედა. – მისცურავდა თუ მიფარფატებდა. რა თუ განეზრახა გამანადგურებლებსა ან მთვარემ რა იცოდა ან ვარსკვლავებმა. აქაც არ იცოდნენ თვითმფრინავში დევნილებისა. მხოლოდ ეს იცოდნენ: უნდა გადავრჩეთო. ხოლო თუ როგორაო, ბედს უნდა მინდობოდნენ. ბედსაო და მოხერხებასა. გამჭრიახობასა და მოხერხებასა. მფრინავისა. რაღა თქმა უნდა. ამიტომაც შესცვალეს. გატვრენილიყვნენ ამიტომაცა. ვითომც არცთუ გაეგებოდათ: რატომ აღმოჩნდნენ ისევ ბნელშია. რად ირხეოდა თვითმფრინავი საბედისწეროდა. არც გაეგებოდათ და არც არად აგდებდნენ თუ დაიწვოდნენ ღრუბელთა შორისა. ღრუბლების ხანძარში თუ დაიფერფლებოდნენ. არც არად აგდებდნენ. არც სიცოცხლე აღარად უღირდათ, რახან რო დაჰკარგეს, რაც რო მოიპოვეს. დაჰკარგეს და ვეღარც ეღირსებოდნენ ხელმეორედა. მაშ სიცოცხლე რაღად უღირდათ!.. უღირდათ თუ არა –

გაძვრნენ შრეებში სქელი ღრუბლებისა. გაძვრნენ კაშკაშში ვარსკვლავებისა. სადღაც ამოძვრა ორი აფთარიცა. გამანადგურებლები. ეს ისევ ჩავარდა მრუმე ღრუბლებში. კუნაპეტ ღრუბლებში. ისევ გაიბლანდა შრეებში იმა საბედისწეროში. და მერე თვალი რო გაახილეს. მერე. მერე. წუთი რო საუკუნეს უდრიდა. მერე, იმის მერე. ვარსკვლავები აღარა. მთვარეც აღარა. შუქურები ანათებდა გროზნოს აეროდრომისა.

ცოტა სხვაგვარადაცა ჰყვებიან.

უფრო სხვაგვარადაცა. ცოტა უფრო ითქმის მხოლოდ დევნის მიხედვითა. დევნისა და გადარჩენისა. იმჯერად მაინცა. ხოლო აშკარა ის არის. ცხადია. ერევანმა რო უთხრა უარი. გამსახურდიასა. მოსკოვის შიშითა. გროზნომ რო მიიღო. აიყარა რო შიში მოსკოვისა. გზაც ეს არის. ისტორიული სიმართლეცა. რომანიც ეს გახლავს. სხვა დანარჩენი ეძიონ სხვებმა. ჩაეძიონ სინვრიმალეში. იდავონ. იკამათონ. არცრა დაუჯერონ ერთიმეორესა. დისერტაციები დაიცვან. დაიცვან. დაიცვან.

ახლაც არა სჯერათ.

მერე რა იქნება.

ახლავეც არა სჯერა. მანანასა. გუგუშვილისა.

ის ჰო იქ იყო. იმასთან ერთად გაიარა გორგალი იგი ბედისწერისა. გორგალი იგი ხლართი იგი გამოუხსნელი. მხოლოდ სიკვდილი რო გამოიხსნიდა. სხვა გზა აღარ იყო. დამთავრებულიყო სიცოცხლეი იგი. ბედისნერა დამთავრებულიყო. დამთავრებულიყო. უნდა აღსრულებულიყო. და აღესრულა. მანანას არა სჯერა. გუგუშვილი გადაკარგულა. ფინეთში. თბილისში ვერ დაბრუნებულა. ეს ახლავეო. მერე რა იქ-

ნება?.. შეიმოსება რომანტიკული სახეებითა?.. თუ გადაჰყლაპავს გლობალიზმი ერთიანადა: ფარნავაზიან – არშაკუნიანებიდან მოკიდებული აგერ აწინდელ ეპიზოდურ დინასტიებთან ერთადა?.. იკითხე. იკითხე. და დაელოდე. სასოწარკვეთას ნუ მიეცემი. არა. რა თქმა უნდა. განა სხვა რა არის ისტორიაი საქართველოსი – თუ არა ბრძოლაი გლობალიზაციის წინააღმდეგა?.. ოღონდ არ დაჰყვე. ოღონდ არ გადაჰყვე...

ხოლო ამათ რაც შეეხება: იმ *იმასა* და ვარაზსა ცხადია. შეასრულეს. რაც რო შეეხოთ. ჩახერგეს ვიწრობი. მდევარი დააბრკოლეს. მხოლოდ დააბრკოლეს. მიაწყვეს იარაღი. სხვენი ჩაკეტეს. ჩავიდნენ ბინაში. ჩაი აადულეს. ფუნჯი გაიკეთეს და მიუსხდნენ პატარა მაგიდასა. თავაანთ მაგიდასა. ორი სავარძელი რო ედგა აქეთიქიდანა.

ესეც ასეო. ამოიკვნესა ჯერ *იმანა*. მერე ამანაცა. ვარაზმა. და მოსვეს ჩაი. ოდნავა. ფრთხილადა. აეწვათ ტუჩები. დუღდა თითქოსა ჩაი ფინჯნებშიცა. დუღდა თუ რაც იყო – შეაგრილეს კონიაკითა. ესეც ფუნჯიო. მაშინღა მოაფიქრდათ. მოაფიქრდათ. ჩაისხეს. და წარმოსთქვეს კიდევაცა. ერთად წარმოსთქვეს. დანარჩენი *იმან* მოადევნა. „ესეც 21. 70 წელიწადია 21-სა და 91-ს შორისა. კომუნისტობას გავუძელით 70 წელიწადი. დამოუკიდებლობას ველარ გავუძელით ერთი წელიცა. შევტრფოდით. ვესწრაფოდით. და ველარ გავუძელით. უცნაური არ არის?!. არ გიკვირს?!." დაეცადა. რას იტყვისო. ვარაზი. არ მიკვირსო. თქვა ვარაზმა. არ გეკითხები – შენ თუ რად არ გიკვირსო. განაგრძო *იმანვე*. „მე რად არ მიკვირს, იმას მოგახსენებ. ის რაც რო გახლდა. 21-ო.

შავდაუკუღმა ის დროდაჟამი. ახლა მაინც უნდა მივ-
მხვდარიყავით და იქიდან უნდა დაგვეწყო, სადაც
რო შეგვიწყდა ისტორიაი. 801-დან უნდა დაგვეწყო.
ტახტი წაგვართვეს. ტახტი დაგვიქციეს. ტახტის აღ-
დგენით უნდა დაგვეწყო. ტახტისა. ტახტისა. სამე-
ფოსი. მეფისა. ადამიანი სხვა რა არის თუ არა სუ-
ლი?.. სულია. სული. ფსიქოა. ფსიქიკაა. სხვა დანარ-
ჩენი ჰო ცხოველია!.. ნადირი. გარეული ცხოველი.
მოშინაურებულიც არა. რა მოაშინაურებს!.. სამეფო
დაჰკარგა და სამეფოს ეძიებდა. მეფე დაჰკარგა და
მეფეს ეძიებდა. მეფესა. მეფესა. სული ითხოვდა.
ფსიქოაო თუ რაც თუ რა არის – მეფეს ითხოვდა. დი-
დი ისტორიის დიდ მეფესა. დიდ მეფობასა. ზღაპრუ-
ლობაში გადაზრდილსა. ზღაპრულობიდან გამოშუ-
ქებასა. ზღაპრულობიდანა. ბუნდოვანებიდანა. გა-
მაბრუებსა. გამაოგნებელსა. გამთანგველსა თუ რა-
ღაც ასეთსა. ხოლო ჩვენ უცებ რა შევაჩეჩეთ – პრე-
ზიდენტი!.. თავნება ბიჭი. გაზრდილ-გაჩენილი ყვე-
ლას თვალწინა. ვერის ქუჩაბანდებში დღეში ათჯერ
რო გადაეყრებოდი. ხულიგნადაც რო გადაენათლათ.
ციხეც მიეზღოთ საამისოდა. საიდან სადაო – სად ის
ოცნებაი. სად ის წვაი სულიერი. ის თრთოლვაი აღ-
მტაცი – მეფე!.. და სად ეს სინამდვილეი – პრეზი-
დენტი!.. გაჭირდა ამისი გააზრებაი. უცებ გაჭირდა.
გაჭირდებოდა. რაღა თქმა უნდა. ამიტომ ჯობდა –
მეფე რო დაგვესვა. მე შენ გეტყვი არ შემოგვრჩნენ
ბაგრატიონები!.. მართალია რო ძირეული შტოსი
აღარა. მაგრამ და რაო – ოდესღაც ისინიც ჰო ძირე-
ულნი იყვნენ!.. იქ მიჰხვდნენ ამდენსა. ქართველი
ემიგრანტები მიჰხვდნენ. მენშევიკი ემიგრანტები.
დამოუკიდებლობა რო მალე დაჰკარგეს. განდევნი-

ლები რო მიეცნენ ფიქრსა. მიჰხვდნენ. გაიაზრეს. და რო მოჰყვებოდნენ გერმანელებსა – მოჰყვებოდნენ თამარის დროშითა. მოეძებნათ სამეფო კაციცა. ბაგრატოვანთა შორისა. ცხადია. დევნილთა შორისა. რაღა თქმა უნდა. მოეძებნათ. გამოერჩიათ. მოჰყვებოდნენ და მოჰყავდათ. გვირგვინს დაადგამდნენ სვეტიცხოველში. ისტორიამ ეს არ ინება. ახლა უკვე სხვანი ვიქნებოდით. გამოვერკვევოდით აქამდისა საღათასძილისაგანა. ორსაუკუნოვანი საღათასძილისაგანა. ვიქნებოდით ბევრად უკეთესნი. მოწინავენი მოწინავეთა შორისა. სხვანი. სულ სხვანი. ისტორიამ ეს არ ინება. გლობალიზაციაში მოვჰყევით მაშინაცა. არც კომუნისტობამ აღარ გაგვიშვა. ახლა ჰო ჩვენად დავიგულეთ თავი?.. არ დავიგულეთ?! მაშ რა ჯანდაბაა?!. რატომ ვერ მივხვდით, მენშევიკები რასაც რო მიჰხვდნენ. მენშევიკები. მენშევიკებიცა. ნუთუ ვერც მიჰხვდები თუ არ დაჰკარგე?!. თუ არ წაჰხდი. თუ არ დაიღუპე... მერე რაღაო. ბედი ერთხელ თუ გაგიღიმებს საუკუნეშიო. ჩვენ ორჯერ გაგვიღიმა. ბედმაც რაღა იღონოს მეტი. ბედი რო ბედია – ღიმილია და მეტი არაფერი. შენს მაგივრად ვერ გაირჯება." და მოიყარა ნაოჭები შუბლმა. *იმისამ*. ცხადია. ფუნჯს დაეტანა. შეგრილებულიყო. ეგემა ფუნჯი შეგრილებული. ცხელიც კარგი გახლდა. არც ცივი რო არ დაიწუნებოდა... პირიქით. პირიქითა. „ჭკუა რო ჰყოფნოდათ – იქიდანვე უნდა დაეწყოთმეთქი: მეფობიდანა. ის იგივე უნდა მოეწვიათ, გერმანელებმა რო შეურჩიეს მენშევიკებსა. დაახლოვებულა ესპანეთის სამეფო გვართანა. კავშირი გაუბამს სხვა გვარებთანაცა. სამეფოისა. რაღა თქმა უნდა. შენ თქვი: რაღა დროს მეფობაოო. მაინც მეფო-

ბაა. მაინც მეფობაა. მაინც ეკრძალებიან ძველ გვარეულობებსა. სძულთ მდაბიური სიძულვილით და მაინც მორიდებულან. მოწიწებას განიცდიან მაინცა. ადამიანობა ამაღლებაა. დახვეწაა. განწმენდაა. სიფაქიზეა. ლაზათია. სილამაზეა. პატიოსნებაა. თავმოყვარეობაა. კეთილშობილებაა. სიკეთეა. სიკეთე. უსაზღვროი. განუზომელი. ჭამა და გამრავლება ჰო იცის ნადირმაცა!.. ადამიანმა ამაღლებაც იცის. ამაღლებაც იქაა – წარსულში. წარსულის ხსოვნაში. მამაპაპაში. მამაპაპურში. მამაპაპურიც ის არის და ისა – სამეფო ხელისუფლებაა მამაპაპური. პრეზიდენტი მაინც არ გეყოლება საძებარი. ესეც ჰო დიდი რამ არის ამ ისედაც გამწარებულ ცხოვრებაში. ამისთვის მაინც არ დაინგრევა ქვეყანაი. და რო დაინგრევა – უბირი ვინმეც არ შეგრჩება ხელისუფლების წინამძღოლადა. ის ამისათვის ნაწრთობი იქნება. მემკვიდრეი. რაღა თქმა უნდა. ნაწრთობი. გაწაფული. გაზრდილი ამისთვისა. ინგლისი ამითიცა სჯობიან სხვებსა. ამერიკასაცა სჯობიან ინგლისი. და აჯობებს ყოველთვისაცა. უკეთესიც იქნება და მიმზიდველიცა წარსულის ლაზათითა. სიყვარულითა წარსულისა. თავისებურებითა თავისითა. რო არა ჰგავს ამერიკასა. არც დაემგვანება არასოდესა. ვერც ისიც რო ვერ მიემგვანება. ვერა და ვერა, ვერა და ვერასგზითა, რაც არ უნდა ჰბაძავდეს არისტოკრატიზმსა ინგლისურსა. ზედაფენაი. რაღა თქმა უნდა. ამერიკისაი. რაღა თქმა უნდა. ქვედაფენა რო ქვედაფენაა – მასებიო – ვერც ის შეიძენს ბრიტანულს ვერაფერსა. თუმცა ენაც რო საერთო გააჩნიათ. ბრიტანეთია ბრიტანული. სხვა ბრიტანელი ვეღარ იქნება. წარსულითაა. მამაპაპურითაა. მეფობაა მამაპაპური. სხვა

დანარჩენი თავში იცენ მასებმაო: ლეიბორისტები იქნებიან თუ სოციალისტები თუ რა ჯანდაბაცაა – იყვნენ და იცენ თავში."

შენ რას იტყვიო.

იცეს თავშიო. ამანაცა. ვარაზმა. „მაგრამ ჩვენ რო პატარა ქვეყანა ვართ! თანაც გზაშარაზე რო გავდებულვართ. დიდებულნიც რო მოისრნენ ჩვენში და დიდებულობაცა. სამეფოც თან გადაჰყვა და მეფობაცა?!. სახელმწიფოებრიობის შეგნებაც გაიყოლა თანა. აღდგენისა და მართვის უნარიცა. პროვინციად ვიქეცით და პროვინციული გაგვიხდა ყველაფერი. ხასიათიცა. ზნეობაცა. ჭკუაცა. გონებაცა..."

გეყოფა. მოიცაო. *იმანა*. „მენც მანდა ვარ. ეგ მალაპარაკებს – ჭკუა რო აღარა გვყოფნის. გონება რო ვეღარ მოგვიკრეფია. ჭკუას მოვუხმოთ და სამეფო აღვიდგინოთ. მეფობა აღვიდგინოთ... მეფობა უნდა აღგვედგინა. ჯერ ამაზე გვეზრუნა პირველყოვლისა. სხვაგვარად შეგვხედავდნენ და სხვაგვარადაც მოგვექცეოდნენ. ასე უცებვე არ შემოგვეფშხვნებოდა ხელში ხელისუფლებაი. ახლა დაჯექ და უყარე კაკალი..." ფინჯანში ყლუპილა ჩარჩენილიყო. დალია ისიცა. ვარაზსაც დაელია თავისი ყლუპი. ეს ასე გახლდა. ნამდვილად ასე. ეს მოჩვენება აღარ იყო. ნამდვილად გააცილეს გაქცეული პრეზიდენტი. როგორც მოუხერხდათ, ისე გააცილეს. ნამდვილად დატოვეს იქვე იარაღი. სხვენზე. ტყვიაწამალიცა. ყუმბარებიცა სხვენზეო. სხვენი გადამკედლილიყო. გამოჰყოფოდა დანარჩენ ნაწილსა. კიბე მიედგათ შინიდანვე. სხვა იქ ვერავინ ვერ შევიდოდა. ვერც შესულიყო. არც შესულიყო. როგორც დაეტოვათ, ისევე ეწყო ის ყველაფერი. ისევე ეწყო და ისევე აჰკრიფა.

ვარაზმა. ცხადია. შეახვია. შეჰკრა. და აღარც უფიქრია. ის ერთი ჰო იფიქრა: თუ გესვრიან. შენც უნდა ესროლო. თუ ფრონტი არ არის. ნურც შენ გაიმართავ ფრონტსა. ჯგუფებად შეკრულან და ჯგუფჯგუფად გეჭრებიან. ეგრევე მიეჭერი შენცა. დაასწარი. აჯობე. აჯობე. აჯობე. ის გეჭრება და წართმევა უნდა. თუ არ აჯობე, უთუოდ წაგართმევს. ჯერ აჯობე და მერეღა ჰკითხე – ახლა რა გინდათქო. მანამდე ლაპარაკს აზრი არა აქვს. აკი არცა სურს გელაპარაკოს!.. მოასურვე რო გელაპარაკოს. მოასურვე. მოანდომე. მოაწყურე. მერე დაჯექ და მოეთათბირე. ცხინვალს იქნება. ჯავაში იქნება. როქში იქნება. ეს სულერთია. მოსკოვში არა. ოღონდაო. ეს აიცილე. აღარ უფიქრია. ერთისიტყვითა.

აღარა.

XV

დანარჩენი დინებას მიეცა. წუთისოფლის დინებასაო. ვითომ მანამდე იმის ნებად იყო. იმის ფიქრისადა. ვარაზისა. თუნდაცა ცხოვრებაი საკუთარი. რაც უნდა იყოს ხურრთმოძღვრად მიაჩნდა თავი. აგებდა. აშენებდა. თხზავდა პროექტებსა. ხელიც ეშლებოდა. მაგრამ და რაო – მაინც მოცულიყო ხუროთმოძღვრებითა. ახლა სულ სხვა რამ გადაეწყვიტა. თავისთვის უჩვეულო. თუ არად ჩაუგდებ იმ გამოცდილებასა: ზურგი რო შეუკრა გამსახურდიასა. მერე გააპარა იმავე ზურგითა. არ ჩაუთვლი და ნუ ჩაუთვლი. ის მაინც აიტანა იმავე ჟინმა. ჟინმა ბრძოლისა. საჭურველიც იმიტომ შეჰკრა. იხმო ტაქსიცა.

იხმო და დაინავსა კიდევაცა. მძღოლი ეუარა. იქით ვერ წავალო. მეორეც ეუარა. მესამე დათანხმდა. ტყვიავამდეო. ოღონდ რა მიგაქვს. მაცოდინე. შარში რამეში არ გამხვიოო. ჰუმანიტარული დახმარებაო. ჰუმანიტარულია. აბა რა არის. ეხმარები და სიკეთეს სჩადიხარო. ეს თავისთვისა. იმართლა თავი. ტყუილს გაურბოდა და იმართლა თავი. აღარც რა უთქვამს ტყვიავამდისა. მძღოლი ქაქანებდა. მანქანაცა ქაქანებდა. რომელი რომელს აჯობებდაო. გვწუნობენო. მძღოლმა. აღარც ძველი ტაქსები აღარ გვინდა. აღარცა მძღოლები ძველიო. ახალი მანქანებიც უნდა შემოვიტანოთ. ახალგაზრდებიც უნდა დავსხათო. მე რაო. დავბერდიო. ეგ ლანირაკები მე მაჯობებენ. რუსთაველის იქით გზას ვერ იგნებენო. მე შენ მითხარი რომელი ჩიხიც გინდა, მიგიყვან თვალს არ დაგახამხამებინებო. ან ის საქმეა: დაი და სიძე გამიყარეს დეზერტირიდანა. გაგრიდან ცოცხლებმა გამოაღწიეს. აქ შიმშილით უნდა დამიხოცონო. ის კარგი იყო, რუსთაველზე რო აყვირებდნენ – მიშა. მიშაო. მოსწონდათ. აქეზებდნენ. ჩვენც ტაქსები დაგვაყენებინეს. დაგვარბენინებდნენ აქეთიქითა. მიშა. მიშაო. ვჰყვიროდით ისევე. ახლა მიბრძანდითო. იფიფ – რა კარგია!.. ახლა მიბრძანდითო. „ამიტომ გვაყვირეს. ამიტომ გვაჩხავლეს?!." თქვენ მე იქ არ მინახიხართო. მოსჭრა უცება. არცა ვყოფილვარო. ვარაზმა. შენც რო გაჩუმდე, ის გირჩევნიანო. ტყუილად გულს ასკდები. ემანდ მანქანაც არ გადასჩეხოო. „გულსაც არ შევასკდე?!." მძღოლმა. „თავს სინანული სჯობიან, ბოლო ჟამს დანანებასაო." ვარაზმა. არ დაუჯერა. მძღოლმა. აღარც იმან მიუგდო ყური. ვარაზმა.

დაინავსა და დაინავსა.

ტყვიავის იქით აღარ გაუშვეს.

ტყვიავის იქით აღარაო.

ქართველებმა – ჩვენ გაგიშვათ, რუსები მაინც არ გაგიშვებენო.

რუსებმა – ჩვენ გაგიშვათ, ოსები მაინც არ გაგიშვებენო.

არაო და ნუო. ვარაზმა. მერეთისაკენ გადაუხვია. დიდლიახვზე რახან არ გაუშვებდნენ, პატარას შეჰყვებოდა ცოტა უფრო ღრმადა. იქ ერთი სოფელი ეგულებოდა. მოზრდილი სოფელი. ქართული გახლდა. ისევ ქართულად თუ დარჩენილიყო. თუო და თუო. გამხდარიყო ესეც საკითხავი; ან რაღა არაო. შეფენილიყო ფერდობზედა. წინ ჩაუდიოდა ვეება ხევი. ხევსავე გაეყო სოფელი შუაზე. ვიწროსა უფრო. ისე ვიწროსა, ხიდიც გაედოთ ოდესღაცაო. თამარის დროსაო. დაუმატებდნენ. წინ რო ხევი ჩაუდიოდათ – ვეება ხევი – ხევგაღმა გორები აზიდულიყო. ხევითვე გაყოფილი. იქით ტაძარი აღმართულიყო. გუმბათმოშლილი. აქეთ ციხეი. თითქმის დანგრეული. ჯერ მაშინვეო. ამას რო ახსოვდა. ვარაზსა. ციხე აეშენებინათ ერისთავებსა. ერისთავები ემარხნენ ტაძარშიცა. მერე მაჩაბლებს მზითევში რგებოდათ სოფელიცა. ციხეცა. ტაძარიცა. ტაძარში მაჩაბლები არ ემარხნენ. არც ტაძარშია და არც გალავანში. ჰქონდათ რო სამარხი თავაანთი. ანთუ ვერც მოესწროთ. ვალში გაეყიდათ. დარჩენოდა მედუქნე მაისურაძესა. არც მაისურაძეები ატარებდნენ მკვდარსა იქამდისა. ისიც რო: ერთი ღეღელა ბიჭი დასახლებულიყო გორშია. ღვინის ვაჭრობით მოეთბო ხელი. კაი გვარიანი დუქანიც გაემართა. სასტუმროც მოედგა.

გაეჩინა მოვალენიცა. ერთი მოვალეც მაჩაბელი გახლდა. გვარი გვარადა კმარა. ცხადია. ამშემთხვევაშია. მაგრამ ისიც არას დააკლებს თუ მიენიშნება – მამაი ვანო მაჩაბელისა. ტრაგიკულ ამბებს რო თარგმნიდა დიდი ბრიტანეთისა და უარეს დღეში რო ეგულებოდა საქართველოი. პატარაი. პატარა. ბედშავი. უბედური. ესვენა რო მამამისიცა სარდაფში მაისურაძისა. გორში. გორში. რაღა თქმა უნდა. მაისურაძე ცხედარს არ ატანდა ჭირისუფლებსა: ჯერ ვალი დაჰფარეთ და მერე ინებეთო. ვალიც იქავე დასდებოდა. სასტუმროსი და რესტორანისა. სასტუმროში ცხოვრობდა. რესტორანში ქეიფობდა. რაღა თქმა უნდა. ქეიფობდა და აქეიფებდა გორელ ხალხოსნებსა. კუბოც ჩემი იყოს და ბალდახინიცაო. „ფეშქაშ!..“ ამას თბილისურ კილოზე ამბობდა. მაისურაძეი. წვრთნაც იქ მიელო და ფახიცა. ფახიო. ახლა უცხოურად ამჯობინებენ. რაც თუ როგორაო: დაეთმოთ სოფელი. მაჩაბლებსა. ციხეცა. ვალი იმხელა გამოდიოდა. ტაძარიცა. წაესვენებინათ მიცვალებული. სამარხი ჰო თავაანთი ჰქონდათ. კიდევ კარგი რო სამარხი ჰქონდათ!.. ისიც რო აღარსად მოინიშნება. მუზეუმიღა შეაკოწინეს. მოშალეს ისიცა. დაანგრიეს. მოშლას უპირებენ რო სახელსაცა – სამაჩაბლოსა – რესპუბლიკაო. ალანიაო. ჩრდილო და სამხრეთ ალანიაო. ოსთა.

ჩვენ რო გაგიშვათ, არ შეგიშვებენ ოსებიო. რუსებმა. ან ოსებს ვინ რაღასა ჰკითხავს?!.

დახლართულა საქმე ისე რო: ხელზე ოსები დაუხვევია. რუსსა. რუსებსა. ჩარხავენ საქმესა თავაანთსასა. ჰო ეფიცებოდა ელცინი. შევარდნაძესა. რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ცხინვალსა ჩვენ-

თვისა – არაფერიო. მხოლოდ თქვენი მორიგება გვინდა ამ მოუსვენარ ოსებთანაო. თქვენიო. თქვენიო. თქვენი მშვიდობა გვინდაო. ეფიცებოდა და ეფიცებოდა. ცოდნით იცოდა, რასაც რო ჩარხავდა. იცოდა. რომელია. – ლენინმაც იცოდა და ნიკოლოზმაცა. II. ის ორნი ჰო განისვენებენ. რომელი სადაო და რომელი სადაო. ელცინი ისვენებს. საპატიო პენსიაზეა. შევარდნაძესაც დაჰპირდნენ იგივესა. პენსიასა საპატიოსა. ოღონდ ესაა: დამპირდნენ და არ მაძლევენო. ამას ესღა აქვს სადარდებელი. შევარდნაძესა. ელცინს ეს დარდიც აღარ შერჩენია. რაც უნდა იყოს – ჩამოშორებია ოსთა საკითხსა ორივეი. ახლა სხვებმა იცენ თავშიო. ზევითა თუ ქვევითაო. უმაღლესებმა თუ უდაბლესებმაო. თუნდაც ვარაზმაო. ასეც გამოდის. რაღა თქმა უნდა. და იცა თავში გადაუხვევდა ვიდრე მერეთისაკენა. ლამის რო ვეღარც გადაუხვევდა. აიყვანდნენ ხერგილებთანავე ტყვიავისა. იქ ის ჰო ძლივას გაარკვია: ოსები მაინც არ გაგიშვებენო. მთავარი სხვა იყო. ბავშვები ირეოდნენ ხერგილებთანაცა. ბლოკპოსტიო. სკოლასთანაცა ტყვიავისა. მოედანზედაცა. ეგრევე გზაგზაც იდგნენ თუ ირეოდნენ. იდგა ავტობუსებიცა. იქაც ადიოდნენ. ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ. იცინოდნენ. მოღუშულიყვნენ. კინკლაობდნენ. ხუნტრუცობდნენ. გამოეყვანათ იმ შეთხზული ავტონომიიდანა. მიგვყავს ზღვაზეო. დასასვენებლადაო. არდადეგებს იქ გაატარებენ. წყნარადა. მშვიდადა. მანამდის მოვრჩებით აქ ყველაფერსა. სექტემბერში დავაბრუნებთო. სოხუმში ჰო დააბრუნეთო. ვარაზმა. ამათაც ისევე დააბრუნებთო. ეკვეთა ვარაზი ხაინდრავასა. ხაინდრავა ეცნო. ხაინდრავას ეკვეთა. სხვები არ ეცნო.

ვინ იყვნენ. რანი იყვნენ. თუმცა ძალიანაცა ფართი-ფურთობდნენ. მობილურები გაეშიშვლებინათ. თბილისს ურეკავდნენ. ცხინვალს ურეკავდნენ. მოსკოვს ურეკავდნენ. გამოეჭიმებოდნენ ჟურნალისტებსა. იხატებოდნენ. იწერებოდნენ. იხატებოდნენ ეკრანებზედაცა. მაშინვე. მყისვე. შექმნილიყო ვითარებაი საგანგაშოი. ამან რა იცოდა. ვარაზმა. არც რო ეკრანს არ უყურებდა. არც რო გაზეთებს აღარა კითხულობდა. რაც რო შეეტყო ამბროსისაგანა, იმას აჰყოლოდა. ხოლო ეს აყრაცა – შეეხალა რო – ისეღა შეიტყო. განგაშის მიზეზიც შეიტყო ცხადია. იქვე. იმათგანვე – ჟურნალისტებთან რო ბობოქრობდნენ ხერგილების წინა და ცისფერი ეკრანი რო გადასცემდა თბილისშიცა. მოსკოვშიცა. ცხინვალშიცა. ტყვიავშიცა. იქავე. ევროკავშირის შტაბბინაშიცა. გაეროშიცა თუკი ჩართავდნენ. ჩართავდნენო და გულისყურითაც ადევნებდნენ თვალყურსაო. ვარაზი იქვე გახლდა. მიზეზიც იქვე. განგაშისაო. შეთანხმებულიყო რო ყველაფერი. ოსებთანაცა. რაღა თქმა უნდა. ერთი ავტობუსი მაინც შეეპყროთ. ცხინვალშივეო. დაეპატიმრებინათ მასწავლებელიცა. კოზაევი. ალიკ. ცხინვალელივე. სად მიგყავს ბავშვები. ჩვენი ბავშვებიო. გამოჭრილიყვნენ: დედები. მამები. გადმოეყარათ ბავშვები თავაანთი. ავტობუსიდანა. ეს დედებმა და მამებმაო. თავს იმართლებდნენ უფალნი ცხინვალისა. ჩვენ არაფერ შუაში არა ვართო. კოზაევი ჩაესვათ ციხეში. ჩვენ არაფერ შუაში არა ვართო. მშობლებიც რო თვითონვე მიუსიეს. ბავშვებსაცა. მასწავლებელსაცა. მძღოლსაცა. აგრეთვე. ბავშვები ჰო თვითონვე გაითრიეს ყურთაწიათი. მშობლებმა. მასწავლებელი მიაბრძანა მილიციამა.

მძღოლი დაიგდეს ფეხქვეშაო. ზოგი რო ურტყამდა. ზოგი აშველებდა. მერე ერთმანეთს ურტყამდნენ მშობლები. მძღოლი მიასავათეს და იმის მერეო.

და თქვენ აქ რაიმეს მოათავებთ და მერე ამ ბავშვებს დააბრუნებთო. (?!!!) ვარაზმა. ხაინდრავასა.

მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ჩვენ ამათ მოვრჩებითო. ხაინდრავამა. მალე ამათაც დავაბრუნებთო.

როგორც სოხუმშიო. არაო. (!..)

ჰო – ეს ჰო ითქვა. ეს აღარა –

მე რო სოხუმში დამნიშნეს, იქ ყველაფერი მოთავებული იყოო. ხაინდრავამა.

და აღარც დააცადეს ხაინდრავასა. საეთერო დრო ამოწურულიყო. მოეცალათ მოთავეებსა იმა აყრისა თუ საარდადეგებო დასვენებისაო. მოეცალათ და აღარც დააცადეს: სოხუმშიც მალე დავბრუნდებითო. ჩვენ ის არა ვართ – შევარდნაძე რო გპირდებოდათ და გატყუებდათო. ჩვენ რასაც ვამბობთ – ვასრულებთო. ციტატა ჭაბუკი პრეზიდენტის გამოსვლებიდანა. ჩვენ ერთი გუნდი ვართ. ერთადა ვმოქმედებთ და გადაწყვეტილებებსაც ერთადა ვღებულობთო. აი ნახავთო: მალე აქ გაჩნდებიან ცხინვალელი ბავშვები. მშობლებიც ბოდიშით გვეახლებიანო. ორნი ლაპარაკობდნენ. ოღონდ ისე რო – ერთი რო ამბობდა, იმეორებდა მეორეი. ის ერთი პარლამენტს წარმოადგენდა. მეორე – ხელისუფლებასა. ეს მერეღა აუხსნა მძღოლმა. ვარაზსა. იქ არ უკითხავს. იმათაც რო არ წარუდგენიათ თავი. ვიღა არ იცნობდა. ტელევიზიითა. რაღა თქმა უნდა. ერთს უფრო ადრიდანვე. თავისუფლების ინსტიტუტიდანა. ფალოსოფოსებს რო ეკუთვნოდა ისიცა. რო პატრონობდა *კმარას* ბიჭბუჭობასა. მკალავიშვილსაც რო მიეჭრებოდა ხოლმე გლდანშია. მიეჭ-

რებოდნენ სხვებიცა ხოლმე. ეგება რო სხვაც იგულისხმო. იგულისხმე რა!.. სულერთი არ არის – რო არც განსხვავებულან ერთმანეთისაგან. არცა ჭკუითა. არცა განათლებითა. მოძღვრებითა ფალოსოფიისა. მეორე ბოლოდროს გამოკვეთილიყო. რწმუნებული პრეზიდენტისაო. შიდაქართლშიო. იდეალისტი საკუთრად შეარქვა იმასა პრეზიდენტმა. სააკაშვილმა. ღამე არა სძინავს. უთვალთვალებს ყველა ბილიკსა, საიდანაც რო შეიძლება კონტრაბანდამ შემოაღწიოსო. არც არას უთმობს გენერალსა. იმ ეგრეთწოდებული სამშვიდობოებისა. არც უთმობს და ვერც აგებინებსო. ქილიკობდნენ გორელები. ქილიკობდნენ და ურჩევდნენ: გაიუმჯობესე ეგ შენი რუსულიო. არც ეგ არის თავანკარი რუსი. მაგან როგორ უნდა გაჯობოსო. ცისფერჩაფხუტიანმა გენერალმაო. მაგათი არც თავანკარი რუსი გენერალი არ მინდა და არც თავანკარი რუსული. ამერიკული უნდა ვისწავლოო. რწმუნებულმაო. ქილიკობდნენ გორელები. აღარცსად კომბინატიო. აღარცსად ქარხანაო. აღარცსად სამსახური. აღარცსად საქმეო. აღარცსად დასანგრევი. აღარცსად ასაშენებელიო. თამაშობდნენღა დომინოსა. თამაშობდნენ და ქილიკობდნენ. ხოლო ის იქ იდგა – ცეცხლის ხაზზე. კონტრაბანდას ებრძოდა და ბავშვებს ისტუმრებდა კონფლიქტური ტერიტორიიდანა. დასასვენებლადა. შავი ზღვის ნაპირებზე. მთების ბავშვებსა. ზღვა ჰო არ გინახავთო. ეკითხებოდა. არაო. ჰოდა ნახავთო. გაახარებდა. ვნახავთო. ვნახავთო. ჰხტოდნენ პატარები. უფრო დიდები მოღუშულიყვნენ. ცხინვალის ავტობუსი კიდევ არა სჩანდა. მორჩნენ ვარაზის შეგონებასა. გზა გაუბოძეს თავაზიანადა.

რო არც ვიკითხეთ თუ ვინა ბრძანდებაო. სამხარეო პოლიციის უფროსმა განაცხადა.

არც გიკითხიათო. პარლამენტის წარმომადგენელმა. სულაც კომიტეტის თავმჯდომარემა. იმ კომიტეტისა – რო ჰპირდებოდნენ ძიძიგურსა და გამოსწირეს უკანასკნელ წუთებში. ისიც იმწუთას. იმწუთს. იმწუთსავე რო გადავიდა ოპოზიციის რიგებში.

როგორთუ არ გვიკითხავსო. პრეზიდენტის რწმუნებულმა. გუბერნატორმაო.

მე ბიჭები დავადევნეო. სამხარეო პოლიციის უფროსმა.

არ გინდათო. „არა!.. არა!.." მე ვიცნობო. ხაინდრავამა. არქიტექტორია. კარგარეთელი. არ მიიღეს მაგისი პროექტი სამების ტაძრისთვისა. შევარდნაძეს ემდურებოდაო. არ გინდათო.

არ გინდათო. პოლიციის უფროსმა. მობილურს ჩასძახა. მადლობა ღმერთსაო. თუ მიუსწრებდნენ. ბიჭები. ცხადია. პოლიციელები. შეფუთულებს თუ გაუჩხრეკდნენ. ვეღარც ღმერთი უშველიდა. ვარაზსა. ვეღარც ძე ღვთისა. სულიწმინდაც ვეღარა. ვერც რო ცალცალკე. ერთადაც ვერაო. ტაძარიც ვეღარა სამებისაი. ამისი პროექტითაც რო აეშენებინოთ. ოოოო... ეს ჰო მითუარესიო. გალაღებულიყვნენ იეღოველები. მკალავიშვილი დაეპატიმრებინათ. დაერბიათ გლდანის ეპარქია. გალაღებულიყო ინსტიტუტი თავისუფლებისა. მიეღო შევსებაი ახალი. ახლათახალი. *კმარადანაცა*. მიეზიდა წარმატებულნიცა შესაბამისი ინსტიტუტებიდანა. კურსშესრულებულნი ჰო მთავრობას მიეწვია – ზოგი თავისთანა. ზოგი პარლამენტში. აღვირი აეყარა კობახიძესა. გაეშებულიყო. თრთოდა სიონი. სამების ტაძარი ჯერ

არც მოეხატათ. არ აღვსილიყო საკმევლის სუნითა. სინოდი გმინავდა. თავმომწონეობდა კოლინ პაუელი: გამოსწორდა მდგომარეობა საქართველოშიო. იეღოველებს აღარა სდევნიანო. თავმომწონეობდა. თავმომწონეობდა. თავს იბევებდა მომავალი არჩევნებისათვისა. იქ ისევ ელოდნენ. ტყვიავის ხერგილთანა. ბლოკპოსტთანაო. ხოლო ესენი მიჯაყჯაყებდნენ. ვარაზი და მძღოლი. მინგრეულ გზაზედა. გზა რო ერქვა და გზა აღარც გახლდა. იგინებოდა მძღოლი. ვარაზი ამშვიდებდა. რა ხიფათს გადარჩნენ რო ვერც შეიტყვეს. მიჯაყჯაყებდნენ. მიჯაყჯაყებდნენ. ვერც გადარჩებოდნენ. ვარაზი და მძღოლი – ბავშვები ლოდინს რო არ გადაჰყოლოდნენ. რწმუნებულიო თუ უფროსიო პოლიციისა. იდეალისტები და რომანტიკოსებიო. დაგეშილიყვნენ რო კონტრაბანდაზე. რო აღარც ახსოვდათ – ღამე რო გამოყოფილიყო მოსვენებისთვისა. აღარ ახსოვდათ. ეგება არც იცოდნენ. დაბადებულიყვნენ რომანტიკოსებადა. რწმუნებულს ჰო სახელადაც შეერქვა. უფროსსაცა პოლიციისა. განა ერთად არ იყვნენ. განა ერთად არ დაეხეტებოდნენ უმთვაროსაო თუ მთვარიან ღამეებში. მძლავრი მაშუქებიც ჩამოეკიდათ კისერზედა: საით თუ მოძვრებიან კონტრაბანდისტები – ანთუ ოსები რო მოაცილებენ. ანთუ რუსები. დამცველები მშვიდობისაო. ანთუ ქართველნი. პოლიციელები. კონტრაბანდამაო. ტერორიზმმაო. და კორუპციამაო. არც ჰო ეროვნება არ იცის. არც სარწმუნოება. არც პოლიტიკა. არც დემოკრატია-გლობალიზაცია. არც იმპერიული რომანტიკაო. ესენი მაინც რომანტიკოსები გახლდნენ. რწმუნებულიცაო. სამხარეო პოლიციის უფროსიცაო. შეეწყნარებინათ სწორე-

დაც რო რომანტიკოსობითა. თორემ ღიპი ჰო იმასაც მოსწრებოდა!.. მოსწრებოდა!.. არა. რა არის მაინც რომანტიზმი!.. დიდი რამ იყო ის დალოცვილი. ნეტავი მართლაც გამოცოცხლდებოდეს. რომანტიკოსობა კიდევ ჰოოო – თანხმდებოდა ბერძენიშვილი – ბარათაშვილს თუ შეადარა ამ ჩვენმა ჭაბუკმა პრეზიდენტმაო. თანხმდებოდა. მაგრამ იდეალისტობას რატომღა სწამებს, რატომღა ადარებს ჰეგელსაო. აღარა თანხმდებოდა... ლოდინით ელოდნენ. ისევ ელოდნენ. მოთმინებითა. რომანტიზმს არა. ბავშვებსა. ცხადია. საიდან სადაო. ოღონდაც რო სწორედაც იქაო. გამოიყვანეს მოზარდები ესპანეთიდანა. პიონერების ყელსახვევებითა. ფრანკოს არ დარჩეს. არ მოგვიწამლოს ფაშიზმითა კომუნისტური ახალთაობაო. გამოიყვანეს. გამოზიდეს და გამოზიდეს გამოსაზიდიცა. მთლად ოქროს ფონდი ესპანეთისა. გამოაყოლეს კომუნისტებიცა. თქვენც დაგაბრუნებთ და თქვენს ოქროსაცაო. ველარ მოესწრნენ. ჩაიხოცნენ აქა უფროსები. რუსეთში ჩაიხოცნენ. ბავშვები დაიზარდნენ. ფრანკომაც რო ინება სიკვდილი. დაბრუნდნენ ისინიცა სამშობლოში – პიონერული ყელსახვევები რო მოიშორეს დიდიხანია. დაბრუნდნენ ისევ ესპანელებადა, რუსობისა რო ვერაფერი ვერ მიიკარეს. ოღონდ დაბრუნდნენ ხელცარიელნი. ოქროსი რო არც რა იცოდნენ. არც მშობლები რო არ გამოსტეხიან ბოლშევიკური სიკერპის გამოო თუ უფრო შიშითა *კგბესიო*. რაც თუ რა იყო: არც რა იცოდნენ მშობლებმა რო – სად გაელავებინათ შვილები იმათი ან თუ თვითონვე სად გადაკარგულიყვნენ ჯერ ისედაც დეევერხანა რუსეთში. მერე საბჭოეთში. უფრო დეევერხანასა თუ უსაშველოში. სად დაღავდებოდნენ

ეს ბავშვებიცა. არდადეგები თუ სიცრუედ ითქმის. მერე მშობლებსაც თუ გამოადევნებენ. თუმცა რო პატარაა საქართველოო. უბედურება იმისი ის არის საქართველოშივე რო ჰკარგავს სამშობლოსა. სამშობლოშივე ჰკარგავ სამშობლოსა. სამშობლოშივე. მიჯაყჯაყებენ. მიჯაყჯაყებენ. ესენი. ცხადია. ვარაზი და მძღოლი. მძღოლი და ვარაზი. ავტო მიჯაყჯაყებს. რაღა თქმა უნდა. მძღოლი იგინება. გულს მაინც იქარვებს. გინება არის თუ რაც არისო. არ იგინება რო ვარაზი – არც გულს იქარვებს. არც გულს არ ასკდება. მივლენ და ნახავს. მივლენ სადაც რო, რასაც რო ნახავს, ისე გაირჯება. ისე იმოქმედებს. მისვლამდე გაჯიქდება. მძღოლი. ან გაქიჯებაც არაფერ შუაში არ უნდა იყოს: გზა ისე გაჩეხილა. შიგ ისე არეულა ლაფი და ქვაღორღი, დიდ მანქანებსაც რო ვერ შეუბედიათ. გვერდით გასულან ოღროჩოღროზე. დაფერდებულზეცა. ეს გაქირს შედგება – მანქანაცა და მძღოლიცა. მე იქით წამსვლელი აღარა ვარო. მძღოლმა. გინდა გეწყინოს და გინდა არაო. არაო. ვარაზმა. რა უნდა მეწყინოს. ვარაზმა. არც არავის არ ძალუძს იმაზე მეტი, თვითონვე რაც რო შეუძლიანო. გადაბარგდა. დაგვალულ კუნელთან დასცა ბანაკი. კუნელიც იქვე მობუზულიყო. რახან გზა არის. თუნდაც ოღროჩოღრო. გაჩეხილ-გალაფული თუნდაცა. არ იქნება არავინ რო არ გამოიაროსო. მძღოლმაც დააიმედა. ამდენი თვითონაც მოეხსენებოდა. ვარაზსა. რა თქმა უნდა. მოეხსენებოდაო და მართალიც გახლდა. არათუ მალეო. ოღონდ ესეც არაფერიო. ტრაქტორი მიგრუხუნდა. მისაბმელითა. ხალხიც რო იდგა მისაბმელზედა. ბარგიც რო ეწყო. შეჩერდნენ. მიეხმარნენ. ზოგმა რო ტომრები შეჰყარა.

ამისი. მისაბმელზედა. ზოგმაც თვითონ ის აიტაცა ხელებგაწვდილი. ოსებიც იყვნენ. ქართველებიცა. საუბრობდნენ. ხუმრობდნენ. წაეხუმრნენ რო ამასაცა. ვარაზსა. ცხადია, ის ალბათ შენი ტაქსი იყო, თავქუდმოგლეჯილი რო გარბოდაო. ჰო. ხუმრობდნენო. ერთისიტყვითა. არც რაი ჰქონდათ სადავოი. მიბობღავდა ტრაქტორი. ერთად მიჰყავდა. ერთსულოვნადა. ჩამოარიგებდა მერე გზადაგზა. ჩამოუვიდოდნენ ვიღაცვიღაცანი. ენაგატლეკილი პოლიტიკოსები. გაინაპირებდნენ. წააქეზებდნენ. წაქეზებულნი თვითონაცა. ცხადია. წააქეზებდნენ. გაბერავდნენ. გააგულისებდნენ. გატენიდნენ ჯავრითა. შურითა. და აიყოლიებდნენ შური ვისიც რო მოსჭარბებოდათ. აიყოლიებდნენ და მიუსევდნენ ჯავრი ვისიც რო ადგათ ყელზე. ჯავრი და შური. შური და ჯავრი. სხვა დანარჩენი ენის საქმეა. დანარჩენიცა და აქამომდელიცა. რუსის საქმეაო. და ესეც ჯვარხევიო. სოფელი ფერდობზეა. გზა ზევით მიდის. ხევხევ მიჰყვება. განიერ ხევსა. წყალი ვიწროდ რო მოედინება. თითქოს არც რო არ მოედინება: დგას გუბეები. გუბიდან გუბემდე წვრილად მიწანწკარებს. იმ გუბიდანაცა. იმ გუბიდანაცა. ის იქითაო. ის იქითაო. სადღაც ეგებ რო თავს მოიყრისო. ახლა გუბეებს მიჰყვება ტრაქტორი. ქვაღორღსა. ჭორომებსა. გადასახვევთან – ქართველები ჩამოჰხდებიან. ოსები გაუყვებიან ხევსა. ვარაზიც ჩამოჰხდა. დაითითოვეს ამისი ბარგი. ვარაზისა. ფერდობს შეუყვნენ. მალე ხერგილი გადაეღობათ. ბლოკპოსტიო – არა?.. იყოს ბატონო. ხერგილს შემოუარეს. ბილიკები გასდევდა აქეთიქიდანა. არც არავინ იცავდა ხერგილსა. კრუხწინილი ქექავდა ნაგავსა. კრუხი აკრიახდა. მგზავრებმა ჩაიარეს.

დამშვიდდა კრუხი. ეს გიცავთო. ვარაზმა. კრუხწინილიო. არ უხუმრია. სახე დაეფშხალა.

„რათა... ვმორიგევობთ ღამღამობითა. დღე არას გვერჩიან..." ერთიღა ჩამორჩა. სხვებმა მიაშურეს თავთავიანთ სახლებსა.

„იარაღი გაქვთ?.."

„ჩამოგვართვეს. ჩვენ ომს არ ვაპირებთ. მოლაპარაკება გვინდაო..."

„აბა... რო მორიგეობთ..."

„ვისაც რა მოგვიხერხდება... ცელითა. ბარითა. ძალაყინითა..."

„არაბობაა!.."

„უარესი. ყუმბარებს გვიშენენ. ტყვია მოდის წვიმასავითა. „ჩვენ მშვილდისარიც აღარ გაგვაჩნია."

„ეგენი არიან?.." ვარაზმა. ნიკაპი აიშვირა. გულისხმობდა თანამგზავრებსა. ხეობას რო შეუყვნენ.

„შეიძლება რომელიმეცა მაგათგანა. უფრო გადარჯულებული ხალხია. გარუსებული. ჩვენი რო აღარ ესმით. აღარც თავაანთი რო აღარ გაეგებათ. ვლადიკავკავიდანაც გადმოდიან. არც მაგათ ესმით ერთმანეთისაი. ვლადიკავკაველებსა და ცხინვალელებსა. მოსკოვის ჟინი ჩაუჭედიათ თავში. მოსკოვისათვის ირჯებიან."

„როქის სპა!.."

„რა ბრძანეთ?!."

„დაქირავებული ლაშქარი." განმარტა. ვარაზმა.

„ძალიან ძველია. ახლა ჰო ცოცხალ ქართულსაცა ვკარგავთ!.. მე შაქრო მქვიან." ხელიც გაუწოდა. ისედაც ჩამოართვა – ვინა ხარ და რა გინდა. მიცნობდე და მენდეო. ამანაც ისე შეაგება ხელი – სხვა გზა არცა მაქვს. უნდა გენდოო. ხელმა ხელი იგ-

რძნო. თვალმა თვალი. გული გულს მიჰყვა. მასპინ-
ძელი გაუძღვა სტუმარსა: რა თანაგრძნობაა ესე და-
უძლეველი. სიკეთეი ესე. უცნობს შეჰხვდე და მიე-
ფერო. ჭერი დაჰხურო. სუფრა გაუშალო. მართლმა-
დიდებლობაო. მორწმუნენი იტყვიან. იტყვიან. დაუ-
ჯერებ. მაგრამ ის რაღაა – მართლმადიდებელნი რო
ბრძანდებიან რუსებიცა. მხოლოდ რო გტაცებენ.
მხოლოდ რო გიპყრობენ. კარს არ გაუღებენ არავი-
სა. ლუკმას არ მიანვდიან არავისა. გადასაყრელიც
რო დაუგროვდეთ. ერთხანს ჰო გეგონა: წარმართთო-
ბისას უფრო დიდბუნოვანი გახლდა ქართველი კა-
ცი. მართლმადიდებლობამ რაღაც მოაკლო. არაბო-
ბამა მერე. მონღოლობამა მერე. სპარსობამა მერე-
ცა და წინახანებშიცა. თურქობამა მერე. რუსობამ
მერე და ჰო სულაც დასცა და ამოართვა სული სუ-
ლიერი. ძალი ამაღლებისა. ამოართვა და შერჩა მა-
ინცა. მცირედი შერჩა. რაღაც ნაწილაკი. ისაა რო
ღივის. ისაა რო გასულდგმულებს. თანაგრძნობასაც
ვერ შელევიხარ. თანაგრძნობასა. კარღიობასა.
მფარველობასა მაწანწალათა თუ უბედურთა. მო-
ვარდნილთა საიდღანღაცა. თუნდაც ეგერ ეეე –
ხევს რო შეუყვნენ. გადმოვიდნენ ჰო თითოოროლა-
და. როქის მთებიდანა. შეიფარეს ჰო ფალავანდიშ-
ვილებმა ფრონეებზე. მაჩაბლებმა ლიახვებზედა.
ქსანზე ერისთავებმა. ტანაზეც რო!!! შეიფარეს. შე-
იხიზნეს. საქმეც გაუჩინეს. დაადგმევინეს ქოხები-
ცა. მაღალი. მაღალი. აწოწილი სახურავებითა. ყავ-
რის სახურავებითა. შვილებიც მოუნათლეს. მოიკი-
დეს ნათელმირონებადა. შინაც დაისხეს ძიძებადა-
ცა. მერე... რაო მერეო და: გაერთიანდით გლეხებოო
და მოჯამაგირეებოო. თავადაზნაურობაა მტერი

თქვენი. მტერი ქვეყნისა. მღვდლებიცაო. მასნავ-ლებლებიცაო. დასცხეთ და დასცხეთ. დასცხეთ და დასცხეთ. კომკავშირულადაო. გლეხებოო და მოჯა-მაგირეებოო. გლეხები ქართველები ბრძანდებოდ-ნენ. მოჯამაგირეები ოსები. გაერთიანდნენ და დას-ცხეს და დასცხეს. დახოცეს. გამორეკეს. ვინც გადა-ურჩათ. იმათ წამებას ენა ვერ მოსთვლის. ვინც გა-დაურჩათ. საწამებელს მოჰყვნენ სხვანიცა. ლოზუნ-გი რო გაისმა სხვაი: ქვეყანა დააქცია კულაკობამაო. მოჯამაგირეებო ახლა თქვენ იცით. დასცხეთ. დაჰ-კარით. კომკავშირულადო. კულაკობა ქართველებს დაერქვათ. მოჯამაგირეები ჰო ხიზნები იყვნენ. დას-ცხეს და დაჰკრეს. დასცხეს და დაჰკრეს. მთებს მია-ტოვეს ის წონოლა სახურავები. ჩამოინაცვლეს ქვე-ვითა და ქვევითა. ცხინვალს დაეუფლნენ. აგარაკსა მეფეთა. ქართველთა მეფეთა. რაღა თქმა უნდა. თა-ვაანთ მეფეთაც რო აღიარებდნენ. დაეუფლნენ და გაიბოძიძგეს ფეხი.

ეგეც შენი თანაგრძნობაო. სიკეთეი ეგეც შენიო. სუფრის გაშლაი უცხოთათვისაო. დაარქვი თუნდაც წარმართულიო. იყოს ბუნებრივობაი შენი საკუთა-რი. იყოს. იყოს. რო აღარ გიშვებენ აღარც ცხინვალ-შია. ეგეც შენიო და ეგეც შენაო. სტუმარი მაინც სტუმარია. მასპინძელი მასპინძელიო. ეზოს კარი გა-უღო მასპინძელმა.

კიბეზე ქალი ჩამოდიოდა. ჩამოდიოდა და ჩამო-ვიდა. მშვიდად ჩამოვიდა. მშვიდად შეჩერდა. თქმაც დააპირა რიღაცისაი. უცებ შეჩქვიფდა. რა-ღაც აღმოჰხდა გაურკვევლადა. აჩქარდა. გაეშურა. შეჩერდა. შემობრუნდა. უფრო აჩქარდა და ჩაიკარ-გა შუკაშია.

XVI

ლამის რო არც შეუმჩნევია. სტუმარსა. ის აფაციცებული ქალი. ლამისაო თუ თითქმისაო.

მასპინძელი დაელოდა მოწიწებითა. რო არც რაი თქვა. აღარც გასდია. ჩაიბურტყუნა რაღაც თავისთვისა. ეს იყო და ესა.

არც რო ამისთვის არ მიუდევნებია გულისყური. ვარაზსა. საით თუ მიჰქონდა ბარგი ამისი. მასპინძელსა. თვალი იქ ეჭირა.

ბოსლის საჩეხშიო.

არაო. ვარაზმა. სადაც ჩვენ ვიქნებით, იქვე უნდა მეწყოს ესეცა. ფერხთითაო.

შეეჭვდა მასპინძელი: რა მძიმე არის ეს ორი ტომარაო. მხოლოდ ესა თქვა. ერთში ყუმბარები ჩაეწყო ვარაზსა. ცხადია. მეორეში ტყვიები ავტომატისა, არც რა მიუგო საამისოდა. მიეშველა. ერთად ავწიოთო. იგულისხმებოდა. დანარჩენი მერეღა გაირკვა. შინ ავადმყოფი მეუღლე ჰყოლოდა. მასპინძელსა. ასე – ნახევრად მწოლარეი. ეგება ერჩივნა სულაც რო წოლილიყო, მაგრამ როგორაო – სხვა რო არავინ აღარა ჰყავდათ შინა. იდგა და იწვა კიდევაცა. გამოიდო თავი სტუმართანაცა. ვითომ არაფერი არც აწუხებდა. მოწყენილიყო ვითომდაცა მარტოობითა. კაცის დაბრუნება ჰო ესიამოვნა. გაახარა სტუმრის მოსვლამაცა. ვითომდაო თუ რა როგორცაო, ვიღამ განსაჯოს: სუფრა რო გაიშალა. მეზობელიც რო იხმეს – ორი კაცის სმა ულაზათოა. სამი მაინც უნდა უჯდეს სუფრასაო. და უსხდნენ სამნი. სმით ორი

სვამდა. მასპინძელი და მეზობელი. ვარაზმა ვერ შებედა თავდაპირველადა. კარგახანია რო აღარ დაელია. მერეღა გამოიდო თავი. ცოტა დალევაც თუ არ შემიძლიან, აქ რაღამ მომაგდო. ბოლოსდაბოლოსაო. აქაო. იქაო ანუ. შუშაბანდში ისხდნენ. ხევგაღმა მოსჩანდა ციხის ნანგრევები. რო ვეღარც გაიგებდი – ციხისააო თუ რისააო. არც მაშინ გახლდა თავმოდგმული. ვარაზს რო ახსოვდა. დატანილიყო ახლა მინამდის თუ არა ჯაგებს მაინც გასწორებოდა. ჯაგი მოსდებოდა. ამოწვერილიყო შიგნიდანაცა ჯაგი. იქით ეკლესიაც ილანდებოდა. უგუმბათოო. ვახუშტის რო ეთქვა. დაემატებოდა ახლა: უსახურაოცა. უჭეროცა. უკაროცა. ფრესკებიც ალბათ ჩამობდღვნილიყო. ალბათაო თუ ნამდვილადაო. ახლა მთავარი მაინც ეს არ გახლდა. იქიდან გვესვრიან ღამღამობითაო. მასპინძელმაცა. მეზობელმაცა. ეკლესიის გორაკიდანა. კარგად იქნებოდნენ ისინი დაცულნი კედლებითა ეკლესიისა. ციხე ჩაშლილიყო იმაზე მეტადა. აქეთ თუ ესენი გამაგრდებოდნენ. ესენი თუ ესა?.. ესა. თვითონა. ესენი უფრო ყრუდ იგულისხმა. ივარაუდა მხოლოდ ისა რო: ბოლოს მარტო არ ვიქნები. ვიღაც მომხედავს. მიჰხვდება რაღაცასა. მარტოკაცს რა უნდა ბრძოლაშიო. ამდენს მაინც მიჰხვდებაო. ჯერ ზემოჯვარხევს უშენენ იქიდანაო. ხანაც აქეთკენ გადმოდიან. ციხის ბორცვებზეო. ჩვენც გვიშენენ. გვაფრთხილებენ: იმათ რო ავყრით. მერე თქვენი რიგი დადგებაო. ილოცებიან. საუბრობენ. ის ორნი. ანთუ ამას აუწყებენ ის ორნი. ვარაზსა. თუ რა ყოფაში ჩავარდნილან. აუწყებენ და ეკითხებიან კიდევაცა: რა გვეშველებაო. ხან აქეთაც გადმოდიანო. გაპირდაპირებია ეკ-

ლესიაი ზემოჯვარხევსა. ეს ქვემოჯვარხევია. ამას ციხე გაპირდაპირებია. იქ ჯერ არ არიან. ხანდახან დაგვიშენენ ხოლმეო. ამისი დაკავება აუცილებელია. ციხისაო. დღესვე. დღესვე. ამაღამვეო. ბევრია ერთისთვისა ამისი ტვირთი. ვარაზისაი. რაღა თქმა უნდა. ორგზად ავა. სამი იყოს. ავა და ჩავა. ვინ დაუშლის. ჯერ იქ არ არიან. ესენიც რო მიშველებოდნენ. ცუდი არ იქნება. ტვირთიც ააზიდვინონ. გვერდშიც ამოუდგნენ. არც ცუდი იქნება. აუცილებლადაც უნდა მიიჩნიონ. მაგრამ ვინ უწყის თუ რა ჭკუისანი ბრძანდებიან: ტაქტიკა მოსწონთ სამხედროებისა თუ გადაწყვეტილებას იცავენ პოლიტიკურსა. ხელისუფლებისა. პოლიტიკა ეგებ რო უცებ შეიცვალოს. ჯარსაც ეგრეევე გადააადგილებ. ან ეკონომიკაო. პოლიტიკა რო იქაც იცვლება. მართლაც რო ზოგჯერ უცებაც იცვლება. ეგრეევე შეცვლა ადვილია ეკონომიკისაცა. სად თუ როგორაო. ვისთვის თუ როგორაო. სად თუ ვისთვისაო – ჭკუაზედაც დამოკიდებულა. ცოდნაზედაცა. გამოცდილებაზედაცა. გარემოებაზედაცა. ყველა სწორადა გაქვს განლაგებული?.. ჭკუა?.. ცოდნა?.. და გამოცდილება?.. გარემოების განჭვრეტაც ძალგიძს?.. ერთადა და ერთდროულადა?.. რო გიმუხთლოს რომელიმემა?.. ანთუ არ გეყოს?.. ჰა?.. გგონია რო სრულად გაგაჩნია. რო გიმუხთლოს რომელიმემა: გამოცდილებამა პირველყოვლისა. როდისაქეთია სახელმწიფო აღარა გქონია. როდისაქეთია თავისუფლება აღარ გიგრძვნია. ახლა თუ გრძნობ – თავისუფლება არის ესა? მართლა გგონია რო თავისუფლებაა?.. მართლა?.. მართლა?.. ღმერთმა ჰქნას რო მართალიც იყოს!.. კმარაღა განა თავისუფლებაი სამართავადა დაქუცმაცე-

ბული ქვეყნისა და ღატაკი ხალხისა. კუდის რიკამდე გატყავებული ხალხისა!.. გარემოება რო სხვა მხრით გერეკება – გლობალიზაციაო – ან რა ქვეყანა შეგრჩება ხელთა ან რა ხალხი გადაგირჩება!.. რაც თუ როგორაო: ციხე ამაღამვე უნდა აიღოს. და აი მაშინ გამოიღო ხელი. ვარაზმა: ვცდი აბა ღვინო თუ აღარ მაწყენსო. მოუწონა რო მასპინძელმა. გაამხნევა მეზობელმაცა. გაამხნევეს და წაათამამეს. წათამამებულიყვნენ რო თვითონაცა. სასმელი რო მოჰკიდებოდათ. ჯერ ცოტათი მოჰკიდებოდათ. მერე ვინ უწყის მიშველებოდნენ ტვირთის ციხემდე ატანაშიცა. ვირი რო გვყავდესო. წამოსცდა მასპინძელსა... ბიჭოს ესენიც რაღაცასა ფიქრობენო. ვარაზმა. ხოლო მასპინძელმა:

ჩვენ ჰო კახელები არა ვართო. არ გვეკადრებაო. ერთისიტყვითა. მოიბოდიშა ისევ თვითონვე. ისიც თვითონვე დაუმატა: „არადა უფრო ამტანი. უფრო გამოსადეგი. უფრო ერთგული სხვა ცხოველი არ მეგულება. ადამიანიც არ იქნება ეგრე ერთგული ადამიანისათვისა."

„როგორ შეწუხდნენ კახელები ვირების მობილიზაცია რო გამოაცხადა ბერიამა!!!." ომის დროსა. მეორე მსოფლიო ომისა. გერმანელები რო მოაწყდნენ კავკასიონსა. ვარაზმა გაიხსენა.

„შეწუხდნენ რომელია!.. ომით რო შეწუხდნენ მაგითი კიდევ უფრო მეტადა."

„რამდენი ხუმრობანიც მოჰყვა!.." მეზობელმა.

„ანეკდოტები!.. უამრავი!.." ვარაზმა. „საოცარია ადამიანი. მოსთქვამს და მაინც სასაცილოდ უჭირავს თვალი და ყური!.."

„ეგრე არა ვართ!.." მეზობელმა.

„რანიღა ვართ?!. ხუმრობაც დავკარგეთ. ნდობაც დავკარგეთ ერთმანეთისა. ან ის ომი რაო ან სხვა მაშინდელი უბედურებანი რაო. ახლა რო ვართ – უარესიც აღარ შეიძლება. აღარც გვეტირება. აღარც გვეცინება. ცრემლიც ჩაგვშრობია. მოთქმის თავიც რო აღარა გვაქვს!.."

„მე თქვენ უფრო გულადი ხალხი მეგონეთ." ვარაზმა. „ტყვიას გიშენენ და გადაგიღეღიათ გული!!!."

„ეგ რა გულადობაა?!." მასპინძელმა.

„მეც ეგ არ მიკვირს!.." ვარაზმა.

„აბა რა ვიღონოთ?!." მეზობელმა.

„თქვენ რას იღონებთ ჯარსაც რო თავი დაუღუნია?!.." მეზობელმა რაღაც ჩაურთო. მასპინძელმაცა. ვერ გაარჩია ვერცერთის ნათქვამი. ვარაზმა. ცხადია. აღარც აჰყოლია. იმათ ისევ სადღეგრძელო თქვეს. ცოტა უფრო უხალისოდა. ვარაზმა აღარც დაჰხედა ჭიქასა. მე უნდა წავიდეო. ვარაზმა. მგზავრის აჩქარება არც გაუკვირდათ. აიქარეს რო თვითონაცა. არ გამოსტოვეს საყოველწმინდოი მაინცა. არა. არა. რაღა თქმა უნდა. გაინაწილეს რო ბარგიცა. ამისი. ვარაზისა. მიაჩერდნენ ისე იმგვარადა: რო ამოიკითხავდი ან საით მიდიხარ ან ეს ტვირთი რითი უნდა ზიდოო. ამოიკითხავდი თუ თვალს შეავლებდი. არც თვალის შევლება არ უცდია ვარაზსა. თქმითაც არ უთქვამს არაფერი. ან რა ეთქვა რო – თვითონაც რო ანდეს მიჰყვებოდა. აქამდის ასე მოსულიყო. წინ ხევი ედო ახლა. ხევგაღმა მთაი. მთაზე ნანგრევები ციხისა. ძეძვნარში ჩაფლული. ავარდნილიყო რო ხეებიცა ალაგალაგა. ტყედ იქცეოდა თუ დააცდიდნენ. თელის ტყედა. თელიანადა. თუ დააცდიდნენ. ალბათ

რო არცა. ბილიკი გაეტანათ. გამოეკაფათ ძეძვიანი ქვევითქვევითა. მოაშიშვლებდნენ ნანგრევებსაცა. ჯერ შიგ ჩამჯდარიყო. შიგვე მოექცნენ ესენიცა. ვარაზი. მასპინძელი. მეზობელი. რაღა თქმა უნდა. მეზობელი გაჰქრა მაშინვე. დაახანა. ვარაზმა. მცირედა. და იკითხა: რა იქნაო. მასპინძელმაც იკითხა. რა განგიზრახავსო. გაენდო ვარაზი დაუყოვნებლადა. იმის ხელთ იყო. დასჭირდებოდა. იქ ისე მარტო ვერარას გაჰხდებოდა. იმანაც იეჭვაო. მასპინძელმა. ამანა. თავიდან ვერა. მერედამერეო. მაინც ინამუსა. ტვირთი მაინც ამოგვაზიდვინა. მეტს აქ აღარ დაყოვნდებოდაო.

„ორნიღა ვრჩებით." ვარაზმა. მაშინაც ჰო ორნი შერჩნენ – ადამია რო გააქციეს. მდევარს რო შეუკრეს გზაი. გამსახურდიასი. „ავტომატი რო სამი გვაქვს!.."

„შემოგვემატება ვინმეი უთუოდა."

„ეგ რად გაგვიდგა?.."

„ეგ ჰო... ეგ ჰო... ოსია!.."

„ოსი?!!."

„ოსი!.."

„რა ეტყობა???!."

„რა უნდა ეტყობოდეს?!. ნათლულია მამაჩემისა. ერთად გავიზარდეთ. აქვე დაესახლა. ორი ქალიშვილი ჰყავს. ქართველებს მისთხოვდნენ. ერთი გორში ცხოვრობს. მეორე თბილისში. ჩამოუდიან შვილიშვილები. მზე და მთვარე იმათზე ამოსდის. რა უნდა შეატყო ან რა არის აქ შესატყობი რო არ გვირევდნენ რუსები. ცხოვრებასა!.. რუსები და გადაგვარებული ოსები. რუსებადვე გადაგვარებული!.."

„არავინ დაგვაყენოს თავზედა!.."

„ჰოი... ეგ რა თქვი!.. მე ჰო თავი მოსაკლავი მეყოლება და არც ეგ იქნება საცოცხლებელი!.. თავის ჯილაგს ვერ ულალატებს. ეგ არის და ეგა. ვერც ჩვენ გვიღალატებს. ვერა და ვერა. რა ჰქნას რო არც იცის. მე მესმის მაგისი. მძიმე დღეშია. გადმოდის და ვსვამთ. გადავალ და ვსვამთ. მერე ვტირით და მერე მკერდში ვიბრაგუნებთ ხელებსა. ადვილია?!. რა დღეში ჩაგვყარეს. მე მაგათი... უკაცრავად. ბოდიში მომიხდია. რა საკადრისია!.. ვაჟკაცი რო გინებას დაიწყებს, რაღა ვაჟკაცია!..“ აღარც რა უთქვამს მეტი რო არაფერი. მიბრუნდა. მობრუნდა. მერე გაალაჯა. შთაინთქა ძეძვიანში. ესეც წამივიდაო. ვარაზმა. არც ხმა დაუწევია. არც გაჰკიდებია. არც დაუძრახავს. ისა. ცხადია. არც შეუფიქრიანებია სიმარტოვესა თავისასა. მოვიდეს რაც მოსავალია. ერთხელ დავბადებულვართ. ერთხელა ვკვდებითო. მაგრამ ისიცა: სიკვდილამდე ვის მოუკლავს თავი კაცსა გონიერსაო. ეს თავს იკლავდა სიკვდილამდისა. იჯდა ქვაზედა ციხის კედლებთანა. დანგრეული ციხისა. ერისთავებს რო აუშენებიათ. მაჩაბლებს რო უმზითვიათ. ამონყვეტილან ერთნიცა. მეორენიცა. ახლა კარგარეთელს მოუნდომებია – შეაკლას თავი – ვისაო რო არ იცის. საიდან რო მიეპარებიან – არც ის გაეგება. რამდენნი იქნებიან – არც ისა. აქვე შეიკლავენ თუ თან წაათრევენ – არც რო ისა. რაღა თქმა უნდა. იმათ თუ რა უნდათ, ეს იცის: ქართვლის ჯილაგი რო გააწყონ შიდაქართლშია. თვითონ დაიუფლონ. რუსეთს უბოძონ და ეყმონ რუსეთსა. ვითომ ისედაც ყმები არ იყვნენ იმათი: იმათი. რესპუბლიკაც შეჰქმნან იმავე დროსა. რესპუბლიკაი ალანებისა. დიდი. ძლიერი. რო გაუგონიათ თუ რო შეუთხზავთ. გადაეკიდნონ

კავკასიონსა აქეთა და იქითა. ხურჯინივით გადაეკიდნონ. იარონ მერე მტკვრამდინაცა და იმას იქითაცა. აკი მოხაზა აბაევმა 1919-ში. ჩვიდმეტი კაცით რო შევარდა ყოვლად მშვიდ დაბაში. ცხინვალი რო ერქვა. და მხოლოდ 7 კომლი ოსი რო ესახლა. 7. 7. გაქართველებულნი ისინიცა. მეტი რო არცა. ვახუშტიმ რო ამდენიც არ იცოდა. ცხინვალშიო მსახლებელნიო: ქართველნიო. ურიანიო. და სომეხნიო. არ იცოდა და ნუ იცოდა. ვახუშტი ვიღა მიგდიაო. აბაევმა. როქის მთები გადმოიარა. ფოსტას დაეცა ცხინვალისასა. ბანკს დაეცა. ფული გაესწროთ ბანკიდანა. ეკლესიის სალარო გამოსცალა. დეკანოზი თმებით ათრია და დეპეშა აფრინა მოსკოვსა. ლენინთანა. დავამყარე საბჭოთა რესპუბლიკა *ონიდანაო მცხეთამდისაო*. ამისთვის შემოიჭრა და ეს შეასრულა. ლენინი ელოდა ამ დეპეშასა. ელოდა და ახარა თავისიანებსა: საქართველო უკვე ჩვენია. საქართველოცა და ამიერკავკასიაცაო. ეს ისე გახლდა ლენინისათვისა – *ონიდან მცხეთამდეო* – ვითომცაო *ნიკოფსიიდან დარუბანდამდისაო*. ეს ისეც გახლდა და ისედაც აჰხდა. ელცინმა ცხინვალი შეინარჩუნა. პუტინი ცხინვალს ებღაუჭებოდა. ბათუმი დაჰკარგა. ეშლებოდა ბერმუდის სამკუთხედი: ბათუმი – სოხუმი – ცხინვალი. უფრო შმაგად ებღაუჭებოდა. ებღაუჭებოდა და ებღაუჭებოდა. ამათ ალანია ჩაეთქვათ გულში. დიდი. ძლიერი. ფართო. ზღაპრული *ალანიაი*. და თუ მართლაც რაიმე სურდათ. სიფართოვე თუ სურდათ მართლაცა, რას იჭედებოდნენ ამ ორწოხებში, იქით გასულიყვნენ, ფართე ველებზედა, დონამდისა და იმას იქითაცა, დონიც რო მოექციათ შუაგულში ალა*ნიისა*. გასულიყვნენ. გაწეულიყვნენ. გაეჯირითათ.

საბუთი ჰქონდათ უტყუარი და უცილობელი: დონი სხვა რა არის თუ არა წყალი იმათებრა?.. წყალი. მდინარეი. გაეწიათ. გაეჯირითათ. ურჩევდა. ვარაზი. იჯდა ნანგრევებზე ციხისაი. ერისთავიაანთ ციხისაი. მაჩაბლებს რო ემზითვათ. მერე ღვინის ვაჭარს რო ჩავარდნოდა ხელთა. მერე ბოლშევიკებსა. ახლა ოსები რო ეპატრონებოდნენ. მეშვეობითა რუსთა. იმათი ღალატიც რო ჩაედოთ გულში: დიდი ალანია რო ელანდებოდათ. იქითა და აქეთა კავკასიონისა. ვითომ ალანები თვითონ რო იყვნენ. ვითომ რუსებსაც მოატყუებდნენ. ანთუ დაუძვრებოდნენ ვითომც ხელიდანა. ვინთუ რასა ფიქრობს. რა ეოცნებება. ცდილობს კიდევაცა. ვინთუ. ვინთუო. ხოლო ძლიერნი ამაქვეყნისანი საითთუ მიაქანებენ კაცობრიობასა – გლობალიზმიო!.. მიაქანებენ და მიაქანებენ. მიაქანებენ და მიაქანებენ. იჯდა ვარაზი. ქვები ცვივოდა. იშლებოდა ციხეი. ორი თუ სამი მართლაც გადმოვარდა. ვარსკვლავები არა ცვივოდა. არც ისე ჩახჩახებდა ცაი ჯვარხევისა. არცა ჩახჩახებდა. არცა ბნელოდა. იყო ისე-რა: მკრთალვარსკვლავიანობას რო შეეფერებოდა. მკრთალვარსკვლავიანობასა. ის უფრო სხვაგვარი იქნებოდა. ის ღამეი. სიმღერის ღამეი: ვარსკვლავიანსა ღამეს მთვარე ანათებს მკრთალად. ტკბილია ბაგე ქალის მოწებებული თავად. ჰა?.. სხვა იქნებოდა. სხვაი. სხვაგვარი. იჯდა ქვაზედა. ვარაზი. რა თქმა უნდა. ქვა იყო თბილი. ჩაჯდა რო მაშინა. კედელიც თბილი. ციხისაი. რო მიეყუდა. მზე ჩავიდა და ცივდებოდა. ქვაცა. კედელიცა. სიცივეს უფრთხოდა. უეცრად ჩამოჰკრავდა. ფრთხებოდა მაშინვე. წამოიმართა. აძუნძულდა ციხის გარშემო. შაქრო დაბრუნდა ამასობაშია. ორი ნაბადი ამოიტა-

ნა. კოკითაცა წყალი. ნასმევზე მწყურდებაო. თვითონ დაიბრალა. ნაბადშიც გაეხვია. თავი ქვაზე მისდო. განთიადამდე ნურა გაფიქრებსო. ესეცა ბრძანა და მისცა ძილს თავი.

ღამე იყო ისევ ისეთი.

ცაზე მიეჭედათ ვარსკვლავები თითქოსა. არც ციმციმიო. არცა კრთომაო. ფერს გამოსცემდა მოლურჯმომწვანოსა. თითქოს უცემიათ. დაულილავებიათო. ვარსკვლავები. ვარსკვლავები. ცაზედა.

სოფლებში შუქი არც ანთებულა.

ვარსკვლავებს რა უჭირდა. დაბეგვილ ვარსკვლავებსა. გათანგულიყო დაბეგვილი სოფლები. ზემოჯვარხევი. ქვემოჯვარხევი. დარბევას ელოდა ორივეი. ერთი მაინც უსათუოდა. ზემოჯვარხევი. ელოდა და უდროვეს კიდევაცა. ამოიწვერა ცისკარი და ცეცხლიც გაიხსნა. უშენდნენ და უშენდნენ. ტყვიებს ტყვიებადა. ავტომატისაი. ყუმბარებს ყუმბარებადა. მხარზე რო გაეწყოთ. გადამდგარიყვნენ ცისკრის ციალზედა. ეკლესიის წინა. ნანგრევებისაო. თამამადა. გაბედულადა. უშიშრადა. წინააღმდეგობას რო არც ელოდნენ. რაღა თქმა უნდა. ჯარი იქ არ იდგა. შინაგანიო. მოსახლეობას არც რა გააჩნდა. არც საშუალებაი თავდასხმისა. მოგერიებისაც არაო. მოგვეცით იარაღიო. ეხვეწებოდნენ. მოსახლენი. რაღა თქმა უნდა. თქვენ თუ არა გაქვთ ან არ გემეტებათ, ჩვენვე შევიძენთ. უფლება მოგვეცით ოღონდაო. თქვენვე რო არ დაგვაპატიმროთ. უკანონოდ იარაღის ტარებისთვისაო. არაო. არაო. ომს ჰო არ ვაპირებთ ჩვენაო. იყავით მშვიდადა. დარწმუნდნენ თვითონვე – არც რო არ გვეშინიან მაგათიო. რწმუნდებოდნენ და რწმუნდებოდნენ. უშენდნენ და

უშენდნენ. ლეწავდნენ. ამსხვრევდნენ. ანგრევდნენ. შენობებსა. სკოლებსა. ამბულატორიებსა. საგამგეობოებსა. არც დაჭრილები არ ილეოდა. მოკლულებმაც იჩინა თავი. ჯარისკაცთაგანა მომეტებულადა. რა ომი იყო. რა რასა ჰგავდა. ვერც გაიგებდი. ვერც რო ვერავინ ვერაფერს აგიხსნიდა. ისე ხმა მაინც დაიპარებოდა: იმათშიაც ბევრი იხოცება. ოლონდ არ ამხელენ. ჩუმჩუმად ჯავას გააპარებენ. იქა მარხავენ. არ ატყობინებენ არაფერსა ჭირისუფალთაო. ვილაცას შეეთხზა. არცა სჯეროდა არავისა. ვთქვათ. თუნდაც ვინმეს დაეჯერებინა – განა ვითომ რა სიკეთე იყო ულეტაი ესე შეუწყნარებელი. აქეთ რო მომეტებულს ასახელებდნენ. არაო. ბრძანებდნენ პარლამენტშია. სულ თექვსმეტი გარდაიცვალაო. ჩვენი ჯარისკაციო. ვითომ თექვსმეტი ცოტა ყოფილიყოს. გამეტებული უაზროდა. უსარგებლოდა. ერთი გმირულადაც დაიღუპაო. გადაეფარა ყუმბარასა. ორი სხვა გადაარჩინაო. თვითონაც თუ გადარჩაო. იკითხა გულუბრყვილომა რომელიღაცამა. ალბათ სულსწრაფმაცა. არაო. რაღა გადაარჩენდაო. და ავდგეთ მაშ ფეხზეო. თავმჯდომარემა პარლამენტისა. პატივი მივაგოთ დაღუპულსაო. ადგნენ. იდგნენ. პატივი მიაგეს. დასხდნენ. ცხადია. პატივი მივაგოთ იმ თექვსმეტსაცაო. თავმჯდომარემა. ისევა. ცხადია. ადგნენ. მიაგეს. დასხდნენ და განაგრძეს განხილვაი ახალი საგადასახადო კანონისა. ეს დიდი დათმობაა ჩვენი მხრითაო. ამტკიცებდა პრემიერ მინისტრი. ჩვენ ჩვენსას ვასრულებთ. ყველაფერს ვასრულებთ. რასაც დაგპირდით რევოლუციის წინაო. ხოლო მოსთქვამდნენ გადამხდელები. მოსთქვამდნენ. ვალალებდნენ. ეს უარესია შევარდნაძის დროინდელზეო.

მაშინ ამოსუნთქვა მაინც შეგვეძლო. ახლა ვეღარც ამოვისუნთქებთო. ვერაო. ვეღარაო. რის ამოსუნთქვაო. რა ამოსუნთქვაო იქ ისე დაუშინეს ზემოჯვარხევსა. ამოიწვერა თუ არა ცისკარიო. პარლამენტს ეძინა. რაღა თქმა უნდა. მინისტრებსაცა. ეკონომიკური ბლოკისაო. სულო ცოდვილო და – ეგება რო ძალოვანმინისტრებსაცაო. მხოლოდ იაკურიძეს თუ ეღვიძა. ანთუ იმას რაღადა ნეტავიო. მე შენ გეტყვი ტაქტიკური გადაადგილება დასჭირდებოდა რომელიმე საჯარისო ნაწილსა. არაო. რა თქმა უნდა. ბრძანება გახლდა მტკიცეი და შეუცვლელი: იდექით. დგეხართ სადაც როო. ოღონდ თავი არ მოაკვლევინოთო. ცდილობდნენ ისინიცა. რაც რო შეეძლოთ. ვის ენდომებოდა ნეტავი სიკვდილი. გაიწირებოდა ვიღაც მაინცა. პატივს მიაგებდა პარლამენტი. გაიწირა ჰო ბოლოსდაბოლოს იაკურიძეცა!.. არა. ტყვიით არ დაცემულა. არც ნამსხვრევითა ყუმბარისაო. გაიწირა სააღდგომო ბატკანივითა. იმას დაბრალდა მარცხიო თუ შეცდომებიო. სადღაც გაჰგზავნეს სამხედრო ატაშედა. სადაო. ვარაზს არ დაჰხსომებია. არც გვარი ამგვარი არ გაეგონა მანამდისა. ენის გასატეხად თუ გამოდგება. დედაენაში შეიტანენო. თუ კიდევ გასწავლიდნენ დედაენასა!..

და დაუშინეს. ერთისიტყვითაო.

ზემოჯვარხევსა. ქვემოს ჯერ არაო.

ანთუ უფრო სწორად რო ითქვას: სროლა ასტეხეს და ვეღარ განაგრძეს. ვერა. ვეღარა.

ზურგუკნიდანაც ატყდა სროლაი. ციხე ცოტა ზევითაც გახლდა. ცოტა მაღლაცა. დაგორდა ლოდიცა. ვეება ლოდი. გუგუნ-გრიალითა. შხუილ-წუილითა. შვეულმფრენია თითქოსაო. ვის საით გაესწრო.

გარბოდნენ რო თავქუდმოგლეჯილნი. იარაღიც დაჰყარეს. ტყვიაწამალიცა. ყუმბარმტყორცნებიცა. ყუმბარებიცა. რაც რო უნდა შეეხარჯათ იმ განთიადისასა. ზემოჯვარხევისათვისა. შეეხარჯათ. შეელიათ. შეეწირათ. მერე წასულიყვნენ არხეინადა. ნაომარნი. გამარჯვებულნი. ან გაგვეცლებიან დღესა თუ ხვალეო ან კიდევ უარესს დავატეხთ თავსაო.

სოროში ძვრებოდა ზემოჯვარხევი. ხალხი. საქონელიც გადაემალათ. გადაემალათ. ტიალდებოდა ნარგავნათესი. ილეწებოდა ფანჯრები. შუშაბანდები. სახურავები. ინგრეოდა სახლები. ზოგი უძლებდა. ავარდებოდა ზოგან ხანძარიცა. ვინ მიჰხედავდა. სიცოცხლე ერჩივნა ყველას თავისი. თუ იმალები ვაჟკაცობა რაღას მიქვიან. ქალაჩუნაცა ხარ. მხდალიცა და ლაჩარიცაო. უარესი არც რაი ითქმის. რაღა მოხელეა მერე სული. გადარჩენილი ვითომაო. გამოიშლებოდნენ ასე ამგვარადა. მზე რო დაჰხედავდა ცოდვილ ქვეყანასა. დაჰხედავდა და გაიბადრებოდა: თქვენ უფრო სცოდავთ თუ მე უფრო ვანათებო.

ველარ გაანათა წუხანდელი რამ დალეწილი თუ დანგრეულიო. მზემა. რა თქმა უნდა. არცვინ დაეჭრათ. არცვინ მოეკლათ. არც საქონელი არ გაეტაცათ. ეს რო დილითაო. საღამომდის იმასაც მიჰხვდა. სოფელი. ცხადია: ის ხმა სროლისაი სხვაგვარად რო ისმოდა. ვიღაცა გაიქცა. ვიღაცამ გააქცია. ვიღაც ადიოდა. ციხის მხარესა. ციხის მხარესა. მიყრუებულიყო ტაძრის მხარეი. ეს მხოლოდ დღიურა. ღამიან ატყდა ტაძარი ისევე. ისევეო თუ უარესადა. უარესადა!.. უარესადა!.. სოფელსაც უშენდა ძველებურადა. ციხესაცა. მომატებულიყვნენ. გაშმაგებულიყვნენ. გამთენიისას შეწყდა სროლაი. გაილალნენ

ტაძრისეულნი. შაქრო დაეჭრათ. ხმა ასე გავარდა. ტყვიას გაეკრა. თვითონვე შეიხვია. იმათ ალბათ მკვდრები წაიღესო. ალბათო და მეტი არაფერი. სიკვდილი არც ენებათ ამათა არავისი. ერთ წვეთ სისხლსაც არ დაიტოვებდნენ. იმათსასა. შეარჩენდნენ ამ ნაკაწრსაცა. შაქროსიო. ოღონდ გასცლოდნენ. ორნი აღარც იყვნენ. ესენი. ვარაზიო და შაქროიო. სამი ბიჭი შემატებოდა. ბიჭიო იტყვიან. სამი ვაუკაცი. ავტომატებითა თავაანთივე. ერთი მაინც ზედმეტი რჩებოდათ. ერთიც შეემატათ ერთი ღამითა. და იმიტომაც დარჩა: რად უნდა ცდებოდეს იარაღიო. ტყვიაწამალიც შეიმატეს. ყუმბარებიცა. ყუმბარსატყორცნებიცა. შენ ფული დაანახვე და თვითონ მოგიცუნცულებენ რუსი სამხედროები. რასაც ინებებო. იმათა ჩუქნიან. ჩვენგან ფულს ითხოვენ. ვხოცოთ და ვხოცოთ ერთმანეთიო. ეს შაქრომა თქვა. რო დაიჩივლა ვარაზმა რო: გამოგველია ტყვიაწამალიო. გამოგველიაო და არც გამოელიათ – ბიჭებიც მაშინ შემოემატნენ. ერთი ქალიშვილიცა. ტანკსაც დავიყენებთ თუ თავს გამოვიდებთ. შვეულმფრენსაცაო. მე მზია ვარო. ქალიშვილმა. შეჰყურებდა რო ვარაზსა დაჟინებითა. დაჟინებითა და მორიდებითა. მიაჩერდებოდა და მოსწყვეტდა თვალსა. მიაჩერდებოდა და მოსწყვეტდა. რო მიაჩერდებოდა ისიცა – რაიო და რას ჩამაცივდიო. მერე კითხვაც გაუჩნდა. ვარაზსა. ვეება ხურჯინს რო ამოუგდეს ბაწრები. რო წამოაპირქვავეს. წამობერტყეს. გუდისყველი რო წამოგორდა მანამდისა. ნიშანი ეცნო. ხელი ეცნო.

ეს საიდანაო. ვარაზმა. ვისი ხელიაო.

ჩემიო. მზიამა.

შენიო. ვარაზმა. ველარც რა აწამა. გაუფართოვდა თვალები მხოლოდა. ისედაც დიდი თვალები ჰქონდა. მსხვილი წარბწამწამი ეყარა ზედა.

ჩვენიო. მზიამა. უფრო რო აეხსნა. ჩვენი ფერმისაი. დედაჩემის ხელია. მეც ეგრევე დამჩემდა. ჩემს დებსაცა. ერთმანეთისაგან ვერ გამოარჩევ. ჩვენია. ჩვენა ვართ. ჩვენი ფერმისა�აო.

„ვიცნობ მე ამ ყველსა. ეს ხელიც მეცნაურა...“ ვარაზმა.

„ბაზარზეც გაგვაქვს. ფირმებსაც მიაქვს...“ რა გასაკვირიაო.

„მე შინ მომართვეს...“

„იამა და თეამა!.. ვიცი. წუხდნენ: ვიღაცამ ჩამოგვართვა. ბატონ ვარაზს არ შეგვახვედრაო.“

ახლა ეს იაო. თეაო კიდევა. „ბატონ ვარაზს არ შეგვახვედრაო.“ ან ეს მზია თვითონ ვინ არის. რად მისჩერებია დაჟინებითა. კითხვანი სხვანიც გაუჩნდნენ ვარაზსა. აღარ გაჰყოლია. არც რა უძიებია აქამდისა. არც ახლა იძიებს. უნებლიეთ მივიდა თუ ნებითა ვინმესი, სადაც რო მისულა. ისევ ის ატარებს, ვისი ნებაც არის. ატარებს და ატაროს. არც ეკითხება ნებაი სხვისი. თვითონ აქ მოსულა. თავისი ნებით მოსულა აქა. ამოჰფარებია კოშკებსა მოშლილსა. ციხედარბაზსა დანგრეულსა თუ ამოვარდნილსა. ტაძრისმიდამოდან რო აჰყაროს მტერი, სოფლის აყრა რო მოუნდომებია. ქართული სოფლისა. მოუყვანია და დგას და იცავს და იდგება და ფეხს არ მოიცვლის და გადაწყდება და როგორც გადაწყდება. მანამდე არ მოიცვლის ფეხსა. თავი თუ შერჩება. რაღა თქმა უნდა. არ შერჩება და აქ დასდებს თავსა. უამისოდაც აშენდება თბილისი. აქამდისაც

თუ ეცილებოდა რაღაცრაღაცაო, ახლა ჰო სულაც გაინაპირეს. ააშენებენ უამისოდაცა. ერთ ქალაქს როგორმე ააშენებენ. ესაა ქვეყანას რა ეშველება. ვინ ააშენებს. რამდენი ირქმევდა აღმაშენებელსა – ორჯონიკიძეო. ფილიპეო. ბერიაო. შევარდნაძეო – ამას დაეხსენი. თავისი ეყოფა. არა. ვისზე რა ნაკლებიაო. შიგადაშიგ სხვანი და სხვანიო. წინ კიდევ რამდენი. წინა და წინა. იარე თუნდაც აღმაშენებლამდე მართლაცა. ვინ რა ააშენა?.. ვინ რა მიუმატა?.. თამარმაო. კეთილი. მერე?.. კიდევ ვინ რაიო.

XVII

კაცნი ვარგოდნენ. ვითარებამ არ გაუმართლაო.

სდიე სდიე ვითარებას, გადაჰყვები ბითურობასო.

მეც რაღაც ასეთი ჰო არ გამომდისო. ვარაზმა. არადა არც ეს მკვდრული ყოფა აღარას გვარგია. თუ ცოცხლობ უნდა ცოცხლობდე კიდეცაო. და შეუტია. მერედა მერე ისე შეუტია – აღარც რო ტყვია აღარ გაასროლინა სოფლისაკენა. აღარ აუშვა ეკლესიამდეცა. გადავიდა შეტევაზედა. ეკლესია თვითონ აიღო. შაქრო დაიჭრა. ვეღარც თვითონ რო ვეღარ შეიხვია. ვეღარც რო ფეხზე ვეღარ დადგა. ექიმი ავიდა თავისი ფეხითა. ექიმი. ის ქალი. ეზოში რო დალანდა. ვარაზმა. შაქროს ეზოში. მწვანე ხალათი ემოსა მაშინაცა. ექიმის ხალათი. დაემატებინა წითელი ჯვარი. მიემაგრებინა გულზედაცა. მკლავზეც მოეხვია. შუბლზე იტკიცა ხელი ვარაზმა: დროშა რატომ არ გამახსენდაო. იქაც დროშა უნდა დაერჭო. ციხეზედა. ნანგრევები რამდენჯერ ითქვას!.. და თანაცაო –

რაც რო დაგიცავს ციხესიმაგრეა. რასაც აიღებ იგი-ვეა. ციხესიმაგრეო. დროშები უნდა დაერჭო. ცხა-დია. და. რაღა თქმა უნდა. ბიჭებმაც იტკიცეს ხელი შუბლზედა: ჩვენ რატომ არ მოგვაფიქრდაო. იტკი-ცეს და იტკიცეს. იტკიცეს და დაფაცურდნენ კიდე-ცა. ვარაზმა შეაყოვნა. თვითონ მიხვდა და თვითონ-ვე შეფიქრიანდა. მაგრამ რომელიო. როგორთუ რო-მელიო. ბიჭებმა. ხუთჯვრიანიო. არ ივარგებსო. ვა-რაზმა. ახლა არაო. აქ არ ივარგებსო. როგორთუ არაო. განხეთქილება იწყებოდა. ვარაზი რაღაცას ამტკიცებდა. ვარაუდობდა და ამტკიცებდა. ბიჭები არც უსმენდნენ. არც არას ამტკიცებდნენ. არცა ვა-რაუდი არად მიაჩნდათ. ვარაზმა თავისი არ დაიშა-ლა. არც დაიშალა და გაიტანა კიდევაცა. თუმცა რა-იო და რა გაიტანა: ბიჭებმა უარჰყვეს – რასაც მოით-ხოვდნენ. ამანაც დასთმო – რასაც იცავდა. მენშევი-კების დროშას იცავდა. არა. არ მოსწონდა. გამსა-ხურდიამ რო ის შეარჩია. დროებითაო. ეხამუშებოდა მაინცა. ეუხერხულებოდა. დანახვა არ უნდოდა. მაგ-რამ ახლაო. ხუთჯვრიანი დროშა რო აღვმართოთ, მთავრობას არ შევუშალოთ ხელიო. იმას თავისი მო-ლაპარაკებები აქვს მოსკოვთანა. ჩვენ აქ ციხე ავი-ღეთ. ტაძარი ავიღეთ. ბარემ ცხინვალიც რო ავი-ღოთ. ალალა ჰო არ არის. ან ჩვენ ვინა ვართ ან იქ ვინ იცის. მოსკოვშიო. რის საბაბად გამოიყენონო. გამ-სახურდია მაინც წარსულია. მენშევიკებიც ჰო დიდი-ხანია. იმათით ვერაფერს ვერ იშარებენო. რასა ბრძანებო. ბიჭებმა. ცხადია... გამსახურდიამ რო მა-გათ დღე აყარა. მენშევიკებმა უარესიო. ჰო გადაი-რივნენ ოსები. იმ დროშას კიდევ თუ მოჰკრეს თვა-ლიო. ნეტავი ოსებს ვინ რას აკითხებსო. ოსებიც სა-

ბაბია. დროშაც საბაბია. საბაბს საბაბის დამატება აღარ უნდაო. აღარ უნდაო. არაო. აღარაო. ორი მთა აიღეს. არცერთი დროშა არ დაურჭვიათ.

დაჭრილი გაიყვანეს სოფელში. პატარა საავადმყოფოცა ჰქონდა. სოფელსა. საავადმყოფოს არც უძახდნენ. ექიმის სახლიო. და მართლაც სახლი ექიმისა გახლდა. ექიმი თვითონ იყო. პატრონები უვლიდნენ ავადმყოფებსა. თვითონ აშენებდა საავადმყოფოსა ზემოჯვარხევი. ამის იმედითა. ამავე ექიმისა. არც ეუარებოდა. რაღა თქმა უნდა. მაგრამ ვინ აცდიდა. რამდენი ააშენეს. იმდენი დაუნგრიეს. ტაძრის მთიდანა. ჯერ იმას ანგრევდნენ. გადასწვამდნენ ჯერ იმასა. მერე მისდგებოდნენ უკეთეს შენობებსა. ქოხმახებს არ ერჩოდნენ. შეიცოდებდნენ კარმიდამოსა საწყალი კაცისა. ოლონდ საბძლებს არ განარჩევდნენ საწყალისა იყო თუ გამთავნებულისა. ერთნაირადა სწვავდნენ. ცეცხლს უკიდებდნენ ერთნაირადა. ზოგი ახლა დასწვანო. ვარაზმა. რაღა გადარჩათო. ბიჭებმა. შაქრო რაღაო – შაქრო ჰო წაიყვანეს –

„გიცნო?..“ იკითხეს ქალიშვილებმა. მზიამა. იამა. თეამა.

„არც დავუნახივარ.“ ექიმმა.

„არაااااა?!!!.“

„რა გითხრათ. არ ვიცი. კარგადაც არ შემოუხედია...“

„რითი გართულიყო ასე გულდაგულა?!.“ მზიამა.

„ეკამათებოდა...“

„ბიჭებსა?!.“ იამა.

„ბიჭებსა!..“

„რაზე?!.“ თეამა.

„დროშაზე...“

„ჯერ მაშინვე ჰო პატრიარქი მიემხრო...“ მზიამა. „ახლა ჰო პარლამენტმაც დაამტკიცა!..“

„შენ ისა თქვი – დედა რო ვერც უცვნია!..“ იამა.

„ორჯერ შეჰხვდა. ერთხელაც ვერ იცნო!..“ თეამა.

„ეს კიდევ იტყვის: სიყვარულიო და ასეო და ისეო!..“ მზიამა.

„მე ის არ მითქვამს – იმას ვუყვარდიმეთქი. მითქვამს?!. წამომცდენია?!.“ დედამა. ექიმმა ანუ. „მე მიყვარდა. რაღა დროს ჩემი ესეებია. ოღონდ მოგონება ყოველთვის შეიძლება... და ყველაფრისაც შეიძლება...“ დიახ. მიყვარდაო. „ვიეთნი დასცინიან ცალმხრივ სიყვარულსა. სიყვარულს არა აქვს მხარე თუ მხრები. სიყვარული სიყვარულია. არც სახე არა აქვს. არა. არა. არაფერი არა აქვს. უჩინარია. უსახურია. ოღონდ მწველია და გამთანგველი. არც ცეცხლი არ არის. არც სულთამხუთავია. არც რაი ეთქმის. ხილვით ვერ იხილავ. ვერც წარმოიდგენ. იდუმალებაა. შენია. შენეული. ის იქ ვინ არის თუ ვისთუ ესწრაფი. ნიშნეულებაა. განცდაი შენი მაინც რაიმეს რო მიამგვანო. ის შეგამჩნევს თუ ვერთუ შეგამჩნევს. სწრაფვაი შენი შენეულია. შენია და თავისთავადი. ნიშნეულება იყოს თავისთვისა. ვერც რაი იგრძნოს. ვერც დაინახოს. იყოს. რას გიშლის. ანუ შენსს განცდას როგორ აღკვეთავს!.. – არც რო დაინახვება. არ შეეხება არც რო ხელი. არც დასწვიმს. არც დასთოვს. ქარტეხილიც ვერ გაიტაცებს. ის სხვაა – რო შეგნიშნავს. რო აგყვება. ქორწინებას რო შემოგთავაზებს. ის ცხოვრებაა. ისედაცაა ისა. სიცოცხლეა და ცხოვრებაა. გამრავლებაა ანუ. გამრავლება სიცოცხლისეული მოვლენაა და მოვალეხარ სიცოცხლის წინაშე. გამრავლება ისედაც შეიძლება.

სიყვარული რად უნდა გამრავლებასა. მოწონება კმარა. თუნდაც არ მოგწონდეს. მოთხოვნილებაა ბუნებრივი. ყველას ბერობა არ მოუხერხდება. მონოზნობაც არ არის ადვილი. ეს მაინც კაცთა მოგონილია. სიცოცხლე მხოლოდ თავისას მოითხოვს. ცხოვრებას მოითხოვს. ცხოვრება ჯაჭვია მოვალეობათა. მოვალეობა კავშირს მოითხოვს. ზოგჯერ მაღლდება რო სიყვარულამდეცა. ზოგჯერაო. თუ როგორღაცაო. სიყვარული მაინც სხვა რამ გახლავს – უსაგნო. უნივთო. იდუმალი. თუნდაც ღვთაებრივი. ასე მგონია. ან ასე დამემართა ან გამართლებას ვუძებნი ჩემს თავსა. ახლაც რო მახსოვს ალბათ იმიტომა. სიბერე რო მითრევს ალბათ იმიტომაცა. გახანგრძლივებაა ალბათ სიცოცხლისა გალამაზებაი მოგონებათა. მაგრამ იმხანად – არც ეს მავიწყდება – თანაგრძნობა მინდოდა იმისი. მომწონდა. მხიბლავდა და ვეძიებდი თანაგრძნობასაცა. ვერ მოვიპოვე. არ ვიტყვი რო ვერ ვეღირსემეთქი. არა. არა. იდუმალება შემრჩა ისევე. ისევ იმავე იდუმალებადა. შემრჩა სიყვარული. შემრჩა. მსხვრევაი იმისი არ განმიცდია. ის ჰო თავდება იმავე ხანსავე – ხელსმოაწერ თუ ჯვარს დაიწერ. თუნდაც ორივე მოვალეობას რო მოიჰხდი. დიახ. მოიჰხდი მოვალეობასა. ამა პირველ მოვალეობასა. და შეუდგები აღმართსა დიდსა. აუთავებელსა. ჯაჭვსა თუ კიბესა მოვალეობათა. საპატიო მოვალეობათა. ოღონდ მაინც ის სხვაამეთქი. უმოვალეობო. იდუმალი. შენი. შენეული. უსახო სახიერი. უნივთო ნივთიერი. შეიძლება რო ბრმაცა. ყრუცა. სულელურიცა..." და უცებ – რამდენსა ვლაპარაკობო. „რა მოცლილებივით ჩამოვმსხდარვართ?.." ჯერ თვითონ აიმართა. შეიფრთხიალეს ასულებმაცა. შეიფ-

რთხიალეს და აჭიკჭიკდნენ. აჭიკჭიკდნენ და წავიდ-ნენ. გაფრინდნენ.

სალაპარაკოდ არც ეცალათ.

ძილის წინ თუ მოიცლიდნენ სალაპარაკოდა.

მაშინაც ძილი ართმევდათ თავსა.

უჯიათ შრომაში შებმულიყვნენ. აღარ ეშვებოდა აღარც ისა. შრომაი. ცხადია. ვეღარც ესენი გამოეხ-სნებოდნენ. წარმატება მოჰყვა და წარმატებაა რო ჩაგითრევს. გინდა თუ არა, გაქცევს თავისადა. შენ შენა ხარ და იმისადაც იქცევი. ანთუ აღარც რო აღა-რა ხარ შენა. ერთხანს საქმე ვერცთუ აეწყო. საქო-ნელსა სტაცებდნენ საძოვრებიდანა. გზაზე ყველსა სტაცებდნენ. ფერმაშიაც მიეჭრებოდნენ. ერთხელ ერთიანადაც გაურეკეს ფარაი ცხვრისა. არ ანებებ-დნენ არცთუ იოლადა. ავტომატებსაც წაავლეს ხე-ლი გოგოებმა. ნუ გაგახსენდება ნურც ფალოსოფო-სები. ნურცა თოფი ოთარაანთ ქვრივისა. მალე ჩამო-ართვეს ავტომატები. ამათა. გოგოებსა. ქართულმა სამშვიდობოებმა ჩამოართვეს. ჩვენ დაგიცავთო. იცავდნენ და ვერც რო იცავდნენ!.. ოთხმხრივ კომი-სიაზე იმსჯელებდნენ. მიმართავდნენ იმ ეგრეთწო-დებულ *დეფაქტო* ხელისუფლებასაცა. *ვერ ვაკონ-ტროლებთო* თავს იმართლებდნენ. *ბოევიკებსაო.* ეგენი ჩვენთან არ შემოდიან. არ გვემორჩილებიან ჩვენაო. მაშ ვინ არიან. ანთუ მაშ ვის ემორჩილებია-ნო. იკითხავდნენ იმავე ოთხმხრივ კომისიის სხდო-მებზე. იკითხავდნენ და არც უთმობდნენ. ისინიც თქვენა ხართ და თქვენც ისინი ხართო. იყო ჯახი. და-ვა. კამათი. დავიდარაბა. ხანთუ დაიშოშმინებდნენ. ხან ისევა დავობდნენ გახელებულნი. ისინი მეტნი გახლდნენ. სამნი. მოდავენი. თავს ვინც იცავდა –

ერთი. პატრონს ერთი ხმა მისცემოდა. მოძალადესა – სამი. ხელშეკრულებაც ამასა ჰქვიან და დაიტრაბახებს კიდევაცა დამდები ამ ხელშეკრულებისა. როგორც რო ისიც დაუტრაბახია: სტრატეგიული მნიშვნელობა ჰო არა აქვს ცხინვალსაო. მოსკოვისათვისაო. ასე რო სჭრი ნაკერიც გამოდის ასეთიევი. ერთი ხმა სამ ხმასთან რას გააწყობდა. და ვერ შეთანხმებოდა რო კომისიაიო თუ სხვა რა ჰქვიან. ანთუ როდის თუ რა ერქვა თუ რა დაერქმევა კიდევ როდისაო – ეშმაკმა დალახვროს; ანთუ მოსკოვი კიდევ თუ რა შარს წამოიწყებდა. დაიწყებოდა გაცვლაი ნოტებისა. გამოცვივდებოდნენ იქა. დუმაში. ბაბურინები. ზატულინები. ისინიც იმავე ეშმაკმა დალახვროს. აქ დაიწყებოდა ტაციობაი. ტაციობაი ამათი ძროხებისა. ცხვრისა. ყველისა. ისევ ჩადგებოდა ბატალიონი მშვიდობის დამცველთა. ქართული. მაგრამ ჩამდგარიყო რამდენი ერთგანა – რო გაფანტულიყო ქართული სოფლები. იქაც იტაცებდნენ. იქაცა. იქაცა. რუსები ადვილად იმართლებდნენ თავსა. სამშვიდობოები. ჩვენ აქ გასაშველებლადა ვდგევართ. თქვენს შუაში ვდგევართ. ოსებისა და ქართველებისაო. ქურდბაცაცობა ჩვენ არ გვეხება. თქვენ მიჰხედეთო. *დეფაქტო* ჰო – ჩვენ მაგათ ვერ ვაკონტროლებთო. მწყემსებს ჩომბახები ეჭირათ ხელში. ვთქვათ რო კომბლებიცა. თუნდაც ხანჯალი შემოერტყათ, რას გახდებოდნენ *ბოევიკებთანა*. გოგონებს ჩამოართვეს ჰო ავტომატები. და დაემუქრნენ კიდევაცა: დაგაპატიმრებთ იარაღის უნებართვო ტარებისათვისაო. ნებართვას არ აძლევდნენ. იმათ ნებართვა არ უნდოდათ – *ოსბოევიკებსა*. არა. არა. არაფერი არ უნდოდათ. ვითომ ვერც რო აკონტროლებენ. და იკ-

რიბებოდა კომისიაი *ოთხმხრივი*. ერთი ხმა რო თავდამცველს ეკუთვნოდა. სამი მომხვდურსა. იკრიბებოდა და იკრიბებოდა. მრავლდებოდა და მრავლდებოდა ნოტები. გუგუნებდა მიკროფონები. *დუმაში*. გუგუნებდა და გუგუნებდა: ჩვენ ვერ დავუშვებთ სამხედრო კონფლიქტებსა ჩვენს საზღვრებთანა. ჩვენ არ გადავალთ ჩვენს მოვალეობასა: დავიცავთ ჩვენს მოქალაქეებსა. სადაც არ უნდა იყვნენ ისინიო. განვახორციელებთ პრევენციულ დარტყმებსა პანკისშიო. კოდორშიო. სადაც თუ გვეგულება ტერორისტების ბუდეებიო. იმუქრებოდა რო ლავროვი. ივანოვს უკვე მოეყარა ბომბდამშენები და გამანადგურებლები ჩრდილოკავკასიის სამხედრო აეროდრომებზედა.

ამათ ცოტა საშველი მიეცათ.

ცოტაი. ცოტაიო.

რაღა თქმა უნდა!..

თორემ რა საშველზეა ლაპარაკი: როცა რო რუსეთი იმუქრება. დიდი რუსეთი. იგივე დღეს დავათენებ საქართველოსაო, ერაყს რაც რო დააწია ამერიკამაო!..

სად ერაყიო და სად საქართველოი.

ამას ვერც განსჯი კომისიაზე ოთხთა – სადაც რო სამი ხმა თავდამსხმელს ეკუთვნის. ერთი – თავდამცველსა.

ამათ მაინც შეღავათი მიეცათ.

როგორაო. იკითხავ. და აი ასეო:

წამოეშველნენ ის ბიჭები. ვაჟკაცებიო. ვარაზსაც მხარში რო ამოუდგნენ. არც ვარაზი ჰო არ ელოდა – ესენიც არა. ერთად მივიდნენ და ერთად განუცხადეს: ჩვენ დავიცავთ თქვენს ფერმასაო.

ფერმასაც დავიცავთ. საქმეშიც არავის არ ჩამოვ-
რჩებითო. განუცხადეს და არც სიტყვა არ გაუტეხი-
ათ. სალაპარაკოდ არც იმათ არ ეცალათ. ძილის წინ
თუო. მაშინაც ძილი წაართმევდათ თავსა. რაცთუ
თქვეს. იმ პირველი გაცნობისასა. მერე იმდენი
აღარც რა უთქვამთ. აღარც რა გახლდა მეტი სათ-
ქმელი. არც ანებებდა საქმეი სიტყვასა. იმ პირვე-
ლად წარუდგნენ რო:

გაგაო. ერთმა განუნოდა ხელი.

გიგიო. მეორემა.

გუგაო. მესამემა.

ასე უხმობდნენ შინაცა. გარეთაცა. ასეც შესჩვე-
ოდნენ. დადებულიყო წესიცა ასეთი: ყველა კნინო-
ბით მოიხსენიებოდა. თავის სახელი ეუხერხულებო-
დათ თუ რაიო თუ რატომაო – ვინ განსჯის ან ახსნას
ვინ მოუძებნის, ჩამოვარდება რო ჩვევაი ისეთი –
ახირება როა, სხვა არც არაფერი. ახირებაც ახირე-
ბაა. მოსკოვისა არ იყოს რო აუხირებია: მაგრად ეჭი-
როს საქართველოი ხელში. თუ რაში სჭირდება,
ვერც გაუგია. რო მოეშვას რო ის ურჩევნიან – ვერც
ამას გაიგებს. უბედურებაც ეს არის იმისი. მოსკოვი-
სა. რუსეთისა. მთლად რუსეთისა. მოსკოვს მაინც
მოსკოვი დააქცევს. საშველიც ეს არის საქართვე-
ლოსი. ხოლო ამათ რო ცოტა ეშველათ – გაგასა. გი-
გისა. და გუგასაგანა. სამივეს ამათგანს გიორგი ერ-
ქვა. დიდი სახელი. ამაღლებული. საპატიო სახელი.
ნათლობის სახელი. თუ მოიშლი ნათელმირონსა.
ამაღლებულობას თუ მოიშლი – გაგაც გახდები. გი-
გიც გახდები. გუგაც გახდები. ესენი მაინც კარგი ბი-
ჭები გამოდგნენ. ესენი წარუდგნენ ჯერ რო დედასა.
მერე გოგონებსაც ჩამოურიგდნენ:

გაგაო.

გიგიო.

გუგაო.

და გაუწოდეს ვეება ხელი. თითქოს ერთი არ ეყოფოდათ – ორორი ხელით ჩამოართვეს ხელი. არც რო შემკრთალან ქალიშვილები. იმათაც ნაჯაფი ხელები ჰქონდათ. მომცროი. ოღონდ კარგად ნაჯაფი.

და ჩამოართვესო და ორივე ხელითაო და დააყოვნეს. ცოტა დააყოვნეს. ცოტა. სულ ცოტა. და აფართხალდა მომცრო ხელები დიდ ხელებშია და გამოსხლტა მომცრო ხელები და დარჩა გაშვერილი დიდი ხელები. მცირე რამ ნაცნობობაც ეთქმოდათ. ერთხანს ამათ ფერმასაც იცავდა იმათი ნაწილი. სამშვიდობო ბატალიონი. ქართული ნაწილი. რაღა თქმა უნდა. მოეთავებინათ სამსახური საჯარისოი. ჯერ არც გამგზავრებულიყვნენ შინა – ამათ მოაკითხეს. არ იფიქრო თითქოს დიდი რამ ნაცნობობა ჩამოვარდნილიყოს ამათ შორისა. ან რაღაც ამდაგვარი ან მომეტებული. არა. არ იფიქრო. ბიჭები გახლდნენ ცოტა თავისებურნი. ანთუ ერთნაირნი როგორღაცაო. უცებ მოაფიქრდათ. უცებ გადასწყვიტეს. უცებვე გამოუტყდნენ ერთიმეორესა: ახლა შინ ჯდომა რო არ ივარგებდა ვაჟკაცისათვისა. უფრო ადრევე ისიც დაადგინეს, ბიოგრაფია რო ჰქონოდათ ერთგვარი. სკოლის დამთავრებამდის არა. მერე უნივერსიტეტში რო მოწყობილიყვნენ. ერთი ჯავახიშვილის უნივერსიტეტში. ერთი პოლიტექნიკურში. ერთი სამედიცინოში. თბილისში. მოწყობილიყვნენ და ვერცთუ კარგად მოწყობილიყვნენ. არც რო სტუდენტებს არ უნდოდათ სწავლაი, არც ლექციები არ ენებათ პროფესორებსა. პოლიტიკას გაეტაცა სტუდენტებიცა. ვერც

პროფესორებს რო ვერ გაეძლოთ უიმისოდა. გაყოფილიყვნენ სტუდენტები ცალკე. პროფესორები ცალკე გაყოფილიყვნენ თუ დახლეჩილიყვნენ თუ დაწვრიმალებულიყვნენ. ზოგი აქეთაო. ზოგი იქითაო. ხელთათმანებივით იცვლიდნენ პარტიებსაო. შედარება ძველია რაღა თქმა უნდა. ძველი. ძველის ძველი. ან ხელთათმანის ფაბრიკა სადღა იყო ან შეძენის თავი ვისა ჰქონდა ან გამოცვლისა. ფურთხი აბაზიანი ეგონათ. პროფესორებსა. დაეწოდებოდნენ არავინ დაგვასწროსო. ესეც ძველია. პროფესორებზე არ ითქმოდა იმდროსა. ღატაკზე ითქმოდა. ძველია ოღონდ შესაფერისი. უფრო დროული და მოსწრებული. გასაგებიცა უფრო. ვიდრე რო ისა: ხელთათმანებს იცვლიდაო. რა სათქმელია. სოფიკო ჭიაურელს თუ შერჩენოდა ერთი წყვილიღაო. ისიც ვერიკოს ნაქონიო. ისიცაო დაკემსილიო. პროფესორებს არაო. არა. მარიკა ლორთქიფანიძესაც არაო. ანთუ ვის ეცალა კიდევ რაიმეს გამოსაცვლელადა – გატაცებულიყვნენ რო გამოცვლითა პრეზიდენტებისა!.. ესენი დაიბნენ. ეს ბიჭები. ერთი სიღნაღიდანა. ერთი ლანჩხუთიდანა. წალენჯიხიდანა ერთიცა. დაიბნენ. გაბოცდნენ. დააღეს პირი. სატირლად არა. გაოცებისგანა. მიდგნენ აქეთა. იქითაც მიდგნენ. იქითაცაო და იქითაცა. ვერავის მიეკედლნენ. ვერავინ იგუეს. არავინ ჭკუაში არ დაუჯდათ. ღმერთმა შეგარცხვინათ თქვენცაო და თქვენი უნივერსიტეტებიცაო. თქვენი პარტიებიცა. თქვენი განხეთქილებაცა. თქვენი ოპოზიციაცა. პოზიციაცა თქვენიო. თქვა სამივემა. ცალ-ცალკე. ცალცალკე. ერთმანეთს არც იცნობდნენ. ჯარი ამჯობინეს. გაზეთები აქებდა ჯარსა. ტელევიზიაც ჰო აქებდა და აქებდა. აი ჯარიო. სად საბჭოთა ჯა-

რი. სად ქართული ჯარიო. იქ არც იცოდი თუ რას იცავდი. ვის იცავდი. სად დაგათრევდნენ. აქ – სამშობლოს იცავ. შენს მამულს იცავ. ვეღარც ვეღარავინ შეგეცილება ამიერიდანაო. ამჯობინეს რაღა თქმა უნდა. მალე იქაც გაუტყდათ გული. ყველაფერი ის მართალი გახლდა. მაგრამ რო არა ჰგავდა ჯარი ჯარსა!.. რაღაცასა ჰგავდა. ჯარს მაინც არაო. იქ არ ედგომებოდა თავმოყვარე კაცსა. თავმოყვარეობაც ძლიერი დაჰყოლოდათ. ყოყლოჩინობა არა. ყელყელაობა არა. პატივმოყვარეობა არა. ნამდვილი თავმოყვარეობა დაჰყოლოდათ. ოღონდ ისაა – რო არ ედგომებოდათ იქა, წასვლაც არ იყო ისე ადვილი. დეზერტირებად გამოაცხადებდნენ. ციხეში უკრავდნენ თავსა. ან სიღნაღში როგორღა გამოჩენილიყო სიღნაღელი ან ლანჩხუთში ლანჩხუთელი ან წალენჯიხაში წალენჯიხელი. როგორა აბა – ეგება რო სიკვდილიც უჯობდეს სირცხვილნაჭამ თავმოყვარეობასა!.. ისევ უნივერსიტეტი ჯობნებულაო. პასუხს იქ არავინ არა თხოულობს. გინდა წადი. გინდა მოდი. ახლაც რო დავბრუნდეთ, არავინა გვკითხავს – სად იყავითო. ჯობნებულაო. რაღა თქმა უნდაო. მაინც არ გასწიათ გულმა იქითა. ამერიკული წვრთნისა და აღჭურვის ბატალიონებში გადასვლა ითხოვეს. ისიც ცალცალკე. ერთმანეთს ჯერაც რო არ იცნობდნენ. უარიც მიიღეს ისევე ცალცალკე. ცალცალკე ათრიეს ისევა ჯარის ტვირთი. უმძიმდათ თუ როგორც თუ რა იყო. ათრიეს. ეთრევინენ. გაიტანეს. აიტანეს. იქ ერთად მოჰხვდნენ. სამშვიდობო ბატალიონშიო. ნიქოზში. ერთადაც გამოუშვეს. ერთადაც მოჰხვდნენ ამათ კარზედა რო არც იცოდნენ რომელი საით რო მიეშურებოდა. ერთადაც მოჰხვდნენ. ერთადაც შეჰღიმეს

ერთიმეორესა. მერე იყო რო – ჩამოართვეს ხელი... პატარა ხელები დიდ ხელებშია. ნაჯაფი. ნაჯაფი ხელები ხელებში.

ცოტა შვებაო. ამაზე ითქმის.

ფერმის საქმესაც აუდიოდნენ. სამშვიდობოებსაც უთანხმდებოდნენ. რუსებსაცა. ოსებსაცა. იმ ეგრეთწოდებულ *ბოევიკებსაცა*. ვითომ ცხინვალი რო ვერ აკონტროლებდა. უთანხმდებოდნენ და იარაღსაც უჩხაკუნებდნენ. აღარც ცხვარი იკარგებოდა. აღარც ძროხაი. აღარც გზიდან აღარასა სტაცებდნენ. ამათა. ამათა. გოგონებსა. სხვებისთვის არა სჭრიდა გავლენაიო თუ მარიფათი ბიჭებისა. ხან საით აწიოკდებოდნენ. ხან საითა. რაღა თქმა უნდა. ახლა ჯვარხევი ერთიანად დაიცვეს. ორივე ჯვარხევი. საქმე ახლა იყო.

ატყდნენ სამნი ოთხთა თათბირზედა: რო გააყრუეთ ქვეყნიერებაო – სამშვიდობო მოლაპარაკების მომხრენი ვართ. ჩვენაო. ეს არის სამშვიდობო მოლაპარაკებაი. თქვენიო. ჯვარხევისთავი რო დაცხრილეს *ბოევიკებმა*. თქვენმაო.

ჩვენ *ბოევიკები* არა გვყავსო. ჩვენ სახელმწიფო ვართ. არმია გვყავს. არმია. შინაგანი ჯარი. პოლიცია. თავის ადგილსა და სრულ წესრიგში. შეგვიძლიან რო აღვადგინოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი მთლიანობა ერთბაშადაცა. მაგრამ ჩვენს მოქალაქეებს ჩვენ თოფს არ ვესვრით. მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით მოვურიგდებითო. მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზითა. მხოლოდაო და მხოლოდაო. ერთმა.

ბოევიკები არა გყავთო?!. ამასაც უარჰყოფთო?!! ყველაფერს უარჰყოფთ და ამასაც უარ-

ჰყოფთ. რაღა თქმა უნდა. მაგრამ ფაქტებს სად გაექ-
ცევითო. მაშ ვინ დაცხრილა ჯვარხევისთავი. ვინ აჰ-
ყარა ოსური სოფელიო. სამმა. გაცხარებულმა. გა-
ნითლებულმა სამივემა. სიცხარისაგანა.

რა ჯვარხევისთავი. რომელი ოსური სოფელიო.
ერთმა. დაბნეულმა და გაფითრებულმა მართლა-
ცაო. იმათი გაცხარებაც რო მართალი ეგონა. განით-
ლებაცა მართალი. სირცხვილისაგან არა. რა თქმა
უნდა. ცრუობდნენ რო. დაცლილიყო რო ჯვარხევის-
თავი დიდიხანია. ცხინვალს წასულიყო მთელი სო-
ფელი – რა მთელიო – პატარა სოფელი. ხრიოკი. ხრი-
ოკი ქალაქი ემჯობინებინათ ხრიოკი სოფლისათვი-
სა. იქ დარჩენოდათ სახურავები წონოლაი. ყავრისა.
მაღალი. მაღალი. ანონილი სახურავები. ბევრგან
ჩამპალი. ჩამტვრეული უპატრონობითა. ტაძრის მთა
დაჰკარგეს და იქა დავობდნენ – დაცხრილეს თქვენ-
მა *ბოევიკებმაო*. ბიჭები იცინოდნენ. ცრუობენ ასე
უსირცხვილოდა. ოსები ცრუობენ. კვერს უკრავენ
რუსებიო. თუნდ ისე თქმულიყო: რუსები ცრუობენ.
კვერს უკრავენ ოსებიო. როგორც უნდა თქმულიყო
– სიცრუე სიცრუეა. შარი შარი. ცუდი ამბები დატ-
რიალდებოდა. საჩქაროდ აქედან უნდა გავიდეთო.
ვარაზმა. იარაღიც უნდა გადავმალოთ. მეც უნდა გა-
დამმალოთ. თქვენ ჰო ალიბი გაქვთ. მწყემსები
ხართ. მოჯამაგირენი კერძო ფერმისაო. გადავმა-
ლოთ და გადავმალოთო ესეიგიო. ბიჭებს მეტი თქმა
არ დასჭირებიათ. ისედაც ჰო ჰქონდათ სამალავი ია-
რაღისაი. ვარაზიც შეაფარეს. საავადმყოფოსა. შაქ-
რო ამდგარიყო. გაუსწორეს იმისი საწოლი. თვით
ექიმი ემსახურებოდა. ზენარშალითას ასდიოდა სუ-
ნი უთოსი. მხურვალე უთოსი. ბალიში ჰო – ის იყო.

ისა. დიდედას ბალიში. ერთხანს იქაცა. იმ საავადმყოფოში. თბილისში. რო გაახსენდა და არც ავიწყდებოდა. ხელმაც რო მოსტაცა თვალი. ვარაზსა. ხელმა. ხელებმა. ისევე შემოერტყნენ აქეთ-იქიდანა. ბალიშსა. ისევე მოჭმუხნეს. მოჭყლიტესო. თითქმისა. წვერებსაც ისევე ჩაეჭიდნენ. ირიბადა. გასწიეს და წამოსწიეს ისევე. მიბუშტეს და ამოუქარეს ისევე. აზიდეს. ააფუეს. ორად აქციეს ერთი. თითქოსა. მიაყუდეს მერე მუთაქასა. ნაზადა. მსუბუქადა. მიალერსებითა. მარჯვენა ხელიც მოჰხვდა ასევე. მიალერსებითა. ბალიშის ყურსა. და გაისმა კიდევაცა: მოისვენეთო. ალერსოვანივე ნაზი ხმითა. თვალები მილულა. ვარაზმა. უმალვე. ეჩქარებოდა ბალიშში ჩაერგო თავი. ბალიშში. ბალიშში. უზრუნველ ბავშვობას რო მოაგონებდა. გამოჯანსაღებისას რო მოაგონდა. და აი ახლაცა!.. არა. ბალიში ითრევდა. ბალიში აჩქარებდა.

„გიცნო?..“ გოგოებმა. სათითაოდაცა. ერთადაცა. რამდენჯერმეცა.

„ვერა!..“ დედამა. სინანულით არ უთქვამს. ვერა და – ნუო. მაინც ჩაიხედა სარკეში. „ის აღარცა ვარ. ან მაშინ...“ ხელი ჩაიქნია.

„შენ თუ იცანი?!.“

„ოოოოო... ის სხვა იყო!.. ახლაც ჰო ჰხედავთ!!!. მაშინ????.. ჰოოოო... ვერც წარმოიდგენთ. ვილაცას ჰო უნდა შეადაროთ?.. ვის შეადარებთ!..“

„რა არის ეს გაუნელებელი აღტაცება?!.“ მზიამა. გაოცებითაცა. ყვედრებითაცა. შენგან მიკვირს. რა დაგმართნია ბოლოსდაბოლოსაო.

„რა არის?..“ თეამა.

„დიახაცა!..“ იამა.

„ბოლოსდაბოლოსა!..“

„სიყვარული!..“ დედამა. ალმურიც აეკიდა მქრქალ ლოყებზედა. ალმური. უცნაური. როგორღაც უცნაური. არც რო სიმორცხვისა. არც რო სიამაყისა. არც რო მობრუნებული ახალგაზრდობისა. არც რო ასეთი. არც რო ისეთი. როგორღაც უთქმელი. ენით უთქმელი. არა თუ ენითა ესეოდენ აღრეულითა – დღეს რო ქართულია – სრულიც რო გახლდა. თავანკარიც რო გახლდა. ენითაცა მაშინდელითა.

XVIII

თუმცა აღრეულიყო ენაი ქართული – გიმტკიცებენ როგორაც რო ენათმეცნიერები – ხან ბერძენთა თუ ლათინთაგანაო. უფრო იქით თუ აღარ გაიხედები. ხან სპარსთა თუ არაბთაგანა. ხან მონღოლთა თუ ოსმალთაგანა. ხან ხაზართა თუ ყივჩაღთაგანაო. ძალოვნება მაინც შერჩენოდა ისეთი. შინაგანი. მოურეველი. უძველეს ტექსტებსაც რო კითხულობ ადვილადა. დღესა. დღესა. დღესაც ისევე წინაპრები როგორც რო კითხულობდნენ. ხოლო ახლა რა გვეშველება: რა მოძალებაა ესე ჯერაც გაუგონარი ან შინაგანმა რა რღვევამ გიწია – დღევანდელ ნაწერებსაც რო ვეღარ გაარჩევენ დღევანდელივე ახალგაზრდები. ხვალვე. ხვალვე ვეღარ გაარჩევენ; ან რა ხვალეო: დღეს ესმით განა?!. იკითხე. დაეჭვდი. მაგრამ გული არ გაიტეხო. ყველაფერი რო წარმავალია, წარივლის ესეცა. იმძლავრებს ისევა იდუმალი ღონეი შინაგანი. იდუმალი და უხილავი. დარჩება მხოლოდ ნალექები გლობალიზმისაცა. პოსტმოდერნისაცა.

თავსმოხვეული რეფორმებისაცა. გაშრება. გახმება. გამტვერდება. წაიღებს ქარი მსოფლიოისა. სინედლე შენი კვლავ გადაგარჩენს. ოღონდ გჯეროდეს. ოღონდ გჯეროდეს.

ჰო –

ეს ისე. სიტყვამ რო მოიტანა. თორემ თავს არ იწუხებდა საენათმეცნიერო საკითხებითა ქალბატონი სიდონიაი. ესღა აკლდა. სხვა ყველაფრით შეწუხებულიყო. სოფლის მამიდა შეერქმიათ. მამიდობდა კიდევაცა სოფელსა. მამიდობდა. მამიდობდა. სინამდვილეში არა ბრძანდებოდა მამიდაი არც არავისი. არც დედა არ გახლდა. თვითონ აღეზარდა. თვითონა პატრონობდა. ოღონდ თვით არ ეშვა – არცა მზიაი. არცა იაი. არცა თეაი. არა. არა. ბავშვთა სახლიდან გამოეყვანა თანმიდევნებითა. ჩჩვილები. რამდენიმე დღისანი. არც უშვია და არ უწოვებია არცა ძუძუი. სხვაფრივ უდედა. უერთგულა და დედობდა ისევა. და შვილობდნენ ისინიცა. შვილობდნენ ისე – შრომობდნენ რო თავწახრილები ბავშვობიდანვე. როგორც რო შეეძლოთ. ფერმიდან სულაც გაათავისუფლეს ბოლო ხანებშია. დედაი ესე. ესწავლებინა რო შრომის სიყვარული, არ გაეწაფა მაინც ისე რო – ჩარჩით და ჩაიბუდეთ უთუოდ სოფელშიო. არა. არაო. ისინიც ესწრაფვოდნენ უნივერსიტეტსა და მზიამ პირველმა შედგა ფეხი უნივერსიტეტში. რაღა თქმა უნდა. შედგა და გამოვარდა პირველივე სემესტრიდანვე. მერე აღარ მონდომებია უნივერსიტეტი აღარც იასა. აღარც თეასა. აღარა. მორჩა. მოათავეს ისე ზეპირადა. არც უნანიათ არასოდესა. არა. არა. ნუ გეგონება – ცოტას მაინც ინანებდნენო. მზია დაბრუნდა გულგატეხილი. გაუტყდათ გული

იმათაცა. იასა. თეასა. ვითომ თვითონვე ჩაცვენილიყვნენ ყოვლად უცნაურ გარემოებაში. თვითონვე. თვითონვე. ისევე რო ეოცნებებოდათ თბილისი. როგორც რო მზიასა. ეგონათ რო მაღლა. სულ მაღლა. სადღაც ზეცაში რო ვერ ააღწევდნენ და ჩაცვენილიყვნენ უცნაურ გარემოში... მზიაი როგორცა. რო ვერ გამოაღწევდნენ. და უკვირდათ მზიასი – როგორ გადარჩაო. არადა არც რასა ჰყვებოდა გასაკვირსა. დაიკოი იმათი. იასი. თეასი. არც რასა ისეთსა. ვითომ და რაო თუ თამამობდნენ ყმაწვილკაცები. ბილწსიტყვაობდნენ. თავსიგდებდნენ და აბუჩად იგდებდნენ სხვებსაცა. არც არავინ არად მიაჩნდათ. არც რო ტოლსწორნი. არც უფროსობაი. გარდასულნიც არა. სასაცილოდაც არა ჰყოფნიდათ. ასულნიც ასევე. თითქოს არცთუ განსხვავდებოდნენ. იმათგანა. ყმაწვილთაგანა. არეულიყვნენ თითქოსაო. ენაპირითაო. ქცევითა თუ უარყოფითა ყოველივესი: ზრდილობა რასაც რო დარქმევია. პატივისცემა. ღირსება. სიკეთე. თანაგრძნობა. კდემა. სინაზე. სიფრთხილე. მორიდება. წაშლილა ზღვარი ზრდილობასა და უზრდელობას შორისა. სიავესა და სიკეთეს შორისა. მეგობრობასა და მტრობას შორისა. სინაზესა და სიტლანქეს შორისა. ხელს გადაგხვევენ რო არც გეკითხებიან. გაკოცებენ რო არც არად გაგდებენ. იმასაც აკოცებენ. იმასაცა. შენს თვალწინა. იმას შეაგინებენ და ისევ აკოცებენ. სვამენ. რასა სვამენ, არცა კითხულობენ. ეწევიან. ეწევიან. ეწევიან. სიგარეტი ჰო ვითომც არაფერი. კიდევ რაღაცას ეწევიანო. მეც მომიკრავს თვალი. ლაპარაკით ჰო გადაგრეევენო. რას არ ამბობენ. ვისზე აღარა. წერითაცა წერენ. თათხავენ. ლაფავენ ერ-

თიმეორესა. ხან ერთმანეთსა. ხან ყველა ერთსა. ყველანი ყველასა ხანაცაო. კიდევ კარგი გაზეთები არ მოდის ჯვარხევში. შუქიც იშვიათია. ტელევიზორს რო მივაჩერდეთო. ან ვისა სცალიან საამისოდა. იქა სცალიანთ. შიანთ. სნყურიათ. დაეცეცებიან ბნელში. სალაზღანდაროდ მაინცა სცალიათ. კიდეცა თვრებიან და დარბაზსაც უვსებენ ყოვლად უნიჭო საესტრადო მომღერლებსაცაო. დიდი და პატარა აღარ განირჩევა. არც შენ გარჩევენ. გეთამაშება დიდიცა. პატარაცა. ცხვირმოუხოცავი ყმაწვილიცა. აცუნცრუკებული ბერიკაციცა. ველარ გაიგებ საით გაიქცე. თავი სადთუ შეაფაროო. „უკვირდათ ჩემს თანაკურსელებსა." მზიამა. ცხადია. „უნივერსიტეტში როგორ მოხვდიო. არცა ქომაგი. არცა ქრთამი. არც თითი არავის დაუკარებიაო. არცა გვჯერაო. ვერც დავიჯერებთო... ლამის გამაგიჟეს..." მზიამა. „ვეცრუე. თავი როგორმე რო გადამერჩინა: რაც მაგათ დედაჩემმა გუდის ყველი უზიდამეთქი... აქამდე ცხრა უნივერსიტეტს დავამთავრებდი ამერიკაშიმეთქი. რაღას არ ამბობდნენ. ეს იმდენიც არაფერი იყო. მე მაინც ცეცხლი მეკიდებოდა. მიწა გამხეთქოდა და თან ჩავეტანე. ათასჯერ მერჩია. არც ცეცხლი მწვავდა. არც რო მიწა არ იპობოდა. ისევ ხატებთან თუ მოვინანიებდი. ქაშვეთში. მამადავითზე. სიონში. სანთლებს ვანთებდი და ვევედრებოდი: „მომიტევეთ ტყუილი და ნურც გამამხელთ დედაჩემთანა. ვიდრე მე თვითონ არ შევჩივლებმეთქი." რაცთუ რა იყო – ასატანს აიტანდა. მოსარიდალს მოირიდებდა. მაგრამ დამძიმებულიყო ქალაქი. ხმებით უფრო დამძიმებულიყო. ხმები ანგრევდა. თვითონ არ უნდოდა ნგრევაი ქალაქსა. შენება უნდოდა. შენება

არაო. შენებასაც არ ანებებდნენ... დავრჩე თუ გავ-
ბრუნდეო. ეკითხებოდა საკუთარ თავსა. მზიაი. ცხა-
დია. ყოველ საღამოსა. ვნახოთ ხვალაო. ხვალაც
იგივეს ეკითხებოდა. ბოლოს გადაწყდა. გადაწყდა
თითქოს მოულოდნელადა. არადა ელოდა. ყოველ-
დღე ელოდა. გადაუწყვიტა ერთმა ანეკდოტმა. არა
ახალმა. ძველმა. ძველმა. არც ისე ძველმა. საბჭოო-
ბის იქით აღარ მიდიოდა. საბჭოობაც მოძველებუ-
ლიყო. ანეკდოტი არა. ანეკდოტი თუ მართალიო. ვე-
ღარ გაარჩევდი. არც მაშინ რო არ განსხვავდებოდა.
საბჭოობის დროსა. ყველა ყველა და რა ქმნილა
სულხან-საბოლოგი?!. რამდენი რამის გადმოტანა
შეიძლებოდა!.. რა მახვილი ანეკდოტები ითხზვებო-
და სტალინის დროსაცა. თვით სტალინისა!.. ხრუშ-
ჩოვის დროს ჰო გაიფურჩქნა ჟანრი ანეკდოტისა.
ზეპირი მოთხრობისა. რაღა თქმა უნდა. სულხან-სა-
ბაც არ დაიწუნებდა. რო ვერ მოესწრო!.. არ შედგე-
ბოდა ნაკლები კრებულები. არც რო მერეო. არა და
არა. ბრეჟნევი იყო თუ ვინმე სხვა ბრძანდებოდა.
დადგინებას რო ვერ ასწრებდა – უსწრებდა ნათ-
ქვამნი მახვილგონივრული. ზოგი ნიჭიერი თუ მა-
ღალნიჭიერი. თავთავისებური. აზრობრივადა. სტი-
ლისტურადა. ზოგიცა უნიჭოი თუ ნაკლებ ნიჭიერი.
მამხილებელი მაინცა. მამხილებელი. და ჰქონდათ
შიში სნორედაც ამისი – მხილებისა. ბოლშევიკებსა.
ჩვენ არაფრისა არ გვეშინიანო. ტყუილად იტყოდ-
ნენ. ეშინოდათ და ეშინოდათ. დასცემოდათ შიშის
ზაფრაი. ანეკდოტებითა. შიშმა დაიტანა. დალენა.
დაფშხვნა. მეანეკდოტენიც დაალპო ციმბირმა. ვინ
შეაგროვებდა?!. ვინ ჩაიწერდა?!. ან რა ჩაწერა უნდა
ფოლკლორსაო. და უნდა თურმე. მეხსიერება რო

აღარ არის ისეთი – ძველ ბერძნებს რო ჰქონდათ. ძველ ჩინელებსა. ეგვიპტელებსა ძველსა. მეხსიერება რო დაჩაგრა დამწერლობამა. ძველთაგანვე. ახლა ჰო სულაც ბოლო მოუღო კომპიუტერმაო. ინტერნეტმაო. ემუქრება რო აღსასრული წერაკითხვასაცა. რაღა თქმა უნდა. რაღა თქმა უნდა. შენ თითი დააჭირე – ზეპირ მოგხსენდება რასაც რო ინებებ. ან საბალოგი ვიღას უნდა ან თუნდაც ახალი სულხანსაბაო. და მაინც არაო. არაო და არაო. მაინც სად ჩამოგრჩა საბალოგიო. ჩამოგვრჩა და აი: შეჰხედა პროფესორმა და თვალში მოუვიდა სტუდენტი. გოგონაი. რაღა თქმა უნდა. რაღა თქმა უნდა. რაღა თქმა უნდა. იმანაც შეაპარა თვალი. ცოტა ირიბადა. ცოტა ისე რო აიღერღებოდა მსუნაგი კაცი. აიღერღებოდაო. და აიღერღა. დააყარა და დააყარა შეკითხვები. დააყარა და დააყარა. თუ რამ იცოდა ისიც დაუღავდა სტუდენტსა. ისე დააყარა. შე დალოცვილოო. პროფესორმა. ასე მოუმზადებელი რამ მოგიყვანა. ეს ჰო სპეცკურსია. უბრალო საგანი ჰო არა გგონიაო. მოვემზადები ბატონო პროფესოროო. უნდა მოემზადო. რაღა თქმა უნდაო. ოღონდაო. მე აქ ველარ ვივლი. აგარაკზე მოდი. მუხათწყაროზეო. სად არის ეგ მუხათწყაროო. ჰკითხე გოგოებსა. მოგასწავლიანო. ჰკითხა. მიასწავლეს. გამოცდა აღარც გაგრძელებულა. მცირე საუბარი ამთაიმთისა და სტუდენტმაც იცოდა თუ რაისთვის მიდიოდა აგარაკზედა. პროფესორმაც იცოდა თუ რაისთვის მივიდა და რო მორჩნენ – რასაც რო უნდაა მორჩენილიყვნენ – მოიღუშა პროფესორი. კოპები შეიკრა. გაგულისდა. შეწუხდა სტუდენტი: რაო კიდევ არ დამინერ ნიშანსაო. ხუთს ვერ დაგინერო. რატომაო.

ქალიშვილი რო არ გამოდექიო. შე დალოცუილოო. სტუდენტმა. ამ შენს სპეცკურსამდე ან მისაღები გამოცდები არ გავიარე ან მარქსიზმ-ლენინიზმი არ ჩავაბარე. ისტმატი. დიამატი. ან სხვა აუარებელი ხარახურაი დამატებითაო. ვიდრე სპეცკურსამდე მოვაღწევდიო. მოუთხრო ესე დიასახლისმა... გასართობადა. რაღა თქმა უნდა. ამხანაგიც შეესწრო. ჯვარხევიდანა ისიცა.

„მერე?..“ იკითხა მეორე ჯვარხეველმა.

„მერე და მერე!..“ გაიცინა დიასახლისმა. კიდევ უფრო გაიცინა. მზიას როდი გაუცინია. მაგრამ ეს იმდენი არაფერიო. არ გაუცინია და ნუ გაუცინია. მთავარი ისაა – აკი არ გაუწყრა ღმერთი კიდევ ერთ პროფესორსა!.. არა. არა. პროფესორს არა. უფრო მზიას თუ გაუწყრა ღმერთი. ადგა და კითხვა დაუსვა პროფესორსა. იმანაც უპასუხა. დასძინა თანაცა: თუ გინდა უფრო ღრმად ჩაუყვე ამ საკითხსაო. სათანადო ლიტერატურას მე მოგიტან. შემდგომ ლექციაზედაო. და დაავიწყდა და მოებოდიშა და შინ დაიბარა. შენვე წაიღეო. დაუწერა მისამართიცა. დაუთქვა დროცა. ის მისამართი იქვე დახია. მზიამა. დააქუცმაცა. ნაკუწებად აქცია. დაჰკრა ფეხი და თავი ამოჰყო ჯვარხევშია. დედას მიზეზი არ უკითხია. აღარც იასთვის არ უკითხია: ახლა რაღაო. რას აპირებო. სკოლის დამთავრების ატესტატი რო მიიტანა შინა. აღარც თეასთვისა. იმანაც დაამთავრა მიყოლებითა. სკოლაი. სკოლაი. სკოლაზეა აქ ლაპარაკი. ჯვარხევის სკოლაი. ზემოჯვარხევისა. ახლა რო სულაც დაცხრილეს და ცეცხლი შეუკეთეს. არც უკითხია. არც ჭკუის დარიგებას არ მოჰყოლია: ასეო და ისეო. სწავლა ყველაფერია. სხვა არაფერი არა-

ფერიაო. და ასეთებსა. არც მოჰყოლია. გადაკვრი-
თაც არც არა უთქვამს. შრომას შესჩვეოდნენ გოგო-
ნები. არ ეუცხოებოდათ. არც ეთაკილებოდათ. არც
ეზარებოდათ. დაე მართლაც რო ყველაფერი ყოფი-
ლიყო სნავლაი. ყოფილიყო. შრომაც ჰო იყო და
შრომასაც უნდოდა ადამიანი. ადამიანი. ადამიანი.
სწორედაც რო დაუზარელი და გულმოდგინე ადამი-
ანი. სნავლასაც ასეთივე უნდოდა. რაღა თქმა უნდა.
მშრომელი უნდოდა. დაუზარელი უნდოდა. გონიერი
უნდოდა. ვაგლახ რო ეტანებოდნენ მოზარმაცენი.
ცალტვინანი. გაზულუქებულნი. ეტანებოდნენ. და
ეტანებოდნენ. რაც დრო გადიოდა უფრო ასეთნი
ეტანებოდნენ. უკვირთ სნავლულნი ძველნი. გარდა-
სულნი. პატიოსნებაც უკვირთ. განსწავლულობაცა.
უკვირთ და ეგაა. მაინც ავსებენ უნივერსიტეტებსა.
ავსებენ და ავსებენ მშობლების ჯიბითა. ბიძების
გავლენითა. სილამაზითაცა. ვინც სათანადოდაც
გამოიყენებდა. აქ რაღა ხელი აქვს პატიოსნებასა.
განსწავლულობა რაღა შუაშია. აქ ისიც ითქმის. ბო-
ლოს მაინც ჯიბეღა დარჩა. პროტექციამ მოსჭამა
ჭირი. აღარც სილამაზე აღარა სჭრის თვალსა. ჯიბე
სჭრის და ჯიბე ჰკერავსო.

რაღას არ აჰყვება მოცლილი კაცი.

ვარაზზე ითქმის. რაღა თქმა უნდა.

მიმალულიყო საავადმყოფოში. ფიქრს აჰყვებო-
და ასე ამგვარსა. იმას არაო – თუ რისთვისაც მიმა-
ლულიყო. სათაკილოც გახლდა. მომადუნებელიცა.
ჯანი ისედაც რო ვეღარ მოსდევდა. ეფერებოდნენ
გოგონებიცა. ეფერებოდნენ და შეიფერა. მორიგე-
ობდნენ სათითაოდა. მზიაცა. იაცა. თეაცა. ფერმა
ფერმადაო. არც ამ საქმეს არ აკლდებოდნენ. კურ-

სშესრულებულ მედდებსაც არ ჩამოუვარდებოდნენ. არც ჩამოუვარდებოდნენ და სჯობდნენ კიდევაცა. თუნდაც იმითიო. ვარაზმა. იმათთვის ეს სამსახურია. გასამრჯელოს ემსახურებიან. ამათთვის საქმეა შინაური. ოჯახური საქმეაო. მზიასთვისა. იასთვისა. თეასთვისა. საქმე და საქმეო. არც რა ახსოვდათ თითქოს რო მეტი. მოწიფულიყვნენ რო. ყველაფერს რო დრო აქვს თავისი. ყველაფერსა. ყველაფერსა და ყველაზე მეტად მოწიფულობასა. მეტადა. მეტადა. ყველაზე მეტადა. არც ახსოვდათ და განევლოთ თითქოსა კიდევაცაო. განევლოთ ისე, არც რო შეემჩნიათ. დედაც რო არ შეახსენებდა!.. ყველამ თავისი საქმე იცოდა. ყველა ჩაეთრია თავის საქმესა. სიდუ მითუმეტესა. სიდონია მამიდაი. იმან თუ რაც იგრძნო. განიცადა თუ რაი. გატაცებად ექცა. აღტაცებად ექცა. გამთანგველად ექცა. ერთგულებად ექცა სხვათადმი. სიკეთედ ექცა. წინდაუხედავ სიკეთედა. რო არავისგან არაფერს არ გამოელოდა. არც გაეგებოდა თუ რა უნდა მიეღო ან თუ ვისგანა ან თუ საერთოდა. არც გათხოვილიყო. არც არავისით აღარ მოხიბლულიყო. არც შეცდენა არ ეცადა იმისი არავისა. იყო და იყო. ხელდაუკარები. ტუჩდაუკარები. მოუცლელი. თანგადაყოლილი. ყველაზე და ყველაფერზეო. ოღონდ სასიკეთო რამ ყოფილიყო. სად ეცალა გოგონებისთვისა!.. ხანდახან რაღაც თუ წამოსცდებოდა. მოგონებაი როგორც როო და სხვა არაფერი. აძლევდა რაც გააჩნდა. გოგონებსა. რაღა თქმა უნდა. უანგაროდა. უშურველადა. უფიქრელადა. სხვამხრით მხოლოდ მაგალითი იყო. შრომის მაგალითი. ერთგულობის მაგალითი. თავდადების მაგალითი. სხვა რაღა გადაეღოთ გოგონებსაცა. მერე და რა

კარგები იყვნენ!.. ბალიშსაც რო ისევე აუფუებდნენ ვარაზსა. ცხადია. დიდედა როგორცაო. ხელსაც რო ისევე შემოჰკრავდნენ. ნაზადა. მსუბუქადა. თითების კვალსაც რო დაუტოვებდნენ. ბალიშზედა. ისევე. ისევე. დიდედა როგორცაო. კარგები იყვნენ. კარგები და ბედისა კარგისა ღირსნი.

არც კარგი სჩანდა. არც ცუდი სჩანდა. ბედი!..

ის თავისით ყურსაც არ შეიბერტყავდა. ბედი!..

ხმობა უნდოდა იმასაცა. ბედსა... ზრუნვა უნდოდა. ფიქრი უნდოდა. საფიქრალადაც რო არ ეცალათ – ფეხზე იდგნენ დაწოლამდისა. დაწვებოდნენ და მიეძინებოდათ ბალიშზე თავის დადებამდისა. დაღლილიყვნენ ისე. ჩაეძინებოდათ. მიეძინებოდათ მკვდრული ძილითა. მკვდრულითა. მკვდრულითა. უსიზმრებოითა.

მიდი და ელოდე ბედსა. ახალგაზრდა თუ ხარ. სიზმარიც თუ არ იცი. კინალამ უთხრა. ვარაზმა. მზიასა. უფროსი შენა ხარ. გამოფხიზლება ჯერ შენა გმართებსო. კინალამაო. თავშეკავება ამჯობინა მაინცა. ჰყავთ ამათ მზრუნველი თავაანთიო. დედააო. მამიდააო თუ რაც არისო. მზრუნველიც არის და ქალიც არის. ქალმა ქალისა უკეთ იცისო. კაცმა კაცისაო. და თანაც რო – გაპირდაპირებოდა ციხის მთასა ფანჯარაი იმისი. თუ ცოტას წადგებოდა. დაინახებოდა ეკლესიაცა. დაინახებოდა ამსვლელჩამსვლელიცა. დღისითა ცხადია. ჭოგრიც არ უნდოდა. დაინახებოდა და დაინახა. აქეთაცა და იქითაცა. მანქანებით მიადგნენ და ფეხით ავიდნენ. აქეთ ნაციხრამდე. ნაეკლესიარამდე იქითა. სამხედროდ მოსილიცა. სამოქალაქოდაცა. ესენი *ეუთოს* დამკვირვებელნი და ოთხმხრივი სხდომის მონაწილენიო. სამოქალა-

ქონი. ხოლო სამხედრონი ჰო მოთავენი მშვიდობის დამცველთა. ვერც მშვიდობა რო ვერ დაეცვათ. ვერც დაიცავდნენ. ვერც იომებდნენ. ომი რო ჰქვიან იმგვარი ომითა. ვერც რო ასე იკინკლავებდნენ. კინკლაობდნენ როგორც როო. ვერც უარესადა. ვერც ნაკლებადა. სულაც მშვიდად ვერც იქნებოდნენ. თუ არ დაადგენდნენ პოლიტიკოსები. ანთუ მოსკოვში. ანთუ თბილისში. ანთუ ვაშინგტონში. ჩაეყო ცხვირი რო ბრიუსელსაცა.ის თავისასა ფართიფურთობდა. იმათ იმდენი არც ევალებოდათ – ციხის მთაზე რო ილანდებოდნენ. ტაძრის მთაზედაცა. თბილისის კვალი უნდა ეპოვათ. და იპოვნიდნენ კიდევაცა. რო ირწმუნებოდნენ ოთხთა თათბირზედა. ჩვენ გამოგვრეკესო. მაშ ვინ იქნებაო. ეს ჩუმად იცოდნენ. გულში იცოდნენ. ცხადად არ იტყოდნენ. რაღა თქმა უნდა. არც უთქვამთ და ვერც რა იპოვნეს. თბილისის კვალი ვერ მოჩხრიკეს. ერთისიტყვითა. რუსული წარმოების ვაზნები ეყარა აქეთაცა და იქითაცა. ცარიელიცა. გატენილიცა. თუ დარჩენოდათ. ნამსხვრევებიცა ყუმბარებისა. რუსულივე აქეთაცაო და იქითაცაო. ნამწვევებიცა სიგარეტისა რუსული. იქითაცა. აქეთაცა. არ ეწეოდა რო ვარაზი. არც ბიჭები არ ეწეოდნენ. შაქროც არა. არ იქნა ვერც ეს დაიხვიეს ხელზე. ბრალი ბრალად დარჩა. დარჩა და დარჩესო. ნაკრძალად გამოცხადდეს აქაობაო. ფეხი აღარავინ შედგასო. აღარავინაო. ნიშნად ამისა დროშა აღვმართოთო. და აღმართეს. რაღა თქმა უნდა. დროშაი რუსებისა. რაღა თქმა უნდა. და რაღა თქმა უნდა. კენჭი უყარეს კენჭით აღმართეს: 3 მომხრე; ერთი წინააღმდეგი. სამართლიანობა მეტი რაღა გინდა!.. ცხინვალმაც მოიწონა. ვლადიკავკაზმაცა. მოსკოვმა

ჰო პირველყოვლისა. ლაღად გაიშალა ორივე დროშაი. ერთი ციხეზე. ტაძარზედაცა ერთი. აიტალღა და გაიშალა. აიტალღა და გაიშალა. შეიკუმშა გული. ვარაზისო. მოიჭმუხნა. მოინურა. დაიცალა ალბათ სისხლისგანაო. სახეზე მაინც წვეთიც არ აჩნდა. ხელებზედაც არა.

ბიჭები ეახლნენ –

ჩამოვხევთო.

არაო. ვარაზმა. თუ გაჭრის გასჭრის. თუ აღარ დაცხრილავენ სოფელსა. ჩვენც მეტი რა გვინდა. ამჯერადაო.

თუ აღარაო. მაგრამ დაცხრილეს. ღამე ჩაათავეს და დაცხრილეს ცისკრისასა ჩვეულებრივა. დაცხრილეს და გაიკრიფნენ. ისევ ისე. ჩვეულებრივა. ოღონდ უფრო გათამამებულნი. დაიუფლეს რო მთაი ორივეი. სოფლებსაც აჰყრიდნენ. იქით გადაიტანდნენ ორივე დროშასა: ზემოჯვარხევშიცა. ქვემოჯვარხევშიცა. ყველა შენობაზედაც გამოჰკიდებდნენ. როგორც რო ზევითა. ოსურ სოფელში. გადმოჰფინეს სახურავებზე. წოწოლაზე. ყავარჩამპალ სახურავებზე. აღარ დააცადა რო იქამდისა. ახლა თვითონვე იხმო. ვარაზმა. ბიჭებიცა. შაქროცა. შეემატნენ ბიჭები სოფლიდანაცა. ისინიც გარეკეს. მომხვდურები. ვითომ ცხინვალი რო ვერც აკონტროლებდა. დროშებიც ჩამოხიეს. იმათი მფარველი. აჰკიდეს თავაანთი. და თვალს მიეფარნენ. თავაანთიო. ოღონდ ახლა ჯვრებიანი აღარა. ჟორდანიასი. ჟორდანიასი აჰკიდეს და ჯუღელიც წააწერეს თეთრი საღებავითა. დროშა დროშადაო და გვარი გვარადაო. გვარმა გადარია აქეთ ცხინვალი. იქით ჯავაი. ჯავას იქით ვლადიკავკაზი. მოსკოვს ჰო ტვინი აურდაურია. დაიბნენ

რუსი მფრინავები კოდორის თავზე. პანკისის თავზედაცა. ეს შვეულმფრენებიო. ყალჰხს იდგნენ მძიმე ბომბდამშენები ვლადიკავკაზში. სტავრაპოლში. გროზნოში ჰო და რაღა თქმა უნდა. ყალჰხს იდგნენ. ყალჰხს იდგნენ. ნიშანს ელოდნენ. თუმცა იმდენადაც არ გადარეულიყვნენ – ნიშანი მიეცათ. არც იმდენადა – ანთუ ცხინვალამდე ან თუნდაც ჯავამდის რო შემოეღწიათ იმათს მფრინავებსა. ისე იმდენად რო არეოდათ გეზი. არაო. არა. არ გადაირეოდნენ არც იმდენადა. ფაფხურით იცოცხლე გააყრუებდნენ მთელს მსოფლიოსა. ვაშინგტონს ჰო ყურს გაუხვრეტდნენ – ერაყში რა გინდათ. ავღანეთში რა გინდათ. აგერ აქ არის ბინ ლადენიცა. რჩეული რაზმებიცა ტერორისტებისა. აგერ აქაო. პანკისშიო. პანკისშიო. პანკისშიო. ცხინვალშიო. ვერ ეთქვა თუ არ ეთქვა თბილისსა. ვერაო თუ არაო. სულერთია. რაღა თქმა უნდა. ჩვენ მშვიდობიანი შეთანხმების გზას ვადგევართო. ეგეცა შენი მშვიდობიანი მორიგებაო: აჰკიდეს დროშები და დაცხრილეს სოფლები. და ავიაციაცა. სრულადა. რუსული. ზედმოჰბჯენია კავკასიონსა. გაასწოროს რო. გასტკიცოს. გააბრტყელოს. დაამგვანოს თავის ველებსა. დაამგვანოს და გაინავარდოს. მობეზრდა მთები. მთაგრეხილები. მწვერვალები. აქაფებული მდინარეები. ერთი ნახტომის სიგანე როა. ვერ გადალახავ რო ვერასდიდებითა. აი ვოლგაო – გაცურდიო და გამოცურდიო. ხოლო რაც თუო – ეს მაინც შეიცხადა თბილისმა: რომელი ჯუღელიო და რა ჟორდანიას დროშაო. ვინ არიან და რა თავსა გვჭრიანო. თქვენ გაჩერდითო. ცხინვალი ხარ თუ მოსკოვიო. ჩვენ მოვუვლითო. და მოუარეს. მიაყენეს ბატალიონი. წვრთნისა და აღჭურვის პროექ-

ტიდანა. უკვე გამოცდილი ავღანეთშია. მოუხმეს იქიდან დაბრუნებულთა. მიაყენეს და აიღეს. დღისითა. მზისითა. მიაყენეს და აიღეს ნანგრევებიცა ციხისაი. ტაძრისაცა. რაღა თქმა უნდა. დროშები ჩამოჰხიეს. „ჯუღელს“ ზედშესდგნენ. ფეხით შესდგნენ და სიქა გააცალეს. ფანჯრიდან მოსჩანდა. საავადმყოფოსი. ეს არა – „ჯუღელს“ რო სიქა გააცალეს – როგორც რო აიღეს ციხეცაო და ტაძარიცაო. მანქანებით მიადგნენ. ფეხით ავიდნენ. ალყა შემოარტყეს. ვაშაო. შესძახეს. ერთად იყვირეს. ერთადვე შეცვივდნენ. ციხეშიაცა. ტაძარშიაცა. ნანგრევებში. რაღა თქმა უნდა. მინისტრები. სარდლები ისხდნენ ჯავშანში. ტაშს იქ უკრავდნენ. ტყვიაგაუმტარი ჟილეტებიც ეცვათ.

მაილსი წარსდგა დემარშითა საგარეო საქმეთა სამინისტროში – თქვენ რა გესაქმებათ წვრთნისა და აღჭურვის ბატალიონებთანაო; ჩვენ გავწვრთენით. ჩვენ აღვჭურვეთ და ჩვენ გვეკუთვნიანო. აინურა ზურაბიშვილი. იმან ეს იცოდა და კარგადაც იცოდა. მაგრამ იცოდა თავდაცვის მინისტრმა?!. არაფერიც რო არ იცოდა!.. ესეც სოკრატეო...

გაფითრდა. ვარაზი. უარესად გაფითრდა. და სისხლი რო აუდუღდა. უარესადა ისიცაო. ცხვირპირი აღარ ეტყობოდა. თითქოს სისხლმა ამოხეთქაო. დაიბნა მზიაი. მორიგე ის გახლდა. ვიდრე თუ რამეს მოიფიქრებდა – სისხლი დავარდა. სახე სახედ გამოიკვეთა. ფერი ფერადა. ნუ გეშინიანო. ვარაზმა. თვითონვე დაამშვიდა ქალიშვილი. კაცი ერთხელ დაბადებულა. ერთხელაც მოკვდება. სიკვდილისა ნუ გეშინიანთო. არაო. მზიამა. სიკვდილი არც გვახსოვსო. გატყობთო. ვარაზმა.

ბიჭებიც ეახლნენ. შეწუხებულნი.

ეს რა გვიყვესო. გაგამა.

დროშები მაინც რამ დაახევინათო. გიგიმა.

ომობენ თუ რაცაა. იქ გაახილონ თვალი. ჩვენთან მაგათ რა ხელი ჰქონდათო. გუგამა.

თავისი ლარი და ხაზი აქვს ყველაფერსაო. ვარაზმა. „საძირკვლის ქვას რო ჩასდებდა. კალატოზი. დედოქვასა. იმას ასდევდა. იმაზე აწყობდა. იმაზე შეჰკრავდა სახურავსა. ყველაფერს თავისი დედოქვა გააჩნია. ყველაფერი სახლია. ყველა ყველგან კალატოზია. თავისი გონიოთი. თავისი ლარითა და თავისი თარაზოთი. შენი გონიო თუ არა გაქვს. შენივე ლარი. შენივე თარაზოი. ნურაფრის შენებას ნუ დაიწყებ. ნუუუუ... ნურაფრისა!.. ომიც ასეა. პოლიტიკაცა. ყველაფერი ასეა. ყველაფერი. რასაც აშენება უნდა. რასაც შენება ჰქვიან. ეს ომი არ არის. არადა ომია. ომია. მაშ რა ჯანდაბაა და ოხრობაა!.. პოლიტიკაო. რა პოლიტიკაა – შენ ხალხს მიხოცავ. სახლკარს მინგრევ. მე ხელი ვერ გამინძრევია. პოლიტიკაა!.. რა პოლიტიკაა?!. მოვილაპარაკოთო. დამაცადეო. გაცდის რო?.. რო არ გაცდის!.. არც რო ლაპარაკი არ უნდა შენთანა. ჟვანიას შეჰხვდი. სადაც გინდა შეჰხვდი. გნებავს ჟენევაში. გნებავს მოსკოვში. ცხინვალში გეახლებაო. არც შენი ჟენევა არა მჭირდება. მაგ შენს ჟვანიასაც რა თავში ვიხლიო. წადი. გამეცალე. შენ შენთვისაო. მე ჩემთვისაო. ელაპარაკე. მიდი. მიდი და ელაპარაკე. ტერორისტებს ელაპარაკე!.. სეპარატისტებიო. არა. არა. სეპარატისტებიც რო დაურქმევიათ. სეპარატისტები ჩვენ ვიყავით: დაგვიპყრო რუსეთმა და უნდა გამოვხსნილიყავით იმისი კლანჭებიდანა. ჩვენი მეობა ჩვენად უნდა

გამოგვეტანა. თუ მართლაც ეგენიცა ბრძანდებიან სეპარატისტები – დონზე იდავონ. დნეპრზე იდავონ. ლიახვზე რა უნდათ. მტკვარზე რა უნდათ?!. ალანია უნდათ?.. უნდოდეთ. იქ ჩამოაყალიბონ. ქართლში რა უნდა ალანიასა?!!!. იქით ეძიონ. დნეპრზე. დუნაიზე. ურალის კალთებზე ნაშთნი თავაანთი დიდებისა. ნაშთნი რო... ჰო... მაგათაც რო ჰალიკარნასის მავზოლეუმი დარჩენიათ. არტემიდას ტაძარი. სემირამიდას ბაღები. ეგვიპტის პირამიდები. ჰოო. ჰოო. რაღა აღარა. ორიოდე ლითონის ნაკეთობას მიაწერენ. ოქროსი და ვერცხლის ნაკეთობასა. ისიც ვინ უწყის თუ ვის დარჩენია. ხაზართა თუ მონგოლთა. ან ვისთუ საიდან თუ შემოუტანია. საკუთარი იყოს. ბატონი. საკუთრად იმათი. იყოს. იყოს. აქ ჰო არ უპოვნიათ?!. სადაც რო უპოვნიათ. იქვე დაიდონ დედოქვაი თავაანთი. არაო. აქეთ ერეკებიან. რუსული დროშითა. რუსულითა! რუსულითა!.. და ჩვენივე დროშას ჩვენებივე ფხრეწენ!!!. ეს არის ომი?!. ეს არის პოლიტიკა?!. მე რო მეკითხებით. მე რა გირჩიოთ?.. მე ვინ რას მეკითხება?!. მე თვითონ არ ვიცი – რამ ამაღებინა ხელში იარაღი და რამ ჩამომიყვანა აქა. არა. არ ვიცი. აქამდისაც რო მოვაღწევდი რო არც მეგონა. რას ჩავიდენდი – არც გამეგებოდა. რაც ჩავიდინეთ, ამისი ახსნაც გამჭირებია. ჩვენც ჰო ისევე გამოვდივართ. ბოლოსდაბოლოსა. ის როგორ არის მაგათ ენაზე – არაკონტროლირებადიო – არა?.. ჰოდა განვაგრძოთ ისევე. უკონტროლოდა. ის ჩვენი მთები ისევ ავიღოთ. ის დროშები გადავუყაროთ. და თუ მაინც არ მოგვეშვებიან, ახლა ჩვენ დავუცხრილოთ ის ჩამპალი წონოლა სახურავები. ის დროშა არ უნდათ – ჟორდანიასი?.. ნუ უნდათ. ჯერ ეს ახალიც არაო?..

მოლაპარაკებაო. სტატუსიო?.. პოლიტიკაო?.. იყავნ ნება თქვენი. ჩვენ დროშა არც გვინდა. ჩვენ კონ-ტროლს არ ვექვემდებარებით."

შაქროც შემოესწროთ.

ახლა რას ვაპირებთო. შაქრომა.

არ ვექვემდებარებით კონტროლსაო. ბიჭებმა.

XIX

ესეც ასეო. ვარაზმა. მოვიპოვეთ *სტატუსი* კონ-ტროლსარდაქვემდებარებულებისაო. აღარც დრო-შებიო. თუ რასა ჰფიქრობენ დიდი პოლიტიკოსები თუ დიდი სამხედრო სტრატეგები აღარც განსჯაი იმისაო. თავი ჩვენი ჩვენად გვეყუდნის და ჩვენც ეს გვინდოდაო. ჩვენც ეს გვინდოდაო. ბიჭებმა. მაგას რა სჯობიანო. შაქრომა. და მართლაც როო – რო დას-ჭირდათ. იარაღს დაავლეს ხელი. ერთმანეთისათვი-საც რო აღარ უკითხავთ აღარაფერი. დასჭირდათ და მალეც დასჭირდათ. დასჭირდათ. დასჭირდათ. ეგო-ნათ რო: მორჩა. ჯვარხევს აღარ შეაწუხებენო. ტყუი-ლა ეგონათ. ტყუილადა და არცთუ ტყუილადა. ჯერ ჰო კეხვის გზა ამოუვიდათ ყელში?!. კიდევაც რო ყელში ამოუვიდათ!.. ქართული სოფლები გასდევდა რო გზასა. ჯავამდისა. ქართული სოფლები. ქარ-თლის სოფლები. შიდაქართლისა. გორის რაიონისა. რესპუბლიკა ჰო დაირქვეს. პრეზიდენტი ჰო დაისვეს. მოქალაქეებად ჰო ჩაეწერნენ რუსეთისაო. ახლა ამა-თი აყრაც ინებეს. ქართული სოფლებისა. თორემ ვი-თომ რა გამოდიოდა: რესპუბლიკაო. პრეზიდენტიო. და ვერც წავიდოდა ცხინვალიდან ჯავასა კეხვის თე-

მი თუ უარს დადგებოდა. სხვა რაღა იყო რესპუბლიკაი ესე გარდა ცხინვალისა და ჯავისაო. ცხინვალშიაც ჰო შვიდი კომლი იყო ოსთა: აბაევმა რო უდეპეშა ლენინსა: დავაარსეთ ოსთა რესპუბლიკა ონიდან მცხეთამდეო. ხოლო ლენინი მიიღებდა ვიდრე რო დეპეშასა. სტალინმა იცოდა რო – ჯუღელი უკვე ჯავაში გახლდა. აბაევს გადაევლო უკვე როქის უღელტეხილი. კისრისტეხით გადაევლო. მერედა რაო. დეპეშა დარჩა. *დოკუმენტად* იქცა. სიყალბე იქცა *დოკუმენტადა*. ყალბი ისტორიის ხელში. ონიდან მცხეთამდის თუ არა, ცხინვალიდან ჯავამდის რაღას გვამუნათებთო. და უშენდნენ და უშენდნენ ქართულ სოფლებსა – წადით და მოგვცილდით. თვალში ნუღარ გვეჩხირებითო. უშენდნენ და უშენდნენ. ისევ ისევე. უარესადაცა. მოჰყავდათ დაჭრილები გორში. საავადმყოფოში. რაღა თქმა უნდა. მიცვალებულები მშობლებთანა. ნუ აზვიადებთო. წყრებოდნენ მინისტრები. რის მკვდრები. რა მკვდრები. მძიმედ დაჭრილიც ორიოდეაო. ისინი უშენდნენ. უშენდნენ და უშენდნენ. იქით ჰო კეხვის თემსა. აქეთკენ გზასა სახელდახელოსა. შემოვლითსაო. თამარაშენამდე რო მიეღწიათ ცხინვალის აქცევითა. ვიღა გაატარებდა ცხინვალში ქართველსა. ესეც უნდა მომხდარიყო თურმე. ესეცა!.. იცინის ღმერთი. იცინის. იცინის. იცინოს. იმან იქ იცინოსო. ისინი უშენენ. უშენენ და უშენენ. ჭიანჭველასაც ვერ გაუვლია. თხუნელას ცხვირი ვერ ამოუყვია. ჯვარხევს მოეშვნენ თითქოსაო. ღამე ოთახებში იძინებდნენ. ჯვარხეველები. საძოვრებზე გაუდიოდათ საქონელი დღისითა. მოგვეშვებიანო. იმედოვნებდნენ. მეტი რაღა უნდათ. სიქა გავაცალეთ ჰო ჯუღელსა ჩვენვეო. ჩვენვეო.

მეტიც უნდოდათ და მეტზე მეტიცა.

საბაბიც რო არ დაახანებდა.

საბაბიც იმისაა – ყველაფერი რო საბაბია. ყველაფერი. ყველაფერი. რატომა სუნთქავო. ესეც რო საბაბია.

აქ მიცვალებული იქცა საბაბადა. არცა სუნთქავდა. თვალსაც არ ახელდა. მაინც საბაბად იქცა.

ქალი მოასვენეს. გორიდანა. მოხუცი ქალი. ქმარი ჯვარხევში დამარხულიყო. მიუწვენდნენ ცოლსა გვერდითა. წესი და ადათი ასე მოითხოვდა. ვიღა დაგიდევდა წესსა და ადათსა. ღმერთსა და რჯულს ვიღა დაგიდევდა. თბილისშიც აღარაო. იქ მთებშიც აღარაო. გორში ვისთუ რა მოენებებინა, საკვირველი გახლდა. რაღა თქმა უნდა. მოენებებინა და არ დაანებეს. სასაფლაოზეც დაეშვა ყუმბარები. ეზოშიცა მიცვალებულისა. სახლი ადრევე დაეცხრილათ. მიუმატეს და მიუმატეს. ჭირისუფლებმა გაფანტვა მოასწრეს. სული რო მოითქვეს და ტყვიაც შეწყდა – დაცხრილული შერჩათ კუბოი. კუბო გამოცვალეს. რაღა ეშველათ დაფლეთილი გვამისათვისა. სამოსი მაინც ახალი ჩააცვეს. სანთლებიც დაუნთეს. გვერდითაც მოუსხდნენ. ჭირისუფლები. რაღა თქმა უნდა. ვერ მიდიოდა სოფელი ოღონდა. სასამძიმროდ ვერ მიდიოდა. მიზანში იყო კარმიდამოი. ტყვია წიოდა თუ ვინმეს შენიშნავდნენ. სნაიპერის ტყვია წიოდა. წიოდა მერე რა შემზარავადა – ჰკლავდა. თუნდაც რო არა ჰკლავდა. ჰყინავდა. გაჰყინავდა. გალხვებოდა როდისროდისა. წიოდა. წიოდა. ისე საზარლადა. მისდგომოდა ზატულინიცა კეხვის თემსა. დედის ცხედარს მიასვენებდა. სოხუმში ჰო ესვენა დედაცა და მამაცა. მამის ცხედარი იქ დაეტოვა. მოას-

ვენებდა დედისასა. ცხინვალსაო. ცალი ფეხით რო სოხუმში მდგარიყო. ცალიც ცხინვალში რო მოემაგრებინა. კეხვი არ უშვებდა. როქის გვირაბით მოასვენებდა. ზატულინი. რაღა თქმა უნდა. გაჯიქებულიყო კეხვიცა. ჩვენი ადათი თუ ადათი არ არის. ეგ თქვენი ვითომ ვისი რა ხვითოაო. ან რა ადათია ცოლქმარს რო გაყრი. საიქიოში რო გაყრი მშობლებსაო. ჰკითხე დაპყრობის ჟინით ატანილსა. რაც გინდა ჰკითხე. რაც გინდა ჰკითხე პოსტიმპერიალიზმსა. ესმის განა რო – რაიმე ესმის?!.. მოდის. მოინევს. კვლავაც რო შთანთქას. რასაც რო ნთქავდა. როგორთუ ცხედარი შეაჩერესო. აგანგაშდა მასმედიაიო მოსკოვისა. ტელეარხებმა გამოჰხატეს ზატულინი. ცრემლით სავსე სისხლიანი თვალებითა. გაიცვალა ნოტები ლავროვსა და ზურაბაშვილს შორისა. აწრიალდნენ ივანოვები. საჩივარი შევიდა *დუმაში*. კომიტეტებმა განიხილა. პლენარულ სხდომაზე დაისვა საკითხი. გაჰქონდათ და გამოჰქონდათ დეპუტატებსა. გაჰქონდათ და გამოჰქონდათ. ქართული აგრესიის ახალი ეტაპიო. ქართულისაო. ქართულისაო. აგრესიისა ქართულისაო!.. ჯვარხევს თავისი საზრუნავი ჰქონდა. ჯვარხევს შინ ესვენა მიცვალებული. სასაფლაომდე ვერ მიეყვანათ. შინაო. ითქმის. ოღონდ სარდაფში. ცხრილავდნენ რო კარმიდამოსა. გაიძღოლა ვარაზმა. შაქროი. იცოდა მოსავლელები ციხისაი. შაქრომა. მოსავლელები ზურგიდანა. რაღა თქმა უნდა. იცოდა და წაუღვა. ბიჭები შეეფარნენ ძეძვიანსა. ეკლესიის მისადგომებთანა. დაბლავე. დაბლავე. ზურგიდან დასცხეს ვარაზმა და შაქრომა. დასცხეს და დასცხეს. დასცხეს და დასჭყივლეს. ბუკიც წაიყოლეს. ჩაჰბერეს ბუკსაცა. ნაღარაღა აკლდათ. ხელი აღარა ჰქონ-

დათ ამდენი. აღარც უნდოდათ. მოულოდნელობამ იკმარა ყველაფრადა. ზურგიდან თავდასხმას რო არ ელოდნენ. და იშვირეს ფეხი მომხვდურებმა. ეკლესიას შეევეფარებითო. ვერ გადაფრინდებოდნენ. რაღა თქმა უნდა. უნდა ჩასულიყვნენ. ასულიყვნენ უნდა ხევიდანა. იქ ბიჭებმა გაუხსნეს ცეცხლი. დაირეკეს. გაირეკეს ხევხევა. გაირეკეს. გააფრთხეს. გადაკარგეს ხევხევა. ვერც სულმთლად რო ვერ გადაკარგავდნენ. მობრუნდებოდნენ. რაღა თქმა უნდა. ოღონდ ამათ დაკრძალვა მოესწროთ. დაჭრისას იტყვი. სიკვდილისასა. ეს არც იფიქრო. სისხლის დაღვრას ერიდებოდნენ. ოღონდ გაეფრთხოთ. მოეშორებინათ თავიდანა. დააფრთხეს. და დაკრძალეს.

ამობრუნებულიყო საფლავებიცა. სასაფლაოზედა. სადაც რო ყუმბარა დასცემოდა.

ამოყრილიყო ძვლები.

თავის ქალა მიგორავდა. ერთი მიგორავდა. მეორე მიგორავდა. ერთმანეთს შეეჯახნენ. შეჩერდნენ. შეჩერდნენ. ჩაიქინდრნენ. ცრემლი მოიწურეს.

ორკაპიც აიღეს.

იმ ღამეს დაემთხვა.

ერთი ტაქტიკური ჩანაფიქრის წარმატებულ შედეგად მიიჩნიეს. სახელდახელოდა. მერე უფრო განსჯიდნენ. საფუძვლიანადა. მხედართმთავრები. ისტორიკოსები. სამხედრო საქმის თეორეტიკოსები და პრაკტიკოსები. ერთობლივადა. ორკაპი ორკაპიო და ვითომც არაფერიო. მძლავრი სიმაღლე აღმოჩნდა ოღონდა. შემოვლითი გზაო რო ამბობდნენ – იმ გზასა ფლობდა. ერთისიტყვითა. ცხინვალით რო ვერ შეაღწევდი კეხვის თემშია. ვერ შეჰბედავდი ვერც ამ გზიდანა. ბომბავდნენ და ბომბავდნენ. *ბლოკპოს-*

ტებსაცა ბომბავდნენ. ქართულს ჰოო და ჰოო – სამშვიდობო რუსებისასაცა. ვითომდა რაო: ქართველებიაო. თქვენ იმათ მიჰხედეთ და ჩვენც აქა ვართ. თქვენს ზურგსუკანაო. იყვნენ კიდევაცა. იყვნენ და ბომბავდნენ შეუწყნარებლადა. თავი ვერ გამოეყოთ ქართველ მეომრებსა. ქვიშის ტომრებიდან ვერ გამოეყოთ თავი. გამოჰყოფდნენ და დაიჭრებოდნენ კიდევაცა. იხოცებოდნენ კიდევაცა. თითქოს იქ იმისთვის დამდგარიყვნენ – ქვიშის ტომრებიდან რო არ გამოეყოთ თავი სწორედაცა. აბრკოლებდნენ ავტობუსებსაცა. ბავშვებით სავსესა. ზღვაზე რო მიჰყავდათ დასასვენებლადა. არც *ჰუმანიტარულ* დახმარებას არ უშვებდნენ. შიგნითა. იქიდანაც რო ვერ გამოსულიყვნენ, სარჩო რო შეეზიდათ შინა. ყანები გადაეწვათ. ამოებრუნებინათ ბაღბოსტანი. საქონელი ჰო ნულარ იტყვიო. ჟვანიაც ჰო აღარ გამოეშვათ. შეეშვათ და აღარ უშვებდნენ. შეეშვათ – ცხინვალს მოველაპარაკებიო. მოელაპარაკეო. შეეშვათ. აღარ მოენებებინა ლაპარაკი იმასა. ვინც იყო თუ რაც გახლდა. არაო. აღარაო. და ჟვანიასაც აღარ უშვებდნენ შინა. იცოდნენ რო მე ვიყავიო – რო გამოასწრო, მერე უყენებდა ბრალდებასა. ძლივს რო გადარჩა – იცოდნენ და არ მეშვებოდნენ. ტყვიის სეტყვაში გამოვაღწიე. ორკაპი თქვი და შეეკრა ხეობაი. დიდი ლიახვის ხეობაი. შეეკრა. შეეხუთა. ტყვიაც არ უნდოდა. ამოხოცავდა შიმშილითა ქართულ სოფლებსა. ტყვიაც არ უნდოდა. არა. არა. არ უნდოდა. ფხრეწდა მაინცა ქართლის ზეცასა. მიწა აციებდა მდუღარე ტყვიებსა. მიწაი ქართლისა. შიდა ქართლისა. ეპატრონებოდნენ და ის არის. ანაღვლე!.. და აიღეს. ორკაპი აიღეს. მოულოდნელადა ისევეო. რო-

გორც რო ციხეი ჯვარხევისაო. ერთდროულადა და მოულოდნელობითა. მოულოდნელობის ტაქტიკითაო. მოულოდნელობაც რო დიდი რამ ყოფილა. მოლოდინი რო გადაუყლაპია. ანთუ შთაუნთქავს. ასე სჯობიან. და აიღეს. ერთისიტყვითა. შინაგანი ჯარის ნაწილებმა. ორკაპი. რვა ცხედარი დატოვესო. დანარჩენები გაიტაცეს და გაგვასწრესო. სარდალმა ბრძანა. აღების სარდალმა. რვავე კაზაკია. ერთს ახლავე ჩამოასვენებენო. ერთს რატომაო. არავის არ უკითხავს. ან ის ერთი რა იქნაო ან ის დანარჩენი შვიდიო. აღარც ეს არ უკითხავს აღარავისა. აიღეს და მორჩა. სიმაღლე დაიპყრეს. თვითონ განაგებდნენ ახლა მთასაცა და ბარსაცა. გაატარებდნენ დიდებსაცა და პატარებსაცა. ჟვანიაც შევიდოდა და გამოვიდოდა. როცა უნდოდა. როგორც ენება. ესაა ცხინვალი ეუარებოდა. აქ არაო. ცხინვალში არაო. არ დაგადგმევინებთ ცხინვალში ფეხსაო. რა ფეხი გახლდა ჟვანიას ფეხი. რა შიშს იწვევდა – ამას ალბათ მომავალი აჰხსნის. ახლა ტყუილადღა გამოიდებ თავსა.

ზოგი რამ ახლავე აიხსნებოდა.

ორკაპი აიღეს. სიმაღლე აიღეს.

და

დატოვეს ორკაპი. სიმაღლე დატოვეს.

ჩვენ ჩვენს მოქალაქეებს არ ველაპარაკებით იარაღითაო. ლაპარაკით ველაპარაკებით. ლაპარაკით შევუთანხმდებითო. ავიღეთ და ვუთმობთ. რუს სამშვიდობოებს ვუთმობთ ორკაპსა. ავიდნენ. დადგნენ. დაბანაკდნენ. იქიდან უცქირონ რა თუ როგორი მოლაპარაკება ვიციოთო. ბრძანებდა პრეზიდენტი. ჩამოდიოდა და აჰხსნიდა. მაშინვე აჰხსნიდა. ნათლადა ასე. მკაფიოდა ასე. დროს რო არც აცდიდა თუ რას

მიერეკებოდა დროი. დროი. დროი. ულმობელი ესე: წაღმას რო წარმოგიდგენს უკუღმადა. ხოლო უკუღმასა – ვინ თუ უწყის თუ როგორაო. რანაირადაო თუ. და ავიდნენ რუსი სამშვიდობოები და ჩამოვიდნენ რუსი სამშვიდობოები და დაუთმეს დამპყრობელთა ცხინვალისა და შესვეს მაღლა ისევ ისინი. ჩვენ აგერ მივხედავთ ბარის ამბებსაო. კინტოებს ბაზარში ბიჭები ჰყავდათ. შუაბაზარში. პატარა ბიჭები. თბილისში. თბილისში. რაღა თქმა უნდა. გამოვიდოდნენ რო ფრანტები. თავმომწონე მოქალაქენი. მორთულნი მოდური პარიზული სამოსითა. ბიჭებს მიუსევდნენ. კინტოები. დამკლავებულნი. დადეზებულნი. ბიჭები ლაფს რამეს შეასხამდნენ ფრანტებსა. იმა თავმომწონეთა. გახელდებოდნენ რო ისინი. გამოუდგებოდნენ რო ბიჭებსა. კინტოები გადაუდგებოდნენ: ჰაი თქვე ასეთ ისეთებო. პატარებს ერევით!.. ახლა ჩვენთან გექნებათ საქმეო. „პოლიციაااااა!..“ სად იყო პოლიცია. და ფრთხებოდნენ ამოთხვრილი ფრანტები და მირბოდნენ და მისდევდნენ კინტოები სტვენითა. ჭყვირილითა. ლაზღანდარობითა. ძველი თბილისის სურათებიდანაა. როდიმდელი?.. ჰაუ როდიმდელი!.. რა მოსაგონარია. მშვენება იყოს ვითომც ესეცა თბილისისაო. მაგრამ და რაო – მოგონებაც რო იმისი მოგონებაა რო არ გეკითხება – ისე მოდის და ისე მიდის.

„ეს ომი არ არის!..“ ვარაზმა. იმაზე არა – კინტოები რო მისდევდნენ ჭყვირილითა ფრანტებსა. არა. რა თქმა უნდა. ამაზე: რო აიღეს და რო მიატოვეს სიმაღლეი.

„მაინც რო ომია. გაუთავებელი ომი!..“ შაქრომა.

„სავალალოც ეგ არის – ომი როა და არც რო ომია. მოგშლის. მოგფუტკნის. დაგადნობს ზეზეუ-

ლა.“ ვარაზმა. შეაკანკალა თითქოსაო. გაუარა რაღაც ისეთმა თავით ფეხამდისა. ჩამოჯდა ლოდზე. გადმოვარდნილზე ციხის კედლიდანა. გახურებულიყო ლოდი მზეზედა. მიეთბო. ეამა. ლოდი დიდი გახლდა. გადაწვა კიდევაცა. უფროც ეამა და უფრო ღრმადაც ამოისუნთქა. ესღა ენება: ესუნთქა რო ღრმადა და ღრმადა. უფრო ღრმადა თავისუფლადა უფრო. ბეჭებიც ასე თბილადა ჰქონოდა. ასეთითა და ამნაირი სითბოთი, ლოდი რო გამოსცემდა. აგვისტოს მზე ჩავარდნოდა ლოდსა. მზეი მხურვალეი. მზეი თაკარაი. განფენილი ლოდში სიამედა. ძველი თბილისიც გაიელვებდა. თუნდაც ფრანტებითა და კინტოებითა. ზატულინი მაინც აღარა. ჩაიკარგა რო აჯაი იმისი ორკაპის ამბებში. ჩაიკარგა და არც არავის არ დაჰხსომებია: დაკრძალა თუ ვერა დედაი ცხინვალში. ვერა თუ არაო. ალბათ რო არა. რაღად ენება – სიმაღლე ჰო აიღეს. სჯობდა შეენახა. დასჭირებოდა რო ეგება სხვაგანა. ეგება დაღესტანში. ეგება ინგუშეთში. ვლადიკავკაზში მაინც არაო. ღრმად გამჯდარიყო რუსული შოვინიზმი. რუსული. რუსული. ღრმადა და ღრმადა. ასეთ რუსს მოსკოვშიც ვეღარ იპოვნიდი. იქ ეპიდემია მოდებულიყო. ეპიდემიაი დასავლური.

მართლაც ეპიდემიად იქცევა რუსეთში. ყველაფერიო. „ყველაფერი რო უარესი გახლდა ყოველთვისა.“ ეს *იმისი* ხმაა. *იმისია* და *ის* გახლდა. *ისა*. მისჯდომოდა რო *ისიცა* მაგიდასა. ანთუ ვითომ რა მაგიდაო. ისიც ლოდი გადმოვარდნილი. ამობრუნებული პრტყელი პირითა. სკამები გარეშემო. ქვები ისინიცა. ცალ მხარეს შაქრო იჯდა. მართლაც შაქროი. იჯდა და ზის. მართლაცა ზის. ისიც *მისჯდომია*. დაუგდია სი-

გარეტიცა. მაგიდაზედა. სანთებელაცა. როდის მოვიდა. ანთუ როგორაო. რო ვერც შეუტყვია. ვარაზსა. ცხადია. არც რო შაქრო არ წამომდგარა. არ დაფაცურებულა: ვინ მოდისო. მტერიო თუ მოყვარეიო. ზის და უსმენს. ვინ უნყის თუ როდის აქეთია უსმენს. ეს რამ ჩაჰკარგა იმდენი ხანი. ან სად ჩაჰკარგა!.. „ყველა ცარიზმზე უარესი გახლდა რუსული ცარიზმი. რევოლუციებიც უარესი იყო. რუსული. დემოკრატიზაციაც უარესი იქნება. დემოკრატიზმიც უარესი გამოვა. უარესი და უარესზე უარესი. სისხლია რუსული ასეთი. ამღვრეული. ყველაფერი უნდა აამღვრიოს. აამტუტოს. აშალოს. აბურდოს. თითქოს რო ფარაა ცხვრისაო. ასე რო შეჰხედავ ამოუჩემებია ერთი ერკემალი. ის მიდის. ეს მიჰყვება. ფარა მიჰყვება. ის თუ გადაიჩეხება. გადაიჩეხება ესეცა. ფარაც გადაიჩეხება. ბრმადა. უაზროდა. უჭკუოდა. ვერ შეაჩერებს ველარაფერი. ვერა. ველარა. დაუოკებელია. ძლიერი. აუბორკავი. ცხვარი ცხვარიაო და აუბორკავია, რახან უნდა გადაიჩეხოს. და იჩეხება. იჩეხება და იჩეხება. ჯანდაბას იმისი თავი!.. მაგრამ თან მიათრევს ყველასა და ყველაფერსა. რაც გზად მოჰხვდება. რასაც რო გაიტანს. ქარიშხალივითაა. ცუნამივითაა. ოკეანისა. დიდი როა თვითონაცა. ოკეანესავით დიდი. სიდიდითა მძლავრობს და სიდიდემვე უნდა მოუღოს ბოლოი. თავისი თავი თვითონვე უნდა ამოიჭამოს. უნდა. უნდა. სხვა საშველი არ არის. მაგრამ რა ქმნილა საშველი ესე. რად იგვიანებს. ეგებ არც არის და ამაოა ლოდინი!.." დგება შაქროი. მართლა დგება მართალი შაქროი. სურას აიღებს. წყაროზე ჩავა. ახალ წყალს მოიტანს. „ცარიზმმაც ჩვენ აგვიკლო და აგვამტუტა. ჩვენვე მოგვინარიკლა რევოლუციამაცა. რუსულმა.

რუსულმა. ორივე რუსულმა. დემოკრატიზმიც ჩვენ მოგვდეგია. ჩვენგან სისხლს ითხოვს. სხვაგან რო სისხლი არც დაქცეულა. წვეთიც არაო. ჩვენგან რადაო. ბევრი გვაქვს სისხლი თუ მოგვწამლია და ბალღამი უნდა გადმოვანთხიოთ?!. ასე რამ მოგვწამლა ან როდემდის ვანთხიოთ ბალღამი!.. ალბათ ვიდრე არ განვიწმინდებით. მაგრამ რო ვითხვრებით უფროდა უფრო. ვითხვრებით. ვიბილწებით. ვილაფებით. რაც რო ლექი აქვს დემოკრატიზმსა – წინწინ ის შემოდის ჩვენში. ის შემოდის და იმასვე ვებღაუჭებით. წმინდაც ისა გვგონია. უკეთესის უკეთესიცა. და ვაითუ მოჰხდეს ისე რო სიკეთემ იმისა თავს გადაგვიაროს. წავიდეს. დაგვშორდეს. აღარც შემობრუნდეს. ჩვენ ლექში ჩავრჩეთ. ლექი ვაღიაროთ კერპადა ჩვენადა. რას იტყვი. ასევე თუ გეჩვენება შენცა. თუ მხოლოდ ჩემი მოლანდებაა?..“ დგება. პასუხს არც ელოდება. ანთუ დაახანა – მოიფიქრეო. აიღებს სიგარეტსა. სანთებელასაცა. აივანზე გადის მოსაწევადა. არა. არა. ეს აერია. ვარაზსა. ცხადია. რა უნდა აქა აივანსა. ნანრევებს თუ მოეფარება. ჰო. აი სუნიცა სიგარეტის ბოლისა. სუნი იქიდანაც მოაღწევს ხოლმე. ტაძრის მთიდანა. ჯერ სუნი მოდის. მერე ატყდება ავტომატებიცა. აფეთქდება ყუმბარებიცა. ის მყრალი სუნია. მყრალ სიგარეტებს ეწევიან. თუ რას ეწევიან თუ რა არის – მყრალია და რაც უნდა იყოს. *ეს* ეწევა სუფთა სიგარეტსა. უმაღლესი ხარისხის სიგარეტსა. არ შეჰბღალავს ჰაერსა მთისასა. პირიქით. აფაქიზებს თითქოს კიდევაცაო. ერთადვე ბრუნდებიან. *ისა* და შაქროი. ტკბილადა უბნობენ. შინაურულადა. რაღაცას იგონებენ. იცინიან. მხარზე ხელს უთათუნებენ ერთიმეორესა. სხდებიან. ისევე. სურასაც ჩამოსდგამს. შაქროი. მა-

გიდაზე. სურა სველია. თან მოჰყოლია სიგრილეი რაღაც სხვაგვარი. ისაა რო ამოჰყოლია მიწის გულიდანა. „ეგრეა და ეგრეცა ვხედავ.“ მიუგებს ვარაზი. დაჯდომას რო დააცდის. „ძველთაგანაც დიდძალი დაგვრჩა ლექი. ახლაც დიდძალს რო ვეზიდებით. აღარც რო ვაცდით, თვითონვე რაც შემოდის. ვეზიდებით და ვეზიდებით. მაგრამ ლექი რო მაინც ლექია დარჩება ლექადვე. სიკეთე რაიმ თუ მართლა მოჰყვება. არ გადაივლის უსარგებლოდა. მთავარია რო მოვასწროთ როგორმე. ლექის გახვეტა უნდა მოვასწროთ. უნდა მოვასწროთ. უსათუოდა.“

„რო ველარ ვასწრებთ?!.“

„ხან მოგვისწრია. ხან თუ ვერაო.“ ვარაზმა.

„ახლა მოვასწარით?..“

„ვერა. რა თქმა უნდა.“ ვარაზმა. „წინა საუკუნე ჰო მთლად ლექად შეგვრჩა!..“

„ტლაპოდა!.. ტლაპოდ შეგვრჩა. თითქოს ამოვჰყავით თავი ტლაპოდანა. ოღონდ ესაა რო ლექში ამოვჰყავით. ტლაპოდან ლექში. და ლექი გვგონია თავანკარი. თავანკარი გვგონია. თავანკარი. ეს უნდა გავარჩიოთ. ეს უნდა ვძლიოთ. და გვეშველება. ლექიდან. ტლაპოდან. ქვაღორღიდან საუკუნეებისა უნდა ამოვზიდოთ თავი ჩვენი. აუუუ!.. რა სიმძიმიდან უნდა ამოვზიდოთ!.. რა საუკუნენი უნდა გამოვვლოთ რო დავიბრუნოთ თავი ჩვენი. ჩვენადა. და ჩვენი დავიბრუნოთ. რანიც ვიყავით ის დავიბრუნოთ. ისა. ისა. და მხოლოდ ისა. უცხო ავიყაროთ გარდასულისა. აწმყოისა და მომავლისაცა. აგერ. აგერ. კარს რო მოგვდგომია. ახლა ეს არის უბედურებაი. წარსული რაო – მოსჭამა ჭირი. ჩვენ შეგვჭამა და თვითონაც გარდაეგო. ეს ახალია – ახალი ლექი – უფრო ულმობელი და საშინელი. ჩვენი

თავი რო ჩვენად გვეყუდნოდეს – ის აღარ არის ახლა საფიქრალი. ჩვენ რო ჩვენად დავრჩეთ. ჩვენად გადავრჩეთ. ეს არის საფიქრალი. საფიქრალიც ეს გახლავს. საზრუნველიცა. სამოქმედოც ახლა ეს არის. ტლაპოდან ამოვედით. ლექს უნდა ავცილდეთ. ისე რო ლექზევე რო არ მოვცურდეთ. არადა ლექი გვეწევა ისევა. გვეწევა. არ გვიშვებს. როგორც რამ ნებო მოუცილებელი. შიშვლდება ყველაფერი. იდეალები იმსხვრევა. იფხრიწება და იძენძება სილამაზეი. ამაღლებული ჰქრება. მდაბიური იმკვიდრებს ტახტსა დიდებისა. გვირგვინი იფშხვნება. და მანდილი რა არის – სამასხროდა ქცეულა მანდილიცა. ქალიცა. დედაცა. გამქრალა მადლი დედაშვილობისა. მოწიწება გამქრალა. ლაზათი გამქრალა. პატიოსნება ჭირს წაუღია. ხელოვნება გაპამპულებულა. ლიტერატურა ქცეულა ბილწსიტყვაობადა. ენა ამოთხვრილა და ლორწო დის ბაგეთაგანა სიტყვების ნაცვლადა. სისხლი გვილაყდება და ფესვი ჩვენი ჰკარგავს სინედლესა. ჭკუას გვიმღვრევენ როგორც რო ნებავთ და ვაწყდებით ღობეყორესა. დავეცეცებით თვალახვეული და ხელს ვუწვდით ყველასა რო არცა ვკითხულობთ – ავი ვინმეა თუ ჩვენთამებრ ისიც ბრმა არის ან სულაც რო ტვინდაბნეული. გარდამავალი პერიოდიაო. გარდამავალია?.. მერე საითაა გარდამავალი?.. მოსჩანს?.. ნათელია?.. რევოლუციები გვიხსნის ვითომა ან ხელისუფლებაი ლანგარით მორთმეული. ჯერ ესეც რო ვერ გაგვირჩევია!.. დღე დღეს აღარა ჰგავს და ღამე ღამესა. მზე გვიან ამოდის: მთვარეც გვიანა. კიდევ კარგი რო მაინც ამოდის. კიდევ კარგი რო ჯერ არა ვართ სრულ უკუნეთში. თუმცა ვინ უწყის – ეგება ვართ?!. ვართ!.. ვართ!.. აბა ეს რა არის – სიმაღლეს აიღებ და – გადას-

ცემ მტერსა?!!!. თუ აიღე. რაღა თქმა უნდა. თუ არა ცრუობ!.. ესეც ჰო სიმდაბლეა?!. სიმდაბლე გვითრევს. ამაღლება გვეუცხოვება?!. ვაი უბედურო თავო ჩემო!..“ ამდგარა. გავიდოდა ისევ აივანზე. რას აჰკიდებია ეს აივანი!.. მოეფარებოდა ციხის ნანგრევებსა. სანთებელა რო აქ დარჩენია!.. შაქროც წასულა. ალბათ რო წყაროზე. რო არცა სვამს. მიდის და მოდის. უქმად ყოფნა არ უხერხდება. ლაპარაკიც არ უყვარს ამდენი. ზრდილობა მაინც დაახანებს. დროს იხელთებს და წავა წყაროზე. გამორჩა. ველარ მიადევნა თვალი. ვარაზმა. ნაღველმა წაიღო. რაც რო არ უნდოდა, იმან დაიტანა. ნაღველმა. ნაღველმა. ნაღველმა დაიტანა. ისევ ის ერჩივნა ტაძრის მხრიდან რო გაეხსნათ ცეცხლი. ამასაც ცეცხლითვე გაეცა პასუხი.

მხურვალე დღე იყო. მზეზე კვერცხი შეიწვოდაო.

მომეტებულადაც უთქვამთ: ქვა დუღდაო.

სიგრილე ნელა შემოიპარა. ნელა. ნელა. რო იგრძნო. ვარაზმა. უკვე კანკალი მოჰკიდებოდა. მოვარდნილიყო ქარიცა რო. ღრუბელიც მოეყარა. შავი. შავი. მრუმე ღრუბელი. ატალღული. აგრაგნილი. პირდაბჩენილი – ესაა დედამიწას გადაჰყლაპავსო. ვარაზს ეს აღარ მოაგონდება. არც რაი მეტი. რო შეაკანკალა იმის შემდგომა. წვიმაც დაასხა. კოკისპირული. მოუგერისა კიდევაცა. ისევ დაასხა და დაასხა. ქარმაც დაუარა ციხესა ისე – ბარემ რო მოებდღვნა საძირკვლიანადა. ქვებიც ჩამოცვივდა. დუღაბიცა. ვარაზს არც რაი არ დასცემია. ნაფშხვენიც არაო. ვერც გაიგებდა. ქცეულიყო თითქოს იმ ლოდადა. რაც რო ეთბილა. რამაც მერე რო ააკანკალა. შენივთებოდა. შერწყმოდა. შედუღაბებოდა. ქარი აშარი ილეწებოდა თვითონვე თუ წეწდა ყველაფერსა. აკიწანებდა.

ფანჯრებს ჰოო და რაღა თქმა უნდა. რაც შერჩენოდა ზემოჯვარხევსა. კრამიტებსაც ჰოო და ჰოო. წაიღო ჰო სახურავნი წოწოლანიო ჯვარხევისთავიდანა. ბდღვნიდა კიდევა სადღაც რაღაცასა. ქარიო თუ ისიც რაღაცაო. არამქვეყნისა. არცა ზეციერი. უფრო გარეგანი. უფრო შორეული. მიუწვდომელი ტელესკოპთათვისაცა. თანამგზავრთათვისაც მიუღწეველი. სამუმი უთქვამთ. ალბათ ისეთი. ეგება უფრო უარესიცა. ეკლესია გადაიხლიჩა გაღმა მთაზედა. დაბზარულიყო. ჰო. ჩამოშლილიყო. გაიპო კიდევაცა. ლოდები ისევე ეყარა ხევებში. ტიტლიკანა ლოდები. შემოეცლია ქვიშა და კენჭი. გადაეყარა ძეძვნარებშია. ეს იყო. სხვაფრივ თითქოს არცრაი განეცადა. ძეძვიანსა. იდგა გაჯეჯვილი. იდგა გაძეძვილი. შეხლართული და შებოჭილი. სხვა ყველაფერი აეკლო და მოენარიკლა. ქარსა. ქარაშოტსა. ქართლის სამუმსა.

XX

გონს რო მოეგო. ვარაზი. არა?!. ჰო არ დაგავიწყდა?.. ქარტეხილი ისეთი რამ არის, ხალხი იკარგება. ხალხი. ხალხი. კაცი რა არის. ერთი კაცი.

გონს რო მოეგო. ვარაზი. ესეიგი. სრული სიმშვიდე სუფევდა ირგვლივა. სრული. სრული. მხოლოდ მაჯას გამოეხსნა ხელი. ვარაზის მაჯასა. მისუსტებული თუ მოდუნებული ხელი. გამოეხსნა და მაჯა რო დაეშვა ლეიბზედა – გაიგონებოდა ისიცა. ოდნავი შეხებაი იგი გამოცოცხლებაი მაჯისა. ვარაზის მაჯისა. ხელიც იქვე შერჩა – რო გამოეხსნა. მისუსტებული თუ მოდუნებული ხელიო. სკამიც იქვე იდგა.

სკამზე ქალი. თვლემდა. გაახელდა თვალსა. მილულავდა ისევა. ისევა და ისევა. ვეღარც ძილისაგან დაეღწია თავი. არც სიფხიზლე არ ეშვებოდა. 24 საათი ეჭირა ხელში. მაჯაი იგი. სიკვდილ სიცოცხლის ზღვარზე ეჭირა. სიკვდილი რო იქით ეწეოდა. სიცოცხლე აქეთა. ეს ჩამდგარიყო. აფრთხობდა სიკვდილსა. ეძალებოდა. არ ანებებდა. ამანა სძლია თუ თვითონვე მოეშვა. სიკვდილიო. რაღა სარკვევია. მთავარი ის არის – ეს რო გონს მოეგო. ვარაზი. ცხადია. გაახსენდა რო შეაკანკალა. ის იყო და ისა. სხვა დანარჩენი ესეღა გახლდა: სიმშვიდეი სრული. ბუზის გაფრენაც გაიგონებოდაო. რა უცნაურია შედარებაი ზოგი. ბუზი ჰო აიკლებდა იქაობასა!.. ალბათ ამიტომაც მოძველდა შედარებანიო თუ სამკაულნი სხვანი სიტყვაკაზმულ მწერლობაში. გაშიშვლდა ყველაფერი. ქალიც გაშიშვლდა და ტიტლიკანა დაიარება. კაციც გაშიშვლდა და ტიტლიკანა დაიარება. თუ შეჰხვდებიან – ისიც ისევე ტიტლიკანაო. დემოკრატიზირებულ ლიტერატურაში. არც ქარიშხალი არ გაჰხსენებია. ვარაზსა. რა თქმა უნდა. არც გაუგია და არც გაჰხსენებია. არცა თავსხმაი. არც ისა თუ ვინ ჩამოიყვანა და როგორ ჩამოიყვანეს. ბიჭებმა ჩამოიყვანეს. თუ როგორაო. გაგვიგრძელდება საუბარი. ჩამოიყვანეს ერთისიტყვითა. დააწვინეს საავადმყოფოში. სადაც გონს მოეგო – იქ დააწვინეს. გაყინული. გათოშილი. და გათიშული. ზილა და ზილა. თვითონ ექიმმა. შაქრო შველოდა. ძმრით დაუზილა მთელი ტანი. ცხარე ძმრითა. ისე ცხარეთიო. ცხვირს აცემინებდათ თვითონაცა. ექიმსა და შაქროსა. ავადმყოფებსაცა. იქითა ოთახებში რო იწვნენ. ზილა და ზილა. ცოტა უშველა თითქოსაო ან თითქმის არ-

ცა. და არც ელოდა. ექიმი. ეს რო იკმარებდა. შემოახვია საბანი. რამდენიმეი. მატყლის ბარდანებიც შემოუწყო ირგვლივა. არც ამან იკმარა. ეგება დრო უნდოდა. ეგება ვინ უწყის. სიკვდილი იცდიდა რო!.. მაჯა ეცემოდა. ეცემოდა და ეცემოდა. სხვა რაღა საშვალება მოეძებნებოდა საავადმყოფოსა მთებში. ჯვარხევში. ჯვარხევში. ჯვარხევში!.. თორემ მთები ვითომ რაო – კოსმოსში გასვლა რო აღარ უჭირთ. არა. აღარა. მალევე გავლენ განვითარებადი ქვეყნებიცაო. ახალი სახელმწიფოებიცა აფრიკის ჯუნგლებისა. მხოლოდ საქართველო ვერ გავიდოდა რო არ მომხდარიყო რევოლუციაი ვარდებისაო. ჰო მოჰხდა!.. მოჰხდა და მერე როგორაო – გაასწრებს აფრიკის ჯუნგლებსაცა. ბევრ სხვასაც უკან მოიტოვებსო. აქ მაინც რაღაც უნდა ეღონათ. მანამდისა. ჩამოეყარა მხრები შაქროსა. მიბრუნდებოდა და იწმენდდა ცრემლსა. ცინდლებსაც იწმენდდა. ექიმმა ფთილები მოიკითხა. მოუტანეს. ვისაც რა ჰქონდა. კიდევ დაზილა გაყინული სხეული. იმავე ძმრითა. იმავე სისწრაფითა თუ ლამის რო გახელებითაო. შაქრო შველოდა ისევისევა. ისევე ცოტა გაკვირვებული. როგორა მჯობნის მე ეს ქალიო. დაზილა. დაზილეს. ჰაა და ჰაო – თითქოს რაღაც ფერი ამოკრთა გაყინული სხეულიდანა. თითქოსაო თუ რაც თუ რა იყო. ფთილები შემოუწყეს დაზელილ სხეულსა. ძმრის ოხშივარი რო ასდიოდა. ფთილებით შებუმბლეს და... ბრძანა ექიმმა. დედამა ბრძანა: ქალიშვილები შემოჰხვეოდნენ გაყინულ სხეულსა. შებუმბლულსა მატყლის ფთილებითა. ბრძანაო. ეს ისე. სიტყვამ მოიტანა. თორემ ბრძანება არ გაუცია. რაღა თქმა უნდა. ჩაილაპარაკა ვითომ თავისთვისა: თუ გადაარჩენს. ეს

გადაარჩენს. სხვა საშვალება ჩვენ არა გვაქვსო. და შემოეხვივნენ. მერელა შეფუთნეს საბნებითა. აქაც ექიმი უფრო ყოჩაღობდა. შაქრო მოეშვა გაკვირვებასა. მერე ეჭირა მაჯაი. ექიმსა. ეჭირა და ეჭირა. სული კბილით ეჭირა... არა. რაც გინდა თქვი. ამისი მოძველება არ შეიძლება. უკეთესად არც ითქმის. აღარც აღწერა აღარ უნდა ლოდინსა იმასა. განცდასა იმასა. იმედსა თუ უიმედობასა. არა. არა. მეტი არ უნდა არაფერი. სული კბილით ეჭირა!.. მიდი და მოჰკალი ეს ენაი!.. მიდი. მიდი. რაღას აყოვნებ. ნელნელა რადაო. ერთბაშად მოჰკალი!..

გონს მოეგო. ერთისიტყვითა.

ექიმიც შენიშნა. მაჯაც იგრძნო. ხელი რო დაეხსნა. თვალი მაინც შაქრომ წაიზიდა. გოგოები უკვე გასულიყვნენ. აძაგძაგებული გოგოები.

საწოლთან ჯორკო მიედგა. შაქროსა. ხელები დაეყრდნო საწოლზედა. თავი შიგ ჩაერგო და ეგრე ეძინა. ჩასძინებოდაო. უფრო ასე ითქმის. ექიმთან ერთად ათევდა ღამესა.

„წავიდა?.." ვარაზმა

ვინაო. შაქრომა. მიმოიხედა. ექიმიც ფეხზე იდგა.

ვაი ჩემს თავსაო. ვარაზმა. გუნებაში. ერთხელაც ჰო ასევე მოჰხდა: ვითომ სოფიომ რო მიიღო. სოფიომვე რო გაისტუმრა ვითომა. *ისა*. ასევე მოჰხდა. ასევე განმეორდა. რაღაც ვერ დადგა. შეირყა და ვერ იქნა, ვერ დადგა.

„წავიდნენ..." ტაძრის მხარესა გულისხმობდა. შაქროი. „მოგვეშვნენ... რაღაცა ჰხდებაო... და მოგვეშვნენ... ვნახოთ როდემდისა..." არ იგრძნობოდა დიდი რამ იმედი. „*ისა*" *ისინად* გადაიტანა. თავი შეაფარა ვარაზმაცა ამასა. რო არ დაიმედებულიყო არც

ხაინდრავაი!.. სოჭის მოლაპარაკებით არ დაიმედებულიყო. მართალიაო. მორიგდნენო. ჟვანიაიო და ბატონი ცხინვალისაო. განიარაღებაზეო. ერთობლივ კონტროლზე როქის გვირაბისაო. ოღონდ ახლა ამ შეთანხმების მექანიზმს შევიმუშავებთ. თუ შევიმუშავებთო. ამას დასძენდა მხოლოდ. თავისთვისა. ბრეჟნევსაც უჭირდა *მექანიზმი*. პუტინსაც *მექანიზმი* უჭირს. სხვამხრით რიგზეა ყველაფერი. შეთანხმებულია ყველაფერი. ოჰ ეს *მექანიზმი*. წყეული *მექანიზმი*!.. საკაშვილი არც არად აგდებდა – რის *მექანიზმი*. რა *მექანიზმიო*. ჩვენ ავიღეთ სიმაღლეები. ჩვენ დავტოვეთ სიმაღლეები. ამითი მსოფლიოს თვალნათლივ დავანახვეთ: ომი რო არა გვსურს. მოლაპარაკების გზით რო ვაპირებთ მთლიანობის აღდგენასა საქართველოსიო. მხოლოდ მოლაპარაკების გზითაო.

გრიგოლია: თქვენ როგორ ფიქრობთ ბატონო ნოდარ?..

ნათაძე (ნოდარ): მოლაპარაკება წყლის ნაყვაა. შევარდნაძემაცა ნაყა წყალი: ნაყა და ნაყა. რასაც რო იმან მიაღწია. ესენიც ვერ წავლენ იმას იქითა. რაც შევარდნაძე იყო, ესენიც ისინი ბრძანდებიან. განსხვავება არ არის მაგათ შორისა. სიმაააღლე!.. სიმაღლეს თუ აიღებ, არც მიატოვებ. თუ მიატოვებ, ველარც აიღებ.

გრიგოლია: თქვენ რა გზას აირჩევდით?..

ნათაძე: ახლავე მოგახსენებთ. არავითარი *სამხრეთ ოსეთი!*.. მითუმეტეს რო *რესპუბლიკაო*. რუსებმა ჰო *ოლქი დაარქვეს* საბჭოების დროსა. ახლა რესპუბლიკას გვახვევენ თავზე!.. არავითარი ამისი მსგავსი!.. ხოლო მოწყობას რაც შეეხება. მე გირჩევდით ფუნქციურ ავტონომიასა.

ბერძენიშვილი: უმართებულოა!.. პირუთვნელად თუ ვიტყვით – სისულელეა! თავაზიანად ამგვარად ვამბობ: უმართებულოა.

ნათაძე: ბოდიში მოიხადეთ!.. ეგ სიტყვები იქ დაგჭირდებათ – პარლამენტში. რასაც გამოსთქვამთ და რასაცა გულისხმობთ!.. მე რასაც ვამბობ, გამოცდილებით ვამბობ და სათანადო თეორიული მომზადებაც მიწყობს ხელსა. მე ნათლულები მყავს ოსებში...

ბერძენიშვილი: ოსებში?!. რომელ ოსებში?.. ნათლიები სადა გყავთ?!.

ეს აღარ იცის. ნათაძემა. არცა ჰყოლია ნათლიები. რო აკრძალულიყო ნათლობაი იმის ბავშვობაში. არ მონათლულიყო არცა სიბერეში. პარლამენტშიც რო აღარ იყო – ჩვევა მოჰკლებოდა – მზაკვრული პასუხი რო მიეგო მაშინვე მზაკვრულივე კითხვისათვისა. აღარ შერჩენოდა აღარც პარტიაი. ერთიღა გახლდა. ერთი და კენტი. ბოლომდე ორნი დარჩენილიყვნენ. მეორე – გრიგალაშვილი შერჩენოდა. გრიგალაშვილი და გაზეთი. გაზეთი გაჰყიდა ჯერა. გრიგალაშვილმა. მერე გაიყიდა რო თვითონაცა. გრიგალაშვილი, რაღა თქმა უნდა. აღორძინებაში გაიყიდა. თვითონა. გრიგალაშვილი. აღორძინებიდან მოქკავშირში. მოქკავშირიდან ნაციონალებში. წავიდა ასე ხელიდან ხელში. ხელიდან წავიდა. წასულიყოო. ჯანდაბასაო. მოსთქვამდა ნათაძეი. გაზეთი მაინც არ გაეყიდაო. გაზეთით უფრო ღრმა პასუხს გასცემდა. წერა უჭირს თუ ლაპარაკი უჭირს თუ ფილოსოფია უჭირს თუ პოლიტიკა უჭირს თუ მართვა გაუჭირდება სახელმწიფოსი!.. ეს ესენია რო უჭირთ ყველაფერი. ფუნქციური ავტონომიაც რო ვერ გაუგიათ!.. ამას რაღა უნდა. ეს ჰო რესპუბლიკელია. ბერძენიშ-

ვილიო. ეგენიც რო ორნიღა დარჩენილან და გაზეთიც რო არ გააჩნიათ. სანუგეშოდ ის თუ ექნებათ – გრიგალაშვილი რო არ არის არცერთი ამათგანი. „მე შენ განუგეშებ" გაცხარდა. ნათაძეი. გუნებაში რო – ცხადლივ ასე თქვა:

ნათაძე: მოუსავლის ქვეყანაში!.. თუ არ დაიზარებთ, მოკითხვა გადაეცით!..

ბერძენიშვილი: მე თქვენზე ბევრად პატარა ვიქნები.

ნათაძე: მწიფეს ესროდნენ და კუხე ცვივოდაო.

გრიგოლია: ბატონებო!.. ბატონებო!.. ქვეყანა გვიყურებს!..

ზოგი დაირცხვენს. ზოგი არა. ქალბატონის სტუმართაგანა. ბრძენი არ დაირცხვენს. რაღა თქმა უნდა. ანუ – ვისაც რო ბრძენი ჰგონია თავი. გვიყუროსო. მე მიყუროსო. აქ იმიტომაც მოვსულვარ მეო. ვითომ რო მართლაც ეცალოს ქვეყანასა. ვითომც რო დარდი არა ჰქონდეს მეტი – დაეღოს პირი და მისჩერებოდეს ტელევიზორსა. ვინთუ რას იტყვისო. ის თავისთვისაა – მჭევრმეტყველებაი. ქვეყანა თავის ჭაპანს ეწევა. ხანთუ შეიშლება. ქვეყანაი. რაღა თქმა უნდა. გადაირევა. გაგიჟდება და გაფოთდება. სიტყვას თუ აჰყვება და გადაირევა – წუთიერადა. წუთიერადა. მოშლის. მოანგრევს. მოსჭრის იმ ტოტსა – თვითონ რო ზის. ჩამოვარდება. დაიბეჟება. და მერე იზელს დაბეჟილ ადგილსა. იზელს და იზელს. ორატორთათვის აღარა სცხელა. დაბეჟვა კიდევ იმდენი არაფერი. მთლად კისერი თუ არ მოიტეხა. შესწევსღა ილაჯი – კიდევ უსმინოს!.. ილაპარაკონ. ილაპარაკონ. ვინთუ დაირცხვენს – დაირცხვინოს. ეამაყება ვისაც თუო – იამაყოს და იტრაბახოს. ჯვარხევში

მაინც არცრა ისმოდა გრიგოლიას სალონიდანა. არც რა მოსჩანდა. არც სასირცხვოი. საამაყოც არა. ჯვარხევი მისდგომოდა თავის საქმესა. სანაღვლოსა და სადარდებელსა თავისასა. ასნორებდა ნაონავრალსა. ნაქარიშხლევსა. ნანიაღვრევსა. ნატყვიარსა. ნაყუმბარევსა. ასნორებდა. ამთელებდა. სცვლიდა. ამაგრებდა. ამას თვითონვე აგვარებდნენ. ჯვარხეველები. ტელევარსკვლავები არა სჭირდებოდა ამასა. არც გამოჩენილი არქიტექტორი არა სჭირდებოდა. არც თბილისს რო აღარა სჭირდებოდა!.. მაინც თბილისში ამოჰყო თავი. ვარაზმა. რა თქმა უნდა. დაჰხვდა სოფიოი გააფთრებული. მე მაგათ მანანას დავავიწყებო. მეუღლესა ზვიადისაო. რაღა თქმა უნდა. კარგახანს ვერც მიუხვდა თუ რა მომხდარიყო. ანთუ მანანას რად იხსენიებდა. ახირებულადა და მუქარითა. კარგახანსაო. გაიგო როგორც იქნა...

ეხლა როცა ამ სტრიქონს ვწერ – არც შუაღამეა, არცა განთიადი. არც სისხამდილაა. დილაა. თბილისი რო უკვე გარეთაა. ალბათ რო თოვს. ფერფლი იშლება. სველდება. დნება სადღაც მახლობლადა. ასფალტზე იშლება წვეთებადა. ჭინჭყლი ამინდია. თბილისური ჭინჭყლი. ზამთარი ასე თუ გაილევა. ასეთი მოებმის გაზაფხულიცა. ჭინჭყლი. არეული. მომაბეზრებელი. ხოლო ამბავი მოულოდნელია. ამდილის ამბავი. მოულოდნელი და შემაშფოთებელი. ვისთუ შეაშფოთებს. ვისთუ ეამება. ვისთუ დააფიქრებს. პრემიერმინისტრი *გაზმა* გაგუდაო. ჟვანიაიო. ზურაბ-ბატონი. წარმოიდგენდნენ რო ყველაფერსა: აეფეთქებინათ. დაეცხრილათ. მოეწამლათ. თავი მოეკლა თუნდაცაო. ამას მაინც ვერ წარმოიდგენდნენ – გაზისგან რო გაგუდულიყო. შენ მაინც არ გაგიკვირდებოდა. შენ გჯე-

რა ბედისწერისა. წინასწარმეტყველისა გჯერა. ვაშ-ლიჯვარის წინასწარმეტყველისა. *ომეგას* საწარმოს მისდგომოდა 4 000 თანამშრომელი. გარეთ გამოყრილი თანამშრომელი. შიგნით ჯარი იდგა. შინაგანი ჯარიო. მალე მოვიდა ჟანდარმერიაცა. ზუჩებითა. ჩაჩქანებითა. ფოლადის სამოსითა. იარაღითაცა. რაღა თქმა უნდა. ხალხი მოსულიყო ვედრებითა: დაგვიბრუნეთ სამუშაოიო. ნუ დაგვამშევთ. ნუ გაგვაუბედურებთო. შიგნიდან მუქარას ითვლევინებოდნენ: მოგვცილდით თორემ ტყვიას დაგიშენთო. არ მოსცილდნენ. ვერც მოსცილდებოდნენ და დაუშინეს. დაუშინეს და დაუშინეს. ჯერ ჰაერშიო. გასაფრთხილებლადაო. ერთი ტყვია გაზსადენს მოჰხვდა. რატომ კაცს არაო. ბედისწერას თუ მიეთვლება ალბათ ესეცა. გაზსადენს მოჰხვდა. ერთისიტყვითა. გამოშხივილდა გაზი უეცრადა და ხმაც გაისმა გამყივანი.

ჰოი, კეისარო გეშინოდეს მარტის იდების.
საითაც წახვალ, ჩაგენგრევა გზებზე ხიდები.
როს გეგონება, მიაღწიე მწვერვალს დიდების,
ვით ყველაფერი, შენც ისევე გაიყიდები.
გაზი დაგახრჩობს – წყვილი ერთად გაიგუდებით.
შენად სუფევა!.. ხალხს შერჩება შენი ხუნდები.

გაგახსენდება და არ გაიკვირვებ. მაშინ არც რო არაფრად ჩაგიგდია. სად ჟვანიაო და სად გაზიო. აირიო ანუ. ისე ვერაფრით ვერ გაათბობდნენ. ჟვანიასაო. რაღა თქმა უნდა. *ნიკალას* გვერდით რო არ დაესვათო. სავარძელზეო. როგორც აცხადებენ. ნარდიც გაეშალათ და სუფრაც გაეწყოთ ორი კაცისთვისაო. აცხადებენ და აცხადებენ. აღძრულია სისხლის სა-

მართლის საქმეო. *ნიკალას* გააძევებენ თბილისიდანა?.. გააძევონ. ვიღა არ გაუძევებიათ. რაღა არ გაუძევებიათ. მაშინაც ჭინჭყლი ამინდი გახლდა. გაზაფხულის ჭინჭყლი. ახლა რო ზამთრისაა. ის დღე ერჩივნა ბატონ ზურაბსა. რო გაჰქონდა და რო გამოჰქონდა. რო აყრუებდა ქვეყანასა. მთლად ქვეყნიერებას თუ არაო. *ომეგამაო*: შეიარაღებული ბანდები შეჰქმნაო; უცხო რამ დანადგარები დაალაგა *იბერიაშიო*; ბეჭდავდა სააქციზო მარკებსაო; სჩადიოდა ბნელ საქმეებსაო; გაჰქონდა და გამოჰქონდა. აეყოლიებინა რო დამქაშები თავისი. პოლიცია რო შეუსია ფაბრიკასა. მუშები რო გამოერეკა კისრისტეხითა. ტელევიზიასა. *იბერიასა*. სტამბასა და ომეგა-თეგსა. რო ატრიალებდა ვითომ კლიშეებსა: აი ამითიო. აი ამითი ბეჭდავდა მარკებსაო. ის დღე ერჩივნა. ის ჭინჭყლი ერჩივნა. თვითონ გახლდა ბატონპატრონი ჟამისა მისა. გაბრუებული გონებისა. რევოლუციით გაბრუებულისა. ქცეულიყო რო უკვე სადავოდა: რევოლუციას მოეტანა ჟამი იგი თუ მიერთმიათ მართლა ლანგარითა. ქცეულიყო რო!.. ემტვრიათ თავი ისტორიკოსებსა. ისა ხარობდა. ზურაბ-ბატონი ზეიმობდა. ნეტარებდა ჟამითა. და ცხოვრებაც ჰო ჟამია და ჟამია ნეტარებაცა. ჟამი. ჟამი. მსწრაფლწარმავალი. დახამხამებასაც რო ვერ მოასწრებო. აი აჰაა!.. ის ჭინჭყლი ერჩივნა: ატრიალებდა რო რაღაცასა: დაინახეთო. კლიშეებიო. ჯერ რო ვერც გაეგო: სტამბებში რო დავიწყებოდათ კლიშეები გუტენბერგისა. ან რად გაეგო – უვიცნი ჰო უჯერებდნენ. ავტომატები მიეშვირათ მცოდნეთათვისა. გაეხვრიტათ რო გაზის მილიცა. აირისა. შხიოდა გაზი. და ისმოდა ხმაი ბედისწერისა: „ეგ გაზი დაგახრჩობთ წყვილწყვილად და სათითაოდა!..“

დაგახრჩობთო თუ გაგგუდავთო?..

სულერთი არ არის?..

ის დრო ერჩივნა მაინცა. პრემიერმინისტრსა. ჟამი ხელთეპყრა. ჟამს ეპყრა ხელთა. შემოდიოდა გაზაფხული. პირველი გაზაფხული. რევოლუციისაო. ვარდობისა. თან მოეტანათ ენძელები თანამშრომლებსა. რაიონებიდან ჩამოსულ თანამშრომლებსა. წიოდა ტყვიები. შხიოდა გაზი. მირბოდნენ დამფრთხალი ადამიანები და ცვივოდა ენძელები ვაშლიჯვარის ქუჩებში...

„აწინდელი ხელისუფლების მოქმედებას ყველა ენაზე ეწოდება *რეკეტი. სახელისუფლებო რეკეტი.*" შევარდნაძემ აუხსნა ჟურნალისტებსა. ითმინა. ითმინა და ველარ მოითმინა.

„ბატონ ჯოხთაბერიძეს – შევარდნაძის სიძესა – ჯიბიდან რო ამოაღებინეს 15 მილიონი დოლარი და შეიტანეს ბიუჯეტში, ამას რევოლუცია ეწოდება ყველა ენაზე. შევარდნაძეს ენა აერია. არც გასაკვირია. ის ისე *შეაჯანჯღარა* რევოლუციამა. ისე!.. ისე!.." განუმარტა სააკაშვილმა *მასებსა*. აუხსნა. შთააგონა. თავისას იქმოდა *მასები* – ქუჩები გადაეკეტათ თუ საშიმშილოდ დამსხდარიყვნენ თუ შეჰყვიროდნენ პარლამენტსა თუ მერიას შეჰყვიროდნენ: გამოიხედეთ მაინცა. რამე გვითხარით მაინცა. სასოწარკვეთისგან აღარა ვართო.

ჰო. ჰო.

ჰოდაჰო.

სოფიომაო: მე მაგათ დავავიწყებ მანანასაო. ჟამი იდგა ისევ ჟვანიასი. ზამთარი შორს იყო. მითუმეტეს მარტის იდები. ჟამი იდგა ჟვანიასიო. დახლი გაემართა. საქართველო გაედო დახლზედა. იყიდებო-

და ბითუმადაცა. ნაჭერნაჭრადაცა. დახლში ბენდუ-ქიძე ვერ ეტეოდა. იჭედებოდა მაინცა ძალდაძალა. ხელთეპყრა არშინი ვეებერთელაი. კბილის საჩიჩქნა-დაც არ ეყოფოდა არსენას არშინი. წვრილწვრილი ნოქრებიცა. ჭრიდნენ და ჭრიდნენ დიდი არშინები-თა. დახლს მისეოდნენ უცხოელები. ყველა ქვეყნისა და ყველა ჯურისაი. ყიდვით ყიდულობდნენ უფრო რუსები. ენაი ამათი კარგად იცოდა. ბენდუქიძემა. ჟვანიამაცა. იმა წვრილწვრილმა ნოქრებმაცა. საკმა-რისად შეესწავლათ ინგლისურიცა. გული მაინც იმათკენ მიუწევდათ. რუსებისკენა. სოფიოს არაო. არც რო იმათკენ არ ეწეოდა არაფერი. რუსებისაკე-ნა. არც რა ესაქმებოდა იმა წვრილწვრილ ნოქრებ-თანაო. არც ჟვანიასთანა. არც ბენდუქიძესთანა. პი-რადად არცვინ არ გამოეყო. ამბროსი დაეჭირათ. ამ-ბროსი უნდა გაეთავისუფლებინა. ვინც გადაუდგე-ბოდა. იმას ეცემოდა. ფრჩხილებიც გამაგრებოდა. ნუნებიცა. მანიკიური რო აღარც ახსოვდა. გამოსუ-ლიყვნენ დაზარალებულნი მიწისძვრისგანა. ნაძალა-დეველნი. დიდუბელნი. ჩუღურეთელნი. სათავეში ჩაუდგა იმათა. სოფიოი. რაღა თქმა უნდა. აქ რა გვინდაო. იკითხავდა ვარაზი. აღარ ეცალა სოფიოსა ამისთვისა. ვარაზისთვისა. შინიდან დასძრა. რო-გორც რო იქნა. რის მეზობელი ხარ. რა მეგობარი ხარ თუ გაჭირვებაში არ მოგვხედავო. დასძრა ასე და ამგვარადა. აღარ ეცალა. როგორ ეპასუხა. მიმხვდა-რიყო როგორმე თვითონა. ან რა როგორმეო. ჰყვი-როდა ხალხი. უსახლკარო ხალხი. სამსახურიდან დათხოვილი ხალხი. დამშეული და დანქრეული. ჭერი მაინც გადაგვიხურეთო. ჭერი მაინცაო. ბავშვები რო შევაფაროთო. დავრდომილნი რო შევაფაროთო. მიმ-

ხვდარიყო. არ ესმოდა რო!.. თუ დაყრუებულიყო მთავრობასავითა. მერია. ითქვას. მერიისავითა. ქალაქისაო. მიემართებოდნენ რო იქითკენა. ნაძალადეველნი. დიდუბელნი. ჩუღურეთელნი. ძველთბილისელნი. სული და გული ვარდობისაო. იქ იდგნენ. იქა. იქ ამოირთვეს სული. იქიდან აიღეს პარლამენტი. იქიდანვე უნდა დაეწყოთ. ისევ ისევე. ჩვეულებისამებრა... დაუჩვეველს ნუ დააჩვევ. დაჩვეულს ნუ გადააჩვევო. ჭერი!.. ჭერი!.. ბღაოდა ხალხი. პარლამენტს ერტყმოდა პოლიციაი. კანცელარიასაცა. რუსთაველიდან ჰოო და რა თქმა უნდა. ინგოროყვადანაცა. კოტეტიშვილიდანაცა. იქიდანაც არ შემოგვეჭრანო. ამათთან არც რა არ ესაქმებოდათ!.. მერიისაკენ მიემართებოდნენ. ნაძალადეველნი. დიდუბელნი. ჩუღურეთელნი. გამობრძმედილნი 905-დანა. 2003-შიც რო დაამტკიცეს. რეპეტიციებიც აღარ უნდოდათ. აწრიალებულიყო ბურჯანაძეი. ჟვანია ამშვიდებდა. პრეზიდენტი გახლდა არხეინადა. ამათ ინაღვლონ. თორემაო. მალე მე ავლაბარს გადავსახლდები. მოერიდებიან ბარათაშვილის აღმართსა. რუსთაველი მაინც გაჯეგილი აქვთო. და გადაჯეგეს კიდევაც როო – ჟანდარმერია იკავებდა მოედანსა თავისუფლებისა. მოეყვანათ უკვე. ვეებერთელა უცხოური მანქანებითა. ამწეებიც მანქანებზევე დამაგრებულიყო. ასწიეს ჟანდარმები. მძიმედ შეჭედილნი. ჩაჩქანებითა. ბეგთარებითა. საბარკულებითა. ჩაალაგეს ქუჩის პირებში. ყველა ქუჩისა. მოედნის ირგვლივა. პუშკინის გარდა. გზა იქით მისცეს. ხალხსა. ცხადია. კისერიც გიტეხიათ პუშკინის ქუჩითაო. მზად დაჰხვდათ მერიცა. ქალაქისაი. რაღა თქმა უნდა. ჩაჩქანითა. ბეგთარითა. საბარკულებითა ისიცა.

აივანზე გადმომდგარიყო. სიზვიადითა უაღრესითა. აივანზედა. ცნობილ აივანზე. სახელმოხვეჭილზე ნოემბრის დღეებითა. ვარდები რო ეფრქვევოდა ციდანა. ასფალტზეც ვარდები რო ამოსულიყო. აღარც რა ცვივოდა ზეციდანა. აღარც რა ვარდი გაშლილიყო მოედანზედა. ფოლადის კაცი იდგა აივანზე. გადმოიძახოდა ფოლადის ხმითა:

რა გნებავთო.

საიდან გადმოგვძახი. ვინა ხარ თუ რა ხარ. ჩვენ კაცს მოვითხოვთ. ჩამოდი თუ კაცი ხარ. კაცურად მოდი. კაცურად გვეუბნეო. სოფიომა. მეგაფონითა. მომრავლებულიყო მეგაფონები. საკუთარი ეშოვა. სოფიოსა. ახლათახალი. ახალი წარმოებისა. დამასკოსიო თუ უფრო სიღრმითი სიღრმისეულისა. სატუჩარი რო განიერი დაეტანებინათ. დიდი ტუჩები რო ჩატეულიყო. ზანგური ტუჩები. ხმასაც გამოსცემდა ისეთნაირსა. იერიქონის საყვირიო – თუ გაგიგონია.

რა გაყვირებსო. აივანმა. პატარა კაცმა. დიდი გულისამა. მე ყურს ვერ გამიხვრეტ. გაჭედილი მაქვს ბარაბანი ყურისაო.

ვიციო. ვიციითო. სოფიომა. გამოგვიყენეთ და აღარა გჭირდებით. თქვენი გაინაღდეთ და აღარად გვაგდებთო. მიუწვდომელიდან ნუ გადმოგვძახი. ჩამოდი კაცობა თუ შეგრჩენიაო.

ჩამოვალ. მე თქვენი არ მეშინიანო. და მიუყენეს რო ამწეი იმასაცა. პატარა კაცსა. პატარა მერსა. დიდ ქალაქისა. არც ისე დიდისა – ნიუიორკი რამხელაც გახლდა. იჭიმებოდა რო მაინც იმხელასა. მიუყენეს და ჩამოსწიეს. შეაჩერეს შადრევნის შუა. შუა მოედანზე. ეგრევე ამწეთი. იმსიმაღლეზევე – ძეგლი რო გახლდა ლენინისაი. იქავე. იქვე და იმსიმაღლეზე. იმხელავე კა-

ცი. თითიც რო ისევე გაეშვირა!.. ოღონდ იმას რო ერთ მხარეს გაეშვირა. ძეგლსა. ესა ტრიალებდა. მიმართავდა რო ირგვლივა. მოედანსა. ტრიალებდა და ცმუკავდა. ცმუკავდა. ხტოდა. აფეთქდებოდა და ჩაიწევდა. ადუღდებოდა და განელდებოდა. მეტიდამეტი აფეთქების წინა. მეტიდამეტი ადუღების წინა. როგორც რო *იგი* ძეგლად ქცევამდისა. *იგი* – ლენინი. რაღა თქმა უნდა. *აგი* ჯერ მხოლოდ ბოგაზე იდგა. ამწისაი. იქავე და იმსიმაღლეზე – საიდანაც რო გადმოიღეს. თანმიაყუდეს რო ბომონიცა. იდგა უშიშრადა. მხრებანეული. უფრო უშიშარი მოვეჩვენოვო. უფრო მაღალიცა. პირველყოვლისა და რა თქმა უნდა. ანთუ რად უნდა მეშინოდესო. „მე ჰო თქვენი ახალი ხელისუფლება ვარ. ის აღარ არის. გაიგეთ ხალხო!.. მორჩა ჩაბარდა ისტორიასა. ჩვენ თქვენთვისა ვართ. ხოლო მე საკუთრად თბილისისათვისა. საკუთრად თქვენთვისა. აგერა საათი. არ გეცნობათ თუ!.. პრეზიდენტმა რო დამაჯილდოვა თქვენდამი სანიმუშო სამსახურისათვისა. მე იგივე ვარ. იგივე ვარ მარად და მარად. ჩემზე ეჭვი არ შეგეპაროთ: თქვენზე ფიქრით ვაღამებ დღესა. სიზმრებში თქვენი ფიქრითა ვბორგავ. ახლა ასფალტია ფიქრები ჩემი. აბურდულ ქუჩებს რო ვუშველო როგორმე. თავში ახლა ასფალტი მიდევს. ასფალტი და მხოლოდ ასფალტი. მეტს ვეღარაფერს ჩავიდებ თავში. რაღა დროს მინისძვრაა. ეს იმას უნდა მოეთავებინა: წინა ხელისუფლებასა. მოიცათ!.. მოიცათ!.. მე იმას არ ვამბობ – თითქოს ჩვენ ვიხსნით პასუხისმგებლობასა. არა!.. არა!.. ოდნავი ეჭვიც არ შეგეპაროთ. თქვენ გექნებათ ახალი ბინები. ჩვენ ვზრუნავთ ამაზე. სახლებსაც აიშენებთ თქვენსავე ეზოებში თუ სადაც გენებებათ. ევროპროექტებითა. აბა რა

გგონიათ. ისევ კარგარეთელებითა და ჩხენკელებით ჰო აღარ ამოვჩხორავთ თბილის-ქალაქსა!.. გვეყო ძველმოდური. მდარე. იაფფასიანი. ევროპროექტები. ევრორემონტები!.. აი თქვენი მომავალი ბინები. სახლები. სასახლეები. მე ამასა ვხედავ. მე ვხედავ ევრონაძალადევსა. ევროკუკიასაცა ვხედავ. ევროდიდუბესა – ღმერთო დიდებულო – რა მშვენიერებაა!.. ჩუღურეთი ჰო – თვალებსღა ვხუჭავ, არ დამიბნელდეს რო ბრწყინვალებითა!.. მაშინ ჩვენი ეკონომიკა ევროდონეს გაუსწორდება. თქვენ გამდიდრდებით. თქვენვე აიშენებთ. თქვენ ამისი შესაძლებლობა გექნებათ. იაზროვნეთ ახლებურადა. გვეყო *ხრუშჩოვკები* და *ჩეხუროვკები*, თავს რო გვახვევდა კარგარეთელი... ჩვენ ახალი ერა დავიწყეთ!.." გაოგნდა მოედანი. ძლივს მიჰხვდა მოედანი: ეს რა ხმა გვეფრქვევა და რა სიტყვებიო. გაოგნდა და ადუღდა. ადუღდა და გადმოვიდა. გაიწია და გაიშალა... ვერაო. ვერა. ვერც გაიწია და ვერც გაიშალა. ბომონზე ჩაირთო – *პულტიო* – არა!.. დიახ. დიახაცა. დაიძრნენ ჟანდარმები. ხელი ხელს მისცეს. მხარი მხარსა. შეკუმშეს მოედანი. ხალხი შეყრილი. შეკუმშეს. შეავიწროვეს. მიაწვნენ და მიაწვნენ. ზემოდან ქვევითა. სადით რო პირი დაეღო ქუჩასა. დაღმართისაო პუშკინისა. ესენი მიაწვნენ და ის მიაწყდა. ხალხი. ხალხი. მიაწყდა და დაიხია. ისევ მიაწყდა და კინაღამ მიაცხვა. ლავაშია თითქოსაო. გამოსცემდა რო სიმხურვალესა ისეთსა ბეგთარი. კაცი იმას ვერ ჩაიცვამდა. კაცი თუნდაც რო რკინისაი. ზღაპრებში თქმული. ეს ცხადი იყო და ცხადზე უარესი. დევი რო თქმულა. დევზე უარესი. ურჩხულიო – ურჩხულზე უარესი. რობოტებიო. დაიგმინა ხალხმა. თავს ვუშველოთო. და მოირღვა. მოიშალა. გამზადებული საბრძოლ-

ველადა. ჯერ რო დადუნდგოვდა, წავიდა ახლა ნიაღვარივითა. ლამის პუშკინიც თან წაიღო. ლამის დააგორა თავის დაღმართზედა. თავი შეიკავა სოფიომა. როგორღაცაო. მერეღა მიჰხვდა. მოსჭიდებოდა ერთერთ რობოტსა. რაღაც რო მოშლოდა. გამოთიშულიყო. მოსჭიდებოდა და გაიწიო. უბრძანებდა კიდევაცა. იმას გაწევაც რო არ შეეძლო. გვერდითმა რობოტმა გადასცა ბომონზე: უწესივრობაა. გავირღვევითო.

აბა მაშ რაო. სოფიომა. ქვევით რა გვინდა. ჩვენი სამოსახლო სოლოლაკშიაო. ჩემიო და ვარაზისაო. ხელოვნების მუზეუმთან იყვნენ. მუზეუმისა და ცეკავშირის შუა.

აბა რა გინდოდა ლოტკინელებთანო. კერპმა მან ბომონისამან. ამას თუ მეგაფონი ეჭირა ხელში. იმას – მიკროფონი. აგებინებდნენ ერთიმეორესა. ის უფრო მკაფიოდა. ეს უფრო ჩლიფინითა. სულერთია. აგებინებდნენ.

მე ამბროსის დარდმა გამათავა და ყველა გაჭირვებულს გვერდით ვუდგევარო.

მიდი და სდიე მაგ გაჭირვებულებსა. სდიე და სდიე ლოტკინის გორამდეო. ეგ კი გაუშვით ეგ ვიღაცაა. თავის გზაზე თუ მიდიოდა. ამათში შემთხვევით გარეულაო.

არაო. ვარაზმა. ქალბატონს როგორ მივატოვებო.

„ოოოოოოოო!.. *კავალერ!..* ვარანცოვის *პლეადისა!..*" ბომონიდანვე. „ვერ მიატოვებ და სდიე შენცა ლოტკინის გორამდე!.." და ჩაირთო რობოტი. გამოთიშული. და ავარვარდა რო ისიცა. ნიაღვარს მიეცა ორივეი. სოფიოცა და ვარაზიცა. მეგაფონი იქვე ჩაიძირა. ის ახლათახალი. ის საუცხოვო. ზანგის ტუჩების სარგო მეგაფონი.

XXI

ორივე წაიღო ნიაღვარმაო. ლოტკინამდის მაინც ველარ წაიღო. ვერც იქავე ჩულურეთამდისა. გაირიყნენ კოლმეურნეობის მოედანზევე. კოლმეურნეობისაო. შერჩა და შერჩა ეს სახელი. შუა ქალაქშია. ორბელიანების უბანში. ყაბახზე. შერჩა და არც შერჩება. მოიცლის მერიაი ამისთვისაცა. მოიცლის. მოიცლის. გამოჩნდებიან გონიერნიო. ამათ ჰო ასფალტი უდევ თავშია... გაირიყნენო ერთისიტყვითა. ფურცელაძის ქუჩით აიარეს. ბიბლიოთეკას გასცდნენ. მუზეუმსაცა. მოედნისაკენ მაინც ვერ გაჰბედეს. იქ ჟანდარმერია იტვირთებოდა მანქანებზედა. მოერიდნენ კანცელარიასაცა. პარლამენტსაცა. ბესიკის ქუჩით ამჯობინეს. ააღწიეს ჭონქაძემდისა. იქიდან შინისკენ გაიკვლიეს გზაი. ჰო დავაფეთეო. არა სცხრებოდა სოფიოი. შიში ჰო ვაჭამე მაგ ცინგლიან მერიასაო. ზოგი ახლა ნახონ. მე მაგათ ცხვირში ძმრად ამოვადენ ამბროსის ციხეში ჩაყუდებასაო. არა სცხრებოდა. ნანობდა კიდევაცა. ყველაფერი ვერ ვუთხარიო. ნანობდა და არცა ნანობდა. სად წამივლენო. ხვალაც ამთვისაა. მე რო ამათ ვუყურებ – ყოველდღე ვინმეს აიტეხენ. არ მოისვენებენ. არც არავის არ მოასვენებენო. მეგაფონი ენანებოდა. ხმას ისე ვით მივაწვდენ ან სად ვიშოვი ისეთივესა. „რა იყო?.. არა?.. შიგ ჩავძვრებოდი ცხვირპირიანადა. სჭექდა როგორა!..“ სად ვიშოვიო. არ ვიციო. ვარაზმა. შეურაცხჰყოფილიყო. ჰო მოჰხვდა და მოჰხვდა ვარანცოვის პლეადის კავალერიო. *ხრუშჩოვ-*

კებიცა და *ჩეხუროვკებიც* რო წამოაკეცეს?!. ამისი ბრალი იყო?!. ამათი ბრალი იყო?!. „კომუნისტები თხზავდნენ ისტორიასა წაღმაუკულმა. ესენიც თუ ისევე თხზავენ – ისემც კაი დაემართოთ, კაი ისტორია ან ამათ დაუტოვონ შთამომავლობასა." მამამისსაც შეადგენინეს პროექტი სამთავისის კომუნისაი. თვითონვე აღუწერეს და შავი მონახაზიც დაუდეს წინა. ოდნავადაც არ გადაუხვიოო. უბრძანეს ბრძანებითა. მუქარითა. რაღა თქმა უნდა. ვერც გადაუხვევდა და თავბედსაც იწყევლიდა. კიდევ კარგი განხორციელება რო არ ეწერაო. თავს იმშვიდებდა მამამისი. მაჩქარებდნენ და მაჩქარებდნენ. თვითონ უფრო მეტადა ჩქარობდნენ. მე ვიდრე პროექტს დავამთავრებდი – კომუნა უარჰყვეს იმათაო. კოლმეურნეობა გამოიგონეს. ჯერ ესაო და მერე კომუნაო. კოლმეურნეობისა მოედანი მაინც დარჩა შუაქალაქში. კომუნისა არც არაფერიო. ჩემი პროექტიც არა. მაშინვე დავხიეო.

„მე ვინ დამახევინებდა *ხრუშჩოვკებსა*?!." ვარაზმა. „ხრუშჩოვი გააძევეს კრემლიდანა. მაინც აშენებდნენ *ხრუშჩოვკებსა*. იაფია. სწრაფია. და ასატანია. ვინც ვერ აიტანს – ეყარნონ გარეთაო. ამ *იდეებსაც* მე მომაწერენ!.."

„არც გაუკვირდებათ!.." ეპასუხებოდა ამასაცა სოფიო. განაგრძობდა მუქარასაცა. სინანულსაცა. აღარცერთი რო აღარ დასჭირდებოდა: შინ დაჰხვდა ამბროსი. გასულიყო 15 დღეი. 15 დღე მიესაჯათ. იცოდა ესა. სოფიომა. რაღა თქმა უნდა. მაგრამ გაგრძელდა პირველი დღეი ისე. ისე. დაუსრულებლადა ისე. მეგონა 15-ს აღარ ექნებოდა დასასრულიო. მოსთქვამდა სოფიო. ამიტომ გამორჩა დღეი იგი განთა-

ვისუფლებისა. ამიტომაც ვერ შეეგება საპატიმროს-
თანა. ვარდებითა. ამიტომაცა და იმიტომაცა: საზო-
გადოებრივმა ტკივილმა რო სძლია. პირადული გა-
დაავიწყდა. ამბროსიმ მოუწონა: ეგრეც უნდა მოქცე-
ულიყავიო. ღირსეულად ეჭირა თავი. ამბროსისა.
ნარჩემაშვილივითა. რაღა კაცი ხარ ერთხელ თუ მა-
ინც არ დაგაპატიმრესო. რაღა ვაუკაციო. ახლა ისე-
თი დრო არისო. განაცხადა რო ნარჩემაშვილმა, იმე-
ორებდა ამბროსიცა. აფორიზმივით იმეორებდა. სა-
კოლმეურნეო ბაზარში დაიჭირეს. საზოგადოებრივ
საქმეზე ისიცა. ამბროსი. ბაზრის მოვაჭრეებს ესარ-
ჩლებოდა. ერეკებოდნენ. მოვაჭრეებსა. რემონტი
უნდა ჩავატაროთო. ერეკებოდნენ და არ გადიოდ-
ნენ. მოვაჭრეები. იმათ იცოდნენ. მოვაჭრეებმა. რე-
მონტი იქნებოდა თუ რაც იქნებოდა – უკან აღარ შე-
მოუშვებდნენ. ესეც რო ბაზარი საკოლმეურნეოო.
შერჩენოდა სახელი ამასაცა. შუაქალაქში. მოედნის
მიდგმაზე. კოლმეურნეობისაო. ისევ ისევე და იმგვა-
რადა – აღარსად კოლმეურნეობა რო არსად აღარ
იყო და როცა იყო, არც არაფერი არა ჰქონდათ გასა-
ყიდი კოლმეურნეებსა. არაფერი. არაფერი. კუჭი უხ-
მებოდათ შიმშილითა. ალბათ ესეც რო უკულმად ით-
ქმის ისტორიაში. ამას მაინც ვერავინ ვერ გააყალ-
ბებსო. ამბროსიმა. გვცემეს. რეზინის კეტები გვირ-
ტყეს. გაზსაც გავუშვებთო. დაგვემუქრნენო. ისინი
გაცვივდნენ და გაიფანტნენ. მე არ გამოვდიოდი. მე
მომბაძა კიდევ რამდენიმემა. ხელები შეგვიკრეს და
დახურულ მანქანაში გვიბუცეს თავიო. ეს იცოდა
სოფიომა. არც უშვებდა. ამბროსისა. მაგათთან რაღა
გინდა. მებაზრეებთანაო. მოსამართლესაც ეს დაეხ-
ვია ხელზედა. ვინა ხარ და რა ხარ, ყველგან ყველას

რო შენ ეჩხირები თვალშიო. დეზერტირებთან შენ გააყრუე იქაობაო. ახმეტელის მეტროსთან შენ იყავი. ელიავასთან მეგაფონი ველარ წაგგლიჯეს ხელიდანაო. კომპენსაციისათვის რო გამოდიხარ – გასაგებია. პენსიას რო მოითხოვ. ვინ აგიხირდება. მაგრამ აქ რა გინდა. ამ მებაზრეებთანაო. სწორედაც რო ამათთან მინდაო. ამბროსიმა. აბა რას სჩადიხართ და რის სამაგიეროს უხდითო. ამათ მოგიყვანეს. ვარდებიც ამათ მოგიფინეს. ესენი დაგდევდნენ მოედნიდან მოედნებზედა. ამათ დაგაბრძანეს ხავერდოვან სავარძლებზედა. ამათ მოგართვეს ხელისუფლებაი ლანგარითა. ლანგარითაო... ლანგარითაო???!!!. გადაირია მოსამართლეი. ეს ჰო შეურაცხჰყოფაა უმაგალითო რევოლუციისა მსოფლიო ისტორიაშიო. გადაირია და გადაირია. მოსამართლეი. რაღა თქმა უნდა. ვინ მოიყვანა აქ ეს კაცი ხულიგნობის მუხლითაო. ეს ჰო სისხლის სამართლის დანაშაულია. სახელმწიფო ღალატია და ღალატის მუხლებით უნდა გასამართლდესო. „ჩემი საქმე ცალკე გადასდეს." ამბროსიმა. „მაშინვე გაუშვეს ჩემთან ერთად შეპყრობილები. შეპყრობის დროს კარგადაც ურტყეს. ვითომ და რაო – არ დაგვმორჩილდნენო. ის აკმარეს. რაც რო ურტყეს. მე სხვა გალიაში შემაგდეს. შარაძის გალიაში." ვისიო. ვარაზმა. გაიოცა ისე – თვალები გადმოკარკლაო. იტყოდი.

„შარაძისა!.." ამბროსიმა. უფრო ხმამაღლა. ყურთ თუ დააკლდაო.

„შარაძისა????!!!!!.." ვარაზმა. უფრო ხმადაბლა და კიდევ უფრო გაკვირვებითაცა. მიკვირს. ყურთ არ დამკლებიაო.

„შარაძისა!.. კაცო. ადამიანო!.. რა დაგემართა?!."

„საიდან სადაო და წმინდა საბაო... მე რა უნდა დამმართოდეს?!."

„მოიცათ!.. მოიცათ!.." სოფიომა. დრო იყო. უნდა ჩარეულიყო. რო არ შესკდომოდა ერთიმეორესა ორი აბნეული კაცი. ამას ჰო არ ეცოდინებაო. ვარაზსა ესეიგი. ეგება რო ამერიკაშიც იყო ამხნის განმავლობაშიო. „შარაძეც გადასცეს სასამართლოსა. ხულიგნობისათვისა ისიცა. კარიკატურები დახია ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში. ვილაც ამერიკელის კარიკატურები. რაფალ ოლბინსკიაო თუ რაღაც ამგვარი. პორნოგრაფიული ხასიათისა. ამაზრზენი. ახლა ესენი რო მოდერნს უწოდებენ თუ პოსტმოდერნსა თუ რასაც უწოდებენ – ჯანდაბას იქითაც გზაცა ჰქონია. ამისთვის მისცეს სამართალში. სტამბური პლაკატები ორიგინალებად შეუფასეს. ბუღაძემ შეუფასა. თითოში 500 დოლარიო. 48 სურათში – 48-ჯერ 500-ო. 20 ვაპატიოთ. იყოს 28-ო. 28-ჯერ 500 დოლარი უნდა გაიღოს. ჩვენი სამხატვრო აკადემიისათვისაო."

ან სამხატვრო აკადემია რაღა შუაშია ან ეს სახელმწიფო ღალატი საიდანღა გამოიკვაჭაო. ვარაზმა.

„მოგიყვებით. დანვრილებით მოგიყვებით!.." სოფიომა. გაიხარა. ოი რა გაიხარა!..

„დამაცადე. სოფიო ჩემო. ძვირფასო ჩემო. ისე არ გამოგვივიდეს. ნათქვამი როა: ქმარი ლაშქრად იყო, ცოლი ამბავს ახვედრებდაო. ადრეც მითქვამს. დამაცადე თუ შეიძლება. თუ არა და აჰაა – მოუყევი!.."

„არა!.. არა!.. მე ის გამიგონია: მზე რო საიდანღაც ამოდიოდაო და რაღაც ასეთები. უკაცრაული პასუხია. სახელმწიფო ღალატისო – კარგადაც ვერ გავიგე..."

„ისიც ლანგარზე წამოეგო...“ შარაძეო. ამბროსიმა. „ადვოკატი აიყვანეო. სთხოვეს. მეო. ადვოკატიო. მე რა ადვოკატი მინდაო. შარაძემა. და წამოეგო. სიტყვა – იცოცხლეთ – გააბა და გააბა. გააჭრელა და გააჭრელა. მაგრამ წამოეგო და ისე წამოეგო, თვითონვეც რო ველარ გამოიხსნა თავი. მერე მოითხოვა ადვოკატებიცა. ველარც ისინი რო ვერას უშველიდნენ. ისევ ქალბატონი თევდორაძე თუ არა: ეს ადამიანის უფლებების დარღვევაა. სტრასბურგი ამას არ გვაპატიებსო.“

რა მოჰხდა ისეთიო. ვარაზმა. სტრასბურგი ჰო ახლა ამათია. ვაშინგტონიც ამათია და ამათიო. ანუ – ჩვენიო. თავი დაიზღვია. ბრძანდებოდა რო ერთგულებში, მაინც დაიზღვია თავი.

რა მოჰხდაო და ის მოჰხდაო. ამბროსიმა. „რის პლაკატიო და რა მოდერნი თუ პოსტმოდერნიო. ან შარაძეს ვითომ რატომ ემცხეთებოდა: მზე თუ სასირცხვოდან ამოსულიყო. ქალის სასირცხვოდანა. პლაკატზედა. ან სააკაშვილი რა თავს გამოიდებდა: რა მოსწონს თუ რა არ მოსწონს შარაძესაო. არა. რა თქმა უნდა. მიზეზი სხვა იყო. და ის იყო, რაც იყო: რაღაც გორმახები რო აიღო სააკაშვილმა ცხინვალს ზევითა – ერთი კი ბრძანა: ავიღეო და მაშინვე უბოძა პუტინსა. დაჰპირდაო და უბოძაო. შარაძემა. სოხუმსაც უბოძებს ასევე პუტინსა. სოხუმსაც დაჰპირდაო. ჩვენ მხოლოდ გვატყუებს: ჩემი მიზანი მხოლოდ ეს არის – გავაერთიანო საქართველოო. ეს არის და ესა. ხუთ წელიწადში თუ არა. ათწელიწადში თუ არა. გავაერთიანებ თხუთმეტ წელიწადში. უსიკვდილოდაო. აუცილებლადა. გარდაუვლადაო. გვატყუებსო. შარაძემა. როგორც რო ყველაფერსო, ამასაც ისევე

გვატყუებსო. ცხინვალი ჰო უბოძა ლანგრითა პუ-
ტინსა. სოხუმსაც უბოძებს იმავე ლანგრითაო. რა
ლანგრითაო და რომელითაო – გადაირია მოსამარ-
თლეი. ეს რა ლანგარი აიხირეთ. ეს ვის რევოლუციას
იგდებთ სამასხროდაო. ეს ორი საქმე ერთად უნდა
განვიხილო და უსათუოდ სახელმწიფო ღალატის
მუხლითაო. მეც იქ შემაგდეს – შარაძის გალიაში.
დაასახელეთ სხვა შეთქმულნიცაო. შარაძემ მაშინვე
დაასახელა: პრეზიდენტყოფილიო. მე მეცნიერი ვარ.
ხშირად მივმართავ ციტატებსა და მივუთითებ კიდე-
ვაცაო. შენც მეცნიერი ხარო. მკითხა მოსამართლე-
მა. არა. მე მეცნიერი არა ვარმეთქი. ეს მე თვითონ
მოვიფიქრე და სხვისი ციტატები მე არა მჭირდება-
მეთქი. მაშინ იყო რო შეიცხადა ქალბატონ ელენემა.
ეს რა ჰხდებაო. არ შეიძლება. სტრასბურგში თავს
ვეღარ გამოვჰყოფთო. ჩვენ აცილება მოვითხოვეთ
მოსამართლისა. ჩვენი მოთხოვნა დააკმაყოფილეს.
გაგვასამართლეს როგორც ხულიგნები. არა. არა. მა-
ვიწყდებოდა... მოიცა რა: მოიცა სოფი!.. ლანგარი
მაინც აიხირა შარაძემა. იმ პირველივე მოსამარ-
თლესთანა: ლანგარი უფრო სწორ დახასიათებად მი-
მაჩნია მოვლენისა, ვიდრე რევოლუციაო. ეს ეპოქა-
ლური ციტატაა. მე ამას კიდევ გამოვიყენებო. და თუ
ამიტომ უნდა გამასამართლოთ, მოიხმეთ ამისი ავ-
ტორიცაო. და რო იცოდეთ – ჭკუა ეყო მოსამარ-
თლესა: ავტორსაო. პრეზიდენტყოფილსაო. ესეიგი.
ვერაო. ფიცი მისცეს ხელშეუხებლობისა. თქვენი
ბრძანებით მე ვერ მოვიხმობო. მაშ ჩვენც გაგვიშვი-
თო. შარაძემა. თქვენც მოგცეს ფიციო. არაო. შარა-
ძემა. ტყუილს ვერ ვიტყვიო. ვერცა მემეთქი. მაშინ
შეურაცხადები უნდა იყვეთო. მოსამართლემა. თქვი-

თო. თქვითო. ადვოკატმა. დაეთანხმეთ რო შეურაცხადები ხართო. რას მიქვიან დავეთანხმოო. შარაძემა. ადვოკატმა თავისი დაიჟინა. თუ არა ელენეი და სტრასბურგი, გამოგვიშვებდნენ მაინცა შეურაცხადის დიაგნოზითა. აფექტიო, აფექტის ქვეშაო იმ წუთებშიო. ასწორებდა ადვოკატი. არავითარი აფექტიო. შარაძე უარობდა: მე ეს შეგნებულად გავაკეთეო – დავხიე. დავფხრიწე. ნაკუწებად ვაქციეო... ეეეეეეე!..“ დაიფშხალა ამბროსი. „ორი სასამართლო ამერია ერთიმეორეში. ეს მერე იყო – ისევ ხულიგნობა რო დაგვდეს ბრალადა. რისი აფექტიო. შარაძემა. ჩავუარე რო გამოფენასაო. ჩემს სამუშაო ოთახში რო შევედი. წიგნები რო გადავშალე. ერთი სიტყვაც ვეღარ ამოვიკითხეო. ერთი წინადადებაც ვერაო. სულ ის მშვენიერი ქალი მებლანდებოდა თვალებში – მზე რო ამოსდიოდა *იქიდანაო*.“

„საიდანაო...“ ვარაზმა.

„სადაც სამართალია – ბუღაძეა ჩემთან დამნაშავე. ხელჰყო ჩემი პიროვნების უფლებებიო. კომპენსაციაც იმან უნდა გადამიხადოს. იმდღის მოცდენისათვისა. ამდღისაცა. იმდღეებისაცა, რასაც მომისჯითო.“ ამბროსიმა. დაამთავრა საბოლოო სიტყვაი შარაძისა სასამართლოში.

ვარაზმა ისევე: „საიდან ამოდისო... გამაგებინე. ბოლოსდაბოლოსა. სად დამკვიდრებულა ეს ჩვენი თბილისი: ან რომელ კუთხეში დედამიწისა ან პლანეტაზე რომელზედა, მზის ამოსვლა რო ვერ დაუდგენია?!.“

„ჰეჰეჰეჰეეეე...“ ამბროსიმა.

„უსირცხვილო დროში მოგვიწია ცხოვრებამა. უსირცხვილოსა და უაზროში.“ სოფიომა.

უსიტყვოდ დაეთანხმა. ვარაზი. მერე აღარ ურკვევია აღარც რო მდებარეობაი თბილისისა. აღარცა ისა თუ სად ამოდიოდა მზეი. არც ისა აგრეთვე თუ რა უნდოდა პორნოგრაფიულ გამოფენასა ეროვნულ ბიბლიოთეკაში. პორნოგრაფიულს შარაძე უწოდებდა. ბუღაძე – უღირსშესანიშნავეს მონაპოვარსა თანამედროვე ხელოვნებისა. არც ამის განსჯაში აღარ შესულა. ვარაზი. უსირცხვილო დრო კარგად ენიშნა. დროი თავისი. თავაანთი. ხოლო უაზრობას ჰო ეთანხმებოდა ისედაცა. *დროის* უაზრობასა. მარადიულისა. მოუხელთებელისა. განუჭვრეტისა. უარსებოსა. მაინც იდუმალსა. დამაფიქვრელსა მაინცა. მაგრამ რახან რო კაცნი გვქვიან. შვილნი სოფლისაო. მაინც უფრო ის აწუხებდა თუ რა ბედი უქადდა ქართლსა. შიდა ქართლსა. შიდასა. შიდასა. გულსა ქართვლისა. ქართვლის დედაც რო განწირულიყო შვილთა ამგვართა ხელშია. ამგვართა: რევოლუცია ლანგარზე რო აძრწუნებდა – მოსამართლესა – ხოლო სამხრეთ ოსეთი არად მიაჩნდა იმავე ლანგარით გაშვერილი პუტინისაკენა. თანაცაო – რესპუბლიკაო. როცა ოლქი ერქვა საბჭობის დროსაცა. ისიც რო ძლივას გამოაკერეს. მიუმატეს და მიუმატეს ქართული რაიონები. ჯავასა. ჯავის ოლქად რო დაესახათ თავიდანა. მიუმატეს და მიუმატეს. ცხინვალიც მიუმატეს. მაშინ ქართული. სრულიად ქართული. მადლიერების საფასურადა: მახარაძე რო შემოაპარეს როქიდანა კავკაველმა ოსებმა. იმათ მახარაძე შემოაპარეს. ბაქოდან დაიძრა არმიაი ბოლშევიკთა. აქედან მახარაძე შეაგებეს, როგორც რო უკვე არჩეული თავმჯდომარეი ქართული ბოლშევიკური ხელისუფლებისა. როგორც روooo. ანთუ რამეთუ როგორცაო. გაითამაშეს ერ-

თისიტყვითა. ნარდი კავკასიური გაითამაშეს. და დაუსა და დაუბასეში ჩააგდეს ქართლის შუაგული. ორჯონიკიძე რო ორჯონიკიძეა, იმასაც გაუჭირდა ცხინვალის დათმობაი. ცოტა გაუჭირდა. დიდად რო არცა. დაუსაც ჩავიდა. დაუბასესაცა. ყველა ნააგო. და გვიანღა იყო – პირი რო დააღო. გვიანღა იყო. გვიანღა იყო. გულაღმა ეგდო ტვინგახვრეტილი. მოსკოვში. განწირული თანამემამულისაგანა. რადიო აცხადებდა: გული გაუსკდაო. გვიანღა იყო. გვიანღა იყო. ახლა ეს რაღაა. ეს რა ხმებია?!. შეჰპირდა და გაუწოდაო?!. ჩვენი მიზანი რო ეს არის – დავიბრუნოთო. ამიტომ მოვედით. სწორედაც რო რევოლუციითა. ის ხელისუფლება რო გვატყუებდაო. შევარდნაძისაო. ამიტომა ვართ. ეს არის ჩვენი *პრიორიტეტიო*. ჩვენი. ჩვენი. საკუთრად ჩვენიო?!. მოსამართლე რამ დააბნია – რად არ გაიტანა თავისი – ცილს რადა სწამებთ ხელისუფლებასა. ხელისუფალსა. ხალხის პირმშოსა. მოვლენილსა ერის იმედადაო. ის დაბნეულა. მოსამართლეი. თუ ესა. ვარაზი. ეგება ამბროსი. სწორად ვერ გადმოსცა. ვერც გაიგო და ვერც რო გადმოსცა. ამბროსიმა. ცხადია. კიდევ ჩაჰკითხოდა?.. ჩასძიებოდა. ღრმადა და ღრმადა?.. უარესად არ დამაბნიოსო. ვარაზმა. რა თქმა უნდა. იქაც რო შეეჭვდა. ჯვარხევში. ჯვარხევში. თუ აიღეს, რაღად დასთმესო. დავანახვოთ რო დასავლეთსა?!. რუსეთსაც რო დავანახოთო?!. რითი ვერ გაიგე – არ დაგინახავს რუსეთი რო არც არაფერსა. დასავლეთი ჰო ჰხედავს ისედაცა. დიდიხანია. წინარე ვარდობისა. შევარდნაძის ლანგარის წინარე. რა გარგო?!. კიდევ რისი იმედი გაქვს?!. ვერ უნდა მიჰხვდეს. ვარაზი. თვითონვე?!. თვითონვე. თვითონვე. რაც რო მოჰხდება ჰო ქვეყა-

ნაც გაიგებს!.. *ისიც* რო აღარ არის. *იმასთან* საუბრისას ბევრი რამ ირკვეოდა. ბევრი თუ არა – ცოტა მაინც ჰო!.. არადა ამათსას ვერარას გაიგებ. „ალიკ კოზაევი!.. ჰოო ჰოო – ალიკ კოზაევი!..“ ხაინდრავამა. „როგორღაც მიგვრჩა!.. ბევრი პრობლემა გაჩნდა გადასაჭრელი... და მიგვრჩა... მიგვრჩა...“ სად მიგრჩა?.. როგორ მიგრჩა?!. ბიჭი იღვწოდა თავგანწირვითა. თავსუყრიდა ცხინვალელ ბავშვებსა. ჩაქვს აგზავნიდა საზაფხულო არდადეგებზე. ზღვაზე. მთიელებსა. სიხარულითაც რო მიემგზავრებოდნენ. დაა-პატიმრეს. ციხეში უკრეს თავი. როგორ მიგრჩა?!. რანაირადა?!. ადამიანის უფლებებიო. რო მოგძახის ევროკავშირი. დაიცავი!.. შენი არ არის?!. ცხინვალშია ჩაწერილიო. ცხინვალს ჩვენ ვერ ვაკონტროლებთო. ხაინდრავამა. რას აკონტროლებ. რა სიმაღლეები აიღე მაშა?!. ერგნეთის ბაზარი მოვშალეთო. ადვილი საქმეა. მოშლა ადვილია ბაზრებისაი. აწყობაა ძნელი. ძალიან ძნელი. კონტრაბანდა მოვსპეთო. ისემც რა გითხარით!.. ერგნეთში მოშალეთ?.. კარალეთში გაჩნდა ერგნეთი. ტყვიავში მანამდე. შიგნით გორშივე. ყველგან ერგნეთია. ყველა გზა ერგნეთში მიდის. ყველა გზა ერგნეთია. ცხინვალიდან გამომავალი. ყველა ბილიკი ერგნეთია. ერგნეთია მთლად საქართველოი. სავსეა რო კონტრაბანდითა, ასედაც იქნება. რო არაფერი არ იწარმოება. საქართველოში. არაფერი. აღარაფერი. რაც აეწყობა – შლის რო პროკურატურაი. პოლიცია შლის. ანგრევს. უბრძანებენ და ანგრევს. ხალხი ლოცულობს პოლიციაზეო. იტყვიან. ვინ უშლის. ვაი იმ ხალხსა პოლიციაზე რო ილოცებს, ვაი და ვუი!.. არ არის ხალხი ჯერ ასე აწყობილი. თუ ააწყობთ და მიდით, თქვენ იცით!.. თუმცა მოიცათ!.. მო-

იცათ!.. მოიცადეთ!.. აქეთ ეკლესიის რეფორმებიო. იქით ლოცვა პოლიციისაო – რა მოდის, ანთუ რა გამოდისო: გამოიკიდება ხატები პოლიციელთა?.. ეგრევე – ქუჩაქუჩა. უბანუბანა. გზაგზა. სოფელსოფელა თუ იმავე ეკლესიებში. მართლმადიდებელთა?.. თუ იეღოველთა. გამალებით რო აშენებენ თბილისში?.. სად თუ როგორაო: დაგისახავენ რეფორმატორები. ნუ შიშობ, ისე არ დაგტოვებენ. ნურც გეჩქარება. ეს ბორიაყიც გადაივლის. ნუ დაეჭვდები. ხელი მოეცარა ჰო სოროსსაცა!.. თვით სოროსსა!.. ტრაბახობდა რო: ორივეს დავამხობ – ბუშსაცაო და შევარდნაძესაცო. ტრაბახობდა და შეუსრულა შევარდნაძესა. ბუშს – ვერა. ვერა და ვერა. ლანგარი არ აღმოაჩნდათ შტატებში. ერთი გახვრეტილი ლანგარიც არა!.. ანასუნი შტატებსა – ლანგარიც რო არა ჰქონია. ანასუნი!.. ანასუნი!.. ჩვენში ლანგარი მაინც აღმოჩნდა.

სამი მარტო ვარაზს აღმოაჩნდა. ლანგარი.

ამოიღო და ამოიღო. შაქრომა. ხურჯინიდანა ყველი. გუდის ყველი. ერთი. მეორეი. მესამეი. ლანგარიცა სამი გადმოაწყო კარადიდანა. ვარაზმა. ერთზე სამი რო არ მოთავსდებოდა. თითოზე თითო ძლივს ეტეოდა. ვეება გახლდა თვითეული. ამოყვანილი ერთნაირადა. იგივე ნიშნითა. ნაცნობი ნიშნითა.

„ამერიკას არ გამგზავრებულხარ...“ ამბროსიმა.

არაო. ვარაზმა.

„აბა?!.“

„ჯვარხევში გახლდი...“ ვარაზმა. „იმ გოგოებთანა. შენ რო ჩემთან აღარ მოიყვანე. გახსოვს?.. საყვედური დამაბარეს. ჩვენ შენს გასაცნობად მოვდიოდით. გამოგვისტუმრა იმან სადარბაზოდანაო. გახსოვს!..“

„ჰო... ცუდად მომივიდა." ამბროსიმა. „ბოდიში ჰო მომხადე?.."

„რა თქმა უნდა!.."

კიდევ რაღაც იკითხა ამბროსიმა. ჯვარხევი რა არის თუ საით არისო. ანთუ ვინ უწყის თუ რაიო. ვარაზმა აიქნია ხელი. საით – მიანიშნა თუ რა – მიანიშნა, არც რო თვალი არ მიუდევნებია. აღარც რო აზრი. სხვა რამ სურათი გამოესახა. აღარც ამბროსიო. იქვე რო უჯდა. შაქროც აღარა – ფუსფუსებდა რო ვეება ხურჯინთანა. ჯვარხევის ხურჯინთანა. მსუბუქად რო შეუგდეს ბიჭებმა ავტობუსში. ამათ რო ძლივას შეითრიეს შინა. ამბროსიმა და ვარაზმა. რაღა თქმა უნდა. სხვა სურათიო. მაშინ თითქოს რო არც შეუმჩნევია. არა. არა. რა თითქოსაო – გამოეპარა. არადა აჰხსოვს. არათუ ახსოვს – აგერ. აგერ კანთიელად გამოსახულა: ქალი ხალათითა. მწვანეთი. ხილაბანდითა. მწვანეთითავე. მწვანე თვალებითა. რო გაიელვა სათვალის ქვეშა. გაიელვა და მიილულა. თვალები ეგებ რო მწვანე არც გახლდა. ანარეკლის ბრალი თუ იყო. მწვანე ხალათისა. მწვანე ხილაბანდის ანარეკლისა. დილის მზეც ისე შემოჭრილიყო. დაბორიალებდა ოთახში ისე. ფერი იმდენი შემოეფრქვია – ეგებ რო ხალათიც მწვანე არ გახლდა. არც ხილაბანდი მწვანე არ გახლდა. არც ქალი. ლოყები ისეთად მოუჩანდა. მწვანედა. ვინ უწყის რამდენხანს უჯდა სანოლთანა. რამდენი ხანი არ უძინია. მიყურადებოდა რა გულისყურითა მაჯასა ამისასა. ვარაზისასა. ვინ იცის. ვინ უწყის. გამწვანდა კიდევაცა. ვინ უწყის რამდენჯერა. გაწითლდა კიდევაცა. გაშავდა კიდევაცა გულისხეთქებაში მაჯისა გამო. ვარაზის მაჯისა. და გამოფხიზლდა რო-

გორც იქნა რო. ვარაზი მორჩა. კაცი გადარჩა. ფერი მოიცა რო თავისი. ნელნელაობითა. თანდათანობით. ფერი თავისი. თეთრწითური. ჯერ თუ მკრთალადა. გამკვეთრდებოდა. ჩვეულებისამებრა. მოიბრუნა სახეცა თავისი. სახეი მწყაზარი. გამოეყო სიკვდილის ფერსა და ამოვიდა სიმწვანეშია. მწვანე ხალათი. მწვანე ხილაბანდი. ზურმუხტის ორი თვალი. ჩამჯდარი ბროლში. ოთახი სავსეი დილის მზითა. ჯვარხევის მზითა. ისიც ახსენდება რო გამოემშვიდობა. ცხრაკეცი მადლობა რო მოახსენა და ცხრაჯერცხრაკეციცა. ხელზედაც ეამბორა. სურათად ის უდგას. მაინც ისა: ბროლში ამომჯდარი ორი მწვანე თვალი. ხელზე ამბორი ჰო მაშინაც გაახსენდა – კავალერი ვორონცოვის დროისაო – მერი რო უყიოდა. თბილის-ქალაქისა.

სოფიო წუხდა: ჩვენ ამდენ ყველს ვერ მოვერევითო. წათხი დაგვჭირდება. წათხის გაკეთება თუ გახსოვთო.

ვიკითხავო. ამბროსიმა.

„არა!.. არა!.. არა!.. და არა!..“ გაატატანა ხელები სოფიომა. „აღარ გახვიდე იმ შენს აქციებზე. გეყოფა!.. კმარა!.. ჰო არ უნდა გაგაციმბირონ?!.“

არაო. ამბროსიმა. აგერ ვიკითხავ. მეზობლებშიო.

XXII

ზარის ხმამ გამოაღვიძა. უეცრადა. ვარაზი.

წამოჰხტა. ჭაბუკივითაო ითქმის. უფრო შემკრთალი. ეგება რო შეშინებულიცა. რა მოჰხდა ისეთიო. რეკდა ზარი მჭახედა ისე. მჭექარებდა ისე. გაბმითა. გაბმითა. შეუწყვეტლადა.

გასაღებიც რო გაუჯიქდა!..

გააღო. როგორც იქნა. და შემოეხვია მკლავები მეუღლისა. შემოეხვია. შემოეხვია. შემოეჭდო. თანაც აქვითინდა. ნიკაპი გამოსდო კისერზედა და აქვითინდა. ზღრუბლზედა. ზედ ზღრუბლზედა. ამან გასვლა რო ვერ მოასწრო. ვარაზმა. იმან შემოსვლაი. მეუღლემა. ქეთევანი რო ერქვა. ბავშვობაში ქეთინოდ მოიხსენიებდნენ. ყმაწვილქალობაშიცა. ქმარშვილობაში ქეთევანად იქცა და ერთიცა ვნახოთ – ცამოწმენდილზე – *ქეთი* არ შეერქვა!.. არაო თუმცა – არცთუ ისე ცამოწმენდილზეო: ამერიკა რო მოადგა საქართველოსა – მაშინაო და მაშინვეო. ამერიკასაც *ქეთად* ეახლა. იქიდან დაბრუნდა *ქეთევანადა*. ვარაზმა ეს ჯერ არ იცოდა. მერეც ვერ გაიგო. საფიქრალია. იმწუთს მითუფრო: ვინ ესაო და სად ასეთი აგულჩვილებაო. ამაყი ქალი ბრძანდებოდა რო ქეთევანი. წესისა და რიგის მტკიცე მიმდევარი. მოიტრაბახებდა ძველი ოჯახითა. თუმცაღა თვითონა შინდაგორაშვილი ბრძანდებოდა გვაროვნობითა. არც ნათესავებში არ მოეძებნებოდა ძველებური დიდგვაროვანთაგანი. მაგრამ გაეგონა რო: ჰყოლოდა წინაპრებში დიდი ბექარი – დიდი ბექარ არჯევნე-

ლი. ოდესღაცა. ხოლო არც ისე ოდესღაცა დედის აზრითა – საკუთარი დედისა. რაღა თქმა უნდა – დიდი დიდედა გურანდუხტი. ასული მუხრან ბატონიაანთი. ქეთევანის შტოდან რო მოდიოდა. *ამილბარის* ქეთევანისა. უმღეროდა რო ბარათაშვილი. და კიდევ. კიდევა. მნიშვნელოვანი უფრო რაც არის. აღწევდა ქეთევან დედოფლამდისა. წამებულ დედოფლამდე. აგრეთვე ასულამდე მუხრანბატონისა. დიდ არჯევნამდე მაინც ვერ აღწევდა. ბურუსით მოცულიყო საუკუნენი. და არც უნდოდა. ასედაც ერჩივნა. წარმოისახებოდა მეტ სიდიადედა, რაც უფრო შორს იყო. დაბინდულიყო რაც უფრო მეტადა. სისხლისა რა ითქვას – ეგება წვეთიც არ შერჩენოდა ისე იმათი. სიამაყე მაინც დასჩემებოდა. სიმტკიცე მაინც მოსჭიდებოდა. მერე რა ქმნილიყო. სად დაჰკარგვოდა!.. შეშინდა ვარაზი. აფორიაქდა. ვერც რო კრინტი დასძრა. გახევდა. გაქვავდა. ეგრევე ზღურბლზედა. ამერიკაში გაექცა ფიქრი: ვაიმე შვილებო და შვილიშვილებოო. ფიქრიც გაექცა და ენა რო მოიბრუნა. როგორც რო იქნა. ეს იკითხა: რა დაგვემართა. ოჯახი ჰო არ დაგვექცაო. არაო. ქეთევანმა. არაო. არაო. როგორ გაფითრდიო. კარგადაც არიან და დიდებულადაცა. მეც აგერა ვარ და ისა ვარ. რაც ვიყავი. არც რა მომცხობია იქაური. არც რა აქაური არ დამიკარგავსო. უკვე შიგნით გახლდნენ, ამას რო ამბობდა. კარი მიიხურა. იდგნენ დერეფანში და იქავე ჰყვებოდა ქეთევანი – ქეთი თუ გნებავს – ამბავსა შვილებისა. რძლებისა. შვილიშვილებისა. ანთუ უკეთ რო: მოიხსენია შვილიშვილები უპირველესადა. მერე რძლები. შვილები მერე. სულ ექვსნი გახლდნენ: ორი შვილი. ორი რძალი. შვილიშვილიცა ორი. დაჰკანკალებ-

და რო ერთ შვილსა ქართველი კაცი. აქაცა უკეთუ-
რობაში. იქაცა სიკეთეში. არც რო სიკეთე არა ყოფი-
ლა არაფრის მაქნისი, ბედისწერა თუ აგიხირდება.
ახირებაცაა და ახირებაცა. როდემდისა მერე. ბედო.
შავბედო. წყეულო ბედო!.. ვის რა ბედი აქვს და მარ-
თლაც რო წყეულიცა ყოფილა. წყეული. დათარსუ-
ლი. აბა მაშ რაო: ჩინელს უკრძალავენ მეორე შვილ-
სა. ერთი კმარაო. ქართველს აქეზებენ: ერთი არაო.
რამდენიც გინდაო. ჩინელსა სჯიან. ერთზე მეტი თუ
გააჩინა. ქართველს აჯილდოებენ. თუმცა ჯილდო
რო ჯერ არავის არ მიუღია – ეს ვითომ რაო: კანონი
ჰო არის!.. მთავარი კანონია. კანონი კანონია. კანონს
დაცვა უნდა. თუ არ იცავენ ეგეც არაფერი. კანონი
კანონია. და მთავარია კანონი თვით უკანონო ქვეყა-
ნაშიცა. კანონი სახელმწიფოა. სახელმწიფოს კანონი
უნდა. კანონს შესრულება უნდა. შეუსრულებლობა
უკანონობაა. უკანონო ქვეყანა სახელმწიფო აღარ
არის. ჩინეთი ასრულებს თავის კანონსა. ერთ შვილ-
ზე მეტი თუ გააჩინე, ჩინელი რო იყვე, სასჯელს ვერ
ასცდები. ჩინეთი სახელმწიფოა. საქართველო ვე-
რაო. ვერ ასრულებს შვილიერების კანონსა. ბევრ
სხვა კანონსაც ვერ ასრულებს. კორუფციას ებ-
რძვის. კონტრაბანდას ებრძვის. ეჯავახება რუსეთ-
საცა: ცხინვალი და სოხუმი დამიბრუნეო. დამიბრუ-
ნეო. გინდა თუ არა დამიბრუნეო. არ უნდა და არ უბ-
რუნებს. კორუფცია კორუფციობს. კონტრაბანდა
კონტრაბანდობს. ეგაა კანონს არავინ არ იცავს. სა-
ქართველო რევოლუციაა. რევოლუციამ კანონი არ
იცის. ერთი შვილიც თუ კანონია. ამ კანონს მაინც
მტკიცედ იცავს ქართველი. აქაცა. იქაცა. იქაცა. იქა-
ცა. კანონი სახელმწიფოა. ყველგან ქართული სა-

ხელმწიფოა. სადაც ქართველი დაადგამს ფეხსა. – (ფუნქციური ავტონომია ჰო არა?!..) – არა. არა. არ გაიცინო. თავს იკლავდა ვითომცა ინტერნაციონალისათვისა. ქართველი. ერთხანს რუსსაც ჰო აუწყო ფეხი, ახლა როგორც რო გლობალიზაციასა!.. ნუ გაგეცინება. ნურაფერზე ნუ გაგეცინება. ან სიცილი სად გაგონილა ბედისწერას თუ აუტანიხარ!..

„რა სისუფთავეა!!.. როგორა წკრიალებს აქ ყველაფერი!..“ ქალმა. ეს შენიშნა პირველყოვლისა. იქაურს რო მორჩა. აქაურს რო მოავლო თვალი. „ნაგავს მიჰქონდა აქაობაი. აქ ვერც გავჩერდით...“

„მაშინ მე ჰო ავად ვიყავი...“ ვარაზმა. ის შეახსენა. სხვაზე არ უთქვამს არაფერი.

„ჰო... ჰო...“ თანაც მოირბინა ყველა ოთახი. ქალმა. იმ სიხარბითა თუ მონატრებითა, შინ დაბრუნებულს რო სჩვევიაო. იმ მონატრებითა. უსათუოდა. მაინც გადაჰკრავდა სხვა რამ იერი. ისეთი იერი – თითქოს ვიღაცას დაეძებსო. რას დაეძებო. ვარაზმა იკითხა. ვისაო – არ უკითხავს. „არაფერსა!.. არაფერსა!..“ მოუჭრა ქალმა. „შინ დაბრუნება ძალიან მიჭირდა. ის უსუფთაობა რო მაგონდებოდა...“ არც გასაკვირიაო. ვარაზმა. თავისთვისა. მეტადაც აღარ ჩასძიებია. ჩაი მოინდომა. ქალმა. თვითონვე აფუსფუსდა. რაღა თქმა უნდა. ნამცხვარიც თვითონვე ნამოეტანა. რძლებისგანაა. შენთვის გამოაცხვეს საგანგებოდაო. ჩაი დალია. მოაციცქნა ნამცხვარსაცა. ვარაზმა. ქალმა დალევა ვერ მოასწრო. ჩაისაი. ისე გაუცივდა. ერთხელ გაუცივდა. მეორედ გაუცივდა. მესამედ გაუცივდა. ეგება რო – კიდევაცა და კიდევაცა. რა დასათვლელია. აქ ის არის შესანიშნი – რო ვერ ახერხებდა დაელია გაცივებამდისა, ლაპარა-

კობდა რო იმდენსა. იმდენსა და იმდენსა. მოჩქარებითა ისეთითა და ისეთითა. რო მოიკითხავდა აქაურსაცა. იქაურსაც რო მოუთხრობდა. რო შეერეოდა ერთიმეორეშია. აქაურნი და იქაურნი. აქაურიცა და იქაურიცა. რო აღარც რო განიყოფოდა თურმე. რო გადაჯაჭვულიყო. გადახლართულიყო ერთიმეორეშია. ვარაზი უსმენდა. თუ მიუგებდა შეკითხვასა. იმასაც თუ ნანილობრივა ან სულაც ვერა. პასუხი იმასა – ქეთევანსა – მოეხსენებოდა უკვე და არც ელოდა. რაღა თქმა უნდა. თუ როდის მოიბრუნებდა ენასა ვარაზი. აღარც მოიბრუნებდა. სმენით უსმენდა. ხან კოვზს ურევდა ცარიელ ფინჯანში. მერე გამოჰხსნიდა კოვზსა ერთჯერადი ჩაის პარკუჭიდანა. ჰხსნიდა და ჰხსნიდა. დაახვევდა და ჰხსნიდა. ის თავისას მიერეკებოდა. მოათავა ხოტბაი შვილებისა და შვილიშვილებისა. რძლებისაცა. დედამთილმა – რძლებისა: კარგი პირი უჩანდა. არც აქ ემდუროდა. იქაც ჰო თავი გამოუჩენიათ – ოჯახს ინახავდნენ ქართულადა. წმინდა ქართულადა. გავლენას გარეგანსა ზღრუბლთანვე ტოვებდნენ. კედლებში საქართველო სუფევდა. რა სჯობდა ამასა. დაბრუნდებოდნენ რო ქართველებადა. მაგრამ და რაღაო – აქ საქართველო რო არ დაჰხვდებოდათ?!. არ ჩაურთავდა ვარაზი ამასა. თვალსაც რო არ შეავლებდა. ის ჰო თავისას მიერეკებოდა. შინაც რო არ გამოკეტილიყო!.. მოიკითხა რო ნაცნობმეგობარნი. ახლებიც გაიჩინა. გაქცეულნი სამშობლოდანა. იქაურნიცა. ანთუ გამოქცეულნი სხვა სამშობლოდანა. ყველას ადვილად უახლოვდებოდა. უცხოდ არავის არ მიიჩნევდა. მთავარი მაინც მშობლიური გახლდა. მთავარი და მთავარზე მთავარი. მთავარიც გახლდა და გულშიც

მოექცა სათვისტომოსი. საღამოშეკრებები ეხალისებოდა. მუსიკა უყვარდა. კარგადაც უკრავდა. პიანინოზე. აკორდეონზე. გიტარა ჰო – რაღა ოთარ რამიშვილიო!.. ენატრებოდათ ასეთი ხელოვანი. ენატრებოდათ და მოევლინათ. ყველას თავისი საქმე ჰქონდა. ხალისიც ყველას მოენებებოდა. ხალისსაც თავისი თავმოყრა უნდოდა. დარდსაც თავისი გაქარვება უნდოდა. დარდსა სამშობლოსი. ამას ეცალა საამისოდა. საამისოდაცა და საიმისოდაცა. ამის გარშემო შემოიკრიბნენ. არათუ ყველანი. რაღა თქმა უნდა. გადაკარგულიყო ბევრი ისე იმნაირადა. იმნაირადა და ისე უღმერთოდა, ველარ მოეძებნათ რო თავიცა საკუთარი. გაშინაურებულიყო *ამერიკის ხმაშიცა*. „არ მოგისმენივარ?.." ქეთევანმა. არაო. ვარაზმა. „ეგრეც ვიცოდი!.. მე შენ გელაპარაკებოდი. თან ვიცოდი რო შენ არ მისმენდი!.. რატომ?!. რატომა?!. მოუსმინე!.. იქაური დიქტორებიღა ლაპარაკობენ კარგი ქართულითა. ნამდვილი. დარბაისული ქართულითა. იქაურნი. ჰოო. იქაურნი!.." რადიოს ქართული აქაცა ვარგოდა. წარსულში. წარსულში. ახლა ვერ გაუგებ რო ველარაფერსა. გასჯიბრებია რო ტელევიზიასა – მიერეკება ან იმგვარადვე ან ტელევიზია მაინცა სჯობნის. მიერეკებაო – ქეთევანზეც ითქვა. ეს მხოლოდ იმიტომა – ბევრს რო ჰყვებოდა. ბევრსა და მრავალგვარსა. დაჰგროვებოდა რო ამბავიცა ბევრი და მრავალგვარი. თორემ გამოთქმით სწორედ გამოსთქვამდა. სწორედა. ნათლადა. მკაფიოდა. ქართულადა. რაც მთავარია. სულმოთქმითა. სახიერადა. უცნაური მახვილის გარეშე. ჰოი – ეს მახვილი, მახვილი ტელემაუწყებლობისა!.. გაპრანჭული და გატყლარჭული ჰო ისედაცა!.. განგება ცხა-

დია. მოიშალოს რო ქართული ყველაფერი. სიტყვაი. უპირველესყოვლისა. მეტყველებაი. უპირველესყოვლისა. ანუ აზროვნებაი ქართული. რო შერწყმულა ერთიმეორეში მეტყველებაი და წყობაი აზრისა. შერწყმულა... შეჯუფთულა. შენივთებულა. ჰოი ეს მახვილიო – საიდან და როგორ მოთრეული. ახლა – ეს ხმაი. ანთუ რა ხმაი – ჭიჭყინი. ჭყლოპინი. ყიყინი. ჩლიფინი. ყაპყაპი. ყრანტალი!.. ანთუ ვინ არჩევს ანთუ ვის მოსწონს ან მსმენელებს რა აძლებინებთ?!. *წინა – უკანაც* რო ვერ გაურჩევიათ?!. ისე იტყვიან: ცხრა თვის უკანაო – ვითომც თავანკარი ქართულიაო. პარლამენტშიც იტყვიან. არც მინისტრებს არ გაუჭირდებათ. არადა არ არის ესა ქართული. გაუკულმართებაა აზროვნებისა. და ვინც რო ქართულად ვეღარ აზროვნებს, ვერც მოაგვარებს ქართულ საქმესა. „ვიღას აღარა ჰგზავნიან ამერიკაში – გამოცდილებისათვისაო!.. ესენი გაჰგზავნონ. ეს უბადრუკი ტელემაუწყებლები!.. ქართული გამოთქმა რო დაიბრუნონ...“ ქეთევანმა. ცხადია. „ამერიკის ხმის ქართულ რედაქციაში მიავლინონ.“ ქმარს მიაჩერდა. თითქოს თანხმობას იმისგან ელისო. მხოლოდ შეისვენა და... არა. არა. გარეკა ისევაო. არ ითქმის. არა. ეს ქართული მაუწყებლობაა. აქაური. აქაური. რო მიერეკება და მიერეკება. თითქოს არ უნდა – ვინმეს რაიმე რო გააგებინოს. ბევრი იცრუა და დაირცხვინაო. ისემც რა უთხარი. სირცხვილისა რა გაეგება!.. ეს ჰო პრაქტიკუმია *თავისუფლების ინსტიტუტისა*!.. *პრაქტიკუმია*!.. წარმატებული და აღიარებული. ასე რო მეტყველებს პარლამენტიცა. იქ კურსდამთავრებული. *თავისუფლების ინსტიტუტში*. პარლამენტიცა და სამთავრობო გუნდიცა იქ კურსშესრულებული

ისიცა. ბენდუქიძის გარდა. ის სხვა სკოლაა. არცთუ დიდად განსხვავებული. გაეგებათ ერთმანეთისა. გაეგებათ დიდებულადა. იყიდება საქართველო. იყიდება. იყიდება. გაეგებათ. გაეგებათ.

აქამდის ეს შესავალი გახლდა.

მერე იწყებოდა. რაც იწყებოდა.

ქეთევანი განაგრძობდა.

ძაფი შელბობოდა კოვზსა. ერთჯერადი პარკუჭის ძაფი. შელბობოდა. ვეღარ გამოერჩია. ვარაზსა.

ქეთევანი განაგრძობდა. განაგრძობდა და განაგრძობდა. ყველაფერს ვერც გაიმეორებ. ყველაფერი არც საჭიროა ამ თხრობისათვისა. რაც საჭიროა, საჭირო ეს არის: ერთიცა ვნახოთ და ხმა გაუვარდა ქეთევანის საღამოებსა. ქალბატონი ქეთევანისა. ქალბატონისა – ასე რო უწოდეს. არც რო მისისო. არც რო მადამო. არც რო სხვა თუ რამ შემორჩენიათ. ქალბატონიო. უჭირდათ თუ ულხინდათ. ასე გამოსთქვამდნენ. გაითქვა ისე – საღამოები ქალბატონი ქეთევანისაო. რაღა თქმა უნდა. თვით ჯონ კერიმ ინება დასწრებაი. არა იმანა. მოცილემა ბუშისა. არა. მოგვარემა და მოსახელემა. ბიძამისმაო თუ სულაც შორეულმა. ამ არჩევნებში რო ჩარეულიყო. გამოდიოდა ბუშის წინააღმდეგა სოროსთან ერთადა. მდიდარი ვინმე ბრძანდებოდა. გამოჩენილი და გამორჩეული. საქმიანობა მიეტოვებინა. კერძო იყო თუ სახელმწიფოო. ქონებაც გაეყო შვილებისათვისა. თავისთვისაც მიეგდო თანხაი კაიძალი. რო არ ამოვარდნილიყო ბრნყინვალე საზოგადოებიდანა და არც რო ლოჟაში დაეკარგა საპატიო ადგილი. მასონთა ლოჟაში. ერთი რამ აკლდა. ერთი რამ აკლდა. მარტოდმარტო რო არ წარმდგარიყო თვალსაჩინო შეკრებებზედა. ქალი-

კომპანიონი!.. მეუღლე გარდაცვლოდა. სილამაზით გამორჩეული თავის დროზედა. მიმზიდველობაი და ეშხი რო შეენარჩუნებინა ხანდაზმულობაშიცა. აიყვანდა ვისაც ინებებდა ბატონი კერი. შენ ფული თქვი!.. ამერიკაში ჰო ფულია ყველაფერიო. ამერიკაშიცა და ყველგანაცა. აქაცა. აქაცა. ოღონდ არ ინება ცქრიალა გოგოები. მხარი ვერ გაუსწორა ვერავინა ხანდაზმულთაგანა. „იარა თუ ბედმა ატარა. ჩემს საღამოზეც ამოჰყო თავი. არც გამკვირვებია. სახელი გავითქვით ადგილობრივ საზოგადოებაში. აქ ცალკე ეს რევოლუციაო. გარღვევა *ესენგეს* სივრცისაო. იქ ის გამორჩეული საღამოებიო. მანამდე უცნობი, უცნაური ქვეყნიდანა. ეგზოტიკად აღიქმებოდა. იშხნელების პროგრამით გამოვდიოდით. შედგა გუნდიცა. პატარა გუნდი. იმგვარადავე. მე გამოვირჩეოდი. იქ სულ დაღლილი ადამიანები იყვნენ. შრომით დაღლილნი. უცხო ქვეყანაში. უცხოსა და გაფაციცებულში. გაცხარებულში. გაფოთებულში. გაუწაფავნიცა. რაღა თქმა უნდა. სუფრაზე თუ ემღერათ. შინაურობაში. სცენას თავისი ეშხი უნდოდა. მე გამოვირჩეოდი. რაღა თქმა უნდა. მოცლილიც გახლდი. ფერიც შემრჩენოდა. სიმღერა ჩემი გატაცება იყო. გამოვირჩეოდი და თვალიც დამადგა. კომპანიონობა შემომთავაზა. იქვე. საღამოც არ დაგვემთავრებინა. მეტროპოლიტენ ოპერაშიც მიმიწვია მაშინვე. ბურჭულაძე მღეროდა *ბორის გოდუნოვში*. მე შორს დავიჭირე. რაღა თქმა უნდა. მემცხეთა. შევშინდი. კანკალი ამივარდა. შეურაცჰყოფა ვიგრძენი ისეთი – მიწა გამხეთქოდა და თან ჩავეტანე. იქვე. იქავე. ის მერჩივნა. გააგებინებ რამესა?!!!. არის ჰო ასეთი ადამიანი?.. მითუმეტეს ამერიკელი... შემომიჩნდნენ რო კიდევა-

ცა. ვიღა არაო. მერე რძლებიცა. შვილები არა. ცოდოს ვერ ვიტყვი. თუმცა არც ისე გამოუდვიათ თავი. რო მეუბნებოდნენ: გაჰყვევი ორსამჯერა. რა მოჰხდება. აქაურ უმაღლესობას მაინც გადაჰხედავო – იმათ მტკიცე უარი არ უთქვამთ. შვილებსა. უბრალოდაც არ განუცხადებიათ: ეგ არ გვაკადროო. იქ ეს უხერხულიც არ იქნებოდა. შენ უნდა გამიგო!.. და მჯერა რო გამიგებ. აბა რატომ გელაპარაკები!.. მაგ კოვზს დაეხსენი!.. და მოვხვდი *ბორის გოდუნოვზე*. მეც არ ვიცი თუ როგორ მოვხვდი. როგორ დავთანხმდი. როგორ მეახლნენ! როგორ შეგვახვედრეს თუ სად შეგვახვედრეს. იქ რო სოროსი ნარმომიდგინეს. ჯორჯ სოროსი. ეს კარგად მახსოვს. ქათინაური არ მოუკლია არც შეხვედრისასა. გამოთხოვებისასაც არა. ერისთავებზე ნაკლები გვარის შთამომავალი არ იქნებითო. თუმცა შევხვედრივარ ბაგრატიონებსაცა. არც რაი მოსდევთ უწინდელი. ვერც სხვებისაგან ვეღარ გამოარჩევ. რა ერისაა. ვეღარ გაიგებო.

დიდიხანია მოსწყვიტეს თავაანთ მიწაწყალსა-მეთქი.

ვიცი. ვიცი. დიდიხანიაო. ადამიანი თავისი მიწაწყალია. თავისებურება მიწაწყალიაო.

და მაინც გინდათ რო შესცვალოთ ქართველი-მეთქი.

არა. არა. მე ქართველის შეცვლა არ მინდა. იყვეს იქვე. თავის მიწაწყალზე. ოღონდ არავინ არ ეუცხოვებოდეს. არ განსხვავდებოდეს არავისგანა. არც სხვამ უცხოდ რო არ მიიჩნიოსო.

როგორღაც რთული ამოცანა არისმეთქი.

არაო. რატომაო. აი თქვენი ბურჭულაძეო. სხვა ბორისებისათვისაც მომისმენია. მაგრამ ეს სხვა გახ-

ლავთ. ეს ის არის. ეს სინამდვილეა. ეს სიცოცხლეა. გამოცხადებაა. ეს მიმგვანება არ არის. იმისია. თქვენია. და იმიტომა. თუმცა ბურჭულაძე არ განსხვავდება არავისგანაო.

აქ საქმე გვაქვს ნიჭთანამეთქი. ნიჭთანა და უნიჭობასთანამეთქი. ხოლო ეგ ბორისი არც ჩვენია. არც ბურჭულაძისა არ გახლავთ საკუთრადა. ჩვენ ქართველები ვართმეთქი.

ვიცი. ვიციო. მე მართლა ამერიკელი ჰო არა გგონივართო. რუსეთიც ვიცი. საქართველოცა. ჩემი ხალხიც არ დამვიწყებია. ოღონდ თქვენ მაინც ისე აგრიეს და გაგთქვიფეს რუსებმა, უცხო თვალი ვეღარც გაგარჩევთო. მე ისიც ვიცი თუ რა ძნელად ამყოლია ქართველი კაცი. 19 მილიონი დაჯდა რევოლუციაი იუგოსლავიაში. საქართველოში – 32-ო.

რევოლუციაც ფულიამეთქი. ვიკითხე არცთუ გაოცებითა.

ცხოვრება ფულია და რევოლუციაც ცხოვრება არისო.

მეორედაც შევხვდი ჯორჯ სოროსსა. მასონთა ლოჟის შეკრებაზე შევხვდი. უპირველესისა. უმთავრესისა. რაღა თქმა უნდა. არა. მთლად შეკრებაზე არა. ჩვენ ის თითქმის არც გაგვიგია. კაცები გაიკრიბნენ. ნელნელა. უჩუმრადა. ჩვენ დავრჩით დარბაზში. ჩვენ – ქალები. საგამოფენო დარბაზში. ახალი მიღწევა გამოეფინათ პოსტმოდერნისაო თუ კიდევ რაღაც განსხვავებულისა. იქ როგორც ამბობდნენ. მე არც არას ვაკლებ. არც ვაზვიადებ. არც იქ არ გამომითქვამს მე ჩემი აზრი. წინააღმდეგობა ჩამორჩენილობად აღიქმებოდა. მდაბიოობადა. უვიცობადა. ძონძებადა გარდასულისა. იმ ბრწყინვალე-

ბაში აზრის სიახლისა. დარბაზის სიახლისა. ხელოვნების სიახლისა. მხატვარი პოლონელი გახლდა წარმოშობითა. ახალი. ახალი წარმოშობითა. იქ გამოჩენილი ყველა ახალია. ყველგანაო და ყველა დარგში. მხოლოდ პრეზიდენტები თუ იქნებიან ცოტა ძველისანი. რუსეთისა არ იყოს. მცირეოდენი განსხვავებითა. რუსეთში რო ყველაფერი – მეცნიერებაცა. ხელოვნებაცა. და პოლიტიკაც. თვით პოლიტიკაცა – მცირე ერებმა რო შეაკონწინეს. ის იყო სიშიშვლე ადამიანისა. სრული სიშიშვლე. სიტლანქე. უხეშობა. გამოფენაზე ვამბობ. ულამაზესი ადამიანის ფონზე. ქალებისა. ქალებისა. უმთავრესად ქალებისა. უბრწყინვალეს ფერებში. ამორალიზმი ზეიმობდა. უზნეობა გამოჩრილიყო. და ბრწყინავდა. ელვარებდა. თვალსა გჭრიდა. შესჯიბრებოდა სილამაზესა. ამ შეჯიბრით აღტაცებულიყვნენ. მეც სხვა სახე არ უნდა მქონოდა. შემეტყობოდა. დავეცემოდი თვალში იმათსაში. სულ სხვა თვალში. გარდაქმნილში. გადასხვაფერებულში. მოხატულში ათასგვარადა. არა მხოლოდ რო გარეშემოო – თვით გუგებიც რო ის აღარ არის. დაკარგულა ის სილამაზე. აქამომდელი. დახავსებულა თუ არ დამპალა ერთიანადა. ლაზათი. სიფაქიზე. კდემამოსილება. სასოება. სწრაფვა ამაღლებისა წაუღია წყალსა და მეწყერსა თუ არა სამუმსა. ასე რო მოხშირდა. ასე რო აჩანაგებს აღმოსავლეთსა. დასავლეთს აოხრებს სულ სხვა სამუმი. სამუმი სულიერებაში. სამუმი ქვეცნობიერისა. ზნეობას ეს მოსპობს. კიდევ უფრო დაამდაბლებს ადამიანსა. არადა მდაბიური მე აღმოვჩნდებოდი, ამგვარი რაიმ თუ წამომცდებოდა. და მე აღარ მიკვირს თუ რამ დააბნია ახალგაზრდობაი ჩვენი. რატომ გაურ-

ბიან თავისებურსა. ზნეობრივსა. ამაღლებულსა – ამან დააბნია: არ უნდათ რო მოსჩანდნენ მდაბიურნი ამა სამუმში. არ უნდათ. არა ნებავთ. სიამაყე ნებას არ მისცემთ. ამპარტავნობა აუჯანყდებათ. თანაც ეშინიანთ. უფრო ეშინიანთ – სამუმი წალეკავს თავისებურსა, ერთფეროვანს გვერდს აუვლისო. ეშინიანთ. ეშინიანთ. მე იქ მეშინოდა: არავინ გამიგოს, სირცხვილით რო ვიწვი, აქ რო მოვხვდიმეთქი. რა გვეშველება?!. ისევე ნელნელავე შემოგვიერთდნენ მამაკაცები. ისევე ნელნელა. ისევე უჩუმრადა. თითქოს არც არსად შეკრებილიყვნენ. არც არაფერი არ გადაეწყვიტათ. არაფერი. არაფერი. სულ არაფერი. მე მაინც სოროსი ისე წარმომიდგა: თითქოს ეს არის ახლა შემოვიდა. ისიც რო მხოლოდ გამოფენაზეო. მომართვით კითხვითვე მომმართა მაშინვე –

ჰო კარგად იყიდება საქართველოო.

თქვენის წყალობითამეთქი. ვერ მოვუწონე. ვერც მკაცრად ვუთხარი. ვერც გამქირდავადა. მე მეკითხებითმეთქი. მხოლოდ გავიკვირვე.

განა თქვენ საქართველოს მოქალაქე არა ხართო.

განა საქართველო ის ქვეყანაა, სადაც მოქალაქეს რაიმე ეკითხებამეთქი.

როგორაო. განა თქვენში ასე ირღვევა ადამიანის უფლებებიო. წარბები აჰყარა. თითქოს ქოჩორში შეურიაო.

ჰკითხეთ ელენე თევდორაძესამეთქი.

გურული ჰო არა ბრძანდებითო.

არა. ქართლელი გახლავართმეთქი.

და რა იყიდება. ეს მაინც არ იცითო.

საქართველოიმეთქი. „თქვენ განა კომერციის წინააღმდეგი ხართ?!.“

არა. რა თქმა უნდაო. „მაგრამ უნდა იცოდეთ თუ რა იყიდება. რა არ იყიდება. იმისი ცოდნაც საჭირო გახლავთო. მთავარი ახლა მაინც ის არის – ვის რა მიჰყიდოთ. გარჩევა გქონდეთო. თუ ვერ გაარჩევთ, ვინმე უთუოდ შეეწირება. თუ არადა: ველარ ელირსებით ველარც სოხუმსა. ცხინვალსაც ველარ ელირსებითო. როგორ მოგწონთ ეს ყველაფერი?.. შენ თქვი პოლონეთი. პოლონელიო. სიახლეა. არა?.. ისევ ევროპა. ევროპა ისევა. ისევ ევროპა ახალისებს ამერიკასა!..“ თუმცა მთავარი ჰო ეს არ არის ჩემთვისა: რას რა ახალისებს თუ ანახლებს თუ ვის რა წარმოუდგენია განახლებადა. არა. რა თქმა უნდა. მთავარი ის არის და იმან შეურაცხმყო – ამ უბრალო კომპანიონობამა. თამაშმა თითქოსა. გართულებანი რო მოიყოლა თანა. აბა!.. მე ამისი საბაბი არ მიმიცია. შენ ჰო გჯერა ჩემი?.. გჯერა. რა თქმა უნდა. მაგრამ რას წარმოიდგენ თუ ვინ რას მოინებებს. რა ჭკუა გაუჭრის. რა სურვილი აეკვიატება. მერე თანაც იმ ქვეყანაში, სადაც რო ზნეობა იმდენგვარია, რამდენი კაციც არის. ფულიანი კაცი. უფულოებისას ჰო ნულარას იკითხავ. ვერც წარმოუდგენიათ ზნეობაი იმათა. ლექსიკონებშიც რო აღარ შეაქვთ!.. ეგება შემთხვევით რო ვინმე წააწყდეს!.. ასეა ესა. ერთისიტყვითა. და არც გაგიკვირდება. ალბათ რო ჰხვდები შენ თვითონვე. მიჰხვდი. არა?.. რა თქმა უნდა. და წარმომიდგა ერთ მშვენიერ დღესა იგი ბატონი კერი მთელის თავისი ბრწყინვალებითა და... ჰა!.. ჰაჰაჰაჰაჰაჰა... ჰიჰაჰიჰიჰიჰიჰი... ვაი... ვაი... ჰა!.. ჰაჰაჰაჰაჰაჰაჰაჰა... ჰო... ჰო..... ვაი. დედავ ჩემო!..

„რა გემართება?!. წყალი მაინც მომაშველე!!!...“

„ემანდე... ჩაი!.."

„გაცივდა ჩაი!.."

„წყალი ცხელია?!."

„დამცინი?!!!.. მე არ მეგონა თუ ასე გულგრილად შეპხვდებოდი ამ ამბავსა!.."

„მე ჰო ჯერ არ ვიცი თუ რა ჩაიდინე ბოლოსდა-ბოლოსა!.."

„რას ჩავიდენდი???!!!.. იმან ხელი მთხოვა. ჯვარი დავიწეროთო. მე უარი ვტკიცე. სასტიკი უარი. გადავირიე. ჭკუა დავკარგე. რას ჩავიდენდი რო აღარ ვიცოდი, გამასწრო. კიდევ კარგი. ბოდიშითა და პატიების მუდარითა. მერეც მებოდიშა. სხვის პირითაც შემომითვალა. დამირეკა კიდევაცა. წერილიც მომწერა ბოდიშებითა. წერილიც დავუბრუნე გაუხსნელადა. არც ტელეფონით გავეცი ხმაი. მოგზავნილებიც გავაბრუნე უპასუხოდა. ჩამოვიშორე. ერთისიტყვითა. ჩამოვიშორე და ჩამომშორდა. ეს მე მეგონა. ის რასა ფიქრობდა მე რა ვიცოდი. ერთ მშვენიერ დღეს სული განუტევა და გამოირკვა რაცთუ ეფიქრა: ქონებაი თავისი ჩემთვის დაეტოვა ანდერძითა. ატყდა პრესაი. ტელერადიო. ჟურნალისტები თავსდამეხვივნენ. რაიო და როგორაო. როდიდანაო და საიდანაო. ან იმათს შეკითხვებს რა დალევდა, ანთუ რას როგორ გაახმიანებდნენ, ვიღა გასწვდებოდა. არცვინ მივიღე. არც პასუხი არავის ვაღირსე. ანდერძზე უარი განვაცხადე და შინ გამოვეშურე. თავი რო დამეღწია. იმ იქაური აურზაურისაგანა. ღმერთო დიდებულო – რამ შეაყვარათ აურზაური: გაბერვაი მცირედისა. დამცირებაი დიდისა. დიადისა. გამოცხადებაი ეშმაკისა ანგელოზადა. ანგელოზისა ეშმაკადა. სიმართლისა

სიცრუედა. სიცრუისაი ჭეშმარიტებადა. ხალხი ასეთია. ხალხი ერთია. ყველგან ერთია სიავითა. განსხვავდებიან თუ რაიმეთი – მხოლოდ სიკეთითა. სამართლიანობითა და ეს აგიჟებთ. სიკეთე აგიჟებთ. სიმართლე აგიჟებთ. და უნდათ მოსპონ რაც რო აგიჟებთ. სიცრუე სწამთ. სიცრუისა სჯერათ. ტკბებიან სიცრუითა. და უნდათ განავრცონ, რითაც რო ტკბებიან. ეგება ვაზვიადებ. განაწყენებამ მიმიყვანა ეგება აქამდისა. გავანჩხლდი ეგება. წუთიერი აფეთქების ბრალია ეგება. იქაც და ყველგან რო წუთიერია ყველაფერი. არცა. წამიერია. წამიერია. მერე ავიწყდებათ. სწყინდებათ მაშინვე. ახალი ხმაური რო ელოდებათ. აურზაური ახალი და ახალი. არც რო ახალი რო არაფერია. არ ვიცი. არ ვიცი. მე თავი დავაღწიე. შინ გამოვიქეცი. ანკი დავაღწიე თავი?!. აქ რა ამბავია?.."

მიაჩერდა. ცოლი. ქმარსა. უცქირა. უყურა. უჭვრიტა. უმზირა. არ იქნა. თავი ვერ ააწევინა. მოსვა ჩაი. ქალმა. შაქარი დავიწყებოდა. ჩაჰყარა. ურია. ურია. ურია. მოსვა. მოსვა. დაიფშხალა. იმას უცებ მიჰხვდა – შაქარი რო დავიწყებოდა. ამას ახლაღა: ისევ რო გაციებულიყო. ჩაი. ადგა. გავიდა თავის ოთახში. კარი შეიხურა. ქალმა.

XXIII

ღამის ბარები. კაფეები. კაზინოები. ცირკის მიდამოები თუ საუნები

დილამდე მოქმედებდა. ტელემაუწყებლობაი – დილამდისაცა და საღამომდისაცა. არ დაცხრებოდა არც რო დღისითა. ღამითაც არა. გადასცემდა და გადასცემდა *პრეისკურანტსა*. ბენდუქიძისა. იყიდება საქართველოო. იყიდება. იყიდეთ. ნუ გადასდებთ. ნუ დააყოვნებთო. იყიდეთ!.. იყიდეთ!..

„იყიდება ქართული სული და გული. ამტანობაი ქართული. გამტანობაი ქართული. ქართული. ქართული. ყველაფერი ქართული. სინდისი. ნამუსი. პატიოსნებაი. თანაგრძნობაი. პატივისცემაი. სიბრალული. ერთგულებაი. უღალატობაი. თავმოყვარეობაი. სიამაყეი. ალალმართლობაი. სიწმინდეი. სიფაქიზეი. თანაზიარობაი ჭირსა თუ ლხინში. გულოვნებაი და თავდადებაი. სიმტკიცეი და შეუვალობაი. სიბრძნეი და გონიერებაი. იყიდება. იყიდეთ. იყიდეთ. შეგარგოთ ღმერთმა!..

„იყიდება გვარი. ოჯახი. ქართული ცხადია. ყველაფერი ქართული. ცოლქმრობა. ნათესაობა. ნათელმირონობა. მამაშვილობა. დაძმობა. მეგობრობა. სტუმართმოყვარეობა. მიმხრობა. მხარდაჭერა. სიკეთე. სინანული. მართლმადიდებლობა. ეკლესია. წმიდა სინოდი. ბითუმადა და ცალობითა. პატრიარქი. ცალადა ცხადია. მღვდლები. ბერები. მონოზნები. ჯვრები. ხატები. თარგმანები ბიბლიისა და სახარებისა. ძველიცა. ახალიცა. სამომავლოცა. ენა რო იმ-

ღვრევა. ირყვნება. სიტყვარი დღეინდელი რო ძლივ-სგასაგებია უკვე *კმარას* თაობისათვისაცა. იყიდება. იყიდეთ. იყიდეთ. შეგარგოთ უფალმა!..

„იყიდება ენა დარბაისული. ლიტერატურა. პოეზია. მუსიკა. სიმღერა. ცეკვა. ფერწერა. ქანდაკება. ხუროთმოძღვრება. თეატრი. კინო. თავისებურებითა. სილამაზითა და ამაღლების წყურვილითა. იყიდება. იყიდეთ. იყიდეთ. იყიდება. შეგარგოთ უფალმა!..

იყიდება ისტორია. უძველესი თქმულებებითა. ჩვენიცა და ბერძენ-რომაელთაცა. იქაც რო გაჰქრეს ქართველთა ხსენებაი. კავკასიონი ამოიშალოს მედეათიცა და აეტესითაცა. ამირანითა და ცამცუმითაო – ჰო და რა თქმა უნდა.

„იყიდება სასაფლაოები. ბითუმადა და სათითაოდა. მეფეებისა და ნაზირვეზირებისა. ფარნავაზიდან ერეკლე მეორემდისა. გიორგი XII სართად დაგვიდვიაო. ისტორიკოსებისა. ლეონტი მროველიდან ივანე ჯავახიშვილამდე. მწერლებისა. იაკობ ხუცესიდან გალაკტიონამდე. გოგებაშვილი ინებოს მუქთადა. ვინცთუ მოისურვებს. ბარათაშვილიც დაედოს სართადა. მუქთადა. მუქთადა გოგებაშვილი. ბოდიშის მოხდითაცა. აბა ვილაა იმისი ბავშვი – აი ია. აი თხაო. თხამ ვენახი შეჭამაო?!. ვილაა?!. სადღაა?!. როცა სასკოლო რეფორმებში უკვე გათვალისწინებულია მიღწევანი უახლესი დემოკრატიზაციისა: *აი სექსი. აი ორგაზმი. აი კომპლექსი. აი ლომაია. ლომაიამ სექსი – სექსმა კომპლექსი – კომპლექსმა შვილი – შვილმა მამა – შვილმა დედა – დედამ შვილი შეჭამა!..* ან პირიქითა. ან პირაქეთა. ფართოა ასპარეზი ბავშვის გონებისგახსნილობისათვისა. ახლა თამაშობანი. იმავე პროექტების მიხედვითა – ლომაიასი. ლო-

მაიასი. რაღა თქმა უნდა!.. ინებეთ ბატონებო და ქალბატონებო. ინებეთ და აირჩიეთ. თუნდაც მაგალითად: ტრ...თ ჩარჭობანა კალმებისა ბოთლებში და სხვა ამგვარები. დარწმუნდებით თქვენივე თვალითა. ინებეთ!.. ინებეთ!.. სართად გომელაურიც მოედევნება. ყუბანეიშვილიცა. იყიდეთ!.. იყიდეთ!.. შეგარგოთ უფალმა!..

„იყიდება სკოლა. უნივერსიტეტი. კონსერვატორია. ისევე ბითუმადა. ცალცალადაცა ისევე. აკადემია. სამხატვრო ჰოო – მიეთვლება უნივერსიტეტებსა. მეცნიერებათა აკადემია. პრეზიდენტმა გაასნრო. აკადემიისა. იყიდება რექტორები. დირექტორები. პროფესორ-მასწავლებლები. სტუდენტები. მონაფეები. მშობლებიანადა. შერჩენიათ თუ არა სამსახური – სულერთია. მშობელი მშობელია. იმას ერთი მოვალეობა აწევს: ღირსეული კადრი მოუმზადოს *კმარას* ინსტიტუტებსა. განსაკუთრებით აკადემიასა *ფალოსოფოსთა*. მუზეუმები. მუზეუმები არ გამოგეპაროთ!.. სართადა!..

„იყიდება. იყიდება. იყიდება. იყიდება საქართველო: ქართლი კახეთიანადა. იმერეთი აფხაზეთიანადა. იყიდება ბათუმი. ფოთი. სოხუმი. სანაოსნოებითა და მისადგომებიანადა. ბითუმადა და ცალცალკე. მადნეული. შავი ქვისა და ქვანახშირის საბადოები. ელსადგურები. ბრძმედები. ქარხნები და ფაბრიკები. საავიაციო. საავტომობილო. ელმავალმშენებელი. მანქანათმშენებელი. აბრეშუმისა. ბამბეულისა. ტრიკოტაჟისა. მაუდკამვოლისა. რისი აღარა. საკონსერვოებს ჰო ვერც ჩამოთვლი. გზებიც იყიდება. სატრანსპორტო საშუალებანი. აეროდრომები. თვითმფრინავები. ჭაბურღილები. ნავთსადენები. დენსა-

დენები. გაზსადენები (ჩუმად. ჩუმად. ეს არ გაგვიგონ). აბრეშუმის გზაც იყიდება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანიცა. ბაქო-თბილისი-ერზერუმიცა. იყიდება. იყიდება. იყიდება ყველაფერი. თუ რამე გამორჩა – შენ თვალი დაადგი. იქ გაჩნდებიან ჩვენი კურიერები. შინ მოგართმევენ. შენ თვალი დაადგი. შენ ოღონდ ინებე!.. იყიდება დიდი და პატარა. მოხუცი და ახალგაზრდა. კაცი. ქალი. ჭაბუკები და ასულები. ასულები ასულებადა. ჭაბუკები – ასულებადაცა. იყიდება ლომაია. კობახიძე. ბენდუქიძე. ესენი თვითონვე იყიდებიან. გაყიდულან და იყიდებიან. ათასჯერა. ათიათასჯერა. ყველგანა. ყოველთვისა და მარადიულადა. ერთადა. ბითუმადა. ლომაია მწვადადა. კობახიძე ჩახოხბილადა. ბენდუქიძე მრგვალად მოხარშული. კიდევ ვის ინებებ. შენ მადა თქვი!.. იყიდეთ. იყიდება. იყიდეთ. შეგარგოთ უფალმა!..

„იყიდება და ჰყიდის: პრეზიდენტი. პრემიერმინისტრი. მინისტრები. პარლამენტის თავმჯდომარე. მოადგილე. კომიტეტების თავმჯდომარეები. თვითეული დეპუტატი. ცალცალკედაცა. ერთადაცა. მინისტრებიც ასევე. არა სამთავრობო ორგანიზაციები. ტელემაუწყებლობანი. რადიომაუწყებლობანი. პრესა. უღმერთო პრესა და უღმერთო მაუწყებლობანი. ჰყიდიან. ჰყიდიან. ჰყიდიან და ჰყიდიან!.. მიდით და ჰყიდეთ. მოდით და იყიდეთ. მოდით!.. მოდით!.. იყიდეთ!.. იყიდეთ!.. ბითუმადა და ცალცალკე. თვითეული ქართველი. ისიცა – მთლიანადა თვითეული. გნებავს ნაწილნაწილა. ფრჩხილებიან-თმისწვერებამდე. თავი თუ ფეხი. სახე თუ გვამი წელებიან-შიგნადგამებიანადა. ბოდიშს მოიხდი. რაღა თქმა უნდა. ათასწილა და ათიათას წილა. მიტევებას ით-

ხოვ. პატიებას ითხოვ. ამის თქმისთვისაცა. იმის გამოცა: სავარჯიშოები რო გადმოინერე. ლომაიასი. გადმოინერე თვალსაჩინოებისათვისა. როგორც რო *ციტირება*. მაგრამ *ციტირება ციტირებაა*. უზნეობაა *ციტირებაცა* უზნეობისა. და გმართებს კიდევაცა ათასნილ ბოდიში. ათასჯერა და ათიათასჯერა. თუ ბოდიში საქმეს უშველის თუ გადაარჩენს როგორმე ზნეობასა. თუო. თუო. თუო და თუო. უზნეობად ითქვა რო – თამაშების გამეორებაცა. ლომაიას თამაშებისა. რო გადაიღეს ქუთაისის ხელისუფლებმა. ახლავე და იქა. იქა. ჯაჭვის ხიდის რესტორანშია. საზეიმო სუფრაზედა. პირველნი ისინი თამაშობდნენ აცქაცუქცასა ანუ ბოთლში კალამს თუ როგორ ჩაარჭობდნენ უკანალითა... კიდევ ბოდიში და ათასი ბოდიში. რეკლამადაც მიიჩნიეთ. რეკლამაში რო ყველაფერი შეიძლება. ყველაფერი. ყველაფერი. იყიდება და იყიდება: უკანალი ცალკე. ასეთი. ამგვარი. უკანალები. იყიდეთ!.. იყიდეთ!.. შეგარგოთ უფალმა!..

„იყიდება და იყიდება. საქართველო იყიდება. მიწითა და ცითა. მთითა და ბარითა. ტყითა და სახნავსათესითა. ფრინველებითა და ნადირითა. მატლითა და ჭიაღუათი. ოზონის ნარღვევითა და მეტეორიტების ნაფშხვენებითა. გიჟითა. ჭკვიანითა. ბრძენითა. სულელითა. ავითა. კარგითა. მორწმუნითა და ურწმუნოთი. ყველა და ყველაფრითა. წარსულითა და მომავლითა. იყიდეთ!.. იყიდეთ!.. მოდით!.. იყიდეთ. დაესახლეთ და იბედნიერეთ!.. იბედნიერეთ!..

„დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ეკონომიკის სამინისტროს.

„ცხელი ხაზი. ტელეფონი №... მობილური №... ფაქსი №...“

რა არის. რა მოგსვლია?..

ჭირისოფლმა დაგასხა?!.

რადა... რადაო...

რო იყიდება?.. როდის იყო რო არ იყიდებოდა?!. როდისა?!. როდისა?!.

ერთი დიდი ვაჭრობა ჰო უკვე გაიხსენე – ის დაინერა 1910 წელსა. იყიდება საქართველოო. იყიდებოდა და გაიყიდა. 2005-ა ჰო ახლა?.. 1 საუკუნე გასულა. 5 წელიწადი წინა. 5 უკან. დიდი ვერაფერი ბედენა�ა. 1 საუკუნე გასულა. ნიკო ლორთქიფანიძემ ჩაიწერა საუკუნის წინა. *წინა* და *არა უკანა* – ყურადიღე. ვისაც გეუბნები და არ გესმის: შეუშვი თავში. ჩაიდე გონებაში. ეს უბრალო შეცდომა არ არის. არა. არა. უბრალო რამ არ არის. იმისი სანაცვლოა, ყველაფერი რო იყიდება: ენაც რო იყიდება. აზროვნებაცა. პარლამენტიც რო ჰყიდის. ტელემაუწყებლობაცა. ან ერთს რა ეშველება ან მეორესა!.. იყიდებოდა და გაიყიდა. ბითუმად გაიყიდა. ჭიაყელებიანადა და ჭიანჭველებიანადა. ლოკოკინებიანადა. თხუნელებიანადა. ზღარბებიანადა. გველბაყაყიანადა. გაიყიდა. პირწმინდად გაიყიდა. დედაბუდიანადა და სარჩოსაბადებლიანადა. შთანთქა რუსეთმა. ბითუმად შთანთქა. ასე არ იყო?.. რა საკითხავია. ან პასუხი ვილასა სჭირდება?!. გაიყიდა და ისევ იყიდება. დუქნებიც არის. არის ისევა. საქონელიცა. იმატა. თორემ არც რა მოჰკლებია. შენ დუქანი თქვი!.. დუქანი გქონდეს. შენი კუთხე გქონდეს. შენი. შენი. დუქანი შენი. ბაზარზედა. ბაზარზედა. გქონდეს და გქონდეს. არც საქონელი არ მოგაკლდება. არც ნოქარი არ მოგაკლდება. არა. არა. ნოქარი მაინც არა. საქონელს ეგებ ესენი სჭარბობდნენ. ნოქრები. ჰხდება. ხშირიცაა.

არეულობაც მაშინაა. დაარქვი თუ გნებავს – რევოლუციაო. რაც გინდა დაარქვი. ბაზარი ბაზარია. და თანაც რო ამაოების ბაზარიაო. ამაოებისა. ამაოებისა. დრო ჰო დროა და ბაზარიცა ყოფილა. ბაზარიცა. ნაპოლეონების დროცა. კეისრების დროცა. ეგვიპტისა და ჩინეთის მამამთავრების დროცა. ბიბლიის დროცა. ბაზარი ყოფილა. ბაზრობა ყოფილა. ბაზარია და ბაზარი იქნებაო. ბაზარიო ამაოებისა. ეგაა მხოლოდ რო ამაოება სადღაც შორს არის. ცაშია. ზეცაშია. ბაზარი აქაა – მიწაზეა. დედამიწაზე. საქართველოც აქავე არის – დედამიწაზე. ბაზარია საქართველოცა. რაღა თქმა უნდა. სავალალო ოღონდ ის არის: გადაჯეგილი ბაზარი როა. განიორნყლებული. ამტუტებული. ამაოება არა კმაროდა!..

დგება. *ისა* დგება. სავარძლიდანა.

ჩაის ჭიქას იქით გადასდგამს. წამოჰკრეფს – კოლოფსა. სანთებელასა. აი სიგარეტს ამოიღებს კოლოფიდანა... არა. არ ამოიღებს. ჯიბეში ჩაიდებს. კოლოფსაცა. სანთებელასაცა. აივანზე უკვე გასულა. მოუწევია. დაფიქრებულა. შემოსულა. გაუგრძელებია. ლაპარაკი. მოუთავებია თუ მოღლილა. შინ უნდა წავიდეს. ემშვიდობება. ემშვიდობება სოფიოსა. სოფიოსა?!. აქ რაღა უნდა?!. ქეთევანი ჰო დაბრუნდა?!. დაბრუნდა!.. ჰოდა ქეთევანს ემშვიდობება. ქეთევანსა. ქეთევანსა. არა. არა. ქეთევანსაცა და სოფიოსაცა. შეესწრებოდა რო ისიცა. შეესწრებოდაო და შეესწრო. აკი შეესწრო!.. მიაცილებენ კარებამდისა. გაჰყვება სოფიო სადარბაზოშიცა. შემობრუნდება. ლაპარაკობენ კარებთანა. ორნიღა. ქეთევანი და სოფიო. რაღა თქმა უნდა. მერე სოფიო ემშვიდობება. გადის. არც გადის. ცალი ფეხი

უდგას ზღურბლზედა. მოთავდება სიტყვაობანი ზღურბლისაცა. ის მოათავებს თუ ვერც ესაო და ვერც ისაო. შედგება ახლა ესა ზღურბლზედა. ქეთევანიო. ცხადია. დუდუნებს დერეფანი. ბუტბუტებს დერეფანი. იცინის ხმადაბლა. თითქოს კიდევაც ამოიჭრებაო. ღვინის ქურდებს რო დამართნიათ: დაბალი კრინი კრიმანჭულში რო შერეულა. იქიდან კიდევ ბოხი ხმაც ისმის. ამბროსი თუ შემატებია. ეს უკვე მცირე ხანსა. კარი იხურება. იხურება ზღურბლის თათბირი. ამას ამცივნებს. ვარაზსა. ვარაზსა. დივანზე მიწოლილა. არც არაფერი არ წაუფარებია. ჩასთვლემია თუ ჩასძინებია. სულერთია – ამცივნებს. აჟრჟოლებს. ტანში ჰზარავს. ტანში მზარავსო. *დავითიანია*. რო ვეღარც დაიმოწმებ!!!.. დასვი ნიშანი გაკვირვებისა. რამდენიც გენებოს, იმდენი დასვი – გადაჰყოლია სკოლის რეფორმებსა. *დავითიანი*. თავისუფლების ინსტიტუტის პროექტებსა: ძველი როგორც რო. დახავსებული. ზედმეტი. უმაქნისი. რო დაამძიმებს გონებასა ახალგაზრდობისა. თურმე. თავისუფლებას რო შეუზღუდავს. თურმე. დროს რო წაართმევს უსარგებლოდა. თურმე და თურმე; *ვეფხისტყაოსანიც* თანგადაჰყოლია. ისევ იმავე დასაბუთებითა. ან დასაბუთება რაღა საჭიროა ან ჩამოთვლა ვიღას უნდაო – რეფორმები რო გულისხმობს თავისთავადა და პირველყოვლისა – სრულს უარჰყოფასა ლიტერატურისა იაკობ ხუცესიდან გომელაურამდე და ტურაშვილამდეო ანუ ამ ორის თაობამდეო. თავი გამოუდვია სტურუასა მაინცა: ვეფხისტყაოსანს გადავარჩენო. *ფატმან-ხათუნის ღამის ბარს* დაარქმევს. საღრეობოსა ქაჯებისა. მენეჯერად ტარიელს მოიწვევს. ავთანდილსაცა. ფრი-

დონსაცა. ერთი რას ეყოფა. ტურფებით ისინი მოამარაგებენ. ნესტანებითა. თინათინებითა. უმშვენიერესი ასულებითა. დაამშვენებენ ასმათებსაცა პლასტიკური ოპერაციებითა. ბიჭებს გოგოებად აქცევენ. გოგოებს – ბიჭებადა. და იქნება გრიალი. *შოუ* უზარმაზარი. სპექტაკლი აღარა. წარმოდგენა ჰო აღარა და აღარა – *შოუ* გრანდიოზული. გასტროლებიც რო აღარ დასჭირდება – ხეტიალი აქეთიქითა. რო გადასცემენ თბილისიდანვე. *ლაზერშოუთი.* რაღა თქმა უნდა.

საბალეტო ნომრებით აღავსებს *შოუსა.* ბალეტს ანანიაშვილს დაადგმევინებს. *დონკიხოტს* ჰო სდგამს ოპერისა და ბალეტის თეატრში. ანანიაშვილი. მისწრება იქნება: მიდგნენ და იცინონ. აქაც იცინონ. იქაც იცინონ. იქ დონკიხოტზე. აქ ტარიელზე. დონკიხოტიც ტარიელს დასცინოდა – დონკიხოტები არ არიან განა ესენიცა!.. – საწყალი ტარიელი. საწყალი. საცოდავი. ანთუ რადაო. რატომ ითაკილებს – შეინარჩუნებს ჰო სიცოცხლესა – სიკვდილს რო უქადის სასკოლო რეფორმები გარდაუვალიო. სიცოცხლე!.. სიცოცხლე!.. სიცოცხლეს შესტრფის რევოლუციური ახალგაზრდობა!.. ისიც რო მოძველდა: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო. მოძველდა. მოძველდა. სჯობს ლაფდასხმული სიცოცხლე სიკვდილსა სახელოვანსაო. არა მღერის რო დისკოთეკებზე მეფე-ჩარკვიანი და არა ჭყვირიან გოგონები. ჭიპამოყრილნი!.. პირმშონი ვარდობის რევოლუციისა. გმირული ეპოქისა. კირკიტაძეების ეპოქისა. ახ ის სასაცილო რაინდები – სასაცილონი სასაცილოზე!.. შენ რაც გინდა თქვი – რუსთაველს გადაარჩენს. რუსთაველს მაინცა. ტყუილად ატეხი-

ლან ვიღაცვიღაცანი: ვითომც ასეო და ვითომც ისეო. ტყუილადა. ტყუილადა. გადარჩი. რაღა გინდა მეტი?!. შენ დაამძიმებ ამ ცოდვილ ქვეყანასა?!.

შუშანიკს მაინც ვერაფერი იხსნის. ვერა. ტყუილია. გაცუდებულია ყველაფერი. ეგაძის გამოცემაცა. აბულაძის გამოკვლევებიცა. მრევლიშვილის დადგმაცა. ვერა. ვერ უშველის. იმისი რა გითხრა. შუშანიკისა. ხოლო ამასა. მრევლიშვილსა თვითონ გაჰხდომია თავი საშველი თუ გამოსახსნელი. რო არ დარჩეს რეფორმების იქითა. აქეთ როგორმე რო გამოაღწიოს. *დეკამერონსა* დგამსო. ბოდიშობს მაინცა. ჭაღარა კაცია. ბიჭბუჭა ჰო არ არის. კმარელი. ბოდიშობს. აბა!.. *დეკამერონი* ჰო საბავშვო სახლობანაა შედარებითა იმასთანა, რითიც ახლა თავს იქებენო. მოდი და აუხირდი. მოდი და მოსთხოვე – უნდა გადადგე ხანდაზმულობის გამოო. მოდი და უარჰყავი სიჭარმაგე ხანდაზმულობისა. ვერც რო სიბერეს ვერ უარჰყოფ სიჭაბუკეშივე. არის და რას იზამ. სისხლი სისხლია. ზოგი დუნეა. ზოგი მჩქეფარი. ზოგი ისეა: არც ღვინოა და არც ძმარიო. სიბერე როა ბოლოს მაინცა. არჩიე და ჩეჩე რამდენიც გენებოს. სიბერეა. სიბერეი. სხვა დანარჩენს ნუღარ იკითხავ. იქ თუ რა გელის – ნუღარც იმასა. აქ თუ რა გელის ჰო – ეს არის, რაც გელოდა. ეს არის და ესა: აღარცსად სირცხვილი. არც უკან დახევა. რო არც უნდოდეთ წყეული რეფორმები. თავის უარჰყოფაც რო არა ნებავთ!.. რო გაფურთხებდნენ. გაფურთხებდნენ და გაფურთხებდნენ – ქუთაისში. ბათუმში. ზუგდიდში. ახალციხეში. ბორჯომში. გორში. თელავში. თბილისში. აკადემიაში. უნივერსიტეტში. ნაძირალაო გიყვიროდნენ. ნაბიჭვარო სოროსისაო – ლომაია უნდა იყ-

ვე. ჭიმჭიმელისძე. აპრაკუნე. აპრაკუნე ჭიმჭიმელი. იყო ასეთი სახელოვანი კაცი. რომელი ყვარყვარეო. რომელი კვეჟენაძეო. ის იყო, რაც იყო. ნაყოფი 20-იანი წლებისა. წინარე საუკუნის 20-იანისა. აა *პლარტოკი*. არა მაქვს თუ!.. მომაფურთხე რა!.. ვერ მოვიწმენდ თუ!!!.. – ამბობდა აპრაკუნე. ამბობდა და მიალაჯებდა. არ ერიდებოდა არც არავისი. არც არაფრისა. *პლარტოკი* ჰქონდა. ბოლომდე მივიყვანთ ჩვენს რეფორმებსა. ბრძანებდა პრეზიდენტი. ჩვენ შანტაჟისა არ გვეშინიანო. ბრძანებდა. ბრძანებდა. აყოლილი სითამამესა. სილაღესა. სიმსუბუქესა. *პლარტოკი* არა უჩანდა. იპრიალებდა რო ნესტოებსა სალოკი თითითა. ხან მარცხენითა. ხან მარჯვენითა. ყვარყვარეს უშანგი ასრულებდა. კვეჟენაძესაცა. იყო ასეთი 20-30-იანელიცა. საცა სამართალია – უშანგის ეკუთვნოდა აპრაკუნეცა. მაგრამ სად არის რო სამართალი – გოძიაშვილს თავისთვის უნდოდა. გადაიფიქრა. თვითონ დადგა და გااააპრაკუნა ღამბაშიძეი. უამისოდაცა. უშანგისათვისა. ცალმხარეს ესენი – ყვარყვარე და კვეჟენაძეო, მეორე მხარეს – ჰამლეტიო და ურიელიო – ზიდვა არ უნდოდა?!. აკი ვერც ზიდა!.. სანყალი უშანგი. საცოდავი თბილისი. საცოდავი. რჩება მაინც რო გამოსარკვევი?.. ჩვენ *შანტაჟი* რო ვერ შეგვაშინებსო – ბრძანებს რო პრეზიდენტი – რა უნდა იგულისხმებოდეს *შანტაჟადა*?.. ეგება იცი?.. არც შენ იცი?.. თუ დაფიქრდები – ის ჰო არა რო: აფურთხებენ რო ლომაიასა?.. ან ის ჰო არა – *პლარტოკი* რო არ უჩანს თვითონა?.. ეგ ვითომ რაო!.. ჰო ულაგია ლომაიასა. დასტობით ულაგია. *პლარტოკი*. აფურთხონ და აფურთხონ. აფურთხონ და აფურთხონ. მოიწმენდს და მოიწმენდს. მოიწ-

მენდს და მოიწმენდს. მოიწმენდს და მოიწმენდს. მე შენ გითხრა – შერცხვება რამისა!..

„სადღაა სირცხვილი!..“

ეს ისევ *ის* არის.

აკი გააცილეს. წუხელის გააცილეს. ახლა დილაა. ცინცხალი. ცოცხალი. ჩაღი. მზიანი. შინაც რო შემოჭრილა მზეი!.. შემოჭრილა. შემოჭრილა. შემოვარდნილა. დივანს დასცემია. ამას დასცემია. ვარაზსა. დასცემია და წამოუგდია. ათრთოლებს. აკრთომებს. აცეცებს თვალებსა რო ვერ მიმხვდარა თუ ვის წამოუგდია. მზესა!.. მაშ ვისა. შეჰხარის მზესა. ვითომც პირველად დაენახოსო. არადა არც რო არ აკლია თბილისსა. მზეი. თბილისის მზეი. უთუოდ სხვაგვარი. უთუოდ სხვანაირი. ვერსად ისეთ მზეს რო ვერ შეჰხვდები. ვერა. ვერსადა. შემოდგომის მზესა. შემოდგომისა. განსაკუთრებითა. ავდრების მერე რო ამოვარდება. უცება. უეცრადა. თითქოს სადღაც დაბმული ჰყავდათ. აუწყვეტია და გამოქცეულა მონატრებული თბილისის მთებსა. მტკვარს მონატრებული. მონატრებული მთაწმინდასაო. იქაც ნატვრით რო დალოდებიან. გაიხარებენ ერთმანეთითა. ვინ უფრო მეტადო – საკითხავია ალბათ ესეცა. მზეიო თუ მთაწმინდელებიო. ალბათ უფრო მთაწმინდელები. დაჩაგრულნი ავდრებისაგანა. ეგება მზეი უფრო მეტადაო. მზეი. მზეი. სასოებაი. სიბრალული. ჩაგრულთა ნუგეში. იმედი ჩაგრულთა. მართლა იმედი. მხსნელი მართლაცა. მზეი შემოდგომისა. თბილისის მზეი. რო აჰყრის უცება შიშსა ზამთრისა. ნაადრევი ზამთრისა. თბილისს რო აძრწუნებს. ჰზარავს. აკანკალებს. წინასწარულადა. უშეშო. უნახშირო. უნავთო. უდენო. უაირო თბილისსა. ეს ჰო ასეო. გაჭირვებაც გაჭირვებაა. სხვაც ყოფი-

ლა მზეი თბილისისა. სხვაგვარად მნათი. მოალერსეი სხვაგვარადა. სხვაგვარად მიმზიდველი. სხვაგვარად მომხიბლავი. შიშის ფეთება მოსწევია რო იმასაცა: შეუტანიათ რო სიაშიცა ბენდუქიძისა. თავისუფლების (სოროსის) ინსტიტუტის სიაშიცა. ერთი აქეთ ენევა. მეორე იქითა. თუ დაუბამს ორივეს ერთადა. აუწყვეტია. გამოქცეულა. გადავარდნილა ფანჯრებში. ვარაზისა. იქ ურჩევნიან. ფანჯრის რაფაზე დააწყოს ხელები. იქ უფრო სავსეა მზეი. უფრო მოწყალე. უფრო გულითადი. იქ ურჩევნიან. ესენი აქ ელოლიავებიან. ესენი. ქალები. ქეთევანი და სოფიო. წუხელის *ის* ერთად გააცილეს. ზღურბლზედაც შეჩერდნენ კარგახანსა. ამბროსის ხმაც შემოეშველათ. ახლა ის აქ არ არის. ამბროსიო. ამშემთხვევაში. *ის* სხვაა. რა თქმა უნდა. ეს ამბროსია. აქ არ არის. აქ ქალები შემოსხდომიან. ხელებს უზელენ. ტანშიცა სცრის. ხელები მაინც თითქოს დასცვენია. დასცვენია თუ სულაც დასწყვეტია. არა. არა. შემცივნია. გაჰყინვია თუ რაც თუ რა არის. უზელენ ხელებსა. ერთი ერთსა. მეორე მეორესა. ორთქლავენ. ლოყებს მიაშველებენ. რა ბედენაა!.. იქ მიიყვანონ. ურჩევნიან. ფანჯრის რაფაზე დაუწყონ ხელები. ზედ გულზე მზისა. თბილისის მზისა. სხვაგვარი როა. სულ სხვაგვარი. რო დაუპირებიათ რეფორმაი მზისაცა. თბილისის მზისა. რახან სხვაგვარია. თავისებურია რახანა. მანამდე მიასწროს. ჩაეჭიდოს მზესა. მოჰხვიოს ხელები. მოჰხვიოს. ჩაიხუტოს. ჩაიკრას. რეფორმა იმდენი არაფერიო – თუ უკვე არ გაუყიდიათ. აიწევს. ვერ ამდგარა. ვარაზი. ვერც ამბობს. სიტყვაც ეყინება. ტუჩებზე ეყინება. თუ რა ჯანდაბაა. ქალები ცდილობენ თავაანთსასა: რასაც რო სოფიოო, იმასვე ქეთევანი. სოფიო ვერა ბედავს

უფრო მეტსა. თორემ ჰო იცის. ნაცადია. ამისიც ერიდება – ლოყაზე რო იხუტებს ხელსა. სხვისი კაცის ხელსა. ქალიც რო იქვე ზის. მითუმეტეს რო!.. ცოტათი ჩაიპარებს ნიკაპქვეშაცა. ყელზე – ცოტათი. ნიკაპით დააწვება. დანარჩენს თვითონ მიჰხვდეს. ამისი ქალი. ქეთევანიო. რა თქმა უნდა. თუ ერიდება. თუ ერიდება – რისა ერიდება. განა თავისი კაცი არ არის. ამისი თუ – სოფიოსი. აჰაა და გავა. აიწევს სოფიო. რა ემართებაო. დაბნეულა ქეთევანი. არ უშვებს ესეიგი. თითქოს ეს იყოს ხსნა და იმედი. თითქოსაო. სიმარტოე რო უფრო ძნელია. ამან იცის, რაც ემართება. ვარაზმა. მიიყვანონ მზესთან ახლოსა. ის უნდა. ის უნდა. არ გაუყიდონ...

„სასწრაფო!..“ ქეთევანმა. თითქოს მიუხვდაო.

ვერც დასტურს დასცემს სოფიო. ვერც ეუარება.

ვარაზი უარს არის. ამბობს კიდევაცა. მაგრამ და რაო – სიტყვები ამოსდის გაყინული. ამოსრიალდება და ცვივა იატაკზე. ცვივა. იფშხვნება. ვერ აგებინებს რო სასწრაფო აქვეა. აქვე. ის ჰო არც გაუგია – ის მაშინდელი მკურნალობაი სოფიოსი. არც ჯვარხევისაც ჰო – არა. აგრეთვე. სასწრაფო მზეა. მზეი თბილისისა. ვიდრე გაჰყიდიან ან ჩააგდებენ განსაცდელში რეფორმებისა. უშველეთ!.. უშველეთ!.. იმას უშველეთ. მზესა. მზეს უშველეთ. დაეხსენით ამის ხელებსა. მოჰყინვია და ეგ არის. რაც არის, არის. არის და რას იზამ. ვერც რო იმას იტყვი: გვიანლაა თითზე კბენანიო. ვერა. ველარა. მაგრამ და მაინცა – რა ქმნილა თითები...

XXIV

წლიკვინა გოგოები მოიყვანა სასწრაფომა. ორი წლიკვინაი. ახალი კადრი. დაწინაურებული *კმარელებიდანა. კმარამ* შეასრულა თავისი როლი. დასამხობელი დაამხო. უკვე. ჩაბმულიყო ახლა რეფორმებში. ჩაბმულიყო. ვინ სადაო და ვინ სადაო. ამათა რგებოდათ რეფორმები მედიცინისა. ვერც ვერაფერი გაიგეს. რა თქმა უნდა. არც იხტიბარი არ გაიტეხეს. საავადმყოფოშიო. ბრძანეს. ღრმადდაჯერებულებმა. თავში იხალონ ახლა იმათაო. რა თავში იხლიდნენ!.. ჩამსხდარიყვნენ რო იქაცა რეფორმატორები. რეფორმაცია მოსდებოდა ქვეყანასა. ზღვიდან ზღვამდეო. ვეღარ იტყვი. რაღა თქმა უნდა. ვეღარც რო დასძენ: ნიკოფსიიდან დარუბანდამდეო. ზღვიდან ძლივას საინგილომდეო. გადაყლაპულ საინგილომდეო. ამოიკვნესებ. ზღვაც რო გამოგთხრია. შიგნეულიცა. რაც თუ რაც არის. არაო. სოფიოს აღმოსკდება უნებურადა. კბილს კბილზე დააჭერს. ლამის ენაც რო მოეწეწკება. მაგრამ რაღა დროსა. როგორთუ არაო. ქეთევანი რო შესძახებს. სოფიო ლულლულებს. თავს იმართლებს. შინაური წამლობა გამიგონიაო. მაგრამ ყურს ვინ დაუგდებს – ანთუ კმარელი მედიკოსები. ანთუ ქეთევანიო. რაღა დროს შინაური მკურნალობააო. ქეთევანი ჩაიქნევს ხელსა. ერთმანეთს შესცინებენ კმარას ექიმები. კიდევაც კარგიო. ყურს თუ არ უგდებენ. თავს დაიფარავს. სოფიოი. გული კი ჩასწყდება. ისე იმგვარადა: შინ დაბრუნება არ უწერიაო. ვარაზსაო. რაღა თქმა უნდა. წუხს

და ვალალებს. ეგებ რო ამბროსის მაინც შესჩივლოს. როგორმე შესჩივლოს. როგორმე. როგორმე. ისე არა. რაღა თქმა უნდა: როგორც რო გადაჰხდა. რაც რო გადაჰხდა – ვეღარც ქმარს რო ვეღარ უსწორებდა თვალსა. ვარაზსაც ჰო ვეღარა და ვეღარა. განიცადა რო განსაცდელი. გადაიტანა და მორჩა. ახლა რაღაო: განსაცდელი თუ აღარაო, კაციც რო აღარა!.. არა. რადაო. გამეტებაც არ შეიძლება ასე უბრალოდა. არც უარჰყოფა რო არ იქნება რეფორმებისა. ჰხსნიან. ნიშნავენ. ჰხსნიან. ნიშნავენ. გადაჰყავთ. გადმოჰყავთ. ისევ გადაჰყავთ. ისევ გადმოჰყავთ. თითოდაც ჰო არა – გუნდგუნდადა. გუნდებადა. ჯგუფ-ჯგუფებადა. კურსებადა. ეზოებადა. ეგაა ოღონდ არ მოჰხვდნენ ძმები სადმე ერთადა. გვერდიგვერდა. ოჯახის წევრები არ მოჰხვდნენ ერთადა. ოჯახი. არა. გვარი არა. კლანი!.. კლანი!.. კლანი არა!.. ᲐᲠᲐᲓᲐᲐ-ᲠᲐ!.. ეს კორუფციაა. სასტიკი ბრძოლა გამოცხადებულა. წინააღმდეგა კორუფციისა. გზა ხსნილია. ვარაზისთვისაცა. ხსნილია მიღწევანი მედიცინისა. უახლესი მიღწევანი. რაღᲐ თქმა უნდა. რის გამეტებაო. რა ხელის ჩაქნევაო. სწუხს მაინცა. სოფიოი. სწუხს და ვალალებს. შველა შეეძლო აქვე. ახლავე. თვითონ შეეძლო და მიანება რეფორმაციასა. ზღვიდან ზღვამდე არა. რა თქმა უნდა. არც ნიკოფსიიდან დარუბანდამდისა. ძლივს საინგილომდე მოკბეჩილი ზღვიდანა. სწუხს და ვალალებს. ვის შესჩივლოს – რუსთაველი მკვდარია. ახლა რო მართლაცა... ეთიმ გურჯის დროს კიდევ რა უჭირდა!.. ანთუ იცოცხლებს – ისევ იმისი წყალობითა – გაუნელებლად რო იმართება: პოლიტიკური აქციებიაო თუ რაც დაერქმევა. პოლიციაც რო იქ ჩამწკრივდება საპატიო ყა-

რაულშია. ვის შესჩივლოს – ამბროსიც იქ არის. არ იქნა და არ მოიშალა. იქ არის თუ საკანშია უკვე?.. ალბათ საკანშია. საღამომდე რო თავდება ყველაფერი: დასაშლელს დაშლიან. დასაჭერს იჭერენ. პოლიცია საქმეს ამთავრებს. სასამართლო ღამითაცა მუშაობს. წუთს არ გადააცდენს განსაზღვრულ დროსა. დაცულია ადამიანის უფლებები. *სტრასბურგი* თუ რაღაცას აჩმახებს – ეს ისე. მხოლოდ გასამხნევებლადა. რევოლუციური ხელისუფლებისა. როგორც რო ბრძანებს თვით პრეზიდენტი. იცის და ამბობს. დაიგვიანა რო ამბროსიმა. მაინცა. ალბათ მიუსაჯეს. ამასაცა წუხს. იმასაცა წუხს. ორი წუხილი უკვე ბევრია. ქეთევანს შესჩივლებდა. ის ვარაზს გაჰყვა. ქეთევანი. ცხადია. იქ მაინც დაურეკოს. ვარაზი იკითხოს. თან გადააყოლოს ამბროსის დარდიცა. ეს ახლა – რო დაღამდა. ხვალ თვითონ იცის. მეგაფონსაც იშოვის და თავშიც ჩაუდგება. მეანაბრეებსა. აღიძრნენ აიშალნენ ჰო – მეანაბრენიცა. გაძარცვულნი და ჩაფურთხებულნი. დავითაშვილის თქმისა არ იყოს. ხვალ თვითონ იცის...

ხვალამდე ამბროსი ბრუნდება შინა.

დაგვიანებითა ბრუნდება მართალია. ოღონდ ისე გახალისებული – კარებშივე ეხვევა მეუღლესა. ღია კარებში.

თაფლობის თვეშიც არა სჩვეოდა ასე ამგვარადა.

ან ეს როგორღაც არეული სუნი. არეული სასმელისა. არეული საჭმელისა. სუნითვე აზელილი. სიგარეტის სუნითა. მდაბიური სიგარეტისა. ბოლიც რო ასდის ბეჭებზედა!.. სუნი ბოლივითა.

წყრება. ებუსხება. სოფიოი. ამბროსისა. ცოლი. ქმარსა.

შენ ქორწილში ხარ. აქ ვარაზი რა დღეშიაო.

რა დღეშიაო. ამბროსიმა.

სასწრაფოთი გააქანესო.

„ეგ ჰო ეგრეა..." ამბროსიმა. „სასწრაფო გააქანებს. საავადმყოფოც დროზე მიჰხედავს."

შეიძლებოდა რო აქვე გვეშველა. შენ რო შინა ყოფილიყავიო.

„აგერა შინაცა ვარ!.." ამბროსიმა. „დააბრუნონ და ვუშველოთ!.." არც ასე აგდებული ლაპარაკი რო არა სჩვეოდა ამბროსისა!.. ყურებზე აიფარა ხელები. სოფიომა. მერე ცხვირპირზედა. აბაზანაშიო. გამოთქვა როგორც იქნა ეგრე დახშულმა თუ ლამის მოგუდულმა. ოღონდ ისე რო შეაძაგძაგა ამბროსისა. წყალი თუ მოდის მაინცაო. წყალიო. წყალი. ცივი წყალიო. წყალი აღმოჩნდა. მადლობა ღმერთსა. გაიყრევინა სუნიცა. სიმთვრალეცა. შეიფუთნა. ჩათბუნდა. ბოდიშობდა და თავსაც იმართლებდა. რახან აჰყვები, უნდა აჰყვე და გაიტანო ბოლომდისაო. გზაგზა გაჯანჯლება არც მე მეკადრება. ვერა ვკადრებდი ვერც იმათაო. ნათელაშვილსაო. ბათიაშვილსაო. დავითაშვილსაო. ძიძიგურსაო. ასათიანსაო. შემოგვიერთდნენ. წინგვიძღვოდნენ. იმათი ხათრით იყო ხელი რო არ გამოუღია პოლიციასა. გვაყვირეს კიდევაცა ვიდრე ყელი ჩაგვეხლიჩებოდა. მოგვშივდა კიდევაცა. უნდა ჩაგველბო ჰო ყელიცა სახვალიოდა. ხელი გაიკრეს ჯიბეზე ბიჭებმა. მოაქუჩეს რაც რო გააჩნდათ. და ის იყო რაც გააჩნდათ – ლუდი. სუფრას რო გასწვდებოდა. სუნიო. იძახი. ხუთვარსკვლავიან რესტორანში ვერ მოვხვდებოდით. რაღა თქმა უნდა. სადაც რო მოვხვდით ის მომედო და შინაც ის მომყვა. სამაგიეროდ იმათთან დამსვეს – სახელოვან ხალ-

ხთანა – ნათელაშვილი ცალკე მთავაზობდა: შემოდი ჩვენს პარტიაშიო. ბათიაშვილი – ცალკე. დავითაშვილი იქით მეწეოდა. მტკიცე უარი მივუგე სამივესა. სამივემ მომიწონა. შენ ხალხი ხარ და პარტიაში არც უნდა შეხვიდეო. შეიძლება ჩვენ გავერთიანდეთ. რას დავირქმევთ, ჯერ რო არ ვიცით, ან შენ რად უნდა გამოიცვალო სახელები ან ხალხი რად უნდა დააბნიო – ვინა ხარ თუ რა ხარ რო ველარ გაიგონო. შენ ხალხი ხარ და ჩვენც ხალხი ვართო. ჩვენს ერთობას გაუმარჯოსო. არაყიც მდარე იყო. არაყსაც ასდიოდა სუნი. როგორღაც უცნაური. კონტრაბანდაა. თქვეს. ლუდიც რუსული გახლდა. კონტრაბანდული. რაღა თქმა უნდა. სიგარეტიცა. კონტრაბანდაცაა და კორუფციაცაო. ძიძიგურმა. ქრთამით შემოაქვთ. ქრთამით ასაღებენ. ვინ გაგაპარპაშებს უამისოდა დედაქალაქშიო.

„რო ჰკითხო – ყველა მანკიერება თან გავატანეთ შევარდნაძესაო!..“ დავითაშვილმა.

„რო ჰკითხო, ვისა?!.“ ნათელაშვილმა.

„ამ ჩვენს ახალ ხელისუფლებასა...“ დავითაშვილმა.

„ვინ არის ახალი – ახლები არიან ეს ბოკვერები შევარდნაძისა?!. კონტრაბანდაც მაგათი მოგონლია. კორუფციაცა. ძარცვაცა. გლეჯაცა. შევარდნაძესაც მაგათ გაუტეხეს სახელი და ისიც მოასწრეს, ამ ერთ წელიწადში თვითონაც რო გაილანძღეს თავი. კაა გვარიანადაც გაილანძღეს.“ ნათელაშვილმა.

„არც ეგრეა...“ დავითაშვილმა.

„ეგრედაც არის და უარესადაცა.“ ნათელაშვილმა. „არც მთლად გემეტება, მაინც მაგათი წიბოსი რო ხარ. არადა გაგწირეს. მაინც გაგწირეს. თუმცა რო

ბევრი გირტყეს მაგათი გულისთვისა – თბილისშიცა. აქვე. ქვემო ქართლშიც ჰო. მესხეთშიაცა და ბათუმშიცა. შენ წიხლები გერგო ხალხისაგანა. ეგენი დაბრძანდნენ ხელისუფლებაში ხალხის სახელითა. ეგენი. ეგენი. სწორუპოვარი შეგირდები შევარდნაძისა. ისინი იქ არიან. ისევ იქ არიან – ხუთვარსკვლავიან რესტორნებში. შენ აქა ბრძანდები. ამ განწირულ ხალხში. იაფფასიან სასადილოში. სწორედაც რო კონტრაბანდის ქველმოქმედებითა და სწორედაც რო კორუფციის წყალობითა. არც ეს ქველმოქმედება არ მოგაკლდება. არც ეს წყალობა არ მოგაკლდება თუ არ დაიჯერებ...“

„რას თუ არ დავიჯერებ?!.“

„გაილანძღეს რო თავი. დათვლილია რო მაგათი დღეები!.. მე ამისთვისა ვარ. მე მაგათ უნდა ავუგო ანდერძი. მე. მე. თვითონ მე!.. არ შევაწუხებ ამისათვისა არც პატრიარქსა. არც მაგათი კობახიძე არა მჭირდება...“

„საქმე საქმეზე ეგრე არ მოდის... ეგრე ადვილადა.“ ბათიაშვილმა. „ფული... ფული... ფული უნდა... ფული!..“ და რო იტყვიან: ფიქრმა წაიღოო, – ფულმა წაიღოო. იქ ასე ითქმოდა. გულხელი დაეკრიფათ. თავი ჩაექინდრათ. მოლოდინაშვილს თავი მაგიდაზედაც დაედო. ბათიაშვილსაცა. 200. 200. 200 მილიონიო. მაგიდას ჩასძახოდა მოლოდინაშვილი. სად იშოვნი 200 მილიონსაო. სადაო.

„შენ ამისი გჯერა?!.“ ნათელაშვილისაო. ბათიაშვილმა. ნათელაშვილი აზვიადებდა. 200 მილიონისა ვარდები შემოზიდეს ჰოლანდიიდანა ჟვანიაბურჯანაძესააკაშვილმაო. მხოლოდ ვარდებიო. ახლა დანარჩენს არ იკითხავთო.

„შენ ვისი გჯერა?.." ძიძიგურმა. ეგება სანუგეშო თანხა იცოდესო.

„მაილსისა!.. მაილსმა 32 განაცხადა... მაილსი ამერიკელია. რეალისტია მაილსი."

„32... 32... 32 მილიონი დოლარი. შენც ვითომ ამერიკელი იყვე ისე იმეორებ. ან ამას სად იშოვი?!. გაიყიდა ჰო ყველაფერი. გაიძარცვა ჰო ყველაი. ყველაი. ვისაც ორიოდე გროში გააჩნდა. გაიძარცვა და იძარცვება. პროკურატურა ველარ ასდის საპროცესო გარიგებებსა..."

„ხალხი მაინც ხალხია. ყველას ვერ გაძარცვავ ან ყველაფრისგან ვერ გაძარცვავ ხალხსა."

„გაყიდულია ჰო ხალხიცა!!!."

„გაყიდულია!.. მაგრამა სული?.. სულს ჰო ვერ გაჰყიდი?!.." აქ მართლაც რო ფიქრმა წაიღო: ნათელაშვილიცა. ბათიაშვილიცა. დავითაშვილიცა. ძიძიგურიცა. მოლოდინაშვილი ჰო ჩაძირულიყო. ჩაძირულიყო ასათიანიცა.

წამოიხედა მოლოდინაშვილმა –

„ისე აძლობენ და აფუფუნებენ პოლიციასა..." კიდევ უნდა ეთქვა. დაეფჩინა ტუჩები ისე. ასათიანმა აღარ დააცადა –

„მშიერ ხალხს ვერ გაუძლებს სიმაძღრეი ვერავითარი."

დარბაზი შემთვრალიყო. შენ თქვი: სუნიო თუ სიმყრალეო. მყრალი სიგარეტიო. მყრალი არაყიო. ვითომ რო ლუდიცა – ლუდიო ვითომა. მაინც გაეჭრა გაეტანა თავისი. შეხალისებულიყვნენ. გულს იქარვებდნენ ლანძღვა-გინებითა. ზოგი პუტინისა. ზოგი ბუშისაო. ზოგი ჟვანიასი. ზოგი სააკაშვილისაო. ყველა ერთად რო ბურჯანაძისაო. ღვარძლიანად არა.

არა. ღვარძლს არ მიატანდნენ იმას მაინცა. ბურჯანაძესა. მიაყოლებდნენ პარლამენტსაცა. ბითუმადაცა. საცალოდაცა. მინისტრებსაო ჰო ნუღარ იკითხავ. არ ივიწყებდნენ არც შევარდნაძესა. ზოგი რო ნატრობდა. გაჰყვიროდა ზოგი: დააპატიმრონ. სტრასბურგს ნუ გადასცემენ. ჩვენ გავასამართლებთ. აი აქვე გავასამართლებთ. თავზე გადავამტვრევთ იმ ლანგარსა, ხელისუფლებას რითაც არიგებსო. ხმა ხმასა სჭრიდა. ხმები ხმებსა. ზუზუნებდა. გუგუნებდა. ბორგავდა დარბაზი. დაბალჭერიანი. ხრუშჩოვის დროისა. იხრჩობოდა დარბაზი მდარე სიგარეტის ბოლითა. კონტრაბანდული სიგარეტისა. დაეღოთ ფანჯრები. ბოლი აწვებოდა ჰაერსა. ჰაერი შიგნით ვერ შემოტეულიყო. როგორც იქნა რო გზა გაიკვალა. ჰაერმა. ცხადია. ამოისუნთქა ჩვენმა მაგიდამაცაო.

„თანაც ახლა აღარც იმდენი იქნება საჭიროი..." ბათიაშვილმა. ის ისევ იქ გახლდა. საქმეს შესდგომოდა. აღარ ასდევდა განზოგადებებსა.

„აბა რამდენი?.."

„ასე... 15-ამდე!.."

„მაგასაც შოვნა უნდა. ამერიკა ჯერკიდევ ამათ დაუჭერს მხარსა. რუსეთს მიმართავ?!."

„თვითონ მოგვმართავს. შენ არ აჰყვები... ხალხი აჰყვება. მეტს ვეღარ მოითმენს. და რო დადგება არჩევანის წინაშე, გადაიხრება ისევ იქითკენა. მე ასე მგონია და მე ეს მაძრწუნებს. აბა დააკვირდი – რაც რო რუსეთმა ვერ წაგვართვა 200 წლის განმავლობაში, ამათ წაგვგლიჯეს 10 წელიწადში. წაგვგლიჯეს. ამოგვართვეს. რწმენა ამოგვართვეს. ეკლესია შეგვიგინეს. პატრიარქი აქციეს სათამაშოდა. რწმენა

გაჰყიდეს და იმედიც გაჰქრა. რაღას დაგიდევს უიმედო ხალხი. ვინ უწყის კიდევ ვინთუ რას გიქადის!.. ერთმორწმუნეობა დააბრმავებს ხალხსა ისევა. მართლმადიდებლობა დააბრმავებს იმათი. თანაც ცხინვალსაც რო გპირდებიან. სოხუმსაცა უდავიდარაბოდა?!. ისევ იმ უღელში ამოჰყოფ თავსა. გაუსაძლისსა და გამანადგურებელ უღელში."

„დაიმტვრა ეგ უღელი. მორჩა. დამთავრდა. შენ რო გაინიო. ის ველარ შეგაბამს. აღარც აპეური აქვს. აღარც ტაბიკები... მორჩა. მორჩა. იმპერიალიზმმა მოგჭამა ჭირი!.."

„არ დაიჯერო!.."

„აბა რა ვიღონოთ?!.. ევროპას მობეზრდა რევოლუციები და გადატრიალებანი. არც მხარს არ დაგვიჭერს. კაპიკსაც ვერ გააგდებინებ საამისოდა. არც გარეთ არავის არ წააქეზებს. შინაც მხოლოდ სიმშვიდეზე ფიქრობს. სიმშვიდეზე და შენარჩუნებაზე საკუთარი ქვეყნისა. საკუთარი სახისა. ისტორიისა. დედაენისა. რწმენისა. თავისებურებისა. ამიტომაც შეკავშირებულა. თვითეულმა რო გადაირჩინოს თავი. თავი თვისი საკუთრადვე რო ეყუდნოდეს. და ერთადა, ერთობლივად აიშოროს ჭირი გლობალიზმისა. სენი წამლეკავი. ის თვითონ ირტყამს ჩინურ კედელსა. გნებავს რო შეგიფაროს!.. შეგიფარებს. რატომაც არა. ოღონდ სუფთასა. დაწმენდილსა. არა აღრეულსა და გადარეულსა. ხელისუფლება რო დააქვთ ლანგარითა. ვინ საით გაიტაცებს რო ველარ გაიგებ. არა. ასეთს არ შეგიფარებს. ისევ ამერიკას თუღა მიმართავ. არჩევანი ხშირადა გვქონია სამთა შორისა. ორთა შორის ჰო გამუდმებითა. ჩვენი ისტორია ჰო მხოლოდ ეს არის – საით წავიდეთ. საითა სჯობიან. რაც-

თუ რა ყოფილა თუ რაცთუ რა არის – ამერიკაა ახლა დასაყრდენი. ეს არის და ესა. ამათში შესცდნენ. ამ ლანგარის მოსართავებში. მიჰხვდნენ. მაგრამ არ დასთმობენ. არ გაიმეტებენ. ასე მალე არ გაიმეტებენ. წააქეზებენ. სახელსაც გაუთქვამენ. დასახავენ ნიმუშადაცა. უკრაინაც რო აიყოლიონ. მოლდოვაცა. ბელორუსიაცა. არ ავიწყდებათ არც შუააზიაი. რუსეთს რო შემოერტყან და შეაშფოთონ მასმედიის თავისუფლებითა. არჩევნების სამართლიანობითა. ადამიანის უფლებებითა. ესაა ჰო ამერიკის სტრატეგიაი ამ ციე ომში. ცივსა და სასტიკში. სასტიკსა და ულმობელში. აქვე ვართ ჰო ჩახლართულნი ჩვენცა. ჩვენი სანიმუშო რევოლუციითა. ვარდობისაო. არა?!. ჩვენი თავისუფლების ინსტიტუტითა. დემოკრატიზაციის ინსტიტუტებითა. ჩასკვნილნი ვართ და ჩაკერებულნი. და ამ ლანგარის ხელისუფლებას სახელს არ გაუტეხს ასე ერთბაშადა. არც ტრაბახს დაუშლის. ოღონდ იარონ წინა და წინა. რიჩარდ მაილსის ხელმძღვანელობით. წინა და წინა. აღთქმული გლობალიზმის ელვარე მწვერვალებისაკენა. წინ!.. კომუნიზმს მოვრჩით. ისევ წინაო!.."

„იქვე ვიხლართებით?!."

„თუ უარესში არა!.."

„უარესი რაღა იქნება?!."

„ფიქრებს ვინ მისწვდება ეშმაკისასა, ჯერ ღმერთისასაც რო ვერ მისწვდენიხარ?!."

„ეს მაინც უკვე განცხადებულა: პლანეტა ერთია. ერთი უნდა იყოს სახელმწიფოცა. ხალხიც ერთი. ხელისუფლებაც ერთი!.."

„და ევროპა თანხმდება ამასაააა?!."

„ცდილობს აიცილოს. მოუხერხდება?!."

„არც ევროკავშირი არას გვარგია."

„რაღა თქმა უნდა!.."

„ჩვენი ხსნა მხოლოდ ერთიანი კავშირია – კავკასიის კავშირი!.. ეს ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალმა იცოდა. იალბუზზე ფეხი შესდგა. დიდმა მთებმა იწყეს დრეკაო. მაშინვე იწყეს. არ დაანებეს იმასვე მაშინა. არც სპარსმა დაანება. არც რომმა დაანება. არც არაბობამა. ბიზანტიამაც არა. არც მონღოლებმა. რაღა თქმა უნდა. ისევ სპარსმა და თურქმა უფრო მომეტებულადა. რუსეთმა ჰო სულაც გამოშიგნა. მოფშხვნა და მოფშვნიტა თუ რამ ძაფი აკავშირებდა თუ რამ შერჩენოდა მცირედი მაინცა. და შენ რა გგონია – იგივეს განაგრძობს ეგ შენი წყეული თავისუფლების ინსტიტუტები. ყველაფერი იციან. ჩაგსაფრებიან ყოველ კუნჭულში. კრინტსაც ვერ დასძრავ. აგანგაშდებიან წინასწარა: სად გაგონილა კულტურაი კავკასიისაო. ზღაპარია. გამოგონილია. მაცდურებააო. მაგათი კულტურა დემოკრატიზმია ანუ: შებღალვაი დედაენისა და ერის წარსულისა. აღრევაი რწმენისა და ეკლესიებისა. გამასხრებაი ზნეობრივი სიწმინდისა. ბილწსიტყვაობაი და ბილწი ქმედებანი. ნიშანი ვითომ რო სრულყოფილი თავისუფლებისა. საპატიმროების გამრავლებაც დემოკრატიზმი ჰგონიათ მაგათა. საერთაშორისო სტანდარტებით მოწყობილი საპატიმროებისა. გამოტეხის უახლესი საშუალებებითა. რაღა თქმა უნდა. აბა ცემა რაო???!!!.. ელენე თევდორაძეც რო აღუშფოთებია. მაგათ იმ კულტურისას რას გააგებინებ არქეოლოგიას რო ამოაქვს და ამოაქვს ჩვენში. ხორბლეულის უუუძველესი ნაშთები. ვაზისა და მეღვინეობის ნაშთები. ცეცხლის. უუუუ და უუუუძველესი. სამ-

ჭედლოს. ლითონწარმოების უუუუპირველესი ნიმუშები!.. რას გააგებინებ. რას შეასმენ?!!!. მოდი და აბა ელაპარაკე. გაყიდულთა სულითხორცამდე. წყეულთა და შეჩვენებულთა!.."

„ესენი რაღამ გააგიჟა?!."

„ფულმა!.. ფულმა!.. გეუბნებით და დამიჯერეთ!.."

„ფული!.. ფული გვინდა!!..!.."

„კიდევ ოთხი წელიწადი მაინც ამათია თუ მეტი არა. თვითონ როგორც რო ვარაუდობენ!.."

„ვიგუდებით ხალხნოუ!.." ღმერთიც უშველის ვიღაცა მიჰხვდა. შესქელებულიყო ბოლი ისე. სიგარეტისაი. ოხშივარი ხინკლის ქვაბებისა. სიმყრალეცა არყისაი – სიტყვაც იხშობოდა. ჭკუაგონებაცა. ვერ გადავურჩებოდით გაგუდვასაო. მართლაცაო. ამბროსიმა. თავი დავაღნიეთ. ჩვენ ჩვენს გზას ვეწიეთო. ამბროსიმა. რაღა თქმა უნდა. ეგრეთ ღრეობაში თუ კიდევ მოჰხვდე, შინ ფეხი აღარ შემოადგაო. სოფიომა. არც არად ჩაუგდია ბრძანებაი ესე მეუღლისაი. ამბროსისა. აღარც მოხვედრილა იმგვარ ყოფაშია. არც უკეთესში. არც უარესში. ღრეობაშია. რაღა თქმა უნდა. აქციებზე ისევ გადიოდა. ისევ ერთგულადა. თავგამოდებითა ისეთივეთი. ყველა მეგაფონი იმას უხმობდა. არ იკითხავდა – ვის უხმობს ზერიო. მე მიხმობს. მეო... უდგა გვერდითა მემეგაფონეთა. ჩამოართმევდა და გადასცემდა. დროს იხელთებდა და თვითონ ჩაჰყვიროდა – ვისაც აჰყოლოდა – იმათს გასაჭირსა. ჩაჰყვიროდა და ჩაჰყვიროდა. და შეჰყვიროდა სახალხო დამცველის ოფისსაცა. მაჩაბლის ქუჩაზედა: ხალხს ჰო შეაქციე ზურგი. შეაქციე და შეაქციე –

ამათ მაინც გადმოჰხედეო. მუხროვანიდან გამოქცეულ ახალწვეულებსა: ან რა აცვიათ ან რა ახურავთ ან რას აჭმევენ ან რას ასმევენ ან სადა სძინავთ და როგორა სძინავთ. ჰკითხე მაინცაო; მიუძღვოდა ჩეჩენ ლტოლვილებსა. პანკისიდან რო ჩამოსულიყვნენ: არ გვინდა და ნუ დაგვაბრუნებთ საჩეჩნოშიო. ტყუილია რასაც რო მოსკოვი გვპირდება. სიკვდილის მეტი იქ არაფერი არ გველოდებაო; ჩამდგარიყო უნივერსიტეტის სტუდენტებშიცა. ჯავახიშვილისა. არ გინდათ და ნუ გინდათ ეს მეტრეველიო. არც ჩვენ არ გვინდა ეგა – თქვენი ლორთქიფანიძეო. ჩვენ აგვარჩევინეთ ჩვენ ვინც გვინდაო; აჰყოლოდა ლტოლვილებსაცა – ჩასახლებულთა *ივერიაში* – რო გვასახლებთ, სად გვასახლებთო. რატომ შინ არ დაგვაბრუნებთო. გადაიფიქრეთ თუ რა არისო; აქეზებდა ჩასახლებულთაცა *აჭარაშია*. ლტოლვილებსა. რაღა თქმა უნდა. თქვენც მხარი აუბით. თქვენც ეგ დღე გელითო; ხმას შეაწევდა პედაგოგებსაცა. მოსწავლეებსაცა. რო მისდგომოდნენ განათლების სამინისტროსა. აგვაცილეთ ეგ თქვენი მახინჯი რეფორმები. თუ რეფორმა გინდათ – მართებული რამ მაინც გვირჩიეთო. ექიმებსაც ახლდა. მეაქციეებსა. რაღა თქმა უნდა; იუნკერთა სკოლასაცა; თანამშრომელთაცა თვით მერიისა; მრავალშვილიან დედებსაცა მერიასთანა. პარლამენტის კართან – ჰოო და ჰოო; პრეზიდენტის კანცელარიასთანაცა. ცხადია და რაღა თქმა უნდა; უსამართლობა ვისაც აწუხებდა. და ნეტავი თუ ვის არ აწუხებდა?!. რო არც არავის არ ებოდიშებოდნენ – რევოლუცია ვართ. რევოლუცია გრძელდებაო. რევოლუცია ჰო ყველას ასწორებს.

ჩვენგან რატომ გაგიკვირდათო. ერთი მაინც რო მოიბოდიშეს – ეს ის იყო რო განაცხადა ახალმა მინისტრმა. თავდაცვისამა. თვეში ერთხელ რო იცვლებოდნენ. დღეს ჯარი იმაზე უარეს დღეშია, შევარდნაძის დროს რო იყოო. აი ჰო ვთქვიო. ამბროსიმა. სხვა დანარჩენიც ისევეაო. გაიხარა. გაიხარა. ამბროსიმა. რაღა თქმა უნდა. მაგრამ ცხოვრება დიდხანს განა ვის გაახარებსო: *პროტესტი* ათქმევინეს გამოცვლილ მინისტრსა. აღარც რა ათქმევინეს ახალ მინისტრსა. დაიდუმეს და დაიდუმეს. ვითომდაც და აქ არაფერიო. მერე მოსდგა *მასმედიაიო* – ჩვენი ჯარიო; კოსოვოშიო; ერაყშიო; წვრთნისა და აღჭურვის სწორუპოვარი პროგრამებიო; წარმატებულიო; წარმატებულიო; რეზერვისტებიო; თვით პარლამენტარებიო; თვით ქალებიო; ახლათახალი ყაზარმებიო; იარაღიო ახლათახალიო. მისდგა და მისდგა ისე იმგვარადა – სახოტბო პოეზიასაც რო შეშურდებოდა. სოციალისტურ პოეზიასა. დაიჩაგრა ამბროსი მაინცა. დაიჩაგრა. ნუგეშად ის შერჩა – მეგაფონით რო დააჯილდოეს პედაგოგებმა. ჩვენ მაინც აღარაფერი აღარ გვეშველება. აღარც სააქციოდ აღარ გამოგვიშვებენ. გქონდეს და მშვიდობაში მოგახმაროსო.

საჩუქარი ჰო მოიპოვა და მოიპოვა. ამბროსიმა. რაღა თქმა უნდა.

სამთვიანი წინასწარი აღმკვეთი ღონისძიებაც მოიპოვა. იმავე ამბროსიმა რაღა თქმა უნდა.

მიზეზს არ იკითხავ?.. –

უფლებამოსილების გადაჭარბებისათვისა.

ნურც ნურას გაიკვირვებ. გაზვიადებადაც ნუ ჩასთვლი ნურაფერსა.

სასამართლო სასამართლოა და სასამართლომ მაინც იცის კანონები. აბა ვიღამ იცის, იმანაც თუ არა!.. ან ასეც ითქმის: სხვა რაღა იცის, კანონებიც თუ არაო.

ყოველშემთხვევაში: პოლიციამ აიყვანა სასამართლო პროცესიდანა. ამბროსი. ცხადია. პროკურატურამ სარჩელი შეიტანა და განაჩენი გამოუტანა სასამართლომა. წესისა და რიგის მიხედვითა.

გრძელდებოდა ისევა სასამართლო პროცესი მკალავიშვილისა. ისევა და მღელვარებითა იმავეთი. პოლიციამ იქიდან აიყვანა. ამბროსი.

ამბროსი აიყვანა მაინცადამაინცა. სხვა არავინ არ აუყვანია. პოლიციასა. სხვებზე მეტად რო არცა ხმაურობდა ამბროსი. დაბნევითაც რო დაბნეულიყო სხვებზე მეტადა.

არ ებრძოდა პატრიარქი იეღოველობასა. სინოდი არ ებრძოდა. ამ მკალავიშვილს რა თავი გამოედო?!. განკვეთილსა ეკლესიიდანა. სდევნიდა რო ინსტიტუტიცა თავისუფლებისა. სდევნიდა ისე ულმობელადა – ლამის თვითონვე რო შეაგდეს იმავე კოცონში. თვითონვე. თვითონვე. მკალავიშვილი. თვითონვე რო გააჩაღა იეღოველთა ლიტერატურის დასაბუგავადა. რა უნდოდა?.. რაღა ძალა ადგა?!. მხარს რო არ უჭერდა არც არავინა – გლდანის მეტი – არც ერი. არც ბერი. არც მთავრობაი. არც არასამთავრობონი. ეკლესიაც ჰო არა და არა!.. გლდანიც გაფანტეს. ეკლესიაც მიუნგრიეს. ციხეშიც შეკეტეს. გამედგრდა უფრო: მე ვარ წამებული ახალი დროისა. მოციქულებრივი წამებულიო. ან დაუჯერებდი ან იტყოდი: შეიშალაო. შენ შენა ხარ. ამბროსი ამბროსია. ამბროსი დაიბნა: მკალავიშვილს შეაჩვენებენ. ხოლო კობა-

ხიძე მოსწონთ. არასამთავრობოებს ჰოოო და ჰოოო. განსაკუთრებითა. მთავრობასაცა. მთავრობასაცა. მოკრძალებულადა ვარდობამდისა. გაბედულადა ვარდობისასა. ახლა ჰო შეჰხარის!.. ვითომც ვერც ამჩნევს ეკლესიაი. ან ეგება რო ვერც ვერას ამჩნევს. მართლაცაო და ნამდვილადაცა. მაგრამ როდემდე?!. აკადემიაც რო აუჯანყეს!.. თავაანთი. თავისი. სასულიეროი. მეცნიერებათა აკადემიას ჰო თავისი სჭირდა. სჭირდა და სჭირდა და ისეთი რამა სჭირდა რო: გაასწრო თავხელიძემა. მოსკოვს შეაფარა თავი. გადავდექიო. იქიდან შემოთვალა. თავშეფარებულმა შემოთვალა. იმათ კრებასაც ესწრებოდა. ამბროსი. მიეტანა მეგაფონიცა. რაღას უცდით. დროს ნუ დაჰკარგავთ. მე გაგიძღვებითო. იმათ აქციები არ გადაუნყვეტიათ. აკადემიკოსებსა. არ შეგვეფერებაო. ესეც გაერიდა. რაღა თქმა უნდა. არ შეგეფერებათ და ნუ შეგეფერებათო. აგერა გლდანელები. აგერ განწირული მკალავიშვილი. სხვაც ბევრია მისახედიო. აეტანა ბედისწერასა. ამბროსი. ამბროსი. რაღა თქმა უნდა. აღარც რო აჯა აღარ ესმოდა სოფიოსი. აღარც მუდარაი. აღარც მუქარაი. თავს აღარ ვიცოცხლებ, შენ კიდევ ციხეში თუ ჩაგაყუდესო. არც თან მიჰყავდა, სადაც რო მიდიოდა: ესეც ომია. ომი არ არის ქალის საქმეო. რას იზამ – შერჩენოდა შეხედულებანი მოძველებული. იქ არ იბნეოდა. სიახლეებში თუ იბნეოდა. მიშველეთო. კობახიძე ივედრებოდა. მოკვლას მიპირებენ. დამინიშნეთ დაცვაიო. დაცვაიო – გაძლიერებული. მოკვლას მიპირებენო. იბნეოდა. კობახიძე არა. არა. რა დააბნევდა კობახიძესა. ამბროსი. რა თქმა უნდა. ვინ რას ერჩის ამ ყმაწვილსაო – ჟამი თუ დამდგარა რეფორმებისა და რეფორ-

მა თუ უნდა ეკლესიასაცა – ესეც მეტს რას ითხოვს. ეს ვიღაცაა. კობახიძეა თუ ზამბახიძეო. თუ არც შეიძლება რეფორმები ეკლესიისა. საყუდელი-სამღვთოისაი ამაქვეყნადა. მაშ რაღად უზით ეს ვიღაცაა – კობახიძეო თუ ზამბახიძეო – ტელეეკრანზე. რად არატრატებენ გამუდმებითა: რეფორმებიო და რეფორმებიო. კონტრაბანდაო და კორუფციაო. ეკლესიაშიო. რად არატრატებენ?!. ვარდობამდისაცა. ვარდობის მერეცა. რატომ დარხეულა ხმები – შეკითხვები აქვს პროკურატურასა. პატრიარქთანა!.. მალე დაიბარებენ პასუხისათვისაო. იქით შეკითხვები პატრიარქთანაო. მოლაშვილის დაკითხვისა არ იყოს. აქეთ მოკვლას მიპირებენო. ვინაო?! ვინაო?!. და დუმს კობახიძეი. კობახიძეა თუ ზამბახიძეი. ვინცაო. ვინცაო. ვერ ასახელებს. არ მოეშვებიან. არა და აღარა. გატყდება ისიცა. გაუტეხელი ქვაც ჰო არ არის. გატყდება ისიცა – შორენაიო. შორენა?!. მონოზანი ქალი!..

რა გასაკვირია?!.

ლენინსაც ჰო ქალმა ესროლა.

მონოზანი არ გახლდა. ესერი ბრძანდებოდა. მაგრამ ქალი ჰო იყო.

იყო და მერე როგორი იყო – ლენინს ესროლა!.. არც გაქცეულა. მე ვესროლეო. ისიც იმავე რეფორმებს გადაჰყვა. ლენინი. ცხადია. მსოფლიო რეფორმებსა. ეკლესიის რეფორმებსა. აჰყვა და გადაჰყვა. მაგრამ თურმე არც ასე ყოფილა. არც არავინ დასდევს ამასა. ამასა. ამასა. კობახიძეა თუ ზამბახიძეო. არც არა მონოზანი. არც არა ბერი. არც არა მღვდელი. დეკანოზი ჰო თვითონვე ბრძანებულა. არც არა ეპისკოპოსი. კათალიკოსი ჰო სულაც არაო. ეს თვი-

თონ აცხადებს თავსა მსხვერპლადა. საკუთარ თავ-
სა. კობახიძეა თუ ზამბახიძეო. იმსხვერპლოს როო –
პატრიარქიო. თვითონ დაბრძანდეს იმის ადგილასა.
აი რეფორმები მაშინ გენახა ეკლესიისა. მართლმა-
დიდებლობისა რწმენისა ქართულისა. ღმერთსაც
გაპარსავდა. კობახიძეა თუ ზამბახიძეო. ააგლეჯდა
პანაღიებსა. გააძრობდა ანაფორასა. ის არის. რაც
არის. ისა და ისა. არც რა ყოფილა აქამომდისა. არც
რა იქნება ამიერიდანა... ქართული. აღარც თუ იყო!..
შეიჭრა რო ეკლესიაში პოლიციაი. ახალ ეკლესიაში.
სამების ეკლესიაში. ისაა კურთხეულში. აიყვანა ხატ-
თან დაჩოქილი ადამიანი. ხატთანა. ხატთანა. ეკლე-
სიაში. ვითომ გარეთ არ გავიდოდა. ან გარეთ არ გახ-
ლდა!.. არა ბრძანდებოდნენ თვითონვეც იქა?!. დაა-
პატიმრეს ჰო ამშენებელიცა. კურთხევის დღეს დაა-
პატიმრეს. შეკითხვები გვაქვსო. პროკურატურამა.
ეახლა და დაიტოვეს. ამდენიო და ამდენიო. სულს
აქეთ არაფერი არ გამაჩნიაო. არ გაგაჩნია და როცა
გექნებაო. პროკურატურამა. ჩვენ მოთმინება არ
გვაკლიაო. არ მოუჭრიათ მკლავი. რაღა თქმა უნდა.
არც არავისთვისაც არ მოუჭრიათ. არა. არა. არავის-
თვისა. ვინ შეეხებოდა ეკლესიის ამშენებელსა?!. ვი-
ნა?!. ვინა?!. მეფეიო. სასაცილოა სასაცილოზე. მეფე
ჰო არ იყო რევოლუციონერი!.. არა. რა თქმა უნდა!..
რევოლუცია რევოლუციასაო. ამბროსიმა და მიუძ-
ღოდა გლდანელებსა. გამოუშვითო. მკალავიშვილი
გამოუშვითო. მიუძღოდა და გაიძახოდა. მეგაფონი
ჰო სათხოვარი აღარა ჰქონდა!.. პროცესზე ხმაუ-
რობდა სხვებზე ნაკლებადა. მეგაფონი იქ აღარა
სჭრიდა. სასამართლო პროცესზე ცხადია. მეგაფონი
თან აღარ დაჰქონდა. მაინც ის აიყვანეს. გალიისა.

მკალავიშვილი რო გამოჰყავდათ სასამართლოს გალიიდანა – ისიც იქ აიყვანეს. ზედ კარებთან აიყვანეს. შენ რაღადაო. მოასწრო რო მკალავიშვილმა. ამანაც მოასწრო. ამბროსიმა: მარტო შენი გულისთვის არაო. მეტი ვერ უთხრეს ერთიმეორესა. მალე განაშორეს. არ ითქმის: გაათრიეს აქეთიქითაო. არა. არ ითქმის. ნებით მიჰყვებოდნენ. ხალხიც წინ არ ეღობებოდა. ჩქარობდნენ მაინცა. პოლიცია რო ყოველთვისა ჩქარობს. დანაშაულის აღსრულების მერე. ხოლო დანაშაულსაც რო მივუსწროთო – ბრძანებდა პრეზიდენტი – ამისთვის შევქმენით ძლიერზეძლიერი საპატრულო პოლიციაო. ბრძანებდა და ტრაბახობდა. ამას პატრული აღარა სჭირდებოდა. ამბროსისა. არც დაკითხვით გაუჯანჯლებიათ. პოლიციაში. უცებ მოვრჩეთო. საპროცესო გარიგება გერჩივნოთო.

არაფერი არ გამაჩნია სულს იქითაო. ამბროსიმა. ბინა ჰოოო. ბინა კარგი მაქვს. კარგ ადგილასა. *პრესტიჟულსაო*. ინებეთო. ხმამაღლა. თავისთვის გულში: თავში იხალეთო.

არც შენი ბინა გვინდა. არც შენი სული. შენ ოღონდ ეს გვითხარი – ვინ გამარაგებთ ფულითა. როდის რას აპირებთ და ლიდერობას ვინ იჩემებსო. ამას გვეტყვი. გამოაცხადებ რუსთავ 2-ითა და წახვალ შინაო. თუ არაო და – გაგიჩხრეკთ იმ შენს სანაქებო ბინასა. ავტომატებსა და ნარკოტიკებს ამოვიღებთ. აგერ მოგიტანთ და წინ დაგილაგებთო.

არა მაქვს და რას ამოიღებთო. ზედმეტი იყო ამაზე ლაპარაკი. რა ფულსაო და რა ლიდერის დასახელებას მოითხოვთ ჩემგანაო. ამასაც ტყუილად აიხირებდა. პრეზიდენტმა ჰო ისიც გაამეღავნა უკვე:

ჩვენ ვიცით ვიღაცანი რო ფართიფურთობენ. რაღაც განუზრახავთ. ფულითაც რო ამარაგებენ. მაგრამ არ გამოუვათ არაფერი. ჩვენ ყველაფრისათვის მზადა ვართო. ძირშივე აღვუკვეთთ. ჩვენს წინსვლას ვერავინ ვერ შეაჩერებსო. დასძინა ჰო პარლამენტის თავმჯდომარემა. ქალბატონმა. რევოლუციები დამთავრდა საქართველოში. ახლა ის სხვაგან მოიკითხეთო. დარბაზიც წარმოუდგა სახიერადა. ამბროსისა. რაღა თქმა უნდა. გატენილი ბოლითა. სუნთქვა რო ჭირდა. და თითქოს მართლაც იგუდებაო, აღმოთქვა იმგვარადა. ძლივსძლივობითა.

„მე... მე... არაფერი არ ვიცი..."

„ახალი სოკრატე!.. არაფერი არ იცის!.. თუ: ის იცი რო არაფერი არ იცი?!."

„არა!.. თუ ვინმე ვიქნები უფრო არისტიპი ვიქნები – მე ისიც არ ვიცი, არაფერი რო არ ვიცი" ამბროსიმა. ამოისუნთქა რო თითქოსაო.

არ გაეგონა არისტიპი პროკურორსა. სოკრატე რო გაეგონა – ეგეც ეყოფოდა. ან გაეგონაო, რა სათქმელია. ფალოსოფიის კურსი მაინც ექნებოდა გავლილი თავისუფლების ინსტიტუტში. რაღა თქმა უნდა. აბა ისე ვინ დასვამდა პროკურორადა. ასე პირტიტველასა. ესეოდენ გაცნობიერებულსა სოკრატეს სიბრძნეში. თამამსაცა ესეოდენა – ჩხრეკის ბრძანება გასცა მაშინვე. არად ჩაუგდია სასამართლო თუ სჭირდებოდა.

XXV

სოფიოს დაატყდა თავსა ჩხრეკაცა და დავიდარაბაცა იმისი მომდევნოი. რაღა თქმა უნდა. ვარაზისათვის აღარ ეცალა. ქეთევანი აღარც ახსოვდა. არ მოისაკლისებდა აღარც ქეთევანი. რამდენს გაუელვებია ასევე ცხოვრებაში. იმისი. გაუელვებია და გამქრალა უკვალოდ. გამქრალიყო თუნდა ესეცა. თუნდაც ისევ გამოჩენილიყო. არც ხალხი აკლდა უიმისოდაცა. არცა საზრუნავი. ვერც მიმსვლელმომსვლელს ვერ აუდიოდა. აქაოდა ამერიკიდან დაბრუნებულაო. ვარაზსაც ჰო მიხედვა უნდოდა. ეს ადვილადაც გადაუწყვიტეს. მხოლოდ თანხმობა გახლდა საჭიროი. თანხმობაი პირადად იმისი. ქეთევანისაი. მეუღლეს იმისას რო აღარაფერიც აღარ გაეგებოდა. და განაცხადა კიდევაცა. თანხმობაი. რაღა თქმა უნდა. ქეთევანმა. სხვა არჩევანი რო აღარც გახლდა. სრულ გაცივებას აღარც რა აკლდა. ვარაზისაი. რაღა თქმა უნდა. გაცივება უნდა შეეჩერებინათ. გაბედულად რო ლაპარაკობდნენ კლონირების წარმატებაზე –ელექტროობისა და ლაზერის ეპოქაში. ატომის ეპოქაში – დრო იყო ესეც მოხერხებულიყო. ეზრუნათ კიდევაცა: კლინიკაც შეექმნათ სათანადოი ამერიკაში გაწვრთნილ ქართველ მედიკოსებსა. აქვე. აქვე. თბილისში. ცხადია. სარკოფაგებიცა სათანადოი. ეზრუნათ და მზად გახლდნენ. მზად გახლდნენ და სულზე მიუსწრეს ვარაზსაო – როგორც რო ითქვა – სულზე მიუსწრეს. რაც მართალია მართალიაო. ჩაასვენეს სარკოფაგში და ამოისუნთქა ქეთევანმა. ვარაზი ჩაასვენეს და ქე-

თევანმა ამოისუნთქა. შვებითა. მართლაც რო შვებითა. სხვაგან რო ეგებ მეტაფორაც იყოს გამოთქმაი ესე, აქ სიცხადეა: შვებაა სრული და ასედაც მიიღე.

თუმცა ცხოვრება არას დაგაცდის. სასიკეთოს არას დაგაცდის, შვებაი ესე გამოდგა მაინცა იმ ზომისაი: დინჯად რო მიეღო შეჭირვებული მახლობლები. ქეთევანსა. წყნარად განესაჯა ვაივაგლახი თავისი ქალაქისა. გაეღო რაც შეეძლო. სიტყვა არავისთვის არ დაემადლებინა.

გაცემით რას გასცემდა განა იმდენსა – რა ჩამოჰყვებოდა განა იმდენი სადღაც გადახვეწილი შვილებისაგანა!..

მაინც გარს ეხვივნენ. თავი მოებეზრებინათ ჰო ერთმანეთისათვისა – თავსაბეზრებდნენ ახლა ამასა.

ოღონდ არ ეგრძნოთ რო ბეზრდებოდა. ოღონდ არ ეგრძნოთ – ამასღა ლამობდა ქეთევანი. არადა რა შეეძლო. რა ეღონა ან რა ერჩია ვინმესთვისა?!. ჩიოდა ერთი ბიძაშვილი. იმისი. ღვიძლი ბიძაშვილი. სკოლის ნადირექტორალი. ჩიოდა. მოსთქვამდა. ცრემლად იღვრებოდა: სამსახურიდან დამითხოვეს უდანაშაულო ადამიანი. დათხოვნაცაა და დათხოვნაცაო – შემარცხვინეს. თავი მომჭრეს საქვეყნოდაო. ცრემლს ჰო ვერ იკავებდა. ვერა და ვერა. ამოესკვნებოდა გული. ხან გამეხდებოდა. იტყოდი: ველარაფერი ველარ დააკავებსო. მერე ისევ გულსასკდებოდა. წავიდოდა და მობრუნდებოდა. თავიდან დაიწყებდა ერთხელ მონაყოლსა. უფრო იმღვრეოდა. იფუტკნებოდა უფრო. რა დავაშავეო. ვინმემ ამიხსნას რა დავაშავეო. სხვა ყველაფერი მიპატიებია. ოღონდ ეს ამიხსნას ვინმემაო. ავდექი და მინისტრსა ვკითხეო. ვკითხე. ვკითხე. მეტი არაფერიო –

„ასე რად ამბობთ: გამოცდები *უნარებში*?!. უნარს ჰო ქართულში მრავლობითი არ გააჩნია-მეთქი. მრავლობითი ჰო ცოტა თავისებურია ქართულ გრამატიკაში – ამერიკელი რო იტყვის: „შარვლები მაცვიაო". ერთი შარვალი აცვია სინამდვილეში. მაგრამ შარვლებს იტყვის – ორი ტოტი აქვს რახან რო შარვალსამეთქი. ქართველი იტყვის: შარვალი მაცვია. ჰქონდეს ორი. ათი ტოტი ჰქონდეს თუნდაცა. ცხრაფეხასაც რო შარვალი ჩააცვა, არ იტყვი, შარვლები ჩავაცვიო. ცხრა ტოტი ცხრა ტოტია. შარვალი ერთიამეთქი. არაფერი მეტი. ეს იყო და ესა. ღვთის წინაშე, არც იმას უთქვამს არაფერი. როგორღაც გაიღმიჭა. გაგრიხა ტუჩები. ერთი შემომხედა. აბზიკა ცხვირი და სადღაც გაიშვირა. დილით კაბინეტი დამხვდა აჭედილი!.. სკოლაში!.. სკოლაში!.. რაღა თქმა უნდა. იქვე ჟურნალისტები. გამზადებულნი. გადამღები და ჩამწერი აპარატებითა. ჩემს გაოცებას საზღვარი არა აქვს!.. შენი საზღვრები ვის ეკითხება. გარსმეხვევიან პედაგოგები. მშობლები. ბავშვები. უკვირთ. ჰღელავენ. ლაპარაკობენ. ხმაურობენ. გარბიან. გამორბიან. ან თუ რა იღონონ. ანთუ შეიტყონ: რა ხდება ჩვენს თავსა. არც დაახანებენ: გვაუწყებენ ტელეარხები: თურმე – ეს მე – მშობლებმა ამიჭედეს კარი და გამომაძევეს სკოლიდანა. თვალსაჩინო სურათებიც ახლავს. რა თქმა უნდა. არის ჩოჩქოლი. ხმაური. შეხლაშემოხლა. ეგება ჩვენცა ვართ. ეგება საიდანღაც ჩაუმატებიათ!.. რა გაუკვირდებათ?!. რას არ იკადრებენ?!."

„ეს როგორ შეიძლება?!." მერამდენედ უკვირს ქეთევანსა. „არ გაასაჩივრე!.. არ მოსთხოვე პასუხი?!."

„სადა?!. ვისა?!. ან სასაჩივრო ვის სად ეგულება ან მოპასუხე ვინ სად არის?!. აქეთ ცარიელი ფურცელი დამიდეს. იქით სახლების სურათები. ან განცხადებას დაწერ და წახვალო. ანაოდა – კორუფციაში გედება ბრალი. აგერ ეს შენი სახლებიაო. სურათებზე დამიდეს ხელი...“

„რა კორუფციაო. რა სახლებიო...“ ჰო გაიგო. ისევ იკითხავდა. რაღაც ამასაც ჰო უნდა ეთქვა. ქეთევანსა. ცხადია.

„შენ ამ რევოლუციას არ შესწრებიხარ. გიკვირს. ცხადია. ეს ის სახლებია – ხეცურიანსაც რო გამოუტანეს. უფრო ადრე მეტრეველსა. ქარქაშაძესა. კიდევ ვის აღარა. მამალაძიდან მოკიდებული... გამოგიფენენ ტელეარხები. აგიმხედრებენ ხალხსა ერთობლივა. შენ მიდექი და ამტვრიე კაკალი... ბევრიც ამტვრია ხეცურიანმა. რა გაიტანა?.. გაიმართლა თავი თუ კოლეჯი გადაარჩინა თუ ბავშვები დაიხსნა საშიმშილოდ რო ისხდნენ?!.“

ვერა. ცხადია. ესეც მოესმინა. კიდევაც ისმენდა. ბაირამობა დამდგარიყო. ბაირამობდა ერეკლეს ბორჩალო. მჟავანაძის მარნეული. ბაირამობა ერჩივნა პრეზიდენტსა ახალსა. ცხადია. ძველი უკვე შევარდნაძეა. მორჩა და გათავდა. უყვარდეს არ უყვარდეს. ვიღასი რაღა საკითხავია. პრეზიდენტს უყვარდა და ეწვია კიდევაცა. მარნეულს ეწვია დილაადრიანა. თვითონ დააგდო თოხლი. დანაი ყელში სხვამ გაუყარა. ოღონდ ჯიგარი ამოართვა ამანა. პრეზიდენტმა. ჩაჰყარეს იქვე სამფეხაზე დაკიდულ ქვაბში. წამოაფრქვიეს იქვე ხონჩაზე. და ეს ყველაფერი. მინისტრებმა. რაღა თქმა უნდა. თან ახლდნენ. უკადრისობდნენ არც რო არაფერსა. ხალხში გასუ-

ლიყვნენ. ხალხის რჩეულნი. ყველა ხალხისა. ყველა რელიგიისა. ყველა რო სწამდათ: ხალხიცა და რელიგიაცა. სწამდათ ისე მეტისმეტადა – დავიწყებოდათ საკუთარი სარწმუნოებაი. ბაირამობდნენ. ბაირამობდნენ. აქ იწვნენ ბავშვები. სამედიცინო კოლეჯის სტუდენტები. სტუდენტები III კურსისა. გაუუქმეს რო სამივე კურსი და მოითხოვდნენ – ახლად ჩაებარებინათ მისაღები გამოცდები. საერთო ეროვნულიო. და ცხადია *უნარებიც* უნდა ჩაებარებინათ. ეს უნარები მაინც ვინმემ გაგვაგებინოსო. ივედრებოდა ახალგაზრდობაი. მოტყუებული.

ივედროს...

ხელისუფლება ბაირამობდა ბორჩალოში.

ინვალიდებიც ივედრებოდნენ. ჯერ ამოიჭედნენ შესასვლელ-გასასვლელში პარლამენტისა. მერე შემოერტყნენ კანცელარიასა. ჯოხებითა. ყავარჯნებითა. საგორავებითა. მერე დაწვნენ სამინისტროში იუსტიციისა. რა უყოო ჩვენი კუთვნილი ფული კემულარიამაო. გაგვაგებინეთო. ან ვინ რა გააგებინა ან დიდი უკაცრავად პასუხია!.. ვის რა ფეხები მოსჭამეს. კემულარიასაც რო ვერ შეურხიეს წარბი.

ატყდა აურზაური საგურამოს ბატალიონში. ახალი მინისტრიც რო გამოტყდა. თავდაცვისაი. ახლა უარესი ვითარებაა ჯარში, ვიდრე შევარდნაძის დროსაო. რა ვითარებაო – შეიცხადა ხელისუფლებამა. დიდი საქმე თუ არ აცვიათ. არ ახურავთ. საჭმელი არ უვარგათ. უფროსები თუ უდიერად ექცევიანო. ჯარი საბავშვო ბაღი არ არის. ჯარი. ჯარი ბრძოლისათვის სამზადისიაო. ქარში. ავდარში. კლდეში და ღრეში. ძიძებს თან ვინ გააყოლებთო. ხოლო მართლა თუ რა ვითარებააო: მოდით დედებო და შეიხედეთო

წვრთნისა და აღჭურვის ყაზარმებშიო. შეიხედეთო და შეახედეს. ჩამოატარეს ყველა ტელეარხი. მთლად ქვეყანამ შეიხედოსო. გაიხარე სულო და გულოო. გაიხარეო და გაიხარა. მინისტრიც დარწმუნდა რო შემცდარიყო. ის არა ბრძანდებოდა მინისტრი მხოლოდ ბედის ანაბარად მიგდებული წვევამდელებისა. იმათიცა ყოფილიყო – წვრთნისა და აღჭურვის სანიმუშო ბატალიონებისაცა. ოღონდ იქ – გასტუმრება ეკისრებოდა იმათი ერაყსა. გასტუმრებაი და მიღებაი დაბრუნებულთა. დროშები. დროშები. ჰიმნი. ტაში და ვაშა. მეტი რა ენება?!. და დაადასტურა ისტორიული სიტყვები პრეზიდენტისა: „ჯარი არ არის საბავშვო ბაღი!..“ არ არის და ვინ აუხირდება.

ბაირამობდა ხელისუფლებაი. ბაირამობდა.

პარლამენტი ბაირამობდა.

ამასაც იმას შესჩივოდნენ. ქეთევანსა. თითქოს ამისი კითხულიც იყო. თითქოს ეს თავის დარდს არ წაეღო. ქეთევანი.

ბაირამობდა პარლამენტი. გრიალით გადიოდა ყველა კანონი. ერთს წაიკნავლებდა ოპოზიციაი. ერთსა. უმწეოდა. კანონი უკვე ხარხარებდა. აბუჩად იგდებდა უმწეობასა. სწორედაც რო უმწეობასა. ცხოვრება ძლიერთა უპრიანიაო. მართვა ძლიერთა წილხვედრი გახლავს. რას ემდუროდა კონგრესიო თუ ევროკავშირიო – ალაფურშეტით არ დაგვირგვინდა განათლების რეფორმის დამტკიცებაი?!. რა ვუყოთ თუ ყველა წინააღმდეგი გახლდა: დიდი თუ პატარაი. დიდად განათლებული თუ მცირე მცოდნეი. ლიბერალებიო თუ კონსერვატორები. რევოლუციონერებიო თუ რეაქციონერები. ნურაფრისა გეფიქრებათო. ამშვიდებდა პარლამენტი. წინასწარავე. რეფორმატო-

რებსა. კირკიტაძებურჯანაძებოკერიას პარლამენ-
ტი. თქვენ ოღონდ ჩვენამდე მოიტანეთო. ოღონდაო.
ოღონდაო. მერე თქვენ დარბაზში მოიცადეთ და
ალაფურშეტს დაელოდეთო. ასე არ აჰხდა?.. ვინ რა-
ღას ემდურება?!. ამასაც ქეთევანს რო ეკითხებოდ-
ნენ. ერთმანეთსაც ეკითხებოდნენ. წუხდნენ. წუხ-
დნენ. ჩვენი აღარაფერი აღარ შეგვარჩინეს. მეტი
რაღა გარდაქმნები უნდათ. კიდევ რა რეფორმებს
მოითხოვენო. ეკლესიის რეფორმა რო დაყოვნებუ-
ლიყო?!. დაყოვნებულიყო!.. არადა ერთხელ ეპირე-
ბოდნენ. ერთადა. ერთბაშადა. ბათუმისა და ცხინვა-
ლისა არ იყოს – განათლებისა და ეკლესიის რეფორ-
მასაცა. ეტყობა ჭკვიანური რჩევა დაიჯერეს. სად-
ღაცა კიდევ იყო ჭკვიანი მრჩეველიცა: პარლამენტს
რო არ ეკითხებოდა არაფერი ეკლესიასთანა. რო ვერ
დაამტკიცებდა რეფორმებსა კობახიძისა. თუნდაც
რო თავისუფლების ინსტიტუტი უმაგრებდა ზურ-
გსა. ზურგსაც უმაგრებდა. მხარშიც უდგა. ანთუ
თვითონვე თვითონვე უდგენდა ახალ საეკლესიო
ცხოვრების კანონებსა. ოღონდ ეს წინ წამოეწია კო-
ბახიძეი. – ტელევარსკვლავადა – ეკლესიური წმინ-
დანი როგორც როო. *ეროვნული. ეროვნული* მისაღე-
ბი გამოცდებისა არ იყოს. *უნარებით* წამოეწია. წა-
მოეწიათ და მიეყუჩებინათ. ჯერ ესაო. საპარლამენ-
ტოო. განათლების რეფორმაო. მართლმადიდებლო-
ბა ჯერ აქედან ამოეგდოთ. სასკოლო პროგრამები-
დანა. არც ეს დაეგდოთ უყურადღებოდა. არც რო
ისე გაიყეყეჩებდნენ თავსა. ვითომაო. ცხადია. არა.
რა თქმა უნდა. ამოეგდოთ და ამოეგდოთ წმინდათა
ცხოვრებაი ანუ ლიტერატურაი ძველი. ილიას დრო-
ისაცა. საბჭოურსაც რო მიაყოლებდნენ, დაიწყებო-

და ახალი ერაი ლიტერატურაშიცა. ხელოვნებაშიცა. ესაოდა გომელაურიო. ესაოდა ტურაშვილიო. ესაოდა სარდაფის თეატრიო. ესაოდა – ის ვიღაა მამარდაშვილის ძეგლი რო დადგა რუსთაველზედა!.. – აი ქანდაკება!!!. ჰა???!!! არა?!!!. ბერძენიშვილის ქეთევან დედოფლისა არ იყოს!!! – ვინც უნდა იყოს... დაწყებულიყო სრული განახლება ვარდობამდისა. თავისუფლების ინსტიტუტის მეშვეობითა. სხვათა და სხვათა მეშვეობითაცა. არასამთავრობონი რო ეწოდება. ჩვენა ვწერთ ახალ ისტორიასაო – რო ბრძანებს პრეზიდენტი: ეს ვარდობითა და ვარდობის მერე. პოეზიამ ადრევე იფეთქა. პროზამაცა. თეატრმაცა. რაღა თქმა უნდა. სარდაფის თეატრიო და ვარდობაო. იქ დადიოდნენ მომავალი მოვარდეები. სარდაფის თეატრში. გიგამ ჰო სახურავის თეატრი შეჰქმნა. დაუპირისპირდა ვითომაო. რა გამოუვიდათ?!. არც რო არაფერი. ვერ გადაარჩინეს შევარდნაძეი. ვერაო. ვერა. იმას რაღა გადაარჩენდა – ძველ სკამს რო მიუბრუნდა და გაუვარდა ახალიცა ქვეშიდანაო. დასჭირდებოდათ წამებულნიცა დამწერებსა ამა ახალი ისტორიისა!.. დასჭირებოდათ – აბო რას არგოდათ. ანთუ ევსტათიო – აგერა ლომაია. აგერა ბენდუქიძე. აგერა კობახიძე. ეს როა მაინცა – კობახიძეო – მოკვლას უპირებს თურმე შორენაი!.. ჯერ მოკლას მაინცა. მერე იტრაბახოს. არადა მართალი თუ ვინმესა ნებავს: ხმა რო დავარდა – პატრიარქის მოშორებას აპირებენო. იქ ესეც ერია. ეს ტელევარსკვლავი. არა რო ხმებში. ჩამომშორებლებში. მიყუჩდა. მიყუჩდა. ვითომ არცა თქმულა. არც გაგონილა. არც რო მომხდარა. არც მოხდებაო. მიჩუმდა. მიინაბა. ვიდრე იფეთქებდეს ახალი ძალითა. მოურეველი-

თა. უკვე. გადამწყვეტითა. იელოვა მოითხოვს. იეზუ-იტობა ეწევა კერძსა თავისასა. რომელი დასთმობს – თუ მორიგდებიან. ჰე ბურთი და ჰე მოედანი!.. ინაღ-ვლე ქართველო – დედაო ქართვლისა!..

ბევრ რამეს უნდა შესწრებოდა. ყველაფერი ეს კარგად რო გაეგო. ქეთევანსა. რაღა თქმა უნდა. არც რო არაფერს არ შესწრებოდა. არც დალაგებით რო არა ჰყვებოდნენ. არც რო არ აცდიდნენ ერთიმეორე-სა. ყურადღებაც არა ჰყოფნიდა. რაც რო იცოდა და კარგადაც იცოდა, ჩაეჭიდებოდა ისევ იმასა. ისევ ჰა-ბოსა!.. ცხადია. ცხადია!.. ვარაზიც ხშირად მოიხსე-ნიებდა. ლაპარაკობდა რო მეტეხის კალთებზე. სინა-ნულით რო ლაპარაკობდა. იქვე გაიწირა ჰაბოს ნიში-ცა. იქვე იყო და გაინირებოდა იქვე. ცხადია. იქვე. იქ-ვე. მეტეხის ძველი ხიდის ყურეში. ხიდი იგი დაბლა გაედოთ. მტკვარი ქვეშ უვლიდა. რაღა თქმა უნდა. ხან რო ზევიდანაც გადაუვლიდა ხოლმე. ხანა. ხანა. წყალდიდობისასა. უჭირდა მაშინ ძირის სართულებ-სა. ნიშსაც უჭირდა. ღმუოდა მტკვარი. დავიწროებუ-ლი მეტეხის კლდესთანა. ზევით იწევდა. ხიდს ჰოოო და ჰოოო. სართულებსაც ეტოტებოდა. მძივივით ას-ხმულსა მეტეხის ქანობზედა. სართულები ეგრე აე-გოთ – ბანი ქვედასი, ზედას ქუჩად რო გამომდგარი-ყო. ვიწრო ქუჩადა. ქუჩაბანდადა. ოღონდაო. რაღა თქმა უნდა. მერე და რაო: გაეტევოდნენ მენახშირეე-ბი. მემანვნეებიც გაეტევოდნენ. კინტოებიცა თაბა-ხითა. თაბახი უწევდა აივანსა. ზედ გულთან უწევდა კეკლუც დიასახლისსა. დახრაც არ უნდოდა. აირჩევ-და ხილსა ნუგბარსა. შუშა კიტრსა. ქორფა მწვანილ-სა. ტოკავდა თაბახი. ელამუნებოდა თაბახის პირი. გულსა!.. გულსა. რაღა თქმა უნდა. „გააჩერე თავი.

შე არ გასაშვებო!.." გაწყრებოდა დიასახლისი. „ჩერდება რო?!." იღრიჯებოდა კინტოი ქვევიდანა. მემაწვნე გაჰყვიროდა თავისასა. მენახშირე თავისასა. ხიდის ყურეში ჰაბოს სული დავანებულიყო. მაჰმადიანი წამებულისა. მართლმადიდებლობისათვის წამებულისა. აღარც ნიშატი იმისიო. აღარცა კინტო. აღარც ყარაჩოღელი. აღარც ნახშირი. მაწონიც აღარა. აღარც მერცხლები აივნებზე მეტეხის ქანობისა. აივნებიც ჰო აღარა და აღარა. კიდევ კარგი რო ტაძარი შერჩა. მერე გადმოდგა გორგასალიცა. გადასცქერია აბანოთუბანსა.

ჰო

ჰაბოო –

ჰაბოს ნიშიო!..

ხიდი აამაღლეს ჟამსა ბერიასი. აქეთ მეჩეთი მოიყოლა ქვეშა. იქით ჰაბოს ნიში. მეჩეთსაც გადაუარეს. ნიშსაცა ჰაბოსი. ის მეჩეთი აღარავის ახსოვს. სხვა დგას კალთებზე ნარიყალასი. პირისპირა მეტეხის ტაძრის. ტრაბახობენ ახლაცა იმითი: ერთ უბანში გვიდგას სიონი. მეჩეთი და სინაგოგაო. იაღოველებიც დაივანებენ მალე თავაანთ საკუთარ საყუდელთაო. ახარეს კოლინ პაუელსა. ჯერკიდევ კოლინსა. კონდოლინას მერე. კოლინმაც ჩაუთვალა წარმატებადა რეფორმებისა. კონდოლინამაცა. ალბათა. პატრიარქი ჰაბოს მიუბრუნდა. ხიდის ყურეშივე აღადგენს ნიშსა. ნიშსა ჰაბოსი. უჩვეულო წამებულის ნიშსა. მაჰმადი რო დასთმო ქრისტეს გულისათვისა. უჩვეულოსი. რაღა თქმა უნდა. პირიქით ჰო ხდებოდა და ჰხდებოდა. გაბმითა და გაუთავებლადა. ანთუ სხვა რაო, რაი ყოფილა ბედი ქართვლისაი თუ არა მარადის გადარჯულებაი!.. ეს ერთია რო გად-

მორჯულებულა – წმიდა ჰაბოი!.. და ნამებულა. განათლების რეფორმამაც ეს ამოაგდო. მეტეხის ქანობის გაწმენდამაცა. პატრიარქს ახლა ესღა დარჩენია: ეს იხსნას. ამასღა ჩაეჭიდოს. აქ ანდაზას ნუ გაიხსენებ. ხავსიო და რაღაც ასეთიო. ვინ უწყის კიდევ რას რა მოჰყვება. სამების აშენება არც არად ჩაუგდეს. პატრიარქსა. ეს ტაძარიო. დიადი მოვლენა საუკუნისაო. ბრძანა ჰო პრეზიდენტმა. ბავშვმა რო შესწირა 15 თეთრი – იმ ფულით აიგოო. მაშ ანდრიაძეს რაღას ერჩიან. ციხეში რატომ ჩაუყუდებიათ. რას ეგულებიან. რა საპროცესო გარიგებას მოითხოვენ იმისგანაო. ყველა კითხულობს და არავინ არ მიუგებს არაფერსა. ანთუ პასუხი ყველასთვის ნათელია. ანთუ არც არის არაფერი ნათელი – შესჩერებიან თითქოს ქეთევანსა. შენ გეცოდინება. გაგვაგებინეო.

ხელისუფლება ბაირამობდა.

გატვრენილიყო პენსიონერატი.

ხელისუფლება ბაირამობდა.

ანთუ რა ხმა ამოეღებოდა. პენსიონერატსა. რაღა თქმა უნდა. დაჰპირდნენ რო: მოვალთ თუ არაო გაგიორმაგებთ პენსიასაო!.. არ გაუორმაგეს?!. გაუორმაგეს რაღა თქმა უნდა. მაშინვე. მყისვე. აი ამოვართვით შევარდნაძეს რაც ჩაეჯიბა. კლანსა შევარდნაძისასა. გაგიორმაგეთო. 14 ჰქონდათ. ლარი. 28 გადაუხადეს. რა ვუყოთ თუ ხორცი კილოგრამი 7 ლარი ჰღირდა. ყველი არც ნაკლები. პურმა ჰო მაინც არ აიწია!.. აქაც თუ რა ვუყოთ. და მართლაც რო რა ვუყოთ – წონაში თუ დაიკლო პურმა. ეს პურის ბრალია და მეპურისაი. და დღეში ასჯერაც წაუბოლებს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარესა: „ნინი!.. ნნინიჩკა!.. დავიჭირო მამაშენი. რას იტყვი. დავიჭი-

რო?!." იქით შეიძლება რო ქმარიც დაუჭიროს – რომელ საზღვრებზეა დიდი წესრიგი. მერე რაღაო. რაღა ფასი აქვს ან ამისსა თავმჯდომარეობასა. აქვე პარლამენტში. ან გამოსვლებსა ამისასავე. რაღა თქმა უნდა. ასამბლეაზე ევროსაბჭოში თუ სადაც თუ იქნება?.. და იბუზება. ისუსება. ნინკა. ნინიჩკაი. ტანში სძრავს და ტანში ჰზარავს. ის რო აღარ არის: დილაღამიან. ოქტომბრის სუსხში. პირისპირ რო უდგა კაფანდარა ქალი. გამოუძინებელი თუ სულმთლად უძინარი. პრეზიდენტსა. მაშინდელსა. შევარდნაძესა ანუ. და აბღავლებდა ხალხსა – გადადექი და გადადექიო. შევარდნაძეო. რაღა თქმა უნდა. ის ჰო აღარ არის ან ეს რაღაა, ანთუ რა იყო, ანთუ რა არის?.. „ნინი... ნნინიჩკა... დავიჭირო თუ არა?.. დავიჭირო თუ არა?!." ორივე მაინც არა. არა რა!!.. მაშინ რომელი?.. სიძე-სიმამრი მთას ნადირობდნენ – გაგახსენდება?.. ესროლა სიძემ. მოჰკლა ირემი. სტყორცნა სიმამრმა. მოჰკლა სასიძო. შენ ეგება რო!.. მაგრამ ვიღას გაახსენდება – განათლების რეფორმა რო აღარ ინებებს... ეროვნული!.. ხალხის შემოქმედებას აღარ ინებებს. წარსულს აღარა. წესჩვეულებებსაც არა და აღარა. აღარა. აღარა. თოვლის პაპასაც არა და აღარა. – ვიღაც ბებერი ბანჯგვლიანი ნაბდითა და თეთრი ჩაბალახითა. ჭრელი ხურჯინითა. ცალთვალში რო ზღაპრები უწყვია. მეორეში – ნუგბარნუგბარი. ბავშვებს ზღაპრები რო ურჩევნიანთ. ჯერ ზღაპრებიო. ეხვეწებიან. და ცვივა ზღაპრები. ამბავი გმირობისა. გმირებისა. მოხერხებული ნაცარქექიებისაცა. დევებისა და ნაცარქექიებისა. წიქარასი და ობოლი გოგოსი. ცვივა და ცვივა. გადმოდის და გადმოდის ჭრელი ხურჯინის ცალი თვალიდანა. მეორე გადახსნილა. რა

გოზინაყიო. რა ლელვის ჩირიო. რა ფალუსტაკიო. რა ჩურჩხელებიო. რა ტკბილიკვერიო. რა ნაზუქებიო. ქადებიო. და ხაჭაპურებიო. ხილი ნუგბარი. ჩირი ნაირგვარი. ფშატი მოხალული. ითვლი შენცა რა – ვითომ ჩამოსთვლი!.. არ გინდა. რაღად გინდა. რის თოვლის პაპაო თუ ბაბუაო. რომელი შენი პაპა-ბაბუაო!.. ჩაბერებულიო. ჩახავსებულიო. აგერა უცქვიტესი სანტაკლაუსები. წითელი. ღაჟღაჟა. მწითური. ზიზილა სანტაკლაუსები. უმარდესნი. უჩაუქესნი. რო მოსდებიან ქვეყნიერებასა. ხმაურითა. გნიასითა. ჭყვირილითა. ზარითა. ზათქითა. ზარზეიმითა. მიიღეთ. ინებეთ. აჰყევით. აცეკვდით. გადადით მალაყსა. იტრიალეთ და იპრონწიალეთ. იტინგიცეთ. იტინგიცეთ. როგორც რო თვითონა. როგორც რო ყველანი. ერთიანადა. და ერთობლივადა. გეცოტავებათ?.. თბილისსაც არა ჰყოფნის?.. მომზადება უნდათ. ჩულიანი ბერიკაცები ჰო არ გახლავან ესენიცა!.. ჩულიანი პაპაბაბუები!.. მომზადება უნდათ. მოამზადებენ. მრავლადა და მრავლადა. რის სამედიცინო კოლეჯებიო. რომელი იუნკერთა სკოლაო. იმასაც დაჰხურავენ. იმასაცა. გავიდნენ და გაიარონ საერთო ეროვნული გამოცდები. ამათ არ უნდათ ეროვნული გამოცდები. ეროვნული არც არაფერი არ უნდათ – სანტაკლაუსებსა. კურსებს გაივლიან სახელდახელოსა და მოედებიან სვანეთსაცა. ხევსურეთსაცა. თელავიო თუ ფოთიო – რაღა საკითხავია. ეგაა რო ხევსურეთში არ დარჩენილა აღარავინა. სვანეთშიც ვინ უწყის დახვდებათ ვინმე, კურსები თუ არ დააჩქარეს!.. დააჩქარებენ. ჩქარობენ და დააჩქარებენ.

მთავრობა მთავრობდა. არც რა უჭირდა. არც არაფერს გაიჭირვებდა.

ყურმოჭრილი პარლამენტი.

მორჩილი სასამართლო.

მასმედიაო – მაამებელი. მეოთხე ხელისუფლებაო. ისემც დაურჩება თავი!.. მიუთითებდა რო კონგრესი. აშშ-სი. ევროკავშირი არ მიუთითებდა. ყურადვიღებო. გამოვასწორებთო. მა,რისთვისა ვართ. მაგისთვისა ვართო. ცოტა ესაა: პარლამენტი წაიდუდღუნებდა: მთავრობას მეტი ხელფასი აქვს. ათასობით მეტი. ჩვენი ათასები ნაკლებიაო. ჩვენი რა გშურთო – სოროსის ფულიო. მთავრობამა. თქვენ თქვენსას ეცადეთ ან განა არა ცდილობთ – აგერა მრეწველები. ინვესტორები აგერა. აგერა დიდი სავაჭრონი – ჰო იყიდება ქვეყანაი ერთიანადა. თქვენ იცითო და მარიფათმა თქვენმაო. იცოდნენ და ანგრე!.. ბაირამობდა ხელისუფლებაი. ამას არ უნდოდა განმარტებანი. არცა ქეთევანისაი. რაღა თქმა უნდა. აღარც ერთმანეთს არ ეკითხებოდნენ. მხოლოდ მოსთქვამდნენ. ჩიოდნენ. წუხდნენ. დავიწყებოდათ ლამის ვარაზიცა. საკუთარი ჭირვარამიცა. ხელისუფლება ბაირამობდა. არც ეს ივარგებდა – მხოლოდ თვითონ რო ბაირამობდა. ხალხიც ჰო უნდა აჰყოლოდა!.. რაღა თქმა უნდა!.. რაღა თქმა უნდა!.. და აი – აი: ლაზერშოუო. აი ია. აი თხა. თხამ ვენახი შეჭამა. აი ლაზერი – აი შოუ. აი სექსი. აი კომპლექსი. აი თხა. თხამ ლაზერი შეჭამა. არაო – მურმან ქალაქისამან: „მორჩა თხის პარპაში ლაზერის ეპოქაში. – ლაზერმა თხა შეჭამა!.. მორჩა!!!." მორჩაო. საკრებულომა. ლეიბორისტები წინააღმდეგ წავიდნენ. ლეიბორისტები უმცირესობაში მოხვდნენ. ჩაიცინა ულვაშებში. მერმა, კატასავითა. ემგვანებოდა სიცილითა. ზედმოჭრილი გამოდიოდა. ახელებდა რო

ლეიბორისტებსა. ემგვანებოდა და ემგვანებოდა. უფრო. პატივი გვერგოო. მერმა. ცხადია. ჩვენ მე-5ედ ვუჩვენებთ. მსოფლიოში. ლაზერშოუსაო. *ჩემი პრეზიდენტის იმიჯის* გამოო. „5 ჰო მაგიური რიცხვია *ჩემი* პრეზიდენტისა!!!!!...“ ყველა არჩევნებში 5-ით გაიმარჯვა. 5-ით შემოიარა ყველა უნივერსიტეტი. ვარდების რევოლუციაც 5-ზე ჩააბარა. როგორ გავუშვებდით 5-სა ხელიდანო ანუ 5-ობასაო. პირველად უჩვენებიათ გერმანიაში. ლაზერშოუო. რაღა თქმა უნდა. გადაურევიათ გერმანიაო. მეორედ ჰო ამერიკაშიო. გადაურევია ისიცაო. ჰავაის კუნძულებზე მესამედაო. ემირატებში – მეოთხედაო. გადაურევია და გადაურევიაო. აქ მაინც არავინ არ გადაურევია. თბილის-ქალაქში. არა. არავინა. თვით მერიც – არა!.. მოლოდინი იცოცხლე დიდი იყო: აი და მოდის. საოცრება მოდის. განახლებული. გაუმჯობესებული. მერე ისეთი რო ველარც იქნებაო. არავინ გამორჩეთ. ბედნიერებამ არ ჩაგიაროთ. აგერ აქ დაჰხვდით. მოედანზედა. მერიისაო. რევოლუციაც აქ დაიბადა. ვარდებისაო. აქ მოგევლინებათ ეს დიდი შოუცაო. შოუ. შოუ. შოუ. შოუო. ლაზერშოუ!.. ლაზერშოუ!.. ლაზერშოუ!.. გაზეთებიო თუ რადიოო თუ ტელევიზიაო შეჯიბრდნენ ისე, სხვა დროსაც რო შეჯიბრებულან. ვერც უჯობნიათ ერთმანეთისათვისა. გამარჯვება სამივეს მოუპოვებია. შინ ვიღა დარჩებოდა. ან მიწას ვიღა დაადგამდა თვალსა. ცას მისშტერებოდნენ. ჭყვიროდნენ. უხაროდათ. ოღონდ ეს არის: ვერ გაარჩიეს. გამოეპარათ სწორედაც რო ლაზერშოუი. ეს ბედოვლათი თბილისელები – რაღა სწორედაც ის გამოეპარათ!.. უჩვეულო სანახაობაო. ეს უახლესი საოცრებაო.

შვიდი საოცრების მერე. ასე ძვირი რო დაუჯდა ქალაქის მერიასა. ასეო და ასეო. წუთი ამდენადა ღირსო და რაღაც ასეთები. რას იზამ. რასა!.. და ბედოვლათობაც ბედოვლათობაა. ოღონდ მთავარი მაინც ის არის – აირიათ რო ერთმანეთში... ანთუ აერიათ რო ბედოვლათებსა შუშხუნები და ლაზერშოუი. ისე ბდღვიალებდა შუშხუნები. ფეთქდა. ტკაცუნობდა. იფრქვევოდა იმდენფერადა. ისე. ისე. თვალისმომჭრელადა რო გამოეპარათ გატყორცნილი სვეტები. შეთამაშებული. მრავალფერადა. შემღერებული თითქოსაო. გამოეპარათ ისიცა აგრეთვე: იარაღი რო დაეყარა სოლოლაკის დედასა. ალგეთის დედასაცა. ოთარაანთ ქვრივსაცა. ფიროსმანის გოგონასაცა. მაია წყნეთელსაცა. თამრო ვაშლოვნელსაცა. ანაბაჯსაცა. გაშიშვლებულიყვნენ და გორავდნენ ლაზერშოუში. გორავდნენ. დასხლტომა ვერ მოეხერხებინათ. სადღაც შუშანიკიც იჭყლიტებოდა. მძაფრ ამოვარდნებში მჭახე სხივებისა. სადღაც ნინოცა. თამარიც სადღაცა. სადღაც ქეთევანიცა. გაშიშვლებულნი ისინიცა. ჯვარწაგლეჯილნი. ჯალჯი თმები რო გაეშალათ. ვერ დაეფარათ სიშიშვლეი მაინცა. ვერა. ვეღარა. ლაზერშოუს რო შიგნეულიც ამოეფინა. იმას ცოტა შორს უვლიდა. მთაწმინდის დედასა. ულმობელი სხივები ლაზერისა. ცოტა შორსა. ის მაინც უმწეოდ აბუზულიყო. უსასოოდა. უსაშველოდა: სად რო დაეწყო ყვავილები – ვეღარ გაეგო: აღარცსად საფლავი ილიასიო, აღარც რო სხვათა. ქართვლის ჭირისუფალთა. საქართველოსი ანუ. წამებულთა მამულისათვისა. ჩამოთლილიყო კალთაი მთაწმინდისა. ტაძრიანად ჩამოთლილიყო. მოეწმინდათ. დაფად ექციათ. სუფთა დაფადა. ვისაც

;ენება – მიეწერა თავისი სახელი. ვისაც ენება აეწია ცალი ფეხი და აჰყოლოდა ძაღლის ჩვევასა. რაც რო ენება, იმას აჰყოლოდა... რაც იყო მერე იყო. ის იყო, რაც იყო: ცამ მოიკრიალა ცისფერადა. რაღა თქმა უნდა. ამოიტყორცნა ღაჟღაჟა სკაფანდრები ნაირ-ფერებში ლაზერშოუსი. თანატოლები. მოლივლივე-ნი თანზომიერადა. უელავდათ სათვალეები. სათვა-ლეებში – თვალები. ცხადია. უელავდათ და უბრია-ლებდათ: მოდით. მოგვყევით. ჩვენა ვართ რო გზას გიკვალავთო. ჩვენს წინ გაშლილა ბედნიერება ჯერ არნახული. ჯერ არ გაგონილი. ჯერაც რო ვერ წარ-მოსადგენი ადამიანის გონებითაო. ეს ჩვენა ვართო. ჩვენ მიგიძღვივართო: კონდოლიზა რაისი. ლორა ბუში. ნინკა ბურჯანაძე. იულია ტიმოშენკო. როზა ოტუმბაევა... იდგა ხალხი მერიის მოედანზე. პირ-დაღებული. ხელჩაქნეული. გაცბუნებული. იდგა. იდგა. იდგა. გადარევით არ გადარეულა. არა...

ესაა ვარაზი რო აღარ იყო.

არა. სულ აღარა.

აჰხადეს სარკოფაგი. დროაო. უჩვენებდა აპარა-ტები. რამდენიმე აპარატი. დასამოწმებლადა ერ-თმანეთისა. სიფრთხილისათვისა. რაღა თქმა უნდა. კიდევაც დაემოწმა. მწვანედ აციალდა. ერთად აცი-ალდა. სარკოფაგიც თვითონვე აიხადა. დაეცეცა რო რამდენიმე თვალი. ქეთევანთან ერთადა. ვერ იტყვი რო მხოლოდ ქეთევანს მოეჩვენაო. ვერა. რა თქმა უნდა. წამოიწია და წამოჯდა. ვარაზი. თვალებიც მო-იფშვნიტა: ეს რამდენი მძინებიაო. მერე ერთი ამოი-სუნთქა. დაიფშვინა. დაიზუზუნა. შეიშრიალა. გაი-წუვლა. გაიწელა. მიჰქრა თუ მიიფშუტა სადღაცა შორსა. ზევითა და ზევითა. ცაი ძირს ჩამოჰხდა. შეი-

სუნთქა და წარიტაცა. ასე თვალთა წინა. ცამა – ვარაზი!.. დიახაც რო!.. არა და მაშ რაო – არც რაი დაჰხვდათ რო სარკოფაგში. არც რაი!.. არც რაი!.. სულ არაფერი. მაშ რა წამოჯდაო. თვალები რამ მოიფშვნიტაო. ტყუილი გამოდგა. მოეჩვენათ და ის იყო... მოეჩვენათ. მანამდე გაიყინა ვარაზი. კაცი იყო და ყინულად იქცა. ყინულის ზოდადა. გადნა ნელნელა. დაილია. დაიწრიტა. გაჰქრა. აბა ის რაო – მწვანე შუქი აპარატებისაო. არაფერი. სხვა არაფერი – მორჩა. სარკოფაგი თავისუფალიაო. არაფერი. არაფერი. განთავისუფლდა საყინულეო. აპარატები აპარატებია – მეტი რაღა მოეთხოვებოდა. ხოლო ის რო: სული მიიფშუტა სადღაცა – ამას ყველა ადასტურებდა. ადამიანები ადასტურებდნენ. ყველა იქა მყოფი. ქეთევანმაც ასევე დაიჯერა. დამარხვით დამარხეს. რაღა თქმა უნდა. ვარაზი. ვერც დასტოვებდნენ დაუმარხავადა. ყველა ასე იფშუტებოდა. სადღაცა და სადღაცა. ყველა მიწაში იმარხებოდა. ძველი კოსტუმი ჩაუფინეს კუბოში. ნახმარიო და კარგად ნახმარი. სხეულიც კარგად გაუჯდებოდა. ეგება სულაც შიგვე შემორჩაო. პროექტებიც შიგვე ჩაუწყეს. განუხორციელებელი. ანდერძი აუგეს. დაიტირეს. წესისამებრა. სანთელიც დაუნთეს. პურმარილიც უკმიეს. სადაც რო იყო იქ მიეგებოდა.

დააგვიანდათ ჯვარხეველებსა. გვიან გაიგეს.

აღარცვინ გახლდა სასაფლაოზე. ქარი ჰქროდა და მთვარე ბჟუტავდა. გაყინული და ნაქირავები. ბჟუტავდა. ბჟუტავდა. არც რო მეტი არ მოეთხოვებოდა ნაქირავებსა. რაღა თქმა უნდა. ჰქროდა ქარი და ბჟუტავდა მთვარეი. ერთისიტყვითა. დედა იდგა გახევებული. ქალიშვილებიც გახევებულნი. არცერ-

თი არ ეშობა რო ამასა – იმისი სახელით დაეზარდა. ვარაზისაი. და იმას დასტიროდა. დასტიროდა მშრალადა. უცრემლოდა. ცრემლით ტირილი არც ივარგებდა. ქალიშვილები დანიშნულიყვნენ. იქავე იდგნენ სასიძოები. აბჟუტებული მთვარის ქვეშა. შაქროც იქავე. ეს შაქრო გახლდა – ჯვართხევს რო მიბრუნდნენ. ცისკარმა ამოწვერა და თქვა რო გულჩათუთქულმა: ე დალოცვილი ესეცა ბჟუტავსო.

მა რა იქნება ნაქირავებიო. გიგიმა.

უნდა ისევ გამოვისყიდოთო. გაგამა.

ვიღა გაჰყიდის ცისკარსაო. გუგამა.

არც აღარავინაო. არავის არ უთქვამს. არც იმედი არ წამოსცდენიათ. მაინც ვინ უწყის რა როგორ იყოს. ან რას გვიქადის წუთისოფელი ან თვითონ რა ელის წუთისოფელსა. ვინ იცის. ვინ უწყისო. ოღონდ თუ მაინც ის დრო თუ დამდგარა: იუდა თუ უნდა გამოუშვან – იუდაი: ბრუტოს-კასიოსიანადა – ლუციფერის ხახიდანა, ესენი ჩაჭედონ იქავე და ისევე: ლომაიაი, კობახიძე და ბენდუქიძეო. ამას მაინც მოგვასწარი ღმერთო. ამასა. ამასა. სხვა დანარჩენი თუ რა იქნება თუ როგორ იქნება, შენს განგებას ვინ წაუვაო.

აი ია.

აი თხა.

თხამ ვენახი... არა!.. მოიცა!.. –

მიწამ ჟანგი.

ჟანგმა თოფი.

თოფმა თხა.

თხამ ლაზერი შეჭამა...

2005-ის
აპრილის ცივი დღე

უსამანო ტკივილი

ამ წერილში ბევრი ციტატა იქნება, ხშირად ამონარიდი კი არა, შეიძლება ვრცელი მონაკვეთიც დავისაჭიროო ოთარ ჩხეიძის ამ ახალი რომანის სათქმელის გასამჟღავნებლად.

ვრცელი მონაკვეთი, რადგან ყველაზე უკეთ მაინც აქ მხილდება მისი დამოკიდებულება, პოზიცია, მსჯავრი...

როგორ დავცემულვართ, „ლაზერშოუც“, მწერლის მთელ მხატვრულ ნააზრევთან ერთად, გამხელაა ამ უარყოფითი სათქმელისა, რასაც იგი დიდი ხანია ამბობს, თუმცა ეს თხზულება, თუნდაც ქართლის მატიანის ციკლის სხვა რომანებთან შედარებით, უფრო სატირულია, უფრო სარკასტული, დაუნდობლადაა ნაჩვენები ქართველთა შებღალული სულიერ-გონიერი ყოფა, დაცემული და გადაგვარებული სინამდვილე. ეპიგრაფად იეთიმ გურჯის სიტყვებია წამძღვარებული და იქვეა გამჟღავნებული, რომ წინანდელი, თუნდაც კოლონიური ყოფა ქვეყნისა, ბევრით არაფრითაა განსხვავებული ახლანდელისაგან, უფრო მეტი თავსატეხი გაჩენილა, უფრო უარეს დღეში ჩავვარდნილვართ, უცუდესისკენ გაგვიწვდია ხელი, კარგის მომლოდინეს გულხელი დაგვიკრიფავს და ისიც ვერ გვიგრძვნია, რაოდენ ამოზიდულა ჩვენს თვალსანიერში სირცხვილის ლაფი. ამიტომ „წინათ ვიყავ დაჩაგრული, ახლაც ცეცხლი მიკი-

დია"-ო — გვეუბნება მწერალი, გვეუბნება მართლად, შეულამაზებლად...

საერთოდ, ოთარ ჩხეიძის მთელი შემოქმედება ჩვენებაა ქართველთა დაცემული ყოფიერებისა, იმ აუტანელი, დამფუტკნელი სინამდვილისა, რაც არსებობს. მათი წაკითხვისა და გააზრების მერე იქნებ შიშიც ჩაუსახლდეს მკითხველს გონებაში, შიში იმისა, თუ ეგოდენ გადავგვარებულვართ, რაღა გვეშველება, რა ძალა ამოგვათრევს ამ ჭაობიდან, მაგრამ ფუჭი და ამაოა შიში ესე, რამეთუ სწორედ ასეთ მაღალმხატვრულ წარმოსახვას ჩვენი უბედურებისა, ძალუძს გადაგვარჩინოს, შეგვანჯღრიოს, დაგვაფიქროს... ასეთია ოთარ ჩხეიძის როგორც მწერლის შემოქმედებითი პრინციპი, აჩვენოს უარყოფითი, აჩვენოს ხაზგასმულად, პირუთვნელად და ამით გაგრძნობინოს იმედი, მოგგვაროს შვება, გაგინათოს ბნელით დახშული გონება.

„ლაზერშოუ" ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში დატრიალებული ამბების სატირული ანარეკლია. მართალია, მთავარი პერსონაჟიც ჰყავს ამ თხზულებას, მომდევნონიც, მაგრამ უფრო მართალი ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ დროა მისი მთავარი გმირი, დრო ბოლოდროინდელი — ლაზერშოუებითა და ფასადშოუებით (კიდევ ათასი სხვა რამითაც) გამორჩეული. ლექი, დუნდგო, ყლარტი, ხავსი ჩვენი სინამდვილისა გენიალური კალმით იხატება, იქმნება პანორამა ბეჩავ ადამიანებსა და დროზე, ბოლომდე გაურკვეველ, შეუცნობელ, სიბეცით აყალყულ ხალხზე.

„რევოლუცია რომ უბედურებაა. ფრანგი განმანათლებლებიცა ბრძანებდნენ. თვითონ გამოიგონეს და თვი-

თონვე ჰგმობდნენ რევოლუციებსა. ატომისა არ იყოს. სასიკეთოდ გამოიგონეს და სავალალოდ ექცათ. ფრანგმა განმანათლებლებმა არა. რა თქმა უნდა. უბედურება ერთია. სახე აქვს ბევრგვარი. ბევრი ჰყავს აგრეთვე გამომგონებელიცა. ბევრი. ბევრი. ეშმაკიც ერთია. ოღონდ საქმეა ბევრი საეშმაკო".

იმთავითვეა გამჟღავნებული მწერლის პოზიცია. აშკარაა, რას უნდა ველოდოთ ბევრი საეშმაკო საქმისაგან, რევოლუციის ახალ გამომგონებელთაგან, შერყვნილი სინამდვილის უფრო შერყვნასა და შებღალვას, რევოლუციით რომ აპირებენ. არადა, ვინც გამოიგონა, იმან უარყო, მიხვდა მისი უბედურების ხარისხს, ჩვენ კიდევ იმით აღვტაცებულვართ და გავხარებულვართ, რაც მათ ჩვენზე უკეთ იციან, იციან და როგორ, ისე ღრმად და საფუძვლიანად, უარყვეს კიდეც, საზოგადოებას ანგრევს, მისი მოხდენა არავინ გაბედოთ, ქვეყანას დაღუპავს, თქვენც დაიღუპებითო.

აი, ერთი შედეგი რევოლუციისა:

„გამოეცხადა. ერთისიტყვითა. მეზობელი. საშიმშილო დაწოლას ვაპირებთო. ჩვენ არაო. ხნოვანებს გვანთავისუფლებენ. ოღონდ გავდივართ ჩვენცა სათვალავშიო. ჩვენცაო ანუ რო შექმნილიყო ახალი ფენაი სოციალური. გნებავთ რო კლასი. კლასთა ბრძოლის თეორიის მიხედვითა. დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვითა. 40წლამდელები ცალკე. ცალკე მომდევნონი 40საი. ეს მომდევნონი გამდგარიყვნენ ცალკე. ცალკე. ცალკე უნდა დამსხდარიყვნენ საშიმშილოდა. ნიშნად პროტესტისა".

იყოფა საზოგადოება ასაკის მიხედვით — ორმოც-

წლამდე და ზევით ან უფრო სწორად, ორმოცისანი გაბატონებულან, სხვები უარუყვიათ, გამოცდილება, სიბრძნე, ასაკის სადარი გონიერება არავის ჭირდება. ჰოდა, ეჭიდება არქიტექტორი ვარაზ კარგარეთელი ამ ქარტეხილებს — სტალინის დროს რეპრესიას გადაურჩა, პირველი პრეზიდენტის დროს კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს, არქიტექტორია და მისი პროექტები არავის ჭირდება — უსახურ, უგემოვნო, უშინაარსო ნაგებობებს ამჯობინებენ, იმათ უნიჭონი ქმნიან, ადვილად რომ აღწევენ მიზანს. ნიჭიერთა დრო გარდასულა, უნიჭოთა ჟამი ჩამომდგარა. მწერალი ვარაზ კარგარეთელს მერე ცხინვალშიც წაიყვანს, იქ აბრძოლებს და ამით დაგვანახვებს, თუ რა დიდი ძალა აქვს თუნდაც ერთი ადამიანის თავგანწირვასა და შემართებას. მაგრამ ამ რომანში, ისე როგორც ოთარ ჩხეიძის ნებისმიერ თხზულებაში, მოვლენების მისეული შეფასებაა საინტერესო, საინტერესოც, გულის შემძვრელიც:

„დალოცვილი საბჭოთა პრესა!... ერთი ეწერა ყველა გაზეთში. ერთი გინდოდა — ერთი ეწერა. ერთი ტყუილი. პრავდას გაშლიდი და კმაროდა ყველაფრადა. 70 ერის გაზეთი წაგეკითხა ვითომდაცაო. და ისიც ვითომდა — საქართველოშიცა ცხოვრობდა 70ვეი და აქაცა — თბილისში. მოითხოვდა — მოსკოვი. მოსკოვი. მოსკოვი. რაღა თქმა უნდა. მოითხოვდა და ასრულებდა. თანდათანობით ასრულებდა. 13 ჩუვაში ჩამოსახლდა ბოლოს-დაბოლოს თბილისში. ჩუვაშური გაზეთის გამოცემაც მოითხოვა პოლიტბიურომა. დროზეო. მეორედ აღარ მოგვმართონო. თუმცა იქ ჩუვაშებს — თავაანთ სამშობლოში — პრავდას აკითხებდა მხოლოდდამხოლოდა

— *თქვენ პროგრესს ჩამორჩით. თქვენ უნდა დაეწიოთ და გაუსწროთ თქვენს უფროს ძმებსაო. რუსებსაო. რაღა თქმა უნდა. და ჩუვაშეთი ლაპარაკობდა უფრო სწორადა ახალი რუსულითა. უფრო სუფთადა. ვიდრე მოსკოვი. აღრეული. ათქვეფილი. გაჯერებული რესპუბლიკებიდანაო თუ პროვინციებიდან მიხროვილი ხალხითა. ახალ ბაბილონს რო დამგვანებოდა. აკი დაიფშხვნა კიდევაცა ბაბილონივითა".*

ეს აზრი შეიძლება (ახლა მაინც) ბევრს ჰქონდეს, მაგრამ ეს არაა მთავარი — ოთარ ჩხეიძის ძარღვიანად, მადლიანად ნათქვამ-დაწერილს სხვა ფასი აქვს, შნო, ლაზათი, ხიბლი. იგი ხომ ამ სიმართლეს მაშინაც გაჰყვიროდა, როცა სხვები ე.წ. საბჭოთა სინამდვილეს დითირამბებს უმღეროდნენ, არ ერიდებოდა რეპრესიებს, დამოკლეს მახვილივით დაკიდებულ შიშს, ძრწოლას პატიმრობისა თუ გადასახლებისა. ამბობდა და წერდა იმას, რაც სიმართლედ მიაჩნდა.

განა პატიმარი არ იყო, პატიმარი ციხის გარეშე, საკუთარ სახლში, როგორც საკანში, გამომწყვდეული — ოფიციალური კრიტიკისაგან ათვალწუნებული. ათას ხერხსა და ხრიკს იგონებდნენ, როგორმე დაემცირებინათ, მისი ოქრო ბამბად მიეჩნიათ, საკუთარი ბამბა კი აეჩხრიალებინათ.

ახლა პიროვნებების მისეული დახასიათებაც ვნახოთ:

„ახტოდა ჩაგვერაი. აჰხტოდა. კორუფციას ებრძოდა. ერეკებოდა ძველ თანამშრომლებსა. სამსახურიდანა. ახალბედებს იკრებდა გარშემო. ახალბედებსა. უწვერულებსა. გამოუცდელებსა. გამოიცდებოდნენ ესენიცა. მალე. სულ მალე. ჯიბესაც გასწევდნენ ქრთამისათვისა.

არც რო მახლობლებს მფარველობას არ მოაკლებდნენ. მანამდე ესა. მერი რა თქმა უნდა. არც სხვა რეფორმებს არ დაახანებდა. რეფორმა. რეფორმები... ისმოდა რო ირგვლივა".

უკეთესი ხატოვანი აღწერა რაღა გინდა. მასში სატირაცაა, სარკაზმიც, უპირველეს კი — სიმართლე, სიმართლე, რომლის მარადიულ მსახურადაც ჭეშმარიტ მკითხველს ოთარ ჩხეიძე ეგულებოდა და ეგულება.

„...დესპანი უპირველესი. თურმე ჩხიკვიშვილი. ვითომ ჩხიკვიშვილი. დაბრაწული ბიჭი. დაბრაწული საახალწლო ბასილასავითა".

რომ არ გყავდეს დანახული, წარმოიდგენ, შთაბეჭდილებას შეიქმნი, ისე ზუსტი და ნამდვილია, ისე მიგნებული და მიზანში მოხვედრილი, თან გიხარია, თანაც გულიც გტკივა გადაგვარებულ ქართველებზე, გვარის გარდა სხვა აღარაფერი რომ არ შერჩენიათ ქართული. თუმცა მთავარი ამ პორტრეტში — საახალწლო ბასილასავითაა — ისე შთამბეჭდავი და ნაღდი, აღტაცებას რომ ვერ დამალავ.

„და კიდევ კარგი. კიდევ კარგი და კიდევ კარგიო — რო არ ჩაუდვიათ სახის რეფორმაცა მასონურ პროექტებში. ჯერაც არაო. თორემ ვის რას მიუხვდებოდი — ამ აწინდელი განათლების მინისტრისა არ იყოს — უხარიან თუ სწყინს. ამდენს რომ ლანძღავენ. გაჰქვავებია სახე რომ ისე. გაჰქვავებია. გაშრობია. გამოფიტვია. ჰა? ბოლოც ეს თუა ამ უთავჟამო რეფორმებისაო? ვინ იცის. ვინ უწყის. რას ველოდით და რას შევეყარენით?! ერთისიტყვითა".

ესეც რომ საგანგაშოა (თუმცა ჩვენს სინამდვილეში რა

არაა საგანგაშო), როცა ადამიანს ადამიანობა დაუკარგავს, სახე ისე გაქვავებია, სწყინს თუ უხარია, ვერ შეიტყობ. მართლაც სახის რეფორმა ხომ არ იქნება ამ გაუთავებელ და უაზრო რეფორმათა დასასრული, როცა ცხოველსა და ადამიანს შორის ტოლობის ნიშანი დაისმება და ამით დამთავრდება ყოველივე.

„ესეც დიდი მოწყალებაა, წყალი რო ჩვენი შეგვრჩენია. ჰაერი ვინ უწყის თუ სადაურიო. მიწა ჰო რაო — დგახარ ნაგლეჯებზე უკანასკნელზე — გაცლიან. ფეხქვეშ გაცლიან — ამასაც ალბათ გამოგაცლიან. ჭკუა თუ არ გეყო. მაგრამ სად არის ანთუ ჭკუაო. თუ არის არც იმას არ გარგუნებენ. არაო. არაო. აღარ არის ადგილი განცალკევებისა დედამიწაზეო. ერთია პლანეტა. ერთიანია კაცობრიობაცა. ერთიანი და ერთნაირიო. ანუ თუ ესეიგი. როგორც რომ გენებოს — ჩვენგვარი და ჩვენნაირიო“.

ხატავს ოთარ ჩხეიძე ამ სავალალო ყოფას, როცა ქვეყანაში ყველაფერი იყიდება, იყიდება იმიტომ, რომ ერთნი გამდიდრდნენ, მეორენი გაღარიბდნენ. ნიკო ლორთქიფანიძის ცნობილი „იყიდება საქართველოს“ რეფრენიც არაორაზროვნად გაიხმიანებს. ჩვენც მთლიანად მოვიტანთ ამ მონაკვეთს, რათა უფრო მძაფრად შევიგრძნოთ უბედური, გაუსაძლისი ყოფიერება:

„ისე ეგეც კარგი ვინმეა — პორთფელში ჩაუდვია მთლად საქართველო. დადის და დააქვს. დააქვს და გამოჰფენს. მოსკოვიაო თუ ვაშინგტონიაო. ბერლინიაო თუ სტამბულიაო. აჰაა აბა ვის რა გნებავთო. რა ენაღვლება. მამამ დაუტოვა თუ პაპამ დაუტოვა. თუ საქართველო რამედ მიაჩნია?! რუსეთს გადავარდა ტიტლიკა-

ნა ბიჭი. მილიონები იქ იშოვა ტიტლიკანა ბიჭმა. აქ ისევ ისე ტიტლიკანა იქნებოდა. მთლად საქართველო რო ტიტლიკანაა. ფლასი მოიფაროს. არ მოეპოვება. ჰოდა გაჰყიდოს. გაჰყიდოს მიწა. გაჰყიდოს ჰაერი. გაჰყიდოს წყალი. გაჰყიდოს მთები. ტყეები. ვენახები. გაჰყიდოს ქალები. ბავშვები გაჰყიდოს — ამას უიმისოდაც აგვარებდნენ — გაჰყიდოს ისტორია. საფლავები გაჰყიდოს. მაინც ვილას რაღაში არგია. სამაგიეროდ ფლასი მიიფაროს. ეზიაროს ცივილიზაციასა დასავლეთისა. დემოკრატიას ეზიაროს. თავისუფლებასა სულითხორცამდისა. სულითხორცამდისა. სულითხორცამდისა. ეს ამ საქმისათვის მორგებული კაცი იშოვეს. სხვას სამშობლოსი მოერიდებოდა. სამშობლოსი. სამშობლოსი მაინც მოერიდებოდა. ამას სამშობლო აღარც გაეგება. უბედურებაა სამშობლოდაკარგული კაცი. უბედურია სამშობლო კაცთაგან გაძრცვილი".

ამ პიროვნებასაც ადვილად ამოიცნობს მკითხველი.

ასეთი საგანგაშო და დამაფიქრებელი ნოტი ხმიანობს ამ რომანის თითოეულ ფრაზაში, სიტყვაში, რომელი ერთი გინდა გაიხსენო, საკითხი თუ ე.წ. პრობლემა (ოთარ ჩხეიძეს ამ თხზულებაში კურსივით აქვს აწყობილი ის სიტყვები, ჩვენს სინამდვილეში რომ მომრავლდა და ენას ახდენს). მარტო ძველი თბილისის მისეული აღწერა რად ღირს, ან თუნდაც ჩუღურეთის წისქვილები, ან კიდევ სარკაზმით გაჟღენთილი დამოკიდებულება მერისა ქართვლის დედის სატევარი ფალოსი რომ ჰგონია, და მისთანანი.

„ლაზერშოუ" ოთარ ჩხეიძის ოცდამეორე რომანია. ამ მწერლის ნააზრევი პირუთვნელობით, სიმართლით

ხომაა გამორჩეული, სიუხვეც დააბერტყა განგებამ. თუმცა ესეც მეორეხარისხოვანი მგონია. მთავარი ისაა, რომ ოთარ ჩხეიძეზე უკეთესად განა წერენ ევროპელები? განა მათი პროზა ასე ტკივილიანი და ფიქრიანია?! არა, მაგრამ მათ მთელი მსოფლიო იცნობთ, ოთარ ჩხეიძის ნაღვაწს კი ძალიან მცირე, რას იზამ, ასეთია ბედისწერა ზოგიერთთა.

დრო მოვა, ეს რომანები, ეს დიდი მხატვრული ტილოები მსოფლიოში გახმიანდება.

აუცილებლად მოვა...

ელგუჯა თავგერიძე

დანართი

ეს ლიტერატურული მასალები გამოქვეყნდა გაზეთ „რეზონანსის“ ფურცლებზე, როგორც თავისებური გამოძახილი ოთარ ჩხეიძისათვის „საბას“ ლიტერატურული პრემიის მინიჭებისა განსაკუთრებული ღვაწლისათვის ქართული მწერლობის წინაშე – 2005 წლის 26 მაისს. ამ მცირე გამოხმაურებებში არაერთი საგულისხმო და განზოგადებული მოსაზრებაა გამოთქმული და ახლებური თვალითაა შეფასებული მწერლის უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედება – კიდევ ერთი სახიერი დასტური ქართული ლიტერატურის ევროპული რანგისა და მნიშვნელობისა. და გამომცემლებმა ამიტომაც სცნეს აუცილებლად მათი განმეორება ამ ახალი რომანის ბოლოს.

ოთარ ჩხეიძე: საქართველოს საზოგადოების საგა

უადგილო ალიტერაციისთვის ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ პრემიების სახელმწიფო კომიტეტისთვის გამიზნულ ამ შინარეცენზიას სათაურად სწორედ საქართველოს საზოგადოების საგას დავარქმევ, რადგან ოთარ ჩხეიძის რომანების სერიაში უკვე, ვინემ რომელიმე სხვა თანამედროვე მწერლის წიგნებში, მოცემულია თითქმის მთელი მეოცე საუკუნის საქართველოს ცხოვრების რთული და საინ-

ტერესო სურათი. კაცმა თქვას, ესაა ერთი ვრცელი მეტაფორა, და ყველაზე საგულისხმო აქ ისაა, რომ ეს მეტაფორა ორმაგადაა დაშიფრული. ეს მეორე შიფრი მწერლის ენაა – სწორედ ენის საშუალებით გადაარჩინა ***ოთარ ჩხეიძემ*** *თავისი დიდი მხატვრული სამყარო იმ სავალდებულო კომპრომისებისაგან, რასაც ბევრი მისი თანამედროვე მწერალი ვერ აცდა.*

ამ პატარა რეცენზიის დასაწერად ***ოთარ ჩხეიძის*** *ნაწერების ოთხმოც საავტორო თაბახზე მეტი გადავიკითხე, რადგან მინდოდა, ეს ყოფილიყო თუნდაც პირადად ჩემი დასკვნა, შეხედულება, თვალსაზრისი – ხომ არ შეიცვალა იგი მას შემდეგ, რაც ამ, თითქმის ოცი წლის წინათ დაწერილ წერილში* ***„ტრაგიკული ონომასტიკონი“*** *იგი ჩემს საყვარელ მწერლად გამოვაცხადე. იქნებ საინტერესო იყოს თავად იმ წერილზე –* ***„ტრაგიკულ ონომასტიკონზე“*** *– მოკლე საუბარიც, რადგან ამ წერილსა და მისგან გამონვეულ რეზონანსში კარგად ჩანს მთელი საქართველოს, მისი მკითხველების ორმაგი, ორსახოვანი დამოკიდებულება* ***ოთარ ჩხეიძის*** *რთულ, მრავალწახნაგა და მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედების მიმართ.*

როგორც უკვე ვთქვი, სამოცდაათიანი წლების ბოლოს მე წერილი დავწერე ***ოთარ ჩხეიძის*** *წიგნზე, რომელშიაც მისი სამი პიესაა დაბეჭდილი:* ***„თედორე“, „ქეთევანი“ და „გიორგი“.***

ერთი ადგილი ხსენებული წერილიდან:

„საქართველოს ისტორია ქართველთა დაცემისა და ამაღლების ისტორიაა. ***ოთარ ჩხეიძე,*** *თავისი მხატვრული იდეების გადასაწყვეტად, ჩვეულებრივად, პირველ მოდელს ირჩევს. იგი ქმნის ქართველთა დაცემის შთამბეჭდავ პანორამას, და დაცემის ამ გულისშემძვრელ სურათში ვჭვრეტთ ამაღლების*

დვრიტასა და ნიშანს.

სამივე პიესაში – „თედორეშიც“, „ქეთევანშიც“, „გიორგიშიც“ – საქართველო დამონებული, დამცირებული და რწმენადაკარგულია“.

წერილს არაჯანსაღი რეზონანსი ჰქონდა. დაიწერა ჩემი განმაქიქებელი რამდენიმე წერილი. ახლა რომ ვუკვირდები, ის მახვილი მიმართული იყო იმდენად არა ჩემკენ, რამდენადაც ოთარ ჩხეიძისკენ.

ამაში მოულოდნელი არაფერია – ოთარ ჩხეიძე იდგა ცალკე, განრიდებული სოციალისტური რეალიზმის ცხოვრების წესისაგან. მისი კრიტიკული პათოსი მიმართული იყო ყველა იმ ბერკეტის წინააღმდეგ, რომელიც ამოძრავებდა უზარმაზარი იმპერიის – ბოროტების იმპერიის – სახელმწიფო მანქანას. ამიტომაც ყველა ამ მანქანის მომსახურე „პერსონაჟი“ – თავს მოვალედ თვლიდა, ერთი ქვა მაინც ესროლა იმ ადამიანისათვის, ამ ყოვლისშემძლე ძალას რომ არ ეპუებოდა. ოთარ ჩხეიძის „საქმე“ საგანგებოდ იხილებოდა პარტიის თბილისის კომიტეტის ბიუროს სხდომაზე თუ მწერალთა კავშირის პარტიულ თუ ღია-პარტიულ კრებებზე, და დასკვნა მუდამ ერთი იყო – ოთარ ჩხეიძე უმადური მწერალია, იგი ვერ ხედავს კომუნიზმის იმ სიკეთეებს, რასაც მისი კოლეგები ასე გულწრფელად უმღერიანო.

ოთარ ჩხეიძე ვერ გატეხა უთანასწორო ორთაბრძოლამ. მოსაყოლად რთულია ეს ყველაფერი, გადასატანად კი ძნელი. კაცმა არ იცის, რეპრესიის რომელი ფორმა უფრო მწარეა – გულაგი თუ მარტოობის სენაკი, ნებაყოფლობით რომ აირჩიე! ჩემი ფიქრით, ოთარ ჩხეიძე თავისუფლად შეიძლება მივათვალოთ რეპრესირებულ მწერლებს (ამისვე თქმა შეიძლება კიდევ ორ-სამ სხვა ქართველ მწერალზე...).

„ბორიაყი“, რომელიც 1924 წლის პოლიტიკურ მოვლენებს ასახავს, „ცხრაწყარო“, 1937 წლის სისხლიანი ტერორის სურათს რომ აცოცხლებს, „ჯებირი“, საკოლმეურნეო ცხოვრების კრახზე რომ მოგვითხრობს, „ბურუსი“, კომუნისტური იდეოლოგიის უმეცრებისა და უმწეობის მექანიზმს რომ გვიჩვენებს დიდი ქართველი ფსიქოლოგის ***დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიისა და თბილისის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის წინააღმდეგ მოწყობილი ინსინუაციების*** *ფონზე, „მეჩეჩი“, საბჭოურ სინამდვილეში ხელოსანთა ტრაგიკულ ხვედრზე რომ გვიამბობს, „გამოცხადებაი“, რომელიც აცოცხლებს 1956 წლის 9 მარტის ამბებს, „ლანდები“, ხელოვანის ტრაგიკულ ბედზე რომაა შექმნილი, „მთაგრეხილი“ – კავკასიის ქედის რღვევის ამბავი, დაბოლოს „არტისტული გადატრიალება“, 1991-92 წწ. სექტემბერ-იანვრის პოლიტიკურ მოვლენებს რომ აშუქებს... მიუმატეთ ამათ „კვერნაქი“, „ვენეციური ჭაღი“, „ცთომილნი“, „ამაღლება“, და ერთი სულ პირველთაგანი მის რომანებში – „ტინის ხიდი“. ხომ არაფერი გამომრჩა? ალბათ რაღაც გამოვტოვე! თანაც* ***ოთარ ჩხეიძე მარტო რომანების ავტორი ხომ არ არის, მის კალამს ეკუთვნის უამრავი ბრწყინვალე მოთხრობა, სტატია, ესეი, თარგმანი, პუბლიცისტური წერილი...***

მართლაც, „რა ხელმა ააგო“ ეს ამოდენა შენობა, რა ძალა ჰქონდა ასეთი, რა ნებისყოფა, ქვეყნის და სიტყვის რა სიყვარული, მომავლის როგორი რწმენა!..

ლეკო თათაშელი, როსტომ იტრიელი, გიორგი იტრიელი, ზურაბ ქვაციხელი, რევაზ ცისკარიშვილი, აკაკი ცისკარიშვილი, გიგო გუნდიშვილი, სალომე არჯევნელი, ირინე არჯევნელი, ფრიდონ გუნდიშვილი, ლადო სავანელი, ეთერ სავანელი, ლენტო, ლეო გორდა-

ძე, სანდრო ბონიძე... – ესენი ყველანი ერთად – მთელი საქართველოა, მათი ცხოვრება – ჩვენი საუკუნის საქართველოს საზოგადოების საგაა, მოთხრობილი იმ ადამიანის მიერ, ვინც აკმაყოფილებს დიდი და სერიოზული ხელოვანის წინაშე წაყენებულ ორ უმთავრეს მოთხოვნას: მან ზედმიწევნით იცის ის, რასაც წერს, და გულწრფელად უყვარს ისინი, ვისზეც წერს... ***ესაა უზარმაზარი პანორამა, რომელსაც, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მოცულობის, მასშტაბის თვალსაზრისით ქართულ მწერლობაში ანალოგი არ გააჩნია,*** *ამასთან იგი ჩვენი კრიტიკის და ლიტმცოდნეობის მიერ სრულიად შეუსწავლელია: მის შესახებ აზრი, პოზიტიური იქნება თუ ნეგატიური, ფოლკლორული ხასიათისაა და არასოდეს ან თითქმის არასოდეს არ ეფუძნება სერიოზული კვლევის შედეგებს...*

იწერება ეს შინარეცენზია იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ, კომიტეტის წევრებმა, ერთმანეთს გავუზიაროთ აზრი გამოჩენილ ქართველ მწერალზე, ამასთან შევიტანოთ იგი, ასე ვთქვათ, ჩვენს „კარტოთეკაში“! – ეს „კარტოთეკა“ აერთიანებს მათ, ვისაც ხვალ-ზეგ უნდა მაღალი ჯილდოები დაურიგდეთ, როგორც ქვეყნის, ხალხის მადლიერების საბუთი და ნიშანი!

პირადად მე ყველგან, ყოველთვის, ყველა სიტუაციაში ვაძლევ ხმას ოთარ ჩხეიძეს მისი დიდი შემოქმედების გამო, გაუბზარავი მწერლური სინდისის გამო, ტანჯვით გამოვლილი დიდი და საინტერესო გზის გამო!

ტარიელ ჭანტურია

კიდევ რამდენი უნდა ეშრომა აკაკი შანიძეს?

(მინაწერი ტარიელ ჭანტურიას შინარეცენზიაზე „ოთარ ჩხეიძე: საქართველოს საზოგადოების საგა“)

ტარიელ ჭანტურიას ეს სტატია რამდენიმე წლის წინათ დაიწერა სახელმწიფო პრემიების კომიტეტის შინარეცენზიად.

გამოსაქვეყნებლად ნავარაუდევი არა ყოფილა.

საიდან მოხვდა სახელმწიფო დაწესებულების შიდაოფიციალური დოკუმენტი ჩემს ხელთ, ან მკითხველის წინაშე რამ გამომატანინა, თანაც ასეთი დაგვიანებით?

ცოტა შორიდან დაწყება უფრო ნათელს გახდის ყოველივეს.

თითქმის ოცი წლის წინათ ტარიელ ჭანტურიას ასეთი კითხვაც დაებადებოდა:

– საინტერესოა, 99 წლის აკაკი შანიძემ კიდევ რამდენი უნდა იშრომოს, რომ შრომის გმირი გახდეს!

და ამ რიტორიკულ, მახვილგონივრულ შეკითხვაში ნაგულისხმევ თემას ასე გაშლიდა სტატიაში: ცოტნესა და ქეთევანის ქვეყანას არ სჭირდება გმირის გამოგონება, კი ბატონო, მაგრამ თუკი გვაქვს ასეთი ტიტულები და ჯილდოები, სწორედ და სამართლიანად არ უნდა მივანიჭოთ იგიო?

მის ამ სტატიას საფუძვლად დაედებოდა საჯარო გამოსვლა თბილისის უნივერსიტეტში ***ივანე ჯავახიშვილის მედლით ანზორ ერქომაიშვილის დაჯილდოების ცერემონიალზე,*** *და საგანგებოდ მიანიშნებდა საფრთხეს, რაც ყოველ მნიშვნელოვან ჯილდოს ემუქრება – თვითმარქვიათა მოძალება. ასევე საგანგებოდ აღნიშნავდა იმ აუცილებლობას, რომ* ***ივანე ჯავახიშვილის მედლის კავალერი ზნეობითაც უნდა ჰგავდეს „ქართველი ერის ისტორიის“ შემოქმედს,*** *რაც ამ შემთხვევაში სავსებით გამართლებული ჩანდა:* ***„ასეთი კაცია სწორედ ანზორ ერქომაიშვილი. იგი თავისი სიწმინდითა და სინათლით ნამდვილად გავს ივანე ჯავახიშვილს“.***

ჯილდოს თემა ბუნებრივად გამოიხმობდა ***ნობელისა*** *თუ* ***პულიცერის, ოსკარისა*** *თუ* ***კანისა*** *და* ***ვენეციის*** *ასოციაციებს და გამოთქვამდა სინანულსაც: ათასობით ჯილდო და პრემიაა ამქვეყნად და ალბათ არ არის იმ ათასებში ერთიც კი, რომლის პრესტიჟსაც ბზარი არ გასჩენოდესო. და გამორჩევით მაინც ჩაილიმებდა იმჟამინდელ სახელმწიფო პრემიათა წინაპარზე –* ***სტალინურ პრემიაზე,*** *ვილას არ მივეცით ეს ჯილდო, და* ***გამოვტოვეთ სამი კაცი: პოეზიაში – გალაკტიონ ტაბიძე, პროზაში – კონსტანტინე გამსახურდია და დრამატურგიაში – პოლიკარპე კაკაბაძეო.***

ეს ყოველივე დამაფიქრებელია და იქნებ არაერთხელ მისაბრუნებელიც განსჯისათვის, მაგრამ ამჯერად ისევ იმ რიტორიკულ და მახვილ შეკითხვას ჩავუკვირდეთ:

99 წლის ***აკაკი შანიძემ*** *კიდევ რამდენი უნდა იშრომოს, რომ შრომის გმირი გახდეს?*

იქნებ მაინცდამაინც რიტორიკულიც არ იყოს და მართლა მოითხოვდეს დაზუსტებას – არა, მაინც რამდენი წელი?

ორი? სამი? ათი? ან იქნებ კიდევ ოთხმოცდაცხრამეტი?

თვითონ ***ტარიელ ჭანტურიამ*** *უსამართლობის აღმოფხვრის ორიგინალურ გზას მიაგნო –* ***თუკი ოფიციალურად არავინ გაიმეტებდა აკაკი შანიძისა თუ სხვა ღირსეულ პიროვნებათათვის შესაფერის ტიტულსა თუ ჯილდოს, გულში მიგვენიჭებინა მათთვის ეს ტიტული.***

იატაკქვეშა დაჯილდოების მსგავსი რაღაც გამოდიოდა – თან უცნაური, თან... დროის შესაფერისი.

ბოლოსდაბოლოს, როდესაც ***1832 წლის შეთქმულნი*** *აჯანყების დროშის აფრიალებას აპირებდნენ დღედღეზე, ყოველმხრივ მომზადებულსა და გათვლილ გეგმაში... ჯილდოებიც გაეთვალისწინებინათ სახელმწიფო მოწყობისა და ამბოხების მსვლელობის პროექტებთან ერთად.*

მათი დარბევა-დაპატიმრება იმ ეროვნულ ჯილდოებს სწორედ იატაკქვეშ მოაქცევდა.

იყო დრო, როდესაც ***აკაკი შანიძე*** *პოლიტიკაშიც მონდომებით ჩაერეოდა და დარიალის ხეობის ჩაკეტვასაც ივედრებოდა – ყველაზე დიდი საფრთხე რაც ემუქრებოდა ვაივაგლახით ფეხზე წამომდგარ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას. და როდესაც ამ მხრივ მოღვაწეობის ყოველგვარი გზა მოეჭრებოდა, ქართული ენის გრამატიკის შექმნასა თუ სხვა სამეცნიერო ძიებებს მისცემდა თავს ისეთი უჯიათობით, ისეთი დამქანცველი გარჯით, ამ თვალსაზრისითაც რომ სანიმუშოდ დარჩებოდა. საუკუნეს ამოათავებდა*

და ისევ ხელნაწერებს უჯდა, ისევ იმათ ჩაჰკირკიტებდა და უცხო ენებში ყოველდღიურ წვრთნასაც არაფრისდიდებით არ ეშვებოდა – ვაითუ დამავიწყდესო.

ისე კიდევ რამდენი უნდა ეშრომა?

*სხვათა შორის, ეს შეკითხვა იგულისხმება **ტარიელ ჭანტურიას** ამ სტატიის – **„ოთარ ჩხეიძე: საქართველოს საზოგადოების საგა“** – სტრიქონებს შორისაც – იგულისხმება ირონიულ რეპლიკად, დამუნათებად იმ საზოგადოებრივ-სალიტერატურო სინამდვილისა, სადაც თუ რაიმეა იშვიათზე იშვიათი, უპირველესად სამართლიანი გადაწყვეტილებანი.*

***კიდევ რამდენი უნდა ეშრომა 80 წელს გადაცილებულ ოთარ ჩხეიძეს, რომ მინიჭებოდა, ვთქვათ, რუსთაველის პრემია,** ის უმაღლესი ჯილდო მწერალთა თუ კულტურის მოღვაწეთათვის, რომლის დაარსებაც მოჰყვა **პავლე ინგოროყვას** მიერ დადგენილ თარიღს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაბადებისა და იმ დიდ წამოწყებას ამ იუბილის მსოფლიო განზომილებით აღნიშვნისა. და **პავლე ინგოროყვას** სრულიად რომ ჩამოაცილებდნენ ამ იუბილეს და მის მიერ მომზადებულ პროექტს თვითონ მიიწერდა მწერალთა კავშირი ცენტრალური კომიტეტის დახმარებით, **რუსთაველის პრემიის დებულებაში საგანგებოდ ამოიშლებოდა ნომინაცია ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკისა – ადრე თუ გვიან ვაითუ შემთხვევით პავლე ინგოროყვაც აღმოჩნდეს დაჯილდოებულთა შორისო.** აღარ იქნებოდა ქვეყანაზე **„გიორგი მერჩულეს“** შემოქმედი, მაგრამ ძველი ინერციით მაინც გაგრძელდებოდა მწერლობის ამ ერთ-ერთი ბურჯის – კრიტიკის – უარყოფა პრემიების კომიტეტში.*

ისე 90 წელს მინევნილ პავლე ინგოროყვას, ვისი შემოქმედებითი ნაყოფიერებაც განცვიფრებას იწვევდა თანამედროვეებში, მაინც რამდენი უნდა ეშრომა კიდევ, ჯილდო მისთვისაც რომ გაემეტებინათ?

ყველაზე რეალური გამოსავალი ასეთ დროს... გულში მინიჭებაა.

როგორც ირკვევა ტარიელ ჭანტურიას „ტრაგიკული ონომასტიკონის", „დინოზავრიდან დიზაინამდე"-ს რამდენიმე პასაჟის, ერთი ლექსისა და, განსაკუთრებით, ამ სტატიის მიხედვით, „თაფლობის საუკუნის" ავტორს ოთარ ჩხეიძისათვის რუსთაველის პრემია გულში კარგა ხნის წინათ ჰქონდა მინიჭებული.

და, აი, ახალი საუკუნის დამდეგს მოინდომებდა, რომ ეს ფარული დაჯილდოება მზის სინათლეზე გამოეტანა და ოფიციალურადაც დაედასტურებინა, როგორც პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს და შემდგომ უკვე სულაც თავმჯდომარეს.

„საქართველოს საზოგადოების საგა" ამ მიზნით დაიწერა, როგორც შინარეცენზია – დასაბუთება მოსაზრებისა, თუ რატომ არის ეს კომიტეტი მოვალე, რომ ოთარ ჩხეიძე იყოს რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

„ხომ არაფერი გამომრჩა?" – კითხულობს ერთგან ავტორი, როდესაც „მატიანე ქართლისას" ციკლის რომანებს ჩამოთვლის, ოღონდ მაინცდამაინც ნუ ჩავერევით და ზოგიერთი რომანის სახელწოდებას ნუღა ჩავუმატებთ მის მიერ მოწვდილ სიას. ეს ხომ ბიბლიოგრაფიული ნუსხა არ ყოფილა, მითუმეტეს, ოთარ ჩხეიძის ნაწერების ჩამონათვალი იოლი ამოსაწური

*არ გახლავთ იშვიათი შემოქმედებითი ნაყოფიერების გამო. მთავარია, რომ ზოგადი აზრით სტატიაში ყველაფერი ზუსტია და მთლიანობაში გააზრებული, და თუ დავუმატებთ, რომ უკანასკნელ ხანს მწერალმა ოცდამეორე რომანიც შექმნა („**ლაზერშოუ**"), ესეც იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ დადასტურდეს **ტარიელ ჭანტურიას** მეტაფორა და საერთო სახელწოდებად რომანების ამ ციკლს **საქართველოს საზოგადოების საგაც** მიესადაგოს **უილიამ ფოლკნერის** რომანთა ციკლის – **იოკნაპატოფას საგა** – ანალოგიით.*

არაერთი ციტატის დამოწმება შეიძლება ჩვენს მწერალთა თუ კრიტიკოსთა ნაწერებიდან, რაც იმავეს ირწმუნება, რაც ამ სტატიაშია წარმოსახული, მაგრამ ორიოდ ნიმუში სავსებით იკმარებს.

*ემიგრანტი მოღვაწე ალექსანდრე მანველიშვილი ოთარ ჩხეიძეს უწოდებდა ქართველ პასტერნაკს. ოღონდ საქმე ისაა, რომ მას ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ „**მეჩეჩზე**", რომლის დარბევაც „**დოქტორი ჟივაგოს**" შემდგომ მოხდა, არადა, „**ბურუსი**" **პასტერნაკის** რომანის განქიქებამდე განაწესეს გილიოტინისათვის.*

*გურამ ასათიანი „**ბორიაყს**" მოიხსენიებდა ქართული ლიტერატურის მწვერვალად, რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირის ლეკო თათაშელის ხასიათი დოსტოევსკისებური ანალიტიზმით იყო დაშრეეებული და გააზრებული.*

ნოდარ დუმბაძე არ ფარავდა, რომ ოთარ ჩხეიძეს კაიძალი მიმბაძველები გაეჩინა.

*გიორგი გაჩეჩილაძე „**ბორიაყს**" დაასახელებდა XX საუკუნის ქართული მწერლობის სამ შედევრს შორის: მიხეილ ჯავახიშვილის „**ჯაყოს***

ხიზნებსა“ და კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებასთან“ ერთად.

ნაირა გელაშვილისათვის გამაოგნებელი გამოჩნდებოდა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის დახვრეტის შემდგომ როგორ შეიძლება გაებედა მწერალს შეექმნა სატირა საბჭოურ ყოფასა და იდეოლოგიაზე „ჯებირის“, „ბურუსის“, „მეჩეჩისა“ თუ სხვა რომანების სახით.

ეს და ამგვარი შეფასებანი ადასტურებს, რომ უამრავი პროფესიონალი მკითხველის თვალში ოთარ ჩხეიძის შემოქმედება სრულიად გამორჩეული მოვლენაა, რომელიც მხოლოდ დიდ სამწერლო მოვლენათა კონტექსტში თუ განიხილება, იმ უკეთეს მხატვრულ ნაზრევს შორის, რისი შეთავაზებაც შეუძლია ჩვენს კულტურას კაცობრიობისათვის.

რაც შეეხება საბჭოური რეჟიმის – და მასთან ერთად პოსტსაბჭოური ხანის – სრული და მიუკერძოებელი სურათის წარმოსახვას, ამ მხრივ „ბორიაყის“ ავტორის რომანები, ნოველები, პიესები თუ პუბლიცისტური სტატიები უბრალოდ შეუცვლელია – უძვირფასესი მასალა დასავლელი მკითხველისათვის. ნულარც ვიტყვით, რა პირობებში ხდებოდა სიმართლის დაუფარავი გაცხადება!..

ასეა თუ ისე, შინარეცენზიად ჩაფიქრებულ სტატიას თავისი ბუნებრივი გაგრძელება უნდა მოჰყოლოდა – მწერლის ოფიციალური წარდგენა რუსთაველის პრემიაზე.

რაკიღა რეცენზიის ავტორისათვის კარგადაა ნაცნობი ოთარ ჩხეიძის პიროვნული თვისებები, მან წინასწარვე სცადა გაერკვია – უარს ხომ არ განუცხადებდა საქართველოს საზოგადოების საგის ავ-

ტორი პრემიების კომიტეტს, როგორც სახელმწიფო დაწესებულებას, მინიჭებულ ჯილდოზე.

ასე მოხვდა ეს შინარეცენზია ჩემს ხელთ.

ოთარ ჩხეიძე მადლობას შეუთვლიდა ტარიელ ჭანტურიას, ოღონდ სთხოვდა: პრემიისათვის ნუ შეწუხდებითო.

ეტყობა, იმას ის აზრი გაუჩნდა, რომ „ბორიაყის" ავტორი გაწბილებას ერიდებოდა. თუნდ პრემიების კომიტეტის ხელმძღვანელობა დაბეჯითებითაც დაპირებოდა, ხომ რჩებოდა რაღაც ალბათობა, რომ შესაძლოა ბიულეტენების ყუთის გახსნის შემდეგ იქ სამყოფი ხმები არ აღმოჩენილიყო.

ამიტომაც ბ-ნი ტარიელი მოელაპარაკებოდა კობა იმედაშვილს – საქართველოს პრეზიდენტის იმჟამინდელ მრჩეველს – და სთხოვდა დახმარებას, რათა ოთარ ჩხეიძისათვის რუსთაველის პრემია უკონკურსოდ მიენიჭებინათ. ამისათვის კი აუცილებელი გახლდათ ედუარდ შევარდნაძის ნებართვა და დამატებითი სახსრების გამონახვა.

მანამდე, სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ საქართველოს მწერალთა კავშირისა და სახელმწიფო კანცელარიის თაოსნობით ხანგრძლივი და ულმობელი მეხთატეხა რომ მოეწყოთ ოთარ ჩხეიძის თავზე „არტისტული გადატრიალებისა" და „თეთრი დათვის" შექმნისათვის, საქართველოს პრეზიდენტმა ვერ შეიკავა თავი, რომ პირადადაც არ ჩარეულიყო ამ არალიტერატურულ თავდასხმებში. მისი სიფრთხილე მოგეხსენებათ – თავის გაცემას ყოველთვის ერიდება, მაგრამ მაშინ საქვეყნოდ მოიწონა მწერლის წინააღმდეგ წამოწყებული ეს ლაშქრობა.

ეს უკვე მეორე შემთხვევა გახლდათ ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიაში, როდესაც უმაღლესი ხელისუფალი უშუალოდ ჩაერია მის დევნაში. პირველად ეს მოხდა 1955 წელს ვასილ მჟავანაძის მიერ – „ბურუსის" დაწერისათვის.

შევიწროებას, უსამართლო დევნას ყველა ხელისუფალის ჟამს განიცდიდა 1940 წლიდან მოკიდებული და თვით სტალინის სიცოცხლეშიც გაბედა სატირის შექმნა კოლმეურნეობის ცხოვრებაზე!.. (ამ გარემოებას საგანგებოდ აღნიშნავდა კობა იმედაშვილი ერთ ლიტერატურულ დიალოგში). სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისასაც ვერ გადაურჩა უსიამოვნებას – მწერალთა კავშირმა თვითნებურად ჩამოართვა ალმანახ „ლიახვის" რედაქტორობა, რამდენიმე ათეული წელიწადი ვაივაგლახით რომ ინარჩუნებდა. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ პირადად საქართველოს პირველი პრეზიდენტი დიდი პატივისმცემელი გახლდათ მისი და საქვეყნოდ აცხადებდა: ჩვენს მოსვლამდე ეროვნულ მოძრაობაში, ოთარ ჩხეიძე მარტოდმარტო იყო შებმული საბჭოთა იმპერიასო.

რაკიღა ედუარდ შევარდნაძე ასერიგად განაწყენებულიყო 90-იანი წლების დასაწყისის პირუთვნელი სურათებით, თანაც უშუალოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების კვალზე, უფრო მოსალოდნელი გახლდათ, რომ უარყოფდა პრემიების კომიტეტის ამ თხოვნას.

მაგრამ...

რატომ, რა მოტივით, რა მიზეზით ასე ერთბაშად ძნელი ასახსნელია და იქნებ ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზიც დასჭირდეს, თუმც ისე კი მოხდებოდა,

*რომ **საქართველოს პრეზიდენტი თანხმობას გა-ნაცხადებდა ოთარ ჩხეიძისათვის რუსთაველის პრემიის მინიჭებაზე უკონკურსოდ** – როგორც გა-მორჩეული ღვაწლის დამდებისათვის ქართული მწერლობის წინაშე, და თანხის გადარიცხვას თავისი ფონდიდან შეპირდებოდა კომიტეტს.*

ერთიბენო საეჭვოც აღარაფერი რჩებოდა, რომ ღია კენჭისყრით მინიჭებოდა ეს ჯილდო მწერალს.

და ისევ მაგრამ...

ოთარ ჩხეიძე** განუმარტავდა თავის კეთილის-მყოფელსა და მის სხვა თანამოაზრეთ, რომ **არაფ-რისდიდებით არ დათანხმდებოდა სახელმწიფო რანგის პრემიას, მითუმეტეს, საქართველოს პრე-ზიდენტის მიერ გადაწყვეტილს და მისი ფონდი-დან დაფინანსებულს.

*და რაც მთავარია – **არა პირადი წყენის გამო,** რადგანაც მთელი ცხოვრება იმ რწმენით გამოატა-რა, რომ ეპიკოსი ვალდებულია არ აჰყვეს პირად გან-ცდებს.*

უბრალოდ – არ დათანხმდა ხელისუფლებასთან მორიგებას.

და ასე იქნებოდა, ვინც უნდა ყოფილიყო ხელი-სუფლების სათავეში – თუნდ მისი პატივისმცემელი.

*ასე და მხოლოდ ამ მიზეზით არ გამოიღო ნაყოფი **ტარიელ ჭანტურიას** მონდომებამ.*

ასე გადაიქცა შინარეცენზიად გათვალისწინე-ბული ოფიციალური დოკუმენტი სტატიად, რომე-ლიც სამახსოვროდ მქონდა შემონახული.

თუმც ეს სტატია ისევ შეიძლება იქცეს ოფიცია-ლური დოკუმენტის ყაიდის ნიმუშად – თუ არ გამომ-ზეურდა როგორც რუსთაველის პრემიის დადასტუ-

რება, სამაგიეროდ, გამოდგება „საბას“ ორგანიზატორთათვის – ბოლოსდაბოლოს, რისთვის მიენიჭა ოთარ ჩხეიძეს „თი-ბი-სი ბანკის“ (პრეზიდენტი მამუკა ხაზარაძე) მიერ დაარსებული ლიტერატურული ჯილდო ნომინაციაში – ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

განსხვავებით რუსთაველის პრემიისაგან, „საბა“ კერძო ჯილდოა, ხელისუფლების წინაშე რომ არაფერს ავალდებულებს – ამიტომაც არ განუცხადებია უარი მის ლაურეატობაზე.

თავის მხრივ კი „საბას“ ჟიურიმ (მაკა ჯოხაძე, ზაზა აბზიანიძე, გივი ალხაზიშვილი, ვაჟა გიგაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, მერაბ ღაღანიძე, მალხაზ ხარბედია) მიიჩნია, რომ ოთარ ჩხეიძის 22 რომანი – და მასთან ერთად ბიოგრაფიული რომანების (ვასილ ბარნოვსა და ლორდ ბაირონზე), ნოველების („ჩემი სოფლის ეტიუდების“ საერთო სახელწოდება რომ აერთიანებს), ისტორიული და თანამედროვე პიესების, ესეისტური და პუბლიცისტური სტატიების არაერთი ტომი, აგრეთვე ჯონ მილტონის, ემილი დიკინსონის, სტივენ კრეინისა თუ ტომას სტერნზ ელიოტის პოეტური თარგმანები – სავსებით კმაროდა საიმისოდ, რათა ლიტერატურული პრემიით აღნიშნულიყო ამ პიროვნების სამწერლო ღვაწლი. და 85 წელს მიღწეული ოთარ ჩხეიძისაგან არ მოუთხოვიათ კიდევ არაერთი წლის შრომაგარჯა „საბას“ ლაურეატობის მოსაპოვებლად.

... ისე ნეტა 99 წლის აკაკი შანიძეს კიდევ რამდენი უნდა ეშრომა?..

როსტომ ჩხეიძე

ფოიერვერკი

ბოლო ხანს გაზეთ „რეზონანსში“ ლიტერატურისა და ლიტერატურული ცხოვრების შესახებ გამოქვეყნებული პროფესიული წერილები მნიშვნელოვანწილად ავსებს იმ სიცარიელეს, რაც ჩვენში სპეციალური სალიტერატური გაზეთის ფაქტობრივი არარსებობით წარმოიშვა და *რაც მძიმე დილემის წინაშე აყენებს უამისოდაც თავის ნებაზე მიშვებულ თანამედროვე სამწერლო პროცესებს, რომლის რიგიან, სისტემურ შეფასებასაც არ იქნა და საშველი არ დაადგა.*

ამ ვითარებაში „რეზონანსის“ ლიტერატურულ წერილებს თანამედროვე სამწერლო პროცესების შეფასების, მისი პრობლემებისა თუ სამომავლო პერსპექტივების გამოკვეთით შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს, მით უფრო თუ გაზეთი ამ სფეროში კვლავაც ისეთ ავტორებთან გააგრძელებს თანამშრომლობას, რომელთა სახელებიც მკითხველისათვის ქართული ლიტერატურისა და საერთოდ ეროვნული საქმეების უანგარო მსახურებასთან ასოცირდება.

ამ გაზეთში გამოქვეყნებული წერილებიდან კი განსაკუთრებით გამახარა 20 ივნისის ნომერში დასტამბულმა **ტარიელ ჭანტურიას** *ერთი გამოსვლის ტექსტმა, რომლის პათოსსა და განწყობილებასაც, მეც სავსებით ვიზიარებ, რადგან იგი ჩემი საყვარე-*

ლი მწერლის ოთარ ჩხეიძის შემოქმედებას შეეხება და მისი არაჩვეულებრივი პროზის პროფესიული შეფასების წარმატებულ მცდელობად გვესახება.

თანამედროვე ქართული პროზის პატრიარქის ბატონი ოთარ ჩხეიძის ყოველი ახალი წიგნის გამოცემა პირადად ჩემთვის, ისევე როგორც ძალიან ბევრი მკითხველისთვის, ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების გამოკვეთილ მოვლენას წარმოადგენს. სალიტერატური ცხოვრებისა, რომლის სათავეშიც უპირობოდ უნდა ვიგულისხმოთ „ბორიაყის", „არტისტული გადატრიალების", „მეჩეჩის", „ბურუსის", „კვერნაქისა" და კიდევ არაერთი რომანის ავტორი. მის ყოველ წიგნში სტილურ ძიებათა და მიგნებათა ისეთი ქარიშხალი ტრიალებს, რომ უნებურად მახსენდება სიტყვა „ფოიერვერკი".

თუმცა ჩვენში გერმანულიდან შემოსული და დამკვიდრებული ეს სიტყვა ვინმეს ეგებ სწორედ ოთარ ჩხეიძესთან დაკავშირებით უადგილოდ და გაუმართლებლად მოეჩვენოს, რაკიღა მისი პროზა იმდენად ქართულია, რომ ამ პროზის შესაფასებლადაც რომელიმე მშობლური გამოთქმა ერჩიოს.

ყველას თავისი აზრი აქვს, მაგრამ იქნებ ეს არამშობლიური სიტყვა ოთარ ჩხეიძესთან დაკავშირებით იმიტომ მახსენდება, რომ მან თავისი „ქართული სტილით" ბუნებრივად განაგრძო და განავითარა ჩვენი პროზის ევროპული ხაზი – თუნდ თემატიკისა და თუნდ აზრობრივი და მხატვრული აქცენტების თვალსაზრისით.

ამ მხრივ მისი ღვაწლი სრულიად განსაკუთრებულია და ოთარ ჩხეიძის რომანები, რომლებიც ჩემთვის ერთი დაუნანევრებელი მთლიანობაა და სა-

ქართველოს წინა ასწლეულისა და ამ საუკუნის დასაწყისის მხატვრულ მატიანედ წარმოგვიდგება, უყოყმანოდ ამოუდგება გვერდით მსოფლიო მწერლობის ამავე ტიპის ყველაზე გამორჩეულ და ელვარე ნიმუშებს.

*ამ ცოტა ხნის წინ არაბი ნობელიანტის – **ნაჯიბ მაჰფუზის** შესახებ ერთი პატარა ნარკვევი დავწერე. ამ მწერლის მნიშვნელობა თავისი ენისა და ლიტერატურის განვითარებაში უდავოა და მსოფლიო დონეზეც ადეკვატურად არის დაფასებული. **ნაჯიბ მაჰფუზმაც თავისი რომანებით ერთგვარი მატიანე შექმნა XX საუკუნის ეგვიპტის საზოგადოებრივი, კულტურული თუ პოლიტიკური ცხოვრებისა და, ოთარ ჩხეიძისა არ იყოს, თავის ქვეყნის მაჯისცემა ოსტატურად მოაქცია საკუთარი დროისათვის ყველაზე შესაფერის მხატვრულ სამოსელში;** მაგრამ მაჰფუზი – განსხვავებით ბატონი ოთარისაგან, ძალზე არათანაბარია და მის ნამდვილ მიღწევად სულ რამდენიმე რომანი შეიძლება მივიჩნიოთ, მაშინ, როდესაც **ოთარ ჩხეიძის პროზაში ამგვარ ჩავარდნებს ვერსად წააწყდებით და თანაბრად მაღალმხატვრულია ყველა ნიმუში, რაც კი მისი ხელიდან გამოსულა.***

ეს შედარება უადგილოდ ნუ მოგეჩვენებათ. ესეც ჩვენი საქართველოს ერთი დიდი „წყევლაკრულვიანი საკითხავია", როცა ყოველ წამს იმის მომსწრენი ვართ, როგორ ჩხრიალებს სხვისი ბამბა.

*თუმცა ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, **მაჰფუზს** არას ვერჩით და ვაბრალებთ. მან იქნებ სხვა ნობელიანტებზე უფრო დამსახურებულად და ღირსეულად მოიპოვა ეს პრემია, მაგრამ **საქართველოში უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია მუხლჩაუხრე-***

ლად მოღვაწეობს მაჰფუზის თანატოლი, მასზე იქნებ ათი თავით აღმატებული მწერალი, რომლის არსებობაც ნობელის პრემიათა კომიტეტში შესაძლოა არც გაუგიათ. ეს ამ კომიტეტის პრობლემაა, მაგრამ ჩვენც ხომ არასოდეს გამოგვიყენებია ჩვენი შესაძლებლობა, რათა ოთარ ჩხეიძის სახელს შესაბამისად (მისი დამსახურებისა და მხატვრული ნიჭიერების შესაბამისად) ეხმიანა.

ტრადიციულ ქართულ შურიანობას რომ თავი დავანებოთ, ამის მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ ჩვენში დღემდე არ არსებობს პროფესიული კრიტიკა და ლიტმცოდნეობა. ასე რომ იყოს, დიდი ხანია ოთარ ჩხეიძის ადგილი და დამსახურება ქართულ მწერლობაში არა მარტო ჩვენთვის, არამედ ცივილიზებული მსოფლიოსთვისაც გარკვეული და დაფასებული იქნებოდა.

გარდა ჩვენი კრიტიკის შეჭირვებისა, ამას, რა თქმა უნდა, სერიოზულად აბრკოლებს ქართულიდან ევროპულ ენებზე თარგმნილი ნიმუშების სიმწირე თუ ფაქტობრივი არარსებობა. ითარგმნება ყველა და ყველაფერი, ვისაც საამისო ფული და ჩალიჩის უნარი აქვს, მაგრამ რატომღაც არავის (არც ქართველ და არც უცხოელ მთარგმნელს) არ ახსენდება ის მწერლები, რომლებიც დღევანდელი ქართული ლიტერატურის ნამდვილ სახეს ქმნიან, ვინც სხვა უფრო სამართლიან და ადამიანურ ვითარებაში ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათი უნდა ყოფილიყო.

როგორ არ გამახსენდეს ერთი დიდი სპარსელი მწერლის სიტყვები, მან რომ ოთარ ჩხეიძის „ბორიაყის“ ჩემს მიერ სპარსულად თარგმნილი ფრაგმენტების ნაკითხვის შემდეგ მითხრა:

„ჩემთვის ახლა უკვე ნათელია, საბჭოთა ურჩხულს თავი როგორ დააღწიეთ. თქვენ ხომ ოთარ ჩხეიძის დარი მწერალი გყოლიათო!“

არ ვიცი, თარგმნილია თუ არა რომელიმე ევროპულ ენაზე **ოთარ ჩხეიძის** *წიგნები. ალბათ – არა, თორემ ეჭვი არ მეპარება, სპარსელი (აღმოსავლელი) მწერლის ამ აღფრთოვანებას ევროპელებიც გაიზიარებდნენ, რადგან* **ოთარ ჩხეიძის პროზა მსოფლიო მასშტაბის მოვლენაა და მსოფლიო მასშტაბისაა იმიტომ, რომ უპირველესად ძალიან ქართულია.**

მიხარია, რომ ეს პატარა ჩანაწერი **ოთარ ჩხეიძის ახალ რომანს** *უნდა დაერთოს. ამ რომანისა ჯერ მხოლოდ სათაური* **„ლაზერშოუ“** *ვიცი და მისი წაკითხვის ბედნიერება სხვებთან ერთად მეც წინ მელოდება.*

სათაური ულტრათანამედროვეა, დღევანდელობის შესატყვისი, რითაც ოთხმოცდახუთი წლის მწერალი, რომელიც ამდენი ხანი მუხლჩაუხრელ ჯაფას ეწევა, ალბათ, იმასაც გვეუბნება, რომ **ნამდვილი დღესასწაული ქვეყნისათვის დაუღალავი გარჯაა** *და არა მთავრობის მოწყობილი ლაზერშოუ, რომლისთვისაც გამრჯე ადამიანების სახსრები იხარჯება.*

ხოლო იმას, ვის გულსა და წიგნებშიც ნამდვილი ადამიანური გრძნობებისა და აზრების ფოიერვერკი ტრიალებს, ძვირადღირებულ, ნაუცბათევ ლაზერშოუთა სპეცეფექტებით ვერაფრით გააკვირვებ.

გიორგი ლობჟანიძე

სარჩევი

ლაზერშოუ (რომანი) 3

უსამანო ტკივილი (ელგუჯა თავბერიძე) 396

ოთარ ჩხეიძე: საქართველოს

საზოგადოების საგა (ტარიელ ჭანტურია) 405

კიდევ რამდენი უნდა ეშრომა

აკაკი შანიძეს? (როსტომ ჩხეიძე) 410

ფოიერვერკი (გიორგი ლობჟანიძე) 421

რედაქტორი
როსტომ ჩხეიძე

გამომცემელი
ელგუჯა თავბერიძე

დიზაინერი
კარლო ფაჩულია

ოპერატორი
თამარ ჩიხლაძე

დამკაბადონებელი
ლევან ჩხეიძე

გარეკანზე:
იაკობ ნიკოლაძე
„მწუხარე საქართველო“
(ძეგლი ილია ჭავჭავაძის სამარეზე)

გადაეცა ნარმოებას 1.10.2005;
ხელმონერილია დასაბეჭდად 3.12.2005;
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 26,75;
ტირაჟი 500, შეკვეთა №883

ფასი სახელშეკრულებო

ქუთაისის სააქციო საზოგადოება „მანდარიას სტამბა"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.